

114  
1961 / 5

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
ცენტრი

# მეათეობი



2

| 9 6 |

# მნათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 38-ე

№ 2

თებერვალი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა კ რ ს ი

კარლო კალაძე — ლექსები	3
სანდრო შანშიაშვილი — უცხონი და ახლობელი. მოთხრობა	6
გიორგი ლეონიძე — ჩირიცი და ჩიკოტელა. მოთხრობა	34
შალვა ამისულაშვილი — ჩემი კაცობის მასწავლებელი. ლექსი	43
კალე ბობოხიძე — ორმოცი წელი. ლექსი	44
ლადო სულაბერიძე — თუ ძმა ხარ. ლექსი	45
აკაკი ბელიაშვილი — შეიღაცა. მოთხრობა. ვაგბძელება	46
ნაზი კილახოია — ლექსები	55
ოტია იოსელიანი — ვარსკვლავთყვანა. რომანი. ვაგბძელება	58
ნოდარ წულუიბერი — პეტრეს ამბავი. მოთხრობა	78

### რუსთაველის ნაკვალავზე

ირაკლი აბაშიძე — პალესტინის დღიური	83
სიმონ ყაუხჩიშვილი — შოთა რუსთაველი და ჯეიჰონს მონასტერი	114

### დიდი მღვანისწაულის შესახებ

ბ. ქადაგიძე — საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული მაჯისცემი	
კონსტანტინე ქოჩიაშვილი — წარსულის ფერცნები	

თბ. მეორე გვერდი



9478

**კრიტიკა, ისტორია**



ვიორჯი ნატროშვილი — ქართველი პოეტები შრომდღიოს გზებზე	133
პორის ზაბტაძე — დობროლუბოვი და პლეხანოვი	152
სვიმონ გამსახურდია — საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან ადრეფეოდალურ ხანაში	158

**ხელოვნება**

უ. გოგიაშვილი — სახალხო თეატრი — ესთეტიკური ილზრდის კერა	163
ვასილ კაციაძე — ყალბი ტრადიციის წინააღმდეგ	167

**ჩვენი მიხედობები**

პროფ. არჩილ ხარაძე — აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი	172
--	-----

**წიგნების მიმოხილვა**

შოთა სულაბერიძე — ი. ნონეშვილის ლექსების კრებული	180
შალვა რადიანი — გამოკვლევა ილია ჭავჭავაძის ესთეტიკაზე	184

**საზღვარგარეთ**

ავსტრული ცხოვრების ძროშისა	189
----------------------------	-----

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

ს ა რ ე დ ა ქ ე რ ი კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
 უ. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ბეღმოწერილია დასაბეჭდად 24/11-61 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7 1/2×12 1/4.  
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უფ 02341.  
 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 119.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფგამომცემლობის  
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
 Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

## პარო კადაძე

### ჩემს ძველ მემოზრებს

ეს ლუკმა ლექსიც საარსებო პურია წმინდა! —  
ჩემო კარგებო, პური თქვენთან გავტებო მინდა...

აგრე თქვენს ტკბილად დაბერებას მეც მოვესწარი  
და მიხარია, თუ მეგობრად გამოგადექით,  
ჩემი ცხოვრების ნახევარი, აჰა. ეს არი, —  
მგზავრებო, პირი გაისველეთ პურის ნატებით!

ომების შემდეგ ალაღბედად ვიფიქრე მხოლოდ:  
მკლავ-დალოცვილი გუთნის-დედა კვლავ მოგაგონოთ!

ნეტავ გენახათ — ყოველ დილით მწვანე ჯაჯალი  
გლუხის ბიჭივით თმახუჭუჭი, თმაგაჩეჩილი,  
ჩუმი ბიბინით, მზეში როგორ თხოვდა ბუნებას  
საკეთილდღეოდ ტანის აყრას და დაპურებას...

ნეტავ გენახათ — შეწამწამა თავთუხის მომკაც,  
იქნებ ხელსავესე ხელეურიც შევნოდა ლომკაცს,  
მაგრამ ტკბილია განა ხვედრი ხელმადლიანთა:  
გალეწეს პური და წისქვილის ქვაც დატრიალდა!

დავცქერი თონეს, და ამ არაკს ეხსნი ჩემებურად:  
ქართული სიტყვა მიმანია მე ლუკმა პურად!

ვის გავაკვირვებ შოთი-პურის ერთი ნატებით!  
და ლუკმა ლექსიც ძველებური იჯარაა წმინდა...  
მაგრამ თუ დედასპური გიყვართ — ფეხზე ადექით, —  
ისევ და ისევ პური თქვენთან გავტებო მინდა!

### მე და მოქანდაკე ნიკო კანდელაკი

ნუთუ ეგ ისევ თიხაა, თიხა,  
და არა ჩემი ხორცი და ძვალი? —

ჩემს დაეჭვებას ვერ აღუდიხარ  
და მაინც ჩემზე გიჭირავს თვალი.

გვამაღლებს შენი საძერწი დაზგა,  
მაგრამ ჩემს ფიქრებს აბა დაჰყევი —  
ყველა ქვისკაცი ირგვლივ რომ დასხა  
შენს მიერ აგრე ნაქანდაკევი.

იმ სიხუმეში, არა მგონია,  
 მეც მოვითმინო ჩემი ღუმილი  
 და თითქოს მუხლი არა მქონია —  
 შევრჩე კვარცხლბეკის ქვას დავრდომილი!

მთელ ჩემს სიცოცხლეს, ოსტატო, თუ ჩემს  
 ფართო შუბლსა და თვალებს აწერდი, —  
 შემეცდარხარ... ღიმილ-დაჩვეულ ტუჩებს  
 არ დაუტოვე სიტყვა არცერთი!

ღუმილმა სულ სხვა ელფერი მისცა  
 და მეც ყოყმანით ვუცქერ ხანდახან, —  
 ვაი თუ მიწად ჩასთვალონ მიწა,  
 მე რომ დღეს აგრე ამაქანდაკა!

... სათვალეებში ელავს მზესავით  
 პასუხად შენი ღიმილი დიდი, —  
 — მიწა ვართ, მიწა! — დასძენ მძერწავი  
 და მიწას მკაცრად აჩნდება თითი.

აყალო მიწა ლიხთ-იქითური  
 არც შეიძლება სხვაფერი იყოს,  
 დაეღაეა სახე, სახე წითური  
 გიბრწყინავს დინჯი ღიმილით ნიკოს.

მე შენთან ისევ მსურს ვისაუბრო,  
 მაგრამ შენ მოკლედ მანიშნებ: „ნახე“!  
 და საკვირველი ისაა უფრო,  
 რომ ჩემწინ დადგი ჩემივე სახე.

ეს არის მართლაც კამათი ჩვენი  
 და არა ფრქვევა ქება-დიდების,  
 ეგ ჩემი შუბლის თიხაა სველი,  
 საასპარეზო შენი თითების!

წუთს ეძებ ისეთს, რომ ერთი წუთი  
 მთელს ჩემ სიცოცხლეს ხატავდეს, არა?  
 აბა, ეგ წუთიც არაა ცუდი,  
 რაკი ერთბაშად ხელს აჰყვა, კმარა!

ვდგავარ. ჩემს მღუმარ ტუჩებს ვუცქერ,ი,  
 ორჭოფად ოდნავ რომ გააობილან,  
 რა დარჩათ, ვფიქრობ, ნეტავ უთქმელი,  
 რა დარჩათ, ნეტავ აამბობინათ!

ღიახ, პირს ადგათ სიტყვა, ვრწმუნდები.  
 და ვცდილობ თვითონ ამოვიკითხო...  
 ვდგავარ. შეჩერდა წუთი. წუთები.  
 და ჩემი სიტყვაც გაქვევდა თითქო...

სალამოები



მე არ მეგონა, თვალი თუ ამდენ  
საკვირველებას კიდევ ნახავდა,  
მთას ბილიკ-ბილიკ მივყევი ცამდე  
და კვლავ ცისპირად შემომალამდა.

ნელა დაეშვა მზე დასავლეთით,  
გადაიარა ცხრა მთა, ცხრა წყარო,  
ცას შერჩა მხოლოდ ღრუბლის ნაფლეთი  
და ღრუბლის იქით — სულ სხვა  
სამყარო.

ლამითაც შეენით მთებს ახოვნება,  
ვუტყერი მიწას ფიქრით გართული. —  
დაუცხრომელი ჩენი ცხოვრება  
ჩანს ნაპერწყლებად მიმოფანტული.

და ჩემი ერთი ღამე რა არი,  
ან ერთი წყვილი თვალის გახელა,  
ღღე თვალის ერთი გაფრენა არი, —  
ღღე, ალბათ, ისე ჰქვია სახელად!

გინახავთ, ჩემი სახლი მტკვრისპირად?  
გზა გულით გულთან მაქვს მიკვალული  
და ჩემს ცხოვრებას ადგას გვირგვინად  
მშვიდობა ჩემი და სიყვარული...

მიყვარს მტკვრისპირი და საგანგებოდ  
გულს ჩამწედომია მისი ღუღუნნი,  
მაგრამ არასდროს, ამხანაგებო,  
მტკვრით არ ვყოფილვარ  
შემოზღუდული!

მთაბარს დამღერის რადიო-ანძა,  
ხალიჩებივით დაბლა დაფენილს.

ან მთა მოასწრებს, უთუოდ, ან ცა  
მითხრას ამბავი ლალი ვაფრენის.

ო, თვალი როგორ არ გაეყოლოთ,  
სურვილი ცად რომ გაიტყორცნება, —  
არის ოცნება... და არა მხოლოდ  
ამ ერთი წყვილი თვალის ოცნება!

და ატომგულის მესაიდუმლეც,  
ვარსკვლავთმრიცხველო მკითხველო  
ჩემო,

შენ უკვე მიჰქარი ჯერ შემოუვლელ  
ჩენი დღისა და ღამის გარშემო!

მთების აქ ფეხზე წამოდგომამდის  
რაც იყო, თითქოს ახლა არც არი,  
სკრის ახლა სიერცეს შენი ხომალდი  
და შექით როცა შეუქს გაასწარი —

ბნელი მე ყორნის ფრთებს მივამსგავსე,  
შუქს ბნელი-კაცი ვერ გაიტაცებს!  
კავკასიონის მთებიდან ასე  
ცეცხლი მიჰქონდათ მხოლოდ  
ციცაკებს!

გასწი, კეთილო, არ შეგვიშინდე,  
გულს მანდ მუქარის ხმაც არ მისწედება,  
ვიცი, ვით წინსვლა და ვით სიმშვიდე,  
ჩემი მტკვრისპირიც არ გავიწყდება!

და ნაპერწყლებით სავსეა მუქი  
წამწამი მყუდრო სალამოების,  
შინ მიმაქვს მხოლოდ იმედის შუქი  
და არა მწუხრი ამაოების...



საზოგადოებრივი

## შეხვედრის და ახსნის

კოლმეურნეთა ცხოვრების  
სურათები

ნაწილი პირველი

მთავარიანსა და ხეცებით დასერილს  
სოფელში ორი კოლმეურნეობა იყო,  
ერთს უწოდებდნენ: „აღორძინება“,  
ხოლო მეორეს — „განთიადისა“. „აღორ-  
ძინების“ თავმჯდომარედ თადეოზ ვეფ-  
ხვაძე გახლდათ, ხოლო „განთიადისა“ —  
დიმიტრი ბერიძე.

კოლმეურნეობის დაარსების დღიდან  
დიმიტრი ბერიძე ერთგულად ეწეოდა,  
მისი კოლმეურნეობა მოწინავედ  
ითვლებოდა. თვითონ ბერიძეს მრავალი  
ჯილდო ჰქონდა მიღებული.

იგი უკვე ჰქალარაშერთული იყო. ტა-  
ნად ახოვანი. მუდამ მომლიძარი და  
საამოდ მოსაუბრე. კოლმეურნეებს მა-  
მამეილურ დარიგებას აძლევდა და ძა-  
ლიან იშვიათად ნახავდით ალელე-  
ბულს.

რაც შეეხება ვეფხვაძეს, იგი დიმიტ-  
რიზე უფრო ახალგაზრდა იყო, ნუდამ  
ალელეებული, მუდამ მოფაციფსუცე.  
ჰქალარა მის საფეთქლებზედაც მზინა-  
და, დანაოჭებულ სახეზე კეხიანი ცევი-  
რი ოდნავ გვერდზე მიჰგრებოდა, ლა-  
პარაქის დროს ცალ თვალს ჰუტავდა,  
თითქოს რაღაცას ფიქრობდა, მაგრამ  
ნაფიქრალს კი არ აზნობდა, არავედ  
სრულიად საწინააღმდეგოს.

ერთს კვირას, შემოდგომის მზიან  
დღეს ორივე კოლმეურნეობის წევრე-  
ბი, ჰალი და კაცი, მოედანზე გამოფე-  
ნილიყვნენ. ახალგაზრდები ცეკვავდნენ,

ხოლო ნოშორებით მამაკაცები მორე-  
ზე ჩამომსხდარიყვნენ და რადიო-გა-  
მოცემას ყურს უგდებდნენ.

ორღობიდან ამ მოედანზე ხალხის  
სხვა ჯგუფი შემოიჭრა. წინ ნოშორდა  
ჰრელთვალა და გრძელუღვაშებიანი  
ვალიყო ანცაძე, რომელიც მსუქან სა-  
ხეზე ოფლს იმშრალვდა და თან შემ-  
პარავი ღიმილით კოლმეურნეებს ელა-  
პარაკებოდა: ყმაწვილო, გაიგე, რა-  
საც გელაპარაკები. ვეფხვაძე შეუდარე-  
ბელი და არაჩვეულებრივი ადამიანი  
მე თქვენი ბულატერი ვარ და თვითე-  
ულ თქვენგანს კარგად ვიცნობ: ვინ რა-  
გორ ცხოვრობს, ვინ რას აკეთებს; აი, მე  
ელიკოზე მოგახსენებთ, ჩვენს თავმ-  
ჯდომარე ვეფხვაძეს მე ვურჩიე, რომ  
ელიკო ფერმის გამგედ გადაეყვანა, გა-  
დაიყვანა კიდევ, მაგრამ განა სიკეთე  
დააფასა? შენ არ მომიყვდე! უარესად  
თავზე კაკალი დაამტვრია. თავმჯდომა-  
რეს ვინ ჩივის, მთელს კოლმეურნეო-  
ბას სახელს უტეხს! თქვენ რომ ახლა  
გროშების წაგეერ ას თუმნებს იღებთ,  
ელიკო იძახის: ვეფხვაძე უკანონობას  
აჩადისო. თქვენ ოჯახი გაამდიდრეთ,  
ელიკო ვეფხვაძეს დანაშაულად უთელის.  
განა ეს საკადრისია? ამას მტერს არ  
უხამს ადამიანი.

ანცაძეს არ დაემთავრებინა ლაპარაკი,  
ორღობეში მეორე ჯგუფი განიონდა,  
მეორე ჯგუფს კიდევ სხვა ჯგუფი მო-  
სდევდა. ერთს ჯგუფს ბანცაძე ჩასდგო-  
მოდა შუაში, მეორეს — განცაძე.



ანცაძე, ბანცაძე და განცაძე ვეფხვაძის დამქაშები იყვნენ. მათ ეს საიელი ზაშინ შეარქვეს, როდესაც ელიკოს და თავმჯდომარეს რაღაც საკითხზე კამათი ჰქონდათ, ხოლო ეს „სამება“ თავმჯდომარეს ვეჭილად დასდგომოდნენ, ელიკოს საშუალებას არ აძლევდნენ აზრი გამოეთქვა. აი, მაშინ მიამახა ელიკომ: „თქვენ თავმჯდომარის დამქაშები ხართო!“

როდესაც ჯგუფები შეერთდნენ, ისე აგუგუნდნენ, როგორც აგუგუნდება ხოლმე ჩრჩილისაგან შეწუხებული ფუტკარი. მაგრამ ამ ხალხს რა აწუხებდა? აწუხებდა ის გარემოება, რომ ფერმის გამგეს ელიკოსა და თავმჯდომარე თადეოზ ვეფხვაძის კერძო შეხვედრის დროს, თუ გამგეობის კრებაზე შეუწყვეტილი დაეა ჰქონდათ, ხოლო კოლმეურნეობის წევრები ვერ გარკვეულიყვნენ: რომელი იყო მათში მართალი.

ანცაძეს, ბანცაძეს და განცაძეს პირი ჰქონდათ შეკრული, რათა თავმჯდომარის ყოველი გადადგმული ნაბიჯი გაემართლებინათ, თუნდაც ეს ნაბიჯი დასაგმობი ყოფილიყო. ამას უანგაროდ არ სჩადიოდნენ. ჰქონდათ გ. ბორჩენია... ამას თავიდანვე ვრძნობდა ელიკო, როცა ისინი შემოიღობდა. ერთი ვითომ პირადი მდივანი იყო, მეორე ვითომ შტატგარეშე მოანგარიშე და მეესამე — ყველაზე მოხერხებული ანცაძე — კოლმეურნეობის საქმეების მეთვალყურე — კონტროლიორი, ანუ სხვადასხვა დაწესებულებასთან შუამავალი და საქმეების გამჩარხველი! ვითომ იგი გეგმას აზუსტებდა, ნამდვილად კი, როგორც შემდეგ გამოაშკარავდა, მაკლერობდა და ამაში პროცენტებს იღებდა.

ერთხელ ანცაძემ ასეთი საქმე „მოაკვარახინა“. ყველის გეგმას ვერ აარულებდნენ, მაგრამ დაფაცურდა. გამოქვბნა 10.000 მანეთი და მთელს რაიონში კერძო პირებისაგან ყველი შეისყიდა, გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, პრემიაც მიიღეს, მაგრამ ის ფული რა-

ში განაწილდა, ეს მხოლოდ „სამებაში“ იცოდა.

ამბობენ, ამ კომბინაციაში ვეფხვაძეც ჩაითრიესო და იმიტომაც იყო, რომ თავმჯდომარე ხნას ველარ იღებდა, როცა ანცაძე კიდევ რაიმეს „გაკავაქავდა“.

ელიკო ამ ამბავს ეჭვით მიხვდა, გადაკვრით კიდევ უსაყვედურებდა თავმჯდომარეს, თუმცა ხელთ არ ჰქონდა სათანადო საბუთი, მაგრამ ცდილობდა რაიმე მოეძებნა.

ხოლო თავდაპირველად უთანხმოება სულ უბრალო ამბიდან დაიწყო. სათესლე ხორბალს სწონიდნენ. ნოხუცმა ტიმოთემ დააცემინა, პირჯვარი გდაიწერა და „ღმერთო გვიშველეო“, წ. მოიძახა.

გაურისხდა ტიმოთეს ვეფხვაძე: როგორ თუ შენ ღმერთი ახსენეო, ეგ ძველი გადმონაშთიაო და ამის გამო ტიმოთე დაჯარიმა — ათი შრომ-დღე ჩამოაწერა. ელიკო თავმჯდომარეს შეეკამათა: ძველ ნაშთებთან ასე უხეში ბრძოლა არ გამოდგებაო და იმდენი ქნა, ჯარიმა მოახსნევინა. თავმჯდომარე გულში ბრაზობდა: საჯაროდ შემარცხვინაო. ამის შემდეგ, როგორც ძველად ამბობდნენ, მათ შორის შავი კატამ გაიჩინა. თავმჯდომარეზე უფრო მეტად ელიკოს წინააღმდეგ აზხედრდნენ ანცაძე, ბანცაძე და განცაძე — მათ თითქოს ეშინოდათ მისი. და, აი, დღესაც ხალხს ამხედრებდნენ: ელიკოს აუუკრძალოთ ჩვენს კოლმეურნეობაზე ლაპარაკიო. ამ დროს მოედანზე გამოჩინდა ელიკო. მას მოსდევდა თავისი შვილი — შვიდი წლის შალიკო. სასეირნოდ გამოეყვანა. ბავშვმა თავის ტოლები დაინახა, ბურთაობდნენ. უმაღ მათკენ გაეყვანა. ერთი ჯგუფი ელიკოსკენ გამოეშურა:

— ელიკო, ელიკო! შენთან საქმე გვაქვს, — შეუძახა ერთმა კოლმეურნემ. ელიკო შეჩერდა, ახლო მისულეს დააქვერდა, შეამჩნია: ერთი მათგანი გადაკრულში იყო, ნივრის სუნით ყარდა. სწორედ ის მიუახლოვდა ელი-



კოს. ელიკოს ნივრის სუნი ეცა და ცხვირზე უნებურად ხელი აიფარა:

— რა გინდათ? — ჰკითხა ელიკომ.

— მე, აი, რა მინდა... ეკ ის მანდა, რომ წმინდობა იყოს... მე მინდა კარგი: შენთვისაც, ჩემთვისაც, ამისთვისაც, — და ხელი გადახვია ახლო მდგომს.

ელიკო წასვლას აპირებდა, მაგრამ სხეებმა თავაზიანად გზა გადაუღობეს და ერთად წამოიძახეს:

— ელიკო მოგვისმინე!...

ელიკო შეჩერდა და ერთმა უთხრა: — ელიკო მე ძალიან პატივს გცემ. ერთი ვს გამაგებინე: რატომ ხარ ვეფხვაძეზე გამწარებული?

— ნუთუ აქამდე შენთვის გაუგებარია?

— პირადად შენ რამე გაწყენინა?

— მხოლოდ ფერმიდან მომხსნა და კოლმეურნეობიდანაც გამათავისუფლა!

— მაშ თავისუფლება მოუნიჭებია და რაღას ემდურები?

ჯგუფში ორიოდ ცუდლუბი ერია და ინატრეს: ნეტავ ჩვენც მოგვსსნიდესო...

ელიკომ შუბლი შეიკრა. უნდოდა ეთქვა: თქვენ ისედაც არაფერს აკეთებთ კოლმეურნეობაშიო, მაგრამ თავი შეიკავა, მიუბრუნდა ტიმოთეს, რომელიც თუთუნს ახვევდა და ეკითხება:

— ტიმოთე, შენთვისაც გაუგებარია, რომ მე ვეფხვაძეს ვემდურები?

ტიმოთემ პასუხი დააყოვნა, შექმდეგ თვალი გადააეღო თავის ამხანაგებს.

— მე, ელიკო, აბა, რა გითხრა... თითქოს მართალი ხარ, მაგრამ არც ხარ... რა ვიცი, წინათ გროშები ნაწილდებოდა, დღეს კი, ამბობენ, შრომა-დღეზე სამი თუმანი განაწილდებო... თუ ეს ზართალია...

— ეგ მართალია, მაგრამ ეგ შენი შრომადღის მეოხებით არ გახლავს.

სხეებმა ყურები აცქვიტეს: როგორ? მაშ რის მეოხებით არის?

ელიკომ წყნარად განაგრძო:

— ვეფხვაძე რომ მანქანებს იჯარაზე ამუშავეს, ხუთმანეთიანს თუმნად

რომ ჰყიდის ბაზარზე, მისი დამქაშები რომ სპეკულიანტობენ, თვითონაც იჯობავენ და თქვენც ნასუფრალს გამაღვენ, აი, აქედან შეგროვდა სამი თუმანი.

უსმენდნენ თვალეზაყვილები და ელიკო განაგრძობდა:

— თქვენც დამნაშავენი ხართ როდესაც კრებაზე ვამხილე, თქვენ მე მხარი არ დამიჭირეთ. პირიქით, გამამტყუნეთ და დღეს მოხსნილი ვარ... ამასაც ვნახავთ, ჰქონდა უფლება ზოგსნა ჩემი თავი, თუ არა? არც ერთი არ გამომესარჩლა! იარეთ მაგ მრუდე გზით და ვნახოთ, სად გადაიჩეხებით!

ელიკო გარეგნობით მოხდენილი და ლაშაზი სახისა იყო. როცა დამშვიდებული ლაპარაკობდა, სახეზე ღიმილისგან ნათელი გადასდიოდა, ხოლო, როცა ვინმეს საყვედურს ეუბნებოდა, ან აღელდებოდა, გადაშლილ წარბებს შეიკრავდა, ტუჩებს ხანდახან მოკუმავდა და ჭრელი, მსხვილი თვალებიდან ნაპერწყლავს აფრქვევდა.

გადაკრულში მყოფმა ელიკოს აღმაცერად შეხედა და თითის ქნევით უთხრა:

— ელიკო, გაიგე ჩვენგანი ერთხელ და სამუდამოდ გიკრძალავთ, რომ ჩვენს კოლმეურნეობაზე ილაპარაკო. ჩვენი ვეფხვაძე ღირსეული თავმჯდომარეა და ჩვენც მის ხელში დავწინაურდით!

— მიკრძალავთ?! — შეუყვირა ელიკომ, — მე მიკრძალავთ? მე კარგად ვიცი, შენ ვისი ეზოდანაც კაცანებ! წადი, მოახსენე ანცაძეს, ვინც შენ დილა-ღარიანად გამოგაძლო, რომ ელიკო ზაინც ილაპარაკებს-თქო! თქვენ მე ლაპარაკს ვერ ამიკრძალავთ! ან ვინ მოგცათ მაგის უფლება? ანცაძემ და ბანცაძემ? წადით, მოახსენეთ, რომ ელიკო არ გვემორჩილება-თქო. თქვენ კი, — მიმართა დანარჩენებს — ნუ ხართ დოყლაპიები!

თქვა ელიკომ და ბავშვებისკენ წავიდა. აქ დარჩენილები იდგნენ და ერთ-დანეთს შესცქეროდნენ. ასე გაქვავებუ-



ლები დიდხანს დარჩებოდნენ, რომ ჭა-  
ლაროსანი მათ არ წამოსწეოდათ. მათ  
მეორე კოლმეურნეობის წევრი იყო  
— ანჟამად საწყობის გამგე. მათე შო-  
რიახლო ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს  
და სიცილით წაილაპარაკა.

— დავსუსხათ? დევიძის ქერივია,  
შვილო, მაგასთან ხუმრობა არ გამო-  
გადგებათ. ყოჩაღი ქალია! მაგას აფთა-  
რას ეძახიან!

— წაიყვა თქვენს კოლმეურნეობაში,  
თუ ყოჩაღია!—წააღულღულა გამობრუ-  
ყულმა და სხვა ამხანაგებს უკან გაჰყვა.  
მათემ თელი გააყოლა და ამოხებრით  
სთქვა: რაც აღხანა, ის ჩალხანა!..

ის იყო, მათემ ხელი ჩაიქნია და საწყ-  
ობისაკენ უნდა წასულიყო, რომ ვილი-  
ცამ დაუძახა.

— ჰეი, ბერიკაცო!

მისკენ მიემართებოდა კობტად ჩაც-  
მული, ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი...

— შენ ვის ეძახი? — ჰკითხა მათემ.

— თქვენ გეძახით!

— შერე, მე მოხუცი ვარ? მართალია,  
საზოცდაათს მიღწეული ვარ, მაგრამ  
მოხუცად არ ვთვლი ჩემ თავს! საქმე  
გულია! გულით კი ახალგაზრდა ვარ!

ახლად მოსული მათეს დიდხანს უც-  
ქერდა. შემდეგ თითქოს რაღაც გაიხსე-  
ნაო, გაელინა.

— ბოდიში, ძია კაცო! მე თქვენ ძა-  
ლიან კარგად გიცნობთ!

მათე შეფიქრიანდა, ცნობისმოყვარე-  
ობამ შეიპყრო: ასე სუფთად გამოწყო-  
ბილი ახალგაზრდა მე საიდან ნიცნობს,  
სად მინახავსო და თვითონვე დაასწრო:  
ჩემი შვილის ამხანაგი ხომ არ ხარო და  
სახე მოედრებულა შვილის გახსენებაზე,  
შვილი ონში წავიდა და აღარ დაბრუნე-  
ბულა.

უცნობმა უთხრა: თქვენ მათე ჩიტაძე  
ბრძანდებით პატივისცემი პიროვნება.  
შარშან ორდენით დაგაჯილდოვეს. გა-  
ზეთში თქვენი სურათიც იყო და დახა-  
სიათებაც! აი, აქედან გიცნობთ და მო-  
ველ პირდაპირ თქვენთან.

— მობრძანდით, შვილო, მაგრამ ბო-

დიშს კი მოვიხდი, თქვენ ვინ ბრძანდე-  
ბით?

— მაგას მერე მოგახსენებ!

— არა, თუ ჩემი ხათრი გაქვს...

— შერე, ძია მათე...

— შვილო, ათასნაირმა ფიქრმა გამ-  
კრა. მითხარ, შენ გახარებას. კაცო, გა-  
მაცან შენი თავი, მაშ. აბა, აგრე როგორ  
იქნება? შენ მე მიცნობ და მე კი ვერ  
მომიგონია...

— მე ხომ მოგახსენე, გაზეთში წავე-  
კითხე-მეთქი!

— ჰო, კარგი შვილო, კარგი აღმათ,  
ჩვენი თავმჯდომარე — დიმიტრი ბერ-  
ძე გინდათ ნახოთ! მაინც რა საქმეზე?

მათე ძალიან ცნობისმოყვარე იყო და  
ამ უცნობმა საგონებელში ჩააგდო. ვის  
ეძებს? ვისთან მოსულა? და ბოლოს  
ჰკითხა:

— მაშ, დიმიტრი გინდა ნახო? ახლა

ქალაქიდან ბევრნი მოდიან კოლმეურ-  
ნეობაში პრაქტიკის მისაღებად. ზოგი  
პირდაპირ სამსახურს ითხოვს, თუ შენც  
სამუშაოს ეძებ, წინასწარ გეტყვი: თუ  
კარგად იცი სიმინდის თოხნა, ნობრძან-  
დი, მიგიღებს... თუ ეს შენთვის ხელ-  
საყრელი არ არის, მაშინ მიმართე თაღე  
ვეფხვაძეს...

— დიხ, მე თაღეოზ ვეფხვაძე ვინდა  
„აღორძინების“ თავმჯდომარე!

მათეს გულში ეღიმიებოდა: ო, რა ვაქ-  
კაცს ნახავსო! დაბოლოს ჰკითხა: ვეფხ-  
ვაძის ნათესავი ხარ?

— ის მე არც ნიცნობს!

მათეს გაუკვირდა: — ბიჭოს, ერიჰა!

— თუ არ იცნობ... ჰო შეიძლება გაიც-  
ნო... პირსუკან სიტყვა არ მიყვარს, მაგ-  
რამ ვეფხვაძეს ვეფხვობისა არა სცხი-  
რა. როცა კოლმეურნეობის გამსხვილე-  
ბა ხდებოდა, მან თავისი წევრები ვადა-  
რია... მას ძალიან კარგი მეგობრები და  
მრჩეველები ჰყავს: ანცაძე-ბანცაძე-  
ბი! ჩვენთან არ ინებეს შემოერთება.  
წადი მასთან და ისეთ საქმეს შემოგთა-  
ვაზებს, რომ ორ კვირაში ბროლის კოშ-  
კებს აიშენებ!

უცნობი ყურს უგდებდა და ელიმებო-  
და, შერე უთხრა:

— ბიძია მათე! მე ჯერ უნდა ვნახო  
მისი წევრი — ელიკო დევიძე!

მათე უფრო განკვიტდა.

— ელიკო! მოიცა ყმაწვილო! კლი-  
კოც ვინდა ნახო და ვეფხვაძეც? ორი-  
ვე ერთად? ეგ ყოვლად შეუძლებელია.

— რატომ?

— ერთმანეთს დასჭამენ... თუ შენ  
ერთს ნახავ, მეორეს უნდა თავი ანებო!  
ისე არიან როგორც ძაღლი და კატა!

— მე ვგეც ვიცი!

— შენ საიდან იცი?

— ელიკო და ვეფხვაძე ერთმანეთზე  
აწლილები არიან. ერთიც ჩივის და მეო-  
რეც. და აი, თქვენ არ დაგვიმალავთ. მე  
თბილისიდან მოვლენილი ვარ გამოსარ-  
კვევად.

— თბილისიდან მოვლენილი ხარ? —

მათემ ისე ხაზგასმით სთქვა, რომ თით-  
ქოს მიხვდა ყველაფერს... თან იძახდა:  
ჰო, ეგ სხვა საქმეა... დიახ, დიახ, ეგ  
სხვა საქმეა...

შემდეგ დაფიქრდა და დიდხანს ჩუმად  
იყო. გულში ფიქრობდა „უნდა გამო-  
არკვიოს“...

შემდეგ უცნობს შეხედა და ჰკითხა:

— შენი სახელი?

— ნიკო კახაბერიძე!

— ნიკო! აი, შეილო, რა გითხრა. მე—  
მამა, შენ — შეილი. ერთს რჩევას მოგ-  
ცემ და გამიგონე. შენ ამბობ: უნდა გა-  
მოვარკვიოვო, შენ გინდა შეამოწმო ამ  
ორში რომელი ტყუის. ამიტომ არ გირ-  
ჩევ პირდაპირ შეეჯახო, შენ იყავ აქ,  
აი, ჩვენ შორის... ვითომ შენ ჩემი სტუ-  
მარი ხარ, ვითომ შენ ჩემს შვილს იც-  
ნობდი... ერთი სიტყვით ნურც კი გა-  
მოჩნდები, რომ შენ რაიმე დავალება  
გაქვს თბილისიდან. გარწმუნებ, ყველა-  
ფერს უშუალოდ გაიგებ. რაკი დღეს  
კვირა დღეა, ორივე კოლმეურნეობის  
წევრები აქ იკრიბებიან. მღერაინ, ცეკ-  
ვავენ, თამაშობენ, ლაპარაკობენ, ერთო-  
ბიან და ხან ჩხუბობენ კიდევ. შენ შე-  
გძლია ბევრი ლაპარაკში ჩაითრიო,

გამოჰკითხო... ყველაფერს დაგქაყენ  
და შერე... შერე შენ აწონ-დაწონე... და  
სადაც ჯერ არის, იქ მოახსენე.

მათეს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა,  
რომ ამ დროს მხიარულ გუნებაზე მყო-  
ფი ვეფხვაძე გამოჩნდა, უკან „სამება“  
მოსდევდა: ანცაძე, ბანცაძე და განცაძე.  
მათემ ანიშნა ნიკოს: აგერ, ის არის  
ვეფხვაძეო.

ვეფხვაძე დიდი სალამ-ქალამით მიე-  
გება მათეს, მას არც ანცაძე-ბანცაძეები  
ჩამორჩნენ. მათეს ქათინაურებს ეუბნე-  
ბოდნენ. მათემ იცოდა მათი ხასიათი,  
რაკი ასე დნებოდნენ; ჩანს, რაღაც „საე-  
ვაპო“ საქმე ჰქონდათ. ვეფხვაძემ მკლა-  
ვში ჩაავლო ხელი და განზე გაიყვანა:

— მათე, ძვირფასო და შაქარზე ტკბი-  
ლო...

გვერდით ამოუდგა ანცაძე:

— მათე ჩიტაძე! ძმა ხარ ჩემი! მამა  
ბიძა!

განცაძე ცოტა შექვიფიანებული იყო  
და ყვიროდა:

— ყველაფერი ხარ, ყველაფერი,  
დედის სულს გეფიცები.

მათე ტრიალებდა მათ შორის და  
ეუბნებოდა:

— კაცო, მე თაფლი არ მაცხია!

— გაცხია! გაცხია! — ყვიროდა ბან-  
ცაძე.

— თუ თაფლი არ გაცხია, ინებე  
რამდენიც მოგესურვოს... ჩვენი საფუტ-  
კრე შენი ჰირის სანაცვლო იყოს. — ამ-  
ბობდა ბანცაძე.

— იყოს! იყოს! მაგისტვის მე აულს  
არ დავიშურებ. იცით რა კაცია? ოქ-  
როა! ოქრო! — ბურტყუნებდა ბანცაძე.

ნიკო უტკერდა და უპვირდა: როგორ  
ერთ სალამურზე უკრავენ.

ვეფხვაძე შეამტერდა ნიკო კახაბე-  
რიძეს და თავაზიანად უთხრა:

— ყმაწვილო, თუ შეიძლება, მარტო  
დაგმტოვებ.

მათემ ნება არ მისცა ნიკო წასული-  
ყო. პირიქით, ნიკოს გააცნო: ეს ვეფხვა-  
ძე, ეს ანცაძე, ეს ბანცაძე, ეს განცაძე.  
ხოლო ეგ ყმაწვილი ჩემი სტუმარია...

— ო, მამ სადილად დღეს შენთან ვართ, — ერთად წამოიძახეს, — ტუბილად ჩავაქაყანოთ...

დანიტერესებულმა ვეფხვაძემ ჩუმად ჰკითხა ნათეს: ეგ ყმაწვილი კაცი სამუშაოს ხომ არ ეძებსო! — მათემ კვარი დაუკრა. ვეფხვაძეს გაუხარდა: გამოვიყენებო. მკლავში ხელი ჩაავლო და წინ წამოაყენა:

— შენ თუ მართლა სამუშაოს ეძებ, მე შემიძლია, მაგრამ ჯერ უნდა გამოგცადო.

შემდეგ ანცაძემ ბანცაძეებს დაუძახა: — თქვენ, ჰეი, თხის თავებო! მოდით, ეს ყმაწვილი გამოგცადოთ. — შემდეგ ნიკოს მიუბრუნდა:

— შენ თუ შეგიძლია, კენტი წყვილად აქციო?

ნიკო ვერაფერს მიუხედა. ვეფხვაძემ საყვედურით მიმართა:

— შენ თუ არ გესმის, მამ რა იმედით თხოულობ სამუშაოს?

ნიკო გაკვირვებული ზიარდა და უთხრა:

— მე თქვენთვის არაფერი მითხოვნი!

— როგორ არა, მათემ კვერი დამიკრა... მე მართლაც ჰქირდება მუშაკი, მაგრამ თუ კენტს წყვილად ვერ აქცევ, ჩემთვის არ გამოდგება.

ნიკო დანიტერესდა: რას გულისხმობდა ვეფხვაძე და ჰკითხა:

— ასე ვთქვათ: ერთი კაკალი ორად ვაქციო?

— დიახ!

— არა, მე ჯამბაზი არ გახლავარ! — უთხრა ნიკომ.

ანცაძემ იხუმრა.

— მამ ჩვენ ჯამბაზები ვართ, ვიტყვით: ალეპო! და კენტი გაწყვილდება! ერთი ეს მოახსენე თავმჯდომარეს: თუ კაკალი დაჰკარგე, ამ დაკარგვას ჩასთვლი ჯამბაზობად? ან თუ მიითვისე და აღარ გამოჩნდა, ჩასთვლი ჯამბაზობად? ჰო, ამაშია საქმე...

ნიკო მიხედა, რომ ამ მზიარულ გუნებაზე მყოფ პიროვნებებს მოგება —

წაგებაზე ჰქონდათ ლაპარაკი და სთქვა:

— მიგიხვდით! თქვენ გინდათ ვიყოთ თაფლი და გავეცილო შეიარად.

— ზოიბა ხელი! — წამოიძახა ვეფხვაძემ, — მიგვიხედა! ჩანს გამოგვადგება!

— მაგრამ... — შეჩერდა ნიკო, — სათქმელი აღარ დაათავა.

— რა მაგრამ? — ჩააცვიდა ვეფხვაძე.

— ამას ხომ სპეკულიაცია ჰქვიან!

აქ წამოიჭრა ანცაძე, უღვაწზე ხელი გადაისვა და, როგორც შეჰფერის რომელიმე კულაბზიკას, ისე განაგრძო:

— არა ყმაწვილო! ეს არის კომერცია! დიახ, კომერცია! ო, დიდი საქმეა კომერცია! აი, ეს საქმე ვერ შეუღწიათ კოლმეურნეთა ხელმძღვანელებს! ყმაწვილო, თადეოზ ვეფხვაძის საქმიანობა მეცნიერულ ეტაპზეა ასული, საქართველოში ვეფხვაძე ერთადერთია, ვინც შეიგნო ძალა კომერციისა.

ნიკო ბრძნულ ლაპარაკს ყურს უგდებდა და გულში ფიქრობდა: „საბრალო ვეფხვაძე, ამათ ბრჭყალებში ყოფილა მოქცეულიო“ და შენდეგ ანცაძეს მიმართა:

— როგორც ჩანს, თადეოზ ვეფხვაძე თქვენი შთაგონებით მოქმედებს, არა?

ანცაძეს ესიამოვნა ნიკოს სიტყვები და კიდევ გადაისვა ხელი უღვაწზე:

— და იმიტომაც კენტი წყვილად აქცია! კოლმეურნეობის შემოსავალი ზღვად აქცია... უკვე ყველასათვის ნათელია, რომ დაცემული და წყალწადებული ჩვენი არტელი, რომელსაც ახლა ხელმძღვანელობს ჩვენი ვეფხვაძე, წელში გასწორდა ამ კომერციით, — თქვი პათოსით ანცაძემ და შემდეგ ყურში ჩაუფუჩუნა, — ყმაწვილო, მალე დიმიტრი ბერიძეს პანჩურს ჰკარავენ და ვინ იცის... ბრუნავს ქვეყანა და ვეფხვაძე იქნება... დიახ, დიახ...

ამ დროს ვეფხვაძე მარცხნით იცქირებოდა. შენიშნა დიმიტრი ბერიძე, მაგრამ მას გვერდით მოსდევდა ელიკო. ელიკოს დანახვაზე ფერი ეცვალა და

მოუსვენარი შეიქმნა. დაფაცურდა. თავის ერთგულებს უთხრა: „ჩქარა გავეცალოთ“ და მოკურცხელა დააპირა, მხოლოდ მათეს უთხრა „დღიშტრისთან საქმე მქონდა, მაგრამ მერე იყოსო“ და მოუსვა.

სიმღერით უკან გაჰყვინენ: ანცაძე-ბანცაძეები. ნიკო გაკვირვებული იყო „რა დაეპართა ვეფხვაძესაო“. მათემ აუხსნა:

— უთუოდ ელიკოს მოჰკრა თვალი! მე არ შევმცდარვარ. აგერ, დღიშტრი ბერიძე და ელიკო.

ელიკოს შორი-ახლო ბურთის თამაშით ბავშვი მოსდევდა. ნიკომ გახედა. იცნო ელიკო. ელიკო და ნიკო ერთ ინსტიტუტში სწავლობდნენ. როდესაც ელიკო ამთავრებდა, ნიკო სტუდენტად მაშინ შევიდა. ელიკოს გაუხარდა ნიკოს ნახვა და ეკითხება:

— ნიკო, საიდან? რა გამეხარდა! გამარჯობა! როგორ ხარ? რამდენი ხანია, არ მინახავხარ...

ნიკო უპასუხებდა:

— მესამე დღეა სხვა სოფელში ნაცნობების სტუდნარი ვიყავ, დღეს კი თქვენს სოფელს ვეწვიე.

როგორც ჩანს მათეს რჩევა მოეწონა, რადგან ნიკომ ელიკოსაც კი დაუმალა რა საქმეზედაც იყო მოსული. ელიკომ დღიშტრი გააცნო და ისევე ნიკოს მიმართა:

— ალბათ, მასალას აგროვებ ქურნალ-გაზეთებისათვის. ჯერ კიდევ სტუდენტი იყავ, რომ საინტერესო ნარკვევებს ათავსებდი „კომუნისტში“. ო, რამდენ რამეს გაეცნობი! მე შემოძლია გვიამბო ჭსაოცარი ამბები ჩვენს კოლმეურნეობაზე.

ნიკო აღფრთოვანებული უსმენდა და ბოლოს გაანდო, რის გამოც იყო მოსული. ელიკომ ტაში შემოჰკრა და სიხარულისაგან შემოტრიალდა.

— ძლივს! რა მიხარია. მაგას მე დღიხანია ველოდებოდი! ზამ წვივდეთ ნიკო, გვიამბო... საბუთებს ვადმოგეცემ.

— აღელვებული ეუბნებოდა ელიკო.

— ელიკო, აჩქარება არ არის საჭირო... მე ხომ დღეს მათეს სტუდნარი ვარი იქ ზიამბობ დაწვრილებით.

ის ის იყო ელიკო, ნიკო და მათე გაემართნენ, რომ შერეე მხარეს თადეოვ ვეფხვაძე გამოჩნდა. დღიშტრი ბერიძეს დაუძახა კიდევ. დღიშტრი მოიხედა და მის წინ დაქოქილი ვეფხვაძე, როგორც კარგი მსახიობი, ისე ლაპარაკობდა. დღიშტრი ყურს უგდებდა და ელიმეზობდა, თითქოს ანიშნებდა — გიცნობ, ვინცა ბრძანდებიო! — ვეფხვაძე მაინც განაგრძობდა:

— ამბობდნენ და, გეფიცები, შენ არ გყავს სწორი! ნეტა იცოდე, როგორ გაფასებ... უნდა ვითხრა: სულში მიზიხარ!..

დღიშტრი უთხრა:

— ქათინაურებს თავი ანებე და პირდაპირ მითხარი რა გინდა ჩემგან? რისთვის შემაჩერე.

— ჯერ უნდა ის ამბავი გახარო, რომ შენი შვილი გიორგი ჩემს წევრებს უნახავთ... იმას რომ ცოლი ჰყავდა — ვგონებ მანანო, ისიც უნახავთ. ის გოგო თურმე შენ დაგეტებს... შენი ნახვა უნდა, მაგრამ...

— მეტს ნულარ გაირჯები! მანანომ მნახა და ჩემი შვილი გიორგი აქ დავიბარე... ნახვამდის!

დღიშტრიმ ცივად უთხრა და წასვლა დააპირა. ვეფხვაძე წინ გადაუდგა:

— ჩემზე ნაწყენი ხომ არ ხარ?

— მაგას რად მეკითხები?

— ისე! ვფიქრობ, ელიკომ ხომ არ შეგაძულა ჩემი თავი!

— ელიკო ვერ შემაძულებს, თუ შენ თვითონ საბაბს არ იძლევი. მე ვგონებ, რომ ელიკო არაფერ შუაშია! ხომ გაგიგია: საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენი

— ჩემი საქმე აღჩუხება!

დღიშტრიმ ჩაიციხა და უთხრა:

— ხანდახან თვალებს განგებ ვხუჭავთ, ვითომ ვერ ვხედავთ, მაგრამ კაცმა ჰირი მალა, ჰირმა კი თავი არ დაძალო! შვიდწუდის გეგმა დიდს საქმეს გვაეალებს, შენ კი რაღაც იჯარას ეპო-

ტინები, როცა მინდვრები გასაწმენდი გაქვს, როცა სასუქი შესატანია, როცა ჯერ კიდევ ანეული არ გადაგიხნავს...

— მაგას ერთ თვეში სულ ბრეს ვადენი სულ „რია-რია“ გავიტან.

დიმიტრიმ „რია-რია“ პირველად გაიგო და გაიმეორა მის კილოზე „რია-რია“ ჰო, „რია-რია!“ მაგრამ რას იზამ, თუ დაასხა კოყისპირული და ერთ თვემდე არ გადაიღარა? მაშინ რა ეშველუბა შენს „რია-რიას“?

— აჲ ვთქვი, ელიკოს შეუძლებივარ!

— არა, თადეოზ! სხვაზე ნუ გადაგაქვს ეჭვი! რა შინაარსისაც შენ ხარ, მე იმაზე ვლაპარაკობ. შენ რაკი აიკვირებ კომერცია, მინდვრებს აღარ აქცევ ყურადღებას. და ასე გასინჯე, ტუილ ცნობებსაც კი იძლევი! ერთი ნიბრძანე, სად გყავს შენ ათასხუთასი ღორი? ეს ხომ ტუილი ცნობაა.

— არა! — მტკიცედ, დარწმუნებით წამოიძახა ვეფხვაძემ. — ეგ ცნობა ნამდვილია!

— მე ვითხრეს: ხუთასის მეტი არ მოეპოვებო!

— ეგ, ალბათ, ვითხრა ელიკომ! მართალია, ფერმაში მე ხუთასი ღორი მყავს, მაგრამ ათას სულს ჩემს წევრებს ვაზრდევენებ!

— როგორ? — ჰკითხა გაკვირვებულმა დიმიტრიმ.

— ჩემს წევრებს მივეცი ორ-ორი გოჭი — ერთს თავისთვის გაზრდიან, ხოლო მეორეს გაზრდიან გასაყიდად და იმას მე ვიყიდი! მაზანდის მიხედვით! ამას დასჭირდება მხოლოდ 100.000 მანეთი. ხოლო მე რომ დამეზარდნა, საყვები დამიჯდებოდა ნახევარ მილიონზე მეტი. მაშასადამე 400000 მანეთის ეკონომიას გავაკეთებ, რაც მე ვალად უნდა დანდებოდა. ახლა კი გეგმასაც შევასრულებ და ხალხსაც მოვიმადლიერებ. აი, ეს არის კომერცია.

დიმიტრი მიჩერებოდა თადეოზს და სიტყვა ვერ მოეძებნა, მხოლოდ თქვა:

— გამაგიყებ! შემშლი ჰკუიდანს!

— ძველი ხარ, ძველი, ჩემო დიმიტრი. კიდევ მეტყვი, რომ მე ჩამორჩენილი ვარ?

— ხარ! მიკვირს არ იკვები, რომ შენს წევრებს შრომადღებზე სამს თუ-დანს გაუნაწილებ!

— დიახ, გავუნაწილებ!

— მაგრამ ის რა ფული იქნება? მანქანებით შეშა რომ გადაუზიდე რომელიც არტელს! საზოგადო ტყე რომ გაჰყიდეს სამოვრები სხვას რომ გადაეცი და ქირა აიღე.

— დიახ, ნახევარ მილიონზე მეტი შეემატა ჩვენს სალაროს.

წყნარ დიმიტრის თანდათან აღლვება ეტყობოდა. ვეფხვაძეს შეუტია:

— განა ასეთის შემოსავლით უნდა ფასდებოდეს შრომადღებები? ფულს ძველი ვაჭრებიც იგებდნენ ერთი-ორად! ერთი-სამად! ყიდვა-გაყიდვით! იჯარით! სპეკულაციით და მოტყუებით! განა ეს არის ჩვენი გზა? აი, მე ამას გისაყვედურებდი, დღესაც გისაყვედურებ, ეგ გზა არ არის გზა კოლმეურნეობისა! ამის გარდა, რაკი შენ ჩაეფალ წუმბეში, ზოგიერთმა შენმა წევრებმა ადამიანის სახე დაკარგეს, დაკარგეს ზნეობა! ლოთობენ! ერთმანეთს თავიერს აპტვრევენ და შენ ყურადღებას არ აქცევენ. ან კი სად გცალია ამისთვის, კომერციით ხარ გატაცებული...

დიმიტრიმ გამანადგურებელი ირონიით თქვა უკანასკნელი სიტყვები, მაგრამ ვეფხვაძე მხოლოდ იღიმებოდა. ალბათ, გულში ჩქირობდა: „ძველია, რა ველაპარაკო“. მაგრამ ბოლოს თანდათან იერიში მიიტანა ბერიძეზე და უთხრა:

— შენ რასაც მისაყვედურებ, ყველაფერი ეგ გაზვიადებულია მოშურნე ადამიანებისგან, უმთავრესად კი ელიკოსგან! განა რა მოხდა, ორ ახალგაზრდას ჩხუბი მოუვიდა და მე ისინი გავაფრთხილე. მე აღწვრდებლობას არ ვაქცევ ყურადღებას? ჩემი შენ ვითხარიო! ეგ საყვედური შენ უნდა ვითხარან და არა მე! სად არის შენი შვილი გიორგი?

დიმიტრის გიორგის გახსენებაზე ფე-

რი ეცვალა. ეს კარგად შენიშნა ვეფხვაძემ და ხმას აუწია:

— სად არის? შენ ეს არ იცი, მაგრამ ხალხმა იცის. ის შენ ვერ აღზარდე, დღეს ის სამარცხვინო საქმეებს სჩადის. ის ხომ ჩემი წევრი არ არის, ის შენი შვილია! სად არის იგი უზნეო და თავზეხელაღებული!

დამიტრი მოიღრუბლა. შუბლი შეიკრა. ღრმად სუნთქავდა. ვეფხვაძე განაგრძობდა:

— რატომ მარიდებ პირს? სად არის შენი შვილი გიორგი? რომელიც მამასაც არცხვეს და მთელ სოფელსაც.

დამიტრი სდუმდა. ოფლი მოიწმინდა, შემდეგ დააქქერდა ვეფხვაძეს:

— ზაგაში შენ მართალი ხარ!

— მე ყველაფერში მართალი ვარ.

— არა! ნუ გათამამდები! — შეუწყვირა დამიტრი. — ჩემი შვილი სწორე გზას ასცდა ისევდაისევ შენი წევრების მეოხებით! მე მას კისერს მოვუგრეხ, თუ კალაპოტში არ ჩადგა, მაგრამ შენ რა გეშველება, შენ? ან შენს კოლმეურნეობას? ნუთუ კომერციით გინდა ააშენო ქვეყანა? რატომ არ გინდა შეიგნო, რომ შენ კოლექტივის თავმჯდომარე ხარ!

— თუ მიმიწვდება სხვა საქმეზედაც ხელი და გავაკეთე, რა დაშავდება? შენ უნდა იყოდე, რომ ჩემი წევრები ფრიად შეგნებული ხალხია. მათ დაადგინეს: თავისუფალ ფასებში გაყიდონ თავისი ნაშრომი! ამას ვერც შენ დაუშლია და ვერც სხვა ვინმე. დღეს მათ არ უნდა გაყიდონ...

— მათ დაადგინეს, თუ შენ და შენმა დამქაშებმა დაადგინეთ?

დამიტრი ცდილობდა გასცლოდა ვეფხვაძეს, რადგან კედელს ცერცეს აყრიდა, მაგრამ ვეფხვაძემ კალთაზე ხელი ჩასჭიდა.

— ზოცა! მე შენთან საქმე მაქვს. მოდი გადავდოთ ეს კამათი და იმაზე იზრუნე, რომ მეტი საარგებლობა ნახონ წევრებმა.

— ვისმა წევრებმა?

— ჩემმა წევრებმა. *ერკუნული*

— მერე, მე რას მავალდებობთ?

— რომ არ შეგეძლოს, არც დაგავალდები!

დამიტრი ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა დაევალებინა მისთვის ვეფხვაძეს. დამიტრი მას გააკვირებული უსმენდა:

— ვიცი, საწყობში კარაქი გაქვს გვგზის გარეშე. ამირებ ბაზრად გაიტანო და იქ გაჰყიდო. რომ არ ეწვალა, მე დამითმე...

დამიტრისთვის ადვილი მისახვედრი იყო, სად უმიზნებდა ვეფხვაძე. წარბები მოელუშა, სახე ზოელრუბლა და წარმოსთქვა:

— შენ მავალე, რომ სპეკულიაციაში ხელი შეგიწყო? გამეცალე! გამეცალე! — თქვა და თვითონვე განშორდა. გზად კლუბის გამგე შეხვდა, რომელსაც ზედმეტ სახელად გოგია მეჩონგურეს ეძახდნენ. დამიტრიმ მოიხმო და ჰკითხა:

— გოგიაუ! არ შეგვარცხვინო!

— არა, ძია დამიტრი! თვითმოქმედი გუნდი მზად არის. დღე დიდია, და მოვასწრებ სტუმრების მოსვლამდე გიჩვენო კიდეც.

რაზედ ჰქონდათ ლაპარაკი? ორი წლის წინად „განთიადის“ წევრები მიწვეულები იყვნენ უკრაინაში, ერთ-ერთს დაწინაურებულ კოლმეურნეობაში და იქ შეჯიბრებაზე ხელი მოაწერეს. ახლა უკრაინელ კოლმეურნეებს „განთიადი“ იწვევდა თავისთან და დღეს საღამოთი მოელოდებოდნენ. აი, ამაზე ეუბნებოდა დამიტრი კლუბის გამგეს: არ შეგვარცხვინო. გოგიას კლუბი საზეიმოდ ზოერთო. გუნდთანაც კარგაბანია ძეცადინეობდა. ელიკოს ბავშვს შევჩეკოს ლექსი შეასწავლეს ზეპირად. სხვებს ილიასი და აკაისა. საზეიმო საღამოს ჩასატარებლად კარგად იყვნენ მომზადებულები. ამ ამბით დამიტრი წინასწარ სიამოვნებას განიცდიდა. მით უმეტეს, რომ ნახავდა თანატოლ პარტიზანს პეტრე ლუბენკოს, რომელთანაც კარ-



პატებში იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ.

თადეოზ ვეფხვაძე დიდხანს იდგა გაბრაზებული. მას დიმიტრიზე მოსდიოდა ჯაფრი და გულში ამბობდა:

— ხეპრეა, დახავსებული!

ვეფხვაძე დიმიტრის თვლიდა ჩამორჩენილად და, წარმოიდგინეთ, შეუგნებლადაც, რადგან დიმიტრის ტონობით კარაქი ჰქონდა და მის შეგნებაში არ შედიოდა, რომ მისი კარაქით კოლმეურნეობის წევრებს ესარგებლათ. ე. ი. სპეკულიაციაში ვეფხვაძისთვის ხელი შეეწყო. არა! სპეკულიაციაში კი არა, კომერციაში!

ვეფხვაძე ამ ფიქრში იყო გართული, რომ გვერდში აეტუზნენ ანცაძე, ბანცაძე და განცაძე. ეკითხებოდნენ:

— რა ჰქენ, თადეოზ?

— ვერ შევავგებინე! თან ეკვიანობს: გაიტან და მოგებით გაჰყიდო!

— ესე იგი თაფლში რომ ხელი ჩაპყო, შენ არ უნდა გაილოკო?

ხითხითებდნენ ანცაძე და ბანცაძე.

— როცა ვუხსენე კომერცია, შეხტა და შემოტრიალდა! — სთქვა ვეფხვაძემ და თან ეკვიით დააყოლა: ჩვენ შორის რომ ვთქვათ, მე კანონიერად ვიქცევი? დამქაშებმა ხარხარი ასტეხეს, იძახოდნენ:

— უი! დიმიტრი! ექვეში ჩაუგდია, რა გითხრა ისეთი, რომ დაგაეკვიანა?

გამოეჭიმა განცაძე და შთამაგონებელი კილოთი ანუგეშა:

— ყმაწვილო, მე ტყუილად კი არ დამიშთაერებია იურიდიული! კოლმეურნეობის წევრს უფლება აქვს თავისი ნაშრომი გაყიდოს თავისუფალ ფასებში. მაშასადამე ჩვენ უკანონობას არ ჩავდივართ...

ანცაძე და ბანცაძე კვერს უკრავდნენ და ვეფხვაძეს ფრთებს შესახამდნენ:

— შენ გაუნაწილებ წევრებს შრომადღებზე ხუთ თუმანს, ხოლო დიმიტრი ხუთმეტ მანეთს!

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ დაინახეს — ელიკო ბრუნდებოდა ბავ-

შეთან ერთად. ელიკოს ისეთი თვალით დაუწყეს ცქერა, გეგონებდნენ, სანაცამის ცეცხლებიან და თმებით დაითრევენო. ელიკომ გადმოჰხედა ამაყად და თავისთვის სთქვა: ყორნები!

ბავშვმა ეს გაიგონა.

— დედიკო ძია მათემ ლექსი მასწავლა:

„შავს კლდესა შავი ყორანი ჩავა და ჩაეჭანება, ჩავა და ლემით გაძღება, ამოსვლა დაეზარება“.

ჰო, შვილო, ყორნები! — ხაზგასმით სთქვა ელიკომ, — ყორნები საზიზღრები არიან!

როცა ელიკო დაშორდათ, ერთმანეთს ვადაძხედეს და, ელიკომ რომ ყორნები მათ უწოდა, ხმა-კრინტი არ დასძრეს, ასე ესთქვათ: ჩაყლაპეს. მხოლოდ ვეფხვაძემ „სამება“ წინ წამოაყენა და დიდის საიდუმლოებით უთხრა:

— აი, ეგ ბავშვი, ელიკოსი არ არის! უკანონოა... დიახ, დიახ უკანონოა!

ვერ წარმოიდგენთ ამ საიდუმლოს გაგონებაზე რა აღტაცებას მიეცა „სამება“. ახლა კი სულ მთლად მოსთხრიან ელიკოს. ენახოთ, მოვიდეს სეტყვა, დახვდება ქვა!

#### ნაწილი მორჩი

მოედანზე ხალხის ერთი წყება მიდიოდა, მეორე წოდებოდა. ერთ გუნდში ჩამდგარიყო ანცაძე და ლაპარაკობდა:

— ხალხის გაძლოლა, ყმაწვილო, ადვილი არ არის! ვაშა თადეოსს, რომ თქვენ ასე კარგად გიძღვებათ. მერწმუნეთ, რომ თადეოზი ვაჟაკი არის და მაგისტანა არცა ყოფილა და არც იქნება. აი, ეს არის თქვენთვის დიდი ბედნიერება. თადეოზი არის დიდი მოვლენა! არაჩვეულებრივი, გასაოცარი და იშვიათი! რომ დააფასო ჩვენი ვეფხვაძე, შენ თვითონ უნდა იცოდე ბევრი უნდა გქონდეს მრავალი გამოცდილება. მაშინ გაიგებ, რომ მაგისტანა არცა ყოფილა და არც იქნება!



ასეთს ხოტბას ასხამდა ანცაძე „აღორ-  
ძინების“ თავმჯდომარეს და ვინ  
იქნებოდა ვაჟკაცი ან სიტყვა შეებრუ-  
ნებისა, ან ეპივი გამოეთქვა. ანცაძეს  
თავი მოჰქონდა, რომ მის სიტყვას გასა-  
ვალი ჰქონდა და მისგან დატრიალებულ  
ქების კორიანტელში ვეფხვაძე „ვაჟკა-  
ცად“ გამოიყურებოდა. ვეფხვაძესაც  
ფრთები შეესხმებოდა ხოლმე და  
აბნევედა გულის მოსაგებ სიტყვებს:

— ხალხო, თქვენ სულ მალე ისეთს  
ბედს ეწეებით, რომ სხვები შემოგნატ-  
როდნენ. თუ ზოგიერთებს არ სჯერათ,  
ისინიც ზალე დარწმუნდებიან, რომ  
ჩვენ მალე მივალწევთ სასურველ მი-  
ზანს. წინათ გროშები, ახლა თუნები!  
წინად გრამები, ახლა ცენტნერები!

განცაძე კვერს უკრავდა და ჰყვი-  
როდა:

— მაგას მე ციფრებით დაგიტყი-  
ცებთ, ციფრებით!...

უცბად გოგიამ ჩონგურს ჩამოჰკრა  
ხელი და დაამდგრა:

მოხვევს ჯოგი შენიშნა,  
ათამდე ჯიხვი თვალთ;  
„უფა და ცეცხლი დაანთო.  
გრძელი შამფური თალთო.  
თუ სულ დაეხოცე, ხომ კარგი.  
არა-და ერთიც კმარაო;  
ხანამ ის შამფურს ვასთლიდა,  
სუვეველა ვეკმარაო;  
ვაა, თუ ჩვენი ვეფხვაძეც  
მოხვევს დამგვანაო!

გოგიამ ცივი წყალი გადაასხა ანცაძე-  
ბანცაძეებს, რამდენადაც ისინი აქებ-  
დნენ, იმდენად გოგიამ გააბათილა.

მისცივიდნენ, ჩონგური წაართვეს და  
დაუმტერიეს. ხელით შეხებასაც უპი-  
რებდნენ, მაგრამ ვეფხვაძე ჩადგა შუა-  
ში და დატუქსა თავისი ამხანაგები. ამით  
რა გააკეთა ვეფხვაძემ? ხალხს უჩვენა,  
რომ იგი სულგრძელია და კრიტიკას არ  
ახშობს, ხოლო თავისი დამქაშები ცალ-  
კე გაიხშო და უთხრა:

— ჩემს გამო ნუ ღელავთ! გოგიას-  
თან საქმეს ნუ გაამწვავებთ. ენამახვილი

ბიჭია და თუ მაგას მტრად ვაეხილთ,  
ელიკოს სიმძიმე მოემატებმა!

ზერე მივიდა გოგიასთან, ალერსიანად  
ვაუღიმა. დაჰპირდა დამტერულ ჩონ-  
გურის მაგიერ „პიანინოს“ ვიყიდო და  
თან სიტყვა შეაბარა:

— ჩემო გოგი! მართალია ის კლუბი  
ჩვენიც არის და თქვენიც, მაგრამ შენ  
გაზო თავი ვინ გამოიდიო? ახლა სიყე-  
თეს ასე მიხლი? სიმართლე იმდერე,  
სიმართლე!

გოგიას ძლიერ ეხერხებოდა სატირუ-  
ლი ექსპრომტები. როდესაც ვეფხვაძემ  
უთხრა სიმართლე იმდერეო, მან არც  
აცია, არც აცხელა და ვეფხვაძეს მია-  
ხალა:

— რა ვქნა თუ ჩემი სიმართლე  
მე თავივლად შევკარბი?  
ზოგს მოსწონს, ზოგსაც ღრმად ვულში  
ესობა, როგორც ვეალი.

ხოზობი ხეზე შემოჯდა,  
ყვილი აღარ აცალეს;  
შენც დაგადგება ხოზბის დღე,  
თუ თოფს გადასცემ ანცაძეს!

ვეფხვაძე კარგად გრძნობდა, რომ  
თოფი უკვე გადაცემული ჰქონდა, მაგ-  
რამ ნირს მაინც არ იტებდა. მის დაეჰ-  
კვებას დამქაშები უცბად გაჰფანტა-  
დნენ-ხოლმე. ვეფხვაძე ფიქრშეპყრობი-  
ლი მორზე ჩამოჯდა. მცირე ხანს მარ-  
ტო იყო და ფიქრობდა: „ელიკომ გადა-  
რია ხალხი. ისეთი რა ვიღონო, რომ  
მისი გული მოვიგო? ერთხელ ანცაძემ  
მირჩია, მოაჩვენე თავი, ვითომ ვიყუარ-  
სო. ქალი დადნებაო. შენი ერთგული  
განდნებაო. უთუოდ არ ცდება ანცაძე.  
რა იქნება, რომ ანცესი გადავაგდო და  
თევეზი დავიჭირო?“

ვეფხვაძე ფიქრებიდან გამოერკვა.  
მიიხედ-მოიხედა, მის ახლოს აღარავინ  
იყო. მხოლოდ მისკენ ის უცნობი მო-  
დიოდა, რომელიც წელან მათეჰ გააც-  
ნო და კენტის დაწყვილებაზე ელაპა-  
რავა.

ვეფხვაძე წამოდგა და უთხრა:  
— ხვალ შემოიარე ჩემთან, უთუოდ



გამოგიჩენ სამუშოს, მხოლოდ შენ უნდა იყო ჩემი ერთგული; თუ ვინმე ჩემზე ავს იტყვის, ცხადია, თუკი ჩემი ერთგული იქნები, უნდა მაცნობო ხოლმე.

ასეთ სიბრძნეს უკითხავდა ვეფხვამე ნიკოს და რომ ლაპარაკი სხვა საგანზე გადაეტანათ, ნიკომ ჰკითხა:

— მართლა გესტუმრებიან უკრაინელები?

— აბა, მე ვგ რაში მეკითხება? გინდ მოგიდნენ, გინდ წავიდნენ. ვგ დიმიტრის პინტრიშობაა! თავი მოსწონს. მასზე ილაპარაკებენ, გაზეთში დასწერენ. ვგ უბედურები ვისთან იწვდიან ფეხებს?

ვეფხვამე მცირე ხანს შეჩერდა და ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეშაგებინა ახლად გაცნობილ ყმაწვილის თვალში დიმიტრი ბერიძე. ასე შეგშავდა და იწყო:

— მოხერხებული კაცია მიტრო. უნდა შეჩვენოს მიღწევები! რაც მაგას მიღწევები აქვს, არც მე ნაქვს ნაკლები... მაგრამ მე მოკრძალება მაქვს. ვგ კი მეტი ჩარაა. თავს მოგაჩვენებს გულუბრყვილო ადამიანად, მაგრამ მაგაზე ციგანი და გაფუჭებული, ჯერ არსად ნახულა. ჩვენში კი დარჩეს — მაგას საყვარელი ჰყავს... დედის სულს გეფიცები! მიკვირს და გამკვირვებია, როგორ შილო მაგ გაფუჭებულმა შრომის გნირობა.

შორს გამოჩნდა ელიკო. იქნებ ნიკოს ეძებდა. ვეფხვამე პირველმა დაიხაზა. ჩაჰყიდა ხელი ნიკოს და ეუბნებოდა.

— ჰხედავ იმ ქალს? არის თუ არა ლამაზი? ვგ ჩემი წევრი იყო, მაგრამ მოვხსენ.

— რატომ მოხსენ?

— ლაყბობის გამო. ახლა ყოველდღე მეხვეწება: მაპატიეო. რას იზამ, გული კეთილი ნაქვს, უნდა ვაპატიო. ჩვენი ზრუნვა ის უნდა იყოს, რომ წევრები აღუზარდოთ. უღირსი ვაქციოთ ღირსეულად.

— ვაი თუ თვით აღმზრდელები არიან უღირსები?

— არიანი აი, როგორც ვინმე დიმიტრი ბერიძე.

სთქვა ვეფხვამე და ელიკოს წინ გადაეღობა. ელიკომ შეუბღვირა:

— ჩამოდექ გზიდან!

— ჩემო უძძრახო, ჩემო კარგო! თავს ნუ ირცხვენ ამ უცხო ყმაწვილ-აკთან. დაიმშვიდე გული. მე შენთვის კარგი მინდა.

ელიკოს სურდა გზა აეჭვია, ვეფხვამე მინც წინ უხვდებოდა.

— ელიკო! შე განგებ მოგხსენ სხვისი თვალის ასახვევად... მინდოდა სხვისთვის დამენახებინა, რომ შენდამი მე გულგრილი ვიყავი... მაგრამ...

ვეფხვამე ყურში რაღაც უთხრა. ელიკომ მოუქნია ხელი და ლოყაში სტკიცა. ვეფხვამეს ხელი ლოყაზე მიედო და ნიკოს უცქერდა. ნიკო გულიანად იციროდა. ვეფხვამე იპოვნა გამოსავალი და ელიკოს უთხრა:

— ქალო, რას ჭემრობ, ჰხედავ, უცნობი იცინის...

ელიკომ ნკაცრად უთხრა:

— მე არ ვხუმრობ! ღირსი ხარ მაგ სილაქის, შე უტიფარო... ვგ ახალგაზრდა მოწმედ დაისწარ, რომ მოგაყენე შეურაცხყოფა!

სთქვა ელიკომ და წაიდა. ვეფხვამე ნიკოს მიჩერებოდა. ალბათ, ფიქრობდა: „ეს ყმაწვილი მოწმეა, რომ სილა ვამარტყეს; უკეთუ გახზურდა, არ არის ხელსაყრელი“. მოუახლოვდა ნიკოს და შეეხვეწა:

— თუ ძმა ხარ, ჩვენ შორის დარჩეს და თუ გახზურდა, იცოდე პასუხს აგებთ! პასუხს აგებთ იმით, რომ თქვენ იქნებით ცილისწამებელი!

ნიკო განკვირებული უცქერდა. ვგ რა ლოლია იყო, ნამდვილად სილა ვააწნა და თუ სიმართლეს იტყოდა, ცილისწამებელი იქნებოდა? ამ დროს მოედანზე ბურთის თამაშის ნოეთაგებობა და ხალხი აქეთ-იქით მიდიან. მოვიდა მათე. მას უკან მოსვლას ანკაძე და ბანკაძე ელიკოს გზაზე

27



მათესთვის უკვე ეთქვა, რაც მოხდა და მათე იძახადა:

— ელიკო შეზხედა, სილა ვტყვიცო! ანცაძე და ბანცაძე ვეფხვამეს ეკითხებოდნენ:

— მართლა, თადეოზ? ელიკომ სილა ვტყვიცა?

— ცრუობს! ცრუობს — ყვიროდა ვეფხვამე — აი, ასე ავრცელებს ჭორებს. პირიქით, ელიკომ ჩემთან ბოდში მოიხადა, მაგრამ მე არ მივიღე მისი ბოდში. ეგ ჭალი გამოუსწორებელია.

შემდეგ მიუბრუნდა მათეს და უთხრა:

— ძვირფასო მათე, შენ რომ ადრე მენახე, იმას არც შევხვდებოდი. მე შენთან მქონდა საქმე...

ანცაძემ კარგად იცოდა, რა საქმეც მქონდა მათესთან. ვეფხვამე უკან მიყენა, უთხრა:

— შენ აღლელებული ხარ, გაიარე, ჰაერი ჩაყლაპე, მათეს მე მოველაპარაკებო.

მათე გაიხმო ანცაძემ და საიღუმლოდ ყურში ეჩურჩულებოდა. შედეგ ამოიღო ერთი შეკვრა ასმანეთიანებისა და ხელში მიიჩეჩა. მათე დაიბნა. ფული ხელში შერჩა. თვითონ შემოსძახეს სიმღერა: „შენც იცოცხლე, მეც მაცოცხლეო“ და გაეშურნენ. საუზმე უგვიანდებოდათ.

მათე შეკრულ ფულს ხელში ატრიალებდა. ამ დროს დიმიტრი შემოვიდა და მათეს ფული დაუნახა. ჰკითხა: რა არის ეგაო?

— ჭრთაში!

— რაო? — განცვიფრდა დიმიტრი.

მათე იცინოდა:

— კოლეგების ამშენებლებმა შემომიჩეჩეს. დღეს ბაზარში სანოვაგეს ნულარ გაიტანთო, ფასებს დასცემთო, გეზარალებთო. გეცალეთ, ნახევარი მილიონი ამოეჭაჩოთო.

დიმიტრი გაშრა, გაწბილდა. ვეფხვამის მაგიერ მას შერცხვა და ცივი ოფლი მოიწმინდა. ნიკო ამას ყველაფერს თავის თვალთ ჰხედავდა და სრულიად ზედმეტად მიიჩნდა კიდევ რამე

გამოერკვია, მაგრამ როგორც იქნებოდეს, რომ ეს ყველაფერი ხალხში ნათლად დაინახოს. იფიქრა ნიკომ და იმ დასკვნას დაადგა, რომ მცირე ხანს კიდევ აცალოს. დღეს მაინც კვირა დღეა და კანტორა დაკეტილია.

დიმიტრი ჩაფიქრებული დიდხანს იდგა. გულში ფიქრობდა: „მე მას ვაიძულებ, რომ გაყიდოს სახელმწიფო ფასებში. მაგრამ თუ ვერ გაყიდის, დააბრუნოს საწყობში და წვერებს შრომადღებზე გაუნაწილოს“. თომას გადაჰხედა და ჰკითხა:

— ფქვილი რამდენი უნდა გაგვტანათ?

— ხუთი საბარგო!

— ათი გაიტანონ კომბოსტო?

— ათი!

— ოცი გაიტანონ კარტოფილი?

— ხუთმეტრი!

— გაიტანონ ოცდა ათი ყოველდღე ამდენ-ამდენი კომერსანტია ფუ! — შეაჩვენა ვეფხვამე და მეზობელთან გაეშურა, რომელსაც დავალელებული მქონდა მისი შვილის და რძლის საქმე. მათემ დაინახა შეფიქრიანებული ნიკო და უთხრა:

— ნიკო! ახლა რას ვეტყვი? კარგი არ არის, რომ შენ აქ მთავრობის თვალი ხარ და ყველაფერს ნათლად ჰხედავ? შენ იქ, როცა კაბინეტში ბრძანდებოდი, ალბათ, გეგონა, ყველგან ბრწყინვალემა იყო. არა, ჩემო ნიკო... ახლა შენ იცი, რაც ხელს გვიშლის. ახლა ამას აღვილად მოვიცილებთ, რაკი თქვენც დარწმუნებული იქნებით. კაცი დამნაშავეა, მაგრამ საბუთი არ მაქვს. უჩივლებ, პირიქით, შენ გაგამტყუნებენ: საბუთი არ მაქვს, ცილსა სწამებო? განა ელიკოს უჯერებდნენ? არა!

მოედანი ხალხით აივსო. ტაშტი ვატყდა, ხმა გაეარდაო. ზოგს გაეგო, სოფელში მათეს სტუმარი სწვევია და ენახოთო. ზოგს უნდოდა ვეფხვამის ლოყა ენახა, მართლა დაწითლებული მქონდა, თუ არა? ან სოფელში მრავალი კოლმეურნე ჰყავიან და დარბაისელ

კოლმეურნედ ითვლებოდა. განსაკუთრებით საბა მრავალშვილიანი, ნოსრევიან მკედელი, დათია მებაღე, ზაქარია მეველე და კუზიანი ისაკო დურგალი. ეს ხალხი ამ რაზმდენიმე ხნის წინად სოფლის მოსამართლეებად აირჩიეს და საჩივრის საქმეებს ესენი არჩევდნენ. საბამ დაინახა უცნობი ყმაწვილი ნიკო და მისკენ გამოეშურა. მას სხვები მოსდევდნენ. გლახს რაც აწუხებს, იმაზე ლაპარაკობს. თვითონ დარწმუნებულია, მაგრამ თავის აზრი მაინც უნდა შეამოწმოს. მუდამ ექვშია. საბა ნიკოს მიესალმა.

— ყმაწვილო, — უთხრა ზრდილობიანად საბამ, — ვიცი შენ მათეს სტუმარი ხარ, ზათეს კი უბრალო კაცი არ ეწვეოდა. ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. ყური დამიგდე. და ბოლოს მიმიხედუბი რაც მე და სხვებს აწუხებს, მერე შენი აზრი გამაგებინე. ოჯახში ზე ვარ, ჩემი ცოლი, ექვსი ბიჭი და სამი ვაგო.

— იმრავლე, საბავ, იმრავლე! — იძახოდნენ აქეთ-იქიდან.

— მოიცათ! ხუმრობის დრო არ არის, — შეუბღვირა საბამ და განაგრძო: — უფროსი ბიჭი ტრაქტორისტიკა, მოყოლებული კომბაინერი, ერთი უმაღლესს ახლა ამთავრებს, ხოლო მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სწავლობენ! ახლა გოგოები? ერთი ზეფუტკრეა, მეორე მებოსტნე, მესამე მექათამე.

— ბარემ მებაგრეშუმესაც გააჩენდი, შე დალოცვილო! — იხუმრა ვიდაცამ და ხალხმა გადაიხარხარა. საბამ შებღვირა და მით ხალხს ანიშნა: მოშალეთ ხუმრობაო და განაგრძო:

— ყველაზე ადრე მრავალშვილიანობისთვის ჩემს ცოლს უბოძეს ორდენი! ოჯახის საქმე ხომ ყველამ იციო: ერთს კაბა უნდა, მეორეს ხალათი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი... მინდა ვუყუდო, ფული არა მაქვს: არც მე, არც ჩემს შვილებს, ზაგრამ შრომადლე? უ, 1400! ერთმა შეხუმრებულმა ნაცნობმა გამაბრძოლა: შრომადლეების ცნობა წაიღე

ცეკავშირის მალაზიაში და რატუ გინდა, წაზოილეო. მე ვეკვობდრ, მაგრამ სატუ ვეკვობდი. გულში ვამბობდი: იქნებ ჩვენმა მთავრობამ ასე დაადგინა-მეთქი. ცნობა ავიღე და მიველ მალაზიაში. ფართალი გინდა? — ავაზოზინე! ფეხსაცმელები შევახვევინე. ორასთუნამდე მიანგარიშეს. ფული? ავდექ და ცნობა მივაწოდე შრომადლეების. ეს რა არის? ცნობა-მეთქი. ამით ზე ათასები მერგებამეთქი. „შენ ქუაზე შერყეული ხომ არ ხარო?“ ძალიან მეწყინა და ვუთხარი: გიყები თქვენსა მოიკითხე-მეთქი. გავქირეველდი. ნაშინ ადგნენ და დაურეკეს საავადმყოფოს: ქუაშერყეულს მოდიო, უბატრონეთო. შერცხვენილი დავბრუნდი სახლში. ახლა მიბრძანე: ჩვენ რომ წლის ბოლოს გვისწორდებიან, მანამდე რა ჩავიცვათ, რა დავიხუროთ? რასაც ვაკეთებ, რაც მე მომყავს სახელმწიფოსთვის, ისე რატომ არ მისწორდებიან, როგორც ეს არის ქარხანაში დაწესებული?

ხალხი ალაპარაკდა. საბას ზოგი ამართლებდა, ზოგი ამტყუნებდა. საბა ყვიროდა: აცალეთ ახალგაზრდასო, მაგრამ ხალხი არ წყნარდებოდა. როცა დაინახეს დიმიტრი და მისი მეზობელი კუზიანი დურგალი, ხოლო მათ წინ უცნაურად და „სტილიაგურად“ ჩაცმული გიორგი, მაშინ გაჩუმდნენ. ყველა გიორგის მისჩერებოდა და იცინოდა.

— ჰხედავ, როგორ იცინიან შენზე, შე უბედურო! — უთხრა დიმიტრიმ თავის შვილს და მერე ხალხს მიმართა:

— ხალხო, მიეცით სამართალი. მტყუანი დასაჯეთ. დასაჯეთ სასტიკად... მამა მოითხოვს თქვენგან, გაასამართლოთ ეს არამზადა.

მოსამართლეები წინ წამოდგნენ. დიმიტრის შესტყუროდნენ. საბამ იცოდა საქმის ვითარება, ხოლო ნოსრევიანობისთვის გაუგებარი იყო და ჰკითხა დიმიტრის:

— რას ემდურები? რა გაწყენინა შენმა შვილმა?

— არ არის ეგ ჩემი შვილი! მამის და

ხალხის შემარცხვენელია! მაგ სალახანას, აგერ, ის ქალი უჩივის — და დიმიტრიმ ახალგაზრდა ქალიშვილზე მიუთითა, რომელიც თავჩაღუნული იდგა კუზიან დურგლის ცოლის გვერდით. ქალი წინ წამოაყენეს და საბამ ჰკითხა:

— ვისი ხარ, შვილო?

ქალიშვილმა დემილის შენდეგ სთქვა:

— მე ვარ... მე ვარ... დავით ხელაძის ქალიშვილი!

ხალხი იცნობდა დავით ხელაძეს. იგი ომში დაიღუპა. ცოლიც ელდისგან გარდაიცვალა. ობოლ გოგონას ზრდიდა მეზობელი მოხუცი და პენსიონერი ზასწავლებელი ქალი.

— მე სახელად მანანო მქვია. — დაიწყო მორცხვად გოგონამ, — ორი წლის წინათ ცხეარს ვაძოვებდი და ეს ყმაწვილი მე იქ გავიცანი, რაკი გავიცან, მოდიოდა, მნახულობდა. დამიახლოვდა და სიყვარულს მეფიცებოდა. მე მას მივენდე, რადგან შორიდან ვიცნობდი მაგის ნათესაებს და მაგის მშობლებს. ნეგონა ეგეც პატოსანი იქნებოდა, მაგრამ მოგტყუედი! გაეახსენებდი ცოლქმრობაზე ხელის მოწერას, დამპირდებოდა... გადამიდებდა... მხოლოდ და მხოლოდ მაიმედებდა... ბოლოს... სულ თავი მიმანება... ველოდებოდი... არ მოდიოდა... კიდევ და კიდევ ველოდებოდი... ბევრს ზინც ნახავს, გულში ვფიქრობდი... არც ბევრი ნახა...

ქალიშვილი დადუმდა, ცრემლები მოიწმინდა და ძლივს წარმოთქვა:

— ერთი წლის ბევრთან მარტოდ დამტოვა... აქნდე ვსდუმდი... არას ვამბობდი... დღეს კი გავბედე.

საბას გული აუჩქროლდა. წარმოიდგინა თავისი ახალგაზრდობა და თავისი ბავშვები. ასე რომ მიეტოვებინა... გაიფიქრა საბამ და გიორგის მიახერდა. რალაც ნეკეთრი სიტყვა უნდა ეთქვა, მაგრამ ისეც მანანას დაუყვავა:

— იყუჩე შვილო! ჩვენ არ დაგტოვებთ უპატრონოდ. შენ ახლა წადი ჩემთან სახლში. მე გაგიწევ მამის მაგივრობას!

თავის უმცროს გოგონა დუძაბა და უთხრა:

— ანიკო, წაიყვანე სახლში.

როდესაც მანანო წაიყვანეს, საბა გიორგის მიუტრიალდა, მამაშვილური აღერსით უთხრა:

— შვილო, გიორგი! ასეთი რამ საკადრისია? — შემდეგ გარკვევით უთხრა — ყმაწვილო, შენ იცი თუ არა, რომ ჩვენ ახლა უფლება გვაქვს, გაგასამართლოთ, კიდევ დაგსაჯოთ! აბა, რას იტყვი? თავს რით იმართლებ?

გიორგი ჯერ ხმას არ იღებდა. შემდეგ თითქოს ძალა მოიკრიფა და საბას უხეშად უთხრა:

— მე რაში უნდა ვინართლო თავი? არ მინდა ცოლი, მორჩა და გათავდა!

— ერიპაა, ეგ რა პასუხია, შვილო? შენ პატარა აღარ ხარ, რას გირჩევს შენი გონიერება? — ჰკითხა საბამ.

— მე ჩემი გონიერება იმას მირჩევს, რომ არ მინდა ცოლი!

ელიკომ ვეღარ მოითინა. მივარდა, ქოჩორში ჩავლო ხელი და წინ წამოაყენა, თან ეუბნებოდა:

— სად გაქვს შენ გონიერება, შენ ჭევენის მასხარავ? რა არის ეს? რა ჩაგიცვამს? რას გიგავს ეს ქოჩორი? ცხენის ფაფარია, თუ ვირის კული? ან ეს მოწრუტული შარვალი? ეს არის შენი გონიერება, შე საფრთხობელავ. ვის ჰბაძავ, ვის, შე მაიძუნო? მე უნდა ვიყო დედაშენი, რომ სულ ცერცვივით გახტუნო. გიორგიმ კიდევ ძალა მოიკრიფა და დაიძახა:

— რა გინდათ ჩემგან? რატომ თავს არ დამანებებთ? ჩემს ცხოვრებაში რისთვის ერევი? რა უფლება გაქვთ, რომ ჩემი პიროვნება დაჩაგრეთ?

ელიკო აენტო. თავი შეიკავა და ირონით უთხრა:

— ოპოპო! საწყალს როგორ ჩაგრავენ! — შემდეგ ქოქოლა მოიყარა — თი, შეხი კი დაგაყარე! ქალი შეგიცდენია, ბავშვი მიგიტოვებია, ოხრებს გაჰყოლიხარ და შენ გჩაგრავენ? შენ გაქვს



იმის უფლება, რომ ახალგაზრდა გოგო გააუბედურო?

— ნება არა გაქვთ მიიძულოთ, — სთქვა გიორგიმ. — სასამართლო... რასაც მომიხჯის, გადავიხდი!...

ღიმიტრიმ საყულოში ჩაველო ხელი:

— რას გადაიხდი? რაც კი გაცვია, ჩემი ჯიბით გაცვია. მამა ვარ მე შენი, თუ არა? მე შენ მიგაგდე? ჩაგამტყრე კბილებს, მაგ ენას ამოგაძრობ...  
საბამ და ნოშრეევანმა ხელი გააშვე-

ბინეს, ღიმიტრი მაინც ბრახობდა:

— არა, ეგ ჩემი შეილი არ არის! — საბა და ნოშრეევანი მოიცილა და შეილს გადაქრით და ჰკაცრად უთხრა:

— მე შენ გიცხადებ ხალხის წინაშე: ან შეილიშვილი თავის დედით მომგვარე სახლში, იცხოვრე, იშრომე, როგორც შეპფერის პატროსან ადამიანს, ან არადა — დამეყარე, ჩემს სახლში ფეხი აღარ შეშოსდგა. მკედარი იქნები ჩემთვის! მკედარი!

გიორგი გაბრუებული იდგა. მას ასე გამწარებული მამა არასოდეს უნახავს. გულში რაღაც სინანულს გრძნობდა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, ბოდიში მოეხადა და ატირებული ხმით წამოიძახა:

— კაცო, არ მინდა ცოლი და რა ვქნა?

საბა მაინც გულთბილად ეუბნებოდა:

— შეილო, დაფიქრდი! მაშინ გინდოდა, ეხლა აღარ გინდა, ეგ, შეილო, უზნეობაა! ეგრე რომ შენს დას მოექცნენ, კარგი იქნება?

— ბიჭო, გიორგი! მოიხადე ბოდიში — ეძახოდნენ მისი თანატოლები, მაგრამ გიორგი გაქვავებული იდგა. თვალებს უგონოდ აცეცებდა.

— მაშ შენ ჯიუტობ? — უთხრა ჰკაცრად ნოშრეევანმა. — ჯიუტობ? არ გინდა ჩვენ გაგვიგონო?

გიორგი მაინც სდუმდა. მაშინ ნოშრეევანი ხალხს მიუბრუნდა და მოუწოდა:

— ღირსი არ არის ჩვენ შორის იცხოვროს!

ხალხი ერთბაშად ალაპარაკდა.

— არ არის ღირსი! არ არის ღირსი! —

ხალხი ერთბაშად ალაპარაკდა. გუგუნებდა ხალხი.

შუა ჯგუფიდან გამოვიდა გიორგის ერთი თანატოლი და სთქვა:

— ჩვენ გვეგონა, გიორგი შეისმენდა უფროსების რჩევას და ისევე ჩვენი ამხანაგი გახდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მაგას უკუღმართი ცხოვრება ურჩევნია. ჩვენ, ამხანაგებს გვიღალატა და ნაძირალბებში გაგვეცალა. აზიტომ ამხანაგების დავალებით ვეუბნები: უზნეო წევრი არც ჩვენ გვეირდება! — შემდეგ მიუბრუნდა გიორგის, — იცოდე, შენთან პურს არ გავტეხავთ, გამარჯობას არ გეტყვი, გზაში შეგხვდებით და პირს აგარიდებთ, როგორც ჭირიანს და მოძულეულს. გვენანები, მაგრამ წადი, გაგეშორდი!

გიორგი ხან მამას შეხედავდა, ხან ნაცნობ მეგობრებს. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო. გაარღვია წრე და გაიქცა. სად მირბოდა, თვითონაც არ იცოდა.

ნაწილი მესამე

ის იყო ხალხი იშლებოდა, რომ შემოიჭრა გოგია მეჩონგურე, დაღლილი, გაოფლიანებული. ძლივს სუნთქავდა. ეტყობოდა, რაღაც უცნაური ამბავი გაეგო და ცდილობდა ხალხისთვის შეეტყობინებინა. მართლაც, თითქოს ამ დღეს ყველაფერი მოგროვდა, როგორც მოგროვდება-ხოლმე შავი ღრუბელი და შემდეგ ღვართაფლად ჩამოიღვრება. ისე ახალი ამბავი ამბავს დაერთო, უფრო უცნაური და განსაცვიფრებელი. ეს არც გასაკვირველია. სოფელი დიდია, ხალხი მრავალი ყველას, გარდა საერთო მიზნისა, აქვს პირადი ინტერესი და პირადი განცდები. ხან მეტისმეტად გამწვავებული. ამით არის, რომ ხალხში მრავალფეროვნება არსებობს და მრავალგვარი ხასიათი — დადებითი, თუ უარყოფითი. ნეტარება მას, ვინც ამის დახატვას შესძლებს და ისევე ხალხს დაანახებებს.

ხალხი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო,

შემოეხვიენენ და ეკითხებოდნენ:

— რა ამბავია, გოგი! აღარ იტყვი, რა გაიგე?

— საბას დაუძახეთ, ნოსრევანს, ტიმოთეს! მე დაღლილი ვარ...

გოგიას თვალები ჰქონდა აჭრელებული და აუარებელ ხალხში ვერ არჩევდა, რომ საბაც იქ იყო, ნოსრევანიც და ტიმოთეც.

დარბაისელი და გრძელწვერიანი საბა გოგიას წინ გაჩერდა და ჰკითხა:

— შეილო, გვიამბე რა გინახავს? რა შეგიტყვიას!

— საოცარი ამბავი, გეფიცებით, არ დაიჯერებთ — თქვა გოგიამ და აღარ დაათვა. წამოდგა. ხალხს გადახედა. თვალთ ვილაცას ეძებდა. რაკი ვერ დაინახა, ვინც უნდოდა, თქვა: — კარგია, რომ ყველანი აქა ხართ, მაგრამ ფერმის გამგეს, ელიკოსაც დაუძახეთ. მე ახლა რასაც გეტყვი, ელიკოს შეეხება.

უმალ ბიჭი აფრინეს ელიკოსთან. ქალი თონეზე ტრიალებდა. უკანასკნელი შოთები მიაკრა, წინსაფარი მოიხსნა და სწრაფად მოედნისაკენ გამოეშურა. თონე თავის მოხუც დედამთილს გადააბარა.

შვიდი-რვა წლის ბიჭი დედას უკან დაედევნა.

როდესაც ელიკო ხალხს შემოუერთდა, მაშინ წამოიწყო გოგიამ:

— იქნებ ეს ამბავი ელიკოსთვის საწყენი იყოს, მაგრამ ყველაზე ადრე მაგან უნდა მოისმინოს.

— გოგი, დედაჩემი იყო ავად, ხომ არაფერი ამბავია? — შეშფოთებით იკითხა ელიკომ და თან ცხვირსახოცი თოფლი ზოიწმინდა.

— დედაშენს დიდხანს სიცოცხლე!... — თქვა გოგიამ, — ახლა კი გეტყვი. გალმუბანში, მდინარის იქით, მანქანა გაჩერდა. წყალში გამოსვლას ვერ ბედავდა. მიველ, ვნახე. შიგ უცნობი მაიორი იჯდა. თან ახლდა შუახნის, მაგრამ ლამაზი ქალი — მისი მეუღლე, მორთული და მოკაზმული. მე ვუთხარი, წყალში

მანქანა ვერ გამოვა და თუ სარფელში საქმე გაქვთ, ინებეთ და ფეხით მოხრძანდით-მეთქი. მე გულმოდგინედ ჩავუძარი: ეს მაიორი რას გაურჯია, აქ ხომ არავის ეძებს ონში ნაამხანაგარს-მეთქი და ვიდრე მე ვკითხავდი, მან დამასწრო:

— შეილი დავჯარგე და იმას ვეძებო! ჩემს ყურებს არ დავუჯერე და როცა გამიმეორა: ჩეში ბავშვი ამ სოფელშიაო, ვიფიქრე: ვინ ბავშვი? რომელი ბავშვი? მაგრამ როცა გონება მოვიკრიბე, ვკითხე: ვისა ჰყავს, ვის ოჯახშია-მეთქი!

გოგიას კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცებ ელიკოს მიაჩერდა:

— ელიკო, განა შალიკო შენი შეილი არ არის?

ელიკო არ მოელოდა ასეთ შეკითხვას და გულმა ძგერა დაუწყო, შემდეგ მიახალა: შენ მაგას რად კითხულობ?

— იმ მაიორზე მითხრა: ჩემი ბავშვი ფერმის გამგეს, ელიკოსა ჰყავსო!

ხალხმა ეს რომ გაიგო, სუნთქვა შეეკრა. თვითული ფიქრობდა, როგორ ზოხდა, რომ აქამდე არაფერი იცოდა ეს ამბავი. ეს ბიჭი ზოდავს, თუ რაშია საქმე. რალაც დაუჯერებელ ამბავს ლაპარაკობს. ეს ხომ ყოველად წარმოუდგენელია!

ელიკომ აქეთ-იქით გაიხედა. იგი თავის შალიკოს ეძებდა, სახეზე ფარული მღელვარება ეტყობოდა. თითქოს მან წაძიერად წარმოიდგინა, რომ ბავშვი მოსტაცეს, მაგრამ როდესაც მოშორებით დაინახა, რომ ბიჭი თავის ტოლებთან ბურთს თამაშობდა, გული დაიწმვიდა.

ცალკე ქალები ალაპარაკდნენ:

— ქა, ეს რა ნაცილი გამოუგდეს ელიკოს?

— მე ასე ვიყავ დარწმუნებული, რომ შალიკოს დედა ელიკო იყო.

— თადეოზმა ელიკო მოხსნა და ახლა ეგ დარდი-ლა უნდოდა?

— ელიკო ზებრალედა.

— რამდენი დარდი გამოიარა და ბოლოს, ქა, ბავშვი მოიტაცაო.

— ცილსა სწამებენ, აგრემც ენა დაუღუნდება ცილის მწამებელს.

ვეფხვაძის დაქაშებებიც ზეიმობდნენ: ელიკოს ახლა კი ბოლოს მოუღებთო. ვეფხვაძე განგებ ღმობიერებას იჩენდა.

— ხომ გეუბნებოდით, ეგ ბავშვი უკანონოა-ზეთქი! აი გამართლდა. მაგრამ მე ამ ამბავს ელიკოს სამტროდ არ გამოვიყენებ. — ლაპარაკობდა სხვის გასაგონად! — თქვენც გირჩევთ, ვითომ არც კი გაგიგიათ. და, ერთნაენთი გლოჯონ. ერთი დამარცხდება, თუ მეორე, ჩვენ ორივე შემთხვევაში მოგებულლები ვართ.

ანცაძეს არ მოეწონა ვეფხვაძის ლაპარაკი და შეუტია: — რას ლაპარაკობ? მთიშალე ეგ კაცთმოყვარეობა. ის უნდა გაძევებულ იქნას ამ სოფლიდან! ის ჩვენთან, პატიოსან ხალხთან, არ უნდა ცხოვრობდეს, არა!

მელას ცხოველებს შორის ყველაზე პატიოსან არსებად მიაჩნდა თავი! ასე ეგონა ანცაძესაც.

მოხუცმა და გაშქრიახმა საბამ ელიკოს მღელვარება შეატყო, მას არაფერი უთხრა, მხოლოდ გოგიას შეუყვირა:

— ბიჭო, განა შეიძლება ასეთი ხუმრობა? შენ ზეთრალი ხომ არა ხარ?

ხალხმა ენა ამოიდგა. გოგიას უსაყვედურებდნენ:

— ეგ რა მოჩმახე? ელიკოს როგორ უბედავ მაგისტანა მასხარაობასო.

გოგია იფიცავდა, ღმერთი-რჯული, მართალს ვამბობო, მაგრამ ხალხი არ უჯერებდა, რადგან გოგიას მართლაც უყვარდა ხანდახან ამბების გამოგონება, გახუმრება და შაირების გამოთქმა.

ელიკოს ქალები შემოეხვიენენ, ზოგი ამწვიდებდა, ზოგიც ნადველს უსიებდა ათასნაირი კითხვებით.

სოფელში კარგად ცნობილმა ერთმა ენაქართლამ, რომელიც ელიკოს შურით უტყერდა და მასზე ნაწყენი იყო, ერთბაშად წამოიძახა:

— იქნებ მოიტაცა კიდევ! ხომ იცით, რა ყაჩაღანა ქალია!

ელიკომ გაიგო ეს წამოძახილი, მაგრამ ხმა არ გასცა. ახლან მჩხთყუს სარეცალა.

ქალებმა ელიკო უყვარდათ და პატრიქი, სკენდინ, ამიტომ თანაგრძობას უცხადებდნენ, გოგიას კი კიკაუდნენ.

— რა მწუხარებაში ჩაგაგლო მაგ კისერმოსატეხმა! აგრემც დაუღუნდება ენა!

ელიკო თითქოს უცებ გონს მოვიდა, თავზე მოსახვევი გაისწორა, ნაწნავი მხარზე გადაივლო და გულშემატიკეა ქალებს უთხრა:

— მადლობელი ვარ თქვენი თანაგრძნობისათვის, მაგრამ მე სრულებითაც არ მადლელებს ეს ამბავი. მე თქვენი იზედი მაქვს, რომ მართალ ადამიანს მხარს დაუჭერთ.

ამ დროს გზაზე უცხონი გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ მაიორი და მისი მეუღლე. მათ ლაპარაკით ზოსდედა კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიმიტრი ბერიძე. თავმჯდომარე მათ ბოგირთან შეხვედროდა და როცა იმასაც გაეგო მიზეზი მათი იქ მოსვლისა, დიდი თავაზით მოეპატიჟა და წინ წამოსძლოლოდა.

დიმიტრი ბერიძემ შორიდანვე გადაავლო თვალი და როდესაც ელიკო მათ შორის შენიშნა, მაიორს და მის მეუღლეს გაცხოველებული ლაპარაკი დაუწყო, თითქოს ეუბნებოდა: კარგ ფეხზე გივლიათო, ელიკოს ახლავ შეგახვედრებთო.

მოვიდნენ. დიმიტრიმ სტუმრებს წარჩინებული კოლმეურნეები გააცნო, მათ შორის ელიკოც.

იმ დროს, როდესაც ელიკოს აცნობდა, შალიკომ ეს შენიშნა. ბოროთაობა ნიატოვა და ცნობისმოყვარეობით აღსავსე მიიჭრა დედასთან. თან თვალს არ აშორებდა უცხო სტუმრებს.

მაიორი ბავშვს დააშტერდა, თითქოს უვალეზით სქამდა პატარას.

მაიორის მეუღლე დიდი თავაზით მიესალმა ელიკოს. არც ელიკომ დააკლო პატივისცემა.



ხალხში ზოგიერთს ეკვი შეეპარა: ელიკო და მაიორის მეუღლე, ალბათ, ნაცნობები არიანო, რადგან ელიკომ უცხო ქალი სახელით მოიხსენია, აქედან გაიგეს, რომ სტუდენტის ნათელა რქმევი.

მოედანზე იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ ტევა აღარ იყო. პატარა ბიჭები კაკლის ტოტებზე გასულიყვნენ და სტუდენტებს იჭიდან უცქერდნენ.

მაიორმა მოკოლადის ფილა ამოიღო და ბავშვს გაუწოდა. ბავშვი მორცხვობდა, არ იღებდა, სანამ დედამ ნება არ ღართო.

მაიორი იძახდა:

— მოხარული ვარ! მოხარული ვარ! გთხოვთ ზიცილობდეთ: თედო თუ შიშვილი გახლავართ, მედიცინის მაიორი... ახლა ჯარში აღარ ვმსახურობ, თადარიგში ვარ. — თანაც ბოდიშს იხდიდა, რომ თავის მოსვლით სოფელს მყუდროება დაურღვია.

— ახლა მე თქვენ შეგაწუხებთ და კიდევ ბოდიშს ვიხდი. პატარა გაუგებრობაც ზოხდა. მე რომ ვთქვი: ბავშვი დავკარგე და იმას ვეძებ-მეტიქი, ზოგმა ისე გაიგო, თითქოს ბოროტი განზრახვით მომტაცეს ბავშვი. არა, ძვირფასო მეგობრებო! გაგაცნობთ ნამდვილ ვითარებას. თუ როგორ ზოხდა... ჩემი მეუღლე აგარაკად როცა ყოფილა...

— ბოდიშს მოვიხდი, ბატონო! — გააწყვეტინა ელიკომ და თან მაიორის მეუღლეს შეხედა. ეს შეხედვა ისეთი მძაფრი იყო, რომ ნათელამ პირი მოაჩინა. იმ დროს ვერ მიხვდებოდი, ელიკო უფრო იყო აღელვებული, თუ მაიორის მეუღლე. ელიკომ გონება ზოიკობა და ისევ წყნარად მაიორს მიმართა:

— დიახ, ბოდიშს ვიხდი! თქვენი ძიება და შეწუხება არ არის უბრალო საქმე... თქვენ ბავშვს დაეძებთ და თითქოს იპოვეთ... რადგან უჯერებთ თქვენს მეუღლეს, მაგრამ ამ ბავშვის დედა სხვა არის!

ის მეუღლეს შეხედა. მაგრამ მაიორი ბავშვს უცქეროდა, ილიმბრდა, უხაროდა.

— დიახ! ამ ბავშვის დედა სხვა არის, — განაგრძო ელიკომ, — ეს დედა უბრალო ლაპარაკით ვერ დაშთავრდება! ეს საქმე ბრძენმა და უანგარო ხალხმა უნდა მოაგვიაროს და გადასწყვიტოს. ასეთი ხალხი ჩვენს კოლმეურნეობაში არის. ისინი ჩვენ გვეყავს ამორჩეულნი შინაური საქმეების მოსაწყვრივებლად. აი, საბა, ნოშრევანი, ტიმოთე, გელა, ისაკო... ცხოვრების მკოდნე და უანგარო ხალხია. თუ თანახმა ხართ, ამ ხალხს მივანდოთ! თქვენ ბრძანებთ თქვენი, მე გიპასუხებთ, და რაც დანტყიცდეს, რაც გადასწყვიტონ, თანახმა ვიყო!

მაიორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ შვილი იპოვნა, იმაშიაც დარწმუნებული იყო, რომ ხალხი მართლაც საქმეს უკუღმა არ შეატრიალებდა.

— სიამოვნებით! — აზობდა მაიორი, — მივანდოთ. რაც გადასწყვიტონ, თანახმა ვიყოთ...

მაიორმა თავის მეუღლეს შეხედა და იმ იმედით, რომ ისიც თანახმა იქნებოდა, მაგრამ ქალმა რატომღაც მედიდურად აიბზუა ტუჩები და გოროზად წარმოსთქვა:

— რა ნაქვს მაგათთვის სათხოვნელი! მე არ მსურს ჩემს საქმეს უცხო ადამიანები სწყვეტდნენ, ამას მე ხალხს ვერ ვანდობ. არ ზომწონს მათი შემოხედვაც კი... — მაიორმა უხერხულობა იგრძნო. მისი მეუღლე კი მაინც ჟინიანობდა:

— არ მსურს! გავშორდეთ! წავიდეთ... გადავდოთ საქმე!

მაიორი გაევირეებული იყო. მერე მივიდა ცოლთან ახლოს და ჩუმად უთხრა:

— რას ლაპარაკობ? სირცხვილია! ახლა გავშორდეთ, როცა ასეთი აურზაური უკვე ავტუხებთ? როცა ვიპოვეთ ჩემი ბავშვი?

შემდეგ მოუბრუნდა ელიკოს და უთხრა:

„დედა სხვა არისო“ ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, რომ ნათელა შეკრთა, თა-

— დიდი სიამოვნებით მივანდოთ ხალხს...

რაკი მთიორი დათანხმდა, ნოშრევიანი, ტიმოთე და გელა აკლის ქვეშ, ზაგიდის ირგვლივ დალაგდნენ, შუაში საბას დაუთმეს ადგილი.

საბა წამოდგა და ხალხს მიმართა:

— სმენა იყოს და გაგონება! — შემდეგ როცა ხალხი დალაგდა და სმენად გადაიქცა, ნათელას მიაჩერდა, დიდხანს უცქირა, თითქოს თვალით ზომავდა. მერე დინჯად წარმოსთქვა:

— პატივემულო ნათელა! წელან თქვენ თქვით, „ჩემს საქმეს ხალხს არ ეანდობო!“ სულ არ მივაქცევ კურადლებას თქვენს ნათქვამ სიტყვას და ეთხოვ მთიორს: აბა, გვიბრძანეი, რას მოითხოვთ? რამ შეგაწუხათ?

მთიორმა ერთხელ კიდევ გადაჰხედა ბავშვს და დაიწყო:

— მოუელ გულდიად, კეთილი სურვილით, რომ ჩემი ბავშვი თვალით მენახა და აღმზრდელისთვის მადლობა მეთქვა! თუ დაძითობდა, ვფიქრობდი, ბავშვი თან წამეყვანა.

ალერსიანი სახით კვლავ ბავშვს გადახედა. შალიყო დედის კალთას ებლაუკებოდა. უცებ გულუბრყვილოდ წამოიძახა:

— დედიკო, რომელ ბავშვზე ლაპარაკობენ?

— შენ გაჩუმდი და ყური დაუგდე!

ბავშვი წამოწითლდა, გრძნობდა, რომ მასზე იყო ლაპარაკი. მთიორს უცქერდა და მის ლაპარაკს გაბრუებული ისმენდა:

— ჩემი მეუღლე აგარაკად როცა ყოფილა, სამი წლის ბავშვი გარეთ გასულა! იქ შეხვედრია ვილაც სხვა ბავშვებს, თამაშ-თამაშით გაპყოლია მათ და შორს წასულა! შემდეგ რა მოხდა, მე ეს არ ვიცი, შემიძლია კი ვივარაუდო... ალბათ, გზა ბავშვმა ვეღარ ინიშნა, ვერ გაიკვლია, ალბათ, ატირდა! და როცა ატირებული ნახეს, მოუალერსეს, შინ წაიყვანეს და იმას შერჩა, ვინც ნახა ბავშვი...

საბა დიდი გულმოდგინებით უსმენდა. ხალხი განაბულიყო. მამგრამ — ხანდახან, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა ჩურჩული:

— მე კი დარწმუნებული ვიყავ, ბავშვის დედა ელიყო იყო.

— ნუთუ მართლა მობიტაცა?

საბამ ხალხს თვალი გადაავლო. ჩურჩული შეწყდა. შემდეგ პირდაპირ მთიორს შეხედა და ჰკითხა:

— ვთქვათ, დაიკარგა ოთხი წლის წინათ. ამ ხნის განმავლობაში თქვენ რა იზრუნეთ? გამოაცხადეთ სადმე გაზეთში, ან თუ აცნობეთ მილიციას.

— მეუღლე ამბობს: რაც კი შემეძლო ვეცადეო, მაგრამ ამაოდ! მე კი აქ არ ვიყავი...

— „მეუღლე ამბობს“. — და საბამ ჩაიცინა. თითქოს აზით ანიშნა, რომ შენს მეუღლეს არ ენდობო! ეს იგრძნო ნათელამ და საყვედურით უთხრა:

— თქვენ არ გაქვთ უფლება, ეკვი შემოიტანოთ...

— ჩემი უფლება მე კარგად ვიცი და თქვენ ნუ ლელავთ! — შემდეგ მოუბრუნდა მთიორს და ჰკითხა:

— ნუთუ ოთხი წლის განმავლობაში თქვენს ცოლს არ ჰკითხეთ ბავშვის ამბავი!

— ვკითხე!

— რა გითხრათ?

ცოლმა მთიორს არ აცალა:

— რა საჭიროა ლაპარაკი მაგ წვრილმანებზე? თედო, ეს ჩვენი დამცირებაა...

— შე თქვენ გიმეორებთ: ნუ ლელავთ!...

საბა მთიორს მიაჩერდა და განმეორებით ჰკითხა:

— მაინც რა გითხრათ თქვენმა მეუღლემ?

— თავდაპირველად სულ არაფერს შეუბნებოდა, ხოლო როცა საქმე გამწევადა...

— ნუ გასცემ პასუხს. რა მოხდა ცოლ-ქმარს შორის, საჭირო არ არის გარეშემ იცოდეს, — წამოიძახა ნათელამ.

— ჩვენ გარეშენი არ ვართ, — უპასუხა საბამ.

— გარეშენი ხართ! ელიკოს მე მართო ვნახავ და მოველაპარაკებ!

— არა! — დაიძახა ელიკომ, მოწმეების დაუსწრებლად მე თქვენთან ლაპარაკი არა მსურს...

— ჩემთან არ გსურთ?

— არა!

— გაწილდა ზაიორის მეუღლე, ახლა ქმარმა მიმართა მას:

— არ შეიძლება, ნათელა, არ შეიძლება, არ უპასუხო! — შემდეგ საბას მოუბრუნდა, — უსიამოვნო ლაპარაკი ბევრჯერ გვექონია, მაგრამ ბოლო დროს მეტად გამწვავდა საქმე და დავემუქრე: გაგშორდები-ზეთქი და, აი, მაშინ გამომიტყდა ჩემი მეუღლე: „შენი შვილი ცოცხალიაო!“

საბას ეღიშებოდა. იცოდა ზაიორის ცოლს მალე ტყუილში დაიჭერდა. ხოლო ნათელა თრთოდა. საბამ განაგრძო:

— მაშასადამე, ცოლმა იცოდა, რომ თქვენი ბავშვი ცოცხალი იყო. კარგი და პატიოსანი, ცოცხალი იყო და ოთხი წლის მანძილზე არ გაგიმეღვენათ, თქვენ დაგარწმუნათ, რომ იგი თამაშ-თამაშით გაპყვა ბავშვებს და დაიკარგა.

— დიახ, ასე მიამბო.

— კეთილი ბავშვებს გაპყვა იქ, აგარაკზე, მაგრამ მიბრძანეთ: ან თქვენ, ან თქვენმა მეუღლემ საიდან იცით, რომ იქ დაკარგულ ბავშვს ოპონილით და შექველად აქ. ელიკოსთან?

ზაიორი დაიბნა. მართლაც-და რატომ ვერ მიხვდა თავიდანვე. საიდან იცოდა მეუღლემ, რომ ბავშვი ელიკოსთან იზრდებოდა, თუ ბავშვებს გაპყვა და დაიკარგა? კაცანათში ზოეტანა ზაიორის მეუღლე: ხალხმა ნათლად დაინახა, რომ ცოლს ქმარი მოუტყუებია. ეტყობოდა, აქ რაღაც სხვა საიდუმლოება იფარებოდა.

საბა სწორედ ამ საიდუმლოების გახსნას ცდილობდა.

უცებ ისევ ნათელას ხმა გაისმა:

— ელიკოსთან მაქვს მე საქმე, სხვა

არავისთან! აბა, წამოდგეს ელიკო და განაცხადოს, რომ ეს ბავშვები ჩემსა არის!

ელიკო წამოდგა და დაბეჯითებით განაცხადა:

— დიახ, ბავშვი შენი არ არის!

ნათელას ცივი წყალი გადაესხა, მუხლები აუკანაკალდა, ფეხზე ძლივს იდგა, მალე სკამი მოართვეს და დასვეს.

— თედო, წავიდეთ! არ შემიძლია!

— მაშ ბავშვები? — შეუყვირა ზაიორმა.

— არ ბავშვები, საბუთები მაქვს...

ახლა კი აენთო ელიკო და მიახალა:

— ვერ გიშველის შენ ეგ საბუთები. ქალბატონო! თუ ყველაფერს მათქმე-ვინებ, არა მგონია, ზედლობელს დამრჩე. გირჩევი, მეტს ნულარაფერს მათქმე-ვინებ! როგორც მოსულხარ, ისე ვაბრუნდი. და დაივიწყე შენცა და შენმა ქმარმაც, რომ აქ იყავით და ბავშვი ნახეთ!

ნათელამ ძალღონე მოიკრიბა, საბას მიეჭრა და უსაყვედურა:

— თქვენ თუ მართლა სიმართლეს იცავთ, რატომ არ გინდათ ჩემს საბუთებს ანგარიში გაუწიოთ?

— გვიბრძანე. გავაცან, ანგარიშს გაუწიეთ! — ამშვიდებდა საბა.

ზაიორის მეუღლემ სული მოითქვა. ის დარწმუნებული იყო, რომ უტყუარ საბუთს წარმოადგენდა და საქმეც მის სისარებლოდ გადაწყდებოდა — შვილსაც დაიბრუნებდა, ქმრის გულსაც მოიგებდა.

— გვიბრძანე, გავაცანი. — გაუმეორა საბამ.

მაგრამ ვაი თუ ვერც ამ საბუთმა გასჭრას? ვაი თუ გაჯიუტდნენ კოლმეურნეები და პირში ჩალაგამოვლებული დასტოვონ?

სხვა გზა არ ჰქონდა, სათქმელი უნდა ეთქვა:

— აი, ზავ ბავშვს ორი ხალი აქვს. ერთი ბეჭებზე, დილის ოდენა, მეორე — მკერდზე, ძუძუსთან ახლოს... გასინჯეთ!..

თქვა და სკამზე დაეშვა. მარათი იგრძობდა სანებს.

ყველა საგონებელში ჩაეარდა. ცნობისმოყვარენი იძახდნენ: გასინჯეთ, გასინჯეთ!

წამოდგა ელიკო და დამშვიდებულმა თქვა:

— არა, გასინჯვა საჭირო არ არის, ბავშვს, მართალია ორი ხალი აქვს: ერთი ბეჭებზე, მეორე მკერდზე, მაგრამ ეგ ზინც დედა არ არის!

ხალხის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. თუ ეს მართალია, მაშინ რატომ არ უნდა იყოს დედა?

ელიკომ მკაფიოდ და გარკვევით განაცხადა:

— ბავშვის დედა ისაა, ვინც იგი აღზარდა, ვინც მისთვის ღამეები ათენა, ვინც დღენიადაგ თავს დასტრიალებდა. შენ კი? შენ არ გქონია სიყვარული შენი შეილისა არც აღრე და არც ახლა გაქვს, როცა იგი წაღოზარდა. რომ გქონოდა სიყვარული, არც დაჰყარავდი! შენ შეილი გინდა იმისთვის, რომ ქმარი შეინარჩუნო. და იმისთვის, რომ შენ ქმრის გული მოიგო. მე უნდა დავთმო? ეგ არ მოხდება!

ხალხი სულგანაზული უსმენდა. მათი გაბრუნებული იჯდა და მიწას ჩასტკეროდა. ელიკო განაგრძობდა:

— მე გითხარ, ყველაფერს ნუ მათქმევინებ-მეთქი და თუ მათორი ნებას არ მომცემს, არც ვიტყვი.

— ყველაფერი თქვით, ყველაფერი. — მათორი უკვე ნერვიულობდა.

— არ მინდა, წავიდეთ, — იძახდა მისი მეუღლე.

— როგორ? შეილი არ გინდა? — უთხრა მათორმა თავის მეუღლეს. შემდეგ მიუბრუნდა ელიკოს და თითქმის მუდარით მიმართა.

— თუ გიყვართ ეს ბავშვი, თქვით ყველაფერი, მოუბრუნებლად... მე დიდ მადლობას გეტყვით...

— წინასწარ თქვენს წინაშე, პატივცემულო მათორო, დიდ ბოდიშს მოვიხდით, თუ ჩემი ნაამბობით რაიმე წყენას

მოგაყენებთ. ნუ გამირისხდებით და მაპატიეთ.

უცებ ნათელა იწილა!

— გაეშორდეთ! არ მინდა... არ მინდა...

— არა, ნათელა. თუ შენ მოსმენა არ შეგიძლია, ნებას გაძლევ დამტოვო! — უთხრა გაბრაზებულმა ქმარმა. შემდეგ ისევ ელიკოს მიუბრუნდა:

— ბრძანეთ ყველაფერი!

ელიკომ წყნარად დაიწყო:

— კეთილი, ვიტყვი. შეიდი წლის წინათ ვისვენებდი აგარაკზე! იქ იყვენ ჩემი მეგობრებიც. ეს ქალბატონიც იქ ბრძანდებოდა. დღეში ხუთნაირ კაბას იცვლიდა. იქ მან გაგვაცნო ყმაწვილი კაცი...

მათორს ხელიდან პაპიროსი დაუვარდა. ელიკომ ეს შენიშნა და ლაპარაკი შესწყვიტა.

დიდხანს სდუმდა და მათორს შეჰყურებდა, ის კი მას ზისჩერებოდა.

— შემდეგ? — ჰკითხა მათორმა.

ელიკომ იფიქრა, ახლა უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და ავლავ დამშვიდებულმა განაგრძო:

— დიახ, გაგვაცნო ყმაწვილი კაცი, გაგვაცნო იგი, როგორც ქმარი!

მათორმა სახეზე ხელები აიფარა, ხოლო მისმა მეუღლემ ვითომც არაფერი იცო, პირი იბრუნა.

— მაგრამ დღეს ვხედავ, ქმარი თქვენ ბრძანებულხართ!

ხალხში ჩურჩული ასტყდა. ერთი იძახდა: თავგმა თხარა თხარაო, კატა განოთხარაო.

მათორი წამოდგა და ცოლს მუქარის ხმით შესძახა!

— მაშ ასეა, არა?

— ცრუობს!

მათორი ელიკოს მიუბრუნდა:

— თქვით, განაგრძეთ!

— მაშინ ეს ბავშვი უკვე ცხრა თვისა იყო. ეგ აქეთ-იქით დაფრიალებდა, ბავშვს კი ექთანის უვლიდა, ის ქალი ახლა ჩვენთან არის საბავშვო ბაღში.

— თინა, მოდი აქ...

მეორის ცოლს თინას სახელის ხე-  
ნებაზე ფერი ეცვალა.

ელიკო თინასავენ გაემართა, მოჰყიდა  
ხელი და მეორის წინ გააჩერა. თინა  
არც აცია. არც აცხელა და მოჰყვა ლა-  
პარაკს. თითქოს საფანტი სცივოდა პი-  
რიდან:

— რაც მეორმა მოგახსენათ, სულ  
ზღაპარია, რის სამი წლისა, რის თამაშ-  
თამაშით... მაშინ ეს ბავშვი ცხრა თვისა  
იყო. ამ ქალბატონისაგან გული შქონდა  
შეწუხებული. სულ წუწუნებდა: ბავშვი  
ხელს მიშლის, ბავშვი ჩემთვის ბორჯი-  
ლიაო! ნეტავი ვინმე იშვილებდეს, თა-  
ვისუფლება შემიზღუდაო! რამ შეუზ-  
ღუდა? თორნეტ საათზე ადგებოდა,  
ისაუზმებდა, მოირთვებოდა და გვიანო-  
ბამდე სეირნობდა ყმაწვილკაცებში.  
ბავშვს მე ვუვლიდი და ერთი გოგო  
ერთს ადამიანს ორი ზოსამსახურე ჰყავ-  
და. მაშინ მე ვუთხარი: აგარაკზე ერთი  
ქალია, რომელსაც ბავშვი დაეღუპა. თუ  
თანახმა ხარ სიხარულით იშვილებს-  
მეთქი! გაუხარდა და ზერე როგორ გაუ-  
ხარდა! აბა, ჩქარაო. ელიკოსთან წავე-  
დი, ვუამბე ყველაფერი. მასაც ძლიერ  
გაუხარდა და გადაამოცნა. თუ ვტყუო-  
დე, მოგკედე... ერთად წავედით ამ ქალ-  
ბატონთან! შეხედნენ და ტყბილად იმუ-  
საიფეს. ყავაც დალიეს. ნათელამ უთხ-  
რა: ბედნიერი ვარ, რომ ბავშვს ასეთი  
დედობილი მოვუძებნეო. ბავშვს თბი-  
ლად ჩავაცვით, მეორე დღესვე ჩავსხე-  
დით და აქ წამოვედით. აი, ასეთია სი-  
მართლე.

ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.  
ელიკო იდგა, როგორც ცოცხალი ქან-  
დაკება, პატარა ბიჭს კალთაში ჩაეჭიდა  
მისთვის ხელი: დედას არავინ დამამო-  
როსო!

ბოლოს ელიკომ თქვა:

— ბავშვს სახელად შალვა დაეარქვი  
ჩემი ომში დაღუპულ ქმრის სანახსოვ-  
როდ. ის ჩემი სიყვარულით არის გამთ-  
ბარი და ამიტომ დღეს ის ჩემია! რომ  
დაგიბრუნო, რა მაგალითი უნდა ნახოს  
შენს ცხოვრებაში? შენ ცხრა თვის

ბავშვი გადაგდე და ახლა იძახი, დედა  
ვარო!

— არ არის დედა! არ არის! დედა  
ყვიროდა ხალხი.

საბა ფეხზე წამოდგა:

— ხალხმა გადასწყვიტა და ჩვენც  
თანახმანი ვართ!

დამძივებული წამოდგა მეორი, მი-  
იხედ-მოიხედა და ყრულ წარმოსთქვა:—  
ყველაფერი ცხადია ჩემთვის! თქვენთან,  
ყველასთან მე, ასე რიგად დამცივებუ-  
ლი, დიდ ბოდის ვიხედი, ხოლო შეუ-  
რაცხყოფას მე ის მიქარებებს, რომ შვი-  
ლი ვიპოვნე.

თქვა და ბავშვს მიაჩერდა. ბავშვმა  
თითქოს რაღაც სიტბო იგრძნო, მეორის  
უღიმოდა. მან ველარ მოითინა, შალი-  
კო ხელში აიტაცა და გადაამოცნა. მერე  
მოუბრუნდა მეუღლეს და ჯეკრად უთ-  
ხრა:

— მანქანა გიციდის! ჩვენს შორის ყვე-  
ლაფერი გათავებულია! მიბრძანდი!

\* \*

ხალხის ნაწილი დაიშალა.

მოედანზე დარჩნენ კოლმეურნეობის  
თავმჯდომარე, ამხანაგური სასამართ-  
ლოს წევრები, მეორი და ელიკო თა-  
ვისი ბავშვით.

მეორმა პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა  
და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა:

— ჯერ ასეთი ბედნიერება და სიხა-  
რული არ განმიცდია... თქვენთან ზე-  
დიდი თხოვნა მაქვს, ნება მიბოძეთ  
თქვენთან დაერჩე, თქვენთან ვიცხო-  
ვრო... შვილის ახლოს მიინც ვიქნები...

ყველას სიხარული აღებუქდა სახეზე;  
ელიკო მძიმე ნაბიჯით მეორისავე  
წამოვიდა, თან ბავშვი წამოიყვანა.

— შეილო, შალიკო! — ეუბნებოდა  
ელიკო. — მიდი, აკოცე მამაშენს...

ბავშვმა ხელები გაშალა, დაიძახა:  
„მამიკო“ და მეორის კისერზე მოეხვია.

ნაწილი მიოთხა

ვეფხვადე და მისი დამქაშები არ მოე-  
ლოდნენ, თუ ელიკოს ამბავი ასე ყეთი-

ლად დაბოლოვდებოდა.

მაიორიც წასვლას აპირებდა, მაგრამ დიმიტრიმ არ გაუშვა.

— დღეს საღამოს ზეიმი გვაქვს. უკრაინიდან სტუმრები გვეწვევიან, გთხოვთ, თქვენც პატრვი გქცეთ.

მაიორს დიდი ხეყნა არ დასვირდა. ბავშვს ჩაჰკიდა ხელი და ართობდა. ელიკოს სიხარულის ცრემლები მოადგა თვალზე.

დიმიტრიმ გოგიას მოუხმო. რაღაც ურწმი ჩაულაპარაკა. გოგიამ უპასუხა:

— სუყველანი აქ არიან. გნებავს ახლავე... სულ ერთია, შეხვედრისას მაინც ცისქვეშ უნდა ვიმღეროთ.

გოგია დაფაცურდა.

— გუნდის წევრებო, დალაგდით. — იძახოდა გოგია.

უცხად ხალხი აირია. მომღერლები გამოეყვნენ. გოგია წინ გაჩერდა და ხალხს ზიჰმართა.

— მეგობრებო! აბა, სმენა დიმიტრიმ აღრვეე დამავალა რომ უკრაინელ სტუმრებს შესაფერი სიმღერით შევხვედროდით. მიემართე ყველას, ვისაც კი კონპოზიტორი ეწოდება, მეგონა, გეასახელებდნენ და ისეთს სიმღერას დავაგუგუნებდით, რომ უკრაინელ სტუმრებს ალტაცებაში მოვიყვანდით, მაგრამ სიმღერების უმეტესობა მოწყვეტილი იყო ჭართულ ბუნებას. ზოგში ისმოდა წრიპინი და კრუსუნი, ზოგში — ენაილი და ბლავილი, ზოგში — წივილი და ყროყინი, ზოგში — მოღუნებული კენესა და დავლავი, ზოგში კი ისეთი ბრაზა-ბრუხი, რომ გეგონებოდა ქვეყანა ინგრევაო. მაშინ ავდექით და ჩვენ თვითონ შევექნენით, სიტყვებიც ჩემი გამოთქმული გახლავს. აი, მოკვისმინეთ, — დაათვა გოგიან, გუნდს მიუბრუნდა და ანიშნა. წამოვიდა სიმღერა, სადაც იგრძნობოდა იმედი, ხალისი და ალტაცება. ჭართული ჰანგი გულს ჰხიბლავდა, ოცნებისაკენ იწვევდა და სიამეს აგრძნობინებდა. სიტყვებიც შეიღწეულად ჰიძნი იყო:

„მინდა შევესწრო შეიღწეულად ნაყოფს,  
გამრჯელი წელში არ მოვიხარო,  
მუდამ უქნობი სურვილი შენდეს,  
სხვა გავხარო, შეც გავიხარო!  
არ გავგონო ომი ამბავი,  
ვერ აღდგეს მტერი ოხერ-ტილი,  
ბელღებს აესებდეს სავე თავთავი,  
ჭარხანას სძავედს ჩარხის ტრიალი!  
მინდა შევესწრო შეიღწეულად ნაყოფს,  
ნურავის ვნახავ სველი გულნაყოფს,  
მოვესხდეთ სუფრას შეიღწეულბთან,  
ვმღეროდეთ სუფრულს, ვმღეროდეთ  
მეურტლს!

სიმღერა დაათავეს. ყველაზე მეტად საბა იყო გახარებული. იძახოდა:

— ბიჭო. ეგ ხომ ჩემი ნატვრაა — მოხუციის ნატვრა. „სუფრას მოვიუსხდეთ შეიღწეულბთან“, ეგ ხომ ჩემზეა ნათქვამი. ეგ ხომ ჩემი ვულისნადებია!

მივიდა, გოგია ვადაკონა:

— კარგია, შეილო, კარგი! ასე მგონია, ჩემთან ერთად ქვეყანა ხარობს... — სთქვა და წამოიწყო: „მინდა შევესწრო შეიღწეულად ნაყოფს!“ — გეუბნებით. ჩემზეა-ნეთქი ნათქვამი!

მოედანის სიღრმეში, როგორც ატუხული ყვავები. იდგნენ: ვეზუხაძე თავის ანცაძე-ბანცაძეებით. სიმღერა, როგორც ჩანს, იმათაც მოეწონათ. მაგრამ დაღერევილები გამოიყურებოდნენ. ანცაძე აძაგებდა კიდევ. მათ სხვისი ზედნიერება თავის უბედურებად მიაჩნდათ. სხვისი ქება — საკუთარ თავის ძაგებად. პატარა გულის პატრონი შურით იესება, როდესაც ჰხედავს დიდბუნებოვანის წარაძებას — ქონდრისკაცს ახოვანი სძულს და ცდილობს წინ არ გაუშვას. ქონდრის კაცს თუ ძალა შესწავს, ერთ დიდბუნებოვანს ისეთ ჩრდილს მიაყენებს, რომ დიდბუნებოვანი სხვის თვალში სასაცილო ბდება, სანამ მას ახლო არ გაიცინოს: ენას დიდი ბოროტების შთანერგვა შეუძლიან; მართალია, უთქვამთ: გველსა ხერგლით ამოიყვანს ენა ტბილად ნოუბარიო, მაგრამ ისიც უთქვამთ. რომ სანამ კაცი ომიდან დაბრუნდებოდა, ენამ თავი მოსჭრაო. რად გვინდა მაგალითებისთვის შორს წაივი-

დეთ? ვეფხვაძე და მისი დამქაშები თვით დიმიტრი ბერიძეს ათასნაირ კორს უპრცელებდნენ, მას უზუნობას სწამებდნენ. ანონიმურ წერილებს სწორდნენ. რაც შეეხება ელიკოს — მას ანცაძე-ბანცაძეები მიწასთან ასწორებდნენ, მაგრამ „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დედამიწა დასამალად გადაეფაროს!“

ვეფხვაძე თავის დამქაშებს ეჩურჩულებოდა:

— ელიკოსთან ჩვენ ახლა ცოტა სიფრთხილე გვმართებს... ანცაძე-ბანცაძეები კი სულ სხვა სიფრთხილეზე ფიქრობდნენ. ვეფხვაძესთან ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი და ეს მოახსენეს კიდევ, მაგრამ ვეფხვაძემ გადაჭრით უთხრა:

— ჩემო ძვირფასო, მართალია დღეს ნახევარ მილიონს ამოგქაჩავთ, მაგრამ ჯერ ბანკის ვალი უნდა გავისტუმრო...

ანცაძემ გაუცინა და უთხრა:

— მოწონს, რომ დღეს ხუმრობის გუნებაზე ბრძანდები! — მერე სახე მოიგრიხა და მიახალა: — შენ რომ ბანკი გაისტუმრო, მე და ჩემს ერთგულებს ვინდა გაისტუმრებს? შენ რით ვერ გაიგე, რომ ჯერ ჩვენ ვართ და მერე სხვა. ჩვენ დიდხანს ლოდინი არ შეგვიძლიან. — აქეთ-იქით მიიხედა, ყურს ხომ არაფერს გვიგდებსო და რაკი დარწმუნდა რომ მოედანზე მათ ახლოს არაფერი იყო, უფრო მკაცრად და დაეინებით უთხრა:

— ჯერ ჩვენ, მერე სხვა!

ბანცაძე ჩაერია ლაპარაკში:

— იცი, ჩემო თადეოზ, ახლა კი მართალს გეტყვი: თუ შენ კაცად ჩანხარ და პატრეს გცემენ, იცოდე, ჩვენის მეოხებით! ამიტომ ჯერ ჩვენ, მერე სხვა! — პაპიროსის ნაწიწევი გადააგდო და განაგრძო: ხალხს შენი თავი ჩვენ მუშაბუკად მოვაჩვენეთ.

ანცაძემ ჩამოართვა სიტყვა და ვეფხვაძეს თითის ქნევით ეუბნებოდა:

— შენ არ გეგონოს, რომ ნართლა ღირსეული თავმჯდომარე იყავი შენ

ხარ ჩვენს მიერ გადიდებული. ჩვენმა ქების კორიანტელმა დაფალო შენი სისუსტე და მახეიერება. ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, საეპარისი იყო ელიკოს ერთი მხილება და ციხეში ამოჰყოფდი თავს. ამიტომ ჯერ ჩვენი ამაგი უხდა დააფასო!

ვეფხვაძე ხან ერთს ვიანერდებოდა და ხან მეორეს. ახლა კი ნათლად იგრძნო, თუ რა უძლები სვაგების კლანჭებში იყო მოქცეული, აგრძნო და შეუყვირა:

— მოიტაო თოკი და ჩამომკიდეთ თავდაყირა! თქვენ ჰყოფილხართ სინდისგარეცხილები! მე ამას აღრეც ვგრძნობდი, მაგრამ უკან დახევის გზა მოკრილი მქონდა. თქვენ მე ერთ დანაშაულში ჩამითრიეთ და მე იმდენი ნებისყოფა არ მეყო, რომ თქვენთან ზე სამუდამოდ კავშირი გამეწყვიტა... მოიტათ თოკი! მოიტათ თოკი... ჩამომკიდეთ! — ყვიროდა ვეფხვაძე.

დამქაშები შეკრთნენ: საქმე არ გახმაურდესო და არჩიეს ვეფხვაძე დამეშვიდებიანთ, მაგრამ ვეფხვაძე არ ცხრებოდა:

— თქვენ მე ლაგამი ამომდევით და თქვენს ნებაზე მატრიალებთ! თქვენ შემამძლეთ ელიკო... მე ბრმა ვიყავ და ისეთ უფესკრულში გადამჩხეეთ, რომ ახლა იქედან ამოსვლა აღარ შეიძლება... მოიტათ თოკი! ჩამომახრჩეთ!

ანცაძე აქანდი თუ შავს ღრუბელს ემსგავსებოდა, ახლა იცვალა ფერი და ვეფხვაძეს ალერსით მიმართა:

— რა გჭირს სამაგისო? დარჩი ჩვენთან ბოლომდე... ჩვენ ისეთი არაფერი დაგვიშავებია, რომ ვინმე თითი დაგვიქნიოს. თუ ხანდახან ქაფს აყრავდით, ეს ისე... ჩვეულებრივია... — სთქვა და ჩაიხითხითა.

ამ დროს მოვარდა ერთი ახალგაზრდა კოლმეურნე და გულზეთქებით ეუბნებოდა ვეფხვაძეს:

— გამომგზაუნეს... სასწრაფოდ... შეგატყობინოთ... ბაზარზე ვერაფერს ვყიდით და ფასებიც დაცეზულიაო.

— რატომ, ბიჭო, რატომ? — ეკითხებოდნენ ამბის მომტან ახალგაზრდას.

— იმიტომ რომ... მათეს მოუყვია სანოვაგე და დაწესებულ ნიხრზე ჰყიდის... რა ვიღონოთ, ჩვენც ნიხრზე გავყიდოთ, თუ უკან დავაბრუნოთ საწყობებშიო.

ვეფხვაძეს მეხი დაატყდა თავზე. საწყობებში აგროვა, აგროვა სანოვაგე არა მარტო თავის წვევების, არამედ ფული დახარჯა. და კერძო პირებისაგანაც შეისყიდა, როგორც დიმიტრისაგან მსურდა კარაქის შესყიდვა იმ იმედით, რომ მაზანდა აიწვევდა და მაშინ, თუნდაც ოდნავ ნაკლებ ფასში გავყიდა სხვებთან შედარებით, მაინც მოგება რჩებოდა აურაცხელი. მაგრამ ახლა ნაცარში კოვზი ჩაუვარდა. მთელი ჯაგერი და ბოლმა მათზე გადაიტანა, იძახოდა:

— ოხ, მათე, მათე! — მიუბრუნდა ანცაძეს და შეუყვირა. — არ მიეცით გასაშრჯელო?

— მივეცი! მივეცი! — იძახოდა ანცაძე.

— არ მისცემდი, შენ ისეთი უსინდისო ხარ, მის მისაცემს ჩაიჯიბავდი!

გაოგნებული ვეფხვაძე დაჭრილ მგელივით ღმუოდა. თვალები უზნელდებოდა. ვარშემო ვერც ნაცნობს და ვერც უცნობს არჩევდა. ეგონა, მილიონს ამოქაჩავდა, მაგრამ რაც კერძო პირებზე დახარჯა, იმასაც ვერ ინახლავდა.

სახლში მათეს ეძებდა. იპოვნა. იგი დიმიტრის უამბობდა ბაზრის ამბავს. დიმიტრი გულიანად იცინოდა და ამბობდა.

— ახია ვეფხვაძეზე! ჰკუა ისწავლოს, რომ კომერსანტობა ჩვენი საქმე არ არის. რაც შეეხება სანოვაგეს, რაჟი ვერ გაუყიდნია, დააბრუნოს საწყობში და წვერებს გაუნაწილოს. წვერები არაფერს იზარალებენ...

ამ დროს მივარდა ვეფხვაძე მათეს.

— ოხ! მათე! — და ისე რიგად ყვიროდა, რომ ხალხმა მიაქცია ყურადღება და დიდმა და პატარამ რკალი შე-

მოარტყეს. ნუ დაევიწყებთ, რომ ეს ამბავი ხდებოდა ნიკოს მკანაბერიძის თვალწინ. ვეფხვაძეს ან მის დამქაშებს რომ სცოდნოდათ ნიკოს ვინაობა, ასე აღვირახსნილად არ იმოქმედებდნენ. ნიკომ უთხრა ვეფხვაძეს:

— დამშვიდდი, როგორ გეკადრება, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბრძანდებიო.

— ეს ვინ ოხერი და მოთრეული მარიგებს ჰკუას, — სთქვა და თომას დაუწყო ჩხუბი:

— შენ კაცი ხარ? შე უპირო, შევარცხინე შენი ჰალარა.

ანცაძეც მიეშველა და მათეს უთხრა:

— მათე! შენ დიდი... დიდი, — უნდა ეთქვა უცხო სიტყვა: „ჟულიკი“, როგორც თვითონ ანცაძე იყო, მაგრამ დიმიტრიმ შეაწყვეტინა.

— რა გინდათ? რას ერჩით მათეს? მან ჩემი და ჩემი გამგეობის ბრძანება შეასრულა, დიახ, მე ვავეცი განაარგულება, რომ ბაზარი სანოვაგით მოემარაგებინა! და ასე მოვამარაგებთ, სანამ ახალი მოსავალი მოვა...

ვეფხვაძე თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა:

— რა მოხდებოდა რომ სამიოდე დღეს არ გაგეტანათ სანოვაგე?..

— რატომ არ უნდა გაგეტანა? ჩვენი ზრუნვაა სანოვაგე გავაიფოთ, შენ კი ესწრაფები სანოვაგე გაძვირდეს... მე შენი ქცევა მიმაჩნია დანაშაულად, დიახ, დანაშაულად...

ვეფხვაძე გადაირია. წონასწორობა დაკარგა. შედგა იქვე დაგდებულ მორზე და ხალხს მიმართა:

— ხალხო! მე ვცდილობ ჩემი წვერები გავაბედნიერო, მე მინდოდა ყელამდე ავსილიყვენენ, მაგრამ ხელს მიშლიან... კაცს რომ მიენდო, ხოლო იმან ხელი გკრას და გადაგჩეხოს... იცით, ვინ არის ასეთი უპირო და ვერაგი?

— თადეოზ ვეფხვაძეა! — გარკვევით და ყველას გასაგონად წამოიძახა ელიკოზ. ხალხში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ფოთლის შრიალს გაიგებდით.



— თადეოზ ვეფხვაძე და მისი დამქაშები, — გაიმეორა ელიკომ, რკალი გაარღვია და იმავე მორზე შედგა, რომელზედაც იდგა ვეფხვაძე.

— შენ... შენ... — სულს ძლივს ითქვამდა ვეფხვაძე და ბოლოს ანცაძეს მიმართა:

— მომავორეთ ეს დედაკაცი!

ანცაძემ დააპირა, მაგრამ აღვიღზე გაიყინა. ვერ გაბედა. იცოდა, ელიკო არც მას დანდობდა და ხალხში გააშავებდა, ელიკო პირში შეუღდა ვეფხვაძეს:

— შენი აბრუნდი მე კარგად მესმის. შენ გინდა შენი მარცხი და მთელი კოლმეურნეობის მარცხი მათეს გადააბრალო, მაგრამ შენ მაგას ვერ შესძლებ.

— გააჩუმეთ! გააჩუმეთ! — ყვიროდა ვეფხვაძე.

ახლა კი ხალხმა ხმა ამოიღო, ერთბაშად დაიძახა:

— ილაპარაკოს! ილაპარაკოს!

ანცაძე ხალხს შეეკამათა:

— როგორ შეიძლება... თქვენს თავმჯდომარედ არჩეულია დამტკიცებულია, ვიგინდარას ნება არ უნდა მისცეთ!

ხალხი არ ჩერდებოდა:

— ილაპარაკოს! ილაპარაკოს! ჩვენ ნებას ვაძლევთ!

ელიკომ ნაწნავი გადაიგდო და წყნარად დაიწყო:

— მე რასაც ვიტყვი, არ იქნება ცილისწამება. ჩემს ნათქვამს საბუთი დაადასტურებს. — ლაპარაკობდა ელიკო და მისი მტერ-მოყვარენი ოფლში იწურებოდნენ. ხალხი სულგანბული უსვენდა. ჯერ გაიხსენა ცხვირის დაცემინება და მოხუცი წევრის დაჯარიმება, რაზედაც მოუხდათ პირველი შეტაკება. ზერე გაახსენა ვაშლის წაღება სადღაც შორეულ ქალაქში, სადაც ანცაძემ და ბანცაძემ კილო სამ თუნად გაჰყიდეს, ხოლო კოლმეურნეობა ცარიელზე დასვეს. შემდეგ გაახსენა ყველში აღებული პრემია, მაგრამ უმთავრესად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ვეფხვაძე

იჯარას და ვაჭრობას უფრო მეტად ურადლებას აქცევდა, ვიდრე სხვანაირი წებს და საქონლის, თუ ფრინველის ფერმებს, ბოლოს ასე დაამთავრა:

— სხვაში თუ ნახა გადმონაშთები, ყვირის და ვითომ ებრძვის, ხოლო თვითონ რომ მოიჯარადრობს, სპეკულიანტობს, მაგის ცოლი რომ შემოაბას არა კადრულობს, ყველა ეს არ მიაჩნია ბურჟუაზიულ გადმონაშთებად. თუ რამეს ვეტყვოდი, შემომიტყვდა: როგორ მიბედავ შენზე უფროსს, სტაქიანსაო. ძველად რაც იყო, არ ვედავები, კარგობისათვის მადლობასაც ვეტყვი, მაგრამ დღეს რას აკეთებს? მაგის აზრით, ჩვენ ახალგაზრდა კომუნისტებს უფლება არ გვაქვს კრიტიკა გავუწიოთ.

ელიკოს მზილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი დიდხანს გონს ვერ მოსულიყო. გამოვიდა ერთი ახალგაზრდა და დაიძახა:

— მეც მომისმინეთ! მე იმ კოლმეურნეობის წევრი ვარ, სადაც ვეფხვაძე თავმჯდომარედ... მისი დამქაშები, აი ეს ხალხი, — მიუთითა ანცაძე-ბანცაძეებზე — არა მარტო დღეს, არამედ სხვა დროსაც გვაჭეზებდნენ, როცა ელიკო ილაპარაკებდა, ჩვენ ერთმანეთში ჩხუბი აგვეტეხა და ელიკოსთვის ლაპარაკის საშუალება არ მიგვეცა. ამით მე დავრწმუნდი, რომ ელიკო მართალს ლაპარაკობს. არ გვინდა ჩვენ აღარც ვეფხვაძე და აღარც ანცაძე-ბანცაძეები.

ამ ახალგაზრდამ თითქოს ხალხის გულს და თვალებს ფარდა ჩაძოხსნა და აზრი გაუნათა უცბად, ერთხმად იყვირეს:

— არ გვინდა! არ გვინდა!

ქაღარამოსილებიც ყვიროდნენ: არ გვინდა! არ გვინდა!

ამ დროს გამოჩნდა მოედანზე ყველას ნაცნობი ფოსტალიონი, რომელიც იძახოდა: დეპეშა! დეპეშა! სასწრაფო დეპეშა!

დიმიტრის ეგონა, ეს დეპეშა უკრაინელებისგან იქნებოდა.

— არა — სთქვა ფოსტალიონმა, — დეპეშა ცეკადან თადეოზ ვეფხვაძეზეა. ვეფხვაძეს ფრთები შეესხა და სიხარულისაგან ცას ეწია. დეპეშა ჩამოართვა და ხელში ააფრიალა. ხალხს ანიშნებდა: „უცქირეთ, ჩემს სახელზე დეპეშა ცეკადანააო!“.

ანცაძეს გადასცა დეპეშა და უბრძანა: — ხმამალა წაიკითხე, — ხალხს მიმართა, — თქვენ ჰეი, გაჩუმდით! წაიკითხე ხმამალა.

ანცაძემ წაიკითხა: „თადეოზ ვეფხვაძეს, „ალორძინების“ თავმჯდომარეს“.

— ეს მე ვარ და არა შენ! — გააწყვეტინა ვეფხვაძემ.

— „შეატყობინე ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ნიკო კახაბერიძეს, სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდეს!“

ვეფხვაძე თვალებს აცეცებდა. ანცაძეს ჰკითხა:

— სულ ეგ იყო? ვინ არის კახაბერიძე? ალბათ, რაღაცა შეცდომაა, გაუგებრობა.

წამოღდა მათე და უთხრა:

— არავითარი შეცდომა! ნიკო კახაბერიძე, აი, ეს ყმაწვილი გახლავს, წედან შენ რომ ოხერი და მოთრეული უწოდე. იქნებ კიდევ გაიშეორო მაგნაირი შექება, — სიცილით უთხრა მათემ. ვეფხვაძეს ცივი წყალი გადაესხა. თითქოს მოიცილაო, მუხლებში ჩაიკეცა.

ანცაძემ და ბანცაძემ ხელი შეაშველეს. თადეოზ ვეფხვაძე ნიკოს უცქეროდა და იძახდა:

— „კენტი კაკალა... სილა ლაწანი... ქრთამად ქანჭარი“...

ვილცამ დაიძახა: „უშველეთ ჰბოდავსო“, მაგრამ ეს არ იყო ბოღვა. მას გაახსენდა ნიკოსთან ლაპარაკი კენტის

დაწყვილებაზე, გაახსენდა ელიკომ რომ სილა სტეცია, გაახსენდა, რომ დიმიტრი რის მიწასთან ასწორებდა, გაახსენდა, რომ მათეს ქრთამი შეაჩეჩეს. — ანას ზედ დაუმატეთ ის მხილება, რაც საჯაროდ ელიკომ გადმოშალა და წარმოიდგენთ ვეფხვაძის მდგომარეობას.

გოგიამ იხუმრა და მისმა გუნდმა დააგუგუნა: „საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!“.

ვითომ ამით დასრულდა ეს ამბავი? არა! ვეფხვაძეს თითქოს სიზმრად ესმოდა, რომ მის მაგიერ ელიკოს არჩევენ „ალორძინების“ თავმჯდომარედ. ამის გარდა, ხალხიდან თითქოს ვილცამაც არაჩვეულებრივი ზემოთ დაიძახა:

— მოდის! მოდის!

ხალხმა გზისკენ გაიხედა და დაინახა: დიმიტრის ვაფიშვილი გიორგი. ტანისამოსი გამოეცვალა, თავი გადაეკრძინა, აღამიანს დაძსგავსებოდა. მას მხარზე შემოესვა პატარა ბიჭუნა, ცალი ხელი მანანოსთვის ჩაეგლო და იძახდა:

— მამაჩემო, აი, მოგიყვანე შენი რძალი და შენი შვილიშვილი!

დიმიტრი წინ მიეგება. ბავშვი ჩამოართვა და გადააკონა, მერე გიორგიც და რძალიც გადააკონა, თან იძახოდა:

— აი, ახლა კი ჩემი შვილი ხარ! ქორწილს გადაგიხდი და მაიორს თამადად დაეაყენებ! — აღტაცებული ეუბნებოდა თავის შვილს დიმიტრი.

გიორგის და მანანოს ხალხი ეხვეოდა, ბედნიერებას ულოცავდნენ. გაშტერებული და გარიყული მხოლოდ ვეფხვაძე იღვა. ანცაძე-ბანცაძეებიც კი შეზოძარცოდნენ.



## ბიოგრაფიული

# ჩირიკი და ჩიკობვანი

(ყარმობის მოგონებებიდან)

განა არ იყვნენ ჩვენს დაბაში განთქმული ადამიანები? გინდაც, შაბაშე-ლა — სოფლის დიაკვანი, პატრონი ულამაზესი, ახალგაზრდა ცოლის ზიზილასი. როცა ზიზილა სადღესასწაულოდ ქართულ კაბაში მოირთვებოდა, დიაკვანი ორივე ხელს ვაშლიდა ცოლის სილამაზით გაკვირვებული და აღტაცებით შეპლადებდა: „დაფარნა ცანი მშვენიერებამან შენმან და ქებითა შენითა აღავსო ქვეყანა! შე კურთხეულის შვილო, რამ გავაჩინა ეგრე ლამაზი?“

კიდევ? მოხუცი სამხედრო, გადაყრუებული, გადამტერებული „გიტარმაიორი“. ოდესღაც სიმღერა ჰყვარებოდა, ახლა კი, ხეზედ ამოსულ სოკოს აბედივით გამოშვრალს ყურში ჩაძახილიც ძლივს ესმოდა.

— ბევრი მათრია, მაგრამ მეც ძალის კუდივით ვათრიე წუთისოფელი! — ნულნულით კვებულობდა და ხველებ-ხველებით ხითხითებდა.

შემდეგ: მოქაქანე ჯუჯალა, რომელმაც ჭამა იცოდა სანამღვობე.

ჯუჯალას საათობით შეეძლო ემსჯელა, თუ რა სჯობია — ორაგული, მურა კალმახი, თუ მერწა ვაზის ფოთოლზე? რა უგემრიელესია? — ზუთხი, თართი, თუ ლოქო ძმრიან ქინძში? ქათმის ჩიხირთმა თუ ბატკნის ბოზართმა?

თევზეულობის დიდ თაყვანისმცემელს. სალაპარაკოდ უფრო სალიანის თევზეულობა ჰქონდა — კარგად გამოსული შამაია, ახალი ქვირითი და წითე-

ლი ხიზილალა! ეს იყო მისი ფიქრი და საგონებარაი!

კიდევ ვინ იყვნენ? — თოთოშა, ხატს რომ შეწირულ ფულებს ჰპარავდა ნიშიდან!

მედღქნე „ჩარიამა“, მის დუქანში ხშირად შეგხვდებოდა თამადა ხელში ყანწით, — პეტრე ერქვა, რატომღაც პავლეს ეძახდნენ: მოლაყბის ყბა ჰქონდა.

„ჰერიგიდი“, რომელზედაც იტყოდნენ: ეშმაკმა რომ სიარული დაიწყო, ფეხის აღგმა მაგან ასწავლაო!

კონდრო — თვალეწრო და წუწკი, ძუნწი. ღამ-ღამ, საათის „მაიატრეს“ ჩამოხსნიდა, არ გაცვდესო! განჯინა მუდამ დაკეტილი ჰქონდა, თუმცა, შიგერთი თეფში იღო, ისიც შუაზე გადამტერებული და მავთულით შეკრული.

პროვიზორი ანთა, რომელმაც, მეზუთე დღეს ამოავლო თავისი ფეხსაცმელიდან შიგ ჩამძვრალი, მოგუდული თავჯი, მანამდე სულაც ვერ გავგო და ეს ამბავი საკვებურად ჰქონდა, როგორც რამ საგმირო! პროვიზორის დიდი ფეხები ჰქონდა და კალწმებს ვარშავიდან იწერდა, რადგან მისი ფეხის ზომის შოვნა ჩვენში არ შეიძლებოდა.

და კიდევ ვინ? როგორ თუ ვინ? — ჩემი ორი კარის მეზობელი — ჩირიკი და ჩიკობვანი — ჩემი უღარდელი ბავშვობის დროის მოგონება!

ჩირიკი და ჩიკობვანი სიღარობით სხვის მამაპაპურ კოშკში შეხიზნულიყვნენ. როცა ერთი ოჯახის ქოთანში ლობიო ჩუხჩუხებდა, მისი სანელი ქინ-

ძის სურნელი მეორეს მისდიოდა სუფრაზე. ჩიკობავა ჩიჩიკის მალა ცხოვრობდა კომპში, ჩიჩიკი ქვემოში.

იციოთ კი, რა არის, ჩიჩიკი? ხომ გაგიგონიათ, — ყველა მიწვება, მოწვება, ჩიჩიკი ხეზე გაწვება!

ჩიჩიკი ყველაზე მოხერხებულია. ჩვენი ჩიჩიკი მართლა, ბედაური კაცი იყო!

ჩიჩიკის ერთადერთ ვაჟს, კიკრიკიკო ერქვა. ვადმოვდგებოდით ბაღლები სოფლის ბეჭობზე, დაეჭიმავდით ყელის ძაფებს და დავიძახებდით „კიკრიკიკოოოო! მკვირცხლი ბიჭი იყო, ხელგამომავალი, მოხატრებული.“

თავგზიანი ჩიჩიკი ძალზე მშრომელი იყო, უმეტესობის მუშაკი, დასაქმებაზე უარს არ იტყოდა. ცისკრიდან ბინდამდის მუშაობდა და იძახოდა:

ღმერთო, შენი ამაგი იყოსო. ჩიჩიკზე იტყოდნენ: ისეთია, სადაც ნემსს წესდებს, სახნისს გამოიღებსო. ჩოხის კონკში გახვეული შრომობდა... ხელდაკორძილი, ჯაფის კაცი, შინაც უღარიბესი იყო. შემატება-გადიდებზე სულაც არა ზრუნავდა, მდღევარ ლუკმისთვის იბრძოდა. თავდაბალი იყო, მაგრამ არაფის დაეჩაგვრინებოდა: — უსამართლობას ნუ მიზამ, შენი ჰირიმი, შესაწევარს კი არა გთხოვო, სანამდე გავიხარებდეთ, სანამ ერთმანეთს ვხედავდეთო!

ერთი ბუდრუგანა ვენახი ჰქონდა. ორიოდე ვაზი ედვა. ერთთავად ვაზებში ტრიალებდა ვაზებს მტლედ შემოდებული: ხან სარს უდგამდა, ხან ვაზს ჰფურჩინდა, ხან ჰყვავდა, ხან ვაზის ძირს ბალახს აკლიდა, ასუფთავებდა, აფხვიერებდა, ხან შაბიამანს ასხაშდა, გოგირდს აყრიდა, ხან რწყავდა, ხან ყრაულობდა. ვაზი კი არა, ვაზის კამწალეზიკი კი უყვარდა, — ვაზის ძაფეები... ვაზს ეხვეოდა, ჰკოცნიდა. თუ ვენახში ესტუმრებოდი, ხახალით მოგვებებოდა. — მებაღის ნობათით. ახალ-ახალი თარღული, დილის ცვარმომცვრული ხილი თვალს იტაცებდა ვაზებში ხილის ხეები ჰქონდა ჩარჩე-

ბული, როგორც ძველად იცოდნენ.

საღამოობით, ვენახიდან რომ შეიძინე გასწვება, ჩვენი სახლის წინ, შარაზე უნდა ჩაველო, მკლავზედ, ვენახში გამოთბული, გამომარგლილი რძიანა ღიპა ბალახი ეწყო მუდამ.

ვენახიდან დაბრუნებული ჩიჩიკი, ცოლს მხიარულად შესძახებდა:

— გაიხარე, ბაბაღე, ვაზმა რქა ცისაკენ ასწია! რა სხვილ ტევანს უჩანს პირი!

ჩიჩიკის საამაყო მისი ჩაეაშლებული ცხენი იყო. სხვა საქონელი არა ჰყოლია. ღარიბი იყო, მაგრამ მხიარული, ზუმარი, პირსიცილიანი, დიდად საღმიანი.

— ირემმა ირემს ბალახი მიუშვირო, განა თუ გაკლიაო, შეიძლება ღარიბები ვიყვნეთო ბალახზე, მაგრამ მდიდრები უნდა ვიყვნეთ საღამზე. ქართველი კაცის ყველაზე დიდი სიძლიერე საღამაო! — და შეხვედრისას დაგასწრებდა: საღამი, მამიშენის მწეს, საღამი!

— რა ვუყო, რომ ძროხა არა მყავს? მეწველი ირემები! სულ მე არ გავლწვი ტყეში? რო დავუძახო, მამინე ჩემს კარებზე მოქუჩდებიან! — იტყოდა უბაშეთერთებული ჩიჩიკი.

საღამოობით, სასოფლო ნახირს, დახვდებოდა შარაგზაზე, მიიომ შინ თავისი ხარ-ძროხა უნდა წაყვანა ისე, როგორც სხვა გლეხებს მიჰყავდათ შებინდებისას, სოფლის ორლობეში ცარიელ ხელებს იქნევდა, ნახირზე თვალშიმავალი:

— აქეთ გამოდი, ჯვარელა, მირეშა, ბულია, შავთვალავ! ფრთხილად გამოიარეთ, მარცვალა, დვინია, ორბია, შინდავ, ლაღე, ჩემო ნახირო, გამოდი! ეზოში ვაზი კი არ დამილეწო, ნამცენი არ გამიფუჭო, სიმიინდი არ დამიზიანო!

— გამოდი, დი-დო, დემფილავ, ჭურჭელი არ დამიბტვიო! — თან ჰაერში ხელებს ატრიალებდა, თითქოს აღარ იცოდა, რომელ ერთისთვის მოეგლო.

— გამოდით, მოიწველენით, ტავანა მზად არი! — და არც ეცინებოდა. თა-

ვისი სიტყვისა თვითონვე სჯეროდა.

ეზოში შესული დაიძახებდა: — დედაკაცი, საწველელი გამოიტანე, ძროხა მოწველე! — ცოლი თუ გუნებაზე იყო, გაიღიმებდა, თუ არა და, აკვნესებულ იტყოდა: ნეტავი შენ, მაგისი გული გაქვს და ბავშვები არ გეცოდება, ასე ადრეიან ჩაწენენ უკმელებიო! ჩირიკს ცოლი ძალიან უყვარდა. შეიღებზე მზე ამოსდიოდა: — კიდევაც დავიცემ დანას, თუ ჩემ შეიღებს მოჰშივიათო! მაგრამ... პური მუდამ გაზაფხულზე უთავდებოდათ, ოდოქლერს სკამდნენ ანუ ნედლ თავთავს, ხუზადნენ ცეცხლზე და ისე გადიოდნენ იოლას.

— პური მინდა, — ხშირად შესძახებდნენ ბალები დედას.

— განა მე პური მჭკიან, თქვე გასაწყვეტლებო, — შერისხავდა დამშეული დედა.

თუ ჩირიკი სრული, საცხე კაცი იყო, შავი მომხო უღვაშებით, მუხლადი, ჩიკოტელა ქოსა იყო და თანაც გრძელი, ყინულის ანჩხარით, ჯოყარით გამხმარი, გამხდარი, გაყინული, ცრიატი, წეროს მიჰგავდა. წოპწოპა ქული ეხურა.

ჩიკოტელა უსალმო, ყომრალი, ცადადრუბლული კაცი იყო, გულაკაცი, მზეობარი, თითქოს, ქვეყნის ტვირთი მისთვის აუცილნიათო. ადრეიან დღეს უგავდა თავპირი. სევდიანი იყო ციხის ნაშალივით. მუდამ უქმყოფილო, — ხან წვიმას უჩიოდა, ხან — უწვიმრობას, ხან ცოლს, ხან ცოლის ნათესაებს და უფრორე მეზობლებს და ყველაზე მეტს კი ჩირიკს. უთმობელი იყო. ჩანაბასრი სიტყვა იცოდა, არ ესმოდა, რომ ავი სიტყვა — ზამთარია, ტბილი სიტყვა — ზაფხული. ხელმოკერილიც იყო: ფეტი არ გაპვარდება ხელიდანო. ერთი სიტყვით, ნათლიადაც არავინ წაიყვანა.

საკვირველია, მის ეზოში, ხეხილი ხეხილს ეხვეოდა, ტოტი ტოტს, ყვავილი — ყვავილს, ჩიკოტელას კი მეზობლები სძულდა, სძულდა უფრო კი ჩირიკი. — მოსისხლე მტრად მიაჩნდა ამზობდნენ შურითო. სხვისი ნაშრომი

ჰშურდა. თვითონ კი უქნარა იყო, დღეობებსა და უქმედლებების მტრად უსაქნარო თავაყრილი ჰგავდა ჩიკოტელა. სოფელში სათვალსიეროთ გავლა უყვარდა, ზამთრობით კი, კიწაწი შემს არა ჰქონდა.

დიდი ზარმაცი იყო და დიდი მორწმუნეც. არცერთ საუფლო დღეს არ გამოსტოვებდა. უქმე დღეები კი, მაშინ ბევრი იყო. ან რა გასამტყუნარი იყო მორწმუნე ჩიკოტელა, მაგალითად, მაისში? ოთხ მაისს, „ჩიტის უქმე“ იყო, მერე „შვიდმაისობა“ — საგაზაფხულო გუთნების გატანა მინდორში და საღვთოები, იმავე დღეებში „ზღუდრობა“ იყო, პარასკევს, ცალკე დღეობა იყო „კობიაობა“, სეტყვის ასაცილებლად. მერე სამშო სუფრა „არიფანა“ და ამნაირად, მაისი სულ დროსტარებაში გადიოდა. მე ახლაც არ ვიცი, რით იყო გამოწვეული მაისში ამდენი დღესასწაული და ნადიმობა. მაგრამ ბუნებაც ხელს უწყობდა. ჩვენს ეზოში ვერ ვაივლიდი, ისე იყო მიმობნეული ვარდისა, ზამბახისა და იასამანის სურნელი. დაბადაგებული ცაცხეები, გადათაფლული აკაციები... ზედ ფშატის ყვავილის დამატობელი სურნელი როდღერთვოდა! მოდი ამ დროს და ქედი წაქარე სამუშაოდ. განა მართალი არ იყ: უმადლო ჩიკოტელა?

მზიარულ ჩირიკს კი, არც ერთი დღე ნადიმისთვის არ ეცალა. ის მართლა ქედწახრილი მუშაობდა. შრომაში დამტკბარი კეთილი იყო, კიდევაც უყვარდა „დაცემულთ აღდგინებანი“.

ჩიკოტელას ერთადერთი მურიანი გოგო ჰყავდა თეთრუა. შეიძლება ესეც იყო ჩიკოტელას სიზარმაცის მიზეზი, რომ ბევრი შესანახი არა ჰყავდა ოჯახში.

ერთხელ, სიზმრად ნახა, რომ თავისი სახლის კარაპანში, მარლის ქვის ყორეები ელაგა, ერბო, ყველი, ხიზილალა გულებით და გამოფხიზლებული თურმე ხელის ფათურით ეძებდა, ვითომც, მართლა ეწყო და ვიღაცამ ააღაგა, გაიტანა, მოჰპარა. დიდხანს შუბლზე

ხელს იფარაედა, ვითომც სიზმარი განეგრძო.

უფრო წარსულზე ოცნებით სცხოვრობდა ჩიკოტელა.

სოფლის სალაყობზე აღაპრებდა წარსულს თავისი ოჯახისას, რომელიც, ოდესღაც ისე შეძლებული ყოფილა, რომ ყმებიც კი ჰყოლია. შეიძლება, ბევრმა არც იცოდეს, რომ ძველად, ჩვენში, ყმიანი გლეხებიც ყოფილან!

— იცით, რა შეძლებული ყოფილა ჩემი მამაპაპა, გლეხობის კვალობაზე? მკვიდროვანი ოჯახი, კლდეზე მტკიცე, ქონებით აღმომდინარე, ნაშრომი, ნაწამართვეი. ძველადი მოსავალი, ხორაგი, საზრდო, პური, სათესლეც ცალკე გადარჩეული. ბელელი, ჭურ-მარანი — საესე! პაპისპაპა „ფეხდიდას“ საშოცი მარტო ნიკორა ზაქი ჰყავდა, საკუთარი გუთნიდებდა, საკუთარი მეზვრე და მწყემსი! ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭებო! ყოველივე სახლში გვექონია: ხამი, ტილო, მერდინი, ფარდაგი და ჯეჯიმი ხომ სულ სახლში იქსოვებოდა. საპონსაც კი შინ ვხარშავდით. ზეთსაც შინ ვხდიდით. არ გინახავს, ჩვენს ეზოში გელაზები? აღზევანშიც დავდენილვართ მარილზე. სალიანშიც თევზეულობაზე. ეგრე კი ნუ მიყურებთ, ბიჭებო! ჩვენს დერეფანში მარილის ქვის ყორეები კოშკებად იდგა, მარნის ბაქანზე, ხიზილალისა, ყველ-ურბოს საესე გუდები ელაგა!

— გინდ ბებია თავთუხას ჰკითხეთ! ეგ რომ პატარძალი მოეყვანათ, პაპაჩემს მაგის მყურებისათვის სულ ხიზილალა უქმევი თავმომბულ ჯამებით. ეგრე კი ნუ მიყურებთ ბიჭებო, ჩვენი ცხოვრება სულ დულდა და გადმოდიოდა... ჩვენ, ჩვენი წილი სიმდიდრე გამოვიარეთ, დავხარჯეთ. არ გაუფრთხილდით და მიტომ, ახლა არა გვაქვს არაფერი! მერე რა უყოთ... ეგრე კი ნუ მიყურებთ... და!

მართალი იყო ჩიკოტელა თუ არა, არავინ იცოდა, დახავსებული ყრუ დედაბერი თავთუხა ასწლისაზე მეტი იყო. დრო დააბერა ბებომ. მოწმად ვერ

გამოდგებოდა, სხვა კი არავინც დასაწყის-კომბა ჩიკოტელას ოჯახის ძველ სიმდიდრეზე, მაგრამ სხვას რა ედარდებოდა, ჩიკოტელას მდიდარი წარსული? ნათქვამია: სხვას სხვისი მკვდარი მძინარე ეგონაო!

— სიზმართა შუაა! — ელიმებოდათ მეზობლებს. თანაც სჯეროდათ ჩიკოტელას ნაუბარი. მაინც ჩიკოტელას მთავარი სასაუბრო საგანი — ჩირიკი იყო და მასთან დავა. ჩირიკი ჩემი მამულის მოჩემარიაო!

— გულზე ისეთი ცეცხლი მივიდია, როგორც ჩიბუხს! გამამწარა ჩირიკის ვენახმა, საზღვრების გადმოწევამ. ვერ დავჩუმდები, უნდა ვებრძოლო, ჰირი არ წავა უჭიროდ, თუ ჰირის დედა მთელია. ცეცხლს წყალი დროზე უნდა მიუღვარო!

სად ეცალა საწყალ ჩირიკს ჩხუბისათვის, ან რას ემართლებოდნენ? მაგრამ შური უძლეველია. ღვარძლსა და შურს დაეპურო ჩიკოტელას გული.

უწინ, როგორც ამბობენ, ღვარძლი არა ყოფილა. ერთხელ, ერთ კაცს მეზობლისას გადაუვლია კალოზე, შეუხედია გორად დამდგარ პურის ხევი-სათვის, მოსწონებია, ერთი მუჭა ხორბალი კიდევ აუღია და გულში ღვარძლიანი ფიჭვი გაუვლია, ხორბალი ისევ დაუყრია ხევეზე, მაგრამ ღვარძლად ქცეულა, მას აქეთ ღვარძლი გამრავლდა პურში და ადამიანის გულშიც!

ჩიკოტელას დავა ჩირიკთან ვენახის მიჯნა — საზღვარი იყო, ნაპირყურეს ედავებოდა: — ჩვენი მამულები ტოლი და დარია, ბარდიბარია, მაგრამ თვალდათვალ მტაცებს, სამეტოში წილს იღებს, შემაზავთა, დანის ყელზე მიმიყვანა! გველის ფხაში გავძვრები და არ შევარჩენო — ყვიროდა მეზომტეხი სიტყვებით.

ჩირიკი სულ უდანაშაულო იყო და, რასაც ჩიკოტელა აბრალებდა, სიზმრადაც არ მოჰლანდებია! ჩხუბის დროს ჩიკოტელა გამოიტანდა მინდის ჯოხზე დახვეულ, გაყვითლებულ გრავნილ-სიგელს, ჰაერში ატრიალებდა და გაჰკი-

ოდა: — აქა სწერია, აქ, ჩემი ნამდვილი მიჯნა და საზღვარი!

ნასყიდობის სიგელში მართლაც ეწერა მამულის საზღვრები: „ზეით, რუის პირზე ორი ვერხვია, — სამძღვარი ის არის, ქვეით — პატარა მუხაა. ქვემოდ კიდევ — დიდი ნიგვზები. იმას ქვევით, სამი ტოტი თუთის ძირია. სამძღვრები ეს არის. ამის ჩამოსწორ, წყლის პირას, კიდევ ორი ვერხვია ტყუბათო“.

მოდო, ახლა და იპოვე ორასი წლის მერე ის მაშინდელი ორი ვერხვი, ის პატარა მუხა, ის დიდი ნიგვზები, ის თუთის ძირები და ის ტყუბი ვერხვი! ეჰ, მათი მტვერთა მტვერიც კი აღარ იყო ამ ქვეყნად, სიგელი ხომ ერეაღლე მეფის დროს იყო დაწერილი. სიგელის გულუბრყვილო დამწერლებმა თავის-დაუნებურად, ეს ორი მეზობელი ორასი წლის შემდეგ წაჰკიდეს ერთმანეთს და თუმცა მათივე სიტყვებით, იგი სიგელი იყო „უმანკო, უმიზნო“, „უცვლელი, უქცეველი, მოუშლელი, სამემკვიდრო, საბოლოო“, მაგრამ სწორედ ეს ბრძივი სიგელი გახდა მათი შფოთის დედა. ხომ ამ სიგელმა შესაზღვრა მათი ვენახები?.

სულ ამ ვენახის მიჯნისათვის ეჭინჭრებოდა ჩირიკს გულნამცეცა ჩიკოტელა. ბოროტ გზასაც არ უერიდებოდა. იმდენი ქნა, ის დიდი კაკლის ხე, რომლის ჩრდილი ჩიკოტელას მამულში გადადიოდა ჩხუბისა და ყარყაშისაგან გაბეზრებულ ჩირიკს მთლადაც მოაჭრევინა.

ერთხელ, მის ვენახში შემთხვევით გადასული დადებულელი ვარია ტაბიკით მოუტლა. ერთხელაც, მიჯნას აქეთ წამოწვდილი ჩირიკის ბუდეშურის ხუთი ვაზი წაღლით გადაკაფა, როგორ თუ სხვისი ვაზის რტო შეეხო მის წილკერძს!

ბევრჯერ კიდევაც გადასწყვიტა ჰირდებულმა ჩირიკმა ვენახის გაყიდვა ან სხვაგან გადასახლება, მაგრამ როცა ვენახის მუშტარი მოუვიდოდა, თვალზე ცრემლი მოადგებოდა და საკუთარ ოფლით ნაპოხი მამული არ ეთმობოდა.

— რას გადამეშარა, რა ვქნა, რა მაქვს სხვისი დასაჩემი? რა გასაჩენი იყო ღმერთო, ეს ჩემი საქმის დამცარავი — ეს მეჩახმახე, ონავარი?

ჩირიკის ძირიანად ამოვარდნის ნატრული იყო ჩიკოტელა.

— ზმმ! — შეზმუვლებდა ზოგჯერ მტრის სიცოცხლით შეძრწუნებული.

— ჰმმ! თითქოს შიგნიდან იყო დაჭრილი, დაკემსილი; ბევრჯერ წინასწარ დაუღევია ჩირიკის შესანდობარი ფილა, მაშინ, მისი გული მკედლის ქურაზე ცხელი ხდებოდა. მომუქავდა ხელს მინაცრებელი გამაგრული და წაიზმუვლებდა — უუუ! და მტრის დასაძლევად ნატრობდა თავის გავლილ ძალას. თუმცა სულაც არ ჰქონდა სამამაცო გუნება.

— შენ რას უხამ ჩირიკს? ვერ მოერევი. შესახედავად, დახედულობით სუსტი ხარ, ვერ შეედრები. მძლავრი მტერი გყავს, ტანით ძლიერი!

— აბა, დაძხედე, ამ პატარა წყალს და თან ხელს მიიშვერდა სოფლის ნაქადულზე, — რამდენი აკალი მოუგლიჯია ადიდებულზე, რამდენი ცაცხვი, ალვისხე? ხომ გახსოვს, მაშ, რაღად მეუბნევი?! ახ, თუ ერთი ავიწყვიტე?!

— არა, ნუ აუჩქარდები ჩირიკს, ნუ!

— მართებული სიტყვაა! ჩაერეოდნენ სხვებიც.

— უუუ! უამებელო სიცოცხლევ ჩაიყენესებდა გულში, გულნაკლული ჩიკოტელა.

— ზოგ კაცს პირზე თავისი ბედის ნათელი აფენია, ჩემს ბედს კი, სძინავს შუა გზაზე, მტვერში გამოტილს, უზრუნველს, უსირცხვილოს!

გადიოდა წლები, ამასობაში ჩირიკი კი არ კვდებოდა, პირიქით, გამრავლდა, კიდევაც ტყუბი გოგო ეყოლა.

— ძველი დავაგდოთ სათქმელად, არც არა საუბნარია! — ურჩევდნენ ჩიკოტელას.

— ვერ გამტეხავთ, ლაშქარნო! შემალღებული ხმით ეტყოდა გულზე შემეჯდარი ჩიკოტელა შუააკებს, მთლად შეჯავშნული ჩირიკის სიძულელით.

— ჰხმე! მომეწყურა ჩირიკის სისხლი ისევ დაიზმუვლებდა თავისი კოშკიდან და კოშკზე აფრენილ მამალს თავდაყირა დაუშვებდა.

— რა მოგივიდა, რას გეჩხუბებდა, როგორ იყო, რად გაწყენინა? რაზე დაობო? — შეეკითხებოდნენ. კეთილი ჩირიკი მბრებს აინეჩავდა, წყნარად იტყოდა:

ბუბუღმა სოქვა, გამოვიკრდა,  
შაშვა რასმე წამეკადა,  
უკადრისი ზიტყვა მკაჯრა  
ვაი, აჟად მაშეკადა!

ერთხელ, პირშიც უთხრა დამთმომ ჩირიკმა ჩიკოტელას: რას მეფურტყენები, მარგალიტის საყელო ზომ არ ავაკერო? საპასუხოდ ჩიკოტელა ხელში ააფრიალებდა სიგელს, რომელიც თავისთავად იხვეოდა შინდის ჯოხზე — ამან იცის, ამან! აქა სწერია ჩემი სიპართლე! თქვენ არ იცით, — მიჰმართავდა მეზობლებს, — რა ხარბია, როგორ აღიდებს ღამ-ღამობით თავისი ვენახის სამზღვრებს. ეგ ჩემს მტრობას არ მოიშლის, მეორედ მოსვლამდი!

ზოგი ბოროტი მეზობელი აფრთხილებდა:

— მტერი არ მოჰშლის მტრობასაო!

— ხმალს ნუ შეაქმევ უანგს ცოდოა!

— ამ სიგელმა იცის სწორე საზღვარი, მაგრამ ვინ იჯერებს? კენესიანი ხმით დასძენდა ჩიკოტელა — რას არ იტყოდა ნაეკლარი გული, აბორგებულის სულის სიმწარე?

— უნდა გათავდეს! ამ შემოდგომაზე ვეღარ დაიჭიროს ჩირიკმა ხელთ მაჰრის ჯამი! და სველით საესე თვალს აქეთ-იქით ატრიალებდა.

ჩირიკი?.. აინუნშიც არ იყო! შეთვალულ ყურძენს შეჰხაროდა! — წრეულს, კიდევ უნდა ვუმატო ვენახს რქაწითელი, — ფიქრობდა ჩირიკი და ხალხიც კერს უტრავდა: უდაბნოს დაასხმევიწებს სწორედ-ო!

— ღმერთო და პირიმზევე, შენ გეწყალობდე! ეს იყო ჩირიკის სალოცავი. სად ეცალა ჩხუბისა და ყარყაში-

სათვის, თუმცა ჩიკოტელა დაუღალავი მეშფოთე იყო!

— აგერ, მოილაზვრება პირქვე დასამარბავი! იტყოდა გაშვარკინებული ჩიკოტელა, ჩირიკის დანახვაზე.

კეთილ ჩირიკს პირსიცილი მოსდიოდა. — რაზე იკლავს თავს, ეგ უბედური! კაცი მიწამტვერიაო, დღე არა აქვს ბევრიაო!

ჩიკოტელა კი გაიძახოდა: ჰაიდა... მანახა მაგისი შენგრეული გულის ფიცარიო, სისხლი შეესხას ჭებისთვისო!

— სული დაგიმძიმა განა, შე უბედურო, შეუწყრებოდა ღვთისნიერი ცოლი თაშნეურა.

— მაშ, რათა ვარ ბედ-გაკვანძილი, სად არი ღვთის ნამატები, გამარჯვებულება? — მოთხარი, ტირილის ხმით შესძახოდა ცოლს, საქმეზე თავდაუდებელი, მაშ, რათა ვართ ღარიბები! განა ჩირიკის ბრალი არ არი ჩვენი სიღარიბე? დატრამლდა გული!

თაშნეურა, მუდამ თაფლოვანი სიტყვის პატრონი, ამართლებდა კეთილ ჩირიკს, მაგრამ შეშფოთებული ჩიკოტელა სეტყვის ქარივით ეცემოდა:

— მაშ ჩემი მიჯნა აქეთ არ გადმოსწია? მაშ ის ხუთი ვაზი რა იყო, მიჯნის გაყოლება?

— რა გაგიხდა ეგ ხუთი ვაზი? განა ხუთი ვაზით აცხოვრებ ოჯახს? — უპასუხებდა სათნო ცოლი.

— რატომ არ მიჰყავს სიკვდილს ჩემი მტერი? ეგ უნდა წავიდეს ჩემზე ადრე, საიქიოში ჩირიკმა უნდა შემოდოს შევეთის კარები! — არა ცხრებოდა ჩიკოტელა.

— კარგი, გეყოფა, ზორმაკეულო, ცულათთარო! — ეტყოდა თაშნეურა. მატყლის მჩეჩელი საწყალი ქალი გავიდოდა და ეზოს ვარდთან ჩამოჯდებოდა, იქ უყვარდა ყოფნა, პირჯვარს დაიწერდა — წმინდა გიორგი, შენ გვიშველე! ჩიკოტელა გახშირებით ოხრავდა... ან გადავიდოდა მეზობლისას ისევ, შესჩივლებდა, კირის თქმა ხომ დამწვარი გულს ანელებს!

— კირს ნუ დაუწეები, უფრო და-



გაწევბა სთქვი, გულის საწნების აღი-  
ზიანებდა თვალმაქცი მეზობელი. ჩი-  
კოტელა ასჯერ მეტისას ამბობდა, ის  
კი არ იცოდა, კოკობი რომ აღუღდება,  
გადმოვა და კოკობივე დაიფუფქება!

საკუთნოს მუდმივ დავაში მიდიოდა  
ჩიკოტელას ბალაშიანი დღეები! იყო  
შემთხვევა, მართლაც ბეწვზე ეკიდა  
ჩირიკისა და ჩიკოტელას სიცოცხლე!

ივრის ლერწმოდან-ჩალიანებში, მდი-  
ნარის ტოტზე გადაწოლილი, გადაბარ-  
ჯლული გრძელი, გამხმარი ვერხვი  
იღო, ის იყო ჩენი ხიდი აი, სწორედ  
ამ ხიდურაზე შეხვდა ერთ დილას  
ეს ორი უმძრახი, ნაწყენი მეზობე-  
ლი. ვინ იცის, რა უბედურება უნ-  
და დატრიალებულიყო იმ ხმელ ვერ-  
ხეზე, მაგრამ არ დატრიალდა! ამპარტი-  
ვანმა ჩიკოტელამ გზაუქცევრად, თავ-  
დაუხრელად სცადა გავლა და შიგ  
წყალში კი გაადინა ტყაპანი!

ჩირიკმა ღიმილით გაიარა თავისუ-  
ფალი ხიდი და შეერია ვენახს.

მეორე დღეს, შეშფოთებული ჩიკო-  
ტელა ძიობდა სოფელში:

— ვინ გაიგო, ვინა სთქვა, ვის გაე-  
ხარდა-ო?!

ერთ ზამთარ, თოვლში რომ მოემ-  
წყადა სოფელი, უსაქმურობით შეყელ-  
თებულმა მეზობლებმა ითავეს და შე-  
რიგების შუაჯაცებად ორი დარბაისელი  
მიუგზავნეს, — ივანე გოჭიყლაბა და  
ბეცია ბატიყვლეფა.

— გეყოთ! დავა, შფოთი, ჩაარონინე-  
თო! — მაგრამ არაფერი გამოვიდა. უთ-  
მობელი ჩიკოტელა ისე გაიბერა, თით-  
ქოს ქვეყანას დასჭირდა მისი თავიო!  
მშვიდი, გულქართლი, თვალებიდან გა-  
მომცინარი ჩირიკი აწყნარებდა მეზობ-  
ლებს, დაანებეთ თავი, მაგ სიტყვაპრ-  
ტყელსაო! გულძვირობას არ მოიშ-  
ლისო!

და ერთ დღეს, მოხდა სასწაული  
გამოვიდა მთხრობელი მათი შერიგები-  
სა, თუმცა კი არავის სჯეროდა.

საქმე ასე ყოფილიყო:

იორგალმა, აზამბურის მინდორში, ყა-  
ნის მკის დროს, ჩიკოტელა ვაცივებუ-

ლიყო. იორი გამოეტობა, ჩიკოტელა იყო  
სოფლისკენ დაემარბა, მაგრამ მარამ  
მუხლმოჭრილი, სიცხისაგან მოკვეთი-  
ლი, გზისპირად, მთვრალი კაცივით  
მივდებულყო. იქნებ, სამადლოდ, ვინ-  
მემ შინ წამიყვანოსო! მგზავრი არ გა-  
მოჩენილიყო, არც ურმებს გამოეც-  
ლოთ! ეგდო საბრალო ჩიკოტელა კაპ-  
კაპ-ყორანთა საწიწქნად, მგელთა საგ-  
ლეჯად! გმინავდა და ღმერთს ებეწე-  
ბოდა ძე-ხორციელის გამოჩენას. მზე  
კიდევ ჩადიოდა... სოფელი არც ისე  
აბლოს იყო... უნუგეშინისცემო ჩიკო-  
ტელა სიცხისაგან გათანგული გმი-  
ნავდა...

სწორედ ამ დროს, როცა მზემ უკა-  
ნასკენელი სხივები ჩაწურა ჩასავლეთში,  
გამოჩნდა ივრიდან მომავალი, იცბთ,  
ვინ? თითონ მიხვდებით! ჩიკოტელა  
შეკრთა, შეიკუმშა, ფარაჯაში შეძვრა,  
როგორც კუ სქელ ბაქანში, ნეტამც არ  
დამინახოსო!

ჩირიკი მიუახლოვდა მწოლიარეს,  
ისიც შეკრთა, და... თითქოს ვერ დაინა-  
ხა და ისევ გზა განაგრძო... სიცხიან  
ჩიკოტელას ერთი პირობა კიდევ გაე-  
ხარდა... მაგრამ ჩირიკი უკანასკნელი  
სასოება-და იყო მისი და თუ ჩირიკი  
არა, შეიძლება, ჩიკოტელა მართლაც  
სამკლედ გამხდარიყო. მცირე ყოყმანის  
მერე, ჩირიკმა ცხენი მოაბრუნა, ჩა-  
მოხდა, ჩიკოტელას მიუახლოვდა:

— ეგ რა მოგსვლია, ბეჩავო? —  
გაუბედავად შეეკითხა.

— არაფერი! — მორცხვად ამოთქვა  
ჩიკოტელამ.

არც აცია, არც აცხელა ჩირიკმა და  
პირშეწილებული, დვარძლიანი მტერი  
გავაზე შემოსივა და სოფელში წამოიყ-  
ვანა. მოპყავდა და თან არიგებდა: სი-  
ცხიანი ხარ, წელზე ხელი მაგრად მო-  
მიჭირე, ცხენიდან არ გადმოვარდეთ!  
ჩიკოტელა გაბუყული იჯდა და ხელს  
მოხათრებით უჭერდა წელზე ნამტე-  
რალს. სოფელში ერთი ღრიანცელი  
ატყდა. არავის სჯეროდა, თუმცა სა-  
კუთარი თვალთ ენახათ. ისიც ეგონათ.  
ალბათ, ჩირიკმა აჯობა ჩხუბში, შეკრა

და ახლა: მამასახლისთან წარმოადგინაო! — ხმამალა გაიძახოდნენ: ჩირიკი-მა ტყვე მოიყვანაო! ბევრიც იცინეს!

ერთი თვე ეს ამბავი ჰქონდა სოფელს თავშესაქცევრად.

დაყარა ფარხმალი ჩიკობელამ. დაჩუმდა, რალს იზამდა? გაკვირებული იყო ჩირიკის საქციელთ.

ამას მალე სხვა უარესი ამბავი ზედ დაერთო: თავში რომ ვთქვი, ჩიკობელას ერთი მურიანი გოგო ჰყავდა მეტქვი, გახსოვთ? მაგრამ ვიდრე მოთხოვრების ბოლომდე გავიდოდი, ამასობაში, ის მურიანი გოგო უკვე წამოჩიქდა, წამოიზარდა, ძუძუ დაეტყო, გაიზადრა. — მართლაც ქოჩორა მტრედი ჩამარგალიტებული გოგო დადგა თეთრუა. ლურჯთვალა, შავწამწამშაბურული, დანუკრებული...

და რას არ იტყვის, ჩიკიკის ენა! — ერთხელ, შუადღისას, ვენახი რომ შეზვერა, ჩიკობელას ვახის ბურვილში შემოესმა ნაზი სიტყვები: „შენი ქოჩორის მონაგლეჯი დამწვარ გულზე დამაყარე“!-ო.

— ამიყვანე, წამიყვანე! — ისევ ისმოდა ნაზი ხმა.

ნასმენალის მერე, ჩიკობელამ ფრთხილად გადასწია ვახის ფოთლები და რა სახილავი ნახა! ზედ მიჯნაზე მისი თეთრუა ისე ჩაჰკეროდა ჩირიკის ვახს — კიკიკიკოს, რომ ხმალიც ვერ გააცილებდა ერთმანეთს!

ჯერ კი შეიცხოვა — აი, შე სვეტიცხოვლის დამქცევო! ეს ლა შეჰყვირა გაოცებულმა ჩიკობელამ; ბიჭი და გოგო ქვეით გარბოდნენ ქიგოების ლაწულწით. რამდენი ვახი წაიქცა! ჩიკობელა გაშეშებული იდგა, სიტყვა ვეღარ ამოეგო. ეხლა მიჰხვდა, რად ელამუნებოდა თეთრუა მეზობლის ბიჭს. მიჰხვდა მისახედომარს: ვაი, თავბედო, ახლა ქალიც მტრისკენ მიდიოდა, მიცურავდა, ეენახიც! მიჯნა მთლად უქმდებოდა! ჩიკობელას ხომ ერთადერთი ქალის მეტი არ ჰყავდა?! ერჩივნა ქვესკნელის ფსკერში ჩამძვრალიყო, მაგრამ რა ექნა?

თამუნურას ძალზე გაეხანდა! მტრედიას ამბავი, კიკიკიკო ხომ ყველას უყვარდა.

ერთი კვირის მერე, ჩირიკმა დატალახებულ ქვევრს მოჰხადა... ახლა, ჩირიკი და ჩიკობელა ერთად უნდა დამსხდარიყვნენ საქორწილო სუფრაზე. ერთმანეთისთვისაც უნდა ეკოცნათ ღვინის ჯამებით ხელში, ასეც მოხდა...

რამდენიმე წლის შემდეგ, მე დაეინახე, ორივე პაპას ხელი ჩაეჭიდნათ შვილიშვილისათვის და ფეხის ადგმას ახწავლიდნენ აყვავებულ ნუშის ქვეშ.

ასე აჯობა მტრობას სიყვარულმა! უმსგავსი საქმე ყოველი, მოკლეა, მით ოხერია!

ამ პატარა, გვრიტულა ბიჭუნამ, რომელიც ახლა ორივე პაპას ტაბით დაჰყავდათ, თავისი ფუნჯულა თათებით საბოლოო სამარე გაუთხარა ორი ადამიანის მტრობას.

გავიდნენ დრონი. ბევრჯერ წითლად გადაუარა მზემ ჩვენს სოფელს. ბევრი ვარსკვლავი დაკვივდა... ბუნებამ დალოა ჩირიკისა და ჩიკობელას ჯანიც...

ძალზე დაუსუსურდა შრომით დაძალული ჩირიკი. ოჯახს კიკიკიკო გაუძღვდა, მაგრამ მოხუცი თავის საყვარელ ვენახს თავს არ ანებებდა. თუმცა ვენახი მას აღარ ეკუთვნოდა, სოფლის საერთო მამულად იქცა. მაგრამ ჩირიკმა ვერ გაიგო, რამდენიც არ აუხსნეს, ვერ მიხვდა. მის გონებაში კერძო საკუთრების გრძნობა ვერაფერმა ვერ შესცვალა. ახლა, პირიქით, მთლად ვენახში დაიდო ბინა... აღარ გამოდიოდა. ვერ და ვერ მოაშლევიანეს ვერც შვილმა, ვერც შვილიშვილმა, ვერც სოფელმა... ისევ თავს დასტრიალებდა ვახებზე თავისი მიქანცული მარჯვენით.

ეგვეც ერთი ქინი ყოფილაო. დაე, ეგ ქინი მოიკლასო!..

და ერთ აღდგომა დღეს, ჩირიკის საბლიდან გლოვის ხმა გამოისმა, — ჩირიკი აღარ არიო!

თურმე არც აღდგომა ღამეს მოჰშორებია ჩირიკი საყვარელ ვახებს. ვახის ძირში, სააღდგომო სანთლები დაენთო,

სუფრა გაეშალა, ლიტანია შემოველო ვენახისათვის, მერე მიმჯდარიყო ვახის-ძირში, გულზე ხელები დაეკრება და მიცვლილიყო...

შვილიშვილს აღდგომის წითელი კვერცხები ჩაეტანა ვენახში და ვერე კი ენახა!

რა დაემართა ჩიკოტელას? წოპწოპა ქუდი პირზე მიეფარა და ტიროდა — ვაი, ძმაზე მშებულოო! თითონაც სიკვდილი ეხედებოდა... მეორე კვირას, ჩიკოტელა ჩირიკს გვერდით მიუწვინეს. ერთი ავი მეზობელი, ვითომდა გულ-შემატკივარი, დანანებით ამბობდა: ბარემ ერთ დღეს დახოცილიყვნენ, ორი

ქელებს ხარჯით ოჯახი არ დამძიმდებოდაო!

შ ი ზ ლ ი რ ი თ ე ჯ ა

მე ხომ კარის მეზობელი ვიყავ, შემატყობინეს ქალაქში, მთხოვეს დავსწრებოდი მათ დამარხვას, მაგრამ ვერ შევძელი, პატივი ვერ ვეცი, ზინჯად კი ჩამრჩა გულში, ბევრი დრო გამიტარებია მათთან პატარაობისას, ბევრჯერაც გარჯილან ჩვენი ოჯახისათვის!

ახლა, ამ მოთხრობაში, ასე მგონია, ვალი მოვიხადე მათი აჩრდილების წინაშე, ავწერე რა ჩირიკისა და ჩიკოტელას მტრობისა და სიყვარულის ამბავი, გულის გადასაყოლებელი და გასაღიმებელი...



მადეა ამისუაფხვი

ჩემი კაცობის მასწავლებელი

მასწავლებელი  
მარტო ის კი არ იყო ჩემთვის,  
ვინც ანაბანა  
შემასწავლა სკოლაში ყმაწვილს;  
მასწავლებელი  
იყო ჩემთვის ის უსწავლელიც,  
ვინც სამამულე  
რქა შაჩვენა დაკვირტულ ვაზზე.

მასწავლებელი  
მარტო ის კი არ იყო ჩემთვის,  
ვინც გამოსაყვან  
ამოცანებს მიწერდა ცარციით;  
მასწავლებელი  
იყო ჩემთვის ის უსინათლოც,  
ვინც ამომავალ  
შხეს უმღერდა იფნის ფანდურზე.

მასწავლებელი  
მარტო ის კი არ იყო ჩემთვის,  
ვინც გათლილ ჯოხით  
მიჩვენებდა გლობუსზე ქვეყნებს;  
მასწავლებელი  
იყო ჩემთვის ის მოგზაურიც,  
კზაჯვარედინზე  
ვინც სწორი გზა ვამაგნებინა...

მასწავლებელი  
მარტო ის კი არ იყო ჩემთვის,  
ვინც ნებისყოფას  
მისინჯავდა ბეჯითობაში;

მასწავლებელი  
იყო ჩემთვის ის გუთნისდედაც,  
ვისაც ღრმა ხნულში  
მარცვალ-მარცვალ სცვიოდა ოფლი.

მასწავლებელი  
მარტო ის კი არ იყო ჩემთვის,  
ვინც ქვეყნის წარსულს  
მიყვებოდა წაკითხულიდან;  
მასწავლებელი  
იყო ჩემთვის ის ცელქი ბაღიც,  
ვინც მცხეთის ცის ქვეშ  
საქართველო ახსენა უტბად...

მასწავლებელი  
მარტო ის კი არ იყო ჩემთვის,  
ვინც სილამაზეს  
მიხატავდა ჩემი ქვეყნისას;  
მასწავლებელი  
იყო ჩემთვის, რომელსაც უთქვამს:  
— გატენილ თოფზე  
სძინებია საქართველოსო!...

მასწავლებელი  
მარტო ის კი არ იყო ჩემთვის,  
ვინც სიბრძნის წყაროს  
დამაწაფა სიყმაწვილიდან;  
მასწავლებელი  
იყო ჩემთვის თვითონ ცხოვრებაც,  
რომლის წინაშე  
მზად ვარ დღესაც დასაჩოქებლად!...



ქალა გოგონიძე

ორმოცი წელი

ორმოცი წელი, ორმოცი  
გამარჯვებათა წელი,  
მითქვამს სიმღერა მოლოცვის,  
სიმღერა — გულის მწველი...

ჰქუხდეს სახოტბო შაირი,  
გულით ნათქვამი მართლად;  
ჰანგები ნაირ-ნაირი —  
მზის გაელვება ნათლად...

ჩვენი ყანა და ზეარები,  
ჩვენი დოვლათი სოფლის;  
ლექსთა ნათელი ბწყარები,  
გმირთა სისხლი და ოფლი.

ჰესები, სასახლეები,  
ხიდები, გზები, დამბა;  
ცად ატყორცნილი ხეები.  
ქალაქ-სოფელი, დამბა...

ჩაი, სიმინდი, თამბაქო,  
ციტრუსოვანთა ბალი,  
ქართველმა, როგორ არ ვაქო  
ჩვენი ცხოვრება ლალი.

მტრის დამარცხება, ხალისი,  
ძღვევის დროშების ელვა;  
ჩვენი ბრწყინვალე მაისი,  
მეგობრულ გულთა ღელვა.

ორმოცი წელი, ორმოცი  
სიმღერა გულის მწველი,  
ასიათასჯერ მოლოცვის  
და გამარჯვების წელი...

ღერო სულაბერიძე

თუ ძმა ხარ

და ასე მოხდა...

ასეთია ბედი თამაშა...

თვალთა გუგებზე

ყრმობის ცრემლი აღარ ამასრა.

სულ ერთი ციკქნა ღელე მქონდა

გადასაცური.

მეჩვენებოდა

ის ბოსფორად, ანდა ლამანშად.

სულ ერთი ციკქნა ღელე იყო,

გერ გადაელახე,

შენ გადასცურე,

შე გამოღმა დაერჩი კიდებზე.

და ერთხელ ჩემი ყრმობის ლანდი

ისე ვავლახე,

მე თვით მეტკინა

და ბავშვივით ამოვიკვნესე.

არც გიციობ კარგად,

ვიცი მხოლოდ, რომ ხარ იმასთან,

ვინც ჩემი დიდი სიყვარულის

ჭრის სათავე...

რა ვუყოთ მერე,

ყრმას ოცნება თუ დამიმარცხდა,

ამ ქვეყნად დიდი გზებია და

ვივლით სამთავე.

რა ვუყოთ მერე,

არ გამიწყრე, იმას გაფიცები

გაუმხელელი სიყვარულიც

ტკბილია, ტკბილი.

ეჩებ ულრან ტყეში

ჯერ ხელუხლებ ხეებს საფიცრედ.

ვერ მოვიჩებე,

რაც ჩემშია ბავშვობის წილი.

ჩემს სიოცხლესი

მე არასდროს არ მითქვამს, არა.

ახლა აღმომხდა,

ვაქკაცურად უნდა გაგანდო.

თქვენი დიდი გზის მლოცველი ვარ

მარად და მარად,

თუ ძმა ხარ, ეკვმა ჩემდა სამტროდ

არკი აგანთოს.

ვლოცავ თქვენ ღღეთა

ყოველ დილის გასხივოსნებას.

მდინარეებს აქვთ

ანკარა და წმინდა სათავე.

ნუ გამიწყრები,

თუ თან დამღვეს ყრმობის ოცნება...

ამ ქვეყნად დიდი გზებია და

ვივლით სამთავე.

აპაკი ბელიაშვილი

## შპირკაცა\*

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ იმ წუთამდე, სანამ მანქანაში დავეჯდებოდი და, საერთოდ, მას შემდეგ, რაც პიერკვადრატა დამემუქრა — გავსწორდებითო, გული საგულეს არა მქონდა და, თუ მაინცადამაინც შიშს არ განვიციდიდი, რაღაც სულ მუდამ მაწუხებდა, მოსვენებას არ მაძლევდა. იქნებ ეს შიშის გრძნობაც იყო, არ ვიცი, მაგრამ ახლა, დავეგეჟი თუ არა კაბინაში, რატომღაც სავესებით დავმშვიდდი და, რაც არ უნდა მომხდარიყო, არაფრის შიში არა მქონდა.

პიერკვადრატას ოფლი ასკვებოდა სახეზე, მხეცივით მიაქროლებდა მანქანას და მოსახვევებში ისე სწრაფად აბრუნებდა, როდის გადავყირავდებოდით უფსკრულში, არ ვიცოდი.

— ნელა, ბიჭო, რა მოგივიდა, შე რჯულძაღლო! — ვუთხარი მე.

პიერკვადრატამ სწრაფად შემომხედა და ისევ ზომაროდა თვალი.

— გეშინია სიკვდილის? — მითხრა მან.

— რატომ არ მეშინია?! რავე, შენ არ გეშინია თუ?

— ახლა არ მეშინია. ფინდა გაყურებო, რავე გადავაფრენ ამ ჯაბახანას ჭიპიან კლდეზე?

— რას სულელობ, ბიჭო?

— რასაც! — გულმოსულად წამოიძახა მან.

უკანოდან წამოწეული ვილატის მან-

ქანა საყვირით გვანიშნებდა — გზა დაგვეთმო. პიერმა უნებურად შეანელა სვლა, ვერ მოვასწართ გონს მოსვლა, რომ ქარხნის სამტონიანმა თვითმცლელმა გადაგვისწრო წინ და გზა გადაგვიკეტა. მანქანაზე დავინახე ოცამდე მუშა. ყოველ მათგანს ხელში წერაქვის ტარი ეჭირა, გაგვისწრეს თუ არა ასი მეტრით მაინც, თვითმცლელი გაჩერდა და ბიჭები პანტაპუნტით გადმოცვივდნენ მანქანიდან.

მხოლოდ ახლა მივხვდი, ჩვენ დაგვედევნებოდნენ და ჩემს საშველად გამორბოდნენ.

პიერკვადრატამ ჯერ დაამუხრუჭა მანქანა და ახლაც მაჭრიალებს ტანში. როცა მახსენდება; ისე გაახრჭიალა კბილები, რომ თავის დანჯღრეულ საბარგულს აჯობა, მერე უცბად მოაბრუნა საკე და მანქანა გზიდან თავდაღმართში გადაუშვა. უკანა ბორბალი ლოდს წამოედო, ოჩანი ჯორივით ტლინკები ჰყარა, აყირავდა და ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს.

გრძნობაზე საავადმყოფოში მოვედი. თვალი რომ გავახილუე და მიმოვიხედე, ვამიკვირდა, სადა ვარ მეთქი. მთლად დოღბანდებით ვიყავი გაკრული. თავზე თეთრხალათიანი ექთანი მადგა.

— სადა ვარ? — ვიკითხე სუსტი ხმით.

— ოო, ყოჩაღ, გაიღვიძე? როგორ ხარ? თავს როგორ გრძნობ? — მკითხა მან ალტრსიანი ხმით.

წამოწევა ვცადე, მაგრამ ექთანმა ფუსფუსით მითხრა:

— იწეკი, არ გაინძრე. ახლავე ექიმს დაუქაჩებ.

\* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 11, 12, 1960 წ. № 1, 1961 წ.



ფოფინით გავარდა პალატიდან.

მიმოვიხედე. ვხედავ ავადმყოფები გულისყურით მიცქერენ. ერთი განზღარი, მოხუცი კაცი ლოგინზე ზის, ყვარჯნები იქით-აქეთ მიუყუდება და მე მიცქერის. მეორე ლოგინზე იდაყვით წამოწეულა და ისიც მე მიცქერის. მესამეს ძინავს. მეოთხეს შეზანდული ხელი იღლიაში შედგმულ ფიცარზე აქვს დაკრული, თითქო ზედ ჩამოყრდნობოდეს. ისიც მე მიცქერის.

— მომილოცავს, შვილო, იოლად გადარჩენა! — მეუბნება ყვარჯნებიანი მოხუცი...

— მოსალოცი არ არის თუ? — ამბობს ფიცარზე იღლით ჩამოყრდნობილი ავადმყოფი. — რავარი საქმეა, ცხრაჯერ რომ მანქანა გადაბრუნდება და შიგ იქნები. მერე რაეარ ადგილას.

— კიდევ კაი, ქვევით რომ არ გადავარდენ, იღბლად, ადრე გადაბრუნებულა მანქანა, თვარა სული კი არ დაგყვებოდათ ძირს, — ამბობს ყვარჯნებიანი მოხუცი, შემდეგ გაჭირვებით დგება, ყვარჯნების ბუჯებით მიახლოვდება, — ნუ გეშინია, შვილო. პატარა დაბევილი კი ხარ, მარა მოტეხით არაფერი მოგტეხია და კიდევ იღბალი.

— ის როგორაა? — ვიკითხე ჩემს მიკნავებული ხმით.

— ვინ ის?

— შოფერი.

— ვინ შოფერი? რავა, შენ არ მიგყავდა მანქანა?

— არა. შოფერი იჯდა.

— იმისი არაფერი ვიცი, შვილო. — მითხრა მოხუცმა და მაშინვე მომიკლდა, რადგან პალატაში ექიმი შემოვიდა. მას მთელი ჯგრო შემოჰყვა თეთრხალათიანი ექიმი ქალებისა და ექთნებისა. ყველას გახარებული სახე ჰქონდა.

ექიმმა, შავგერემანმა და ოდნავად ჯმუხი სახის მამაკაცმა მაჯა გაიხინჯა, შუბლზე ხელი დამადო და მკითხა:

— როგორაა საქმე? ტკივილებს გრძნობ?

— ცოტ-ცოტას, ძალიან არა.

— გასაგებია. თავი ხომ არ გტკივა?

— მარცხენა მხარეს, ყურთან.

— გასაგებია. ძალიან? *არა, არაა*

— ისე. *შეზანდულია*

— მალე, გაგივლის ყველაფერი. შეიძლება ცოტახანში ტკივილებმა გიმეტოს, მაგრამ არ შეგეშინდეს. ასე იცის. მერე დაგავიწყდება. იწყე ღლეს ასე, გაუნძრევლად. მე გეტყვი, როდესაც უნდა გადაბრუნდ-გადმობრუნდე, ლაპარაკითაც, ბევრს ნუ ილაპარაკებ. გასაგებია?

— გასაგებია.

— საქმელო, რამდენიც გინდა, იმდენი ჰამე. თუ რამე მოგინდეს, ზეზე არ ადგე. ავერ ქალები მოგიტანენ. გასაგებია?

— საავადმყოფოში არაფრის შეგრცხვებს. აქ ქალები უვლიან ყველას. გასაგებია?

— ყველაფერი გასაგებია, ოღონდ, მომიკლდი ახლა, თორემ...

მიმიხედა, რომ არ ვხუმრობდი და გამეცალა. მერე ქალები შემომხევიენ. მომეფერენ, დამიყვავეს, რა გაგებარდება. რომ მოგართვათო, კისელი გინდა, ბულონი თუ ქათმის კატლეტებით. მე ეთქვი, სადა ვარ, სამოთხეში თუ კალისტინეს ბოსტანში. ეს თეთრი ქათმა ხალათები ისე ხატავს ყოველ მათგანს, ანგელოსებში მგონია თავი.

გავიდა პატარა ხანი, დედ-მამა გეწვიო, — მითხრეს. გამეხარდა. შემოუშვით მეტუქი. ვხედავ, მოდის დედანეში თავშლის სწორებით. უკან მამა მოსდევს სიმინდის ტაროს უღვაშებით. ორთავეს თეთრი — მაგრამ საკმაოდ ქუჭყიანი ხალათები აქვთ წამოხურული.

— რა შვები, ბიჭო. რავა ხარ? — მეუბნება მამა.

— შენ შემოგველოს დედაშენი, შენი ამბავი რომ გევიგე, დამკრა თავში, სულ დამიბნელდა თვალები. არიქა, უშველეთ, ტერენტის ბიჭმა კლდეზე გადააგდო ჩვენი ნოღარიო. ბიჭო, რას ერჩოდა ის უგამჩენო ამ ჩემ ბიჭს, იმას არ გაუთენდეს შობა-ახალწელიწადი, ის ჩავდევი შავს მიწაში, ის



ღეთსპირიდან გადავარდნილი, ამ ჩვენი ემგენის გოგოს გულისათვის მოხდა ყველაფერიო, ეს რომ მითხრეს, რა გქნა ახლა მე უბედურმა-თქო, ის გაეფიქრე მაშინათვე. დავავლე ამ ჩემ კაცს ხელი და ახლა მიშველე, სილიონ, თუ ვარგზარ მეტქი, გავარდი ახლავე და აქ მამგვარე ის ბიჭი, სანამ გვიან არ არი, ემგენის გომბიოს გულისთვის ნუ გაწირავ იმ შენ სასიყვარულო შვილს თქვა, რავარც ახლა შენ გელაპარაკები, ასე ვუთხარი სწორედ. წამევიდა. წამევედი მეც. მოვდივარ, მარა, სად მოვდივარ რა ვიცი! გზადაკვალი დაბნეული მაქვს. იღბალზე ჩვენი შოშოტას ბიჭი მოარბიხინებს თავის მანქანას. სად მიღახარ, დედა-თქვა. წამობრძანდით, მეც იქით მაქვს გზაო. რაღა ცოცხალი დავინახე, აწი აღარაფერი მიჭირს, დედა. ჩემსავით შენ ვერავინ მოგივლის, შვილო. წამოხვალ სახლში?

— არა, დედა. ექიმმა თუ არ მიბრძანა, ისე ვერ წამოვალ.

— გაგიყვლი, ადამიანო? — შეუტია მამამ და პალატა შეათვალიერა, — მოსავლელი ცოტა გყავს სახლში? შენ რაფერ ნოუელი ამთზე უკეთესად.

— ის რას შეება, ის? იმის ამბავს რატო არ მეუბნები? — ვეკითხები მშობლებს.

— ვაი, არ გადარჩენა იმის თავს, — იცინის დედა და ტუჩებზე ხელს იფარებს, რომ მორყეული კბილები არ გამოუჩნდეს, — იმასაც ბევრი უსკვეს თურმე ბიჭებმა. ციხეში აგდია დაბეგვილ-დაქეცილი. ახლა უთხოვია, გამომიშვით და ნოდარი მაჩვენეთო, მეტი არ ადგა იმის გვერდები, ის აქ არ მოგაქარო...

დედა დაიხარა და ყურთან ჩამჩურჩულებს, თან იქით-აქით იხედება:

— ბიჭო, ი გოგო რავარია, ქემანინც დამანახეთ, მე კი არ მინახავს თვალით.

— შენ რად გინდა, რომ ნახო, შენ ხომ არ თხოულობ. — ეუბნება მამაჩემი.

პალატაში გოგოებმა შემოიხედეს და მერე ერთმანეთის ჯიკავ-ჯიკავით შე-

მოვიდნენ. წინ ლია მოდიოდა და თხასავით მობაკუნებდა. მატარებელთან დაგის შპალებზე ისე მაქვს წმინდული ფეხი, რომ აქაც ყანჩასავით აბიჯებს. თავი გრძელი, ფონებიანი თეთრი აბრეშუმის თავსაფრით გაუქრავს და ლოყები ვარდისფრად ატყეკია. დოდოს ახალმოდურად დაუვარცხნელი თმა სავარცხლის ერთი მოსმით ცალ მხარეზე მოუქნევია და ნამდვილად დამგვანებია ფრანგ კინოსახიობს ბრიკიტ ბარდოს. უბედურ სინუსას ეგ ეჭირვებოდა კიდევ. ყველაზე უბრალოდ ანიკო გამოიყურება. კაბა კი ჩაუცვამს ინდაურივით გაუხორცილი და დამოკლებულა ეს გოგო, თუ რა მოსვლია ვერ გამიგია, რაც ჩანდა, იმის ნახევარი ჩანს.

— ვაი, გასწყვით თქვენ, — წაიდუღუნა დედაჩემმა, როდესაც დაინახა, რომ გოგოები ჩემსკენ მოდიოდნენ, ადგა და სათითაოდ ჩამოართვა ყველას ხელი.

— ა, დედა, ამ სამში რომელია ჩემი საცოლე, თუ მიხედები, პრემიას მოგცემ — ვხუმრობ მე.

დედა ხუმრობას ვერ ხვდება და გოგოებს გულდასმით ათვალიერებს. ისინი კი ამ ხუმრობას ყურადღებას არ აქცევენ, ორივე მხრიდან შემომერტყენ და ლაპარაკს არ მაცლიან. სხაპასხუპით მიამბობენ, ვის რა შეემთხვა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში მომიყვანეს. მიამბეს, როგორ გამოვეყვანივართ გადაბრუნებული მანქანიდან მთლად სისხლში მოსვრილი და უგრძობელი, როგორ ამომქვარალა იმავე მანქანიდან პიერკვადრატა სრულიად უგნებელი, ტყუილბრალოდ გაკაწრულიც კი რომ არ ყოფილა არსად, როგორ დასვეიან ბიჭები და, ალბათ, მოკლავდნენ კიდევაც, რომ პარმენას არ დაეფრინა ყველა და არ დაეხსნა ის სულელი. სულ იმას იძახოდა თურმე, მომკალით, არ დამხოვოთ, ჩემი ბრალია ყველაფერიო.

— ახლა სად არის? — ვეკითხე მე.

— დაქერილია, — მარწყუნებს დოდო.

— დაქერილი, აჰა! — ამბობს ანიკო, — მანქანის ტარების უფლება ჩა-

მოურთმევეით და კოლექტივი უჩივის თურმე, რაც გააფუქე სველაფერი აგინაზლაურეო.

დედაჩემმა კარგახანს ათვალეირა გოგოები, მერე ლიას ფრთხილად შეახო მხარზე ხელი და კითხა:

— ემგენის გოგო შენ ხარ, შვილო?

ლიამ გაოცებით შეხედა.

— რომელი ემგენის?

— ეგ არი, ეგ, დედა, გეკუთვნის პრემია, — ვჩქარობ მე და ლიას თვალს ეუბაქუნებ, — ეგ არის. ხომ კარგი ქალია, დედა.

გოგოებმა იყისყისეს, იყისყისეს და მერე ფრთხილად გააცვიფდნენ გარეთ.

\* \* \*

ტივილები ღამით დამეწყო, ყრუ, მწარე ტივილები, საღდაც შიგნით, ნეკნების ქვემოდან. ჭერზე დაკიდული ელექტრონის ღამბა საცოდავად ბეუტავდა. ავადმყოფებს ეძინათ და მშვიდად ფშვინავდნენ. სხვა პალატებშიც სიჩუმე სუფევდა. მარტო მორიგე ექთანი თუ გაივლიდა ღერეთანში ფოსტლების ტყაუნით.

თვალს ძილი არ ეკარებოდა. ფიქრებს ვებლაუქებოდი, დროს მოსაკლავად ეცდილობდი, თავი რითიმე ვამერთო. ვადაბრუნება არ შემეძლო. დაეწყე თვლა. ვაგონილი მქონდა, ვისაც დაძინება სურს, თვლას უნდა შეუდგეს და აუცილებლად დაეძინებაო.

ვითვალე, ვითვალე, ვითვალე... არც ტივილები დამევიწყდა, არც დაძინება. ფართო ფანჯრებში მოჩანდა ნაძვის ხეები. ისინი ელექტრონის შუქზე ნაბღიან მამაკაცებს მაგონებენ. დგანან ეს ნაძვის ხეები, არაფერზე არ ფიქრობენ, არაფერი არ აწუხებთ, დგანან და არხევენ ტოტებს.

მაშ, ცისანა არ მოვიდა ჩემს სანახავად არც ამხანაგები მოვიდნენ. თუმცა იმათ ალბათ, არ ეცალათ. მოვლენ, მიხანხლებენ. ისინი, ვიცო, მინახულებენ ისინი არ დამევიწყებენ. ნეტავ ეს ტი-

ვილები თუ დამევიწყებენ. ნუთუ არ შეიძლება ისეთი წამალი მომეცნენ, რომ ტივილები დამევიწყოს?

ზარს ხელი დაევიკირე. პალატაში შემოგორდა თეთრხალათიანი ხნიერი დედაკაცი და თავზე დამადგა.

— ტყემალაძე, რა გინდა? — მკითხა მან და შუბლზე ხელი დამადო.

— ვკვდები, მგონია, ისეთი ტივილები მაქვს, წარმოუდგენელი.

— ნუ გეშინია, არ მოკვდები.

— გასაყურებელი არაფერი გაქვთ?

— ა, დალიე ეს, — მოთხრა მან, ზოთოლი ააქანუყარა, კოვზე წამალი დაასხა და მომეწოდა.

ვადაეყლაბე, რალაც საზიზღრობა და ვაგვიყურე.

— მალე გათენდება?

— ჯერ რა დროს გათენდება, არ დამამებულა.

— კითხვა მაინც შემეძლოს.

— არც კითხვა შეიძლება. დახუკე თვალი და დაძინე!

— ვაი, რა ადვილი სათქმელია.

— ღირსი ხარ. რაზე აკვლევებდი თავს იმ ვირს?

— მაშ, რა მექნა დეიდა?

— რა გექნა და ვეტყოდი, ეს ქვეყანა ჩემზე ხო არ მოყრილა, რას მერჩი, რას შემართლებითქვა.

— უარესიც ვუთხარი, მარა რაი მერე.

— აჰა, აღარ ყოფილა საშველი და ის არი.

— რა გითხრა, ბიძიკო, იცი, — ჩაერია ღამარაკში ყავარჯნებიანი მოხუცი, — ღამაში ქალი სახლში შესაშვები არ არი.

— რატომ, ბიძაჩემო?

— რატომ და, თელი ქვეყანა იმას მიჩერებია და სულ გულგახეთქილმა უნდა იარო, არავინ არაფერი მოწიოსო. ნიკიფორე გველესიანი თუ ვაგეგონებ, იმაზე ბედნიერი კაცი არ დადიოდა ქვეყანაზე. იმისთანა ქალი მოიყვანა, დაბმულ ქაჯს ააწყვეტებდა. ჯერ, ბატონო, ეს თქვა მქონდა მოქცეული ისე, ნაბიჯს რომ ვადაადგამდა. წისქვილის

ქვასავით მოიქნევედა ტანს, მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ნახევარ სახეზე და თავისერზე ბალანი ჰქონდა მოდებული ისე, რომ შეხედავდი, იტყოდი, ამის დანახვას მერჩია ერთი ქაჯი დამენახა ტყეშიო. მეიყვანა და მთელი ექვსი თვე ჩვენს სოფელში კრებები იმართებოდა, ეს ქალი უთუოდ კუდიანია და უნდა ღავდალოთო. ამ ჩვენმა ნიკიფორემ მოკლდა ხელი ამ ქალს, ა, შენ შემოგვევლი ჩემი თავი, ეს სახლკარობა, მიხედე და მოუარეო, თითონ კი რო გავუსვა ხელი ამ სხვის ლამაზ ცოლებს, მე შენ გეტყვი და ძრახავდა ვინმე თუ? მაგას რომ ქალი ყავს, მაგის შემხედვარე რატომ უარესს არ შევბაო. საქართველოში რაიონი არ იყო, რომ თითო საყვარელი არ ყოლოდა. ჰოდა, წადი ახლა და იკითხე, რომელი ჯობია მოიყვანო კაცმა, ლამაზი თუ მაიმახი.

— მე მაინც ლამაზი მირჩევნია, ბიძაჩემო.

— თუ დაგაცალეს, კაია, მარა არც მაგრე შენსავით გვერდების მოქევეა მინდა, რომ თქვას კაცმა. ქალის გული-სთვის თავს ვერავის მოვაკვლევიებ, რაც მართალია, მართალია.

— ახლა რაღას მოაკვლევებ, როცა დრო იყო, მაშინ უნდა გეფიქრა მაგაზე. იქნება, მოაკვლევებდი კი არა, ისე შეაკვდებოდი კაცს, უკან არც მოიხედავდი.

— აპაპაპა, პა, არ მოგიკვდეს ჩემი თავი. ერთი ლამაზი ქალი მომწონდა, იმისთანა ქალი ამ რიადაგეზე არ გაივლიდა. პირდაპირ ანათებდა. იმდენი ხალხი ესია, ამ გოგომ იფიქრა, ჩემისთანა ქალი ქვეყანაზე არ დადის და პრამონა ბრეგავაძეს რავე წაუყვებო.

— მერე?

— მერე, შენი ჰირიმი, ის ქალი გათხოვდა და წაყვა მერჯევანიას.

— ვისაო?

— ვიცი მე ის ქალი, — ჩაერთა საუბარში ექთანნი, — მერე იმ ქალს ერთი ინეინერი ყიარობდა.

— გცოდნია. იცოცხლე. მერე ვიწერე პირჯვარი, რაღაი მიხსნა ღმერთმა...

— ვაი შენს ჰეუას უბედურს — ამბობს ფიცარზე ილიით ჩაბრუნდობალი ავადმყოფი, — პირჯვარის დაწერას ჯვარი დაგეწერა იმ ქალზე და მერე თუ რამეს შეატყობდი, ქე რუქრავდი გულანაბადი.

— რა ვითბრა, იცი, შენე? ქალი რომ სხვა მხარეზე დეიწყებს ყურებას, იმას მერე გინდა გულა რუქარი, გინდა ნაბადი.

ექთანნი გაბლაჩუნდა პალატიდან. ყავარჯნიანი და მხარანარძობი კი განავრძობდენ საუბარს.

ტკივილები თითქო გამიყურდა. კიდევაც ვთვლემ, მაგრამ ღაჟე მელვიძება, ჩემი ყრუ კენესა მალვიძებს. შევცქერი ჰერს და სიჩუმეში მესმის საათის წკაპაწყუბი.

სადღაც შორს ყეფს ძალლი, დიდი ბომბორა ძალლი. ხმაზე ვატყობ, დიდი ძალლი უნდა იყოს, ბანჯგელიანი. ყეფს მძიმედ და იძახის: ღავ, ღავ, ღავ...

მერე კიდევ სადღაც ყივის ბოლომოფტქენილი ხრინწიანი მამალი. ყივის და ველოდები საპასუხო ყივილს სხვა მამლებსას. სიჩუმეში გაისმის დამწყვეტული მამლების კიდევ უფრო დაგულული ყივილი, მერე ისევ გაისმის ბომბორა ნავაზის ღავ, ღავ, ღავ...

ალარ ადგება საშველი ამ გათენებას.

• •  
•

ალარ მახსოვს, დღისით რა მიყუჩებდა ტკივილებს. მგონი, მოლოდანი. ვიცქირებოდი კარისაკენ და ყოველი თერთი ხალათის გაღვება გულს მიჩქროლებდა.

ჩამოიარეს დამლაგებლებმა. იატაკს სველი ჩვარი მოუსვეს. მერე მოვიდნენ ექთნები და ილიებში თერმომეტრები ჩაგეჩარეს, წამლები დაგვალევი-ნეს და დერეფანში კორაობას შეუდგნენ.

მერე ჩამოიარა მთავარმა ექიმმა, თერთხალათიანი ექიმი ქალების თახლებით.

— როგორა ხარ? — მკითხა მან.  
 — ტკივილები მაწუხებს.  
 — სად?

— აი აქ, გვერდებში, — ხელით ვუჩვენე.

— ეგ არაფერი. გაგივლის.

— წუხელი წვეთი არ მიძინებია.

— ამაღამ დაგეძინება. — მერე ეჭთანებს მიუბრუნდა: — ამას სპირტის კომპრესები დაადევით.

ექიმი ქალები ცნობისმოყვარეობით მათვალისწინებდა, ფრთხილად და სათუთად მხსნიდნენ დოზბანდს, ასევე ფრთხილად სინჯავდნენ ჩემს დაყვეილსახსრებს. ჭირურგი კი ტლანქად მავლებდა ხელს, დათვით მტორავდა და მხეცივით ღრიალებდა.

— არაფერია, ნუ გეშინია, ვაჟაკი არა ხარ? — მეუბნებოდა იგი და უარესად მკლამავდა.

მერე თავი მიმანებეს და, როგორც იქნა, მთელი დღით დამივიწყეს. დადიონდნენ დერეფნებში, ერთმანეთს რალაცას გასაზოხდნენ, მომვლელი ქალი რაქლარუქლით დაატარებდა ბორბლებზე შემდგარ მაგიდას და ავადმყოფებს ურიგებდა საუზმეს. ჭიქა რძეს, ერთ ჭიქა თანთალა კისელს, თოხლო კვერცხს და ბრინჯის ფაფას.

დერეფანში კი კვლავ ელავდნენ თეთრხალათიანი ქალები და მათ ყოველ დანახვაზე გული მიქანდებოდა. სულ ველოდი: აი, აგერ გაიღება კარები და შემოიხედავს ცისანა მეთქი, მაგრამ იმედი არ მიმართლებოდა.

მერე გამოვიგონე: დავეთვლი ასს და ასერტს რომ ვიტყვი, ცისანა გამოჩნდება-მეთქი.

ვითვალე. გულმოდგინედ ვითვალე... მაგრამ არ გამოჩნდა. მ.შინ ვიფიქრე, ალბათ, მოთმინება არ მყოფნის, ჩქარა ვითვლი, მოდი ახლა, ორასს დავითვლი და მაშინ გამოჩნდება-მეთქი. ორასიც დავითვალე, ოთხასიც, ათასიც... მაგრამ არავინ არ ჩანდა.

მერე გამახსენდა, რომ დღეს შაბათი იყო — საიუშაო დღე და სამ საათამდე ტყუილბრალოდ ვიწუხებდი თავს. სა-

მამდე ცისანა სამსახურში იქნებოდა. სამხედრო ხომ ვერ გადმოფრინდებოდა. ხუთ საათამდე მოლოდინს ტყუა არ ჰქონდა.

საათი არ მქონდა. დავრეკე. მითხრეს, რამდენიც იყო. არ შეპიტნავა. ახლა დალამებას ვნატრობდი. ვბორავადი. ვერ ვისვენებდი.

დრო კი ნელა მიიზღაზნებოდა. ვერც თვლით მოვერიე, ვერც კითხვით, ვერც ფანჯარაში ცქერით.

საათმა ხუთჯერ დარეკა.

მეშველა, მეთქი, ვიფიქრე, კარებს მივატყერდი, აი, აგერ გამოჩნდება ცისანა, აი, აგერ... ველოდები. დერეფნის ბოლოში ატეხილ ხმაურს ყურს ვუგდებ.

არავინ ჩანს.

ისევ მიმატა ტკივილებმა: ნეკნებს ქვემოდან რალაცა ფეთქავს და მტეხავს. ისევ დავრეკე.

ფოსტლების ტაკუნით შემოგორდა ექთანის ქალი. ვთხოვე სპირტის კომპრესი გამოიკეთოს, იქნებ, ოდნავ მაინც გამოიყუჩდეს ტკივილი-მეთქი. მთელ ტანზე წამწვანო სიყვითლე მომდებია.

საათმა ეღრიალით დარეკა ეჭვისი, მერე შვიდი. ახლა უკვე ვიცი, დროის როგორ მონაკვეთზე უნდა გაისმას საათის რეკვა, და მოთმინებით ველოდები მის ხმას.

ფანჯარაში წალურჯო ბინდი ჩამოწვა, მერე სულ დაბნელდა. ეზოში ელექტრონის შუქი აანთეს.

უკვე მოლოდინი აღარ ღირს და მე დავრჩი ისევ ჩემს ტკივილებთან, აუტანელ და მწარე ტკივილებთან. ისევე მგონია, რომ ვკვდები და ველარ გავათენებ. მეზობელ პალატიდან ისმის მძიმე კვნესა.

— ჰო, ჰო, რა ბიჭი იყო, რომ იცოდე, მაგ ლოგინზე რომ მოკვდა, შენ რომ წევხარ! — მეუბნება ყავარჯნებიანი მოხუცი და ჩემთან ახლო ჯდება თეთრად შეღებილ ტაბურეტზე, — ნამეტანი კი ეწამა საწყალი.

— რა მოუვიდა? — ვეკითხები მე და თან უცნაური რამ მეჩვენება. შიშის ნა-

ცვლად ეს ამბავი მამხნეებს. მაშ, თუ იმ ლოგინზე ვწევარ, რომელზედაც ჩემზე წინ აღამიანს სული დაუღვია, მაშინ მე გადავრჩები. საავადმყოფოში ერთსადამიანვე ლოგინზე ასე ზედხედ ეპიდემიის დროსაც არ კვდებიან, ალბათ.

— რა მოუვიდა, ჭირიმე, და მისი ბრალი იყო. თიაქარი ამოუყერეს, მერე თქვა, მოდი რაღაც საავადმყოფოში ვარ, ბარემ ბუასილი მაწუხებს, იმის ოპერაციასაც გავიკეთებ და გავალ აქედანო, გადოუნასკვეს, ბატონო, მუწუკები და მესამე დღეს უბედურმა, კაცო, ეს ყბები არ შემორჩილება რაღაცა, პირის გაღება მიჭირსო. დაუძახეს მთავარ ექიმს, დახედა, მაშინათვე გავარდა და ამიგრძე ნემსი დაარტყა. თურმე რაღას უშველიდა უბედურს, ერთი პატარა მიკრობი მოხვედრია ჭრილობაში და ჩვენებურად რა ქვია, არ ვიცი, რუსულად სტაღნიაკი რქმევია, სისხლი ევკრება თურმე და ეს ამხელა ვაეკაცი ორ დღეში გაათავა. ეჰ, არაფერი არ ყოფილა კაცის სიცოცხლე, ერთი ამოსუნთქვა ხარ, თურმე, მეტი არაფერი.

— ამ ლოგინზე მოკვდა?

— ზედ მაგაზე. რაც ის იტანჯა უბედური, ნულა იტყვი. რა გითხრა, ბიძიკო, იცი, იმ დასკენამდე მივედი, რომ ამ ქვეყანაზე კაცმა რასაც მოასწრებ, არაფერი არ უნდა დაიკლო. ახლა იმას კი არ ვამბობ ზოგიერთივით, სხვას წაართვი და შენ შეთანთქლეთქვა, მარა, რაც შენი იყოს, იმას სხვას ნუ გაატან, თუ შეგიძლია.

— მაინც რა არი ყველაზე კაი ამ ქვეყანაზე, ბიძაჩემო, რაღა იტყვი?

— რა გითხრა, იცი? ყველაფერი კაია, რაც გულს გაგიხარებს და წაგახლისებს, მარა ქალის სილამაზეს არაფერი არ ჯობია ამ ქვეყანაზე.

— კიდევ?

— კიდევ, ჯანმრთელობაა უმთავრესი. უმაგისოდ ტყუილია, არაფრად ვარგისარ. რა გინდ ქერის ორმოში ჩავარდე აღამიანი, რა გინდ სიმღიდრეში, სულ ოქროებში რომ ჩაგფლან, შაური

არ ეღირება შენი სიცოცხლე, თუ ჯანზე არა ხარ.

დიდხანს ვმუსაიფობთ ასეთ რამეებზე. მოხუცმა რამდენჯერმე დააპირა წასვლა და დაძინება, მაგრამ არ გაუშვი, შევეხვეწე, კიდევ ეამბნა ჩემთვის რაიმე, გამოეთქვა თავისი სიბრძნე და ესწავლებია ამქვეყნიური სიამით სარგებლობა.

ნაშუალამევეს ტკივილები თითქო გამოიყურდა და კიდევაც ჩამთვლიმა. სიზმარში ვიყავი. ვგრძნობდი რომ სიზმარში ვიყავი, არ გამოგიცდიათ? იცა, რომ გძინავს; სიზმარში ხარ და სიზმარში სიზმარს ნახულობ. ესეც გამოცდილი გექნებათ.

ვხედავ, ცისანა მოვიდა. ჯერ ლობზე შედგა, ვილაცას ხელს უქნევდა, მე სულ არ მიყურებდა. მერე ყეფა დამიწყო. „მოდი, გოგო, ჩემთან-მეთქი,“ ვუბნებდი, „ეინ ხარ შენ? ვერ გიცნობო“... მეუბნება, მაგრამ ხმა არ მესმის. ჩამიარა, არც შემომხედა. გამოვეკიდე, მივრბივარ, მივრბივარ... აღმართს მივადექი, საფეხურებიანს. დავაპირე ასვლა, მშენებლობას ვხედავ, დიდ მშენებლობას, შევედი შიგ, სახლს აშენებენ, აივნებს უკეთებენ, აივნებს მოაჯირი არა აქვს, გადავიხედე, თავბრუ დამესხა. გადაქანდი, შემიხტა გული და გამომეღვიძა.

ისევ სიჩუმე დამემხო თავზე. არც ძაღლები ყეფენ, არც მამლები ყივიან. რაღაც სისინებს თუ შიშინებს. მგონია, ეს ჩემი ყურებია.

ნეტავი რამდენი დღე უნდა ვეგდო ასე ძაღლივით, მივიწყებული და მიტოვებული ყველასაგან.

• •

კვირას ბიჭებმა მინახულეს. ჩექმებით შემობრახუნდნენ, თეთრი ხალათები მოეხურათ, და ყოველ მათგანს ხელში რაღაც შეხვეული ეჭირა.

— რა შეები, ბიჭო, რაღა ხარ? — მკითხა სინუსამ და საწოლის ბოლოზე ფეხებთან ჩამომიჯდა.



— თქვენ რას შვებით, მუშაობთ?  
 -- მივდივართ შლიგინშლიგინით წინ. ვასრულებთ გეგმას. გიხარია ხომ?  
 — რა შვებით, ბიჭო, ხომ კარგად ხარ?  
 — შეკითხება ჩურჩულით პარმენი და ჩემს თავთან ჯდება. თან სასთუმლის მაგიდაზე რალაცას შეხვეუტლს დებს, — ხარ დაეყვილი გემოზე?  
 — ნამეტანი. წუხელი გავათენებდი თუ არა, არ მეგონა.  
 — ნუ გეშინია. ხომ გაგიგონია, ძალი კოკლობით არ მოკვდებოდა.  
 შემომერთყენ გარს. ჩამომისხდნენ საწოლზე. საწოლმა ჰრაკუნე დაიწყო. საჩუქრები პატარა მაგიდაზე დაახევეს. ვუცქერით ერთმანეთს და გულზე ვსკდები, რომ სალაპარაკო გამომელია. რა ვუთხრა, არ ვიცო და, ეტყობა, არც იმით იციან, რა მითხრან. რაც მიინტერესებს, იმაზე ვერც მე ვძრავ ენას და არც ისინი მეუბნებიან რამეს.  
 — როდის გაგწერთო, რას გეუბნებიან? — მკითხა ბოლოს პარმენმა.  
 — რა ვიცი. სანამ ტყვილები არ გამივლის.  
 — მერე საგზურს მოგცემენ სანატორიუმში. კავშირებში შეგეპირდენ, გინდა. წყალტუბოში, გინდა, კვერეთში. რავარც გერჩიოს, — მანუგეშებს პარმენი.  
 ერთი სიტყვით, შენ გეყოფა ავადმყოფობა ახლა და პატარა დაუჩქარე აღგომას.  
 — აუცილებლად, თუ ამალამ გავათენე.  
 — ასეა საქმე? არაფერია, მე შენზე უარესად ვიყავი. მარა გავუძელი. კაცი ძალდია, ყველაფერს უძლებს. წავიდეთ, ბიჭებო, ახლა, უფრო ვაწუხებთ.  
 მემწელებოდა მარტო დარჩენა, მაგრამ რა გაეწყობოდა. წავიდნენ. დავრჩი მარტო და ისევ შევაცქერდი ფანჯარას. გულში ჩხვლელტა ვიგრძენი. ეს რალა ოხრობაა მეთქი, გაიფიქრე. მოვიხედე და, რას ვხედავ. ლოგინთან ლია დგას და ღიმილით დამცქერის. ისე გამეხარდა, რომ კინალამ ფეხზე წამოვიტყერი და ტყვილებისაგან მთლად დაევიგრიხე.  
 — გოგო, როდის მოიპარე ასე ჩუ-

მად? — მაჯაში მივწვდი და მისი ხელი ლოყაზე მივიდევდი.  
 იდგა ეს შოლტივით გოგო და ღიმილით დამცქეროდა. გრძელი ნაწნავები წინ ჰქონდა გადმოკიდებული და მისი ბოლოები სახეზე მწვდებოდა.  
 — როგორ ხარ?  
 — რა მიშავს. შენ რალაი მინახულე, ახლა სულ კარგადა ვარ.  
 — ის არ ყოფილა?  
 — ვინ ის?  
 — ცისანა, — ფრთხილად გამომაძრო ხელი ლოყის ქვემოდან.  
 — ერთი...  
 — კაი ახლა. ცული არაფერი თქვა.  
 — დაჯექი ერთი, შემოგხედო, მომეცი ეგ ხელი, რატომ წაიღე? — ისევ მივწვდი მაჯაში და ხელი ლოყის ქვეშ ამოვიდე. თანაც მაჯაზე ვაკოცე ლიას.  
 — რა კარგი ხარ რომ მოხვედი. ბიჭები იყვნენ ახლა ჩემთან.  
 — ვიცი. ვნახე. — ლიამ ტაბურეტი მიიჩოჩა, დაჯდა და ჩემსკენ გადმოიხარა. კაბის გულისპირიდან ქათქათა გულისფიცარი უჩანდა. — დოღო და ანიკო დღეს ველარ წამოვიდნენ. მართლა, ანიკომ და ნაწევარამ რომ ხელი მოაწერეს, თუ გაიგე?  
 — ი?  
 — აბა! გუშინ.  
 — ბიჭებმა რატომ არ მითხრეს, იმ ციგნებმა.  
 — არ იციან. ჯერ არ ამხელენ. ბინას ელიან, შეპირდნენ, ერთ ოთახს მოგცემთო და მერე აპირებენ ქორწილს.  
 — ეს რა კაი რამე მითხარი. უყურე ამ ბოლომოფცქენილ ბელურას. არ გვაჯობა ყველას!  
 კარებში თვალი მოვკარი ხნიერ ქალს. ფრთხილად იცქირებოდა და ავადმყოფებში ვილაცას დაეძებდა. ჯერ ვერ ვიცანი და მერე გაოცებულმა წამოვიძახე.  
 — დეიდა მარიამ, ვის ეძებ?  
 — უი, შვილო, აქ ხარ? შენ დაგეძებდი, დედა. — წამოვიდა თამამად ჩემსკენ ქალი. ეს იყო პიერკვადრატას დედა. ხელში ყურებაცქვეტილ ხელსახოცში

გახვეული ძღვენი ეჭირა, ალბათ, ხაჭაპურები. მოვიდა, ძღვენი მაგიდაზე დადგა და ლიას მიწოდებულ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— რა შვები, შვილო, რაფა ხარ? — მკითხა მან.

— რაფა ვიქნები, დედა. გადავრჩევი, თუ არა, არც ვიცი. მაგაზე რატომ წუხდებოდით. — თვალთ ვანიშნე ძღვენზე.

— ეგ, შვილო, არ დამძრახო ასე მცირესთვის. ჩემმა კაცმა დიდი დოქით ლეინოც წამოგიღო, მარა აქ არ შემოგვატანიეს. თუ შენ ეტყვი, იქნება, მიცენ ნება.

— ნესტორიც აქ არი? რაზე შეწუხდით?

— არა, დედა, რა შეწუხებაა. უფრო მეტი უნდა მოგვეტანა. იმ უგამჩენოს რა ვუყოთ — იმ ბიჭს, ასე წაგვივიდა, დედა, ხელიდან, ვერაფრით ვერ მოვარჯულეთ, მოგვეტრა თავი, მთელ ქვეყანაზე მოგვეტრა. რა ვუყოთ, რა ღონეს მივმართოთ აღარ ვიცი. რომ უჯეროდეს ვინმეს, კი აღარ ვიდარდებ, მარა, რომ არავის არაფერი ჯერა? შენი ჯეროდა პატარა და შენი იმედი მქონდა, იქნება, აყვეს ამ ჰკვიან ბიჭს და ჰკუას მოეგოს მეტქი, მარა, კიდევ იღბალი, რომ უარეს უბედურებას არ მოგწია შენც, თვარა სხვას აღარ ვჩივი. ვის გამოეგვანა ის ჩემი ცოდვით სავსე, ის ლეთისპირისაგან გადავარდნილი, ის უჯიშო, ვის, ნეტავი ვიციოდე! — მოხუც ქალს დაწვევებზე ცრემლები დაუტურდა. თავსაფარი შეიხსნა, მისი ბოლოთი ცრემლე-

ბი მოიწმინდა და განაგრძო, — არაფერი ჩვენი არ ჯერა. სახლში თუ რაში გაგაჩნდა, გეიტანა. ახლა ის მანქანა ხომ დალეწა და დაამტვრია, ჩვენი გასაკეთებელი შეიქნა, აბაკოლექტივი ხომ არ იზარალებს! ეს ჩემი ქმარი შეოდება, უბედური, წელი აქ მოწყვეტილი მუშაობით და ვუნდებით იმ ბიჭის დაყიდარებას. ნეტავი ერთი ციხეში მაინც დაამწყვდევენ. ახლა მითხრეს, ჯარში უნდა წაიყვანონ. ისე შენ გაიხარე, დედა, რაფარც მე ეგ გამეხარდა. სულ დამოჭილი ვლოცულობ, იქნებ წაიყვანონ ჯარში, იქნება იქ მაინც მოარჯულონ ეგ არ გადასარჩენი. ეგ კი ჩავდევი შავს მიწაში...

— ნუ წყევლი, დედი, ცოდვია.

— არაფერია, შვილო, რაც მე მაგ მიწყევლია, ეგ რომ მოსვლოდა, მაგის ძვალი აღარ იქნებოდა ამ ქვეყანაზე. ეს ღამაში გოგო ვინაა, შვილო, ვერ ვცნობ, — ახედა ლიას მოხუცმა ქალმა, მკლავში ხელი მოჰკიდა და გაუღიმა.

— ხომ კარგია?

— თვალტანადი, იცოცხლე, ეს იყოს, ჩვენში რომ იტყვიან, მართლა კაი გამოსაჩენი ქალია. რომლის ხარ, შვილო, შენ? — მოუთათუნა წელზე ხელი მარიამმა ლიას.

ის კი მე მიცქეროდა და მუნჯურად ტოჩებზე ხელის დაფარებით და უარის ნიშნით მანიშნებდა, ისეთი არაფერი მეტქვა, რაც ორივეს უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაცენებდა.

აჰ, რა კარგი კვირა დღე იყო ის დღე.

(გაგრძელება იქნება).

ნაზი კიკასონია

ბ ი ო

(შვილს, რომელიც ჯერ არ მყავს)

და ვიდრე მართლა  
მოხვალ ამ ქვეყნად,  
ჯერ უნდა მხოლოდ  
სიზმრებში მდიო.  
მე სევდიანად გპირდები ეხლაც:  
მოხვალ,  
სიცოცხლეს გაჩუქებ, ვიო!

ვიო!  
თვალეები ღამეებს ათევს.  
ვიო!  
ხელები ლოდინით დაჰქნა.  
შენ უნდა ნახო  
მზიანი ქართლი,  
შენ უნდა ნახო  
მთიანი რაჭა.

შენ უნდა გქონდეს  
მამის თვალეები.  
შენ უნდა გქონდეს  
შუბლი მამისა...  
მე შენს სიცოცხლეს

მოვეძალები  
და გულისკოვზთან  
თრთოლვით ჩავისვამ.

რათა  
შენს მაჯას  
მივცე სათავე —  
რაა მიწიერ ტანჯვის ატანა?  
არარაობის  
ქარში ტანტალი  
კმარა! გეყოფა  
ჩემო პატარა...

ვარ დედა —  
ვდგავარ საწუთროს გზებზე;  
ხარ შვილი —  
მმართველს მარადის გდიო:  
თვალეებს ვიჩრდილებ,  
გიხმობ და  
გეძებ:  
ვიო!  
ვიოო!..

ბ ა მ ა

შენ თურმე  
იმისთვის გამაჩინე,  
მამა,  
რომ თაყვანსა გცემდე და  
არასდროს გიხდიდე ამაგს.

შენ თურმე  
იმისთვის გამაჩინე,  
თვალისჩინო,  
მამა,  
რომ სული გატკინო და

მაინც არ დაიმწნო,  
მამა!..

ვაიმე,  
ახლოვდება  
სალამოს ლანდი და  
ხმები,  
მამა.

საყვედურივით დამდეგს  
შენი პატარა,  
საცოდავი მხრები,  
მამა!..



ვაიმე:

შენ სწევ

იაფ,

სულ იაფ სიგარეტს,

მამა.

მათ მყრალი სუნი აქვთ

და

ალარ მიკარებ,

მამა!..

ვაიმე:

სიცოცხლის ხე ვარ და

უშენოდ

ვხშები,

მამა!

მინდა:

ავწიო და

პატიოსან ქვეყანას ვუჩუქნო

შენი ნაჯაფარი მხრები,

მამა!

თვალებს ნუ მარიდებ,

უტყვი განაჩენით,

მამა!

შენ ხარ

სიყვარული ჭეშმარიტი,

სხვა კი? —

დანარჩენი,

მამა!..

## ნ ა ნ ა

შთვარე დაცხრა და

დაიწყო ლევა,

ნანა!

ვარ შენი ნაცარი

და შენი მტლე ვარ,

ნანა!

ვარ:

ცოდვისთვის მოცლილი

და ხარ:

ხელუხლები,

ნანა!

დამაკოცინინე

შენი მუხლები,

თეთრი მუხლები.

ნანა!

დაე,

ნუ შემრისხავ.

დაე,

მიმიკარე,

ნანა!

შენს კართან შეეხსენი

ცახცახა თიკანი,

ნანა!

შენს ფერხთით მამყოფე,

სხეული მეწიის.

ნანა!

არ დამადლო:

ფშატი უნაყოფო

და მიწა — ბერწი,

ნანა!

მისმენ?

იღუმალების

გამიხსენ ბჰენი,

ნანა!

და საწუთროს მზეში გაატარე

შვილი ჩემი,

ნანა!

აჰი კისერი —

დამადგი უღელი,

ნანა!

შენ ოღონდ მისმინე:

პირმშოს ძილისპირზე

შენს სახელს ვუმღერებ,

ნანა!

მე კალთას აგივსებ

ეარდით და

იათი,

ნანა!

წყალობა მაღირსე,

შენს უღელს მივთარეც,

ნანა!

გესმის?  
 ქარის შრიალი,  
 ლერწმების სისინი,  
 ნანა!  
 ეს მე ვარ — მშვიერი  
 მომავლის სისხლივით,  
 ნანა!

იდუმალ სიციოცხლის  
 გამიხსენ ბჰენი,  
 ნანა!  
 და  
 ხელზე დაისვი და  
 მზისაკენ ასწიე შეილი ჩემი.  
 ნანა!  
 ნანა!..



ოზია იოსელიანი

მარსკვლავთმკვნი\*

თავი ბათორმბაბა

ფატი

მთელი კვირა წვიმდა თითქმის, ბოლოს გადაიკარა, მაგრამ არსად ჯერ მიწის მუშაობა არ შეიძლება. დაუკვალავ ყანებში ზოგან ისევ დგას წყალი, იზილება მიწა და ხარი და კაცი მუხლამდე ეფლობა. გზებზეც ტალახია. გუშინ რომ ეზიკა მძახლებს გამოენთო, სულ ერთიანად ამოსვრილები ჩვენს ეზოზე გადაატარა დედამ.

ეზიკამ დედას, მადლობის მაგიერ, რომ მის სტუმრებს პატრევი სცა, უსაყვედურა:

— რას ჩამოუშვი ეზოში. მაგათი პატრონის ქვეყანა...

— როგორ გეკადრება, ბატონო, უცხო ხალხი რას იტყოდა, — მერე ბოდიშით შეაპარა: — რა იყო, ბატონო ეზიკა, რა გაწყენინეს მძახლებმა?

— პაიტ, მაგათი რჯული და მსაფი, თუ სახლში უნდოდათ ყოლოდათ, ვინ უმტვრევდათ კარებს!

— რავე, ფატის წაყვანა უნდოდათ?

— უნდოდათ, მარა ვერ მიეპარევი! „ვინ თუ დამეჩაგროს შეილიო“, გააგდო ენა დედამისმა, მისმა თვალის დადგომამ...

— არა, ბატონო, საწყენად კი არ გეტყოდათ, — ჩაურთო დედამ, — შეილი მწარეა...

— ჩემი შეილი! — იქუხა ეზიკამ და დედას ენა ჩააკმედიო, — ჩემი შეილი!.. მაგათი... — აღარ დაასრულა და გზას კონიალით გაუდგა, — ჩემი ამირანი...

ქალების ამბავს შენ მასწავლი? — ქაქანებდა მიმავალი, — მე რომ ჯარში ვიყავი, ასე შეუჩნდნენ ჩემს ცოლსაც მისი მშობლები და ბოლოს ჩალვადარზე დააწერინეს ჯვარი, ქალები... ვერ მიეპარევი... მაგათი...

ბებია ყოველდღე მაკითხებდა ერთ გვერდზე მსხვილი ასოებით ნაწერ მამაჩემის ათიოდე სიტყვს. მე უკვე ზეპირად ვისწავლე იგი. წერილს ბებიას დასანახად გავშლიდი მხოლოდ და ზეპირად ვიმეორებდი. ბოლოში რომ ჩავიდოდი და ვიტყოდი, თქვენი დათიკო მეთქი, ბებია იკითხავდა:

— მერე, ბიჭო?

— ზეტი არაა, ბებია.

— არაა! კიდევ დაეწერა...

— არ დაუწერია და...

— არა მარა... შეუძლოდ ხო არა ვარო, აბა კარგად ამოიკითხე!

— არა, მეტი არაფერი არაა, — თავიდან ვიმეორებდი წერილს, — ესაა, რაცაა.

ბებია წერილს გამომართმევდა, მერე თვითონ დააქერდებოდა, გაკეცავდა ოთხად, ცხვირსაზოცში შეხვევდა და ჯიბეში ჩაიდებდა.

— თომა თუ გამოჩნდეს, უჩემოდ ნუ გაუშვებ.

— მე ვეტყვი ბებია, მითხარი, რა გინდა და...

— შენ, შეილი, ბოეში ხარ, ვინ რად ჩაგაგდებს, მე რო შევეხვეწები, სხვაა.

— კარგი, თომა რომ მოვა, უთხარი.

თვალი და ყური გზისაკენ ჰქონდა ყოველ დილით, მაგრამ თომა არა და არ ჩანდა.

დედამ ცარიელი კალათა აიღო ხელ-

\*გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.



ში, მსხლის ძირას ხილი ჩაყარა და მე მომიბრუნდა:

— საფქვავე წაილე, ბიჭო, დაფქვი ის, რაცაა.

— დაფქვავე, — დავბრდი მე და, როცა დედა თვალს მიეფარა, სიმინდინი ტომრები გამოვიტანე და ურემზე შევდე, ორ ნაპრად ჩაეყარა დედას, ალბათ მე რომ მოვრეოდი ასაწყევად.

— ესაა ჩვენი სიმინდი? — ვკითხე ჩემს თავს და მევე გავეცი პასუხი, — მეტი არ იქნება, რა ხანია ჩვენს მალაზიაში პური არ ყოფილა, ჩვენ ხომ მთელი ზაფხული თითქმის პურით ვიყავით.

ხარები რომ შევაბი და ის იყო გზას უნდა დავდგომოდი, ბებია შემახსენა:

— უქმელი არ წახვიდე, ბებია!

— არა, ბებია, — ვუთხარი და სამხადში შევიბრძინე, ბუჯერში საქმელი მოვიძებნე. ნახევარი კეცი მქადი ვიპოვე ჯამებში შემზობილი და ფხალის შექამანდი. ვეძიე ისევე, ქოთანში ხელი ჩაეყავი, კარდალში ჩაეხედე, მეტი ვერაფერი ვერ ვიპოვე.

მქადი ავიღე, ზედ ფხალი დავადე. ამ დროს მომაგონდა:

„ზაზა! ზაზამ რაღა ქნას?“

მქადი და ფხალი უკანვე დავდე, ზევიდან ჯამი დავამხე, რომ შავ კატას არ გადაეთრია და ისევე ხარებს მივუბრუნდი.

— რა ქენი, ბიჭო, ასე მალე? — მკითხა ბებია.

— ვქამე, ბებო, ვქამე.

— რას ქამდი ასე ერწამა!

— ყველაფერი ვქამე, ბებია, ყველაფერი.

— თავი არ მოიშოო, შეილო, — დამარიგა ბებია და თათიას მისი დამკნარი ძუძუ ჩაუღო პირში.

მე ურემზე შევბტი და გზას დავადექი. თავისუფლად მიახრივინებდნენ ხარები ცარიელ ურემს და ჩემი ორი ნაქერი საფქვავე ხტოდა, გორაობდა, ძლივს ვამაგრებდი ურემზე. გოჩას ჭიშკართან მომაგონდა, იქნებ მათაც ჭიშკანდათ საფქვავე მეთქი, ურმიდან გაეძახე:

— გოჩა, გოგონა, საფქვავეს წავი-

ღებთ წისქვილში!

— ჰო, ჰოო, — მომაწყვდინა ზმამ გოჩამ სადღაც სახლის უკანდას.

ურემი შევაჩერე. ეზოში ჩავედი, ჩემი ჭკუით, მისაშველებლად.

სახლის გვერდზე გოგონამ გამოირბინა. ოდის მოხურულში შევიდა და იქედან ზურგზე მოგდებული ტომსიკა გამოიტანა.

— დანარჩენი სადღა? — ვკითხე მე და ხელები დავიმკლავე, — ვზიდავ მარტო?

— მეტი... — გოგონას სახე აელეწა, მერე შემომიბღვირა, — მეტი აღარაა!

— ჰო, არც ჩვენ გვაქვს მეტი...

გოგონამ ურემზე შეაგდო საფქვავე და ჩემთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე გაბრუნდა უკან, ჭიშკარს შიგნიდან მომაძახა:

— ფატი დეიდასაც წაუღე, გოგიტა!

— წავეღებ, გოგონა, როგორ არ წავეღებ, ურემზე არა მაქვს ადგილი თუ ხარები არ მიჯერის, სერაფიონსაც წავეღებ, თუ გინდა, — და ახლა იქით გადავუხვიე.

ერთ ფუთამდე საფქვავე იქ დავუდე ურემს და ეზიკას ჭიშკართან შევაყენე ხარები.

ჭიშკართან ფატი გამომეგება.

— გამარჯობა, ფატი დეიდა!

— გაგიმარჯოს, გოგიტა! — თქვა მან და დიდრონი თვალები ამარიდა, ალბათ, გუშინ ეზიკა რომ ეჩხუბა მძახლებს, იმის თუ შერცხვა.

— თუ საფქვავე გაქვთ რაიმე, წავიღებთ.

— საფქვავე კი გვექნება, მაგრამ ჩამზადებული რომ არა მაქვს? — შეწუხდა იგი.

— დაგიცდით, რა მეჩქარება, ახლა წყალი ბევრია, საღამომდე მოვასწრებ მაინც, რომ დაღამდეს კიდეც, რა უქირს, არ მეშინია...

— აბა მე სიმინდს ჩავეყრი, — გატრი-ალდა იგი, მაგრამ რაღაც მოაგონდა და ისევე ჭიშკარს მოადგა, — ჩემი სიკვდილი, რაღა გზაში მივატოვე, ჩამოდი, გოგიტა, რაიმე ხილი ქამე, ატამია მწიფე...

მე გამიკვირდა. ასე კაცებს ებოდიშებინან. მე ყოველთვის ისე უბრალოდ მეტყვიან ხოლმე, — მოდი, ბიჭო, ხილი გვეყარება, — და მეც პირველსავე ხეზე მივძვრები.

— არა, ნუ წუხდებით. — ვუთხარია ახლა მეც კაცივით.

— ზე სანამ სიმინდს წავრეკავდე, დამაგვიანდება.

— ჩამოვალ აბა, — ვთქვი მე და ურმიდან ჩამოვხტი, ფატიმე კიშკარი გამიღო და ეზოში შემიძღვა. ეზოც არსად ჩანდა.

ფატიმე სკამი გამომიტანა.

— დაჯექი, მე ატმებს დაგიკრეფ, — მითხრა და წასვლა დააპირა.

— არა, ფატი დეიდა, მეჩქარება, — სკამზე ჩამოვეჯექი და რატომღაც მოვიკოტხე:

— როგორ ხარტ სახლში?

— გმადლობთ.

— ამირანის წერილი თუ მიიღეთ?

— მივიღეთ, კარგადაა ჯერჯერობით.

ისევ მინდოდა რაღაც მეთქვა, რადგან ასე ცოტა მოკითხვა, ჩემი აზრით, არ კმაროდა და ისევ დავუმატე: — წვიმები გადაიღო, მაგრამ ყანებში ერთი კვირა კიდევ ვერ ჩავაღთ სათოხრად. ერთ კვირაში კი ბალახი მუხლზე წამოვა და რაღას გავხდებით.

— აბა, მამა წუხდა, დავიმშვეითო.

— დავიმშვეით, აბა რა მოგვივა, — ვთქვი მე უკვე თავის ქნევით, — გაუმოროდებელ ყანაში აბა რა მოსავალი მოვა. ქაღები ჩაის საკრეფადაა, ყანაში მარტო ჩვენ რას გავხდებით, აი ომი რომ არ ყოფილიყო...

— რომ არ ყოფილიყო... — გაიმეორა მან, თვალი ამარიდა და თავისთვის ჩაილაპარაკა, — ჩაყრი აბა სიმინდს.

— ჩაყარე, ჩაყარე. — მე წამოვდექი და ატმებისაკენ გავსწიე. რამოდენიმე ცალი ქვევიდან შევაწყვიტე და ისევ უკან გამოვბრუნდი. თავზე წავადექი ფატის. იგი ჩამჯდარიყო, გობით მალლა ისროდა სიმინდის მარცვლებს და წინ თოვლივით ცვიოდა ბრელო. ჩემი მისვლა არ გაუგია, როცა ტომარაში ჩაყ-

რა დააპირა მაშინ შემნიშნა და მუხლებზე იტაცა ხელი, კაბა წაიფარა და წავედრჩხალივით წამოენთო.

მე გამიკვირდა, რატომ იყო ასე სასიროცხო მუხლების გამოჩენა.

ურმისაკენ წავედი. კიშკართან შევიცადე, რომ ტომრის გამოტანაში მივევლებოდი ფატის. როცა ტომრებს თავი მოუტრა, მე ისევ მივბრუნდი, მხარზე მოვიგდე ტომარი, ცოტა გამიკირდა კიდევ, მაგრამ არ შევიმჩნიე და ურემზე დავდე.

— თუ კიდევ გაქვთ, დავიციდი, მე არ მეჩქარება, — ვთქვი და მოღლილ მუხლებზე რომ არ დავბარბაცებულყავ, ურემს მივეყარნე.

— არა, გოგიტა არა, ერთი ამოდენა კიდევ იქნება, მერმისთვის იყოს, ისედაც დაგავიანე.

— მე არ მეშინია, — ვთქვი მე და ურემზე ავედი, — კიდევ რომ დამალამდეს, მაინც არ მეშინია...

— ღამე როგორ არ გეშინია, — თქვა ფატიმე და თავი გაიქნია — დაუჯერებელიყო.

— არ მეშინია, ფატი... — მაგრამ რატომღაც მეჩოთირა დეიდას დაძახება და ხარებს სახრე გადავუქირე.

თავი მივახიდა

### სოფლის სარჩო

ტუხუიას ხარ-ურემი არა ჰყავს. — გამახსენდა, როცა ზინდერის ბოლოში გავედი. მოდი, მასაც წაველებ, იქნებ თვითონაც წამოვიდეს, ფეხით კი არ ივლის, ურმით წაიყვან-მეთქი. შავ ხარს სახრე შემოვკარი და ცეტერაძეების კარს გავუყენე. კლემენტის ეზოსთან, ურმის კრიალზე რუხი, შავდრუნჩიანი ნაგაზი მოაწყდა მესერს. სახრე ავუქნე და გამოვაჯავრე.

— ეე, მიაკვლი პატრონს!

ნაგაზი ერთიანად გაიფოფრა, ყალყზე დაუდგა ქინჩი, ღობეს ყუფა-ყუფით გამოჰყვა და ყველა სარი მოსინჯა კბილით. ზე სახრე ჰაერში ზუზუნით დავატრიალე და ნაგაზი ისევ პატრონს

გაუგზავნე სულში მისაკვდომად.

— ავ, ავ, ავ! — არ მეშვებოდა ძალ-  
ლი.

აივანზე ბუღუ გადმოყუდა, დამაც-  
ქერდა, მის შარაზე რომ ხარ-ურნით  
დამინახა, არა სჯეროდა. ყურადღე-  
ბა არ მივაქციე და ისევ ხარებს შეეუ-  
ძახე.

ბუღუ კიბეზე დაეშვა, ძალს ქვა  
ესროლა და გზაზე გადმოვიდა.

მე ხნის გაცემას არ ვაპირებდი. ჩემ-  
თვის გაცეკროდი გზას და ხელში  
სახრეს ვაქნევდი.

ბუღუმ ურმის წინ დააპირა გადად-  
გომა, მაგრამ ღვინიას წაძახულ რქებს  
შეასწრო თვალი და უკან დაიხია. იცა-  
და, სანამ ურემი გაუსწორდებოდა, მე  
ისევ უხზოდ ვიჯექი ჩემთვის, ისიც  
უხზოდ გამოყვა ურემს, მაგრამ, რო-  
გორც კი მის ეზოს გავედით და მისი  
ჭიშკარი უკან დარჩა, მთელი ხმით და-  
მიყვირა ისევ, რომ ჩემი სახელი არ უხსე-  
ნებია.

— რატომ გამლახე!

ისევ არ გავეცი ხმა.

— მითხარი, ჰო, რატომ გამლახე!

უკან მივიხედე, მაგრამ ხმა არც  
ახლა გავეცი.

— რატომ გამლახე, — იგი ურემს  
კოფოსთან მიეჭრა და ისევ გაიმეორა, —  
რას მერჩოდ, რატომ გამლახე!

— მიტომ!

— რატომ, მიტომ? — არ მეშვებოდა  
ბუღუ, — რატომ, მიტომ!

— რატომ, მიტომ და მიტომ! — ისევ  
გავიმეორე ზე და ღვინიას წყნელი დაე-  
კარა. ხარმა იუკადრისა სახრე და ურემი  
სირბილით წაიღო. ჩამოიტოვა ბუღუ,  
რომელსაც თვალი ჭიშკრისაკენ ეჭირა,  
რომ შორს არ გაცდენოდა ეზოს და  
იმეორებდა: — რას მერჩოდ, რომ გამ-  
ლახე.

— იმიტომ, იმიტომ, — ვიმეორებდი  
უკვე ჩემთვის, რადგან თავად არ  
ვიციდი, რატომ ვქვამე ბუღუს.

ტუხუიას ჭიშკართან თოლია წამოვი-  
და ყვდით, მაგრამ შუა ეზომდე რომ

მოვიდა შეჩერდა. არ ვიცი, მიცნო, თუ  
დაეზარა, რაღაც ძველებური რჩინი აღარ  
ეტყობოდა მის ხმას.

— ტუხუია! — დავიძახე მე.

— აგერ ვარ, გოგოცა! — გამეპასუხა  
საღდაც ახლოს ტუხუია.

— სად ეშმაკში ხარ?

— აგერ ვარ, აგერ! — მომესმა ისევ,  
მაგრამ ტუხუია მაინც არ ჩანდა.

— რა მეთამაშებდა, გამოდი საცა ხარ!

— აგერ, ზევით ამოიხედე! — ტუხუ  
ზედ ჩემს თავზე გადაჯდომოდა თუთის  
ხეს და შავი ნაყოფით ისევ მოესვარა  
ცხვირ-პირი, ცნობა გამიჭირდა.

— რა დროს თუთა! — გამიყვირა  
მე.

— უბელავია, — განმარტა ტუხუიან,

— კიდეც იყო შერჩენილი, — მან ტო-  
ტი მოზიდა და წვეროში შერჩენილი  
ხართუთა მუწვი მოიქცია. მუწვა რომ  
პირთან მიიტანა ახლა სხვა ხმა მომესმა:

— მე?

— შენ? ჰა შენ, — ტუხუიამ იქით  
გაიწოდა ხელი, საიდანაც ეს ხმა მოდი-  
ოდა.

იქვე ტოტის ძირზე თუთით მოთხრი-  
ლი ხუთიოდე წლის გოგონა იჯდა, კაბა  
კოკებამდე ჩამოეტანა ხეზე ჩაცუც-  
ქულს, მაგრამ ალთა დაფლეთოდა და  
ორივე მუხლი უჩანდა.

— ჰა, შენ გქონდეს, — ტუხუიამ ხე-  
ლი გაუწოდა, მაგრამ ახლა უფრო პა-  
ტარა წრიბინა ხმა მოისმა:

— შე ალა? — და ღრილი მოაყოლა.

თუთაზე მიდგმულ კიბეს ბოლომდე  
ცყოლოდა უფრო პატარა ბიჭი. პატა-  
რას ისევ მოკლე პერანგი ეცვა, კიბას  
ძლივს უმაღავდა.

— მოიცა, ჰო, ახლავე, — ტუხუ სხვა  
ტოტს მიწედა, მოზიდა, მაგრამ ის იყო,  
უნდა მიწვდენოდა, ტოტი ხელიდან  
გაქცა და მარცვლები ურემზე დაცვი-  
ვდა.

— ეეე! — იღრიალა პატარამ.

— შენ რატომ არ აქმევე, კიჭია! —

შეუტია ტუხუიამ ვილაც სხვას მეორე მხარეს.

კიბზე ატატებულ პატარას ხელი ჩამოაწვდინა, ალბათ ჭიკიცომ და დაბჩენილ პირში რამდენიმე ცალი ხართუთა ჩაუღო. პატარა იმ წამსვე ვაჩერდა.

— წისქვილში ზიდიხარ? — ჩამომძახა ტუხუიამ.

— ჰო, შენც წამოიღე საფეკავი და წამოდი.

ტუხუიამ თავი გაიჭნია.

— რატომ, ურმით წაგიყვან, — შევაჭეზე მე.

— ჩვენ რაც გვქონდა, სულ დავფქვით და შევჭვამეთ, — განმარტა მან.

— მერე აწი... — დავიწყე, მაგრამ აღარ დავამთავრე, ხარებს სახრე მოუქნიე და შემოვაბრუნე.

— მოიცა, გოგიტა, თევდორე ბაბუას წაუღე, მე მითხრა, დღეს გამეგზავნო, მაგრამ დედა არ იყო სახლში და... წაუღე რა...

— წაუღებ, დაუძახე.

— თევდორე ბაბუა, თევდორე ბაბუა!

— ეჭვი, რომელი ხარ! — გამოეხშიანა აივნიდან თევდორე.

— საფეკავს წაგიღებს გოგიტა!

ხარები თევდორეს ჭიშკარს მივაყენე და დავუცადე. დიდხანს არც ხმა გაგვცა ვინმემ და არც არავინ გამოჩენილა.

მალე ოხერა და კენესა მოისმა. მე ურეზზე გავიშართე და ჭიშკარში გადავიხედე. თევდორეს ილიაში ამოეჩარა ტომარი და ყვარჯენზე დაყრდნობილი ძლიერს მოლოდავდა. უცებ ეზოში გავჩნდი, ვეცი ტომარს, მაგრამ ახლა მე განიჭირდა და ისევ თევდორემ მიშველა. მივათრიეთ ურჩამდე და ზედ შევდეთ. თევდორე წელში გაიმართა, ჯერ ჩემს ხარ-ურემს შეხედა, მერე მე, მერე ზევით აიხედა და ტუხუიას ჭიშკარზე აღმართულ თუთაზე შესეული ბავშვები რომ დაინახა, აღაპყრო ხელები და ისევ შერისხა ვილაცა:

— ამოგიწყდა ოჯახი!

ორ მოსახლეს არ ვიყავი გაცდილებული, რომ გზად მქედლის პატარა გოგო წამომეწია და საფეკავის წაღება მითხოვა.

სოფლის ბოლოს რომ გავედი, უახვე აღარ ვიციოდი, ვისი რა მედო ურემზე.

— მოდი, რაც არის, არის, ელპიტესაც დავუფეკავე, — ეთქვი ჩემთვის, — საწყალი, ამბაკოს წერილი არაა, ისედაც ავადყოფი ქალია. — ახლა თავქვე შევაბრუნე ურემი და ბროწეულის ლობეს ჩავყევი, კისერს ვიღერებდი, მინდოდა, დამენახა ამბაკოს სახლი, მაგრამ ხშირ ბროწეულებს იქით ვერაფერი გავარჩიე. ჭიშკარს როგორც კი გავუსწორდი, ელპიტეც გზაზე გადმოვიდა.

— გამარჯობა, ბიცოლა! — შევაგებე მე.

— გოგიტა ხარ, ბიჭო?

— გოგიტა ვარ.

— გოგიტა კი ხარ, მარა, ჩემი ამბაკოს რომ არაფერი ისმის, არ გიკვირს?

— იქნება, ბიცოლა, რაღა არ იქნება რამე.

— აბა, იქნება?

— კი, ბიცოლა, კი. საფეკავს წაგიღებ წისქვილში.

— წამიღებ?

— ჰო, აბა, რატომ მოვედი?

— რა ვქნა, აბა, ახლა მე?

— მომიტანე საფეკავი და საღამოს დაფეკვილს მოგიტან.

მან გრძელი კაბა აიკაპიწა და სახლისაკენ წავიდა. შავი ნაჭრებით დაკრებული სინინდიანი ტომარი გამომიტანა და, როცა ურემზე ჩამოღო, ისევ მკითხა:

— აბა, შენ არაფერი გაგიგონია ჩემი ამბაკოსი?

— არაფერი, მაგრამ რაღაცა რაღა არ იქნება!

— მალე მოვალ და, რა ვიცი...

სამი ღარის წისქვილს თავზე გადადიოდა მოდიდებული მდინარე. ბერლარა გადაეშვა მეწისქვილეს, ორი დიდი სქელქვებიანი წისქვილი ჩაეკეტა და ერთი კიდის ვიწრო ღარიანი აღრიანტებდა

გაცვეთილ დოლაბს. ხეიმირაზე ერთი ტონსიკა კიდევ იყო შესატუხული, ეს იყო და ეს.

ჩემს გამოჩენაზე შეწიქვილები ორივე თვალი გაუშვა. დატრიალდა წყალმორეული დოლაბები და მთელი ნახევარი სოფლის სარჩო ისე ჩანთქა, სანახევროდ მაინც მშვიერი დარჩა.

თავი მართობივით

### თავშესაფარი

ეშველა. ალაგ-ალაგ ზეგნებზე შეიძლებოდა მოროდის დაწყება. დაგვიანდა. ბალახი მოერია ყანებს, ახლა მოძალეებული მუშახელია საჭირო. მოეშვი აწი, ამ ძირდასაესებს! — მითხრა ეზიკამ, — და ხვალ ყანაში გამოდი.

— ყანაში? — შიშნარევი ხმით ეკითხე მე.

— ყანაში, თუ არა შიშნარევი ამოგძვრება სული!

— ყანაში კულტივატორს ვერ მოვერევი, — გამოუტყდი მე.

— ვერ მოერევი? — ეზიკამ თვალით გაღზომა მე. — რა ეიცო, ჯანდაბა. — და გაბრუნდა. გაბრუნდა, მაგრამ ხუთიოდე ნაბიჯზე რომ გამშორდა, გაჩერდა, დაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა, მობრუნება დააპირა, მაგრამ არ მობრუნებულა და მე, თუ ვიღაცას, უყვირა: — მოერევი, რა ღმერთი გაგიწყრება, რომ ვერ მოერევი!

— სიმინდს დამითხრის კულტივატორი! — ვიყვირე შეშინებულმა, რადგან ეზიკა ისევ არ მომეშვა.

— დაგიტხრის და დაგიტხაროს! — იღრიალა ეზიკამ, — რად გინდა გაუთხარი სიმინდი, რაც დარჩება, ის მაინც ჩვარგებს.

ამ დილით კი, ხარები რომ შევაბი, ის იყო, გზას უნდა გავდგომოდი, იგივე ეზიკა მოკოჩილდა და ხარები თავისი ხელით გამოიხსნა ულიოდან. ვერ მოეშვებოდა რიყავი, სად მაგზავნიდა, ან რას მიპირებდა ეზიკა.

— მოდის ის პატრონამოსაწყვირი!..

— ვინ, ბიძია? — ვიკითხე კიდევ

უფრო გაოცებულმა, ვერ გამეგო ვინ იყო ასეთი, რომ ხარს მიტყდა ულიოდან, ყანას გაუთოხრას? გვტყდა ვებდა და შიშნარევი გვიპირებდა ამოწყვეტას.

— ოჯახამოსაგდები!..

მე მაინც ვერ გავიგე ვინ მოდიოდა. გუშანით ვგრძნობდი, რომ ლაპარაკი მტერზე იყო. მაგრამ მტერი ამ დილით საიდან გამოტყვრა, როცა იგი ისე შორს იყო, რომ ჩვენამდე ზარბაზნის ხმაც ვერ აღწევდა.

— რად გვინდა, ბიძია, ყანა, ყანის მოწყვეტაზე თუ ჩაგვაძალღეს! მოდის, ის ღმერთგაწყვრალი, მოდის და თავშესაფარი უნდა გავაკეთოთ.

— თავშესაფარი? რას ჰქვია თავშესაფარი?

— თავშესაფარი... ჯანდაბას. ჰქვია, რას ჩივი, რასაც ჰქვია! ამოთხარე ორმო, თავზე მიწა დააყარე და შეძვერი შიგაი თავშესაფარი.

— ამოთხარე ორმო? — გავიმეორე მე.

— ჰო. მოთხარე ორმო, ასე, კაცის სიმაღლეზე... თუმცა შენი სიმაღლეც იკმარებს, მოთხარე, ზევით, — ეზიკამ ეზოში მიიხედ-მოიხედა, ვენახის თავში მიწყობილ სარებს შეაწერო თვალი. — ეგერ რომ სარებია, გადააწყვე თავზე ორმოს და დააყარე მიწა.

— ის სარები ვენახისაა.

— რა დროს ვენახია! — შემომიტია ეზიკამ, — ორმოს დააწყვე, მე გამოვივლი და თვითონვე ვნახავ.

— სად ამოთხარე ორმო!

— სად მოთხარე? — ეზიკამ ეზოში მიიხედ-მოიხედა და დედას გასძახა: — ივლითი!

დედა ისედაც ჩვენსკენ მოდიოდა, ხელში თათია ეჭირა.

— თავშესაფარი უნდა გააკეთოთ საღმე. სახლის ახლოს, დღესვე უნდა დაიწყოთ, ბრძანება ასეთი.

— სახლის ახლოს რად მინდა გულგასახეთქად! — გაიოცა დედამ.

— აბა, სოფლის ბოლომდე ვასვლას



გაცლის ის სახლკარდაქცეული? შენ  
მინც თოთო ბავშვიანი ხარ!

— ჩემს ბავშვთან რა უნდათ? —  
ყვირა დედამ და თათია გულზე მიიკრა.

— მისი ამოწყვეტა!.. — ეზიკა შებ-  
რუნდა და გზას გაუყვა.

ზე გაზეთებიდანაც ვიცოდი, რომ გერ-  
მანელები წინ მოიწევდნენ. ყველაფერს  
წვავდნენ და ჭამდნენ, ეგ ზახამაც  
იცოდა, რომ მოდიოდა რაღაც, ვეშაპი  
თუ მგელი, რომელიც ბავშვებს ყლაპა-  
ვდა. და მთელი ღამე ლოგინიდან წა-  
მოვარდნილი შველას ითხოვდა. მე ვაწ-  
გენდი ისევ და ვაშშვიდებდი: მამა იქ  
იყო და ჩვენამდე როგორ მოუშვებდა  
შავ მგელს, თოფს ესროდა, ხიშტს დაკ-  
რავდა და არ გამოუშვებდა.

— ხიშტს? — მკითხავდა ზახა.

— ხიშტს, — ვიშვორებდი მე.

ზახა წვებოდა. ვიძინებდი მეც და  
ისევ მესმოდა:

— მამა, მამა შექაპა! — ისევ წამო-  
ვარდებოდა მძინარე ბავშვი.

— სულელი ხარ! — ვეუბნებოდი მე.  
— შენ სულელი ხარ, შენ არაფერი არ  
იცი, მამას როგორ შექაპს, მამას რკი-  
ნის ქული ახურავს.

— რკინის ქული? — უკვირს ნახე-  
რად მძინარე ზახას.

— რკინის, ზედ წითელი ვარსკვლავი  
იქვს მიკვდილი!

— წითელი ვარსკვლავი?

— ჰო, წითელი ვარსკვლავი. დაწეპი  
ახლა!

— გოგიტა, — მეხვეწება იგი, — შენ-  
თან დაეწვები!

— ჩემთან არ წევხარ?

— აქ არა, — ჭვებთით არ უნდა ზახას.

— დაწეპი, სულ ერთი არაა?

ზახა ყურთბალიშს მოათრევს ბნელ-  
ში და ჩემს გვერდით ეწყობა.

— დაიძინე ახლა! — ვეუბნები მე და  
თავს ვიმძინარებ.

ის ტრიალებს, იცვლის გვერდს, არ  
ეძინება.

— გოგიტა, — ჩურჩილებს იგი, —  
ჩაა რკინის ქული?

— რკინის ქული... რკინის ქული —  
ქულია, თუჯის ქვაბივეთ.

— ქვაბივით?

— ჰო, მაგრამ ხეალ გაზეთში დახა-  
ტულს გაჩვენებ.

ზახა მთელი ღამე ფიქრობს რკინის  
ქულზე და სიზმარშიაც ამას ხედავს  
ალბათ. დილით აღრიანად მახსენებს და  
ლოგინში წამომჯდარი გაზეთში დახა-  
ტულ წითელარმიელს უტყვირის. ჩემ-  
მებთან ჯარისკაცს ხელში წინ გაშვე-  
რილი შაშხანა უჭირავს და რისხვით  
იკვირება, თავზე ჩაჩქანი ადევს ყურება-  
მდე ჩაშოფხატული და ზედ ვარსკვლავი  
აზის. ზახა უყურებს, უყურებს და  
ამბობს:

— მამა არაა.

— მამაც ასეთია, — ვუხსნი მე.

— მამა? — უკვირს ზახას და თითს  
არმიელის ჩემებზე ადებს, ახსოვს, რომ  
მამა ყურიან წაღებს იცეამდა...

მე სახლისაკენ გაეტრიალდი და ბარ-  
სა და ნიჩაბს დავეუწყე ძებნა.

— რას იზაბ, ბიჭო! — მკითხა დედამ.

— რა ვქნა, მოვთხრი ორმოს.

— ახლოს უნდა მოთხარო. სახლთან.

— წინ მოვთხრი, კონდარში აბა.  
სად უნდა მოვთხარო!

— მოთხარე, — ამბობს დედა, —  
ვაგრამ შენ მარტო რას ვახდები?

— მოვთხრი.

ბარს და ნიჩაბს სახლის წინ მი-  
ვართევ და მიწას ვახაზე: აქ ბებია დაჯ-  
დება, აქ დედა ზახა ამ კუთხეშიც დაე-  
ტევა, შუაზე აკვანი უნდა დაიდგას,  
ცოტა სრულად უნდა იდგეს აკვანი, რომ  
წარწევა შეიძლებოდეს. თორემ ატირ-  
დება თათია და თუ არ გადაეურწვიე, რა  
გააჩერებს. მე? მე საღაღაც აკვანს თავ-  
ში ან ჩამოსასველელში ჩაეიმალეები.

ვიწყებ ბარვას. მიწა ნაწვიმარია და  
იოლად იჭრება, მაგრამ ბალახით ძირ-  
გაყრული ბელტი არ მნებდება ამოსა-  
ლებად და გადასაგდებად. ხელით ვგლეჯ  
ბელტს, გვერდზე ვისვრი. ერთი ბარის  
პირზე ამოვჭერი, ახლა ნიჩაბით უნდა  
ამოვწმინდო და ისევ შევუღღამ ხელაბ-

ლა ამობარვას. იზიზნება აყალო მიწა, არაფრით ნიჩაბი არ მიდის წინ. ნიჩაბის თავს ზეუელთან ქიბის თავზე ებჯენ და ვაწეები მთელი ძალით. ხელეზზე ხელსლა მიჩნდება თეთრი ბუმტულები, მერე სკდება და საშინლად მეწვის. ხელს ველარ ვეილებ ვერც ბარს და ვერც ნიჩაბს, ველები ორმოს კიდეზე, თავზე მცხუნვარე მზე ზადგას და ოფლად გაღერილი ვფიქრობ: ვინ მოიგონა ეს ომი.

აგერ ზაზა ჩამოძერა ორმოში. ხან ბარს ეპოტიენება და ხან ნიჩაბს, მერე ვერც ერთთან რომ ვერაფერს გახდა, ხელით თითო-თითოდ იღებს ბელტებს და მალა ისვრის...

ნაწვიმარი მიწიდან ჰიყელას ხერელში წყალი ეონაეს. ვაკვირდება ამონათხარ ორმოს კიდევებს და ვხედავ რომ აგერ, ჩემს ფეხებთან მახრის მოზრდილა ხერელიდანაც მოედინება ანკარა წყალი.

ჯერ რა, მუხლამდეც არ ამომითხრია ორმო, ეს რომ ჩემი სიმაღლე იქნება, ალბათ. შეუამდე აივსება წყლით და როგორ უნდა შეიფარო თავი? ან თათიას აკვანი სადლა დაიდგმება ამ წყალში? ახლა, ზამთარში ხომ პირამდე აივსებს თოვლ-ჰყაბი?

— არა, — ვამბობ ჩემთვის, — ეზიკამ არ იცის, აქ როგორ შეიძლება ომი, როცა წყალი ამოდის. იქ, სადაც ომია, ალბათ, წყალი არ ამოდის ორმოებში. არა, არაფრით არ შეიძლება, ბებიას ფეხზე დგონა სად შეუძლია წყალში ხომ ვერ ჩაჯდება? ან ზაზა არ გაიკიდება? აქ როგორ შეიძლება ომი, განა ეზიკამ ყველაფერი იცის?

ზაზას მობეზრდა ბელტების ამოყრა და ტალახანი ხელებით სადლაც გაიჭია. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მისი ხმა მომესმა:

— აი, ბებო, ნახე!

და ვხედავ ჯოხდაბიჯებული ბებია წამომაღლა თავზე. ჯერ თითქოს თვალებს არ დაუჯერა, ერთხანს უცქირა მწვანედ აბიზინებულ კოინდარში ამო-

თხრილ ორმოს, მერე ერთბაშად აუცახცახდა უბილო ქვედა ყბა, ვერცხედალა აიქნია და დამჩხავლა:

— რაა, შე უღმერთო, ეგი, სამარეს მითხრი ეზოში?

თავი მითხრეობი

### ბ უ ხ უ ი ა

მთელი კვირა ვთხრიდი თავშესაფარს. ვხაპავდი ჩამდგარ წყალს და ვთხრიდი. რაც უფრო ღრმად ვავთხარე, მით უფრო იმატა წყალმა და ერთი ორად გაჭირდა მეშაობა. თავს ზევით ძნელი იყო ბართა და ნიჩბით მიწის აყრა. ამონათხარი იქვე ორმოს პირზე იყრებოდა და უკანვე ცვიოდა. ზოგჯერ დედაც მეშველებოდა. ბოლოს, როცა ორმო მზად იყო და გვალვებიც დაიჭირა, გადახურვას შევეუდექი. გავუღე ჯერ მსხვილი, ღონიერი კეტები, მერე ვენახის სახარდნედ გამზადებული სარები გავაწყვე მკიდროდ და მიწა დავაყარე.

ყოველ დღე გამოდიოდა ბებია ჯოხსდაბიჯებული, როცა ბავშვს მიაციენებდა. მე აღარ მიჯავრებოდა, მაგრამ ორმოში პირჯერის წერით ჩაიხედავდა და, „ღმერთო ჩემოო“, იტყოდა.

ორ კვირას არ მოწმორებია ზაზაც. ხან თოხს დაათრევდა, ხან ბარს და ნიჩაბს, თან განუწყვეტლივ მეკითხებოდა რკინის ქულზე. რკინის ქული მისთვის რალაც საოცრება იყო. მეც ორ კვირას ვუხსნიდი, მაგრამ მიინც ვერ გაიგო, ნამა როგორ დაიხურავდა თავზე ქეაბივით ქულს.

თავშესაფარი მოვათავე, მაგრამ ყანების გათოხნა უკვე გვიან იყო. სიმინდმა თავი იყარა და, თუ ტაროს გამეეთებული იყო ისედაც გაიკეთებდა აწინდელი თოხი ყანას არაფერს არგებდა.

გუშინ საღამოს ტუხუია ჩამოგანგალდა ეზოში. ერთხანს ცნობა გამიჭირდა. მარტო თავად და თვალეზად გადაქცეულიყო. მისი ერთგული ძაღლიც აღარსად ჩანდა. თავშესაფრის მიწა-

ყრილზე მოწყვეტით დაჯდა, მერე გაზარჯობა თქვა და შკითხა:

— მამაშენის წერილი მოგდის?

— არა. შენ?

— ჩვენ ორი წერილი მოგვივიდა.

— კარგია, — მოვიწონე მე, — ორი წერილი ძალიან კარგია, მისანართი თუ აქვს?

— აქვს, ნომერი აქვს.

— მაინც კარგია, მამაჩემის წერილს არც ნომერი აქვს და არც არაფერი...

— თუ ნომერი არა აქვს, პასუხს ვერ მიწერ... — მან იმოდენა თავი მძიმედ გადააქნია და მანუგეშა, — ალბათ, მოიწერს.

— რა ვიცი, თოზა მთლად გადაიკარგა და...

— არა, რალაც გამოჩნდება, — დამიქნია თავი ტუხუიამ, მერე დიდრონი თვალები ორმოში ჩააშტერა და თქვა:

— თავშესაფარი გააკეთე, აპ!

— გავაკეთე.

მუშტრის თვალით გაზომა ორმო და დასკვნა:

— კი დაეტევით. მე უფრო დიდი მოვთხარე და ზედ სახლის ფიცრები გადავფარე, მამამ რო გაიგოს... აბა, რა ნექნა, სარები არ გვქონდა, თანაც სარებში მიწა ჩამოკვივა, ფიცარი უკეთესია, იყოს ერთხანს, ომი გათავდება და, სანამ მამა მოვიდოდეს, ისევე თავის აგილას დაქვებ.

— ასე ქენი, — ვუთხარი მე.

— ხვალ პირველი სექტემბერია, აპ!

— პო, უნდა იყოს, — მომაგონდა მე, — პირველი სექტემბერია, სკოლაში უნდა წავიდეთ.

— უნდა წავიდეთ, მარა, — ტუხუია წამოჯდა და ჩემსკენ შემოპოზუნდა, — ეს წიგნები რომ აღარსადაა, რა უნდა უქნათ. პლატონ მასწავლებელს უთქვამს, ერთმანეთში დაიძიეთ, იქნებ ძველი წიგნები იშოვოთო.

— ძველი წიგნები?

— პო, შარშანდელი...

— სად ვეძიოთ? — ვკითხე მე.

— იმათ უნდა ვთხოვოთ, ვინც შარ-

შან იყო შექვესე კლასში, ჩვენი წიგნები მეხუთე კლასელებს უნდა მივცეთ.

— გოჩამ იცის? — ვკითხე მე, როცა წასასვლელად გავემზადეთ.

— გავუაროთ. — მითხრა ტუხუიამ და წაბოიშართა.

— გოგიტა! — მოიბრინა ზაზამ, თვალები უბრწყინავდა, ცმუჟავდა.

— რა იყო, რა გიხარია? — ვკითხე მე.

— დედამ — საკმელი ჭამეთო.

— საკმელი! — იკითხა ჩუმი ტუხუიამ და მე დავინახე, როგორ მიაშტერდა იგი ზაზას პირში. მერე წასვლა დააპირა, მაგრამ არა, მიწაყრილზე დაეშვა ისევ, — ჭაზეთ, მე აქ დაგიციდი.

— შენც წამოდი, — ვუთხარი მე.

— მეც? — მკითხა ტუხუიამ და სმუნად გადაიქცა, დაიძაბა. სანამ ჩემს ნათქვამს გავეიმეორებდი, დაიღალა.

— შენც წამოდი. — გავეიმეორე მე.

ტუხუიას ისევე უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ თვალებში შემომხედა და ზაზას გადაუსვა თავზე ხელი.

— რამოდენა გაზრდილხარ, ზაზა! — და აღერსით გაუცინა.

ზაზას ესიამოვნა.

ტუხუიამ თითი ასწია, ირიბად გადმომხედა და ზაზასკენ დაიხარა.

— არ იეშმაყო, ზაზა, გოგიტას ყველაფერი გაუგონე.

სუფრას მივუჯექით.

დედამ ხელები გააბავსავა ტუხუიას ზურგს უკან და თავი გადააქნია, რა ექნათ. მას ორი თხელი მჭადი დაეცხო. ჩვენ ოთხი ვიყავით და ნახევარ-ნახევარი მჭადი და ბლომად შეჭამადი გვეკუთვნოდა. ეს იყო, დედა და ბებია თავისი ნაწილიდან ზაზას დაუმატებდნენ მხოლოდ. დედა სახტად დარჩენილი მომჩერებოდა და არ იცოდა, რა ექნა. ხელით ვანიშნე, მე არ მინდა მეთქი.

დედამ ოავი გადააქნია და ჯამები ჩამოდგა. თვითოეულს პირამდე აგვივსო ჭყინტი ლობიოთი და ნახევარი მჭადი ჩამოგვირიგა. თვითონ ბავშვი



გამოართვა ბებიას, შუბლი გაიკრა კობ-  
ლებიანი თავსაფრით და გაგვიცხადა:  
თქვენ ჰამეთ, მე თავი მისკდება, ლუკმა  
არ ვადამიფა კისერშიო, მაგრამ ტუხუას  
ეს აღარ გაუგონია. მან მჰადის მოზრ-  
დილა ნატებს მოხერხებულად ლობიო  
ბლომად აზოაყოლა ჯამიდან და გა-  
სინჯა. მას პირი არც გაუნძრევია, ისე  
გადასანსლა, მერე გაიღრიჭა და დედას  
ნახელავი მოუწონა.

დედამ პირიქით მოიბოდიშა: უნიგ-  
ვზოა, მარილიც არ ყოფნისო.

ტუხუიამ, როცა ისევე გასინჯა შე-  
ჰამადი, დედას არაფრით არ დაეთანხმა.

— ჰამე, შეილო, ჰამე თუ მოგწონს, —  
თქვა დედამ და პირშებრუნებულმა  
ბავშვს ძეძუ ზისცა.

ტუხუიამ ისევე გასინჯა შეჰამადი და  
ორი სამი ლუკმის მერე მჰადი აღარ  
აღმოაჩინდა, რომ სუფრასთან ახლად-  
დამჯდარ ბებიასათვის დაედასტურებინ-  
ა, შეჰამადი შესანიშნავი ნახელავი  
იყო.

ბებია სუფრასთან მოეწყო, მაგრამ  
კუჭის ტკივილმა შეზოუტია, ჰამაზე  
უარი თქვა და თავისი წილი მჰადი  
ტუხუიას გადმოუდო.

— ჰამე, ბებია, ღმერთი შეგარგებს.  
ტუხუია ბებიას კუჭის ტკივილით  
დაინტერესდა.

— დიდი ხანია გტკივათ კუჭი? —  
იკითხა მან და ჰამა განაგრძო.

— დიდი ხანია... არც ისე, შეილო! —  
თქვა ბებიამ.

— კუჭის ტკივილზე, — ტუხუიამ  
ლუკმა ჩაიღო პირში და დაფიქრა, —  
თბილი რძე უნდა სვათ, თბილი რძე  
მისწრებაა. ფილიპეს ტკიოდა კუჭი, —  
გაისხენა ტუხუიამ, — კლავდა კუჭის  
ტკივილი, ლობიოს ახლოს ვერ იკარებ-  
და, ვერც მჰადს, ხმელ ფუნთუშას  
ჰამდა და თბილ, დაშაქრულ რძეს. სვა  
ასე, სვა და ახლა ჩიტკივითაა. გუშინ  
ენახე ზარილწაყრილ თეთრ ფხალს  
შირთმევედა. თეთრი ფხალი ახლა ჯო-  
ზებივითაა, მაგრამ მშვენიერად ჰამდა.

ტუხუია ლაპარაკში გაერთო და არ

გაუგია, ჩემი წილი მჰადიდან ნახელავი  
როგორ შევაპარე.

ზაზას თავისი გაეთავებინა და ტუ-  
ხუიას შავი თვალით უცქეროდა.

ნასადილევს ტუხუიამ უარი თქვა  
გოჩასთან წამოსვლაზე. სახლში ვიქნე-  
ბი და გამომიარეთო.

გამიკვირდა, რა საჩქარო საქმე გა-  
მოუჩნდა ტუხუიასმეთქი.

— სულერთი არაა, მე სახლში და-  
გიცდით... — თქვა და წელში მოიკაკეა  
უცებ, მერე გაიზართა და უადგილოდ  
გამიციანა — ჰო, გამომივლით ხომ? —  
თქვა და ისევე შევატყვევ დგომა უქიბრა.

მე ფეხებზე დავხედე, ფეხსაცმელი  
ხომ არ უქერს მეთქი და ჩემს თავზე  
გამეციანა, ტუხუიას მთელი ზაფხული არ  
ცმია ფეხზე. თვალი ზაღლა ავაყოლე.  
შარვლის სათავეში ჩატანებულ შავი  
თუთითა და წითელი ალუბლით და-  
ფოთლილ პერანგში სამკუთხად იყო  
გამობურცული ცხელი მჰადის ნატები.

— გამოვივლით. — ვთქვი მე და  
შეგებრიალდი. — აუცილებლად გამო-  
ვივლით.

თავი მეთექვსმეტი

ს ხ ვ ა ს კ ო ლ ა

ზარმა დაიქვრივალა.

— დასწყველოს ღმერთმა — გავი-  
ფიქრე მე, — ზარს მაინც რალა დაე-  
მართა.

საკლასო ოთახში მშრალი სუნი იდ-  
გა. დიდიხნის კარგამოკეტილი ოთახის  
სუნი. იმ წუთს არ მიფიქრია ამაზე,  
მაგრამ რატონღაც გამიკვირდა, მაინც  
ვერ მოვიგონე, სხვაგვარი სუნი რისა  
უნდა ყოფილიყო საკლასო ოთახში.  
ამას გვიან მივხვდი, როცა დაეჯექი და  
ჩემს ზერხზე შარშანდელი პატრონის  
სახელი ამოვიკითხე.

— არ შეუღებიათ? — ვიკითხე მე და  
მივხვდი, რომ ოთახში საღებავის ზეთის  
სუნი არ იდგა. დაფასაც ბაცი ფერო  
ეღო. შუა გულზე გაცრეცოდა სიშავე.  
არდადეგების წინ არ შემიჩინებია, რომ  
დაფას საღებავი გაცილილი ჰქონდა, ახლა

კი ისე თეთრი მომეჩვენა, რომ მეგონა ცარცი არ დაანდება მეთქი.

კარებში დასწავლებელი გამოჩნდა, მაგრამ ილიაში ახალი ეურნალი არ ჰქონდა, უბრალოდ, შუაზე გაკეცილი რვეულის ფურცელი შემოიტანა, მაგიდას მიუახლოვდა და მოგვესალმა:

— გამარჯობათ, ყმაწვილებო!

ჩვენ მისალმებაზე კანტი-კუნტად ვუპასუხეთ. რაღაც ერთხმად არ გამოგვივიდა.

ის მაგიდასთან გაჩერდა. ყველა სათითაოდ შეგვათვალეირა. მე მოვემზადე, რა შეპასუხა მის შეკითხვაზე, როგორ გავატარებ ზაფხული. იგი თითქოს თვალს არ უჯერისო, ისევ შეგვათვალეირა და აღარაფერი აღარ უკითხავს. მერე მელოტი თავი გადააქნია, სათვალეები ამოიღო. მე ვიცანი შარშანდელი რქის სათვალეები, გამოცდების დროს რომ ცალი ყურზე ჩამოსათება მოუტყდა, ან ზაფხულს მეორეც მოტეხნოდა და ძაფით ჩამოიგო ყურებზე. მან წყვილი ფურცელი გაშალა და სიის ამოკითხვას შეუდგა. წაიკითხავდა ერთის სახელს და გვარს.

— ვარ! — მოისმოდა პასუხად.

დასწავლებელი თავს ასწევდა, შეხედავდა, გამოძახებული იდგა, წინ შარშანდელ რომელიმე დაუდგარის ხელით მიხატულ სამკუთხედ კაბიან გოგონას უტყერდა, რომელსაც ცოცხივით გაშლილი ხელები ჰქონდა.

— დაჯექი! — იტყოდა დასწავლებელი და რაღაც იღუმალი ხმით ისევ ამოიკითხავდა.

— ვარ! — გაისმოდა და წამოდგებოდა ვინმე კიდის ნერხიდან.

დასწავლებელი დააჩერდებოდა. ძნელი იყო, ხმით გაგერჩია შარშანდელი ანზორი ან თორნიკე, რუსიკო ან ციალა.

— დაჯექი! — იტყოდა დასწავლებელი.

— ვარ! — მოისმოდა ახლა ჩემს წინა მერხიდან, ჩემს გვერდით და ჩვენ სათითაოდ ვათვალეირებდით ერთმანეთს. მე გოჩას და ტუხუიას ხმაც ვერ ვიცა-

ნი, თითქოს ახალ კლასში მოვეხვდი, სადაც არავის არ ვიცნობდა და სადაც დღეს პირველად მოვედი.

— ვარ! — ეთქვი მე და წამოდექი.

ოცდაათობმეტი წყვილი დიდი და გაკვირვებული თვალი შემომამჩერდა. დასწავლებელმაც დაკვირვებით შემავლო თვალი. მე შემოსასვლელთან წერილ ლურსმანზე შერჩენილ შარშანდელი ცხრილის ნახევს ვუტყერდი.

დასწავლებელმა ბოლომდე ჩაიკითხა სია. მერე ფურცელი დაკეცა და სათვალის მოხსნა დააპირა. პლატონი სათვალეს მარტო კითხვისას ხმარობდა. ცალ ყურზე მოიხსნა, მერე ხელიდან გაუსხლტა და ცალზე სასაცილოდ ჩამოეკიდა. მეგონა, ჯგუფში სიცილი ატყდებოდა, მაგრამ არავის წარბი არ გახსნია.

დასწავლებელმა სათვალე გაკეცილ ფურცელზე დადო, მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და დაფიქრდა.

— გაზეთს კითხულობთ, ალბათ, — თქვა მან ბოლოს და ჯიბიდან დაეცილი ზუყაოსფერი ქაღალდი ამოიღო.

— ვკითხულობთ! — უპასუხა წინა მერხიდან ლადომ.

— მდა... — თავი დააქნია დასწავლებელმა, — წინ მოიწვეს... მართალია, მოიწვეს, მაგრამ ასეც არაა საქმე, როგორც მტერს ეგონა.

ჩვენ ყურები ვტკვირეთ, რადგან არც ერთმა არ ვიცოდით, რა ეგონა მტერს.

— არც ისეა საქმე, — გაიმეორა მან და გაზეთში საინფორმაციო ცნობები მოძებნა, — ჩვენს ჯარს უკვე აქვს გარკვეული წარმატებები, — ისევ აიღო სათვალე, მაგრამ არ გუჟყვებოდა, ცალი ხელით დაიჭირა თვალბთან და ამოიკითხა: — მტერმა ან შეტაკებაში დაკარგა ორასამდე ჯარისკაცი, ექვსი ტანკი, შვიდი ხელის ტყვიამფრქვევი და საზენიტო ქვემეხი.

არცერთ ჩვენგანს არ გაკვირვებია ერთად ორასამდე ჯარისკაცის დაღუპვა, ყველამ კარგად ვიცოდით, რა იყო

ტანი, და ხელის და დაზვის ტყვია-  
მტრქვევი... მასწავლებელს არ აუხსნია  
მათი მნიშვნელობა.

— არც ისეა საქმე, მტერს რომ  
ვეგონა, — გაიმეორა პლატონმა, —  
მტრის ელვისებური ომის გეგმა ჩაი-  
შალა, მოსკოვი ხელუხლებელია, მოს-  
კოვში აქამდე მტერის წმენბლობაც  
არ შეჩერებულა, ჩვენ გავიმარჯვებთ! —  
თქვა მან. წამოდგა, ფანჯრისაკენ წავი-  
და, მობრუნდა, თავი დაგვიქნია და  
დაბეჯითებით გაიმეორა — კი, გავი-  
ძარჯვებთ, უსათუოდ გავიმარჯვებთ.

გოჩამ უთქმელად გადმოიხედა და  
მერე თვალთ ტუხუია მოძებნა, მეც  
გავხედე ტუხუიას და გამიკვირდა, რომ  
ტუხუიას ამოდენა თავი უცებ ვერ  
გოპოვე.

შესვენებაზე ბუღუს შევეჩხე ეზო-  
ში. ხმა არ გამიცია. მეგონა, მომვარ-  
დებოდა და ისევე აყვირდებოდა: რას  
მერჩოდო, მაგრამ, პირიქით, შეშინდა,  
თვალი ამარიდა და უხმოდ ბავშვებში  
შეერია.

მე ღობეს მივეყრდნე და იქვე აყუდ-  
ბულ მქედლის აყლაყუდა ბიჰს გიგას  
აეხედე. მას ცერა თითი შეხვეული  
ჰქონდა.

— რა დაგემართა? — ვკითხე მე.

— რა დამემართა? — აქეთ მკითხა  
მან.

— აი, ხელი, — დაეანახე შეხვეული.

— ჰო, რაღაც ნეგონა, რა დამემარ-  
თებოდა, დავიბეგვე.

— თლიდი რამეს?

— არა, ვჭედავდი.

— ჰედავდი? — გავუმეორე მე, რად-  
გან მეგონა, ვაჭედებდიო, — უნდოდა  
უთქვა.

— ვჭედავდი — თქვა მან უბრა-  
ლოდ, — ხარის ლურსმანს ვჭედავდი  
და...

— შენ? — გამიხარდა მე. — თვი-  
თონ ჰედავ?

— ვჭედავ, აბა, ფეხშიშველი ხარი  
ივარგებს?

— დღეს გცალია?

— დღეს სად მეცლება, გაკვეთილ-  
ბის შემდეგ თავშესაფარი უნდა ვთხო-  
ვოთ აქ.

— აქ სკოლაში? ჩვენთვის არ უთქ-  
ვამთ?

— ჩვენ ღირეპტორის გაკვეთილი  
გვქონდა პირველი.

ზარი დაირეკა. ბავშვები კლასებისა-  
კენ დაიძრნენ. გიგამაც დააპირა წასვლა.

— აბა, როდის, როდის გეცლება?

— მეცლება... — გაეცინა მას —  
როდის მეცლება...

— აბა, მამამ დამიბრა, — სიტყვა  
გამიწყდა, ზამის დაბარება რა საქირო  
იყო, როცა ეს ისედაც იცოდა ყველამ.  
რომ ხარი დასაქვდი იყო.

— მამაშენის წერილი მოდის? —  
მკითხა ზან მოულოდნელად.

— არა. — თავი გავიქნიე მე.

— სულ არ მოსულა?

— მოვიდა ერთი, მერე აღარ მოსუ-  
ლა. მამაშენის? — ახლა მე ვკითხე.

— მოდის ჯერჯერობით, მოდის.

— მისამართი აქვს?

— რა მისამართი? — გაუკვირდა  
გიგას.

— აი, წერილი რომ გაუგზავნო უკან.

— კი, აბა, როგორ, საველე ფოსტის  
ნომერი.

— აი, მამაჩემისას კი არა აქვს. —  
ვთქვი და დავინახე, რომ მასწავლებე-  
ლი შევიდა ჩვენს საკლასო ოთახში. —  
მერე გნახე, — გაქცევა დაეპირე.

— ზოიყვანე ხარები...

— მერე რა, რომ მოვიყვანო...

— მოიყვანე, რაღაცას მოვახერხებთ.  
ლამე დავევდავთ ბოლოს და ბოლოს.

— მეც მოგეხმარები, გიგა, ვითომ  
ვერაფერს მოგეხმარები?

— როგორ არა, მომეხმარები.

გაკვეთილზე გავექანდი. საღდაც  
შეგვიანებულმა გოგონამ გამარბინა  
წინ. ტანზე უცხო ფერის კაბა ეცვა და  
გამიკვირდა. ლურჯი ფერისა იყო, მაგ-  
რამ საღებავი არ მოკიდებოდა ხეირია-  
ნად და აეჭრელებინა ქსოვილი.

— შეიძლება, პატივცემულო... —

სიტყვა გამიწყდა. ვიცოდი, მეორე გვეთილი მათემატიკის გეგონდა და, როცა სრულიად ახალგაზრდა უცხო ქალს შევასწარი თვალი მაგიდასთან, გამიკვირდა, სხვა კლასში ხომ არ მოვხვდი მეტი.

— მოდი, მოდი! — მიმიწვია მან ისე, რომ დაგვიანების მიზეზი არ უკითხავს.

მერხისაკენ წავედი.

— მათემატიკის მასწავლებელი ჯარში წასულა, — გადმომილაპარაკა გონამ.

მე ისევ მოვათვალე რე კლასი და მერე ახალ მასწავლებელს შევაჩერდი. და ნამდვილად დავეიერე, რომ სხვა კლასში, სხვა კლასში კი არა, სხვა სკოლაში მოვხვდი.

### თავი მხატვრობა

#### მხედელი

საურმე კრაქის სინათლეზე ღამით დავედეთ ხარები.

მეშინოდა, როგორ მოვერეოდით წასაქცევად ლვინიას, მაგრამ გიგამ რქიდან წამოსული ბაწარი ტუნზე მოახვია, უკანა ორ ფეხში გამოუტარა და დაქაჩა. ლვინიამ თავი უკადრისად გაიქნია, მაგრამ რამდენი კისერი მოიქნია, იმდენად ფეხებში ჩაეჭირა, ბოლოს დაბარბაცდა. თავი ვეღარ შეიკავა, წამოიჩოქა, წამოეარდა დააპირა, მაგრამ თოკში გახლართული უკანა ფეხები ვეღარ გაითავისუფლა, თავიც გვერდზე, ბეჭზე მიეკრა და დაეცა. გიგამ იმ წამსვე ფეხებში დასაქვდი უღელი შეუგდო და ბაწარი გადაუჭირა. მერე დიდი სამთეხა ქვეშადადგი შეუღდა უღელს და ხარს შერკული ოთხივე ფეხი მალა დაუკავა.

მე სამკვდლოში შევევარი. წინაღობინდელი ნაჭედი ნალ-ლურსმანი გამოვიტანე.

— აი, ასე დაიჭირე ჩლიქი, — მითხრა გიგამ და ხარს ცალ ჩლიქზე შერჩენილი ნახევარი ნალი გაზით ააგლიჯა, მერე ჩარჩენილი და ჩატეხილი ლურსმნები დააძრო და ჩლიქი გადაფხვია, გადათალა.

— დიდი ნალი ამომირჩიე, — მითხრა მან. პატარა გრძელტარხანა ჩაჭუჩი და გაზი ხელში დაიჭირა. ნალის ლურსმნები მარცხენა, გაზიანი ხელის თითებში ჩაიწყო ისე, როგორც მკვდელმა იცოდა.

თექვსმეტ ნალში ყველაზე დიდი ამოვარჩიე, მაგრამ, როცა გიგამ ჩლიქს დაატოლა, მაინც არ იკმარა.

— რას იზამ, უნდა დაეპედოთ. — თქვა მან, — ახლოს მომიწიე კრაქი.

— დაეპედოთ, აბა, რა გქნათ! — დავეთანხმე მეც და სინათლე ახლოს მივუტანე.

გიგამ ლურსმანს თავი ოდნავ ირიბად დაუჭირა, რომ ჩლიქში ღრმად არ წასულიყო. გაზის თავი ჩლიქს ნიაბჯინა ქვევიდან და ჩაჭუჩი ფრთხილად შემოკრა.

ლვინია შეკრთა. გაიქნია წყვილად შერკული ფეხები. მე გვერდზე გადაეხტი, მეგონა უღელს დაამსხვრედა. ბაწარს დაგლეჯდა, მაგრამ გიგა ადგილიდან არ განძრეულა, ისე უყურებდა ხარის ბრძოლას.

— კაი ახლა, გეყოფა! — თქვა ბოლოს, როცა ლვინიამ ფეხების ქნევა აღარ დაამთავრა. ბოლოს მაინც დამშვიდდა და გიგა ისევ საქმეს მიუბრუნდა. სანამ თავბრტყელ ლურსმანს ბოლომდე ჩაუშვებდა, ნელა უკაკუნებდა ჩაჭუჩს, ბოლოს კი ზედისეღ მაგრად შემოკრა და როცა ნალი ბეჯითად დაეკრა ჩლიქს, გვერდზე გამოსულ ლურსმანს წვერს გაზის თავი დაუხვედრა და ჩაჭუჩი ისევ ზევიდან დაუკაკუნა. ზევიდან დაკრულ ლურსმანს ქვევით რომ გაზის თავი დახვდა, წვერი მოელუნა, გიგამ ისევ დაკრა, ისევ მოელუნა, მერე დაეხვია და ჩლიქს მიეტმასნა. გიგამ ერთი ორჯერ ისევ დაჰკრა ზევიდან და, მე ჩემდა უნებურად ვთქვი:

— ნამდვილი მკვდელივით!

ლვინია ფშვინავდა, იქნედა ფეხებს. მაგრამ გიგა თავის საქმეს მამამისივით მშვილად განაგრძობდა.

როცა შავ ხარს მოდო თოკი წასაქცე-

ვად, მე შევეხსენე, რომ უკანა ფეხის ცალი ჩლიქი წატეხილი ჰქონდა.

— ვნახავთ, აგერ, — თქვა მან და ხარს ფეხებში ბაწარი გაუგდო.

— უკან არ გაეკარო, გიგა, წიხლი იცის! — გამახსენდა ზე.

— ნუ გეშინია, — დამამშვიდა მან, — ხარებმა ან წიხლი იციან ან რქენა, — ბაწარი გამოსწია და ხარი დასცა. მერე, როცა დასაქედად მოამზადა, კრაქი გამომართვა და ახლოს დახედა წატეხილ ჩლიქს.

— დაიჭერს ლურსმანს? — ვკითხე ზე.

— რა ვიცი, — თავი გადააქნია მან. — უნალოდ უარესია, მაინც უნდა ვსინჯოთ, — კრაქი უკან გადმომცა და ფრთხილად გაწმინდა ჩლიქი. როცა ჰედვა დაიწყო, სინათლემ იკლო. კრაქი ბეუტავდა.

— რა ეშმაკი დამართა!

— რა ვიცი! — ვთქვი მე და კრაქი შევანჯღრე. მშრალი პატრუქი ახმაურდა შიგ. — ნავთი არ ყოფილა.

— ამოუწიე გული, იქნებ დაქედვა მოვასწროთ, თორემ ახლა ნავთს სად ვიშოვით.

პატრუქი ლურსმანის წვერით მალა ამოეჩინა. აენტო. გიგა ჰედვას შეუდგა. პატრუქს თავი მალე წაეწვა და მიიბეჭტა. მე ისევ ამოვწიე იგი და როცა აინთო, თავზე წამომდგარი აჩრდილი გავარჩიე. შევეკრთი. კლემენტე ცეტერაძე ვიცან.

მან, როგორც კი ჩემი მზერა დაიჭირა, გამიცინა.

— ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ! ახლა გიგამაც ახედა კლემენტის.

— ასე უნდა კაცის შვილი, — განაგრძო მან, — საუღლე ხარს სასკორეში შეეტყობაო. ახლა თქვენ რომ ივარგებთ ლაპარაკი უნდა?

კრაქს ალი სულ გაუქრა და უნავთო პატრუქმა ნაკვერჩხალივით დაიწყო წვა.

— მაგას ნავთი უნდა, ბიძია!

— სადაა მერე, რომ უნდა, — ჩაილაპარაკა გიგამ. ჩაქუჩი და გაზი ხელიდან

გაყარა, სამკედლოში შებრუნდა. მე ხმა არ ამომიღია, ისევ პატრუქის ამბობდა ვეცადე.

— არ გინდა, — მითხრა გიგამ, — დანებე თავი მაგ კრაქს, აგერ რეზინას მოეუკიდებ.

— ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ! — შეაქო ისევ კლემენტემ — არც ნავთი გაქვთ, მაგრამ... ვინც ვარგა, ვარგა.

გიგამ აბრიალებული ძველი კალოში გამოიტანა, ხელში მომაჩეჩა, და როცა ჩვენ საქმეს შევეუდგეთ, კლემენტემ ისევ შეგვაქო.

— კაი ბიჭები ხართ, ბიძია, კაი! — მერე თავის კანტურით თავის გაჭირვებას ზოპყვა: — მეც მყავს ერთი თქვენი კბილა, მაგრამ, რად გინდა მერე, ჰამის მეტს არაფერს აკეთებს, მე კიდევ ნახევარი კაცი არა ვარ, ფეხით ვერ დავდივარ, თუ ურმით წავალ სადმე, თუ არა, სად შემიძლია, მე შენ გეტყვი. ჩემი ბუღუა რამის გამკეთებელი.

კლემენტის ლაი-ლაიში გიგას ეტყობა წატეხილ ჩლიქში ლურსმანი შიგნით გაქცა და ხარი კინალამ გაგიგა, აფართხალდა, მთელი ტანით ავარდა და არაფრით არ დაწყნარდა.

— უყურე შენ, — გაბრაზდა კლემენტე — გქედავენ შე ბალანდასაწვავო, ხომ არ გკლავენ!

ხარი ისევ იქნევდა ფეხს, როცა გიგა უღელს ეცა, მიაწვა, წაავლო ლურსმანს გაზი და ამოგლიჯა.

ხარი დაწყნარდა.

— არაფერი არ უქირს, ბიძია, — დავამშვიდა კლემენტემ — იქნება ცოტა ეტყინოს ერთხანს, მაგრამ ძალლი კოჭლობით არ მოკვდება.

— მეტ ლურსმანს ვერ დავკრავთ აქ — მითხრა გიგამ და ახლა სხვა ჩლიქზე განაგრძო ჰედვა.

— რაღა ვქნა, ხარს თუ ფეხი გაუფუჭდა — ვფიქრობდი მე და აბოლებულ ძველ კალოშს ვუმარჯვებდი მშედელს.

— ჰოდა, — განაგრძო კლემენტემ, — ფეხით ვერ დავდივარ, თუ ხარი დაქე-



დიდი არ მეყოლა, რავე ვარგვარ.

გიგამ ხმა არ გასცა.

ერთხანს კლემენტიმაც გაკმინდა ხმა, ალბათ, იმიტომ, ვიგამ რომ არაფერი უთხრა. დიდი ინტერესით უყურა ჩვენს საქმიანობას, შიგადაშიგ გვაქებდა და ბოლოს, როცა ხარს ფეხი გავუხსენით და ავუშვიით, წელში მოიკაცვა, გიგას თვალბში შესცინა და კითხა:

— როდის მოგიდენო, ბიძია, ხარები?

— რა ხარები, — თავი გაიქნია გიგამ.

— თითქოს ახლა დაინახა კლემენტი.

კლემენტიმ გაიციინა. გიგას თვალი ჩაუქრა და მისი გულგრილობა არ შეიშინია.

— ხარები, ბიძია, ჩემი ხარები არ იცი? დაგირჩა მარჯვენა, შენ არ დამიჭედე ამ თვენახევრის წინ!

— ორი კვირაც არაა, — გაუსწორა გიგამ.

— ოო, ქე გხსომებია. მოგეცა სიკეთე.

გიგა ჩაქუჩის, გაზის, საფხეკისა და ძველი ნალ-ლურსმნის შეგროვებას შეუდგა. კლემენტიმაც ჩაიმუხლა და დაფაცურდა.

— უყურე შენ, სად ნაგდება ლურსმანი, — აიტაცა მან ძველი წვერმოღრეცილი ლურსმანი, — ახლა აქ ხარს რომ წააქცევ. მუცლით რომ დაეხიოს, მერე გამოვა ვინმე ვაეხატონი და მჭედელს დააბრალებს. რა ქნას მჭედელმა. მჭედელი ერთია, — მერე მე მომიბრუნდა, — აბა აქეთ მომანათე გოგიტა, ა, ხედავ? — მან ახლა გაღუნული ძველი ნალი იბოვა — მომანათე, მომანათე...

გიგამ ყველაფერი ყუთში ჩაყარა და სამჭედლოში შეიტანა. ცეცხლი ჩააქრო და საკეტი გამოიტანა. კარებთან კლემენტი შეხვდა.

— რავე მითხარი, ბიძი. როდის მოგიდენო ხარები?

— რა ხარები? — ისე კითხა გიგამ, თითქოს პირველად ესმისო.

— ჰი, ჰი, რა ეშმაკი ხარ, გიგა. ნამაშენმაც ასეთი ხუმრობა იცოდა, ხვალ ნალები გაჭედე ბიძი, ნავთს მე მოგი-

ტან. ერთი-ორი ბოთლი კიდევ მექნება.

— არ მინდა, — თავი გააქნია გიგამ.

— აბა, დღე გეცლება?

— არა, არ მეცლება.

— ჰოდა, მაგი რომ ვიცოდი, ამიტომ გითხარი, სალამოს ნავთი დაგჭირდება.

— ლამე წიგნი უნდა ვიკითხო.

— სამ ბოთლს მოგიტან, საკითხავადაც გეყოფა.

— შენი ხარები ახალი დაქედილია.

— აცვივდა ბიძია, აცვივდა თუ არა, მე მეხალისება?

— შარაზე დიდხანს არ დაიკავებს ნალს ხარი.

— შარაზეც უნდა გავიარო და ყანაშიც, აბა რა ვქნა, ფეხი რომ არ მიჯერის!

— ყანაში რო გველო, თვენახევარს ეყოფოდა.

— მართალი ხარ, მაგრამ საქმე მქონდა, ბიძია. უსაქმოდ ხომ არ ვივლიდი ამ ხნის აცი!

— თუ გაკვეთილების მერე მექნა დრო...

— მოგიყვანო არა? — გააწყვეტინა კლემენტიმ და მხარზე დაკრა ხელი გიგას.

— თუ დრო მექნა, — მტკიცედ გაიმეორა გიგამ თავისი, — ოცი უღელი ხარია დასაქედი, მალე რთველი დაიწყება...

სახლისაკენ წასულ ხარებს გავხედე და გზაზე გავედი.

კლემენტიმ მიიხედ-მოიხედა და, ახლოს რომ ვერ დამინახა, გიგას უთხრა:

— ფულს მოგცემ.

— არ მინდა, მე შრომადღე მეწერება.

— ჰი, ჰი, ჰი, შრომადღე! — გაიციინა კლემენტიმ. — ბევრი რამე დაგირიგდება წელს შრომადღეზე. ეაი შეილი ყანები გაქვს. ჰა, ბიძია, ეს ჯიბეში ჩაიდევდი და სხვა კიდევ მე ვიცი შენი პატივისცემა.

— არ მინდა! — ხმამალა უთხრა გიგამ.

— კვირას ბაზარში ვარ წასასვლელი, შე მამაძალო! ზოკიდე ხელი.

— არა! — იყვირა გიგამ და მე მომამხა — მოიცა, გოგიტა, ნეტ მოვდინვარ!

— უყურე შენი..

გიგა სირბილით დამეწია, ერთხანს უხმოდ ვიარეთ, მერე აკოკლებულ ხარს შეხედა და გულისტყვივით თქვა:

— ერთხანს იტყენს, ალბათ, თუ გაუჭირდეს, მომიყვანე და სისხლს გამოვუშვებ.

— ვითომ გაუსივდება? — ვკითხე მე.

— რა ვეცი, შენ გგონია, მე კარგად ვიცი... იქნებ იოლად ჩაიაროს.

— კიდევ რომ გაუსივდეს... პოკიდევ რომ გაუსივდეს... მამაჩემის წერილი თუ მივიღე და მისამართი თუ ექნა, არ მივწერ.

— არა, არა, არ მიწერო! — გამაფრთხილა მანაც და თავისი გზით გადაუხვიდა.

თავი მეთორმეტე

კოვლი ხარი

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასელები სკოლიდან ერთი კვირით დაგვითხოვეს. რთველი უნდა აგველო. ან რა იყო იმდენი ასალები, მაგრამ ყველაფერს მაინც თავისი ხელი უნდა. ორ ზტკაველიან ტაროს მოტებ თუ ერთი კიდა კვიეს- სიმინდთან ხომ უნდა მიხვიდე. საყენახევერიან ჩალას მოჭრი თუ ქონდრის სიმალღეს, ხომ უნდა მოჭრა.

შეგ ხარს ფეხი გაუსივდა. კოკლობდა. ძროხა გაშრა. დედა აშობდა: თებერვლის ბოლოს ხბო უნდა მოიგოსო. თითო კიქას ძლივს ართმევდა ბავშვისათვის. იმ დღით ის ერთი კიქაც არ მისცა, ახლოს არ წაიყარა დედა.

— მგელმა შეგკამა, — წყევლიდა დედა. ცემდა, მაგრამ ძროხა ჯიუტად იღვა თავისაზე. უწინ, როცა სამ კიქაზე დადგებოდა ძროხის ნაწველი, დედა თავს გაანებებდა. ახლა ხაზა კყინტ

სიმინდსა და უმწიფარ კვახტეც იოლად გადავიდოდა, მაგრამ თათბარს ურძევდა როგორ იქნებოდა, დედას მთელი დღეები ბლანტაციაში მუშაობამ რძე გაუშრო.

— რა ექნა, დედა, რა ექნა! — ბებიას მიამშველა დედამ და ხელები გაასაესავა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ბებიამ ჩვეულებრივ და თათბარს თავისი გამჭკნარი ძუძუ მისცა. — ნეტავ ერთი თომა გამოჩნდებოდეს, თუ არა... — თავზე ისევ შემოიდგა ხელები და ჩასველებული კაბა ისევ ჩაიფერთხა.

ურემს ფარდები ავეფარდე, სიმინდის საზიდავად მოვაწყვე და ხარები გამოვღენე შესაბმელად. წელის წყვეტით შეუღდა შავი ხარი უღელს.

ვიცოდი, რომ მამა არატრით არ შეაბამდა ფეხმტკივან ხარს, მაგრამ მაშინ თუ ურემი არ იქნებოდა, მანქანა იყო, რაც არ უნდა ყოფილიყო, მამას მხარით რომ ეთრია გოდრები, მაინც არ შეაბამდა.

ურემი ადგილიდან დავძარი. აითრია შავმა მტკივანი ფეხი. სახრე გადაუჭირე კიდევ, თითქოს თავისი გაჭირვება არ ყოფნიდა, და ყანებისაკენ გაუღდექი გზას.

გზიდან მინდორზე თოლიას მოგკარი ფვალი.

ეზიკას ჭიშკრიდან ყანებისაკენ მიმავალი ფატი გაღმოვიდა, მომესალმა და გაუკვირდა, რომ ურემს ფეხით მივყვებოდი.

— ხარი კოკლობს, — აფუხსენი მე, — ცოდვია.

— საესე ურემს რაღა აზიღვინებს — თქვა მან, როცა ხარს შეხედა.

— რა ქნას აბა, ჯერ ისედაც არაფერია ბევრი და იმასაც მინდორში ხომ არ დაეტოვებთ.

— საწყალი ხარი, — ჩაილაპარაკა მან და დაწინაურდა, — წავალ, მოტეხილ სიმინდს დაგახვედრებთ!

ურემი მინდორზე გავიდა. ტუხუთია ბალახებში გაგორებულიყო და ახალი მკადის ნატებს ღრღნიდა.

ძალდი ტყის კედელზე ყნოსავდა ბალახებს.

— ტუხუია! — დავიძახე მე.

ხმა არავინ გამცა. მე ხარები ავაჩქარე და იქით გავსწიე, სადაც ის თავგასიებული გაგორებულოყო და ხმას არ მცემდა. თითქმის თავზე წაეადექი.

— ტუხუია, დაყრუვდი? — მივაძახე მე, — გოჩა სადაა?

— გოჩა ვარ მე, — თქვა ბალახებში მწოლარემ და წამოდგა, მკადის ქამა არ შეუწყვეტია.

— ტუხუია მეგონე, რას გაგორებულხარ ამ ბალახებში!

— დადლილი ვარ!

— ტუხუია სადაა?

— აი ტუხუია! — გაიშვირა მან ხელი.

ტუხუია ტყიდან გამოძვრა, გვიანხლოვდებოდა. თან მისი ყურებჩამოყრილი თოლია მოაცილებდა. ძაღლსაც გაზრდოდა თითქოს თავი, თვალები გაფართოებოდა და პატრონს დამგვანებოდა.

— არ მოდინხართ?

— მოვდივართ! — მითხრა ორივემ.

— ურემზე ვერ დაგაჯენთ, იცოდეთ!

— რატომ!

— ვერ დაგაჯენთ, ვერ ხედავთ? მეც ფეხით მოვყვები.

— რატომ! რატომ!

— ხარს ფეხი ტყივა.

— რა ჩავა ახლა ფეხით ყანებამდე! — თავი გაიქნია ტუხუიამ.

— აბა! — დაეთანხმა გოჩაც.

— ნუ წუწუნებთ, ვერ ხედავთ, ხარი ძლივს დაათრევს ფეხს, ვინ გაიგონა ამის ხედნა!

ბიჭებსაც რა ჯანი ჰქონდათ. გზას დაადგნენ. უკან კუდათრეული ძაღლი აედევნათ და წავედით.

ყანებს ქალი და კაცი ჩასეოდა. დიდი და პატარა მარჯვედ ამტვრევდნენ ტაროებს და ერთად აქუჩებდნენ. წრევიანდელი სიმიინდა დაბალი იყო და აწვდენა არავის უჭირდა. არც მოსატეხად იყო ძნელი კვიცი ტარო...

უმოროდო, დაუკვალავ საყანებში

ბალახი წამოსულყო და მოტეხილ ტაროს თუ ადგილზე არ დააგდებდით მერე ბალახებში ძნელი იყო მისი შექნევა.

ხმელი სიმიინდის ჩალა შრიალეზდა. ტყაცუნებდა ჭუჩიჩზე მოტეხილი ტარო და მერე პაერში ნასროლი ყვითლად გაიელვებდა მზეზე. სიმიინდებში კაბა-აკაპიწებული ქალები ჩანდნენ. ყანის თავში სპილენძის ქვაბი დაედგათ და ჭყინტ ტაროს ხარშავდნენ.

ვითომ ყველაფერი რთველივით იყო. მაგრამ რალაც მაინც არ იყო, მთავარი მაინც აკლდა. მე რთველზე ბევრჯერ ჩავყოლივარ მამას ყანებში, ურემზე შემჯღადარი. ახლა სხვა იყო, სულ სხვა. ახლაც სიმიინდა ტეხდნენ, ახლაც ჩალას ჭრიდნენ. ახლაც ჭრილებდა ურემები და ყანის თავში ქვაბიც ძველებურად დაედგათ ჭყინტი სიმიინდის სახარშავად, მაგრამ მაინც არ იყო ეს რთველი. ასეთი არ უნდა ყოფილიყო რთველი. ახლა მარტო ხმელი ფოთლების შრიალი და ტაროების მტვრევის ხმა ისმოდა. ეს ზე შარშან არ გამოიგონია, შარშან არ ამტვრევდნენ თითქოს ტაროებს, ისე მოარბენინებდნენ დარჩეული ბიჭები ურემებამდე სავესე გოდრებს და პირდაპირ ფარდებში ყრიდნენ. განუწყვეტლივ გუგუნებდა ნადური, ხითხითებდა ავთო, ან იღრიჭებოდა სოსიკა. საიდანაც მაღალ ჩალებში ქალის კისკისი ატყდებოდა და მერე როხროხით დაასრულებდა ვაყი, აქედან რომელიმე „ეშმაკის ნატეხი“ კისერს დაიგრძელებდა და დაუტატანებდა:

— რას ეშმაკობთ, მანდი!

იქიდან ისევ ქალის კისკისი გაისმოდა პასუხად და როხროხით დაამთავრებდა ვაყი.

ვინმე ყმაწვილი თხელ ულვაშებზე ხელს დაისვამდა, ტაროს ამოტინებულ ქალიშვილს მიუღექსავდა და სახეს აულეწდა. ქალიშვილი ტაროს მოტეხდა, ურმის მხარეზე გადმოისვრიდა, პასუხს ისე ეტყოდა თვალებში, ერთხელ რაა, არ შეხედავდა ნოპაეჭრეს და ახლა ვაყს აელეწებოდა სახე. სიმიინ-

დებში ყრუ ქირჭილი და სიცილი გაიშლებოდა.

მერე ვაჟი სტაცებდა ხელს სახე გოდორს და პასუხს, ასე ტვირთიანი, უფრო თამამად ეტყოდა. ქალიშვილს მეორე ქალიშვილი წამოეხმარებოდა, ვაჟს სხვა, ზეორე ვაჟი, ისევ სიცილი და ხორხოცი, განუწყვეტლივ გუგუნებდა სიმღერა წინ წასული მტეხელებისა და ისე ივსებოდა ურემი დარჩეული ტაროებით, რომ ვერაინი გაიგებდა. არავის დალლა არ მოაგონდებოდა, გვიან, მთვარის ამოსვლამდე დაშლას არ აპირებდნენ. ბოლოს ჯგუფ-ჯგუფად დაიძრებოდნენ სახლებიდან. ისევ სიცილი, სიმღერა და ბაქტობა. დაიძრებოდნენ მძიმედ დატვირთული ურემები კრიალით და იბადრებოდა მთვარე.

სადღაც შეგვიანებული ვაჟი დედას იფიცებოდა, ზთვარე ძირს ჩამოყავდა, ცაში თავისთვის მოკიაფე ვარსკვლავებს არაფრის გულისათვის არ აყენებდა.

აი, ასეთი რთველი იყო შარშან და შარშანწინ.

დღეს თითქოს არავის ემღეროს არასოდეს, თითქოს არავის ელაზნანდაროს და ეცისკისოს. ტეხდნენ ტაროებს, ისროდნენ, ტეხდნენ და ტეხდნენ. ურემთან მე, გოჩა და ტუხუია შუამდე ვავსებდით გოდორს მიწაზე დაყრილ ტაროებით, ზერე ურემამდე სამივე მივათრევდით, იქ მე თვალზე შევდგებოდი და ქვევიდან ბიჭები ასწევდნენ. ვერ დაიმაგრებდნენ, დაბანდალდებოდნენ. მიასკდებოდნენ ურემს გოდრით, ზევიდან მე წამოვაშველებდი ხელს. აწვევდით, აწვევდით და უკვე თავს ზევით აღარ ყოფნიდათ ძალა ბიჭებს და ზართო ვებლაუჭებოდი. მერე გოჩა შეხტებოდა ურემის კოფოზე, წამომეშველებოდა და ურემში გადააუქახებდით გოდორს. ვავცილით და ჩაეიხედავდით ფარდებში. მესამე, მეოთხე გოდორს რომ ჩავცილიდით, ტუხუიას მოთმინების ძაფი უწყდებოდა და იკითხავდა:

— ბევრი აკლია?

— სადაა ჯერ!

— აღრე მოგიწყენია! ავითრევდით გოდორს ეჩხეწელოს წყვეტით და, როგორც ზღაღღაროებზე ფარდებში მოქეცეოდა, ტუხუია ისევ იკითხავდა:

— რა ქნა, აღარ ეყოფა?

— გაგგონია!

— ჯერ ურემის ფსკერი არ ზოუფარავს.

ტუხუია ყრიდა ისევ ტაროებს გოდორში და კითხულობდა:

— კიდევ ბევრი დაჰკირდება?

— დაჰკირდება, აბა, არ დაჰკირდება!

— მაინც...

— მაინც...

— ჰო, რამდენი მაინც?

— ასეთი ნახევარი გოდორი ოცდაათიც არ ეყოფა.

— კი, დაჰკირდება!—იტყოდა გოჩა.

— დიდუუ!— შეიცხადებდა ტუხუია.

სადილობამდე ერთ ურემს ძლივს ავაესებდით და მე გამოვუყვებოდი გზას საწყობისაკენ. მიკოჭლავდა შაეი ხარი, უჭირდა მტკივან ჭეხზე დაყრდნობა, მაგრამ მე კვალდაკვალ მივდევდი გრძელი სახრით და ისიც თავს შწარედ იქნევდა, ფშვინავდა და მიდიოდა.

საწყობიდან სახლში გამოვივლიდი. ახალი სიმინდის ყვითელ მჭაღს რამე მარილნაყლულ ფხალს ზედ დავადებდი და ურემს მივდევდი, რომ ჭამაში დრო არ დამეკარგა და საღამომდე ერთი ურემის ავსება კიდევ მოგვეწრო.

შეგროვებულ ტაროებს ვყრიდით გოდრებში, ვცილიდით დიდი გაჭირვებით ურემში და ისევ წინ მივაწვევდით ურემით. ვავსებდით გოდრებს, მივათრევდით ურემთან, მე ურემის თვალზე შევხტებოდი, დაწვედიდნენ ბიჭები. როგორც კი ურემში ჩავცილიდით ნასადილევს, ტუხუია პირველ გოდრიდანვე იწყებდა:

— ბევრი აკლია?

თავზე ეზიკა წამოგვადგებოდა, გოდორის აწვევაში ხელს წაგვიკარავდა.

— მძიმეა, ეს ოხერი!

მერე მუხლზე წამოსულ ბალახებში



ფეხს აითრევდა, წაეკრიბა და და  
შეიგინებდა: — გაისად არ გინდა ამ  
უპატრონოს დახვნა!

ქალები და ბავშვები ისევ ტეხდნენ.  
აღბათ, მაგრამ სიმინდებში თითო-ორო-  
ლა თუ გამოჩნდებოდა მხოლოდ, ისე  
არაერთხარს ხმა არ იყო, გარდა განუწყ-  
ვეტელი ხმელი სიმინდების შრილისა,  
თითქოს ქარი დაშლივინებდა ყანაში  
და ხმელ ჩალას ამტვრევდა. რამდენიმე  
ბერძენი ნამგლებით ტაროვაცილილ  
ჩალას კრიდა და საურმე გზას ათავის-  
უფლებდა.

მზე ღიწურა.

ტუხუიას არაქათი გამოეცალა და  
სადღაც გაგვიძვრა.

მე და გოჩამ გოდორი ახლა მესამედ-  
ზე ავაგეთ და ისევ ურემთან მივათ-  
რეთ. ისევ ავტობინდი ურემზე. გოჩა  
ეცადა მალა აეწია. გაუჭირდა. ისევ  
მე წავიხარე, დაეწედი გოდორს და  
აეწიეთ. მერე ისევ გოჩამ მიშველა და  
ჩაეცალეთ. მაგრამ ეს გოდორი სხვაზე  
უფრო მძიმე იყო, თუ ტუხუიას გაპარ-  
ვამ გვიქნა, ძალა ერთბაშად გამოგვე-  
ლია. ურემი ისევ არ იყო სავსე.

უზარმაზარი მთვარე ამოგორდა.

ჩვენ ისევ გოდორს ვეცით. მოტეხილ  
სიმინდს ხომ ვერ მივატოვებდით. გო-  
დორი რომ მესამედზე მოვყარეთ, მე  
შეგუძახე:

— კარგი, ეყოფა!

— ბარემ ესეც. — თქვა გოჩამ და  
უკანასკნელი ტაროებიც ჩაყარა. გოდო-  
რი დამძიმდა და ურემამდე ძლივს მივათ-  
რეთ.

— ნახევარ-ნახევარი ჩაყაროთ! —  
კუთხარი მე გოჩას.

— ჩაყაროთ, როგორც, ბარემ! —  
არ დამიჯერა მან.

— კაი შენ, თუ კი ჩაყარით! — მეც  
შეიშინებოდა ახლა ნახევარის უკან გად-  
მოყრა და გოდორს დავებლაუქეთ. აე-  
წიეთ მუხლამდე, მაგრამ ძალა აღარ  
გვეყო, რომ მალა აგვეტანა. დაღლილს  
ახლა ბრავი რომერია.

— ასწიე! — ვუყვირე მე.

— შენ ასწიე!

— მე ვწიე!

— მეც ვწიე!

— ხომ ვითხარი, ნახევარი მეთქი!

— მერე ვინ დაგიშალა!

— შენ, შენ დამიშალე და ახლა ას-  
წიე ზინც.

გოჩამ თავგამეტებით ასწია გოდო-  
რი. მე თვალზე შევდექი, მაგრამ ამასო-  
ბაში მარტომ ვეღარ შეიმაგრა, წაიქცა  
და აღბათ, ჩალის გადანაჭერს დაკრა  
გვერდი. ზედაც სიმინდი დაეყარა და  
დაიღრიალა.

ჩამოგბტი და ისევ ვიყვირე.

— ხომ ვითხარი!

იგი წამოდგა და ისე, რომ ჩემთვის  
არაფერი უთქვამს, სადღაც სიმინდებ-  
ში გაიქცა.

ახლა ისევ შევუდექი ტაროების  
შეგროვებას და გუძახე:

— ტუხუია!

ხმა არავის გაუცია.

— ტუხუია, უუ!

— ვის ეძახი, — მომესმა ზურგს უან.  
თავზე ფატი წამომადგა.

მე გოდორს დავეჭიდე ისევ.

— მოიცა, გოგიტა, მოგვხმარები! —  
თქვა მან, გოდორში ძირს დარჩენილი  
ტაროები ჩაყარა, მერე ორივემ მალა  
აეწიეთ.

— დაიჭირე! — ვუთხარი მე, ურემის  
თვალზე შევდექი და ფატის ზევიდან  
დავხედე. გოდორს წავეტანე. ფატიმ  
ორივე ხელი მალა ამოაყოლა გო-  
დორს. მაგრამ იქედან, რომ გოჩა აღარ  
სეშველებოდა, მაინც ვერ დავამაგრე.  
მთელი ძალა მოვიკრიბე, მაგრამ მაინც  
გადმოვფერდა ჩემსკენ. ერთი კვიცი  
ტარო გადმოცურდა და მალახელებ-  
ატოტებულ ფატის უბეში ჩაუვარდა.  
დანარჩენი, როგორც იყო, ჩაყარე  
ურემში და, როცა ფატის შევხედე, სახ-  
ტად დავრჩი: იგი უბიდან ცივ ტაროს  
იღებდა და მთვარის სინათლეზე ისეთი  
თვალით მიყურებდა, შევკრთი. ბოლოს  
ტარო წყენით ძირს დაანარცხა და ცივად  
შებრუნდა.

— რა დაემართა, გავიფიქრე, — გო-  
ნას მთელი გოდორძ ზედ დაეცა და არა-  
ფრად ჩაუვდია.

ამ დროს ყვირილი მომესმა.

— ვაი, დედაა!

ხმაზე ვერ ვიცანი, ვინ უნდა ყო-  
ფილიყო, მაგრამ, როცა ყვირილს ძალ-  
ლის ყუფაც დაერთო, ურმიდან ჩამოვ-  
ხტი და იქით გავიქეცი.

— ტუხუია, რა მოგივიდა, ბიჭო! —  
გავძახე მე.

— ვაი, მომკლა! — ისმოდა ისევე და  
ხახხავებდა გააევებული თოლია.

ყანიდან იქეთ გავიქეცი, საიდანაც  
ხმა მოისმოდა. ყანის თავში, სპილენ-  
ძის დიდ ქვაბთან, სადაც ჭყინტი სიმი-  
ნდი იხარშებოდა, ტუხუია გოჩას ქვეშ  
დაედო და თავგამეტებით ცემდა. აქონ-  
რილი, თავგასიებული ნაგაზი მიწაზე  
გაგორებულთ ზედ აწყდებოდა და ყუფ-  
და, კბილით შარვალში ეჭაჩებოდა გო-  
ჩას და ისევე ყუფდა.

— რას შვეებით! — ვეცი და ძლივს  
დავაშორე ერთმანეთს, — რა გაჩხუ-  
ბებთ?

გოჩას ხმა არ ამოუღია, შარვალში  
მიტანებულ ძალღს წიხლი ამოუქნია,

ჩაფხრეწილი ტოტი აითრია და უხმოდ  
გაგვეშორდა.

ტუხუიას მუჭში ისევე ეჭაჩებოდა  
როდ გახრული ჭყინტი ტარო და ღრია-  
ლით ზეციოხებოდა:

— რას მერჩოდა?

— რა ვეცი, რას გერჩოდა!

— არ ვიმუშავე თუ... რას მერჩო-  
და?..

მე მიტოვებულ ხარ-ურმისაგან გავბ-  
რუნდი. მთელი დღის შშიერი ღვინია  
სოია ლობიოს წატანებოდა, ძიოიანად  
მოეგლიჯა. მე პირში ვეცი და დანარ-  
ჩენი წაუართვი.

— სადაა შენი საქმელი სოიო! — და  
სახრე ვუთავაზე. მერე ურემს გავუძე-  
ხი, რომ გზამდე გამეყვანა.

მიკოჭლობდა შავი ხარი. უჭირდა  
მძიმე ურმის ტარება მტკივანი ფეხით,  
შეხტებოდა, გაჩერებას დააპირებდა,  
მაგრამ მე სახრეს გადავუჭირებდი და  
მასაც—სხვა რა ჯანი ჰქონდა, მიდიოდა.  
ჭრიალებდა ურემი და მიდიოდა. სად-  
ღაც კიდევ მოისმოდა ურმის ჭრიალი.

ცაზე ქათქათებდა საესე მთვარე,  
მაგრამ დედას არავინ ფიცულობდა,  
აღარც მთვარეს და ვარსკვლავებს აწუ-  
ხებდა ვინმე.

(გაგრძელება იქნება)

ნოზარ ნაღისიკი

## პეტრეს ამბავი

პეტრე გეგეპკორში ცხოვრობს. ახლა იგი მოსკოვა, თმავათეთრებული. თავის დროზე ისიც იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. რამდენი შიში, შიმშილი, დამცირება, ცემა, ჭირ-ვარამი გადაუტანია მას და მის რაზმელებს, არა-ეინ იცის. მეც ამიტომ მინდა, მოვითხროთ პეტრეს ამბავი.

მარტვილის რევოლუციურმა კომიტემ დავალება მისცა და პეტრემ 50 რაზმელი წაიყვანა ამ დავალების შესასრულებლად. ამ დროს სამეგრელოსა და აფხაზეთში ვალიკო ჯუღელის გვარდიელები თარეშობდნენ, ბელურებივით ხოცავდნენ ადამიანებს. ძნელი გზა ჰქონდათ ბიჭებს. მთელი ერთი კვირა გზაში იყვნენ. ღამე მიდიოდნენ, დღე იმალეობდნენ. გაიარეს აბაშის ქალები, გაიარეს ტეხურის ქალები, ენგურის ქალებში კი გზა დაეზნათ, ორი დღე და ღამე ტყეში დაძრწოდნენ. ერთი კაცი შენობხდათ, „აქით სად მიდიხართო, აქით სვანეთითო, სამურზაყანო აქითაო“. იმ კაცმა დასაველეით-საქენ გაიშვირა თითი. დაადგნენ იმ კაცის ნაჩვენებ გზას. სუთიოდ კილომეტრი რომ გაიარეს, სხვა კაცი შეხვდათ. „აქით სად მიდიხართო, სამურზაყანო იქითაო“. ახლა ამ კაცის ნაჩვენებ გზას გაჰყვნენ. ჩვეულებრივი გზით არ შეიძლებოდა სიარული, თორემ გზა პეტრემაც იცოდა, თემრანზაც, აქვსენტი-მაც, მიშამაც. უნდა ეარათ ქალებით, ტყეებით, ხეობებით. სოფლებს არ უნდა ენახა შეიარაღებული ხალხი. გაუქირდათ: საგზალი შემოეღიათ, დაილაღნენ, დაიქანცნენ. მოყვნენ ქაობში. ღამე იყო.

კოკამღე წყალში მითარახუნობდნენ. თხმელის ტოტებში იხლარებოდნენ. თხმელის ტოტები ტკაცუნობდნენ.

— დავბრუნდეთ უკან. გათენებას დავუცადოთ, აქ სახიფათოა, — თქვა თემრანზმა.

— გეშინია?

— შიში რა შუაშია. ხომ ხედავ, სი-ღრმე თანდათან ზატულობს, ქაობში დახრჩობა, მე მგონი, ვაქაცობა არ არის.

— ამ სიშორეს იმიტომ წამოვედით, რომ ქაობში დავიხრჩოთ? — იკითხა ვანომ.

— რას ბოდილობთ თქვენს რა მოგივიდათ! სად არის ქაობი, ვერა ხედავთ პენწყობია, ქაობში თხმელას რა უნდა! — თქვა პეტრემ.

ჩამოწვა სიჩუნე.

ვიღაც მაგრად გაცივებულმა ხელებით გააყრუა იქაურობა.

— ჩუმად, რა ამბავში ხარ!

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, ვიხრჩობი.

— რა სიბნელეა! ფუ! პირდაპირ თვალში არ მეტაკა ეს ოხრად დასარჩინი?

— რა გეტაკა თვალში?

— რა და ტოტი.

— ტოტი გეტაკა თუ შენ ეტაკე ტოტს? ფხ...

— მართლა სასაცილო ვარ, შენ გეტაკოს და ნახავ, რა სასაცილო იქნება!

— ვაი!... უჰ!... აჰ!... — ატყდა უკანა რიგებში...

— რა ამბავია! რა მოხდა!

— არაფერი, არაფერი! თენგიზს ფეხი აუცურდა და წაიქცა, — დაიძახა

ვილაკამ. თენგიზი ჰენჯყოში ამოველო. დასველდა. ტალახში ამოითხვარა. ხმა არ ამოუღია. წამოდგა, ოდნავ გაიბერტყა ტანისამოსი, სახიდან ტალახი მოიწმინდა და გზა განაგრძო.

ბიჭები იციროდნენ.

— იბანავე, ხომ!..

— ახლა კარგია ბანაობა.

თენგიზი გაჩუმებული მიდიოდა, ციოდა. გახურებულ სხეულს სველი ხალათი ეკვროდა და ანკალებდა. რაზმელების ხორბოცსა და უკბილო ხუმრობას უფრადღებდას არ აქცევდა. იგი საერთოდ ჩუმად იყო. სიკვდილის ეშინოდა, ამას არც მალავდა. ლამაზი ბიჭი იყო, გამხდარი. დიდი, ნეტყველი თვალები ჰქონდა. ბევრს ფიქრობდა და ცოტას ლაპარაკობდა. ჰირივით ეჯავრებოდა ტრაბახი, მაგრამ მოტრაბახეს მოთმინებით უგდებდა ხოლმე ყურს. ბოლოს ჩვეულებრივად იტყოდა: „შესაძლებელია, ყველაფერი შესაძლებელია“. საიდუმლო კრებებსა და სხდომებზე მოკრუნჩხული იჯდა ხოლმე კუთხეში და სხვებს უგდებდა ყურს.

„თენგიზ, შენ რა აზრისა ხარო“, რომ შეეკითხებოდნენ, „გეთანხმებითო“, — იტყოდა და დაჯდებოდა. პეტრეს ძალიან უყვარდა, ამიტომაც წაწოიყვანა. თენგიზსაც უყვარდა პეტრე, სჯეროდა მისი. სჯეროდა იმიტომ, რომ პეტრემ ადამიანის წაკითხვა იცოდა. „ადამიანს თავისი ვინაობა შუბლზე აწერილია“, ამბობდა პეტრე. ეგ არ არის სიბრძნე. სიბრძნეა — წაიკითხო, რაც აწერია, თუ წაიკითხე, გააოცებ და დაიმორჩილებ. თუ შენც გაგაოცა და დაგიმორჩილა, ეგ მეგობრობას ნიშნავს. თუ არა და იქნები მისი მრჩეველი და ჰკუთის მასწავლებელი. ბრმად გამოგყვება ყველგან, მოგენდობა, დაგოჯერებს. პეტრეს თენგიზი აოცებდა, თენგიზს — პეტრე. ამიტომაც უყვარდათ ერთმანეთი და ერთმანეთს ერიდებოდნენ. პეტრე რაზმის ხელმძღვანელი იყო, თენგიზი — რიგითი. იმ ღამითაც პეტრე წინ მიუძღოდა რაზმს, თენგიზი უკან მიჩანჩა-

ლებდა, სველი, დასერილი, დაღლილი, აკანკალებული და ნერვებაშლილი. რომ ცა პეტრეს ყურაზე მიადწია, „თენგიზს ფეხი აუცდა და დაეცაო“ მეწინავეებს უთხრა: „თქვენ გზა განაგრძეთ, მე ალავე მოვალო“. ჩამორჩა, თენგიზს დაუცადა. სიბნელეში ძლივს იცნო.

— რა მოგივიდა, ბიჭო! — ჰკითხა პეტრემ.

— არაფერი... — უპასუხა თენგიზმა.

— დასველდი?

— ცოტა.

— გციოვა?

— არა...

— კანკალებ, შე რჯულძაღლო, როგორ არ გციოვა!

პეტრემ მხარზე დაჰკრა ხელი.

— არა უშავს, გამივლის. — თქვა თენგიზმა.

— ფრთხილად, აქ ღორღი ყოფილა, არ წამოედო, — უთხრა პეტრემ და გადალაჯა. ტყულში ნუხლამდე მიწვდა წყალი.

— უპ, რა ღრმია, თუნცა სულერთია, წამოიღი! მაინც სველი ვართ.

თენგიზმაც შესტოპა წყალში.

— გაგეასწრეს ბიჭებმა! ცოტა დავუჩქაროთ!

— დაუჩქაროთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, შენ რატომ ჩამორჩი, ავტსენტი და ვანო ალბათ წინ მიდიან.

— ეი არ ჩამოვრჩი, დაგელოდე.

— ალბათ, როგორც ხელმძღვანელმა, უნდა გამამხნევო, არა?

— ჰო, კარგი, კარგი! უმჯობესია ჰკუთი იყო!

— უმჯობესია.

გაჩუმდნენ. მიდიოდნენ თავჩაქინდრულნი...

ტყლაბ-ტყულუბ, ტყლაბ-ტყულუმი..

— რატომ იკბინები, თენგიზ, რა მოგივიდა? — დაარღვია სიჩუმე პეტრემ.

— აღარ შემძლია, თავი უნდა მოვიკლა, რაც იქნება, იქნება!

თენგიზმა გაიცინა.



— მერე? მოიკალი, ვინ გიშლის!... არაფერიც არ იქნება.

ტულაპ-ტულაპ-ტულაპ-ტულაპ...

ხანგრძლივი დუმისის შემდეგ პეტრემ თქვა:

— მშინშარა ხარ შენ, თენგიზ!...

— რას იზამ.

— ნამდვილად მშინშარა ხარ!

— განა მე გითხარი, არა ვარ-მეთქი?

— მშინშარა კაცი ზიზღს იწვევს!

— ეგეც მართალია, მაგრამ შუტუ არ არის მშინშარა და მაინც ზიზღს იწვევს.

— შუტუ მოახდენს რევოლუციას.

— რახან არაფრის ეშინია, ხომ?

— თუნდაც ამიტომ.

— მისთვის არაფერი არსებობს და რა აქვს საშიშარი! შუტუ ვერაფერს ვერ მოახდენს, პეტრე, რევოლუციას შენ მოახდენ და გული მწყდება, რომ მაშინ მე აღარ ვიქნები.

— მგონი, აღარ ხუმრობ, ბიჭო, შენ!

— ზე იშვიათად ვხუმრობ, ჩემო პეტრე, ეს შენ კარგად იცი. აღარ შემიძლია, თქვენი გზა ძნელია. მას ან შუტუსთანა კაცი უნდა და ან შენისთანა. ცოტა ხანი მინდოდა გამოგყოლოდით და გამოგყვეით კიდევაც.

თენგიზს მთრთოლვარე ხმა ჰქონდა. დიდხანს მიდიოდნენ ჩემად. პეტრე ვერ ახერხებდა ხმის ამოღებას. ფიქრობდა— რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო.

— რაღა ხარ ასე სასოწრკვეთილი? თუ არ გინდა, ვინ გაძალღებს, დაბრუნდი სოფელში.

— სოფელში რა ზინდა!

— მაშ, რა გინდა, რაშია საქმე?

— თავი უნდა მოვიკლა.

— გააპირე საქმე, ნუ ლაპარაკობ მაინც.

— რატომ, რატომ?

პეტრე გაჩუმდა.

— რატომ, რატომ?

ჩააცივდა თენგიზი.

— არაფერი, ისე ვთქვი.

— შენ ეგ ისე არ გითქვამს. მითხარი, რატომ?

— შენისთანა კაცი თავს ვერ მოიკლავს. თვითმკვლელობას ვერ უნდა.

— არა ხარ მართალი, პეტრე! კაცის გაჩენაც და მოკვლაც, ორივე სულ უბრალო საქმეა. აი, თუ გინდა, მანქენე შენი რევოლუერი.

— ჩემი რაღად გინდა, შენც ხომ გაქვს!

— ჩემი დასველდა, უნდა გავწმინდო, არ გეხუმრებდი, ერთი წუთით მომეცი შენი რევოლუერი.

— რად გინდა, ბიჭო, რევოლუერი! ამ საღამოს არ გინდა, მოდი, ხვალისთვის გადადევნი თავის მოკვლა, ჰა... ჰა... ჰა... რა უცნაური კაცი ხარ „თავი უნდა მოვიკლა და შენი რევოლუერი მათხოვეო“... რას არ მოიფიქრებს, რას არ იტყვის, ხა... ხა... ხა...—პეტრეს სიცილი აუტყდა. მთელი ხზით და მთელი გულთ იციწოდა...

— რა გაციენებს, რა არის აქ სასაცილო!

პეტრე ისე იჭაჭებოდა, ისე ხითხითებდა, თენგიზსაც გაციენა. ვერ გაეგო რატომ იციწოდა პეტრე. ეგ არ იყო დაცივნა. უშიზეზო სიცილს გაედა. უშიზეზო სიცილი გვაციენებს ხოლმე. „რატომ იციწის ეს კაციო“, და გვეციენება. თენგიზსაც ამაზე გაციენა. პეტრემ თენგიზის სიცილი რომ დაინახა, უფრო მოუმატა. „ამას რაღა აციენებსო“. კარგა ხანს იციწოდნენ.

— აგაშენა ღმერთმა, რაღდენი მაციენე! — თქვა პეტრემ და ცრემლიანი თვალები მუშტით ამოიწმინდა.

— კი მარა, რაზე იციწოდი?

— შენ რაზე იციწოდი?

— მე — შენზე.

— მეც — შენზე.

— ხა... ხა... ხა... — ისევე თავიდან დაიწყო პეტრემ. მაგრამ ამ დროს მასთან ერთი რაზმელი მოვიდა და უთხრა: „მოწინავენი გელოდებიანო, ჭაობი და პენჭყო გავიარეთ და აღარ ვიციოთ, როგორ მოვიქცეთო.“

მათ ნაბიჯს აუჩქარეს... მოწინავეები ტრიალ მინდორზე გამოსულიყვნენ.

მინდორში კაკლის ხე იდგა. მინდორი ქვიანი და მშრალი იყო.

— აქ გავჩერდეთ, ამაზე უკეთეს ადგილს ჩვენ ვერ ვიშოვით, — თქვა პეტრემ.

— რაში კაკლის ხის ძირს დალაგდა. დაღლილ-დაქანცულები დაეყარნენ და მალე თბილი სუნთქვა გაერია ბალახში...



სისხამი დილა. ტრიალი მინდორი. ხე. დაყრილი რაზმელები.

ხერინვა... ფშვინვა...  
ერთი ნოცახცახე სხეული.  
დაჩოქილი.

უძინარი, ხერეიული სახე.  
გადარეული თვალეხი.  
ჩუმი ჩურჩული...  
მთრთოლვარე ხელები...  
შავი რევოლვერი.

— რა ამბავია... რა მოხდა!  
— საწყალი ბიჭი...  
— ეტყობოდა...  
— ფუი, ცხოვრებას!  
შეკუმუხნილი წარბები. მრისხანე სახეები. არეტელი ნაბიჯები...



გაწყდა ჯაჭვი. ერთიან განსად სხეულში ერთი უჯრედი ნოკვდა. შეიძლებოდა ეს სენი სხვებსაც გადადებოდა და სხეული დაშლილიყო. მაგრამ რაზმში იყვნენ ბიჭები, რომლებსაც ცეცხლოვანი თვალეხი ჰქონდათ.

რამდენი ჯაფა დაადგა პეტრეს და მის თანამებრძოლებს, რომ რაზმში კვლავ აღედგინათ ის პირვანდელი აღტყინება.

მერე მიდიოდნენ მძიმედ. მერე მიდიოდნენ მტკიცედ...

გზა არ თავდებოდა. გზა არც იყო არსად. მიდიოდნენ მინდორებში, მიდიოდნენ ტყეებში! ათი დღე და ღამე

იარეს. უეცრად მათ წინ გადაჩნდა ქალაქი. აირიენენ, დაიბნენ. რა უნდოდათ! რომელი ქალაქი იყო! გაოცებული უყურებდნენ ერთმანეთს. მდინარე კოდორთან უნდა გასულიყვნენ. იქ აჯანყებულ აფხაზთა და მეგრულ გლეხთა რაზმებს უნდა შეერთებოდნენ. მათ წინ კი ქალაქი იყო.

— ცუდად არის საქმე. — გაიფიქრა პეტრემ.

— ოჩამჩირეში მოესულვართ, ჩემო კარგო! — თქვა ვანომ.

— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა თემრახმა და უნდონლად შეხედა პეტრეს.

— გვიან არის მაგაზე ფიქრი, შეხედეთ!

მინდორზე ცხენოსნები მოჭროდნენ. სულ ახლოს აკაიანდა ტყვიამფრქვევი.

— ხაფანგში ვართ! — თქვა პეტრემ. ყველა პეტრეს შესცქეროდა. გაისმა შემახილები. პეტრემ ხელები ასწია.

სიციცხლეში პირველად ასწია ხელები. შეიდი წელიწადი იყო, რაც პეტრე იბრძოდა. ჯერ გერმანელებს ებრძოდა — მეფის ჯარისკაცი იყო. მერე მეფეს ებრძოდა, — რევოლუციის ჯარისკაცი იყო. იბრძოდა რუსეთში, იბრძოდა უკრაინაში, იბრძოდა საქართველოში. იბრძოდა პეტლეურას წინააღმდეგაც, მტრინავე კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგაც და ხელები ერთხელაც არ აუწევია, ერთხელაც არ ჩაუქინდრია თავი. თურმე ყველაფერი მოსალოდნელია ბრძოლაში. რას იტყოდა მიშა, რას იტყოდა კოწია! მიშა გეგუქორი და კოწია შავგვანიძე ხელმძღვანელობდა მაშინ მარტვილის რევოლუციურ კომიტეტს. მაშინ, ვინც არ უნდა ყოფილიყო აქ, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. ვაეკაცობის გამოჩენა სიკვდილს ნიშნავდა, ორმოცდაცხრა კაცის სიკვდილს. ნამდვილი ბრძოლა კი ჯერ წინ იყო. უნდა დანებებულიყო, ექნებოდა მოსაზრების დრო, ფიქრის დრო, იქნებ ორიოდე კაცი გადევჩინა. და თუ ერთიც გადაჩნებოდა, ის იქნებოდა

გამარჯვება. ამიტომ ასწია ხელები და თავი ჩაქინდრა. წაიყვანეს. ქალაქში კი არა, იქვე, ახლო სოფელში. სადღაც შეამწყვდიეს ბნელ ოთახში. დაუაეტეს კარები და დარაჯები ნიუჩინეს. დაჯდომაც კი არ შეიძლებოდა. ერთმანეთზე მიწყობილი იყო ორმოცდაცხრა კაცი. ან ერთმანეთზე უნდა დაწოლილიყვნენ, რაც შეუძლებელი იყო, ან სულ ფეხზე უნდა მდგარიყვნენ. იდგნენ სიბნელეში და კაცმა არ იცოდა, რა ელოდა.

— ნორჩა, ყველაფერი მორჩა, — თქვა თემრაზმა.

— რამდენი ტანჯვა-წვალება ჩაგვეყარა წყალში, — დასძინა ვანომ.

— არა! ჯერ ყველაფერი არ გათავებულია! თუ ღმერთი გწამთ, წუწუნი არ იყოს! უნდა ვიმოქმედოთ! — თქვა პეტრემ.

მართლაც სულ მალე მან ამხანაგებს გაქცევის გეგმა გააცნო.

— საჭიროა თავგანწირვა! სულ ერთია, მაინც დახერხება გველის!... იქნებ რომელიმე ჩვენთაგანი გადარჩეს!

პეტრემ და მისმა რაზმელებმა სულ არ იცოდნენ, რომ ამ გაქცევით დიდ საქმეს აკეთებდნენ. ორი დღე და ღამე

დაეძებდნენ მათ ოჩამჩირეს მიდამოებში. ვალიკო ჯუღელის ციხეს მიჰყვებოდა, ჭერტა და, აქვეითებდა, აპატიმრებდა გვარდიელებს, რომლებმაც თავი ვერ შობაგეს სულ უბრალო საქმეს — იმავე საღამოს დაეხვრიტათ ორმოცდაცხრა კაცი. ორი დღე ღამე კი ბევრს ნიშნავს ბრძოლაში. რეფ-შეშელეთმა შემწყვდეული პაულე ძიგუას რაზმელებს და ოჩამჩირელ კერაზელებს საშუალება მიეცა ტყეში გაქცეულიყვნენ. გადარჩა აპობით ადამიანის სიცოცხლე.

აი, ეს არის პეტრეს ამბავი... კარგი კაცია პეტრე... შემდეგ?... შემდეგ პეტრე და მისი რაზმელები დაიპირეს, კვლავ სიკვდილის შიში, კვლავ გადარჩენა, ზეტიალი ციხიდან ციხეში, ეპ, ეგ გრძელი ამბავია... პეტრე ერთი იმათგანია, ვისაც უშიშრად უბრძოლია საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვისაც სიკვდილი აბაშის ქალებში მოუკლავს და მერე ბრძოლით შემოუვლია მთელი რუსეთი.

ეგ კაცი ახლა გეგეპკორშია.

ნოხუცია.

კიდევ მუშაობს — პენსიას აძლევს მოხუცებულებს...



იხილეთ ახალი

საქართველოს მკვლევართა საზოგადოების  
საქართველოს მკვლევართა საზოგადოების

ამ დღეებში თბილისის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხზე განხილვისას, როგორც ცნობილია, ერთგვარი მხატვრული ეალიბი მანც სქიანება. იგი მანც მოითხოვს თავისებურ ფორმას, წესრიგს, რომ შეიძლება თავი არ მოაბეზროს და ძალი არ მოტყუაროს.

და თუ ეს დღეებშიც შეიძლება უღიძვრო, უსასური და მოსაწყენი ენებოს. ეს ჩემი დროის უქონლობის ბრალია, აჩქარების ბრალია: ბევრმა ნაცნობმა თუ უცნობმა მეგობარმა დაბეჯითებით მთხოვა, რაც შეიძლება მალე ამეწერა, მომთხრო უკვლავური ჩვენი საქმიანობაზე იერუსალიმში.

ეს ისტორია ადრინდელია, 1969 წლის ზაფხულის დასაწყისიდან მოდის, როცა ამ დიდი საქმის თაობაზე პირველად გაფურინდი მოსკოვს საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებში სათანადო ნებართვა-დასტურის გამოთხოვდა; მაგრამ მე ვიცი, ჩემს მკითხველს ამჟამად პირდაპირ იერუსალიმის მთავრებლებანი აინტერესებს და მეც იმ შესავლს, იმ რთული საშუალების დღეებში სხვა დროისათვის გადავადებ.

აქ მხოლოდ დროს მაღლობს მანდა მოვასხვრო ამხანაგ ვანილ შევანაძეს, რომელმაც ეს საქმე თავიდანვე გულთან მხურვალედ მიიტანა და თავისი შუამდგომლობით წარმადგინა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წინაშე.

ეს დღეებშიც მხოლოდ დღეებშია, მთავრებლებმა და იგი ჩვენი ექსპედიციის მენეჯერულ მხარეს ოდნავაც კი არ ესება. იგი იმ პირობებსა და გარემოს აღწერს, რომელშიც ჩვენ ჰალესტინაში, ისრაელში მუშაობს გვიხდებოდა და აღწერს ნაქარვაკად, ნაუცბათევაკად.

24 ოქტომბერი

ისრაელში ღამით 24 ოქტომბერს დავეშვიით.

აქეთ, მოსკოვიდან, ამ დღით გამოვფურინდი. ორ აეროდრომზე შეეჩერდით მხოლოდ: ვენა, ათენი.

მალდიდან: გრაცი, ბელგრადი, სალონიკი...

„საბენას“ ათიათას-ცხენისძალიანი ოთხი უძლიერესი მოტორი მოაქანებდა შედარებით მცირე მოცულობის ფუტელაჟს ჰაერში ისე, როგორც ოთხმა მამულა კამეჩმა გასწიოს პატარა ურმის უღელი.

ეს შორეული და დამქანცველი ფრენა ჩვენმა მეცნიერებმა — აკადემიკოსებმა აკაი შანიძემ და გიორგი წერეთელმა — მშვენიერად იტანეს. მეც, როგორც ყოველთვის...

აეროდრომი ლუდა (ლილდა).

ეს ის ისტორიული ადგილია, სადაც ქრისტიანებს თავისი პირველი ქრისტიანული ტაძარი აუგიათ.

თვითმფრინავიდან ჩამოვედით თუ არა, ჩვენსკენ პირდაპირ წამოვიდა ორმოციოდე წლის კაცი და რუსულად მოგვმართა: „გამარჯობათ, კეთილი

იყოს თქვენი ჩამობრძანება პალესტინაში, გრიგოლ პეტრეს ძე კაპუსტინი — ისრაელის საბჭოთა კონსული... აქეთ მობრძანდით“.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაპირებისამებრ ყველაფერი თავის დროზე უცნობებია ისრაელის საბჭოთა საელჩოსათვის, მასპინძლები აეროდრომზე დაგვხდნენ.

საბაქოს მუშაკები ზორბა, ატლეტური აგებულების შავგვრემანი ვაჟაკები, ისრაელის სამხედრო პირები, დაბეჯითებით სინჯავენ ჩამოსულ მოქალაქეთა ბარგს, ჩემოდნებს ხსნიან, შიგ ხელებს აფათურებენ, ალაგებენ, აწყობენ, შემდეგ კონვეიერს უდებენ და გასასვლელისკენ გზავნიან.

ჩვენი ბარგიდან პირველი ყურადღება ჩემმა დიდმა ხის ყუთმა მიიქცია:

— რა გაქვთ შიგ?

— საჩუქრები.

— ვისთვის?

— ვინც ჩვენს საქმეში დაგვეხმარება.

საბაქოს მუშაკმა ვერაფერი გაიგო.

— გახსენით თქვენი ბარგი.

დიპლომატიურმა პასპორტმა მიშველა.

— მობრძანდით.

გასასვლელშივე გვიცდიდა მეორე საბჭოთა მოქალაქე. მხიარულად შემოგვეგება იგი: არანაღ ბორისის ძე ვოლკოვი — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი პალესტინაში, მეცნიერი, ორიენტალისტი. თავად დაჯდა მანქანის საკვსთან და დაუყოვნებლივ დავიძარით.

აეროდრომი ლუდა თელ-აივისა და იერუსალიმს შორის მდებარეობს. ჩვენ თელ-აივში აღარ შეგვიხვევია, პირდაპირ იერუსალიმისკენ გავეჩეთ. სასტუმროში დავბინავდეთ, დავლაგდეთ და თელ-აივში, ჩვენს საბჭოთა საელჩოში — შემდეგ გამოეტხადდეთ.

უბრალო გუდრონის და არა ბეტონის გზა, როგორც სხვაგან, მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბევრს ვერაფერს ვხედავთ ლაქეში, მაგრამ გზის პირები უცხოეთში უნდა იყოს, მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩანან კვიპაროსები და ზეთისხილის ხეები.

ვადავიარეთ რამდენიმე ზომიერი უღელტეხილი, ჩვენი ყურადღება გზის პირებზე დამტყრელმა, დამწვარმა ჯავშნიანმა ავტომანქანებმა მიიქცევს. ეს პალესტინის უკანასკნელი ომის ნამუსრევაა. ისრაელელებს ეს გზა ერთგვარ მუზეუმად უქცევიათ ამ ათიოდე წლის წინანდელი ომის სამახსოვროდ. მტრის მანქანების ნალექები გზის პირებზე გამოუფენიათ.

შეუღდექით კიდევ ერთ შეღმართს და ჩვენი მანქანაც ააღვიდა ქალაქსა იერუსალიმს“.

იერუსალიმის გარეუბნები...

ვიწრო ქუჩები, ნახევრად ბნელი.

ჩვენი მანქანა შეჩერდა სასტუმრო „ორ-გილის“ წინ.

ვიწრო, ძლიერ ვიწრო კიბით ავედით სასტუმროს მეორე სართულზე. დაბალკერიანი ოთახები. დაბალკერიანი ისე, როგორც, ჩვეულებრივად, უცხოეთის სასტუმროებში. შესვლისთანავე მოგვართვეს მშვენიერი ცივი ორანჯი, რომელმაც ამ სიციხეში სული მრგვათქმევინა.

უძილო დამე. მხოლოდ დილის ოთხ საათზე ჩავგოვლიმა.

## 25 ოქტომბერი

სასტუმროს ფანჯრიდან — ძველი და ახალი სინაგოგები... საყდრები და მიზგითები. ცაში ატყორცნილი ელენი... სიონი... სიონი.

ერთ საათში უკვე გამეღვიძა. გაღვიძებია აკაკი შანიძესაც, გიორგი წერეთლსაც. მთელი დღის ფრენის შემდეგ სამივე მშვენიერად ვგრძნობთ თავს.

ცხელა, ცხელა. როგორც ამბობენ, ამჟამად იერუსალიმში ისე ცხელა, როგორც ჩვენში ივლის-აგვისტოში.

ქალაქი აღრე იღვიძებს. იგი ცოცხალი ჩანს, მოქმედი, მოძრავი, საქმიანი.

იერუსალიმი ჩვეულებრივი აზიური ქალაქია. მიწისფერი, თითქმის ტალახისაფერი სახლებით, ვიწრო ქუჩებით, რომელიც ყველგან ჯერ კიდევ როდია მოსთვალტებული, აქა-იქ მანქანა მტვერის ბუღასაც აყენებს. პალმები, ალვის ხეები, ბაღებსა და სკვერებში ზეთისხილის ხეები.

ჩქარი ნაბიჯით მიეშურებიან სკოლებში მოსწავლეები. ზოგ მათგანს გრძელი ეულულები ჰკიდია ყურის ძირებთან. საქმეზე მიიჩქარიან გრძელ-ეულულებიანი მამაკაცებიც. ებრაული „პესიე“, გამახსენდა, ძველად ბავშვობაში შინახაეს, მერე აღარსად შემხვედრია. ბავშვობაში „კიკინებს“ ვეძახდით. ეულულებიანი ებრაელები გრძელ შავ ფრაკებს ატარებენ, ორთოდოქსალური იუდეიზმის მიმდევრები.

ჩვენ დაუყოვნებლივ, ამ დილიდანვე უნდა შევედგეთ საქმეს. საბჭოთა კავშირის აკადემიის წარმომადგენლის არმანდ ბორისის ძე ვოლკოვის საშუალებით აღრიანადვე ვუკავშირდებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პალესტინის მისიას (ძველად „პალესტინის საიმპერატორო მართლმადიდებელი საზოგადოება“).

მისიაშიც, რასაკვირველია, იციან, რომ ჩვენ წუხელ ჩამოვედით იერუსალიმში. ესხდებით ვოლკოვის მანქანაში და მიედივართ მისიისაკენ.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ძველად ბევრი საყდარი და სასტუმრო სახლი ჰქონია პალესტინაში მლოცველთათვის. ერთ-ერთი მონასტრის საცხოვრებელ სახლში, ზედ ქალაქის ცენტრშია მოთავსებული დღეს პალესტინის რუსეთის სასულიერო მისია. ახლა მისიას ემსახურება რამდენიმე სასულიერო პირი, მათ შორის — არქიმანდრიტი ავგუსტინე — მისიის მეთაური, ორი ახალგაზრდა მღვდელი და ერთი დიაკონი.

შეჩერდა თუ არა ჩვენი მანქანა, მისის კარი გაიღო და დაბალ კიბეებზე

ჩამოგვეგება მისიის მთელი შემადგენლობა სრული სასულიერო წესრიგით, მისიის მეთაურის არქიმანდრიტ ავგუსტინეს წინამძღოლობით. ავგუსტინე მალა-მალა, გრძელი შავწვერიანი ლამაზი კაცია. იგი ხელუბრალოდ შემოგვხვდა, მზიარული სახით, და მისიაში შეგვიძღვა.

ავგუსტინემ თავისი მისიის გარდა ჩვენი ექსპედიციის მისიაც — ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზანიც უკვე კარგად იცოდა, იცოდა ისიც, რომ ჩვენ მისი საშუალებით ბერძნების პატრიარქ ბენედიქტესთან შეხვედრას ვესწრაფოდით, ბენედიქტესთან, რომლის ხელშიც არის დღეს იერუსალიმის ქართველთა ძველი ჯვარის მონასტერი.

მოვახსენეთ ავგუსტინეს, რომ ჩვენ თანა გვაქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის პირადი წერილი ბერძნების პატრიარქთან და აგრეთვე ქართული საჩუქრებიც.

ეს ყველაფერი ავგუსტინემ საქმისთვის საქიროდ და სასარგებლოდ ჩაფვალა.

საუზმის სუფრაზე მეტად საინტერესო საუბარი გაიმართა.

ბერძნების მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი პალესტინაში, იერუსალიმის პატრიარქი ბენედიქტე მეორე იორდანის იერუსალიმში ზის, სადაც, რელიგიური გადმოცემით, ქრისტეს საფლავია. როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, ქალაქი იერუსალიმი დღეს ორ ნაწილადაა გაყოფილი; ერთ ნაწილს, ახალ იერუსალიმს, ფლობს ისრაელი, ხოლო მეორეს, ძველ ქალაქს, ძველ იერუსალიმს — იორდანის მეფე. იერუსალიმის ახალი ნაწილი ისრაელ არაბებთან უკანასკნელ ომში ჩაუგდია ხელში და სატახტო ქალაქიც თელ-ავივიდან აქ გადმოიტანია, მაგრამ, რადგანაც ეს აქტი რომელიმე საერთაშორისო კანონების დარღვევა ყოფილა, ოფიციალურად ახალი იერუსალიმი ის-

რაელის სატახტო ქალაქად დღესაც არაა აღიარებული სხვა სახელმწიფოთა მიერ და ყველა უცხოეთის საელჩოები, მათ შორის საბჭოთა კავშირის საელჩოც, დღემდე თელ-ავეიში იმყოფება.

ისრაელი დიდი მონდომებით აშენებს და აფართოებს თავის სატახტო ქალაქს — ახალ იერუსალიმს, ძველი იერუსალიმი კი, ეტყობა, ასეთი ჩქარი ტემპით როდი შეენდება.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ემიგრანტული ნაწილიც ძველ იერუსალიმს შეჰკედლებია, იქაურ რეაქციულ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას (რომელსაც „Русская миссия карловнической церковной ориентации“ ეწოდება) მიაჩნია, ავგუსტინეს მისიაში კომუნისტების კაცები სხედანო, და ამიტომაც მისიის წინააღმდეგ განუწყვეტლად აწარმოებენ შავრანმულ აგიტაციას. იქაური მისიის უფროსი მოხუცებული არქიმანდრიტი ბიკაი, როგორც ავგუსტინე ამბობს, წარმოშობით რუსის თათარი ყოფილა, 19 წლის მონათლულა და კიევ-პეჩორის ლავრაში შემდგარა მღვდლად. თავის დროზე იგი თავრიდის არქიეპისკოპოსის — დიმიტრი აბაშიძის მოსენაკე ყოფილა. ეს ის დიმიტრი (დავით) აბაშიძეა, — ამბობს ავგუსტინე, რომელიც ერთ დროს ბიბლიის სემინარიას რექტორობდაო. ეს აბაშიძე 30-იან წლებში მომკვდარა და ყოვლიაგან „განწყმენდილ“ ანტონად დაუსაფლავებიათ კიევ-პეჩორის ლავრაში.

შეეთანხმდით: ავგუსტინე დაუყოვნებლივ აცნობებს იორდანიის იერუსალიმში პატრიარქ ბენედიქტეს, მისი აქაური წარმომადგენლის ქსანტოპოლოსის საშუალებით, ჩვენს აქ ყოფნას. და სთხოვს ჩვენთან აღდიეციას.

ავგუსტინეს ვთხოვეთ, აგრეთვე, ის-

რაელის გამოჩენილ მეცნიერთან — პროფესორ ვარდისტან დაკაშვიტებამ, — მანაც იქვე ტელეფონით დაურეკა მან ხვალისთვის თავმდაბლად მისიაში მოიწვია.

ავგუსტინე დიდი სამამულო ომის დროს საქართველოშიც ყოფილა: დიდი სიყვარულით და აღფრთოვანებით იგონებს ჩვენს რესპუბლიკას და ოცნებობს კვლავ ჩვენში ჩამოსვლაზე.

სწორედ ამ დროს რადიომ, ჩვენთვის მოულოდნელად წინასწარ შეეკეთილივით, გადმოაცა თელ-ავეიდიდან მშვენიერი ქართული სიმღერები, ჩვენი ცეკვების მუსიკა, ჩვენი მელოდიები. ამან მეტად გვასიამოვნა და კიდევ უფრო აეთილად განგვაწყო ერთმანეთისადმი.

— თქვენ ჯერ ქალაქში არაფერი გინახავთ, — გვეუბნება არქიმანდრიტი, — წავიდეთ.

ჩავსხედით ავგუსტინეს მშვენიერ, კომფორტულ მანქანაში და გავსწიეთ ქალაქის დასათვალაიერებლად.

ჯერ ერთ მაღალ შენობასთან შევჩერდით. ეს ფრანცისკელთა მონასტერი ყოფილა, ავედით მის მაღალ, ფართო ვერანდაზე, აქედან ხელისგულივით ჩანს მთელი იერუსალიმი, განსაკუთრებით მისი ძველი ნაწილი, იორდანიის მხარე.

ავერ თვალწინ ცნობილი ისტორიული იერუსალიმის კედელი ძველ იერუსალიმში. დაინახავ და მაშინვე მოგავონდება ცნობილი სურათი: „იუდეელთა გოდება იერუსალიმის აედელთან“. დღეს ეს სურათი მეტად გავრცელებულია პალესტინაში. აკაკი შანიძეს ახსენდება სიტყვები ბიბლიიდან: „უკეთუ დაგივიწყო, შენ, იერუსალემ, დავიწყებულ იქნეს მარჯვენე ჩემი“.

ავერ სიონი... ჩვენს მეცნიერებს ისევ ახსენდებათ ბიბლიიდან: „მდინარეთა ზედა ბაბილონისათა მუნ დაესხედით და ვსტიროდეთ, ოდეს მოგხსენეთ, შენ, სიონ!“

და შემდეგ:

„არ დაედუმდები შენთვის, სიონ და არ დავშვიდდები შენთვის, იერუსალიმ“.

მრავალი საუკუნის განმავლობაში გულთ დაჰქონდათ ბიბლიის ეს სიტყვები სამშობლოდან/ცეცხლითა და მახვილით აყრილ, დედაშიშის ყოველ კუთხეში გაფანტულ იუდეველებს, როგორც ლოზუნგები კვლავ სამშობლოს მოპოვებისთვის. და აგერ, ჩვენს დროში, ჩვენს თვალწინ, ორი ათასი წლის შემდეგ, მოუპოვებიათ კიდევ იგი, დაკარგული სამშობლო მათ და, წარმოიდგინეთ, რაც ყველაფერზე მეტად გასაკვირველია, ამ ათიოდე წლის მანძილზე აღუდგენიათ თავისი ძველი ენა, ბიბლიის ებრაული ენა — ივრითი და დღეს მთელი ისრაელი ამ ენაზე ლაპარაკობს.

მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ისრაელზე არაფერი ვიცით. ჯერ ჩვენ ვდგავართ ფრანკისკელთა კათოლიკური მონასტრის სახურავზე, მის ფართო ვერანდაზე, და გადავცქერით ძველსა და ახალ იერუსალიმს.

აგერ გოლგოთა...

აგერ აღდგომის ტაძარი...

ქრისტეს საფლავი...

ომარის მიწვითი...

ელეონის მაღალი კოშკი... სიონი...

გეთსიმანიის ბაღი... ხეთისხილის მთა... შორს, შორს, მთის ძირში „მკვდარი ზღვა“.

გეთსიმანიის ბაღი, ალბათ თავის დროზე, როცა აქ, გადმოცემის მიხედვით მაგდალენელი დადიოდა, უფრო დიდი იყო, ახლა იგი პატარა სკვერსა ჰკავს მთის ფერდობზე, შიგ თეთრი მონასტრით. სულ ჩვენს ბოდბეს მოგაგონებთ, კახეთში.

გოლგოთა მე მთაზე მეგულებოდა. პირიქით, იგი დაბლა ჩანს. გოლგოთა, ქრისტეს საფლავი და აღდგომის ტაძარი ერთად დგანან ძველ იერუსალიმში.

უკანასკნელი ომის დროს დანგრეული შენობები ერთ ხაზზე აღდგენილი

არ არის, ეს ორ მეომარ სახელმწიფოთა შორის დაზავების პერიოდის სადემარკაციო ხაზია.

გაყოფილი იერუსალიმის ორივე მხარეს, სახლის სახურავებზე, სილით სავსე ტომრებზე, სათვალთვლო პუნქტებია. ჯარისკაცები უსხედან ტყვიამფრქვევებს. ამ ორ ჭკეყანას შორის საომარი მდგომარეობა ასე გრძელდება. დურბინდებით გვიცქერენ და გვზომავენ სამხედრო პირები ფრანკისკელთა მონასტრის ნეიტრალურ სახურავზე, იქედანაც და აქედანაც. ჩვენც დიდხანს აღარ ვანერვიულებთ მათ. ვეშვებით ქალაქში, შემდეგ მივდივართ ქალაქგარეთ.

რამათრაპელის სიმალიდან ბეთლემი... პეროლიონი, იუდას უდაბნო, სადაც უძველესი ქართული წარწერები აღმოჩნდა ახლახან, ამ ადგილის გათხრებისას. ამ წარწერების შესახებ შესანიშნავი გამოკვლევა დაწერა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა.

სალამომდე ვდგავართ გორაკზე და გავცქერით ამ ბიბლიური ქალაქის სახანებს.

აგერ, ხუთიოდ კილომეტრის მანძილზე, პატარა სოფელი, თუ ნასოფლარი.

— რა ჰქვია ამ სოფელს?

— „მალხა“.

რალაც ქართულ სიტყვას გაგონებს ეს სახელი, მაგრამ თითქოს არც ქართულია.

— ვინ ცხოვრობს ამ სოფელში?

— ახლა თითქმის, როგორც გვითხრეს, არავინ. აქაური მცხოვრებნი პალესტინის ამ უკანასკნელი ომის დროს სადღაც შორს გადაუსახლებიათ. ცხოვრობდნენ კი არაბები, რომელნიც რატომღაც თავიანთ თავს „გურჯებს“ ეძახდნენ. ეს უკანასკნელი თაობაც ამ სოფლიდან ისე გაფანტულა და დაკარგულა, ნამდვილად არც კი გაუგიათ, რომ მათი შორეული წინაპრები მართლაც „გურჯები“, ქართველები იყვნენ. და რომ ისინი, გადმოცემით, მრავალი საუკუნის წინ, ქართველმა მეფემ ვახ-



ტანგ გორგასალმა დატოვა აქ, პატარა გარნიზონად, ჯვარის მონასტრის მტერთაგან დასაცავად.

დეკანოზი კონკომედილი, რომელმაც გასული საუკუნის მიწურულში იმოგზაურა პალესტინაში, და თავის მოგზაურობაზე გამოაქვეყნა წიგნი, ასე წერს: „მახლობლად ჯვარის მონასტრისა ესრედ წოდებულ «ვარდის ლელესა» არის დება «მალხა», სადაც ცხოვრობს ექვსასი სული ორივე სქესისა; ამბობენ, ვითომც ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასალანის დროსა მეხუთე საუკუნეში, დასაცავად ჯვარის მონასტრისა, მტერთა დაცემისგან, მათ დაუეციყნიათ მშობლიური ენა და სარწმუნოება მამა პაპათა, მაგრამ გადმოცემით იციან, რომ იგინი არიან შთამომავალნი შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა და უწოდებენ თავისა თავსა «გურჯებად», ქართველებად და გარეშე მცხოვრებნი არაბნიც ისე უყურებენ, ვითარცა მოსულსა უცხო ტომსა. იგინი ლაპარაკობენ არაბულად, რამდენადმე თათრულად და ბერძნულადაც, იგინი იცავენ ჯვარის მონასტერს და ემსახურებიან მას. იგინი სარგებლობენ საკუთრის უფლებითა შეიმუშაონ მონასტრის მიწებებზე და ვენახები. და აძლევენ მონასტერს მხოლოდ მესამედ ნაწილს შემოსავლისას. მონასტერს არ შეუძლია ეს საქმე გადასცეს სხვათა, რომ უსიამოვნება არ გამოიწვიოს მალხას მცხოვრებთა შორის. სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა ისინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან“.

მალხა... მალხა... მშვიდობით, „სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა“ უცნაურო არაბებო... ავტო გუშინ, თითქმის ჩვენს თვალწინ, დასრულდა თქვენი სევედიანი ისტორია.

სადაც თითქოს გაივლია მაიუმი, ღაზის დიდი მოაზროვნის — პეტრე იბერის სახემაც...

საღამოს ისევ რუსეთის მართლმადი-

დებელი ეკლესიის იერუსალიმის მისიაში ვართ. დაიწყო გვაქვს შეხვედრა ბერძნების მართლმადიდებელთა ეკლესიის პატრიარქის ბენედიქტეს წარმომადგენელ ქსანტოპულოსთან. იგი ავგუსტინემ მოიპატივა.

ქსანტოპულოსი, ბერძნულის გარდა, არაბულადაც ლაპარაკობს. იგი ხანშიშესული მომცრო ტანის უღვაშებაგრეხილი აცია. პირველივე გასაუბრებიდან ჩანს, კულტურას და განათლებას ემდურის, ცოდნა არაფრისა ჭაანია, რელიგიის საკითხებისაც კი. ეტყობა, არც მინცა და მინც აწუხებს ეს უფიტობა. ყველაზე დიდ ღმერთად და საქმედ, ესეც ეტყობა, ამქვეყნიურ ცხოვრებას თვლის. კარგი გამოქვეყილი კაცი ჩანს. ასეც დაგვიხსათა იგი ავგუსტინემ.

ქსანტოპულოსმა დაბეჯითებით გვითხრა, რომ ჯვარის მონასტერში ახლაც არის ძველი ხელნაწერების ბიბლიოთეკა, და რომ ამ ბიბლიოთეკის გამგეს, რომელიც იორდანის იერუსალიმში ცხოვრობს, იგი გადმოიყვანს თავისი გასაღებით და საშუალებას მოგვცემს გავსინჯოთ ეს ძველი წიგნთსაცავი. მე მეტად აღმაფრთოვანა ამ ცნობამ და დაპირებამ. ჩვენს მეცნიერებს — აკაკი შანიძეს და გიორგი წერეთელს კი მხოლოდ დიმილი მოჰგვარა. მართლაც, მალე გამოიჩვენა, რომ ქსანტოპულოსს ამ საქმისა არაფერი სცოდნია და არავითარი ძველი ქართული ხელნაწერები ჯვარის მონასტერში არ არის.

## 28 იქტობმბერო

დღევანდელი დღის გეგმაში პირველად პროფესორ ვარდისთან შეხვედრა გვაქვს გათვალისწინებული.

დილის 10 საათზე პროფესორი ვარდი უკვე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პალესტინის მისიაშია. ჩვენც იქ ვართ, კარგი შეხედულების — საშუალო ტანის, ოდნავ სუსტი აღნაგობის, დიხვი ინტელიგენტი. მშვენივრად ლაპარაკობს რუსულს, დაფიქრებით,

სწორად; დიდი სიხარული გამოთქვა იერუსალიმში ჩვენი ჩასვლის გამო. დიდი ინტერესით ჩამოართვა გიორგი წერეთელს წიგნი „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“ და აკაკი შანიძეს — ქართულ ენაზე ახლადგამოცემული „ფსალმუნი“. მშვენივრად აქვს წარმოდგენილი პალესტინა-საქართველოს უძველესი ურთიერთობა და ძველი საქართველოს ისტორია. კოლხიდა მისთვის ლაზიკაა. თავის დროზე მასაც მიუტყვევია ყურადღება „იმკას“ საფუძვლის ჩაყრის დროს აღმოჩენილი უძველესი ბერძნული წარწერისათვის, სადაც ქართველი ეპისკოპოსი სამუელი იხსენიება.

მეტად საინტერესო მეცნიერულ საუბარში ვარდი შეგვიპირდა, თუ საბერძნეთის პატრიარქი ბენედიქტე უფლებას მოგცემთ ჯვარის მონასტერში ნაწილობრივი არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის, ფრესკების აღდგენასა და კედლების გაწმენდაზე, მე გიშუამდგომლებთ ჩემს მთავრობასთან, გიშოვით სპეციალისტებს და ამ სამუშაოებს ჩვენ ჩაეტარებთო.

როგორც ჩანს, იერუსალიმის ბერძენმა პატრიარქმა ისრაელის ხელისუფალთ უფლება არ მისცა ჯვარის მონასტერში რაიმე სახის გათხრები ჩატარებინათ და ახლა ჩვენი ჩასვლით მას იმედი დაებადა, ჩვენ მაინც მივიღებდით ასეთ უფლებებს და ისინიც შეძლებდნენ თავიანთი სპეციალისტების საშუალებით მონაწილეობა მიეღოთ ამ გათხრებში. თვითონ ვარდი წარმოშობით სკანდინაველი ებრაელი ყოფილა, მისი ოჯახი დიდი ხანია იერუსალიმში ცხოვრობს. იგი ბიზანტიის ისტორიისა და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სპეციალისტია. სამწუხაროა, რომ ქართველთა უდიდესი კულტურული და პოლიტიკური როლი პალესტინის ისტორიაში ჯერ კიდევ შეუსწავლელიაო, — განაცხადა პროფესორმა ვარდომ. რას იტყვიან ჩვენი ისტორიკოსები?

ვარდომ უბის წიგნაკში ჩაიწერა საკითხები, რომელთა გადაწყვეტეშიც დახმარება აღვითქვა. **სიხარულითაა**

დღეს ჩვენ ჯვარის მონასტრისკენ მიგვეჩქარება. გული განსაკუთრებულად გვიძგერს, დროებით დავეშვიდობეთ ვარდის და, ვოლკოვთან ერთად, მისი მანქანით დავიძარით მონასტრისაკენ.

იერუსალიმში წასვლის წინ ჯვარის მონასტრის შესახებ, როგორც ხელი მიმიწვდებოდა, ზოგიერთ წყაროს გადავხედე. გადავხედე ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვას“, კონსტოშვილის „მოგზაურობას“, ცაგარელს, ნიკო მარს და იქ ჩასვლისას მე უკვე მქონდა ზოგადი წარმოდგენა ამ ძველი ქართული კულტურის დიდი კერის შესახებ.

ამ საუკუნის დასაწყისში ჯვარის მონასტერში, როგორც ცნობილია, ნიკო მარი იყო. მარმა მეცნიერულად შეისწავლა მონასტრის ქართული სიძველენი, მაგრამ მონასტრის საერთო სურათი მას მკითხველისთვის არ გადმოუცია. ორიოდე წლით ადრე იერუსალიმს ჩასული კონსტოშვილი კი ასე აგვიწერდა ჯვარის მონასტერს:

„...ამ დღეს ენაზე და მოვილოცე ჯვარის მონასტერი, რომელიც შორავს იერუსალიმს 3 ანუ 4 ვერსით. თითონ ბერძენნი უწოდებენ ამ სავანეს ქართველთა მონასტრად. ამის ხილვამ ამიშალა სულის დიდი მწუხარება. ოდესმე სახელოვან დიდებულ ქართველთა ერსა იერუსალიმში მქონდათ 18 მონასტერი და აწ არცა ერთი და მოკვებოება. ვა ჩვენს დაკნინებას! ამ მონასტერში ეხლა სასულიერო სემინარიაა, სადაც იღებს განათლებას ბევრს ენაზედ ბერძენთა და არაბთა ახალგაზრდობა. ვისისა და რა საშუალებით ინახება ეს სასწავლებელი? ამ მონასტერს ქართველ მეფეთაგან აღშენებულს მესხეთე საუკუნეში, მათგანვე აქვს. შეწირულა ქ ტფილისში მამული, წოდებული „ჯვარის მამისად“. აქ, ტფილისში, არის ეკლესია, გარშემო სახლები და ღუქნები, მისი კუთვნილი; აი ამ ღუქნების და ეკლესიის შემოსავ-

ლით უცხოეთში ინახება სემინარია უცხო ტომთა აღსაზრდელად და განსაზღვრულად...“

შემდეგ განაგრძობს კონკოშვილი:

„მე-18 საუკუნის ნახევარმდის ყოფილან ამ ჯვარის მონასტერში ქართველნი წინამძღვარნი და მამანიცა, მე ვნახე ერთი საბუთის ქალაღი ათონის ქართველთა სავანეში, რომელთაგანაც ცხადად ჩანს, რომ კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქთა სრულიად გადაუხდიათ ვალები, რაოდენიც ყოფილან ამ სავანეზედ. გარდაუხდიათ შემოწირულებითა, რომელიც საქართველოს მეფისა, პატრიარქისა და ერისგან მიუღიათ და დანაშთენიც ვითომც თითონ დაუმატებიათ და აცხადებენ ამ ქალაღდით, რომ შეუძლიანთ ქართველთა მიიღონ თავის მფლობელობაში ეს მონასტერი. ეს გარდაწყვეტილების პირი გამომოღებულა კონსტანტინეპოლის საპატრიარქო არქივიდან და ეს დადგენილება არის თარიღით 1702 წელს, თარგმნილი რუსულად და დაბეჭდილი. და ეხლა ერთს უბრალო ოთახსაც არ გვითმობენ ჩვენს სამშობლოში ჩვენის შვილების აღსაზრდელად, არ გვითმობენ იმ მამულთაგან, რომელიც საქართველოს მეფეს შეუწირავეს ქართველთა სავანესა და ძმათათვის, ხოლო თვითონ ბერძენნი სუქდებიან ჩვენის პურითა, ღვინითა და სხვა კეთილითა. აი ამას შეიძლება ვუწოდოთ სიტყვით ოქროს მთების ბოძება რა საქმით თიხისაც არ მოცემა“.

შემდეგ:

„ჯვარის მონასტერს გარშემო აელია ოთხკუთხიანი მკვიდრი ქვითკირის გალავანი დასაცავად და უშიშარსაყოფლად მონოზანთა თავს დასხმისაგან მტერთა და ავაზათასა. მონასტრის ეკლესია მშვენიერის გუმბათით არის განათებულია ზევიდამ; იატაკი მოფენილია მოზაიკითა ანუ ფერადის მარმარილოთი, რომელზედაც შესაველთან სტოვაში ეკლესიის კარებ წინ მოსჩანან ცხადად შავი ნიშნები — ვითარცა ავალნი

სისხლისა აქ მოწყვეტილთა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მღვანჯონთა სარკინოზთაგან“.

მე-18 საუკუნის

შემდეგ, აღწერს რა ეკლესიის კედლის მხატვრობის — ფრესკების იმდროინდელ მდგომარეობას კონკოშვილი გვაცნობებს:

„საკურთხეველში ორსავე მხარეს კედლები ახლად შეღესილია თეთრად. ცხადია აქ ქართველთა წმინდანების სახენი წაშლილი და დაფარულია. მე რომ გულმწუხარედ ვუყურებდი ესე ვითარს მტარვალბასა და გავუზიარე ჩემის სულის მკვუნვარება მ. რუსის დეკანოზს, მან ჰკითხა ეკლესიის მოსამსახურე ბერძენს: ეს კედლები ნახევრად რად არის გათეთრებულიო? უგუნურმა მოგვიგო: ეს ოსმალთ გაათეთრესო. თითქოს ოსმალთათვის ერთი და იგივე არ იყოს ბერძენთა და ქართველთა წმინდანები? ტრაპეზის ქვეშ არის ორგვლივ ნაჩვენები ადგილი, რომელზედაც მოუქრიათ სამგზის სანატრელი ზე ქრისტეს ჯვარცმისათვის. ამ კედლის უკან უჩვენებენ ძირს იმ ხისას. მასზედაც ბერძნული წარწერა დარჩენილა და ქართული ამოუფხვრიათ. მხილველს ამ ბოროტმოქმედებისა უნებურად მოგვაგონდება ფსალმუნის სიტყვანი: „საჯენ უფალო მანებელნი ჩვენნი და მბრძოდე მბრძოლთა ჩვენთა“.

ასეთი იყო მდგომარეობა ჯვარის მონასტერში გასული საუკუნის მიწურულში.

ქალაქი იერუსალიმი ახლა სწრაფად იზრდება, შენდება და ჯვარის მონასტერიც დღეს თითქმის ქალაქის ფარგლებშია მოქცეული. აგერ, მის გვერდით, იერუსალიმის ახალი უნივერსიტეტის უდიდესი შენობის კორპუსები. აგერ კატაპონის ფერდობიც და გორაკიც შენობებით დაფარულა, ჯვარის მონასტრის ზეთისხილის ბაღსაც მოსდგომია ხარაჩოები.

სხვათა შორის, აქვე ვთქვათ: იერუსალიმი შენდება თავისივე ქვით. სადაც სახლი უნდა აიგოს, იქვე კრიან სამშე-

ნებლო ქვას. ეს ქალაქი ხომ თითქმის ქვის ნიადაგზეა. აქ ამიტომაც მცენარე ცოტაა და ახალ ნარგავებსაც, რის გამრავლებასაც ახლა ძალიან ცდილობენ ხელისუფალნი, მეტად უჭირს ნიადაგზე ფეხის მოკიდება. ყველგან ქვა და ქვა. იერუსალიმში მხოლოდ ქვის სახლები შენდება.

მივედით ჯვარის მონასტერთან. სულ განაბულნი მივადექით გალავნის დაბალ, მაგრამ უზარმაზარ ქვებში მოთავსებულ რკინის კარებს, ზედ საბელით დაკიდებული რკინის ჩაქუჩით დავაბრახუნეთ. ცოტა ხანიც და... სადღაც შორიდან გამობმულმა მავთულმა გადასწია რკინის ურდული. გალავნის კარები გაიღო.

მე არ ვიცი, რომელი ჩვენთაგანი უფრო ვაქცატურად შევიდა მონასტრის გალავანში. შევედით კი სამივე.

გავიარეთ გალავანსა და მთავარ შენობას შუა მოთავსებული კორიდორი, შევუხვიეთ მარჯვნივ, გავცდით ქვით მოპირკეთებულ პატარა ეზოს და მივადექით ეკლესიის პირველ კარებს. გაგვიღეს ეს კარები და მივადექით მეორე ძველ რკინის კარებს. მოიტანეს ვეებერთელა უძველესი გასაღები, ორივე ხელით გადაატრიალეს კარების საეკტში, ეს კარებიც მძიმედ გაიღო... და ესეც ჯვარის მონასტრის საყდარი!.. შევედით შიგ ფეხი.

სამასი წელი მაინც იქნება ქართველთაგან აქ არავის უგალობნია.

გაკვირვებული შემოვიდა მონასტრის ახალგაზრდა დიაკვანი ბიკენტისი, მოგვისმინა, მოგვაჩერდა, აგვზომ-დაგვზომა, და წყნარად თქვა: მონასტრის ნამდვილ და ძველ პატრონებს დღესა ვხედავო. როგორ მოგვეწონა ეს სიტყვები ჩვენი უცნაური მღელვარების დროს. თვითონ ეს ახალგაზრდა კაციც მოგვეწონა, რომელიც, აგერ, იერუსალიმის უნივერსიტეტის არქიტექტურული ფაკულტეტის სტუდენტი ყოფილა. მას ჩემი ფოტოაპარატი მოსწონს. საბედნიეროდ, მე ორი კარგი საბჭოური ფოტო-

აპარატი მაქვს თან წამოღებული ერთს ბიკენტისოს ვუძღენი. ბიკენტისმა აგერ ვერ გაიგო: ჩემი ხუთი თვის ჯამგირიც არ ეყოფა ასეთი აპარატის შეძენასო. შემდეგ ჩვენებმა განუმარტეს, რომ ეს აპარატი მას საჩუქრად ეძლევა ჩვენი მომავალი მეგობრობის ნიშნად. ვადაირია საწყალი! ფოტოაპარატს მხრიდან აღარ იშორებს. სამაგიეროდ, ახლა უნდა ვთქვა, ბიკენტისმაც გაამართლა ჩვენი შემდგომი მეგობრობა.

შევედით ფეხი და თვალებით პირდაპირ ვეძგერეთ (შეიძლება ცოტა უხეში იყოს, მაგრამ სხვა გამოთქმა ვერ მიპოვნია), კედლის მოხატულობას, კურსკებს, წარწერებს. ჩქარა, ჩქარა ქართული წარწერები, ძველ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები!.. და აი, ხელმარცხნივ სვეტზე გაბრწყინდა დიდი შავი ასომთავრული, ეს ნიკიფორე ჩოლოყაშვილისეული წარწერაა. სხვა, სხვა წარწერები სადღაა?... აგერ, ჩვენს ფეხქვეშ, ზედ კარებში — სამ დიდ ქვაზე ქართული ასოები, შუა ქვაზე სავსებით გადაღუსილი საუკუნეების ნაქუსლარებით, აქეთ იქით ქვებზე კი თითქმის გადარჩენილი. აგერ კიდევ, მაგრამ სად?... აქ ხომ ცაგარლის ცნობითა და აღწერით ბევრი ქართული ფრესკა და წარწერა უნდა იყოს, რომელიც აგერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებისთვის იყო შემორჩენილი, მაგრამ გამახსენდა ისეც კონკრეტული (რა კარგია, რომ ეს წიგნები თან წამოვიღე): „საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ ყველა მონასტერში, რომელიც კი დაფუძნებულა ქართველთაგან, ბერძნები სპობენ ყოველს კვალსა ქართველთა მოღვაწეობისას!“... და მოუსპიათ, მოუსპიათ კიდევ და ჩვენც „გულმწუხარედ გავხედეთ ესევეთარსა მტარვალობასა“.

— დავაგვიანეთ, ასი წლით მაინც დავაგვიანეთ, — მწუხარედ ამბობს აკაკი შანიძე. ეტყობა, ამ მწველმა აზრმა სამივეს ერთად გავვიღვა თავში.

არ დავაგვიანეთ? რამდენჯერ ჰქონიათ ხელსაყრელი შემთხვევა და პირობე-

ბიც, ჯერ, თუნდაც გასულ საუკუნეში ჩვენს წინაპრებს, თავი მოებათ ჩვენი სამშობლოს ისტორიისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისთვის. მანამდეც და შემდეგაც არა გვექონია ამის შესაძლებლობა? მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე საყვედურებია, ახლა იმას მაინც მივხედოთ, რაც დღეს ამ კედლებზე ნამუსრევი და შემოგვრჩენია.

აგერ ახლა ჩვენს თვალწინ ისევ წარმოებს მონასტრის „შეკეთება“, ისევ ათეთრებენ, თითხნიან და ბლაღავენ იმას, რაც გადარჩენია ბოროტთა და უვიცთა „ესევეითარსა მტარავლობასა“. ბლაღავენ ადამიანები, რომელთაც წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, თუ რასა სჩადიან.

აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი პირდაპირ დაშვებულბივით მიეჭრნენ კედლებს, ფრესკებს, წარწერებს.

მე მონასტრის საყდრის ცენტრში ვდგავარ და ვათვალისწინებ ირგვლივ ყოველივეს. ავცქერი ვუმბათს, დავცქერი იატაკს „იატაკი მოფენილია მოზაიკითა, ანუ ფერადის მარმარილოთი, რომელზედაც შესავალთან სტოვაში ეალესის კარებ წინ მოსჩანან ცხადად შავი ნიშნები — ვითარცა კვალნი სისხლისა აქ მოწყვეტილთა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მონახონთა სარკინოზთაგან“, — მაგონდება ისევ... აი ეს კვალიც, იატაკზე მოზაიკის ანუ ნიშნებში მტკიცედ ჩამხმარი ქართველთა სისხლის კვალი აქა-იქ ნისლებივით ჩანს. როდინდელია?, ვისია?.. და ზედ ცენტრში ამ უცნაური ნისლების შუაგულში იატაკში ჩაქედლი ლითონის დისკო შევნიშნე. ზედ ქართული ასომთავრული წარწერით. სწრაფად გავძახე კედლების წარწერებითა და ფრესკებით გართულ აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს. ისინიც მოვიდნენ, ამოვიკითხეთ:

„დღეით მტკიცედ და შეურყევლად“... ერთუანტელმა ამიტანა. ამ პატარა ლითონის დისკომ თითქოს ქვემოდან ამწია და პაერში შემისროლა. თითქოს იატაკიდან ამოვარდა გუგუნნი თავგან-

წირულთა მოწოდებისა, თუ მახვილდაკრულთა ხმაჩახლეჩილი უჭკვეუტესად საუკუნეების გაღმადან.

რითი არა ჰგავს ეს ძველი ქართული ახალს: „არც ერთი ნაბიჯი უანს“.

დავდექით და ერთხანს მდუმარედ ვუცქირეთ ამ დისკოსა და ერთმანეთს..

საკურთხეველის წინ, იატაკზე, შესანიშნავი მოზაიკური სურათები: ფარშავანგები, თევზები..

ფრესკები უმეტესად სვეტებზეა. რა შეცვლილა ჯვარის მონასტერში ჩვენს საუკუნეში?

ან იქნებ უმჯობესია ვიკითხოთ: რაღა გადარჩენილა ჩვენს საუკუნეში ქართული კულტურის ძეგლთაგან, ქართულ წყაროთაგან, ქართულის კვალისგან ყოფილ ქართულ ჯვარის მონასტერში. იერუსალიმში?

ალარაფერი.

თითქმის ალარაფერი, გარდა რამდენიმე ფრესკისა და კედლის ორიოდ წარწერისა. ხოლო განთქმული ქართული ხელთნაწერების ძვირი ბიბლიოთეკის ნაკვალევიც კი ჯვარის მონასტერში ალარა ჩანს.

ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ნიკო მარი ასე ამთავრებდა თავის წიგნს სინას მთასა და იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ:

«Итак, мы поехали на Синай и в Иерусалим за сырыми материалами, чтобы разрешить некоторые свои сомнения. Но материалов, материалов захватывающего интереса оказалось такое обилие, что они почили нас себе и в свою очередь сами поставили нам ряд новых животрепещущих вопросов по истории христианства в древней Грузии и Армении и по культурному взаимодействию названных соседей не только между собою, но также с прочими народами Передней Азии, преимущественно христианскими. Разрешение этих вопросов облегчилось бы в значительной степени, если удалось описать Грузинские рукописи Иерусалима и Афона с такою полнотою, как теперь описано синайское собрание. На это предприятие я смотрю, как на ближайшую задачу, не только потому, что оно обещает хорошую добычу, и без него наше дело есть

лишь полдела, даже менее того, но и потому, что время не терпит. Опыт показал, что каждый год обесценивает эти сокровищницы».

აქ ლაპარაკია არა მარტო ძველ ქართულ ხელთნაწერებზე, არამედ საერთოდ ყოველგვარ ხელთნაწერებზე, მაგალითად, ვთქვათ არაბულ ხელთნაწერებზე, ბერძნულ ხელთნაწერებზე, რომლებიც თუ ქართველი მოღვაწენი სარგებლობდნენ იერუსალიმში. ამის თაობაზე ნიკო მარი წერს: „მუსულმანების, მათ შორის ეგვიპტელი მამლებების ქართველებთან დამოკიდებულება შეეძლო ნათელყო არაბულ დოკუმენტებს, რომლებიც იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს არქივში ინახება. ასეთი დოკუმენტები კი იქ ცოტა როდია. მაგრამ მე შესაძლებლობა მომიცია მესარგებლა ორი მათგანით. ორივე საინტერესოა. ერთიდან ვგებულობთ, რომ ქართველ მლოცველთა უშიშროებისათვის ქართულ ჯვარის მონასტერში იმყოფებოდა განსაკუთრებული მოხელე, ყოველთვის ერთი და იმავე არაბული ოჯახიდან, რომელიც ხედებოდა მლოცველებს ალექსოში, მოაცილებდა მათ იერუსალიმამდე და მიაცილებდა უკანვე ალექსოში“.

ნიკო მარს ბევრი რაიმე, რაც ცაგარელმა ნახა და აღწერა ჯვარის მონასტერში, აღარ დახვედრია. ცაგარელმა კი, როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, მაინც ბევრი რამ ნახა მონასტერში.

„მონასტერს გარშემო აქვს მშვენიერი ვენახი და ბაღიც ლიმონისა, ფორთოხლისა, ლღვისა და ბროწეულისა“, — წერდა კონკოშვილი.

სადღა ყოველივე ეს დღეს, სადღა ძველი ხელთნაწერები, აედლის მრავალი წარწერა, ფრესკები, ბალ-ვენახები? ხელოვნების ეს ბრწყინვალე, უძველესი ძეგლი დღეს უპატრონოდაა მიგდებული. აქ წირვა ლოცვა არ არის. მის ეზოში ახლა თეთრი ტილოს კარვები დგას და იქ გამალებით სწავლობენ სამხედრო საქმეს ისრაელის არმიის ქალთა

ნაწილები. არის თოფების საკეტე-ქაბა-ქუხი.

მონასტერში მოგვადგა კაცი და გადმოგვცა: — გაიგო რა ისრაელს თქვენი ჩამოსვლის ამბავი, სახელმწიფოს პრეზიდენტი ბენ-ცვი გიწვევთ თავის რეზიდენციაში დღეს 5 საათსა და 30 წუთზეო.

გამოირკვა, რომ ჩვენი იერუსალიმს ჩამოსვლისა და ჩვენი ვინაობის შესახებ პრეზიდენტისათვის მოუხსენებია პროფესორ ვარდის. პრეზიდენტი ჩვენი საქმით მეტად დაინტერესებულა და აი, დაუყოვნებლივ, გიწვევს კ'დეც თავისთან.

ნაშუადღევს ჩვენ სამივე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელ ვოლკოვთან ერთად, გვემართეთ პრეზიდენტის რეზიდენციისაკენ.

პრეზიდენტის რეზიდენცია იერუსალიმში ორღობესავით ვიწრო ქუჩაზე დგას. აქ, რასაკვირველია, ორი მანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ შეუვლის. ქუჩა ისე კი ღამაზია, კონტად გამწვანებული. რეზიდენცია-კანცელარიაც პატარა, მაგრამ ღამაზ შენობაშია მოთავსებული.

შევედით ვიწრო ჭიშკარში. ვიწრო კორიდორში, ვიწრო კარებში და აგერ პრეზიდენტის კაბინეტიც. კედელზე ვეებერთელა სურათი „იუდეველთა გოდება იერუსალიმის კედელთან“.

მართლაც, კარგი ნაწარმოებია ეს სურათი.

აგერ თავად პრეზიდენტიც. 76 წლის მოხუცი ბენ-ცვი. საქმით — პრეზიდენტობის გარდა — აღმოსავლეთის ებრაელთა ცხოვრების შემსწავლელი ინსტიტუტის ხელმძღვანელი; პროფესიით — ფილოლოგი-ისტორიკოსი. ამდენად ჩვენი ქვეყნის ისტორიაც აინტერესებს. გაიმართა საყურადღებო მეცნიერული საუბარი სემიტოლოგიისა და არაბისტიკის საკითხებზე. ეს ხომ ჩვენი აკადემიკოსის გიორგი წერეთლის სტიქიაა. აკაცი შანიძეც ამ საუბრის აქტიური

მონაწილეა; საუბარში მონაწილეობდნენ აგრეთვე ცნობილი ებრაელი მეცნიერები, მათ შორის, რასაკვირველია, პროფესორი ვარდიც.

პრეზიდენტი დიდად დაინტერესდა საქართველო-პალესტინის უძველესი ურთიერთობით, რაზედაც საკმაოდ ვრცლად ილაპარაკეს ჩვენმა მეცნიერებმა და პროფ. ვარდიც.

ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს — გვიხარა ბენციემ. — ჩვენცა და თქვენც დიდხანს ვეძებდით თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და, აი, აგერ ახლა, მე-20 საუკუნეში მივიღეთ იგი, თქვენც ცოტა ადრე, ჩვენ კი ამ ათიოდე წლის წინათ.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს პრეზიდენტზე ჩვენმა მეცნიერებმა და მანაც გვთხოვა ვეწვიოთ მას პარასკევს მის ინსტიტუტში.

ჩვენ გადავწყვიტეთ სწორედ იქ, მის ინსტიტუტში, გადავეთ პრეზიდენტს ჩვენი საჩუქარი, ლაილაშის მე-12 საუკუნის ებრაული ხელთნაწერის მიკროფილმი — ეს უნიკალური ძველი ხელთნაწერი.

იერუსალიმში თვალის ერთ დახამხამებაში ღამდება, თითქოს ფარდა დაუშვეს და მოქმედებაც დამთავრდაო. მაგრამ მთვარიანი ღამე აქ გასაგიყებელია, პალესტინური მთვარიანი ღამე (თუმცა სად არაა იგი გასაგიყებელი!).

მე ჩემს აივანზე ვზივარ და არ მეძინება.

წავიდნენ თავის ოთახებში აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი... და სძინავთ კი მათაც?

„რუსთაველის ნაკვალევზე“... კარგად მიკარნახა ეს სათაური ჩემი სტრიქონებისთვის ჩემმა წინათგარძნობამ ინდოეთში.

მივღვეთ, მივღვეთ „რუსთაველის ნაკვალევს“, ნუთუ ვერაფერს მივაკვლევთ, ნუთუ ვერაფერს ვნახავთ? ნუთუ აქ დამთავრდა და გაქრა კიდეც უდაბნოს მდინარესავით მისი კვალი?

უნდა ვნახოთ, უძველესად, უნდა ვნახოთ!

ინტელექტუალური

უნდა დაგვართოს ნება ბერძნების პატრიარქმა ნაწილობრივ მაინც გავწმინდოთ აედლები, ნაწილობრივ მაინც გავთხაროთ ადგილი, სადაც, ლეგენდის მიხედვით, ჩვენი გენიალური წინაპრის საფლავია. უნდა ჩაეხედოთ ჯვარის მონასტრის ქართულ, ბერძნულ და არაბულ ხელთნაწერებში. თუნდაც მხოლოდ მე-12-13 საუკუნეების ხელთნაწერებში.

უნდა დაგვართოს ნება...

მაგრამ გადმოვა კი იგი იორდანიდან ისრაელის იერუსალიმში?

ისურვებს ჩვენთან შეხვედრას?

ვინ იცის რა ხასიათზეა ბერძენი პატრიარქი, როგორ უყურებს საბჭოთა მეცნიერებას, ან საერთოდ მეცნიერებას?

## 27 ოქტომბერი

დილა ადრინადა, ჯერ კიდევ იერუსალიმის ძილში, შორიდან ისმის ზარების ბოხი ხმა.

ისევ ცხელი დღე გათენდა. საამუხრად აპიკიკდნენ ჩიტები.

ქუჩებსა და ეზოებში აფრთხილდნენ აქაური გვრიტები.

საქმზე დაიძრა ხალხი.

სკოლებისაკენ დაიძრნენ მოსწავლეები. აირიენენ ერთმანეთში ავტომანქანები.

გუშინ, პრეზიდენტთან შეხვედრამდე, იერუსალიმიდან თელ-ავივს გავემგზავრეთ, ჩვენს საელჩოში გამოსაცხადებლად. სამწუხაროდ, გზაზე ვოლკოვის მანქანა გაგვიფუჭდა და უკანვე დავბრუნდით.

ამ დღით ავგუსტინეს მშვენიერი „შევროლე“ მიგვაქროლებს თელ-ავივისაკენ.

გადახრუქული ქედები, ველები და გორაკები.

როგორ მოხდა, რომ ამ ყოვლად უნაყოფო მიწაზე მშვენიერი ნაყოფიერი ადგილი იპოვა ორმა უდიდესმა რელიგიამ: იუდეიზმმა და ქრისტიანობამ? რელიგიებმა, რომელთაც შემდგომში



მთელი კულტურული მსოფლიო მოიცავს?

რატომ გადაიქცა ეს ხრიოკი მიწა წმიდა მიწად, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში დაუზოგავად აკლავდნენ თავს სამი მსოფლიო რელიგიის უთვალავი არმიები?

რატომ გოდებდნენ ამ მიწიდან აყრილი ადამიანები ორი ათასი წლის განმავლობაში: „არ დავდუმდები სიონისათვის და იერუსალიმისთვის არ მოვისვენებ“, ან: „უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ, დავიწყებულ იქნეს მარჯვენე ჩემი“, ან: „მდინარეთა ზედა ზაბილონისათა მუნ დავსწვდით და ვსტიროდეთ, ოდეს მოგხსენიებ შენ, სიონ“...

ასე იფიქრებს ადამიანი დღეს, როცა ამ მიდამოებს გასცქერის. მაგრამ პალესტინა წინათ ზომ დიდებული ბუნებით იყო ცნობილი. უმდიდრესი ბალ-ვენახებით, ტყეების მსაივებით, მწვანით მოსილი გორაკებით; საუკუნეებს ბევრი რამ მოუსპია ამ მიწაზე, გამოუქარავს თვითონ მიწაც და ნაყოფისათვის წვენი გაუშვარია.

ჩვენი მანქანა მიქრის ჩრდილო-დასავლეთისკენ, თელ-ავივისკენ, მკვრივი ვულკონის გზით.

ეს გზა იერუსალიმის ციტადელის ცნობილი კედლიდან, იაფას კარებიდან გამოდის.

გაცხოველებით ამწვანებენ ისრაელის ხელმძღვანელები გზისპირეთის გორაკებსა და ხრიოკ ველებს. უმეტესად ნაძვითა და აქაური ნიადაგისადმი შეგუებული თავისებური მცენარეებით. წარმოუდგენელი კია, — სანამ გაიზრდებოდნენ და თავისსავე სინესტეს შეინახავდნენ, რითი ისაზრდობენ ამ უწყლო მიწაზე ეს მცენარეები. სახელმწიფო, ეტყობა, უდიდეს თანხებს ხარჯავს გამწვანებაზე; აქაიქ ხეხილის ბაღებიც ჩაუყრიათ ახლაზან.

ახალი ნერგები შეშინებულბებივით გამოიციკრებიან.

რაც უფრო ეუახლოვდებით ზღვისპირის ზონას, მწვანე ფერი სულ უფრო

მეტად და მეტად იმარჯვებს. აქ უკვე სუბტროპიკული კლიმატია.

ისრაელის მიწების უბედურება უწყლობაშია. აქ მთელი მიწებიდან მხოლოდ ერთი მეათედი ირწყვის, ხოლო დანარჩენის ბედი ღმერთს აბარია. ამიტომაცაა, რომ მარცვლელთა კულტურის წარმოება აქ ძალზე სუსტად ყოფილა განვითარებული. ყველაზე მეტად პალესტინაში ციტრუსებს გაუხარიათ. ვუახლოვდებით ზღვისპირეთს და თქვენ თვალწინ გადაიშლება შესანიშნავად მოვლილი, მუხებშივით მაღალი ციტრუსების მწვანე პლანტაციები. სახელმწიფოს შემოსავალშიც ძირითადი ადგილი სოფლის მეურნეობიდან ციტრუსებს სჭერიათ.

როგორც გვიხსობს, მიწების დიდი უმეტესობა აქ მსხვილი ტრესტების ხელში ყოფილა, სადაც მცირე წილი როდი ჰქონია ინგლისურ და ამერიკულ კაპიტალს. ტრესტები იჯარით აძლევენ მიწას კაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს და ცალკეულ პირებს.

ყოფილა ისრაელში სასოფლო-სამეურნეო არტელებიც. მათ „კიბუცებს“ უწოდებენ. ჩვენ კიბუცი არ გვინახავს. მაგრამ ჩვენ ხომ, საერთოდ, არ გავცნობივართ ისრაელის არც სამეურნეო და არც პოლიტიკურ ცხოვრებას; ამისთვის ჩვენ არც დრო გვქონდა და ჩვენს გეგმაში იგი არც შედიოდა. ჩვენი მიზანი კონკრეტული, სამეცნიერო ხასიათისა იყო და ვცდილობდით, რეგლამენტით მკაცრად შეზღუდული ჩვენი დრო, მაქსიმალურად მხოლოდ ჩვენს საქმეზე გამოგვეყენებინა. ასეც მოვახერხეთ.

მაგრამ, თუ მაინცდამაინც, ჩვენს დღიურებში შეიგადაშიგ რასმე ჩავიწერთ, ისრაელის ცხოვრებიდან, ეს მხოლოდ თავისუფალ დროს, როცა ჩვენ საქმეს ამით არაფერი დააკლდება.

აგერ, ახლაც, მანქანაში აბა რა საქმე გვაქვს, ჩაიწერთო ზოგი ძველი, ზოგი ახალი რამ ცნობა:

ჩვენს მკითხველს, ალბათ, მოეხსენე-



ბა, რომ ებრაელთა ნაციის ბიბლიური მეთაურის — იაკობის მეორე სახელი ისრაელი იყო, რომ აქედან წარმოდგა ებრაელთა სახელმწიფოს დღევანდელი სახელწოდებაც. ჩვენი საღმრთო სჯულიც ხომ ასწავლიდა ჩვენს წინაპრებს სკოლაში: „...იაკობის შთამომავლობა ძლიერ გამრავლდა და შეიქმნა დიდძალი ხალხი, რომელსაც დაერქვა ებრაელები ანუ ისრაელებით“.

ახლანდელი ისრაელი 1948 წელს დაარსდა. იგი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს, წინააზიის მნიშვნელოვანი სახელმწიფოა. აქ ძირითადად ებრაელები ცხოვრობენ და ცოტაც არაბები. სახელმწიფოს დედაქალაქი 1950 წლიდან იერუსალიმია. ისრაელის მთავარი ქალაქებია თელ-ავივისა და იერუსალიმის გარდა იაფა, ხაიფა. იერუსალიმში ახლა 200 ათასზე ცოტა მეტი მცხოვრებია.

ამასობაში ჩვენ გავიარეთ რამლა, ეს ზღვისპირეთის პატარა ქალაქი და უკვე თელ-ავივს მივუახლოვდით.

შვედით ციტრუსების დიდებულ პლანტაციებში.

თელ-ავივი სრულიად ახალი ქალაქია. ეტყობა, იგი ელვის სისწრაფით იზრდება. შენობების არქიტექტურა ზღვისპირის კურორტის შესაფერია. სამ-ოთხსართულიანი ერთი ზომის თეთრი სახლები, წინ მზის საჩრდილგებელი ფართო ტროლებით აფრებიან თეთრ ხოშაღდებსა პეკანანს; ქალაქი კარგადაა გამწვანებული ბაღებითა და სკვერებით.

მალაზიები... სავაჭროები... მალაზიები... სავაჭროები... ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყველგან ბევრი მინახავს, მაგრამ ამდენი მალაზია და სავაჭრო — არსად. მუსტარი აქაც ნაკლებადაა.

საბჭოთა საელჩოში გამოცხადებისა და საუბრის შემდეგ ჩვენ შევდივართ ერთს მალაზიაში. რასაკვირველია, ვლადპარაკობთ ქართულად; უცებ მალაზიის პატრონი, ახალგაზრდა კაცი, გვიხლოვდება და გახარებული ქართულადვე გვევითხება:

— თქვენ ქართული იცით?

— ვიცი, — ეუბნება აკადემიკოსი აკაი შანიძე.

ბიბლიური

არონ ბაღდადლიშვილი აქ დაბადებულია, პალესტინაში, მამამისი რევოლუციამდე წამოსულა აქეთ საქართველოდან. იგი, აგერ, ახლახან გარდაცვლილა და ქართული ენის კარგი მცოდნე ყოფილა. ებრაული კი არა სცოდნია. დღე-ღამე ახლაც ნატრულობს ხრამულსაო, ანბობს არონი, აგერ მისი ახალგაზრდა დაც და ბიძაშვილიც მოგვიახლოვდნენ. ესენი უფრო დამტკრეულად ლაპარაკობენ ქართულს; ხოლო, თუ ყველს მათგანი მინც ქართველ ებრაელთა თავისებურ ელოზე უჭკევს, საესებით წმინდა იმერული, ქუთათური ქართულით გვესაუბრება ისრაელ რიგინაშვილი, სამოცდახუთიოდე წლის კაცი, რომელიც საქართველოდან ამ ორმოციოდე წლის წინ წამოსულა. ისრაელ რიგინაშვილს, ბუნებრივია, არონ ბაღდადლიშვილზე მეტად აინტერესებს საქართველოს ამბები. ბევრი ძველი ნაცნობი და ბევრი ძველი ამბავი მოიგონა. ბევრი საერთო ნაცნობი აღმოგვიჩინა ჩვენ და ისრაელ რიგინაშვილს.

თავად რიგინაშვილი, ეტყობა, ხელმოკლედ ცხოვრობს და, საერთოდ, როგორც ესენი ამბობენ, ქართველ ებრაელებს პალესტინაში ბედი არ უღიმიოთ. მართალიც იქნება. აქ, პალესტინაში დღეს თავმოყრილია კომერციული მსოფლიოს გამოქნილი, გამოქეპილი სეავეები; აბა შევებით და გაუწიეთ მათ კონკურენცია!

ხელმოკლედ ცხოვრობენ, უჭირთ ქართველ ებრაელებს ციციანაშვილებს, გორელიშვილებს, ელიგულაშვილებს, ბალვაშვილებს, აპრიამაშვილებს, ჯანიაშვილებს... დედიაშვილებს... მათ რალაც თავისი გაერთიანებაც კი შეუქმნიათ აქ, ქართველ ებრაელთა გენერალური კომიტეტი, მაგრამ ეს საქმეს შველის?

აქვე, დღევანდელი დღის დღიურში, მინდა გადმოვიტანო, ამ მხრივ დაძახისიათებელი ეპიზოდი, რომელიც შემდეგში შეგვივითხება:



სიცხიან ნაშუალამევს, მიძინებულნი იერუსალიმის მთავარ ქუჩაზე, იაფას ქუჩაზე, დავსეირნობდით მე და აკადემიკოსი გიორგი წერეთელი. ერთი მოხუცი მათხოვარი აგვედევნა, მოგვდევს და ებრაულად რაღაცას გვებუტბუტება. მე ისე, გართობის მიზნით, შემოვებრუნდი და ქართულად ვეუბნებ: — «კაცო, ვინა ხარ, რააა გეთხოვ მეთქი?» «ცუ-ლი მინდა, ფული მინდაო», — ებრაული ქართული კილოთი სხაპასტებით მომ-ყარა გამოცოცხლებულმა მოხუცმა.

შალომ პაპისიმედაშვილი, სტამბოლე-ლი ქართველი «გურჯი» ებრაელი ყო-ფილა. იგი სასტიკად ემდურის ბენ გუ-რიონის მთავრობას. «მე რომ სხვა ქვე-ყანაში მოვხვდე, ჩემისთანა პროპაგან-დისტი ამ მთავრობის წინააღმდეგ სხვა არ იქნებაო. გამწმინდეს, გამაკურტეს; ეს ისეთი მთავრობაა — ათასი რომ გქონდეს, ასზე დაგიყვანებენ, ასი რომ გქონდეს ათზედაო». შალომს ოდესღაც ორი საწვრილმანო საეაქრო დუქანი ჰქონია, ვერ გაუძლია გადასახადებისა და კონსერვაციისათვის და აგერ, ახლა ხურდა ფულების სამათხოვროდ გამო-სულა იერუსალიმის ქუჩებში. ჩვენც ვაჩუქეთ ცოტა. «სხვის ჩუქებას შენს გურჯს აჩუქო, არ გირჩევნიაო», — გვეუბნება შალომი.

მერე კი ყოველ საღამოს ჩასაფრებუ-ლი გვყავდა შალომ პაპისიმედაშვილი იაფას ქუჩის თავში. საცოდავი რადიკუ-ლიტს ისე მოეშალა, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას ძირს დაეარდებოდა გვეგო-ნა. ერთის კენესითა და ვაივიშით მოგვ-ყვებოდა უკან. მოგვყვებოდა და წყვე-ლიდა თავის დღესა და გაჩენას, თავის დროსა და მთავრობას.

ეტყობა, მეტად მძიმე ტვირთად აწევს ისრაელის სახელმწიფოს იორდანისთან საომარი მდგომარეობის ასეთი გაუთავე-ბელი, ხანგრძლივი ტვირთი. დიდი გა-დასახადები, დიდი შეზღუდვები; ამის გამო — ზღაპრული სიძვირე სახელმწი-ფოში. ეს ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ,

ჩასვლისთანავე, სასტუმროშივე ვივრძე-ნით.

თელ-ავივიდან გვიან დაებრუნდით იერუსალიმს.

ქალაქს მაინცაღამაინც არ ამშვენე-ბენ დიდი რეკლამები.

28 ოქტომბერი

დღეს დილით, სანამ ჯვარის მონას-ტერში წავიდოდით, პროფესორმა ვარ-დიმ მიგვიწვია თავის ლექციაზე, რომელ-საც იგი უკითხავს პალესტინაში ახლად-ჩამოსულ ახალგაზრდობას, განსაკუთ-რებით — ამერიკელ ებრაელებს. ახალ-გაზრდები დიდად დანტერესდნენ ჩვე-ნი მისიით იერუსალიმში და საქართვე-ლოს ისტორიის ზოგიერთი მომენტით, რომლებზეც მათ გატაცებით უამბო პროფესორმა. განსაკუთრებული სიყვა-რულით მოუთხრო მან სტუდენტებს «ეფთხისტყაოსნისა» და შოთა რუსთვე-ლის შესახებ, შოთა რუსთველის ეპო-ქაზე, საქართველოს როლზე პალესტი-ნის ისტორიაში.

ვარდიმ კათედრასთან მიიწვია აკადე-მიკოსი გიორგი წერეთელი. დიდი გუ-ლისყურით მოისმინა ახალგაზრდობამ მისი საუბარი ინგლისურ ენაზე ქართუ-ლი კულტურის შესახებ.

დღეს ჩვენ მიწვეული ვართ პრეზი-დენტ ბენ-ცვის ინსტიტუტში, იერუსა-ლიმის უნივერსიტეტის ახალ შენობაში. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაახარა პრეზიდენტიც და ებრაელი მეცნიერე-ბიც ჩვენმა საჩუქარმა — ლილაშის მე-12 საუკუნის ებრაული ხელთნაწერის მიკროფილმმა. იგი მართლაც უნიკალუ-რი ტექსტი აღმოჩნდა. ასეთი უნიკა-ლური მხოლოდ ალექსო ძველი ებრა-ული ხელთნაწერი ჰქონიათ მათ, თავის ბიბლიოთეკაში. დიდი მოწიწებით შეი-ნახეს ჩვენი საჩუქარი ინსტიტუტის ძველ ხელთნაწერთა კოლექციაში. უსაზ-ღვრო მადლობა მოგვახსენეს.

ჯვარის მონასტერს ნაშუაღღევს მი-ვადექით.

აკადემიკოსი აკაი შანიძე მაშინვე

შესასვლელი კარების ზღურბლის წარწერას ჩაუჯდა. მას გადაწყვეტილი აქვს პირველ რიგში ზედმიწევნით ეს წარწერა შეისწავლოს. ამოიკითხა ახალი სიტყვა „მსგავსს“... ჩაკვირკიტებს შემდეგ სიტყვებს, შემდეგ ასობებს.

მე და აკადემიკოსი გიორგი წერეთელი შესვლისთანავე მარჯვენა სვეტს მივადექით. სად უნდა ყოფილიყო აქ დიდი შოთას პორტრეტი? თან ბიკენტიოსიც შემოგვეყვა, აღარ გვეცილდება, სურს რაღაც დახმარება გაგვიწიოს, სულით და გულით სურს, მაგრამ რა, როგორ?

შემოვუარეთ სვეტს ირგვლივ, შემოვუარეთ საკურთხეველის მხრიდანაც. აი, აგერ, სვეტის მთელ სიმაღლეზე მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, — გვიჩვენებს ბიკენტიოსი. გიორგი წერეთელი კითხულობს ბერძნულად: „მაქსიმე აღმსარებელი“, „იოანე დამასკელი“. სწორედ აქ, აი აქ უნდა იყოს რუსთველიც, — ვამბობთ ჩვენ. წმიდანთა შორის დარჩენილი ადგილი დღეს მთლიანად ლურჯი, შავი საღებავითაა დაფარული, მაგრამ აი აქ, ეტყობა, რაღაც უნდა ყოფილიყო და შემდეგ შეგნებულად წაუშლიათ. კარგად ვაკვირდებით ამ ადგილს: ერთგან, საღებავის ქვეშ, რაღაც ძნელად გასარჩევი კვალია ამობურცული. ჩვენ დიდხანს შევეცქირით ამ კვალს, აკაკი შანიძეც თავს ანებებს თავის საქმეს და ჩვენ გვეერთდება. სასწრაფოდ სანთელს ვანთებთ და ამობურცულ ადგილს გვერდიდან ვაშუქებთ. ამობურცული ადგილები სანთლის შუქზე გარკვეულ ჩრდილს გვაძლევენ. დაბეჯითებით, თვალმოუშორებლად ვაკვირდებით სვეტის ამ ადგილს და ჩვენი მეცნიერები ხმადაბლა, დაფარული მღელვარებით მოულოდნელად კითხულობენ: „ამსა დამხატ“... „ამისა დამხატავსა“ უსათუოდ „ამისა დამხატავსა“.

— ამბობს გიორგი წერეთელი, — აქაა წარწერა, ცნობილი წარწერა, მივაგენით. მე აღფრთოვანებული ვახალისებ ჩვენს მეცნიერებს ახალი და ახალი სიტყვების ამოსაკითხავად. ისინიც თვალმოუშორებლად ჩაკვირკიტებენ სვეტს. მერე მე, წარწერის ქვემოთ, მუქ ლურჯ, შავ საღებავს კარგად ვაკვირდები, აქ კიდევ რაღაც არის ამობურცული. ეს ხომ თითებსა ჰგავს, თითების ლანდს, თითების კვალს. აგერ თვალის, ნამდვილად თვალის... აკაკი შანიძეც ადასტურებს, რომ იგიც თითქოს ამჩნევს თითებისა და თვალის კვალს. გიორგი წერეთელიც ამჩნევს. თითების კვალია, თვალის კვალია, — ვადასტურებთ ერთხმად. ბერძენი ბერიც დიონისიოც გვიდასტურებს. ეს კიდევ ქუდი, ესეც მეორე ხელი... ნამდვილად, მეორე ხელი.

მივაგენით. ნამდვილად მივაგენით. აქ არის პორტრეტი...

და ნამდვილად რუსთველის პორტრეტი, სხვისა არავის!

მაგრამ, რა მდგომარეობაშია ახლა იგი? კიდევ რომ გავწმინდოთ, რა დაგვხვდება შავი საღებავის ქვემოთ. ვნახეთ კი მის სახეს წაურყვენელსა და შეუბლაღველს? ან როგორ შეიძლება გაიწმინდოს იგი ამ მუქ-ლურჯი, შავი საღებავისგან ისე, რომ თვითონაც არ გაქრეს და წაიშალოს. არა, გაწმინდა არ შეიძლება, უნდა მოინახოს სხვა რაიმე საშუალება, რომ საღებავის ქვემოთ გადავიდოთ იგი. ხომ არის ასეთი საშუალებანი დღევანდელს ფოტოტექნიკაში. ხომ არიან ასეთი ფოტოსპეციალისტები? არის, არიან, უნდა ვეძებოთ, უნდა ვიშოვოთ ასეთი საშუალება.

ახლა ამ ბოძს მეორე მხრიდანაც მოვუარეთ, აქედანაც მივანათეთ სანთელი, აქაც რაღაც წარწერის კვალი ჩანს; მერე წინა ბოძთან მივედით, აქაც რაღაც შეიმჩნევა, დავტრიალდით, ყველა სვეტსა და კედლებს შემოვუარეთ...

მამ ქართული წარწერები, ზოგიერთი ქართული ფრესკა სადღაც ღრმა შავ საფარველს ქვემოთ კიდევ ცოცხლობს, სულ არ გამქრალა! კარგი მახვილი თვალი მას კიდევ შეამჩნევს, ისე როგორც შავ ღამეში შორს შეამჩნიო მონასტრის თეთრი სვეტები. მათ, ამ წარ-

წერებს, ამ ფრესკებს თითქოს ახლა სული ეხუთებათ და, ჩვენი ხმის გაგონებაზე, იშმულენებიან, გაგუდული ხმით თვისკენ გვიხმობენ და შევლასა გვთხოვენ.

არა, აუცილებლად უნდა ვნახოთ ბერძენთა პატრიარქი, უნდა დაბეჯითებით ვთხოვოთ მას ამ კედლებისა და სვეტების გაწმენდის ნებართვა. უნდა დავეითანხმოთ იგი, უნდა გავწმინდოთ ეს კედლები, ეს სვეტები.

— რასა ჰგავს ეს, რა ხელმა წარყვანა და წაშალა ეს დიდებული სიძველენი — ხმამაღლა გამოვთქვამთ ჩვენს აღშფოთებას. ახალგაზრდა ბერი ბიკენტოსის თავს უფრო დარცხვენიალად გრძნობს, ვიდრე დიონისოსს.

— გთხოვთ, მობრძანდეთ ჩემთან საკანში, თითო ჭიქა ყავა მიირთვათ, — გეთავაზობს თავის მასპინძლობას ბიკენტოსი.

ბიკენტოსის საკანი მეორე სართულზეა. ფართო თეთრი ქვის კიბეებზე მისი პატარა ფინია წაგვიდგვა ხტომითა და მანქვა-გრებით. ეს ფინია ბიკენტოსის ალბათ ყველაზე ახლო მეგობარია.

ყრუ სიჩუმეში შევადრთ ძველი საკნის კარები. პატარა მაგიდა, ბამბუკის ორიოდ სკამი, დაბალი, დაულაგებელი და უხალისო ლოგინი. აედლებზე ძველი გაზეთებიდან ამოკრილი, გაყვითლებული სურათები (საბერძენეთის რომელიღაც მეფის ოჯახი), კუთხეებში პატარა ხატები, მაგიდაზე მოხდენილი ახალგაზრდა ქალის ფოტოსურათი, ბიკენტოსის თქმით — მისი ბიძაშვილის პორტრეტი.

ბიკენტოსს თითქოს თვალი ახლა აეხლა, გაიგო სად იმყოფება, რა შენობის კედლებში, რა სამყაროში. გიორგი წერეთელი ურჩევს მას, რომ თავისი მომავალი მან, არქიტექტურული ინსტიტუტის სტუდენტმა, ამ მონასტრის მეცნიერულ შესწავლას მოახმაროს და ფიც სწორედ ამ გზით გახდება სახელოვანი კაცი. ბიკენტოსი თანახმაა.

მოსალამოვდა, ჩვენ მონასტრის ბაღ-

ში გავედით. ზეთისხილის დიდ ბაღში, დასავლეთის ფერდობზე, რომელიც წინს შეფენილი, ჯვარისებურად განლაგებული ხეებით. ბერები გვეუბნებიან, რომ მონასტრის ძველი სასაფლაო ოდესღაც აქ იყო. საესებით შესაძლებელია.

მონასტრის ეზოში, მიწაში კი არა, კლდეში ჩათხრილია ვეებერთელა გვირაბები. ეს, როგორც ჩვენი მეცნიერები ამბობენ, ჩვენი წელთაღრიცხვამდელი რომაული ეპოქის კატაკომბებია. ჩასახებ შიგ და მიწა გუგუნებს და გუგუნებს. შიგ ჩაშვება აგრე იოლად როდი მოხერხდება, წინათ იქნებ კიბეები ჰქონდა ჩასაველად, ახლა იგი აღარ ჩანს, თოკით თუ ჩაეშვები. ეტყობა, იქ რაღაც დარბაზებია, საწყობები, წყალსაცავები. იქნებ სამარხებიც და აკლამებიც. საჭიროა მათი შესწავლა არქეოლოგიურად, საერთოდ, ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა. თუკცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ რაიმე ისტორიული მნიშვნელობის განძის ან ძეგლის პოვნა დღეს წარმოუდგენელია. იერუსალიმში ასეთი გვირაბები კი არა, უფრო ღრმა აკლამებიც, სამარხებიც, ქარიშხლიანი ისტორიის მანძილზე გაუძარცვავი, ერთიც არ გადარჩენილა.

შეე ჩადის ზეთისხილის ხეებში.

რა ზვიადი სანახავია აქედან, უკანა ფსადიდან, ჯვარის მონასტერი. ნამდვილი ციხე-სიმაგრეა ბასტილიასა ჰგავს. ამ კედლებზე, განსაკუთრებით მონასტრის უკანა მხრიდან, ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება, როგორც იტყვიან.

მონასტერში დღეს ორას სამოცდაათ ოთახამდეა. თავის დროზე იქ ოთხას ოთახამდე ყოფილა და შიგ ერთდროულად ორასზე მეტ ბერს უცხოვდა.

დალამდა სწრაფად, იერუსალიმურად... მონასტერს თავზე დაადგა ქათქათა მთვარე.

შორიდან — ზარის გაბმული მძა, გაბმული ზუზუნნი... ნაზარეთიდან? გოლგოთიდან? ბეთლემიდან?

„მწუხრისა ზარი, მწუხრისა ზარი  
რაოდენ ტანჯვით აღმძვრელი არი“...

დაებრუნდეთ ქალაქში, სასტუმროში. ჩვენი იერუსალიმში ჩამოსვლის ამბავი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მიგვიღო, აქაურმა ვაზეთებმა თავის მკითხველებს სენსაციურად აცნობეს, თავისებურად, ფერად-ფერადად. მაგალითად, ერთმა ვაზეთმა ასე:

— იერუსალიმში საბჭოთა კავშირიდან ჩამოვიდა სამი ქართველი მოღვაწე, რომელნიც ეძებენ საფლავს ძველი ქართველი პოეტისა, რომელსაც საქართველოში სატრფო ცოლად არ გაჰყოლია, ჩვენში გადმოხვეწილა და სიბერეში ლექსები უწერიაო. მეორე ვაზეთმა ასე: ქართველი პოეტი, რომლის საფლავსაც იერუსალიმში ჩამოსული საბჭოთა მეცნიერები ეძებენ, პალესტინაში მამულქების წინააღმდეგ საომრად გამოუგზავნიათო.

დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა დღეს ჩვენზე იერუსალიმის ახალმა უნივერსიტეტმა. არა მარტო მისმა ახლებურმა არქიტექტურამ, ნათელმა აუდიტორიებმა და კაბინეტებმა, არამედ მისმა წესრიგმაც, შიგ მეცნიერულმა ატმოსფერომ, თუ შეიძლება ასე ითქვას. ყველაზე მეტად კი მისმა სიძველეთა ფონდებმა, მათ შორის საოცარმა, მართლაც საოცარმა ებრაულმა ხელნაწერებმა ცნობილი ყუმრანის გამოქვაბულიდან, იმ უძვირფასესმა და მრავალზე მრავალმა ებრაულმა ეტრატებმა, შემთხვევით არაბეთის ერთ კლდეში რომ აღმოაჩინეს და შემდეგ ამ ამბავმა მთელი გადატრიალება რომ მოახდინა ებრაელი ერის ისტორიაში, მათს რელიგიურ მოძღვრებაში. ისინი, ჩვენი წელთაღრიცხვამდელი ხელნაწერები, გაშიფრა და შეისწავლა ცნობილმა ებრაელმა მეცნიერმა იადინმა.

სხვათა შორის, ამ დღეებში ჩვენ ამ მეცნიერთან ვართ მიწვეული. წავიდეთ, ვნახოთ.

### 29 ოქტომბერი

დღეს შაბათია. ებრაელების დასვენების დღე, უქმედღე.

წუხელ მზის ჩასვლისას მოკვდა ქალაქი. შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა. მარტო ჩვენმა მანქანამ გააღვიძა იგი მონასტრიდან დაბრუნებისას.

სასტუმროს სასადილოში რომ დავაგვიანეთ, ვახშამიც ვერსად ვიშოვნეთ, თუმც ერთგან ღია სასადილო ენახეთ, მაგრამ ფული არ მიიღეს, თუ ამ სადამოს აქ ვახშამობას აპირებდით, ფული დილით უნდა გადაგეხადათო, ახლა კი ფულის მიღება არ შეიძლება, უქმეაო. გირაოდ პასპორტი მოგვთხოვეს. დღეს მზის ჩასვლამდე, მშვიერები დავრჩით.

დღეს, დილით, ქუჩებში, ამ აურზაურთან შფოთიან ქალაქში — ბუზის გაფრენას გაიგონებ. მანქანა არ იძვრის, კაცი არ დადის, თითქოს ქალაქზე წყალბადის ყუმბარა გამსკდარაო. გუშინ, მზის ჩასვლიდან დღეს მზის ჩასვლამდე, სახლებში სხედან და ისვენებენ.

სასტუმროს სასადილოში ვისაუზმეთ გუშინდელი ცივი საქმელით, სადილიც და ვახშამიც ასევე გუშინდელი დამხედებული მოგველის. სხვა რა გზაა. შევექცევიო.

ისევე ჯვარის მონასტრისაკენ.

გადაწყდა: აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი სასწრაფოდ ინახულებენ ისრაელის გამოჩენილ მეცნიერებს, რომელთაც ისინი ამ ზაფხულს გაეცნენ მოსკოვში ორიენტალისტთა მსოფლიო ყრილობაზე. არ შეიძლება მათ არ ჰყავდეთ ნაცნობი სპეციალისტები ძველ წარწერათა და ფრესკათა გადაღების საქმეში.

მაგრამ დღეს შაბათია. ისინიც ისვენებენ.

დღეს აკლავ ჯვარის კედლებსა და სვეტებს ესწავლობთ.

როგორც ჩანს, მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელსაც ქართული წარწერები ჰქონიათ. ეს წარწერებიც ახლა გულმოდგინედაა წაშლილი. ასევე ეტყობა, პეტრე და პავლე მოციქულებსაც ჰქონიათ ქართული წარწერა ოდესღაც. ხოლო გიორგი და ექვთიმე



მთაწმინდელების ფრესკებზე უფრო აშკარად გავარჩიეთ: „გიორგი ქართველი“, „ვექთიმე ქართველი“. საკურთხევის კარებზე კი, ზედა ჩარჩოზე, ჩანს ვერ შეუნიშნავთ, და მშვენიერი მოჭრვილი ასოებით დარჩენილა წარწერა ლეონ დადიანისა და მისი მეუღლის სულის მოსახსენებლად.

ჩვენი მეცნიერები მთელი დღის განმავლობაში შეუწელებელი ინტერესით ჩაჰკირკიტებენ, კითხულობენ, სწავლობენ ამ ძვირფას ქართულ სიძველეებს.

მე, იმ ადგილას, სადაც, ლეგენდის მიხედვით, შოთას საფლავი უნდა იყოს, იმ სვეტთან, რომელზედაც რუსთველის სურათია, იატაკს მაგრად ვეცმ ფეხს: თითქოს რაღაც ყრუ, მეტად ყრუ გუგუნი მომესმის ქვემოდან. აჰ, შედარებით, იატაკი თითქოს უფრო რბილია. ყრუდ ზანზარებს. ისევ ვიმეორებ... ისევ ყრუ გუგუნი:

რა უნდა იყოს?

ახლა გიორგი წერეთელმაც სინჯა, თითქოს მანაც იგრძნო რაღაც.

აყლდამა?

მაგრამ აყლდამა ფეხით მოისინჯება? მეტად საინტერესოა...

არა, ეს ადგილი უსათუოდ უნდა გაითხაროს.

სალამოს სასტუმროში ვბრუნდებით. აჰ, რამოდენა ხალხი ყოფილა იერუსალიმში, ქუჩებში ვეღარ ვაივლი, ხალხი ფილაქნებზე გადასულა, მანქანებში არეულან; ხმაური, ყვირი, გაუღიათ კაფე-რესტორნები, მაღაზიები, კინოები.

ქალაქი გაცოცხლებულა და როგორ!.. მთელი ღამე აუტანელი სიციხისგან ოფლად ვიღვრებით.

### 30 ოქტომბერი

კვირა დილით, ჯერ კიდევ ღამის ბინდ-ბუნდში, ზარების კონცერტი შორს, საღლაც შორს... ამალეების ტაძარში? ქრისტეს საფლავის ეკლესიაში?... ბეთლემში? გოლგოთაზე?

რომელიმე მასლობელ ტაძარში საეკლესიო გუნდების გუგუნის რაღაც მსგავსი ქართული ძველი სიმღერისა „შენ ხარ ვენახი“.

ზარების კონცერტი დილის ხუთის ნახევრიდან დაიწყო.

დილით ადრე, გიორგი წერეთელმა დაურეკა ისრაელის გამოჩენილ მეცნიერს, ცნობილი ყუმრანის პერგამენტების სპეციალისტს პროფ. იადინს. იადინი შეგვპირდა: მყავს ასეთი კაცი, გამოჩენილი სპეციალისტი ძველი ძეგლების რესტავრაციისა, რომელმაც მსოფლიო სახელი გაითქვა ყუმრანის ძეგლების აღდგენაშიო. მალე, მართლაც, ჩემს ოთახში გაისმა ტელეფონის ზარის ხმა: ლაპარაკობს გერმანულ ენაზე სპეციალისტი ბიბერ-კრაუტ.

ჩვენ სასწრაფოდ დავსხედით მანქანაში და მისკენ გავექანეთ.

გულის ფანქვალთ წავიყვანეთ მონასტრისაკენ მოხუცი სპეციალისტი. ელექტროფანრით გავუნათეთ შოთას პორტრეტი და წარწერა. ელექტროფანრის შუქზე კიდევ უფრო უკეთ გამოჩნდა იგი.

ბიბერ-კრაუტმა ყოველმხრივ გასინჯა პორტრეტისა და წარწერის ადგილი სვეტზე. დიახ, აჰ პორტრეტი და წარწერა არის, — გვითხრა მან, — შეიძლება, შეიძლება მისი გადაღება, მხოლოდ ნაწილობრივი გაწმენდის შემდეგ, ინფრაწითელი სხივებით.

ხვალ დავიწყოთ!

ხვალ მონასტერში მორიგეა ილუმენი დიონისიოს. ბიკენტისი ხვალ მონასტერში არ იქნება. დღეს პატივისცემა დიონისიოს.

დღევანდელი დღეც ამით მთავრდება ხვალინდელის მოლოდინში.

### 31 ოქტომბერი

თითქმის მთელი კვირა გავიდა, რაც ბერძენთა პატრიარქს ბენედიქტეს ჩვენი ჩამოსვლა ვაცნობეთ. მაგრამ იგი ჯერ არსად ჩანს. გადმოვა კი აქეთ, ისრაელის იერუსალიმში? თუ გავგაწბი-

ლებს? მერე და შენც პასუხს მოსთხოვ თუ!

ბიბერ-კრაუტთან იმედი გვიცრუვდება.

ბიბერ-კრაუტი აშკარად გვისხლტება ხელიდან, საქმეს არ უნდა შეუდგეს. დღეს გვითხრა: ინტრაწითელი სხივებით სურათის გადასაღებად ორი კვირა მაინც დამჭირდებაო. აქედან ფრესკის ნაწილობრივ გაწმენდას რვა დღე მაინც მოუნდება, დანარჩენი დრო მისი ფოტოგრაფიული სურათის მიღებასო. მართალია, ჩვენ მცირე დრო დაგვრჩა, მაგრამ მაინც ვთანხმდებით ამასზე. მაშინ ბიბერ-კრაუტი გვეუბნება: მე ჯერ სადღაც მივდივარ, მხოლოდ ათი დღის შემდეგ შემიძლია დავბრუნდე იერუსალიმს. ჩვენ კარგად ვერ ვხვდებით, საქმე რას ეხება, ჩამოვუვადეთ ლაპარაკი გასამრჯელოზე, მაგრამ დახეთ, ამ ლაპარაკზე არ გამოგვეყვა.

ახლაც არ ვიცით, რატომ გაგვისხლტა ბიბერ-კრაუტი ხელიდან, იქნებ, არც ისე უიბესკელ მუშტრებად ვეჩვენეთ, ან, იქნებ, პროფესორ იადინის წინაშე იუხერხულა ჩვენთან დიდ თანხებზე ლაპარაკი.

მასთან შეხვედრა ჩვენთვის მაინც უსარგებლო არ აღმოჩნდა. მისგან მნიშვნელოვანი მითითებები მივიღეთ წაშლილ ფრესკათა აღდგენის საქმეში.

დღეს დიონისიომ მოგვატყუილა. წაიღო გასაღები და მთელი დღე მონასტერში არ გამოჩენილა.

დავდივართ მონასტრის ეზოსა და სენაკებში.

სენაკები გაპარტახებულია. არცერთ მათგანს შესასვლელი კარები არა აქვს. კარ-ფანჯრები, ეტყობა, შეშად გამოუყენებიათ, აქ ხომ ამ რამდენიმე წლის უკან, ისრაელის არმიის ნაწილები მდგარა. ბერძენთა იერუსალიმის საპატრიარქოს მიუქირავებია მათთვის ეს მონასტერი ყაზარმად. სენაკების კედლებზე ათასნაირ გამოსახულებებსა და „სურათებს“ ნახავთ, ისრაელის ჯარისკაცთა მდიდარი ფანტაზიის ნაყოფს. აგერ

კბილებდაღრევილი ჯარისკაცი. ეტყობა, მეგობარმა უკედავყო ნაწევარქლი მეგობრის სახე; აგერ რაღაც მსხვილასოებიანი ებრაული წარწერა, აგერ გრძელყურებიანი ძაღლი... ერთი სიტყვით, ახალი დროის ფრესკები და წარწერები...

იმედგაცრუებულნი, თითქოს ძაღლისაგან დაცილილნი, დავბრუნდით საღამოთი უკან.

სასტუმროსთან დაბარებულებით დაგვიხვდა შალომ პაპისიმედაშვილი.

ეს გვინდოდა ახლა ჩვენ?

შალომის პაპა ცხინვალიდან გადმოსახლებულა ოდესღაც, როცა მამამისი სამი წლისა ყოფილა. მთელი ოჯახი შინ ახლაც მხოლოდ ქართულად ლაპარაკობს. თვითონ შალომმა კი, როგორც ამ ოჯახიდან მოწინავე კაცმა, რამდენიმე ენა იცის — თურქული, არაბული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, „სპანიოლი“. ქართულად კი ასე ლაპარაკობს: — „ინგლისელების დროს, იერუსალიმში ფარაოთი იყო, თათრებმა სიმტლე ქნესო...“ „ცოლი ხიანათი აღმომაჩნდა, გამეკცა, აღრე რომ გამეგო, გეთს მე თვითონ მივცემდიო...“ „ქორწილში ყველგან მე შატიყებენ, რადგან ხაზანი ვარო (ხუმარაკაცი)“.

იერუსალიმისთვის ჩვენ უკვე ნაცნობი სტუმრები ვართ, შინაურები, ქუჩებში, კაფეშიც, სასტუმროშიც.

— იპოვეთ რამე? — გვეკითხებიან ჩვენთვის, რასაკვირველია, უცნობი ადამიანები მაღაზიებში, კაფეში, სასტუმროში.

— ვერა, ჯერ ამას პოვნა არა ჰქვია.

### 1 ნოემბერი

როგორც იქნა, მთელი კვირის ლოდინის შემდეგ, დღეს დილით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერუსალიმის მისიიდან ტელეფონით დაგვირეკეს: ბერძენთა პატრიარქი ბენედიქტე დღეს შუადღის თორმეტ საათზე ჩამოვაო.

თორმეტის ნახევარზე ჩვენთან სას-

ტუმროში მოვიდა თავად ავგუსტინე, ჩავსხედით მის მანქანაში და წავედით.

როგორც ავგუსტინემ გვითხრა, ჩვეულებრივად პატრიარქი ბენედიქტე ისრაელის იერუსალიმში გადმოსვლისას, თურმე, ყოველთვის მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მისიაში მოდის. ამჯერად მან შეხვედრა საბერძნეთის იერუსალიმის საკონსულოში დანიშნა.

რატომ საკონსულოში?

ამ გადაწყვეტილებას მართო პატრიარქი როდეს მიიღებდა, — ამბობს არქიმანდრიტი ავგუსტინე, — ეს უფრო საერო ხელისუფალთა გადაწყვეტილება იქნება, ვიდრე საეკლესიოსი. ჩვენი მოლაპარაკება, ალბათ, დიპლომატთა მეთვალყურეობით ჩატარდება.

ვითომ პატრიარქს რაიმე შეეშლება? ვითომ იგი ასეთი გამოუცდელი და გულუბრყვილო იქნება? იქნებ საბერძნეთის ხელისუფალნი არ ენდობიან მას? მაშ რა საჭიროა დიპლომატების ჩარევა. მათი მეთვალყურეობა მეკნიერთა და სასულიერო პირთა საუბარში? ჩვენ ხომ, ჩვენი ექსპედიციის მონაწილენი პოლიტიკურ საკითხებს სათოფრდაც არ ვეკარებთ, ჩვენ ვეძებთ მგოსნის საფლავს, მგოსნის სურათს, რაიმე წერილობით თუ მატერიალურ საბუთს 800 წლის წინ დაკარგული პოეტისა, რა უნდა აინტერესებდეთ ამ საქმეში დიპლომატებს, რატომ ასე გულმოდგინედ ერევიან ამ საქმეში?

საკონსულოს კარებთან დაგვხვდა ქსანტოპულოსი და ორი ბერძენი მღვდელი.

ავიყვანეს მეორე სართულზე, შედარებით სრულ დარბაზში.

პატრიარქი გრძელ სავარძელზე ფეხი-ფეხ-გადადებული ზის. მივესალმეთ, ჩამოვართვით ხელი მასაც და იქვე მდგომ სასულიერო თუ საერო პირებსაც, რომელთაგან ერთი საბერძნეთის ვიცეკონსული აღმოჩნდა, მეორე საერო პირი კი პატრიარქის თანამემწე რომელიღაც დარგში და რუსული ენის

მთარგმნელი. ბერძენი მღვდლები პატრიარქს ყვავებივით დაადგინენ თავზე. იქვე მივიდა ვიცეკონსულიც, თითქოს და — არ შეშინდე, ყველანი აქა ვართო.

ჩვენი საჩუქრების მიღების შემდეგ პატრიარქმა ჩამოსვლის მიზნით გვითხრა.

პირველი წარსდგა აკადემიკოსი აკაკი შანიძე. მან პატრიარქს გადასცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის მშვენწიერად, მხატვრულად გაფორმებული წერილი, სადაც საქართველოს ეკლესიის მეთაური გულით და სულით მოიციობხავს ბერძენ კოლეგას, უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და თხოვს დახმარება აღმოუჩინოს ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მათს კეთილშობილურ საქმეში: მიაგონ და შეისწავლონ საქართველოს გენიოსი პოეტის, მე-12 საუკუნის დიდი მოაზროვნის შოთა რუსთველის ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალები იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, რომელიც ამჟამად მისი, საბერძნეთის იერუსალიმელი პატრიარქის კუთვნილებაა.

ჩვენდა სამწუხაროდ და გასაოცრად რუსთველის გვარმა პატრიარქზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა, მისი კოლეგის მთელი ეს წერილიც, მან როგორღაც ცივად, უგულოდ გადაიკითხა და შემდეგ შეკითხვით მოგვიბრუნდა: კონკრეტულად მე რასა მთხოვთო.

ახლა ლაპარაკი უშუალოდ ინგლისურ ენაზე გაიმართა პატრიარქსა და აკადემიკოს გიორგი წერეთელს შორის.

— ნაწილობრივი არქეოლოგიური გათხრები? არა, მე არ მოგცემთ ამის უფლებას; პალესტინის, იერუსალიმის მიწა წმიდა მიწაა.

— ჯვარის მონასტრის კედლების გაწმენდა? — არა და არა, არც ამის უფლებას მოგცემთ.

— ძველი ქართული ხელთნაწერების გაცნობა, ხელთნაწერებისა, რომლებიც, როგორც თქვენ ამბობთ, ჩემს საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახება იორდანიაში? — ამის უფლებას იორდანის



ეფე არ მოგცემთ. თუ გსურთ, ჩამო-  
დით იორდანიაში და იქ ვნახოთ.

— კი მაგრამ, ხომ შეიძლება ორი-  
დუ დღით გვათხოვოთ ჩვენი ძველი  
ხელთნაწერები, ისე, როგორც ჩვენ საბ-  
ჭოთა კავშირიდან თვეობით ეუჭზავნით  
ხოლმე უცხოელ მეცნიერებს მათთვის  
საინტერესო ხელთნაწერებს პარიზში,  
ლონდონში, ამერიკაში, სამუშაოდ, შე-  
სასწავლად. ანდა, თავად თქვენც ხომ  
ათხოვეთ ჩვენი ქართული ხელთნაწე-  
რები ამ რამდენიმე წლის წინ ამერიკელ  
მეცნიერ კლარკს და მიეცით საშუალე-  
ბა გადაეღო მათი ფოტოპირები, მიკრო-  
ფილმები და წაეღო თავის ქვეყანაში? —  
აქ პატრიარქი ბენედიქტე პასუხობს:

— ეს ტიმოთემ დართო ნება ამერი-  
კელს, ტიმოთემ, რომელიც ჩემამდე  
იყო იერუსალიმის პატრიარქად; მე რომ  
გყოფილიყავ, ამაზე არასგზით არ დაე-  
თანხმდებოდიო.

კარგად გაახსენდა შემდეგ ამ შემთხ-  
ვევის გამო აკადემიკოს აკაკი შანიძეს  
იუზევიელის სიტყვები: „ნუ დამგვანე-  
ბით გოდორს წიგნებით გავესებულსაო“.

ერთი სიტყვით, ბერძენმა პატრიარქმა  
ბენედიქტე მეორემ ყველაფერზე უარი  
გვითხრა. ჩვენ შეეცქეროდით ერთმანე-  
თის მღელვარე სახეებს ჩვენებურის  
თავშეაკეებით. შეეცქეროდით ბერძენ-  
ების პატრიარქს, რომელიც თავის მხრივ  
ვიცე-კონსულს მისჩერებოდა: — აგე,  
ნახე, როგორ კარგად ვპასუხობო.

ჩვენს შეკითხვაზე: გინახავთ თქვენ  
რა მდგომარეობაშია დღეს ძველი ჯვარ-  
ის მონასტერი-თქო? პატრიარქი უცებ  
წამოღგა; წავიდეთ ვნახოთ ერთი, ეგ  
რა მონასტერიაო. პირველად განიზრახა  
იმ მონასტრის ნახვა, რომლის ქირადაც  
ამას წინათ დიდი თანხა მიიღო საბერძ-  
ნეთის ეკლესიამ ისრაელის სამხედრო  
უწყებიდან.

ბოროტი ენები ამბობენ, ბერძნების  
იერუსალიმელი პატრიარქი მონასტრის  
ჰყიდის კიდევ, მაგრამ მყიდველთან  
ფასში ვერ მორიგებულაო.

ჩაისხა თავისი მღვდლები ვასილი და

ქრისანთი პატრიარქმა თავის მანქანაში,  
რომელიც მისთვის აგებული იქნა  
იორდანის მეფე ზუსკინს „უმეტქნისა“ და  
მონასტრისაკენ დაიძრა.

ჩაესხედით ჩვენც ჩვენს მანქანაში და  
გავყევით.

მივედით მონასტერში.

გაიღო კარები და პოი, საკვირველე-  
ბავ, საბერძნეთის სამღვდლოების ეს  
უზუნაესი პირები მონასტერში ისე შე-  
ვიდნენ, პირჯვარი არ გადუწერიათ,  
თითქოს ეს ქრისტიანული სამლოცვე-  
ლო კი არა, არამედ მიზგიითი, ან სინა-  
გოგა ყოფილიყოს. და შევიდნენ ისე  
აბრიალებული თვალებით, კაცს ეგონე-  
ბოდა, მონასტერში კი არა, ვიღაც სისხ-  
ლის სამართლის დამნაშავეს ოჯახში  
„ობისკზე“ მოვიდნენო.

პირდაპირ საღებავგადასმულ, წაშ-  
ლილ, წარყვნილ ფრესკებსა და წარწე-  
რებთან მივიყვანეთ; თვალი აარიდა და  
სხვა მხარეს გაიხედა. ახლა იქეთაც იმ  
მხარისკენაც მივუთითეთ წაშლილ ფრეს-  
კებსა და წარწერებზე. მასაც თვალი  
აარიდა: ეს მონასტრის შემკეთებელი  
ხელოსნების, მუშების ბრალია, მათ რა  
იცინან, რასა ჩადიანო. ამ პატრიარქს ამ-  
ჯამად აღარ გაახსენებია თურქებისათვის  
დაებრალეზინა ყველაფერი.

ისევ გავუმეორეთ ჩვენი სამი თხოვნა.  
ისევ კატეგორიული უარი ჩვენს სამთა-  
ვე თხოვნაზე. — ფოტოსურათები გადი-  
დეთ, ამის ნებას გრთავთ, კედლებს კი  
ხელი არ ახლოთო. შემდეგ იქვე მდგომ  
მონასტრის ბერძენ ბერებს მიუბრუნდა  
და წინადადება მისცა, ფოტოსურათე-  
ბის გადაღების დროს ამათ არ მოშორ-  
დეთო.

ქსანტოპულოსი ვირთხასავით შეძვრა  
საკურთხეველში. ტრაპეზის ძირში, იქ  
სადაც ქრისტეს ჯვრის ლეგენდარული  
ხის ძირია, ფარულად ღრმად გამოკვე-  
თილ ქვაში მოთავსებული იყო ვერცხ-  
ლის ყუთი, რომელშიდაც დიდი ოქროს  
ჯვარი იღო, ძვირფასი თვალ-მარგალი-  
ტით მოოქვილი. ეს ჯვარი 1643 წელს  
შეუწირავს მონასტრისთვის (აღიანის

ეფე არ მოგცემთ. თუ გსურთ, ჩამო-  
დით იორდანიაში და იქ ვნახოთ.

— კი მაგრამ, ხომ შეიძლება ოპიო-  
დუ დღით გვათხოვოთ ჩვენი ძველი  
ხელთნაწერები, ისე, როგორც ჩვენ საბ-  
ჭოთა კავშირიდან თვეობით ეუჭზავნით  
ხოლმე უცხოელ მეცნიერებს მათთვის  
საინტერესო ხელთნაწერებს პარიზში,  
ლონდონში, ამერიკაში, სამუშაოდ, შე-  
სასწავლად. ანდა, თავად თქვენც ხომ  
ათხოვეთ ჩვენი ქართული ხელთნაწე-  
რები ამ რამდენიმე წლის წინ ამერიკელ  
მეცნიერ კლარკს და მიეცით საშუალე-  
ბა გადაეღო მათი ფოტოპირები, მიკრო-  
ფილმები და წაეღო თავის ქვეყანაში? —  
აქ პატრიარქი ბენედიქტე პასუხობს:

— ეს ტიმოთემ დართო ნება ამერი-  
კელს, ტიმოთემ, რომელიც ჩემამდე  
იყო იერუსალიმის პატრიარქად; მე რომ  
გყოფილიყავ, ამაზე არასგზით არ დაე-  
თანხმდებოდიო.

კარგად გაახსენდა შემდეგ ამ შემთხ-  
ვევის გამო აკადემიკოს აკაკი შანიძეს  
იუზევიელის სიტყვები: „ნუ დამგვანე-  
ბით გოდორს წიგნებით გავესებულსაო“.

ერთი სიტყვით, ბერძენმა პატრიარქმა  
ბენედიქტე მეორემ ყველაფერზე უარი  
გვითხრა. ჩვენ შეეცქეროდით ერთმანე-  
თის მღელვარე სახეებს ჩვენებურის  
თავშეაკეებით. შეეცქეროდით ბერძენ-  
ების პატრიარქს, რომელიც თავის მხრივ  
ვიცე-კონსულს მისჩერებოდა: — აგე,  
ნახე, როგორ კარგად ვპასუხობო.

ჩვენს შეკითხვაზე: გინახავთ თქვენ  
რა მდგომარეობაშია დღეს ძველი ჯვარ-  
ის მონასტერი-თქო? პატრიარქი უცებ  
წამოღგა; წავიდეთ ვნახოთ ერთი, ეგ  
რა მონასტერიაო. პირველად განიზრახა  
იმ მონასტრის ნახვა, რომლის ქირადაც  
ამას წინათ დიდი თანხა მიიღო საბერძ-  
ნეთის ეკლესიამ ისრაელის სამხედრო  
უწყებიდან.

ბოროტი ენები ამბობენ, ბერძნების  
იერუსალიმელი პატრიარქი მონასტრის  
ჰყიდის კიდევ, მაგრამ მყიდველთან  
ფასში ვერ მორიგებულაო.

ჩაისხა თავისი მღვდლები ვასილი და

ქრისანთი პატრიარქმა თავის მანქანაში,  
რომელიც მისთვის აგებული იქნა  
იორდანის მეფე ზუსკინს „უმეტქნისა“ და  
მონასტრისაკენ დაიძრა.

ჩაესხედით ჩვენც ჩვენს მანქანაში და  
გავყევით.

მივედით მონასტერში.

გაიღო კარები და პოი, საკვირველე-  
ბავ, საბერძნეთის სამღვდლოების ეს  
უზუნაესი პირები მონასტერში ისე შე-  
ვიდნენ, პირჯვარი არ გადუწერიათ,  
თითქოს ეს ქრისტიანული სამლოცვე-  
ლო კი არა, არამედ მიზგიითი, ან სინა-  
გოგა ყოფილიყოს. და შევიდნენ ისე  
აბრიალებული თვალებით, კაცს ეგონე-  
ბოდა, მონასტერში კი არა, ვიღაც სისხ-  
ლის სამართლის დამნაშავეს ოჯახში  
„ობისკზე“ მოვიდნენო.

პირდაპირ საღებავგადასმულ, წაშ-  
ლილ, წარყვნილ ფრესკებსა და წარწე-  
რებთან მივიყვანეთ; თვალი აარიდა და  
სხვა მხარეს გაიხედა. ახლა იქეთაც იმ  
მხარისკენაც მივუთითეთ წაშლილ ფრეს-  
კებსა და წარწერებზე. მასაც თვალი  
აარიდა: ეს მონასტრის შემკეთებელი  
ხელოსნების, მუშების ბრალია, მათ რა  
იცინან, რასა ჩადიანო. ამ პატრიარქს ამ-  
ჯამად აღარ გაახსენებია თურქებისათვის  
დაებრალეზინა ყველაფერი.

ისევ გავუმეორეთ ჩვენი სამი თხოვნა.  
ისევ კატეგორიული უარი ჩვენს სამთა-  
ვე თხოვნაზე. — ფოტოსურათები გადი-  
დეთ, ამის ნებას გრთავთ, კედლებს კი  
ხელი არ ახლოთო. შემდეგ იქვე მდგომ  
მონასტრის ბერძენ ბერებს მიუბრუნდა  
და წინადადება მისცა, ფოტოსურათე-  
ბის გადაღების დროს ამათ არ მოშორ-  
დეთო.

ქსანტოპულოსი ვირთხასავით შეძვრა  
საკურთხეველში. ტრაპეზის ძირში, იქ  
სადაც ქრისტეს ჯვრის ლეგენდარული  
ხის ძირია, ფარულად ღრმად გამოკვე-  
თილ ქვაში მოთავსებული იყო ვერცხ-  
ლის ყუთი, რომელშიდაც დიდი ოქროს  
ჯვარი იღო, ძვირფასი თვალ-მარგალი-  
ტით მოოჭვილი. ეს ჯვარი 1643 წელს  
შეუწირავს მონასტრისთვის (აღიანის



დავალეებით ჯვარის მამას ნიციფორე ჩოლოყაშვილს. ქსანტოპულოსიც იქ მივიდა და თავისთან მიიხშო პატრიარქის თანმხლები მღვდლები, არქიმანდრიტები ქრისანთი და ვასილი.

სხვათა შორის, ეს ჯვარი და მასზე ქართული წარწერა აღწერილი და შესწავლილი არა აქვს არც ცაგარელს და არც სხვა ქართველ მოგზაურთ. ეტყობა, იგი ჩვენამდე ცნობილი არ იყო.

და უცებ არქიმანდრიტ ქრისანთის ხელში გაიღვა ამ უნიკალურმა ვერცხლის ყუთმა ქართული წარწერებით, ძვირფასი თვლებით მოპყდილმა ოქროს ჯვარმა. არქიმანდრიტის თვლები ელავდნენ მტაცებლის თვალთა ელვარებით. ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვეთ, არ წაეღოთ ადგილიდან ეს ჯვარი, რომელიც ჯერ მეცნიერულად შესწავლილი არაა; ეს მათ სასაცილოდაც კი არ ეყოთ. ჩვენ ვეუბნებით: ეს ჯვარიც და თვითონ ჯვარის მონასტერიც ახლა ხომ თქვენს ხელშია, ჩვენს თვალწინ ნუ ჩაიდნთ ასეთ საქციელს. წაიღეთ ხვალ ან ზეგ, როცა ჩვენ აქ არ ვიქნებით. არც ეს ეყოთ სასაცილოდ, ყურიც კი არ გვათხოვეს. განსაკუთრებული მტაცებლური, არაადამიანური თვისებები გამოამჟღავნა არქიმანდრიტმა ქრისანთმა, სისხლი აუვარდა თვლებში და გაპრიალებულ ლოყებში.

ეს არქიმანდრიტი წონით დაახლოებით 160 კილო იქნებოდა.

მშვენიერად უწოდა შემდეგ აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ამ არქიმანდრიტს: „არქიმანდიტი“.

მოიტაცეს ძვირფასი, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოები, აგრეთვე დღემდე უცნობი ქართული წარწერა და სწრაფად ჩასხდნენ მანქანაში.

გაყვებით ჩვენც უკან.

შეჩერდნენ ბერძნების საკონსულოს წინ.

შეჩერდით ჩვენც და ჩამოვხტით მანქანიდან.

ისევ დაბეჯითებით ვთხოვეთ ამ უნიკალური ნაწარმოების კოტოგრაფიული

სურათის გადაღების ნებართვა.

პატრიარქი მოგვაჩერდა ყრველად გამოციებული, უსაქმური კაცის უსრიულ თვალებით, მერე ოდნავ თითქოს გაელშია და გონებით გაკოტრებული, მაგრამ მაინც დიდკაცური ქედმაღლობით გადმოგვხედა.

სახელაუწილები, უსაზღვროდ შეფარული მღვდლებით იღვნენ მის წინ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები.

ჩემს თვალწინ იდგა ორი ქვეყანა კი არა, ორი ეპოქა — ეპოქა მეცნიერებისა, ჩვენი დიად აღმოჩენათა ეპოქა, მეოცე საუკუნე თავისი შესანიშნავი წარმომადგენლებით, რომელთაც მსოფლიოს სახელი მოუხვეჭიათ, მეორე მხრივ კი — უვეიცობის ეპოქა, შავი, მართლაც შავი სამღვდლოების წარმომადგენლნი, მაგრამ ეს რომელი ეპოქაა? თუ ეს ეპოქების ნამუსრევია? დღეს საოცარ ანაქრონიზმად ქცეული; ეს, რამდენი ხნის წინ გადაწყდა აულტურულ სამყაროში ბრძოლა სამღვდლოებასა და მეცნიერებას შორის, მაშ რატომ უნდა მეორდებოდეს დღესაც იმ ძველი ბრძოლის რეციდივები ჩვენს განათლებულ მეოცე საუკუნეშიც?

მერე, როცა ზედმეტი აღელვება შეგვატყვეს, არქიმანდრიტმა ქრისანთმა გადმოგვცა მაღალი, მოწყალე სიტყვა ბერძენთა პატრიარქისა: — ხვალ დილით აქ საკონსულოში მოდით, ეს ჯვარი აქ იქნება და გადიღეთ ფოტოსურათით.

მე აქ ერთი დღით წინ წაუხსრებ ჩემს დღიურებს: ხვალ დილით საკონსულოში მისვლისას ჩვენ გვაცნობეს: ბერძენთა პატრიარქი წუხელ წავიდა ქალაქიდან და თქვენი ქართული წარწერებიანი ყუთიც თავისი ჯვრით თან წაიღო (კიდევ კარგი, რომ ის ქართული წარწერა ჩვენმა მეცნიერებმა მანამდე ხელით გადიღეს და შეისწავლეს!).

ვინ იცის, სად გაიყიდება უბრალო ოქროდ უძველესი, უნიკალური ნიმუში სახელგანთქმული ქართული ოქრომჭედლობისა!

უკვე დრო არის და, ახლა კი არა,

რამდენი ხანია დრო არის, შეიქმნას სიძველეთა დაცვის რაიმე საერთ. შორისო ორგანიზაცია, რალაც, თუნდაც წითელი ჯვრის მსგავსი, რომელიც დაიცავს მთელ მსოფლიოში კულტურის უნიკალურ სიძველეებს, რომლის განკარგულებითაც ეს ისტორიული სიძველენი გადავლენ სერიოზულ, განათლებულ ადამიანთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა ხელში, უმეცარ, არასერიოზულ არქივმანდრიტთა ხელიდან.

უკეთეს ანტირელიგიურ კამპანიას ვერც ვერსად ჩაატარებდა ისე დამაჯერებლად, როგორც ეს საბერძნეთის იერუსალიმელი საპატრიარქოს სულიერმა მამებმა ჩვენს თვალწინ ჩაატარეს.

აქვე უნდა ვთქვა, ბერძენთა სამღვდელოების წარმომადგენელთა ამ უპრეცედენტო უხამსობამ, უაჩალობამ, ჩვენთან ერთად უზომოდ აღაშფოთა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პალესტინის მისიის ხელმძღვანელი ავგუსტინეც.

ყოველმხრივ იმედგაცრუებულნი დავრჩით.

## 2 ნიკეემბერი

ნაშუალამევის თუ დილის 3 საათზე დავშორდით ერთმანეთს და, როგორც ამ დილით ჩანს, არც ერთს მთელ ღამეს არ გვძინებია. დაწითლებული თვალებით გამოვედით სასტუმროდან. აკადემიკოს გიორგი წერეთელს თვალის უბეებიც დასივებია.

დილით ბერძენთა საკონსულოს შენობისაკენ გავექანეთ, ხოლო იქ რა პატივიც გაციეს უკვე მოგახსენეთ გუშინდელ შთაბეჭდილებებში. რა ხასიათზეც ამ დილით საკონსულოდან უკან სასტუმროში დავბრუნდით, ალბათ, ამასაც იოლად წარმოიდგენთ.

დღიურების, შთაბეჭდილებების წერის ხასიათზეც აღარა ვარ. გონებაში მიტრიალებს ვერცხლის ყუთზე გუშინ თვალმოკრული ორი ქართული სიტყვა: „ქორონიკონსა ტყია“... და არქივმანდრიტ („არქივმანდიტ“) ქრისიანთის ვეებერთე-

ლა ლოქოსავით დონდლო ტანი შავ ანაფორაში.

დღეს ასეთი გეგმა გვაქვს! ჯერ ვინუშავებთ მონასტერში, წავიყვანთ იქ ფოტოგრაფს, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა ვოლკოვმა შეარჩია და გადავიღებთ მონასტრის ყველა ფრესკას — ყველა წარწერას კედლებსა და სვეტებზე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ბერების კონტროლით, რომელიც ბერძენთა პატრიარქმა დაგვანისა.

შემდეგ კი თელ-ავეიში მივდივართ, ჩვენს საელჩოში სათათბიროდ. რას გვირჩევენ, რას გვეტყვიან გამოცდილი ამხანაგები.

დღეს, სანამ მონასტერში ვართ, არა მარტო ჯვარის მონასტრის ბერები, თვითონ ის სამღვლებიც: ქრისანთი და ვასილიც მთელი დღე მონასტერში არიან, ჯერ რომ არასდროს აქ ფეხიც კი არ დაუდგამთ. ხელის განძრევის საშუალებაც კი არ მოგვეცეს. გული ბოღმით მეგვება, ცეცხლი შეკიდება: — შევიცი თქვენ როგორც მოველაპარაკებოდით საქმის კიდევ უფრო გართულებისა რომ არ შეშინოდეს. მხოლოდ ფრესკების ფოტოსურათებს ვიღებთ, როგორც პატრიარქმა ბრძანა. შავი საღებავით წაუშლელი ფრესკების ფოტოსურათებს.

ჩვენს ელჩს ამხ. ბოდროვს თელ-ავეიში გაეცინა: — თქვენ კი გულუბრ ყვილოდ გეგონათ: როგორ შეიძლება მეცნიერებას პატივი არა სცეს მეოცე საუკუნის ადამიანმა, რა სარწმუნოებისა, ქვეყნისა, პროფესიისა და კულისაც არ უნდა იყოს იგიო. ჩვენ ხომ კეთილშობილი, კულტურული მიზნით ჩამოვედით აქ, — შევისწავლოთ მსოფლიო დიდებული პოეზიის შესანიშნავი ქართველი წარმომადგენლის რუსთველის ცხოვრებასთან დაკავშირებული დოკუმენტებიო. აგერ, ნახეთ! როგორი პატივისცემითაც შეგხვდნენ ეს „მეოცე საუკუნის ადამიანები“ თქვენ, მეცნიერებს, მოღვაწეებს. ჰქონდათ კი გაგო-

ნილი რუსთველის სახელი? თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, მიჩვეული ხართ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ენაზე ლაპარაკსო.

ამხანაგებმა გვაგვრძნობინეს, (ამას გამოტეხილად ვიტყვი აქ) თუ რა ენაზე უნდა შეგვეცვალა აერუსალიმის ბერძენ სამღვდელთაგანთან ლაპარაკი: ელაპარაკეთ მათ მათი ღმერთის ენაზე. თქვენ იცით, ვინ არის და რა არის მათი ღმერთი. მე გამახსენდა ენათმეცნიერებაში ცნობილი ტერმინი „ხელის ენა“ და ამის მიხედვით, შევაჩქვი ბერძენ სულიერ მამებთან სალაპარაკო ჩვენს მომავალ ენას „ჯიბის ენა“, ენახოთ, როგორ გაჭრის „ჯიბის ენა“?

### მ ნ თ ე მ ბ ე რ ი

დღეს დილით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალესტინის წარმომადგენლობაში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ დაგვირეკა თბილისიდან. ტელეფონის მილი უხალისოდ ავიღე ხელში. რა ვუთხრა, რა ცნობა გადაეცე, რითი გვახარო ქართველი მკითხველი, რა გვაქვს ხელთ, რისი პატრონები ვართ? ორი-სამი დღის წინ მაინც დაერეკათ, სანამ ამ ხასიათზე არ ვიყავით.

გადავეცი ასე: მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის იერუსალიმელმა პატრიარქმა ქართველთა ძველ ჯვარის მონასტერში სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ნება არ დაგვართო და ჩვენი განწყობილება სრულიადც ოპტიმისტური არაა, ჩვენ მაინც ვუღს არ ვიტყვით, და ძველებურად ვაწარმოებთ კვლევა-ძიებას. ყოველმხრივ ვსწავლობთ ჯვარის მონასტრის ქართულ სიძველეებს, მივგაგენით შოთა რუსთველის პორტრეტს და გადავიღეთ კიდევ ფოტოსურათი.

გადავეცი, დავდე ტელეფონის მილი და გადავხედე შანიძესა და წერეთელს. მათ სახეებზე თითქოს უკმაყოფილობა შეგამჩნიე.

ჯერ, მგონი, მართლა სურათის შესახებ არაფერი არ უნდა მეთქვა. რა ვი-

ცით, რა გამოვა ინფრაწითელი სხივით გადაღებიდან. იქნებ სულაც არაფერი გამოვიდეს. აჟჩქარდი. სურათზე ლაპარაკი ნაადრევი იყო...

აქაურ გაზეთს გუშინ გამოუქვეყნებია ცნობა: ქართველი მოღვაწეების იერუსალიმში ყოფნა აშკარად პოლიტიკურ ელფერს იღებს: იორდანის მთავრობა ნებას არა რთავს გაეცნონ ისინი თავიანთ ძველ ქართულ ხელთნაწერებს, რომელიც დღეს იორდანის იერუსალიმში ინახებაო.

ჩვენ არ ვიცით, რატომ დასწერეს ასე. იორდანის მთავრობისთვის ჩვენ არაფერი გვითხოვია, არც არავითარი ურთიერთობა შეიძლებოდა გვექნებოდა მასთან. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირს იორდანისთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს. გაზეთების ამ ცნობას შეიძლება მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონოდა: მკითხველისთვის ეთქვა, რომ ჩვენ, ისრაელი, ვებმარებით საბჭოთა მეცნიერებს, არაბები კი ახლოსაც არ იყარებენო. ყველას თავისი საქმე აქვს ამ ქვეყანაზე! ჩვენ საქმეს კი ეს რას შევლის?

დილით ისევ ჯვარის მონასტერში გაუწმენდელი წარწერების შესწავლა და კედელთა ფრესკების ფოტოგადაღება, მხოლოდ ფოტოსურათების გადაღება.

ჭრისანთი და ვასილი დღეს მონასტერში აღარ მოსულან.

ხანშესულ იღუმენს, ჯვარის მონასტრის დღევანდელ ზედამხედველს, იუვენალს ვეუბნები: (ჯვარის მონასტრის ძველი იღუმენი დიონისიოს გამოუცვლიათ, გადუყვანიათ ლუდაში წინამძღვრად და აქ ახალი წინამძღვარი იუვენალი მოუყვანიათ „კაცი ბოროტი და სისხლის მკამელი“) — მაჩვენეთ სად არის აქ შემოწირულების ყუთი (ეს ყუთი აგერ ცხვირწინ დევს, ეკლესიის შესავალში, და მე ყოველდღე ვხედავ მას) იუვენალმა სიამოვნებით მიმიყვანა ყუთთან. მეც ავიღე და მის შესახებ დავად ათლოლარიანი ჩაუღმე ყუთში.



იღუმენმა თვალები დაქვიტა.

შერე სამუშაოთა მწარმოებელს, აგრეთვე ხანშესულ ბერძენს დამიანესაც დაუქახეთ, რომელიც რუსულს ამტერევს და ვეკითხები: სად შეიძლება აქ კაცმა ისაუზმოს, დილით ადრე გამოვედი სასტუმროდან მეოქი. თანაც პორტფელიდან ქართულ კონიაკს „თბილისის 1500 წელს“ ამოვავყოფინე თავი.

აქვეო — გვითხრეს სახეგანათებულმა ღვთის მსახურებმა. იმე, აქვე საყდარში? ხატების წინ? ტრაპეზის წინ? აქვეო — გვითხრეს. დაგიშვენიდათ თავი, აარგი ღვთისმსახურებიც თქვენა ყოფილხართ მეოქი, გაეიფიქრე, დაკვარი ფსკერზე ხელისგული და კონიაკს საცობი გაეაგდებინე. ხიზილალა იუცხოვეს, არ გვინახავს, ისე კი გავგიგონიო. ჩვენ მოსკოვიდან კარგა ბლომად გვაქვს წამოღებული. კონიაკის მსმელი მაინც და მაინც არც ერთი ჩვენთაგანი არა ვართ (განსაკუთრებით ჩვენი მეცნიერები) და, რაც ჩვენ ახალ მეგობრებს მორჩათ, იქვე მუშებს დავალევინეთ, ესენიც სულ აღფრთოვანდნენ საწყლები. შევპირდით ხვალაც მოგიტანთ-თქო. მართლაც მივეტანეთ. კონიაკი „თბილისის 1500 წელი“ ბლომად გვაქვს წამოღებული. ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს ჩვენი თბილისელი მეგობრები, როცა გაიგეს, პალესტინას მივდიოდით, ბლომად მისაგზუნეს.

მშვენიერად აპიკიყდნენ ჩვენი ახალი მეგობრები... ლოყები აუწითლდათ.

ერთი სიტყვით, მხიარულად დავიშალეთ...

სალამოს თავისთან დაგვპატივა ისრაელის ცნობილმა მეცნიერმა პროფესორმა ხაიმ მენეჰემ რაზინმა. თავად მოგვაკითხა სასტუმროში ამ ხეიბარმა კაცმა, წაგვიყვანა, გაგვაცნო თვისი მეუღლე და მშვენიერი და მეტად საინტერესო საუბარი გამართა ჩვენთან, ჩვენს მეცნიერებთან. დაპატივებული ყავდა მეორე დიდი მეცნიერიც — ეგიპტოლოგი პოლოცკი, ესეც მეტად საინტერესო კაცი, დინჯი. მიწილდელი და

გულითადი მოსაუბრე.

მეწუხდნენ ჩვენი მეგობრების გამო და ესენიც შეგვპირდნენ სპექტაკლისტს, ძველ ფრესკათა და წარწერათა გადაღების საქმეში.

ახლა ამ სპეციალისტის იმედით დავბრუნდით სასტუმროში.

#### 4 ნოემბერი

გამოიღარა. თბილი დილა გათენდა. ცხრა საათზე მოიტანეს რუსთველის ფოტოსურათის ინფრაწითელი ანაბეჭედი, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალესტინელი წარმომადგენლის ვოლკოვის შერჩეულმა ფოტოგრაფმა გადაიღო გუშინ. არა, ეს არაფერიც არ გამოსულა. შავ, საესებით შავ ფონზე, რაღაც უსახური ნაქვალევი.

ამით ჩვენ ვერ დავბრუნდებით საქართველოში.

რაღაც სხვა უნდა ვიღონოთ. ნამდვილად ეტყობა, სვეტის გაუწმენდად რუსთველის სურათის ანაბეჭდს ვერ მივიღებთ.

რაღაც უნდა დავგიჯდეს, სვეტი უნდა გაიწმინდოს.

ახალი სპეციალისტი, რომელზეც წუხელ ისრაელის ცნობილმა მეცნიერებმა მიგვითითეს, ხვალისთვის გვპირდება მონასტერში წამოსვლას. ეს სპეციალისტიც ინფრაწითელ სურათს გადაიღებს, მაგრამ იმასაც რა უნდა გამოუვიდეს? ვნახოთ. ახლა ხვალინდელ დღეს დავუცდით.

დღეები კი მიდიან.

აკადემიკოსებს ზედმეტ ნერვიულობას ეატყობ. მე მთელი ღამეები არ მძინავს. იქნებ მართლაც აეჩქარდი, იქნებ უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენე ჩვენი მეცნიერები, იქნებ მართლაც ჯობდა ისე, როგორც ამ ზაფხულს სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ ჩემი უცხადების გამო საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმადლეს ორგანოებს მოახსენა — ჯერ ჩვენი აკადემიის პალესტინელ წარმომადგენელს დავავალებთ იერუსალიმში ჯვარის მონასტრის შეს-

წავლას და ქართული მეცნიერები, თუ საჭირო იქნება, შემდეგ გაემგზავრონო. მაგრამ როგორ უნდა შეესწავლა მას საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პალესტინელ წარმომადგენელს ჯვარის მონასტრის ქართული სიძველენი, თუნდაც იმის გამო, რომ მან ქართული ენა არ იცის. გარდა ამისა, ამ სიძველეთა შესახებ, მას ხომ ბუნებრივია, ჯერ არაერთი წარმოდგენაც კი არა აქვს. არა, ეს არ იქნებოდა სწორი და მე ნამდვილად მართალი ვიყავ, როცა მოსკოვში დაბეჯითებით ვითხოვე ჩვენი, ქართული მოღვაწეების აქეთ იერუსალიმს გამოგზავნა.

წუხელ მოვილაპარაკეთ და დღეს ჩვენი მეცნიერები გასინჯავენ იერუსალიმის ბიბლიოთეკათა სიძველეებს, ძველი ხელთნაწერების ფონდებს, იქნებ იქ რაიმე ქართული აღმოჩნდეს, იქნებ რაიმე ქართულის კვალს წავაწყდეთ. პირველ ყოვლისა, უნდა გაისინჯოს იერუსალიმის ცნობილი შოკენის წიგნთსაცავი, სადაც ჩვენს მეცნიერებს თითქოს რაღაც ეგულებათ, უნდა გაისინჯოს აგრეთვე აბსინელთა საყდარიც, რომელსაც ძველ ხელთნაწერთა მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია.

გზას ვულოცავ შანიძესა და წერეთელს წიგნთსაცავებისაკენ. მე კი ვოლკოვის მოყვანილი ფოტოგრაფი მიმყავს და მივიღივარ მონასტერში კვლავ ფრესკათა უბრალო სურათების გადასაღებად.

ეს დღეც გავიდა.

გბრუნდებით სასტუმროში.

ჩვენი მეცნიერებიც დაბრუნდნენ უკან დახოცილები.

იერუსალიმის წიგნთსაცავებში ქართული არაფერი აღმოჩნდა.

— დავაგვიანეთ, 100 წლით მაინც დავაგვიანეთ — მიტრიალებს თავში აკაკი შანიძის ნაღვლიანი ფრაზა.

### 5 ნოემბერი

დღეს ისევ შაბათია. შაბაში.

ისევ მოცედა, გუშინ მზის ჩასვლისას, ქალაქი.

ეს ერთი კვირა ერთი მიწვევა კვირათაგანია ჩემს ცხოვრებაში, გულში კი მაინც, არ ვიცი რის გამო, შეიძლება იმის გამო, რომ მდგომარეობას სათანადო ღრმა ანალიზს ვერ ვუკეთებ, იმედის კი არა, სიხარულის ნაპერწყალი ღვივის, და თითქოს ნიავს უცდის ასაფეთქებლად.

არ შეიძლება ყველაფერი ეს ასე დამთავრდეს. ჯერ დრო კიდევ არის. რუსთაველის სურათი მინიმუმბულია ზუსტად და ნამდვილად, იგი, ეტყობა, გადაფხეილი არაა, მას მხოლოდ შავი საღებავები აქვს გადაფარებული, ისე როგორც მთელს მის ბიოგრაფიას. როგორი სიმბოლიურია ჯვარის მონასტრის რუსთაველის ამ პორტრეტის ისტორია, არა გავს იგი თვით რუსთაველის ბიოგრაფიას? ხომ სულერთია, ბოლოს და ბოლოს, რომელმა სამღვდლოებამ მოუხდომა მას მოსპობა?

წაიყვანეთ ჯვარის მონასტერში ახალი სპეციალისტი მოხუცი ალფრედ ბერნჰაიმი...

მაგრამ დღეს ისევ შაბათია...

რა უცნაურია: ეს მეორე სპეციალისტიც შაბათ დღეს მოგვყავს ჯვარის მონასტერში. ხვალ შეუდგება ისიც ინფრაწითელი სხივებით გადაღებას. მოხუცი გვაიმედებს, რომ დამაკმაყოფილებელ ანაბეჭდს მიიღებს, მაგრამ...

ბერნჰაიმის ასისტენტი შედარებით ახალგაზრდა ქალი დააკეჭრდა რუსთაველის სურათის ადგილს სვეტზე და სთქვა: დიახ, აქ პორტრეტი ნამდვილად არის შენახული, და კაცს, რომელსაც ეს პორტრეტი გამოსახავს, მე აქედანვე ვატყობ, წითელი ტანსაცმელი აცვიაო. ჩვენ მეტად გავგოცა ამ სპეციალისტი ქალის თვალში. მართლა წითელი სამოსელი აცვია?

ნეტავ შეიძლებოდეს მონასტერში ფოტოგრაფების გარდა სხვა ვისიმე შემოყვანა პატრიარქისაგან დაფარულად. ფრესკათა წმინდის სპეციალისტების შემოყვანა, რომელთა სამსახურსაც ჩვენი პალესტინელი მეგობარო

## ნ ნოემბერი

პროფესორები შეგვიბრძნენ. ბერები, განსაკუთრებით იღუმენი იუვენალი კატეგორიულ უარზეა, მას ვვალბა პატრიარქ ბენედიქტეს ბრძანების ცხოვრებაში მტკიცედ გატარება. ჩვენც მაინც და მაინც ვერ ვეძალებით, უარესის მოლოდინში.

თვითონვე ჩვენივე ძალებით უნდა მივალწიოთ ყველაფერს. ასეთია ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება.

ბერნჰაიმი წავიდა.

იუვენალს გულისუბებში ისრაელური ფულები ჩავეუღე და იგიც გავიდა თავის საკანში.

მე და გიორგი წერეთელი ვასველებთ წყალში ტილოს ნაგლეჯს და მთელის ძალღონით ვცდილობთ რაიმე დავაკლოთ რუსთველის შავ საღებავს. ოდნავ მაინც გამოვახედოთ პორტრეტს, რომ ცოტა უკეთ გამოვიდეს ხვალ ბერნჰაიმის ინფრაწითელ ფირზე.

ოფლს ვიწმენდთ და ერთმანეთს ვენაცვლებით.

არაფითარი შედეგი, შავი საღებავი ლითონივით მტკიცეა.

არაფერია, არა უშავს, იმედი მაინც არის. შავ საღებავს უთუოდ დავამარცხებთ. ამ საღამოს ერთხელ კიდევ უნდა ვნახოთ და კვლავ ვეთათბიროთ ფრესკის გაწმენდის სპეციალისტებს.

ამ შრომაში გავიდა დღე.

საყდრიდან გამოსვლისას ჩვენი ყურადღება რატომღაც დღეს პირველად განსაკუთრებით მიიქცია იქვე ერთ სარდაფში, საკანში შესასვლელმა. საკანი ცარიელია, შიგ მხოლოდ რაღაც ძველი ზის ყუბუბის ნატეხები ყრია.

ეს საკანი პირდაპირ საყდრის იატაკ-ქვეშაა შეჭრილი.

— ესეც რუსთველის საფლავი... — თქვა გიორგი წერეთელმა.

მართლაც, ამ სარდაფის ქერი სწორედ იმ ადგილს ებჯინება, მაღლა საყდრის იატაკს, იმ ადგილს სადაც ლეგენდა რუსთველის საფლავზე მიგვიითითებს.

მ.შ. აქ რუსთველის საფლავი კი არა დიდი სარდაფი ყოფილა.

კერაა. ჯერ კიდევ მთავრით ვაქათ-ქათებულ ლამეში გაგვეღვიძა.

რა გრძელი დილაა!

აღრიანად მივიღვართ საქმეზე.

მონასტრის კარებს გვიღებს ბიენტიოსი, დღეს მისი უქმე დღეა.

ვეკვეთთ რუსთველის შავ საღებავს ახალი საშუალებებით, რომლითაც დღეს უკვე აღმურვილები ვართ.

გამოდის, გამოდის... მოჰკიდა ხელი შავ სუდარას, ქიმიურად შლის, ნელ-ნელა ძლევს, სულ უფრო და უფრო იწმინდება რუსთველის წითელი ტანსაცმელი, მაგონდება სტრიქონები: „გაპრცვილსა ტანსა ესმოსნეს ყარყუმნი უსაპირონი“... მივეყვებით მაღლა, სულ მაღლა, გამოჩნდა თეთრი წვერი. ერთ-მანეთს ვენაცვლებით, ველავთ, ვფუსფუსებთ. სიხარულისგან ვკრითით. სახეს რომ მივეუხლოვდით, ვცდილობთ ზედმეტი ძალა არ დავატანოთ მარჯვენას, ერთმანეთს ვაფრთხილებთ, ალერსივით მსუბუქად ვწმენდთ. გვეშინია თვით რუსთველის პორტრეტზეც არ ვიმოქმედოთ. სასწაულია, რუსთველის სურათის ფერებს არაფერი ეკარება, თუ რუსთველის სურათის ფერები არ იკარებენ არაფერს, იწმინდება და ანათებს ისე, როგორც ოდესღაც უნათებია.

ნაშუადღევი, ნ ნოემბერი.

ვაშა, გამოჩნდა, გამოჩნდა დიდებულნი სახე ბრძენი მოხუცისა. ამაყი, მაგრამ ღრმად კაეშნიანი... თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე.

მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი, ხელაპყრობილი.

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდგეს ღმერთმან ამინ“. ზოლო ქვემოთ პორტრეტზე „რუსთველი“. თეთრად გამოანათა მსხვილმა ქართულმა ასომთავრულმა.

„ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი ვაუახლებია“





და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა ბოროტთასა, რომელმაც ასწავლა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა... შოთას ვიტყვი რუსთველსა, მექუტუღელ უხუცეს, თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.

აგერ „ბოროტთა ლექსთა მთქმელი შოთა რუსთველი მექუტუღელეთუხუცესი“...

ჩვენ გადავხევეთ ერთმანეთს. რა დიდებული მხატვრობაა.

ვოლკოვი თავისი ავტომანქანით გაფრინდა ბერნჰაიმთან. ბერნჰაიმი, რადგან დროზე არ მივკავითხეთ, შინ არ დაგვხვდა, რუსთველის სურათს ხვალ გადავიღებთ, ახლა უკვე ნამდვილ, გაწმენდილ, აღდგენილ ფერად სურათს.

ნამდვილ ფერად სურათს, რა დიდებულია!..

7 ნოემბერი

იერუსალიმის ოცნებით საესე მთვარიანი ღამე...

წუხელ ასეთი ტექსტი შევადგინეთ თბილისში გამოსაგზავნად: „საბჭოთა კავშირი, საქართველო, თბილისი: შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმში, რომელიც უკვე დაკარგულად ითვლებოდა, აღმოჩენილია, გაწმენდილია და აღდგენილია მთლიანად. იგი ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოებია, მოგვაქვს მისი ჩვეულებრივი და ფერადი ფოტოგამოსახულებანი“. ჩვენი ხელის მოწერა.

არ აჩქარდით. დეპეშის გაგზავნა დღეისთვის გადმოვდეთ.

დეპეშის ტექსტი, მგონი, უბრეტენხია. ჩვენ აქ ჯერ არავითარ მეცნიერულ დასკვნებს არ ვაკეთებთ. მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ, ფაქტს, რომ იგი აღმოჩენილი და აღდგენილია. ფაქტს, რომ იგი ხელოვნების დიდებულ ნიმუშს წარმოადგენს.

მეცნიერული დასკვნები — საქართველოში.

ფაქტ-ფაქტით ვისაუხშვით. ცხრა საათსა და 30 წუთზე უნდა ბერნჰაიმი წავიყვანოთ მონასტერში.

გულში ცოტა შიში გვაქვს შეპარე-

ბული. რა მდგომარეობაშია ამ დღით რუსთველის პორტრეტი. წუხელ მისი ფერებიც ხომ არ შეიღება?

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი აღრიანად მიდის ბერნჰაიმის ლაბორატორიისაკენ ბერნჰაიმის წამოსაყვანად ჯვარის მონასტერში. მე და აკადემიკოსი აკაკი შანიძე ფეხით მივყევებით ჯვარის მონასტრისაკენ იერუსალიმის ქუჩებს.

აკაკი შანიძე მშვენიერად მღერის. ჩვენ კარგა ხანია შეუწყვეთ ხმები ერთმანეთს. მივდივართ ნელ-ნელა და აგერ ინგლისის მეფე გიორგის სახელობის ბაღში ამ დილა აღრიანად მზიარულად მივიმღერით: „დილა-დილა“. მშვენიერი დილაა, დიდებულია ამ დღით იერუსალიმის ქუჩებსა და ბაღებში ფეხით გასეირნება ჯვარის მონასტრისაკენ. ჯერ გიორგი წერეთელი და ბერნჰაიმი მისული არ იქნებიან. ნელა ვიაროთ.

როგორ ესიამოვნებათ ეს ამბავი ჩვენს მეგობრებს. ქართული კულტურის მეგობრებს, პირველ რიგში რუსთველის მოძმე და უცხო ენებზე მთარგმნელებს. გაგვახსენდა, რა ალტაცებით გამოგვიცილა წამოსვლის წინა დღით მოსკოვში მივალა ბაჟანმა, რომელიც ის-ის იყო იტალიიდან ჩამოსულიყო და იმავე საღამოს კიევიში ბრუნდებოდა. შემთხვევით შეგვხვდა სასტუმრო „მოსკოვი“, უსაზღვროდ გაეხარდა, თითქოს ტანმა მიგრძნო, რომ უსათუოდ დღეს ვყოფილიყავ მოსკოვში და იერუსალიმს გამგზავრების წინ აქ შეგხვედროდითო. ოთხივემ ერთად ვისადილეთ და მიკოლამ გზა დაგვილოცა.

როგორ გაეხარდება ეს ამბავი რუსთველის გერმანულად მთარგმნელს ჰუგო ჰუპერტს — აესტრიაში. კერნბახს — რუმინეთში, იგორ სიკორიციკს — პოლონეთში, იედლიჩკას — ჩეხოსლოვაკიაში.

რასულ გამხატოვი, ჯერ კიდევ ამ ზაფხულს, როცა ერთ საღამოს მოსკოვში ჩუმად გავანდგე ჩემი გადაწყვეტილება, ხუმრობით მთხოვდა: მართალია,

ქრისტიანი არა ვარ, მაგრამ მუსულმანების მეტი რაა პალესტინაში, მეც ჩამრიცხეთ თქვენს ექსპედიციამო.

ჩვენც მივედით ჯვარის მონასტერში და ისინიც მოვიდნენ: გიორგი წერეთელი და ალფრედ ბერნჰაიმი, თავისი ასისტენტებით, აპარატით, მოწყობილობით.

რუსთველის პორტრეტი ისევ გუშინდელივით ელავს, ელავს ძველებურად.

სახტად დარჩა, მეტად გაოცდა ალფრედ ბერნჰაიმი: ეს როგორ? რა საშუალებებით, რა ხერხით?

სიამოვნებით გამზადდეს და სურათისკენ მიმართეს მძლავრი ფოტოაპარატი, მიაშუქეს რუსთველის პორტრეტს მძლავრი ელექტროფარები და ერთ საათში ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველის დიდებული გამოსახულება უკვე პალესტინელი სპეციალისტის ფოტოაპარატში იყო.

აწ ველარსად დაგვეკარგება. ვერვინ წაშლის ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველს, იგი ჩვენია დღეს, ჩვენს ხალხს ეკუთვნის!

დღეს, 7 ნოემბრის საღამოს ჩვენმა ელჩმა მიგვიწვია თელ-ავივში საბჭოთა საელჩოს საოქტომბრო მიღებაზე. ყველას დიდად გაეხარა ჩვენი ამბავი საელჩოში.

მიღებაზე ჩვენს ელჩს მოწვეული ჰყავდა, ყველა უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური მისიების გარდა, თელ-ავივის თითქმის მთელი ინტელიგენცია. მთელმა ინტელიგენციამ გაიგო იმ საღამოს ჩვენი ამბავი. საელჩოს ეზოში ჩვენს გარშემო იკრიბებოდნენ და დეტალურად გვეკითხებოდნენ ყველაფერს ჩვენი მუშაობის შესახებ. ჩვენც სიამოვნებით ვუამბობდით. განსაკუთრებით ესამოვნა ეს ამბავი საბჭოთა კავშირის ისრაელელ მეგობარს, გამოჩენილ ებრაელ პოეტს ალექსანდრე პენს, რომელსაც განზრახული აქვს ებრაულ ენაზე თარგმნოს შოთა რუსთველის უკვდავი ქმნილება.

შოლამისას მშვენიერ ზასიათზე დავბრუნდით თელ-ავივიდან იერუსალიმში.

მ. ქრ. ე. მ. შ. შ.  
ბ. ი. ზ. ი. მ. შ. შ.

რუსთველის პორტრეტი დღეს მხოლოდ საღამოს იქნება მზად.

დღისით სხვა არაფერი გვახსოვს.

საღამო ალფრედ ბერნჰაიმის ლაბორატორიაში...

ლაბორატორია ნახევრად სარდაფშია.

მზიარული სახით შემოგვეგება მოხუცი ბერნჰაიმი. ეს კარგი ნიშანია. სავარძლებზე აღჩქარებლად დაგვსხა. ჯერ მისი ძველი, აქამდე გადაღებული სურათები გვაჩვენა. მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე გადაუღია მას თვისი ფოტოაპარატით. მეტად მდიდარი ალბომი შეუკრავს. მათგან, ამ ფოტოსურათებიდან, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ალბერტ აინშტაინმა... აინშტაინი ღრმა მოხუცებულობაში... მას თითქოს ისევ ბავშვობის სახე, გულუბრყვილო სახე დაბრუნებია. მარცხენა თვალში ცრემლის გამჟვირვალე კურცხალი ნამდვილ კურცხალივით უკრიალებს და ეს კურცხალი საკვირველად აცოცხლებს ამ პორტრეტს. თითქოს ეს კაცი აგერ ცვირსახოცით შეიმრობს ცრემლსაო... ხომ არ უბრუნდებთ სიბერეში ბავშვური სახის გამომეტყველება დიდ მოაზროვნე ადამიანებს? ადამიანებს, რომელთა ტენისაც მოხუცებულობის სკლეროზის მსახვრალი ხელი არ შეხებია.

ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველის პორტრეტსაც სადღაც ბავშვის გამომეტყველება დაჰკრავს. დააკვირდით. ეს ახლა მომავონდა ბერნჰაიმის ლაბორატორიაში.

მძიმე-მძიმედ, ფუსფუსით, როდის-როდის, გამოიტანა ბერნჰაიმმა რუსთველის პორტრეტის ანაბეჭდი, შეფთვითი ანაბეჭდი.

კარგია, ნამდვილად კარგია!

მეტად ნასიამოვნები დარჩა სპეციალისტი, ხელობა რომ მოუწონეთ.

ახლა ფერადი ანაბეჭდი...

ბერძნობა მსხვილი ელექტროშუქურა გაანათა და ზედ ახლოს მიიტანა რუსთველის ფერადი ფოტოსურათის დიაპოზიტები.

მშვენიერია, ნამდვილად მშვენიერია! საჭიროა ეს ფერადი დიაპოზიტები სასწრაფოდ დაიბეჭდოს აქვე.

სამწუხაროდ, ისრაელს არა ჰქონია დიაპოზიტების ბეჭდვის სათანადო მოწყობილობა, იგი შევიცარიამი უნდა გაიგზავნოს, საიდანაც უკან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეგვიძლია მივიღოთ. ჩვენი დრო კი ნელნელა უკვე იწურება. სხვა გზა არ არის, რუსთველის პორტრეტის ფერადი დიაპოზიტები ასევე უნდა წამოვიღოთ საბჭოთა კავშირში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალესტინელი წარმომადგენლის ვოლკოვის მიერ შერჩეული ფოტოგრაფის დამზადებულ ჯვარის მონასტრის ფრესკების დიაპოზიტებსაც, აგრეთვე, მივიღებთ საბჭოთა კავშირში, საქართველოში. ამ დიაპოზიტებსაც გულმოდგინებით ამზადებს ვოლკოვის ფოტოგრაფი კორში.

სამუშაოს ჰონორარის შესახებ ბერძნობა მხოლოდ მაშინ დაგვიწყოს ლაპარაკი, როცა მისი ხელობა ჩვენ მოვიწინეთ. ჩვენ უკვე მის ხელთ ვიყავით, გადგუხადეთ, ჩავიდეთ პორტფელში რუსთველის პორტრეტის ორგვარი გამოსახულება: თეთრ-შავი და ფერადი დიაპოზიტები.

ახლა ჩვენ შეგვიძლია დაებრუნდეთ საქართველოში, შეგვიძლია.

### მ ნ თ ე მ ბ ე რ ა

იქნებ ჩვენს მკითხველს ჩვენი დღიურები ამის შემდეგ აღარც კი აინტერესებს.

ბუნებრივია.

მაგრამ ორიოდ სიტყვაც:

დღეს უკანასკნელად ვართ ჯვრის მონასტერში. იქნებ სულ უკანასკნელად.

თავზე გვადგას დამიანე და იუვენალი.

კიდევ ბევრი რამ არის აქ შესასწავლი.

ამ დღით, როცა ჩვენ მონასტერს მივუახლოვდით, აქედან დაბრუნებული ქალაქისაკენ ტაქსით მოჰქროდა ქსანტოპულოსი. არ გვეციათ. ეს გაიძვერა ტყუილ-უბრალოდ არ იქნებოდა მონასტერში.

და მართლაც ჩვეულებრივზე ცივად შეგვხედნენ ჩვენი მასპინძლები — დამიანე და იუვენალი.

ნუთუ რაიმე გაიგო ბერძენთა პატრიარქმა?

მივადექით მონასტრის წინა სვეტის მეორე მხარეს. დაეიწყეთ შავი საღებავისაგან მისი გაწმენდა. აქაც მშვენიერად გამოდის საქმე. გამოჩნდა სახე დრანდელი ეპისკოპოსისა.

უცებ აეთო იუვენალი. მოგვყარდა და სასტიკად აგვიჩრძალა სვეტის შეხება, თითქოს ახლა გაახსენდა, რომ პატრიარქმა დაავალა თვალყური ეღვენებინა ჩვენთვის. და აფთოქებული პირდაპირ ეკვეთა ჯერ აკადემიკოს აკაკი შანიძეს, მერე აკადემიკოს ვიორგი წერეთელს, რომლებიც ახლად გამოვლენილ წარწერაზე მუშაობდნენ. — რა ვქნა, ეს კაცი მთვრალი ხომ არ არის, გავიფიქრე მე და ხელი მაგრად ჩავეიდე ხელზე. ეტყობა, ცოტა მეტი მომზვიდა და იუვენალიც გონს მოეგო.

ავიჯანყდა დამიანეც...

ეტყობა, ყველაფერი გათავდა. საოცარია, ჩვენი «ჯიბის ენაც» აღარ ესმით, ეტყობა მეტს ველარაფერს გავხდებით. თვალწინ გამოიღვა გაიძვერა ქსანტოპულოსის უემურმა სახემ.

კედლის მხატვრობა და ფრესკები, ძველი ქართული წარწერები სულ გადავიღეთ?

გადავიღეთ, რისი გადალებაც შეიძლებოდა.

რუსთველის სურათი ხელთა გვაქვს? ხელთა გვაქვს!

შაბაშ, დაებრუნდეთ საქართველოში!

სიონ ყაუხიჯიი

შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტერი

შეიძლება ჯერ ნაადრევად იყოს და-  
ბეჯითებითი შეხედულების გამოთქმა  
შოთა რუსთაველის კავშირზე ჯვარის  
მონასტრის იმ მასალებთან, რომლებიც  
მოიპოვეს ქართველმა აკადემიკოსებმა  
იერუსალიმში ყოფნის დროს გასული  
წლის შემოდგომაზე. მაგრამ უკვე იმ-  
დენი მოსაზრება გამოითქვა ამ მასალებს  
გარშემო და ისეთი ცხოველი გამო-  
ხმაურება ჰპოვეს ამ მოსაზრებებმა  
ჩვენს საზოგადოებაში, რომ არ იქნებო-  
და ზედმეტი, ჩვენი ცოდნის დღევან-  
დელ ეტაპზე, შეგვეჯამებინა ქართველ  
აკადემიკოსთა ექსპედიციის მიღწევათა  
შედეგები და ნათელგვეყო მკითხველი  
საზოგადოებისათვის ამ მიღწევათა მნი-  
შვნელობა შოთა რუსთაველის ბიოგრა-  
ფიის საკითხთა რკვევის საქმეში.

1. შოთას კორბატი

პირველი დიდი მიღწევა, რომელიც  
აქვს იერუსალიმის ექსპედიციას, ეს ის  
არის, რომ დღეს, ამ ექსპედიციის ნამუ-  
შევრის წყალობით, ჩვენ გვაქვს  
შოთა რუსთაველის პორტრე-  
ტი, დახატული XIII საუკუნის შუა  
წლებში ან მეორე ნახევარში.

რა ვიცოდით ჩვენ დღემდე ამ პორ-  
ტრეტის შესახებ და რა ვიცით დღეს  
იერუსალიმის ექსპედიციის წყალობით?

1) 1755—1759 წლებში „წმიდა ად-  
გილთა“ მოსახილველად იმოგზაურა  
ტიმოთე გაბაშვილმა, რომელ-  
მაც ამ მოხილვის შედეგად დაწერილ  
შრომაში გვაცნობა: „ჯვარის მონასტე-  
რი დაძველებულა და გუმბათს ჰქვით  
სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია

შოთამს რუსთაველს, მეჭურ-  
ჭლეთ უხუცესს. თითონაც  
შიგ ხატია მოხუცებული“.  
ცოტა ქვევით ტიმოთეს „მოხილვაში“  
სწერია: „ჯვარის მონასტერში... ხატია  
შოთა რუსთაველი, მეჭურჭლეთ უხუცე-  
სი“. მაგრამ თვით პორტრეტი აღწერი-  
ლი არაა.

2) 1845 წელს იერუსალიმში იმოგზა-  
ურა ნიკოლოზ ჩუბინაშვილ-  
მა (ცნობილი ლექსიკოგრაფის, პეტერ-  
ბურგის უნივერსიტეტის პროფესორის  
დავით ჩუბინაშვილის ბიძამ), რომელსაც  
მოკლედ აღუწერია თავისი მოგზაურთ-  
ბა, ხოლო ეს აღწერა შემდეგ დაბეჭდა  
ალ. ცაგარელმა თავისი „сведения“-ს  
მესამე წიგნში (44—47 გვ. გვ.). ნიკ.  
ჩუბინაშვილი წერს: „უამსა ყოფისა  
ჩვენისასა წმიდასა ქალაქსა იერუსალიმს,  
1845 წელსა, მაისის 3—4 და შემდგო-  
მაცა რაოდენგზისმე წარვედით მოხილ-  
ვად ჯვრის მონასტრისა“. ამის შემდეგ  
წ. ჩუბინაშვილი გვაწოდებს ცნობებს  
ჯვარის მონასტრის მხატვრობის შესა-  
ხებ და ერთ ადგილას წერს: „ამას ქვე-  
მოდამ დახატულნი არიან: წმ. მაქსიმე  
და იოანე დამასკელი. ამათ შუა მუხლ-  
ზედ მდგომი მოხუცი, თეთრი, სქელი  
და გრძელი წვერითა, თავზე ხურავს  
მალალი თეთრი არაღჩინი, შავი ძალა  
შემოდებული მწვანე კაბა, წითელი სარ-  
ტყელი და ზეიღამ ასხია ჯიგრის ფერი  
ხირდა საერისკაცო თეთრის სამხრითა,  
— ამას აწერია: „ამისსა დამხატავს შე-  
უნდოს ღმერთმან, ამინ, შოთა რუს-  
თველი“.

ამგვარად, ნიკ. ჩუბინაშვილმა პირ-

ველმა დაწერილებით აღწერა შოთას პორტრეტი, ჯვარის მონასტრის კედელზე დახატული, და პირველმავე აღნიშნა, რომ ტანსაცმელის მიხედვით პორტრეტზე გამოხატული პიროვნება არის ერისკაცია.

გარდა ამისა, უნდა ითქვას შემდეგიც: ნიკ. ჩუბინაშვილს ცოტა გადმოხატვაც შესძლება და ჯვარის მონასტრის კედლებზე დახატული გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი გადმოუხატავს (მათ შორის შოთას პორტრეტიც გადმოუღია), ხოლო, მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, თავისი ესკიზები გადაუცია პეტერბურგში ვილაც მხატვრისათვის, რომლის მიერ შესრულებული პორტრეტები დღეს ინახება ნიკ. ჩუბინაშვილის „აღწერის“ შემცველ ხელნაწერში (საქ. მუზეუმის ხელნ. — 1767). პირადად ჩვენ შემთხვევა გვექონდა ამ ხუთი-ოცე წლის წინათ გამოგვექვეყნებინა, ნიკ. ჩუბინაშვილის ხელნაწერში არსებული მასალის მიხედვით, პეტრე იბერის პორტრეტი და, როდესაც აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა (1960 წლის იერუსალიმის ექსპედიციის წევრმა) გადმოგვცა მის მიერ გადაღებული დღევანდელი ფოტოსურათი პეტრე იბერისა და ჩვენ შევეუდარეთ ეს ფოტოსურათი ნიკ. ჩუბინაშვილის მიერ გადმოხატულ პეტრე იბერის პორტრეტს, დავრწმუნდით, რომ ნ. ჩუბინაშვილს (როგორც არასპეციალისტს — პორტრეტისტს) ძალიან კეთილსინდისიერად უმუშავნია.

ყოველ შემთხვევაში, ნ. ჩუბინაშვილს საკმაო მიაზლოებით აქვს გადმოცემული ჯვარის მონასტრის კედელზე დახატული შოთა რუსთაველის ჩაკმულობა. თვით სახე შოთა რუსთაველისა, დახატული ნ. ჩუბინაშვილის ესკიზის მიხედვით — უცნობი პეტერბურგელი მხატვრის მიერ, რასაკვირველია, ვერ გამოგვიჩვენა იმას, რასაც ჩვენ ვხედავთ 1960 წლის ექსპედიციის მიერ ჩამოტანილ ფოტოსურათზე.

3) 1883 წელს იერუსალიმში იყო სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფე-

სორი (ნ. მარისა და ივ. ჯგავანიშვილის მასწავლებელი) ალექსანდრე დიკარელი, რომელსაც უნდა ვხვდეთ ჯვარის მონასტრის კედელზე შოთა რუსთაველის სურათი. გასული წლის 16 დეკემბრის „ლიტერატურულ გაზეთში“ მკვლევარმა ლილი ქუთათელაძემ გამოაქვეყნა აქამდე უცნობი მასალა პროფ. ალ. ცაგარელის იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ და შეგვატყობინა, რომ ალ. ცაგარელმა „კალკით გადმოიღო კედლის მხატვრობა, წარწერები და, როცა 1888 წელს თავისი მოგზაურობის ანგარიში გამოაქვეყნა, ისინიც თან დაურთო. მათ შორის არ არის რუსთაველის გამოსახულება“. ამ უკანასკნელი გარემოების მიზეზი კი ის არის, რომ ალ. ცაგარელი აპირებდა შოთას პორტრეტის ცალკე გამოქვეყნებას. ამის შესახებ ალ. ცაგარელი თვითონ სწერს „კვალის“ რედაქტორს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს პეტერბურგიდან: „რუსთაველის სახე... გადმოვხატე მე თითონ იერუსალიმში ყოფნის დროს 1883 წ. ჯვარის მონასტრის სვეტიდან. რუსთაველი მოხუცებულია. მაგრამ ბერათ არ არის დახატული, არამედ ერისკაცის ტანისამოსით... მე მსურს აქ ზიზის მივცე ლიტოგრაფიით გადასახატავად და, როგორც მივიღებ, პირველსავე ეგზემპლარს გამოგიგზავნით „კვალში“ დასაბეჭდად“. თუ სად გაქრა ამის შემდეგ ალ. ცაგარელის მიერ გადმოღებული შოთა რუსთაველის ფრესკის პირი, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ ალ. ცაგარელის ამ პირის მიხედვით ალ. თარხნიშვილმა დაამზადა სკულპტურა, რომლის სურათი დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას (1920 წელს დ. კარიჭაშვილისეულს, ხოლო 1927 წელს — ს. კაკაბაძისეულს).

როდესაც 1902 წელს აკად. ნ. მარი იყო სამუშაოდ იერუსალიმში, შოთას პორტრეტი უკვე აღარ ჩანდა: ჯვარის მონასტრის შემკეთებელთ იგი. ისევე როგორც სხვა ქართულწარწერიანი პორტრეტებიც, შეუღესიათ, ახალი საღებავით დაუფარათ.

ზემოთქმულიდან ცხადია, თუ რა ვიცოდით 1960 წლამდე, სანამ ქართველ აკადემიკოსთა ექსპედიცია გაემგზავრებოდა იერუსალიმში, შოთა რუსთაველის პორტრეტზე, ჯვარის მონასტრის სვეტზე რომ იყო დახატული. სახელდობრ, ვიცოდით, რომ:

ა) ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს შუა მოთავსებული იყო შოთა რუსთაველის პორტრეტი, მაგრამ ეს პორტრეტი, რომელიც უნახავთ ტიმოთე გაბაშვილს, ნ. ჩუბინაშვილსა და ალ. ცაგარელს, ჩვენთვის დაკარგული იყო. დარჩენილი იყო მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილის მიერ გაკეთებული ესკიზის მიხედვით პეტერბურგში ვილაც მხატვრის ხელით შესრულებული სურათი, რომელსაც სრულის უნდობლობით უყურებდა ჩვენი საზოგადოება;

ბ) ვიცოდით ისიც, რომ სრულიად კომპეტენტური მკვლევარების აღწერით ეს პორტრეტი ასახავდა მოხუცებულ შოთა რუსთაველს ერისკაცს და არა ბერს;

გ) ვიცოდით, დასასრულ, ისიც, რომ ამ პორტრეტთან რაღაც წარწერა იყო, რომლის წაკითხვა დიდ ეპიკებს იწვევდა, რადგან, როგორც ახლა ირკვევა, ეს წარწერა, იმთავითვე ყალბი მიდგომით ყოფილა ამოშიფრული.

იმის შესაფასებლად, თუ რა ვიცოდით ჩვენ შოთაზე და ჯვარის მონასტერზე 1960 წლის ექსპედიციამდე, საჭიროა მოვიგონოთ აგრეთვე ისიც, რომ შოთას ამ პორტრეტს ჯვარის მონასტრის სვეტზე თელიდნენ გვიანი დროის ნაწარმოებად. სახელდობრ, მიაჩნდათ, რომ 1643 წელს შოთა მოახატვინა და წარწერაც გააკეთებინა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა, ჯვარის მონასტრის განმთავსებელმა, რომლის ორივე წარწერა, ქართულიცა და ბერძნულიც, დღესაც შენახულია მონასტრის კედელზე.

აი, ყველაფერი ის, რაც და როგორც ვიცოდით ჩვენ შოთა რუსთაველის პორტრეტის შესახებ, რომელიც ჯვარის

მონასტრის კედელზეა დახატული. ამგვარად, ჩვენ შეძლებისდაგვარად ვაძიებთ გავეცით ჩვენ მიერ ამ მხატვრობის შესახებ დასმული კითხვის პირველ ნაწილზე: რა ვიცოდით ჩვენ დღემდე ამ პორტრეტის შესახებ?

ახლა გადავიდეთ ამ კითხვის მეორე ნაწილზე: რა ვიცით დღეს 1960 წლის იერუსალიმის ექსპედიციის წყალობით?

1) პირველი დიდი მიღწევა იერუსალიმის 1960 წლის ექსპედიციისა არის ის, რომ დღეს ჩვენ განკარგულებაშია შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც აქამდე მხოლოდ აღწერილობით იყო ცნობილი, თვით პორტრეტი კი დაკარგულად ითვლებოდა. ხომ არ შეიძლება ცნობილად ჩაითვალოს ის, რომ სამმა კაცმა (გაბაშვილმა, ჩუბინაშვილმა, ცაგარელმა) იგი ნახეს, ხოლო შემკვიდრე თაობებს ვერაფერი დაუტოვეს, გარდა სიტყვიერი აღწერილობისა. ამასობაში კი თვით ორიგინალი შელესილ იქმნა ბოროტი ხელის მიერ. დღეს ეს დაკარგული სურათი, რომელიც მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილის (არა მხატვრის და არა სპეციალისტის) მიერ ჩახატული ესკიზის მიხედვით იყო მოღწეული და ჩვენი ნდობით ვერ სარგებლობდა, წარმოსდგა ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიდიადით; ჩვენ ვიხილეთ ძველი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტანი-სამოსით და თავსაბურავით დახატული, შთაგონებული გამომეტყველების მქონე ერისკაცი. ქართული ფერწერის სპეციალისტმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა ამ პორტრეტის დახასიათებას უძღვნა საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა (გაზ. „კომუნისტი“, 1961. 1. 7), სადაც დასკვნის სახით ნათქვამია: „რუსთაველის პორტრეტული მხატვრობა რეალიზმის შესწავლის შედეგად შესრულებული უნდა იყოს მე-12 და მე-13 საუკუნეების მიჯნაზე, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს მე-13 საუკუნის პირველი ნახევრისა“.

იმავე მკვლევარის დასკვნით „ჯვარის მონასტერში შოთა გამოსახულია

როგორც დიდი ევზირი“. ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ გამოაქვეყნებთ გასული წლის 27 ნოემბერს გაზ. „კომუნისტში“ (იქ დაუერთეთ ამ დოკუმენტის ფოტოსურათი). სახელდობრ: ჯვარის მონასტრის XI საუკუნის ერთ ხელნაწერში მოიპოვება მინაწერები, რომლებშიც მოიხსენიებიან სხვადასხვა მოღვაწეები და რომლებშიც ამ მოღვაწეთა სულის მოსახსენებლად დაწესებულია ე. წ. აღაპები. მაგალითად: „ჯვარის ამაღლებასა დღესა წირვა და აღაპი საუკუნო მეფეთ-მეფისა გიორგისი...“ „ამასვე დღესა წირვაი და აღაპი საუკუნოი სარკისის ცოლისა თამარისი და მისისა დედისა ხათუთასი“.

ამ აღაპებს შორის ერთი ასეთიც მოიპოვება:

„ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთა მსა მეჭურჭლეთ უხუცესისა. ვინ შეცვალოს შეცვა-აცვალებულ არს სჯული-საგან ქრისტეანეთა მსა“.

ამ დოკუმენტის მთავარი მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი დაწერილია მე-13 საუკუნის ხელით (იხ. ჩვენ მიერ გამოაქვეყნებული სურათები), მაშასადამე, მე-13 საუკუნეში დაუწესებიათ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპი. მეჭურჭლეთუხუცესი იყო ფინანსთა მინისტრი. და, ამრიგად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს შოთას რაღაც დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღოდა ჯვარის მონასტრის წინაშე, დაუწესეს მოსახსენებელი.

რა ღვაწლი შეიძლება ყოფილიყო ეს?

2) და, აი, მეორე მნიშვნელოვანი მიღწევა 1960 წლის იერუსალიმის ექსპედიციისა არის ის, რომ მიაი ნამუშევრის წყალობით შესაძლებელი გახდა შოთას პორტრეტთან არსებული წარწერის მართებული წაკითხვა. ამ წარწერის შესახებ არსებული ძველი ამოშიფრვა და ანალოზი მანკიერი აღმოჩნდა. ამ წარწერას ასე კითხულობდნენ: „ამისა დამხატავსა შეუნდოს

ღმერთმან, ამინ“ (სურათის მარცხენა მხარეზე), ხოლო მარჯვენაზე: „შოთა რუსთაველი“.

სინამდვილეში კი წარწერა, რომლის ფოტოსურათი დღეს, მის შემდეგ, როცა 1960 წლის ექსპედიციის წევრებმა დაუღალავი მეცადინეობის წყალობით, მთელი ფრესკა (აქამდე დაფარული) მოიძიეს, გაწმინდეს და შხის სინათლეზე გამოიტანეს თვით პორტრეტიც და მასთან არსებული წარწერებიც, ასე იკითხება: „ამისა დამხატავსა შოთა (ს) შეუნდვენეს ღმერთმან. ამინ“. ხოლო იქვე პორტრეტს აწერია: „რუსთველი“.

ამ წარწერიდან ნათელია, რომ კედელი მოუხატავთ შოთას თაოსნობით. იქვე მოუთავსებიათ სურათი, რომელსაც აწერია „რუსთველი“. სრულიად ბუნებრივია კაცმა იფიქროს, რომ ყოველ შემთხვევაში ის კედელი (თუ მგტი არა), სადაც დახატული არიან შაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი (ეს ორი ბუმბერაზი მეთაური საშუალო საუკუნეების ქრისტიანული ფილოსოფიისა), და, მათ შუა, მუხლებთან, რუსთაველი, მოხატული ყოფილა შოთას თაოსნობით და ამიტომაც თვით შოთას პორტრეტიც მოუთავსებიათ იქ. სრულიად მართებულად სწორდნენ ექსპედიციის წევრები (აბაშიძე, შანიძე, წერეთელი): „ეკვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ წარწერის შოთაში სწორედ შოთა რუსთველზეა ლაპარაკი. სრულიად წარმოუდგენელია, რომ აქ ვინმე სხვა შოთა იგულისხმებოდეს“ (გაზ. „კომუნისტ“, 1960. XI. 22).

ამის შემდეგ, რაკი კვლევა-ძიებამ ნათელი გახადა, რომ ჯვარის მონასტრის კედელზე ხატია შოთა რუსთაველი, გამოწყობილი ერისკაცის ისეთ ტანისამოსში და თავსაბურში, როგორც ვაზირს შეეფერებოდა, ჩვენთვის თავისთავად დაისვა საკითხი ამასთან დაკავშირებით აღაპის ტექსტი ყოფილიყო გამოყენებული: „ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთა მსა მეჭურჭლეთ უხუცესისა“.

კითხი მით უფრო ადვილად დაისვა, რომ ეს საღაპო მინაწერი შესრულებულია მე-13 საუკუნის ხელით.

რა გამოდის ყველა ამ მასალის შეჯამებიდან? უდავოდ გამოძინარეობს:

1) რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრი („შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“) ჩასულა იერუსალიმში. ფინანსთა მინისტრს უბრალო სეირნობის მიზნით არავინ გაუშვებდა, მას ეჭნებოდა რაღაც დავალება; ეს დავალება შეიძლება იყოს უოფილიყო, მაგალითად, ჯვარის მონასტრის შეკეთება. მას ეს დავალება შეუსრულებია. რის აღსანიშნავადაც მონასტრის კედელზე წარწერა გაუკეთებიათ და შემკეთებლის პორტრეტიც დაუხატავთ.

2) როდესაც შოთა მეჭურჭლეთუხუცესი გარდაცვლილა, მისი ღვაწლი ჯვარის მონასტრის მიმართ სათანადოდ დაუფასებიათ და დაუწესებიათ საგანგებო აღაპი: „სული-წმინდის ორშაბათს“ შემოუღლიათ აღაპი შოთასა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ“.

3) შოთას პორტრეტი მოუთავსებიათ იქ, სადაც დახატული არიან მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი. შემთხვევითია ეს მოვლენა, თუ იგი რაიმე პრინციპულ შეხედულებას უკავშირდება? ძნელია, ჯერჯერობით, ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემა. ერთი რამ კი შეიძლება ითქვას: ვინც შოთას პორტრეტს მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის წრეში ათავსებდა, მან კარგად იცოდა, რომ, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ვინმეს შეუდარებდა ძველ მსოფლიო მოღვაწეთაგანს, ესენი შეიძლება იყოს უოფილიყენენ მხოლოდ საშუალო საუკუნეების იდეოლოგიის დედა-ბოძნი: მაქსიმე აღმსარებელი (VII-საუკ.) და იოანე დამასკელი (VIII-საუკ.).

გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ შემდე-

1 ისტორიკოს გრეგორიოვს, არქიმანდრიტ პაპალოპოლის და ზოგიერთ სხვასაც მოეპოვებათ ცნობა, რომ შოთა 1192 წელს გაგზავნილი იყო თამარის მიერ იერუსალიმში. ამ საკითხს ახლო მომავალში ცალკე ნარკვევს ეძღვნება.

გიც: როგორც მაქსიმე აღმსარებელი, ისე იოანე დამასკელი კარგად შეეგნენ ცნობილი საქართველოში. მაქსიმე აღმსარებელი საქართველოში იმითაც იყო ცნობილი, რომ მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები დასაველეთ საქართველოში გაატარა, როგორც ბიზანტიიდან გამოძევებულმა მწვალებელმა (მონოთელიტმა). რაც შეეხება იოანე დამასკელს, მისი ძირითადი შრომა „წყარო ცოდნისა“ ქართულად გადმოთარგმნილი იყო (მისი სხვადასხვა რეცენზიის სახით) სამჯერ: ექვთიმე ათონელის, ეფრემ მცირის და არსენი იყალთოელის მიერ. გარდა ამისა, იოანე დამასკელის ოცდაათამდე სხვა შრომაც იყო გადმოთარგმნილი, რომელთა შორის დიდი ადგილი ეკავა ჰიმნოგრაფიულ თხზულებებსაც.

ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი მაქსიმეს და იოანეს კავშირისა შოთა რუსთაველთან ასე მარტივად ვერ გადაწყდება. საჭიროა დამატული მუშაობა ამ საკითხზე.

1960 წლის იერუსალიმის ექსპედიციის მონაწილეებს ჯერ არ დაუშთავრებიათ ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალების დამუშავება. გარდა ამისა, რაც პრესაში გამოქვეყნდა, არც კიდევ სხვა ძვირფასი ცნობებიც, ასე, მაგალითად, იმის გასაბათილებლად, თითქოს ჯვარის მონასტრის მხატვრობა მე-17 საუკუნეში იყოს შესრულებული ნიკიტორე ჩოლოყაშვილის თაოსნობით, მოპოვებულია ამ მხატვრობის არეში არაბული წარწერები წინა დროისა. იმავე სვეტზე, სადაც ხატია კომპლექსი მაქსიმე იოანე-შოთა, არის ძველი საუკუნეების არაბული წარწერაც, რაც უდავოდ ამტკიცებს შოთას პორტრეტის ახლადმოპოვებულ თარიღს (XIII საუკუნეს).

2. შოთა კონსტანტინის სახელსაძვის

1960 წლის იერუსალიმის ექსპედიციის დაბრუნებას შედეგად მოჰყვა ისიც, რომ პირველი დღიდანვე ჩვენმა პრესამ ულაღობა სიტყვას „რუსთაველი“ და მოისურვა დაემკვიდრებო-



ნა „რუსთველი“. მხოლოდ ორი თვის შემდეგ გავიგეთ აკ. შანიძის და ალ. ბარამიძის ხელმოწერით გაზეთში გამოქვეყნებული წერილიდან, რომ შეკრებილან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში და გადაუწყვეტათ: აღარ ვწეროთ „რუსთაველი“, ამიერიდან შოთას ერქვას „რუსთველი“.

მე, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი წევრი, ვამბობ, რომ ასე არ ვარგა.

ჩემს მიერ ზემოთმიმოხილული მუშაობა ექსპედიციისა ნათელყოფს, რომ საზოგადოება აღფრთოვანებულია ექსპედიციის მიღწევათა შედეგებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის სახელს ასე ვაბრუნებინებთ, თუნდაც სახელმწიფოებრივ მოღვაწეებს, წალმა-უყუღმა. ამის შესახებ ჩვენ შემდეგი გვაქვს სათქმელი:

1. ექსპედიციას არაფერი ჩამოუტანია ახალი იმის შესაცვლელად, რომ ამიერიდან ვწეროთ „რუსთველი“ და არა „რუსთაველი“. ამ შეცვლის დასაყრდენი თითქოს ის არის, რომ პორტრეტს აწერია ვითომ „რუსთველი“. ეს არ არის მართალი და, თუ აკ. შანიძე და ალ. ბარამიძე ასე ფიქრობენ, ძალიან სამწუხაროა. პორტრეტს აწერია „როსთველი“, ე. ი. რუსთველი“. აქ ხომ შემოკლებით სწერია, არ სწერია არც ერთი ხმოვანი. არც ა და არც ე. ასე, რომ, თუ შეიძლებაო დავს, ნუ გვიმტკიცებენ ტყუილ-უბრალოდ, თითქოს აქ სწერია „რუსთველი“, აქ შეიძლება ვწეროს აგრეთვე „რუსთაველი“. ასე რომ საბოლოოდ უნდა მოიხსნას ის საბუთი, თითქოს „რუსთველი“ ნიშნავდეს მხოლოდ „რუსთველს“.

2. ცნობილია, რომ თვით ვეფხისტყაოსანში“ იხმარება „მე რუსთველი ხელობითა“ და „რუსთველმან გავლექსე“, მაგრამ ანგარიში უნდა გავწიოს იმას, რომ მთელი XIX საუკუნე (ილია, აკაკი...) ხმარობს ფორმას „რუსთაველი“.

3. და, ამ ჩვენი კლასიკოსების მი-

დევნებით ჩვენც, მეოცე საუკუნეში, მუდამ ვამბობდით „რუსთაველი“ ხომ ვერ ვიტყვით იმას, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ არაფერი კავშირი არ ჰქონდათ ილიას და აკაკის? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ორივენი მოწინააღმდეგე იყვნენ ე. წ. ქართულიშვილისეული გაპოკემის დამზადებაში.

4. ანგარიში უნდა გავუწიოთ შემდეგ პრაქტიკულ მოსაზრებებსაც:

ა) რევოლუციის შემდეგ გოლოვინის პროსპექტს, ერთ-ერთ მიტინგზე — პაოლო იაშვილის მიერ შემოტანილი წინადადებით, დეარქვეთ „რუსთაველის პროსპექტი“;

ბ) ჩვენ სახელოვან დრამატულ თეატრს ჰქვია „რუსთაველის სახელობის თეატრი“.

გ) მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტს ეწოდება „რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი“.

დ) ერთ-ერთ პედაგოგიურ ინსტიტუტს, ჰქვია „შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი“.

ე) ასევე „რუსთაველის“ სახელს ატარებს რამდენიმე ბიბლიოთეკა.

და კიდევ ერთი გარემოება: ყველა ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ცნობილია, როგორც რუსთაველი.

არავითარი საჭიროება არ მოიხსნის შევცვალოთ ყველა ამ დაწესებულების სახელი, სახლებს გამოუტყვალოთ ნომრები, ინსტიტუტებს და ბიბლიოთეკებს წიგნებზე შევაცვლივინოთ ბეჭდები, უცხო ენებზე გავსწოროთ უკვე გავრცელებული და საყოველთაოდ მიღებული რუსთაველი.

1960 წლის სამეცნიერო ექსპედიციამ, ჩვენი სახელოვანი აკადემიკოსების შემადგენლობით, ხელთქმნილი ძეგლი დაიდგა შოთას ბიოგრაფიის ბნელი ფურცლების განათებით და ნუ დაეაბნელებთ ამ მიღწევებს შოთას სახელის პრობლემატური წაკითხვით მის პორტრეტზე.



ბ. ქარაიძე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული მატარებელი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ზემოთ ხედვიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების ორმოცი წლის თავს. ქართველი ხალხი, რესპუბლიკის ყველა მშრომელი, თავისი ისტორიის ამ შესანიშნავ თარიღს ხედვას დიდი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. უკვე 4 ათეული წელია, რაც საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხებთან ერთად აშენებენ ახალ ცხოვრებას.



ძირფესვიანად გარდაიქმნა საქართველოს სახალხო მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მეფის რუსეთის ყოფილი ნახევრად კოლონიური ქვეყნის ადგილას გაიფურჩქნა და აყვავდა სოციალისტური რესპუბლიკა, განვითარებული ინდუსტრიითა და სოფლის მეურნეობით, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციებისა და კულტურული დაწესებულებების ფართო ქსელით.

ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების და მდიდარი ენერგეტიული და მინერალური რესურსების მიუხედავად, რევოლუციამდელი საქართველოს სახალხო მეურნეობა მეტად სუსტად იყო განვითარებული. ორმოცი წლის წინათ საქართველოს მრეწველობა წარმოდგენი-

ლი იყო ნახევრად კუსტარული წერილი საწარმოებით, რამდენიმე წიაღისეული სიმდიდრის, უმთავრესად, მარგანეცის, მომპოვებელი წარმოებით.

1917 წელს საქართველოში ითვლებოდა სულ

მხოლოდ 8 ათასი მუშა, ანუ მთელი მოსახლეობის 0,3 პროცენტი. დამწეშავებელი მრეწველობის ეგზეტ-წოდებული 205 „ცენზიანი“ საწარმოდან 171-ს ჰყავდა 50 მუშაზე ნაკლები. ისევე, როგორც მეურნეობის ყველა დარგში, მრეწველობაშიც გაამეფებული იყო ხელის შრომა. მომპოვებელი მრეწველობის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოს — ქიათურის მარგანეცის წარმოება წარმოადგენდა, და ისიც უცხოელების ხელში იყო, რომლებიც მდიდარი მარგანეცის საბადოს მტაცებლურ ექპლოატაციას ეწეოდნენ. დამწეშავებელ მრეწველობაში ყველაზე მსხვილი საწარმო თბილისის რკინიგზის სახელოსნოები იყო. რევოლუციამდელი საქართველოს საწარმოო ძალების განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1913 წელს საქართველოში გამომუშავებულ იქნა მხოლოდ 200 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია და მოპოვებულ იქნა 60 ათასი ტონა ქვანახშირი.

თუ როგორ დაბალ დონეზე იყო მრეწველობის განვითარება ჩვენში, ნათლად სჩანს იქიდანაც, რომ 1913 წელს სა-

ქართველოს მრეწველობა ერთ სულ მოსახლეზე უშვებდა მხოლოდ 18 მანეთის სამრეწველო პროდუქციას, როდესაც ამავე წელს რუსეთის იმპერია ერთ სულ მოსახლეზე უშვებდა 78 მანეთის სამრეწველო პროდუქციას.

კიდევ უფრო დაქვეითდა საქართველოს ისედაც უბადრუკი მრეწველობა მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

მენშევიკების ხელისუფლებას საქართველოში სამი წლის ბატონობის განმავლობაში არ გადაუწყვეტია არცერთი სამეურნეო საკითხი. ისინი მხარა უპერდენ ბურჟუაზიას, რომელიც მკაცრ ექსპლოატაციას უწევდა მუშებს. ხელს უწყობდნენ, რა ეროვნული შუღლის გაღვივებას, მენშევიკებმა, მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად, ამიერკავკასია გადააქციეს ერთა შორის შეჯახებებისა და ომების ასპარეზად. მენშევიკების ბატონობის წლებში, საქართველოს, როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა დღითი დღე მიეჩანებოდა უფსკრულისაკენ, მისი ეკონომიკა დაკნინებამდე მივიდა. ქარხნებისა და ფაბრიკების დიდი უმრავლესობა არ მუშაობდა. ისედაც განადგურებული სოფელი ვეღარ ამარაგებდა ქალაქს პროდუქტებით, განსაკუთრებით — ბურთით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გამოცხადდა მრეწველობის, რკინიგზის, ბანკებისა და მსხვილი სავაჭროების ნაციონალიზაცია. მშრომელთა საერთო საკუთრებაში გადავიდა მიწა. ქართველმა ხალხმა, საბჭოთა ხალხებთან ერთად, დაიწყო ახალი ცხოვრების შენება.

ე. ი. ლენინის ინიციატივით სახალხო მეურნეობის აღდგენაში საქართველოს დიდი მატერიალური დახმარება გაუწია საბჭოთა რუსეთის მთავრობამ.

1922 წლის მიწურულში საქართველოს მშრომელები შეუდგნენ პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მდინარე მტკვარზე. ამ მშენებლობისათვის საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოჰყო 700 ათასი წანეთი ოქროთი. 1922 წელს საქართველოს უსასყიდლოდ გადაეცა მოსკოვის ერთ-ერთი მაუდის

ფაბრიკა, რომელიც ამუშავდა ქ. ქუთაისში 1924 წელს.

დაიწყო 20-მდე მსხვილი ინდუსტრიული საწარმოს მშენებლობა. მათგან 9 საწარმო ექსპლოატაციაში შევიდა ჯერ კიდევ 1926 წლამდე. 1927 — 1928 წლებში ამუშავდა ორი ჰიდროელექტროსადგური და საფუძველი ჩაეყარა რიონპესის მშენებლობას ქალაქ ქუთაისის მახლობლად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მრეწველობის მრავალი ახალი დარგი, აშენდა და მწყობრში ჩადაგა ასობით მსხვილი, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სამრეწველო საწარმო. მათ შორის ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ს. მ. კოროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხანა, გორის მამბეულის კომბინატი, რუსთავის აზოტ-სასუქების ქარხანა, ელექტროსადგურები, მალაროები, შახტები და გამამდიდრებელი ფაბრიკები, ნავთობგადამამუშავებელი და ფეროშენადნობის ქარხნები, კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნები, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთა მშენებელი, მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობის მრავალრიცხოვანი საწარმოები. ახლა რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს თუჯს, ფოლადს, ნაგლისს, მილებს, ფეროშენადნობებს, აზოტოვან სასუქებს, ავტომობილებს, ელექტრომაგლებს, ლითონმჭრელ ჩარხებს და სახალხო მოხმარების საგნების ფართო ასორტიმენტს. საქართველოს მთელი მრეწველობის საცალო პროდუქციის საერთო მოცულობა 1960 წელს, 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 41-ჯერ, მათ შორის მსხვილი მრეწველობა 115-ჯერ.

საცალო პროდუქციის ასეთ ზრდასთან დაკავშირებით დიდი გარდატეხა მოხდა მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში, წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონის უპირატესი ზრდის მიმართულებით. ასე მაგალითად, 1960 წელს 1913 წელთან შე-

დარებით ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა 41-ჯერ, ხოლო ელექტროენერჯის გამოიმუშავება 190-ჯერ.

უკანასკნელი წლების ერთ-ერთ დიდ მიღწევას წარმოადგენს ყარაღალ-თბილისის გაზსადენის მშენებლობის დამთავრება, რითაც შესაძლებელი გახდა ბუნებრივი გაზის გამოყენება ნედლეულად ქიმიურ მრეწველობაში და სათბობად თბოელექტროსადგურებისათვის, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო წარმოებებისათვის და საცხოვრებელი ბინებისათვის.

1960 წლისათვის მრეწველობაში ჩამოშლულ მუშა-მოსახლეურეთა რაოდენობამ მიაღწია 263 ათას კაცს, ე. ი. 8-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1929 წელს. ამასთანავე, წლითი წლობით იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, 1960 წლისათვის 1950 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 74 პროცენტით, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 160 პროცენტით,

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოების სოციალისტური მეთოდების მეოხებით საქართველომ ძალიან შორს ჩამოიტოვა ირანი და თურქეთი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის მნიშვნელოვანი დარგების წარმოების მხრივ დაეწია და გაუსწრო ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

ამჟამად მხოლოდ ერთი, თბილისის ს. მ. კაროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა უშვებს მეტ ჩარხებს, ვიდრე ყოფილი მეფის რუსეთის ყველა ქარხნები ერთად, ამასთანავე უშვებს გაცილებით უფრო მძლავრ და სრულყოფილ ჩარხებს.

საქართველო იძლევა გაცილებით მეტ ელექტროენერჯიას, ვიდრე იძლეოდა ერთად აღებული რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური. 1960 წელს რესპუბლიკამ გამოიმუშავა 25 პროცენტით მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე მეზობელმა თურქეთმა, რომელიც საქართველოს მოსახლეობით 6-ჯერ სჭარბობს, ხოლო ტერიტორიით 11-ჯერ.

ახლა საბჭოთა საქართველოში ერთ სულ მცხოვრებზე თუჯის წარმოება გაცილებით მეტია, ვიდრე იტალიასა და იაპონიაში, ფოლადისა უფრო მეტი, ვიდრე შვეიცარიაში, ნორვეგიაში და დანიაში ერთად აღებული, ცემენტის — სამჯერ მეტი, ვიდრე იაპონიაში და 1,2-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში.

ამჟამად რესპუბლიკა ერთ მცხოვრებზე იმდენ აბრეშუმის ქსოვილს აწარმოებს, რამდენსაც საფრანგეთი.

საქართველოში ათვისებულია მაგისტრალური რელერძიანი ელმავლების გამოშვება. ჩვენი მრეწველობა ამჟამად უშვებს სხვადასხვა ტიპის მაღალი სიზუსტის უნივერსალურ და სპეციალურ ლითონმჭერე ჩარხებს, ავტომატქანებს, კოშკურა აწვეებს და სხვა მრავალ მაღალხარისხოვან მანქანა-დანადგარებს. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენი მრეწველობა უკანასკნელ წლებში. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებამ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ ტერიტორიული პრინციპების მიხედვით, უღარესად შეუწყო ხელი მეურნეობის შიდა რესურსების გამოყენებას და მრეწველობის კომპლექსურ განვითარებას.

საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის გრანდიოზული აღმავლობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ის, რომ სოციალისტურმა სახელმწიფომ დიდი სახსრები დააბანდა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის. უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი იყო 40 მილიარდ მანეთზე მეტი.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია სულ უფრო და უფრო მეტ მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა კავშირის ექსპორტში.

საქართველო, ქართველი ხალხი, მსოფლიოს ყოველ კუთხეში გაიცნეს თავისი შრომის ნაყოფით — უზუსტესი ხელსაწყოებით და ჩარხებით, მანქანებით, და ელექტროტექნიკური მოწყობილო-

ბით, ფეროშენადნობებით და ფოლადის მიღებით, თამბაქოთი და ჩაით, კონიაკითა და ღვინოებით, აბრეშუმის ქსოვილებითა და ნავთობპროდუქტებით. დღევანდელი საქართველოს ინდუსტრიული მაჯისცემა რომ იგრძნოთ, აუცილებელი არ არის სამრეწველო გიგანტებში მიხვიდეთ. საქმარისია რამდენიმე ხანი დაჰყოთ რესპუბლიკის რკინიგზის სადგურებსა და პორტებში. თქვენს თვალწინ გაივლის ასობით დასახელების საქონლით დატვირთული ეშელონები, გემები, რომლებიც ყველა მიმართულებით სერავენ დედამიწასა და ზღვებს. საქონელს ქართული მარკით შეხედებით შეეძვეს კონტინენტზეც — ანტარქტიდაშიც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოში, უცხოეთთან ურთიერთობისა და კოოპერირების განყოფილებაში მოთავსებულია მსოფლიოს დიდი რუკა, რომლის ზედაპირი წვრილი წითელი ხაზებით არის დაქსელილი. ერთი შეხედვითაც კი შეამჩნევთ, რომ ეს ჩვეულებრივი რუკებისათვის დამახასიათებელი პარალელები და მერიდიანები არ არის. ყველა ხაზი ერთი წერტილიდან — საქართველოს დედაქალაქიდან იწყება და სხივებით იშლება რუკის მთელ ზედაპირზე, ზოგიერთი მათგანი მსოფლიოს უშორეს წერტილებამდეც აღწევს.

ეს წითელი ხაზები მიუთითებენ თუ სად, მსოფლიოს რომელ კუთხეში იგზავნება საქართველოში დამზადებული პროდუქცია. თბილისი-ნიუ-ორკი, თბილისი-ბუენოს აირესი, თბილისი-ბერლინი, თბილისი-ვენა, თბილისი-ლონდონი, თბილისი-პრავა, თბილისი-ბუდაპეშტი. ძნელია ყველა იმ ქალაქისა და სახელმწიფოს ჩამოთვლა, რომლებთანაც დაკავშირებულია მშვიდობიანი ურთიერთობის ამ ძაფებით ჩვენი დედაქალაქი.

საქართველოს მშრომელთა ნახელავს ორმოცდაათ სახელმწიფოში იცნობენ. მარტო შარშან უცხოეთში 700 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი გაიგზავნა. იყო წლები, როცა უცხოეთში

გაგეჰონდა მარგანეცი, ზოლო იქიდან შემოგეჰონდა იმავე მარგანეცისაგან დამზადებული ფეროშენადნობები, ურომლისოდაც წარმოდგენილაა ფოლადის წარმოება. ახლა ჩვენი რესპუბლიკა ფეროშენადნობთა ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია მსოფლიოში. ათობით ქვეყანაში გამოდნობილ ფოლადს აწრთობს და სიმტკიცეს აძლევს ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნის გამოდნობილი ძვირფასი ლითონი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა კვების მრეწველობა, რომელსაც რესპუბლიკის ეკონომიკაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი სამშობლოა, რეგულაციამდე მისი მრეწველობა მხოლოდ რამდენიმე კერძო საწარმოთი იყო წარმოდგენილი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში ასზე მეტი ღვინის ახალი ქარხანა აშენდა და მათ შორის უამანური ღვინის და კონიაკის კეთილმოწყობილი ქარხნები. მიმდინარე შეიდწლედის ბოლოს საქართველოს ღვინის მრეწველობა გადაამუშავებს 330 ათას ტონა ყურძენს, ანუ ორნახევარჯერ უფრო მეტს, ვიდრე შეიდწლედის პირველ 1959 წელს. ქართული ღვინოები და კონიაკები წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტ ოქროსა და ვერცხლის მედლებს ღებულობენ საერთაშორისო გამოფენებზე, ყოველწლიურად იზრდება ექსპორტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

საბჭოთა ხელისუფლების პირშმოა საქართველოს ჩაის მრეწველობა. ქართული ჩაის ხვედრითი წონა სამამულო წარმოების ჩაის პროდუქციაში 95%-ია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა და მუშაობს 65 ჩაის ფაბრიკა, რომლებიც 1960 წელს გადაამუშავებენ 157 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს, ანუ 50 ათასი ტონით მეტს, ვიდრე 1953 წელს. რესპუბლიკის მეჩაიეთა მიერ აღებულ ვალდებულებას — შეიდწლედის ბოლოსათვის ჩაიბარონ სახელმწიფოს 200 ათასი ტონა

ჩაის ფოთოლი და ძირითადად უზრუნველყონ საბჭოთა კავშირის მთელი მოთხოვნილება ჩაიზე — ფართოდ გამოეხმაურნენ ჩაის მრეწველობის მუშაკები. მარტო 1960 წელს ჩატარებული 27 ფაბრიკის რეკონსტრუქციით ჩაის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრე დაახლოებით 30 ათასი ტონით გაიზარდა, რაც 10 ახალი ჩაის ფაბრიკის აშენებას უდრის. ასეთივე სამუშაო ჩატარდება წელსაც 25 ჩაის ფაბრიკაში და ჩაის მრეწველობას დამატებით 8 ახალი ჩაის ფაბრიკის ტოლფასი სიმძლავრე მიემატება.

მსოფლიოში აღიარებულია ქართული თამბაქოს საუკეთესო ხარისხი. 1960 წელს რესპუბლიკამ მოიყვანა და გადაამუშავა 16 ათასი ტონა თამბაქო, რომლის დიდი რაოდენობა გაიგზავნება საექსპორტოდ.

საქართველოში ოდითგანვე მოჰყავთ აბრეშუმის პარკი. მაგრამ წინათ ქართული კაცის ნაამაგარი თრანჯი და იტალიელი კომერსანტები მდიდრდებოდნენ. ახლა ეს სიმდიდრე ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენს მოყვანილ პარკს ჩვენვე ვამუშავებთ, ყოველდღიურად ათეულ ათასობით მეტრ აბრეშუმის ქსოვილს უშვებენ თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის ფაბრიკები. უცხოეთში ქართულ აბრეშუმს ცოტა მომხმარებელი როდი ჰყავს. თვალს იზიდავს ნატიფად ნაქსოვი, ლამაზად მოჩითული ქართული კრებდენინები, კრემპორკეტები, ყოველგვარი სხვა სახელწოდების ნატურალური აბრეშუმის ქსოვილები. ჩვენს რესპუბლიკას შესაძლებლობა აქვს მოემსახუროს მომხმარებელს მაღალბარისხოვანი შალის ქსოვილებით, ავეჯით და ასობით სხვა სახელწოდების საქონლით.

დადგა ინდუსტრიული საქართველოს ნამდვილი გაზაფხული. საქართველოს სსრ დედაქალაქი თბილისი—მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი — საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკის უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი გახდა. სრულიად გარდაიქმნა მისი სახე, აშენდა ახალი საცხოვრებელი კვარტალები, მონუმენტალური შენობები, კე-

თილმოწყობილი პროსპექტები და ქუჩები. მსხვილი სამრეწველო ცენტრი გახდა ქალაქი ქუთაისი, მნიშვნელოვნად გაიზარდნენ შავი ზღვის სანაევსადგურო ქალაქები ბათუმი და ფოთი, ქალაქი კურორტი სოხუმი, ქალაქები: კიათურა, ტყიბული, გორი, მახარაძე, ზუგდიდი, თელავი, გურჯაანი და სხვები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა ახალი ქალაქები, მათ შორის რესპუბლიკის სიამაყე, სოციალისტური რუსთავი.

რესპუბლიკის მრეწველობამ განსაკუთრებით დიდი მიღწევები მოიპოვა შეიღწეულის მეორე წელს. მრეწველობის მართვის ახალმა სტრუქტურამ, სახალხო მეურნეობის გეგმიურმა ცენტრალიზებულმა ხელმძღვანელობამ, მშრომელი მასების შემოქმედებით ინიციატივის ამოძრავებასთან ერთად, საშუალება მოგვცა გამოგვევლინებინა და მოქმედებაში მოგვეყვანა წარმოების ახალი რეზერვები. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნამ დიდი შესაძლებლობანი გამოავლინა რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების დაჩქარებისათვის და სარაიონთაშორისო საწარმო კავშირის გაფართოებისათვის.

საქართველოს სსრ სამრეწველო საწარმოები, ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის დაარსების 40 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად, ვადაზე ადრე შეასრულეს 1960 წლის სახელწიფო გეგმა. 1960 წელს 1959 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 6 პროცენტით. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 3 პროცენტით, მიუხედავად მუშათა და მოსამსახურეთა სამუშაო დღის შემცირებისა მრეწველობის ყველა დარგში.

საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებმა, ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე



ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ვადაზე ადრე, 1960 წლის 29 დეკემბრისათვის შეასრულეს აღებული ეკონომიკური ვალდებულებები და მისივე სამშობლოს გეგმის ზევით: თუჯი — 20 ათასი ტონა, ფოლადი 20 ათასი ტონა, ნაგლანი — 24 ათასი ტონა, მიღები 11.500 ტონა; პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების შედეგად შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 1,7 მილიონი მანეთი, ამასთანავე დაზოგეს 9 მილიონზე მეტი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 2000 ტონაზე მეტი ლითონი.

იბრძვიან რა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებების ცხოვრებაში ღირსეულად გატარებისათვის, ჩვენ რესპუბლიკის მშრომლებმა მიაღწიეს დიდ შედეგებს უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე მრეწველობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. რესპუბლიკის მშრომლები აქტიურად მონაწილეობენ მრეწველობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. მრეწველობის მუშაკების ჯურადლების ცენტრში ამჟამად პირველ რიგში დგას წარმოების კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის, მოძველებული დანადგარების ახლებით შეცვლის, განუწყვეტელი ხაზების დანერგვის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მისი თვითღირებულების შემცირების საკითხები.

რესპუბლიკაში დიდი გაქანება ჰპოვა სამეცნიერო-საკვლევო, კონსტრუქტორულმა და საპროექტო სამუშაოებმა ახალი ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა შექმნის საქმეში. სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებმა და საკონსტრუქტორო ბიუროებმა, რომლებიც მხოლოდ 1956 წელს იქნენ ორგანიზებული, უკვე შექმნეს მრავალი ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი, რომლებმაც ჰპოვეს ფართო გამოყენება წარმოებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-

ტიის XXI ყრილობის მიერ დასახულმა კომუნისტური მშენებლობის დანიშნულ გეგმებმა ახალი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია საბჭოთა ადამიანებში, დაიწყო კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდი, წარმოიშვა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ახალი, სულ უფრო სრულყოფილი ფორმები. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენს რესპუბლიკაშიც წარმოიშვა და ფართოდ განვითარდა კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა.

შორს, რესპუბლიკის გარეთ გაითქვეს სახელი წარმოების ისეთმა ნოვატორებმა, როგორც არიან კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები — არჩილ ქამაშვილი, გურამ ჩაღუნელი, სიმონ სიხარულიძე, ამირან ფანცულაია, ელენე გეგელაშვილი, შოთა კულანავილი და სხვები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში და განვითარების უფრო მეტი პერსპექტივებია მომავალში. სწრაფი ტემპებით იზრდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი მიმდინარე შეიღწეულში. უპირატესად ვითარდება წარმოების ის დარგები, რომლებიც იძლევიან შედარებით მატეკონომიურ ეფექტს. სწრაფად ვითარდება ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთა მშენებლობის მრეწველობა. სერიოზული ადგილი ეთმობა ქიმიური მრეწველობის განვითარებას, ჰიდროელექტრო და თბოელექტრო სადგურების მშენებლობას.

შეიცვლება და გაუმჯობესდება მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა. მრეწველობის საერთო პროდუქციაში საგრძნობლად გაიზრდება ქიმიური, ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებლობის და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წონა.

საქართველოს მარგანეცის მრეწველობას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კავშირისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქიათურის მარგანე-

ცის საბადოების შემდგომ განვითარებას და მის კვალიფიციურ ექსპლოატაციას. შეიღწეულაში გაიზრდება მარგანეცის მადნის მოპოვება, ექსპლოატაციაში შევიდა და შევა ახალი საბადოები, გამამდიდრებელი და საფლოტაციო ფაბრიკები, რითაც განმტკიცდება მარგანეცის ბაზა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

საგრძობლად განვითარდება და გაიზრდება ფეროშენადნობის წარმოება. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის წარმოება შეიღწეულაში გაიზრდება 2-ჯერ მეტად.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ახალი დარგია ქიმიური მრეწველობა, რომელიც შეიღწეულაში განმავლოაში გაიზრდება სწრაფი ტემპით. გაფართოვდება რუსთავის აზოტსასუქის ქარხანა. ქარხანაში შეიქმნება კაპროლაქტამის გამომშვებისათვის საჭირო ნახევარპროდუქტის წარმოება; შენდება სინთეტური ბოჭკოს ქარხანა. მიმდინარეობს ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის რეკონსტრუქცია. ტარდება ლონისძიებები ტყიბულის ქვანახშირის საბადოებიდან მიღებული ლიტობიოლიტების გამოსაყენებლად. იზრდება ბათუმის კოფეინის ქარხნის სიმძლავრე, სადაც ეწყობა ფრიალ ძვირფასი ვიტამინი „დ“-ს წარმოება. ჩვენი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის პროდუქცია შეიღწეულაში გაიზრდება 6,5-ჯერ.

სპეციალიზაციისა და კოოპერირების ბაზაზე მნიშვნელოვან განვითარებას პოვებს მანქანათმშენებლობის, დაზგათმშენებლობის, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთა მშენებლობის მრეწველობის მთელი რიგი დარგები.

რესპუბლიკაში შექმნილია ელექტროტექნიკური მრეწველობა, უკვე აშენებულია 20-ზე მეტი წარმოება, მათ შორის მსხვილი და მცირე სიმძლავრის ელექტროძრავების ქარხნები, ელექტროშედლების მოწყობილობების, ელექტროიზოლაციის მასალების, ავტომატიზაციის მოწყობილობათა და საშუალებების წარმოებები. 1965 წლ-

ათვის ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქცია 1958 წელთან შედარებით გაიზრდება 9,6-ჯერ.

მწყობრში შედის ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოების ახალი სიმძლავრეები, რითაც ჩარხების გამოშვება გაიზრდება 2-ჯერ და მეტად. გაფართოვდება ელმავალმშენებელი ქარხანა. პირველად საბჭოთა კავშირში ათვისებული ექნება ტრაქტორებზე მისამბელი სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოება, საფუძველი ეყრება ჩაისა და თამბაქოს კრეფის მექანიზაციისათვის საჭირო მოწყობილობათა მასიურ წარმოებას.

განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ენერგობაზის განვითარებას. თუ რამდენიმე წლის წინათ საქართველო განიცდიდა ელექტროენერჯიის ნაკლებობას, ამჟამად ელექტროფიკაციის ზრდითა და ამიერკავკასიის ენერგორაკალში საქართველოს ენერგო სისტემის ჩართვით მრეწველობის ობიექტებსა და მოსახლეობის ელექტროენერჯიით უზრუნველყოფის პრობლემა გადაწყვეტილია. ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება მიმდინარე შეიღწეულაში ელექტროენერჯიის გამომუშავება. 1960 წ. დაიწყო თბოელექტროსადგურის მშენებლობა ბუნებრივ გაზზე და ახლო მომავალში დაიწყება დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდ. ენგურზე.

რესპუბლიკის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნით, რომელიც აღჭურვილია უახლოესი ტექნიკით. ამჟამად, მ. მდინარეობს ქარხნის შემდგომი გაფართოების და წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების სამუშაოები. 1960 წლიდან ქარხანა სათბობად იყენებს ბუნებრივ გაზს. უახლოეს ხანში მწყობრში შევა მილსადიდი საამქრო, მიღების მეტალურგიის საამქრო და მილსაგლინავი საამქროს თერმული განყოფილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური და დაუღალავი ზრუნვის ერთ-ერთ გამოხატულებას, ჩვენი დი-



დი საშობლოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას, რის საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნას ჩვენი ხალხის ყველაზე მაღალი მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 — 1980 წ. წ. გენერალური პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის განვითარების კიდევ უფრო სწრაფ ტემპებს.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებამ — იმის შესახებ, რომ 1961 წლის 17 ოქტომბერს მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა — რესპუბლიკის მშრომელებში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმაშენებლობა გამოიწვია. საქართველოს მშრომელები პირობას დებენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე, რომ ყრილობის გახსნის დღეს ახალი წარმატებებით შეხვდებიან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლის-

შემძლე იდეების ერთგულმა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავის ირგვლივ შემოიკრიბა საქართველოს მშრომელთა მასები და დიდი ლენინის მიერ დასახული ამოცანების გასუბრეულად გატარებით ისტორიულად მოკლე დროში უზრუნველყო სოციალიზმის აშენება. საქართველო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გახდა ერთ-ერთი მოწინავე ინდუსტრიული ქვეყანა, მაღალ განვითარებული სოფლის მეურნეობით.

კომუნისტურ მშენებლობაში დიდი ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი კანონიერი სიამაყის გრძობით აჯამებს ბრძოლისა და შრომის 40 წლის გმირულ შედეგებს. საქართველოს სსრ ყველა წარმატება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებშია მოპოვებული, ლენინური ნაციონალური პოლიტიკისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკის შედეგია. საბჭოთა ხალხის ძმურ ოჯახში ქართველი ხალხი საკავშირო კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით თავდადებულად იბრძვის სკკ XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, შეიდწლიანი გეგმის გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის, გაშლილ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

კონსტანტინე ქოჩიაშვილი

წარსულის ფურცლები\*

კოლტწრე და მისი მუშაობა

1910 წლის დსაწყისში, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიქმნა პოლიტიკური წრე, რომლის ხელმძღვანელად იყო იმავე გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფე — დავით ალექსის-ქე უიფშიძე. წრეში შედიოდნენ: გრიგოლ კირილეს ძე ასათიანი, პავლე ჯიბოს ძე იაშვილი, ტიტუ ტაბიძე, ნიკოლოზ ვალაქტიონის ძე ნადირაძე, გიორგი იოსების ძე ჭიჭინაძე, ესველოლო იასონის ძე კახანაძე, ვანო ბიჭიას ძე იოსელიანი, მე და კიდევ რამდენიმე სხვა. სულ ექვსდღით ათი კაცი. პოლიტწრე თავს იყრიდა კვირაობით, ჯაკუის ხიდან, მღ. რიონის გაღმა, ამ შთას ფერდობებზე, რომლის ზემოთ ცხოვრობდა დათეშისის გვარეულობა.

კონსპირაციის დაცვის მიზნით, წრის წევრები თვალუბრს ვადევნებდით ჯაკუის ხიდს და მახლობელ ქუჩებს, რათა დროზე გაგვევყო, მოდიოდნენ თუ არა ჩვენსკენ პოლიციელები. თუ, ვინაცოხა, ასეთები გამოჩნდებოდნენ, ამ შემთხვევისათვის ჩვენ წინდაწინ გეჭონდა ნანუკები ბილიები, რომლებითაც უნდა გვესარგებლა და დაუყოვნებლოვ დაეშლილიყავით. წრის მუშაობა გრძელდებოდა 1910 წლის მარტიდან მაისამდე. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი წრის თითქმის ყველა წევრი საქმარისად იყო გაცნობილი როგორც სოციალ-დემოკრატიულ, ისე სოციალ-ფედერალისტურ და სხვა მიმართულებების ლიტერატურას ქართულ და რუსულ ენებზე. ემოციონობდით არალეგალურ პოლიტიკურ წიგნებსაც (მაგალითად, პლენარული „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“, მიხალოვსკის „გმირები და ბრძოლი“, ელცხასერის „ანარქიზმის არსი“ და სხვ.).

წრის წევრებს ანტირუსებდათ კლასობრივი ბრძოლის თეორიის საკითხები მგვრამ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ ეროვნული საკითხისა და მთლიანად — რევოლუციურ განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ. საუბრები, რომლებიც ტარდებოდა წრეში, ეხებოდა სოციალიზმის თეორიას, ნაციონალურ საკითხს საერთოდ, ქართველი ხალხის

განთავისუფლებას ეროვნულ ჩაგვრისაგან და ა. შ.

არსებითად თავისი მიმართებით ჩვენი წრე იყო რევოლუციურ-დემოკრატიული: ბერკეობიულ-დემოკრატიულ მოთხოვნათა ზევით იმის წევრობა უმრავლესობა არ მიდიოდა.

საჭიროა ხასი გაუსუვა ერთ გარემოებას: ვანო იოსელიანი<sup>1</sup>, ტიტუ (შემდეგში — ტიციან) ტაბიძე, პავლე (შემდეგში — პაოლო) იაშვილი და ნიკოლოზ (შემდეგში — კოლაქ) ნადირაძე ამ პერიოდში უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ ისეთ საკითხებში, როგორც იყო ნაციონალური საკითხი, ქართველი ხალხის ისტორია, მხატვრული ლიტერატურის თეორიის და ისტორიის საკითხები.

ყოველ შემთხვევაში, ჩატარებულმა პოლიტიკურმა საუბრებმა დადებითი გავლენა იქონია წრის წევრების მსოფლმხედველობის შემუშავებაზე, მათ შემდგომ მუშაობაზე და შემოქმედებაზე.

დემონსტრაცია ს. ა. შეროშველის სიყვდილთან დაკავშირებით

1910 წლის 26 ოქტომბერს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ცხოვრებაში დიდ მოვლენას პწონდა აღვილი. ამ დღეს კლასიკური გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეებმა დემონსტრაციული გამოსვლით აღნიშნეს პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარის — სერგეი ანდრას ძე შეროშველის ხსოვნა. ეს ის შეროშველია, რომელიც იყო ერთ-

1 აღვნიშნავ აქ ვანო იოსელიანის სახელთან დაკავშირებით ურადსაღებ ეპიზოდს. იტმორისტულ ეტრნად „მთარახსა და სალამურში“ (1910 წ. № 44) დაიბეჭდა „პატარა სცენა“ უჩინმაჩინის ხელმოწერით: ამ „სცენაში“ გამათარახებელია და გამასხარავებელი ქუთაისის ვეთა გიმნაზიის დირექტორი გღუ-შეკეთი და შავრაზმელი მსწაველებლები: იტრ-კეესვი, შუღეროვი, კესტინოვი, ბოკო, შლანკოვი და სხვ. ამ „პატარა სცენით“ უჩინმაჩინი დიდი აერზაერი და შემოფოთება გამოიწვია თბილისისა და ქუთაისის ხელისუფალთ შორის.

\* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1.

ერთ ლიდერი კადეტთა პარტიისა და სხვა დემუტაციებთან ერთად (შრომის ჯგუფდღები, მწვერულები და სხვ.) ხელი მოაწერა „ეიბორის მოწოდებას“ სათაურით: „ხალხს სახალხო წარმომადგენლებსაცა“.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს დემუტაციებში მიმართეს ხალხს მოწოდებით — შეწყვიტონ ახალი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევებზე ფულადი გადასახადები, სალდათების ჰიყმა და სხვა სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება.

„მურომცევი არ იყო რუსული რევოლუციის სახლხო გმირი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ლიბერალებს (კადეტებს) სერთ ვახაჯონ სახალხო გმირად ამას წინათ გარდაცული პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხ. ა. მურომცევი. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, ახ უნდა გვეშვით შემთხვევა, რომ გამოეყოფათ ზიზლი და სიძულელი მეფის მთავრობასადმი, რომელიც სდევნიდა ისეთ ზომიერ და უწყინარ ჩინოვნიკებსაც კი, როგორიც იყო მურომცევი“<sup>1</sup>.

ქუთაისის რევოლუციური ახალგაზრდობა ხელმძღვანელობდა სწორედ ასეთი ზიზლის და სიძულელის გრძნობით მეფის თვითმპყრობელობისადმი. მე და მთელი რიგი სხვა ამხანაგებიც უფრადღებით ვადგენდებით თვალსუფრის ვერნალ-გაზეთებს ქუთაისის საქალაქო ბაზრობითა-სამყაროზედ, რომლებშიც იმეზღებოდა ცნობები სტუდენტთა მოძრაობის შესახებ საუნივერსიტეტო ქალაქებში და სადაც ჩატარდა მიტინგები და დემონსტრაციები მურომცევის სიკვდილთან დაკავშირებით.

მოსწავლე ახალგაზრდობაში მომწიფდა აზრი ამ მოვლენის მიმართ გამოგვხატა ჩვენი რევოლუციური სტლისკვეთება და პროტესტი მეფის მთავრობის ტირანის წინააღმდეგ. ამ მიზნით კლასიკურ გიმნაზიაში შეიქმნა მოწვევითა რევოლუციური ჯგუფი, სადაც შედიოდნენ ნიკოლოზ პორფირეს ძე კანდელაკი (მე-8 კლასის მოწაფე), კონსტანტინე მახუბაღლის ძე ქონიაშვილი (მე-7 ძირითადი კლასის მოწაფე), ნადირაძე ნიკოლოზ ვალაკტიონის ძე (მე-7 პარალელური კლასის მოწაფე), იონა ტარასის ძე ნაიჩიშვილი (მე-8 ძირითადი კლასის მოწაფე), დანიელ იაკობის ძე კაციტელაშვილი (მე-8 პარალელური კლასის მოწაფე), აკაკი მათის ძე კოსტავა (მე-5 კლასის მოწაფე). ჯგუფის წინაშე დისხვა საკითხი — როგორ, რა ფორმებში იყო შესაძლებელი მოწვევითა გამოსვლა მეფის მთავრობის წინააღმდეგ? ვინაიდან მაშინდელ პოლიტიკურ პირობებში შეუძლებელი იყო ქუჩაზე დემონსტრაციის მოხდენა — ჩვენ გადავიწყვიტეთ შიგნით, კლასებ-

ში, ამხანაგებისათვის მიგვემართა წინადადებით: დეხზე ადგომით პატივი ეკეთა მურომცევის სხუნისათვის. ჯგუფის თვითმწვერი ეწეოდა აგიტაციის უმთავრესად თავიანთი კლასის მოწაფეთა შორის. 26 ოქტომბერს გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელიც დღი წარმატებით ჩატარდა. მე-6, მე-7 და მე-8 კლასების მოწაფეები ერთსულოვნად შეხედნენ მოწოდებას და ყველა ადგა ფეხზე.

მოწაფეთა პოლიტიკური დემონსტრაცია, რასაკვირველია, სრულიად მოულოდნელი და ამვე დროს მიუღებელი გახდა გიმნაზიის შეკრახველთა ბანაკისათვის, აგრეთვე მეფის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის. ამა ვინ მოითქვებოდა, რომ კავკასიაში არსებულ ერთ-ერთ საშუალო სასწავლებელში გახდებოდნენ მურომცევის სახელთან დაკავშირებით პოლიტიკური დემონსტრაციის მოწყობას! მართალია, ამ დემონსტრაციის ადგილი ჰქონდა არა ქუჩაში, არამედ გიმნაზიის შიგნით, კლასებში, მაგრამ მეფის ხელისუფლების ორგანოებში ნამდვილად გაიგეს პოლიტიკური მნიშვნელობა და ლაბებულემა მისწავლე ახალგაზრდობის ხსენებულ ისტორიული გამოსვლია და ის სწორად შეიფასეს.

როგორც გიმნაზიის შეკრახველ მასწავლებელთა (იურკვესკი, ზოგოკი), ისე დირექტორ ვლუშაკოვის მოხსენებებში, აგრეთვე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის — სლავოწინსკის, კავკასიის სასწავლო ოქლის „მზრუნველ“ რედოლფის სათანადო დოკუმენტებში ხახვას-მით აღნიშნულია, რომ 1910 წლის 26 ოქტომბერს მომხდარი მოწაფეთა რევოლუციური გამოსვლა წარმოადგენდა პოლიტიკურ დემონსტრაციას, პოლიტიკურ მანიფესტაციას.

ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ასეთ პოლიტიკურ დემონსტრაციას მთელი კავკასიის ფარგლებში (ჩრდილო კავკასიის ჩათვლით) ადგილი ჰქონდა მხოლოდ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში!

ყოველივე ამან მეფის ხელისუფალთ უკარნახა სათანადო სასჯელი დაედოთ დემონსტრაციაში მონაწილეთათვის და, პირველ ყოვლისა, დაესაჯათ დემონსტრაციის იღვერი სტლისაშმდგენი, ხელმძღვანელები და ორგანიზატორები.

რეაქციულთა ხელისუფლების წარმომადგენელი ტყვილად ემებდნენ 26 ოქტომბერს მომხდარი პოლიტიკური აქტის გამოწვევ მიზნებს გიმნაზიის ვარეთ. ისინი ფიქრობდნენ, თითქმის ეს აქტი მოხდა გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდობაზე ვარემ პართა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა ვაგლენის შედეგად. მე უნდა ვანაცხადო აქ, რომ ჩვენ — ხელმძღვანელთა და ორგანიზატორებს თვითონ დაგვეხადა აზრი

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 16, გვ. 453—454.  
9. „მნათობი“, № 2.

დემონსტრაციის მოწყობის შესახებ, ჩვენ თვითონ ჩვენზე საკუთარი ძალებით განვახორციელებთ ის I.

ვინაიდან ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პედაგოგური საბჭოს უმრავლესობამ გამოიჩინა ობტერალობა და 28 ოქტომბერს თავის სხდომაზე წინააღმდეგ საბჭოს შერჩეულ ნაწილს და პოლიტიკური დემონსტრაციის მოთავეები არ გააძევა გიმნაზიიდან, დირექტორმა გლუშაკოვმა 31 ოქტომბერს დღემით მიმართა „მზრუნველ“ რედოლფს და სთხოვდა მას ნება დაეთმო, რათა გიმნაზიიდან გაძევებინა ყველა მოთავე.

1910 წლის 1 ნოემბერს, რედოლფე დღემითვე უპასუხებს გლუშაკოვს: „დაუყოვნებლივ გააძევეთ მოთავეები, შესრულება მოახსენეთ“. 2 ნოემბერს (1910 წ.) გლუშაკოვი დღემით უპასუხებს „მზრუნველს“: „მოთავეები დღემის თანახმად გაძევებულ არიან“.

1910 წელს, 2 ნოემბერს, თავის მოხსენებაში № 1535 გლუშაკოვი სწერდა რედოლფს: „დამატებით 1-ლ ნოემბრის დღემისთან პატივი მიქვს მოწიწებით მოვასხეწო თქვენს აღმატებულებას, რომ გაძევებულ მოწაფეთა შორის განსაკუთრებით აღუღებელი არიან ქონიაშვილი კონსტანტინე და კანდელაკი ნიკოლოზი, რომლებიც იმყოფებიან ისეთ აღზნებულ მდგომარეობაში, თუნდაც დღევანდელ მომენტში, რომ მათ შეუძლიათ ჩაიღონ ესა თუ ის სახტყი აქტი საბჭოს რომელიმე წევრის, კერძოდ-პირადად ჩემს მიმართ. უფროსი კლასების ზოგიერთ მოწაფეებში შეიძინევა აგრეთვე საერთო აღილება, გამოწვეული მოწაფეთა გაძევებით. თვალყურისდევნება მოწაფეთა სულიერ განწყობილებაზე გაძლიერებულია“.

3 ნოემბერს (1910 წ.) რედოლფე დღემით უპასუხებს ამხზე: „მიმართეთ გუბერნატორს“. ეს დღემში მიღებული იყო ქუთაისში საღამოს 10 საათზე და იქვე (დღემზე) გლუშაკოვის ხელით ფაქტით არის მიწერილი: „მიემართეთ გუბერნატორს, რომელმაც მიიღო ცნობილი ზომები“. 4 ნოემბერი 1910 წ.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფეთა

დიდი უმრავლესობა დღევანდელ ჩვენს გაძევებასთან დაკავშირებით. შეჭრულად აღქმული ნაწილი ცდილობდა რომელმაც უფრო მეტად ფორმალურად გამოველინებინა თავისი პარტისტური ჩვენი გამოიციხვის წინააღმდეგ.

21 ნოემბერს მე-8 კლასის მოწაფის — ალექსანდრე გიორგის ძე კორტაძის ბინაზე შეიკრიბა გიმნაზიის მოწაფეთა აქტივის საიდუმლო თათბირი; მას დაესწრო 20-25 კაცი (მათ შორის ეყავით გაძევებულნიც). დასვა საკითხი თუ რა ზომები მიგვეღო გიმნაზიის შერჩეულად აღმინისტრაციისა და ყველა მათ მიმართ, ვინც ჩვენ გავაძევა, ერთხმად გადაწყდა, ნიშნად პარტისტისა ჩვენი გაძევების წინააღმდეგ, გადავდებულ იქნეს ნაშედილი უმმარა გიმნაზიის შიგნით. უმმარა უნდა ყოფილიყო გადავდებული და აფეთქებული ისეთ ადგილას, ისეთ პირობებში, რომ მას აფეთქების შედეგად არც ერთი მსხვერპლი არ მოყოლოდა I.

უმმარის გადავდება დაეკავალეთ გიმნაზიის მეექვსე კლასის ორ მოწაფეს: ვლადიმერ (კალაღია) ჯიქიას და მახვილ (მიშა გელოვანს).

სამწუხაროდ, კონსტანტინე კონიაშვილი არ იყო დაკავალი და ამიტომ თათბირს დაესწრნენ ჯაშუშებიც. იმავე საღამოს მათ შეატყობინეს ჩვენი გადაწყვეტილება (უმმარის გადავდების შესახებ) გიმნაზიის დირექტორს გლუშაკოვს, უკანასკნელმა კი აცნობა ამის შესახებ გენერალ-გუბერნატორ სლავოინსკის. ამ საყთხზე არსებობს გლუშაკოვის ვრცელი საიდუმლო მოხსენება რედოლფის სახელზე რომელიც მოწიშობს, თუ როგორი დაქვიშული მდგომარეობა არსებობდა ქუთაისის ეკეთა გიმნაზიაში 26 ოქტომბრის გამოსვლასთან დაკავშირებით. გლუშაკოვი სწერს, თითქოს მოსწავლე ახალ-გაზრდობის უმრავლესობა რეაქციის მხარეზე იყო, მაგრამ ეს სულ არ შეესატყვისება სინამდვილეს, პირიქით, მოწაფეთა დიდი ნაწილი რევოლუციურად იყო განწყობილი და სრულად არ ამირებდა ბრძოლის შეწყვეტას.

უმმარის გადავდება, როგორც პარტისტური

4 ჩვენმა რევოლუციურმა ჯგუფმა წინასწარ დავავალი გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფეს — ამხ. ესეულოდ იასონის ძე კაპანაძეს — უმმარის გადავდებაზე ეცნობებინა იმ დროისათვის გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი-ბოლშევიკი მიხეილ (მიშა) ოუტჯაიას და გიმნაზიის დირექტორ ენის მასწავლებელ პეტრე ყიფიანისათვის. მათ ორივემ მოიწონეს ჩვენი გადაწყვეტილება და თან გვირჩიეს, რომ ამ რევოლუციური აქტის შესრულებაში დიდი სიფრთხილე და წინადახედლობა გამოგვეჩინა. უმმარის აფეთქების შედეგად არ ყოფილიყო არც ერთი მსხვერპლი — კ. ქონიაშვილი.

4 ჩვენი ჯგუფის წევრს ამხ. ნიკოლოზ კანდელაკს ქონიაშვილი დაკავალი დემონსტრაციის შესახებ ფრანგული ენის მასწავლებელთან პეტრე ყიფიანთან. პირადად მე ამ საქმის კერძოში დავაყენე ქართული ენის მასწავლებელი პარმენ თვალურელიძე (ყახელი); ორთავე ისინი იწონებდნენ ჩვენს ჩანაღებრს, ჩვენს გადაწყვეტილებას, მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს დასახლებულ მოღვაწეთა შთაგონებით მოვწუთ ჩვენ პოლიტიკური გამოსვლა.

ჩვენი გაძევების წინააღმდეგ, არ მოხდა: ჯამუშების მეშვეობით ეს ჩვენი გადაწყვეტილება გამოვსახავდით. გენერალ-გუბერნატორი სლავონსკი მართლაც ეწვია გიმნაზიას 22 ნოემბერს: მან გააფრთხილა მოწაფეები და ამავე დროს დაემტკიცა მათ, რომ ისინი საპრაქტიკოდ დასჯილნი იქნებიან რევოლუციური მოძრაობის ხელშეწყობისათვის, გიმნაზიაში შეუდგრობის და არსებული წესრიგის დარღვევისათვის.

ჭკობზელი იყოთხავს, როგორ დასაჯეს პოლიტიკურ დემონსტრაციაში მონაწილენი? შეფის ნაცვალთან ვორონოვ-დასკოვთან შეთანხმებით „მზრუნველმა“ რედოლფმა 1) ექვსი მოწაფე, როგორც ორგანიზატორები, გააძევა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან. ამ რბუქვიდან ერთ მოწაფეს — კოსტავას მიეცა უფლება შესულიყო ქუთაისში, სათავადაზნაურო გიმნაზიაში; ხუთ მოწაფეს კი: კანდელაკს, ქოჩიაშვილს, ნადირაძეს, ნამიჩვიშვილს, კაქიტელაშვილს უფლება მიენიჭათ შესულიყვნენ სხვა სასწავლებლებში ქუთაისის გარეთ. მაგრამ ეს უფლება რეალური არ გამოდგა (რედოლფის მიერ საიდუმლო ზომების მიღების შედეგად, მაგალითად, ამ სტრუქტურების დამწერი სხვადასხვა საბაბით არ მიიღეს არც ბათუმის, არც ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში, აგრეთვე არ იყო მიღებული ნიკოლოზ კანდელაკი ერევნის გიმნაზიაში და სხვ. 2) 8 მოწაფეს, დემონსტრაციაში მონაწილეთ, ჩამოერთვა სახელმწიფო სტატუსი მისი მიღების უფლება 1910—1911 სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში. 3) 28 მოწაფეს უფლება ჩამოერთვათ განათვისუფლებული ყოფილიყვნენ სწავლის ფულიდან 1910—1911 სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში, აგრეთვე ჩამოერთვა უფლება მიიღონ რაიმე ფულადი დახმარება. 4) დემონსტრაციაში მონაწილეთ — სულ 168 მოწაფეს გამოეცხადა საყვედური უოცაქციაში ჩანიშნვის შემოკლებით ორი ნიშნით 1910—1911 სამოსწავლო წლის პირველ ნახევარში.

**ბრძოლა ჯამუშებთან**

1910—11 წლებში მე ვეცხოვრობდი ქუთაისში (ბესარიონ გაბუნიას სახლში, მაშინდელი ივანოვის ქუჩაზე, როგორც რეპეტიტორი, ვემეცადინებდი გაბუნიას უფროს ვაჟს და ქალიშვილს. მარტში პოლიციის ორი წარმომადგენელი მოვიდა და განუცხადა გაბუნიას ცალს, რომ, გუბერნატორის ბრძანებით, ქოჩიაშვილი კონსტანტინე გაძევებულა ქალაქ ქუთაისიდან.

მე მოვხვდი, რომ გაბუნიას სახლში დარჩენა შემდეგ იმთვის შეუძლებელი იყო. მეორე დღესვე გადავიბარე „გორაკზე“, ცაქციებთან, ჩემი აშანაძის, ელადიშვილის სარდალის ძე დედოფლის სახლში, სადაც დავიჭირე პატარა ოთახი.

გიმნაზიიდან გაძევების შემდეგ, კავშირ... არ გამოწყვეტია იმ ამხანაგებთან, ენც რევოლუციური მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას. ამასთან საქაროდ თვლიდა მკითხველის უფრადღება მივაქციო ერთ ფრიალსაწმენდარო ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. მე მხედველობაში მაქვს ჯამუშების (დამხმარებლების) „მოღვაწეობა“ და ბრძოლა მათ წინააღმდეგ. საარქივო მასალებიც ამის შესახებ საკმაოდ მეტყველებენ.

განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ქუთაისის კლასიკური გიმნაზია წარმოადგენდა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ბუდე, მაგრამ ამავე გიმნაზიის მოწაფეებში გამოვლინდნენ ელემენტები, რომლებიც ჯამუშობდნენ, მიჰქონდათ ცნობები რევოლუციური მუშაობის შესახებ გიმნაზიის დირექტორთან, პოლიციის ორგანოებში, გუბერნატორთან და სხვ.

განსაკუთრებით ძლიერდება ჯამუშერ-დამხმარებლებური ტალღა 1910—11 რეპეტის წლებში. აუცილებლად საჭირო იყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიზნით შეიქმნა ახალი ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ესეყოლად ისარის ძე კაპანაძე (გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფე), პეტერბურგიდან ჩამოსული სტუდენტი — ჩვენი მეგობარი დავით ალექსის ძე ყიფშიძე, მე და კიდევ ორი სხვა. ვინაიდან „დამხმარებლები“ ამოუკრებდნენ გიმნაზიას და იმავე წლის (1911 წ.) უნდა შესულიყვნენ სტუდენტებად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში — ჩვენ გადაწყვეტილთ პროკლამაციის საშუალებით გვემხილებინა მათი უნაობა, მათ დამხმარებლები „მოღვაწეობა“ — იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ისინი ჩარიცხეს სტუდენტებად. პროკლამაციის ტექსტი დაწერა რუსულად დავით ყიფშიძემ. ჯგუფმა მოიწონა ის და მიიღო დასაბუქვად. პროკლამაციის ისარი მიმართული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველი“ რედოლფის და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორის — ვლენკოვის შერახებულ-რეპეტითი მოქმედების, ძალდატანებითი რეპრესიებისა და, მეფის მთავრობის კავკასიაში რეპეტითი პოლიტიკის წინააღმდეგ, პროკლამაციაში აღნიშნული იყო „დამხმარებლების“ გვარი და სახელი, მათი ჯამუშერი საქმიანობა ქუთაისში. ვინაიდან მე ვრჩებოდი ქუთაისში, ჯგუფმა დამავალა დამხმარებელ პროკლამაცია ათასი ცალის რაოდენობით.

1911 წლის ივლისში მე ვაეციანი ივანე კლადის სტამბაში (ბალახანის, აქამოდ ავჯი წერეთლის ქ.) ასოთამაშეობი გვარად ჯემუშ-მალთანც და მოვეტრადე მას — 14 მანეთად დაუბეჭდა ათასი ცალი პროკლამაცია. აღნიშნავ, რომ კლადის სტამბის ასოთამაშეობა

შორის არსებობდა ისეთი თავისუფალი სტუდენტობა, რომ რევოლუციური დოკუმენტის დაბეჭდვის არავითარი შიში არ იგრძნობოდა.

ქარვალ მახსოვს, რომ ჩვენი პროკლამაცია დაბეჭდვა დღისით, ათასი ცალი შემთხვევი. და წავილე გორაზე ჩემს ოთახში შესანახად. ორასი ცალი პროკლამაცია გადაეცეო ჩვენი ჯგუფის წევრს—უცუელოდ დახონის ძე კახანაძეს სტუდენტთა შორის გაავრცელებლად მოსკოვის უნივერსიტეტში, 800 ცალი კი შვედკარო ცალკე და წავილე სოფ. ზემო სიმონეთში, სადაც ზაფხულს ატარებდა თავის მამის სახლში დავით ყიფშიძე. რევოლუციური ჯგუფის გადაწყვეტილების თანახმად, დავით ყიფშიძემ 200 ცალი პროკლამაცია გაავრცელა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. პროკლამაციის დანარჩენი ნაწილი ორას-ორასი ცალით იყო გავრცელებული კიევის, ხარკოვის და ოდესის უნივერსიტეტებში (სადაც ჯამშეშვიძე ჩარიცხნენ სტუდენტებად).

ჩვენი მუშაობამ თავისი დადებითი ნაყოფი გამოიღო: ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან გამოსული „დაამბულელები“ პროკლამაციის გავრცელების შედეგად არ იყვნენ დაშვებული არცერთ სტუდენტურ სათვისტომოში ან რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში.

მეორე დღი მთვლენა, რომელიც ასევე უნდა აღინიშნოს, ეს იყო შვრახშვილი დირექტორების — გულშაყვისა და ლეონტიევის დაქრა ვინაშისტ ო. ლორთქიფანიძის მიერ, რომელიც შემდგომ მხეცერად ჩამოახრჩეს მეფის ჯალათებმა.

ასეთი ზოგიერთი ეპიზოდი ქუთაისის ახალგაზრდობის რევოლუციურ წარსულიდან.

1 1912 წელს იენისის დღეებში მე ჩავედი ფოთიდან ქუთაისში. ისიღორე კეიკარიძის წიგნის მალაიის ვეერდიმ მღებარე საპარიკმაბეროში მე შემხვდა ერთ-ერთი იმ ხელ დაამბულელებლათგან, რომლებიც იყვნენ მხილებდენი. პროკლამაციის გავრცელების შემდეგ ის არ მიიღეს არც ერთ სტუდენტურ ორგანიზაციაში. თანაც დაემატა, რომ მან იცის ვინ არიან ენიკიატორები პროკლამაციის დაბეჭდვის და გავრცელების საქმეში. ერთ-ერთი ენიკიატორად დამასახელა მე და ამასთანვე დამემუქრა — კ. ქონიაშვილი.

მემაშულეებისა და კაბიტულენტების მეფის მთავრობას საქართველო გადამეცემა და ნამდვილ კოლონიად და მას სხავრადუნენ და ექსპლოატაციას უწევდუნენ ისევე, როგორც დანარჩენ განაბირა ქვეყნებს. მეფის მთავრობა, — ამბობს ნ. ს. სრულშოვი, — რუსეთის განაბირა ქვეყნებში არსებითად აბორციელებდა კოლონიერ პოლიტიკას, რომელიც ბევრით არადრით განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ახლა ეხედეთ კოლონიერ ქვეყნებში. უხუბუკებს, კახაყებს, ტაჯიკებსა და სხვა არარუს ეროვნებებს ექმალდურად უწოდებდუნენ „სხვა ტომის“ ხალხებს. ისინი აღამაინებდა არ მიანდით და უღმობულ ექსპლოატაციას უწევდუნენ. ამ ხალხთა შორის აღეივებდუნენ ეროვნულ შეუღლს, სიძულელილს და შინაბრძოლას და მეფის იმპერიკა ეერდნობოდა მხოლოდ ხიმტისა და ჩავერას-1.

„ხიმტისა და ჩავერის“ წინააღმდეგ იბრძოდა ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობაც.

მთელ რიგ მომენტებში ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა გამოდიოდა ხალხის ნაციონალური ინტერესების დასაცავად (ქართული ენის, ქართული კულტურის დაცვა), ე. ი. აწარმოებდა ნაციონალურ ბრძოლას, რომელიც როგორც ნაწილი სოციალური რევოლუციისა, ნაწილებს პერიოდში უუბველად წარმოადგენდა მთელი ისტორიული ვანეთარების ასექტისდა მახედეით, აუტოლებელ დადებით მოვლენას.

1921 წლის 25 თებერვალს, სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა საქართველოშიც. ამის შედეგი იყო ის, რომ სამუდამოდ გაყამტვერდუნენ, მოისპუნენ თავისუფლებინმოყვარე ხალხების მტრები: ეორონიცე-დაშკოევი, რედოლფები, სლავოჩინსკები, ლეონტიევიები, გულშაყევიები, შელდროევიები, ეუსტინოვიჩები და სხვანი.

სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო მენშევიკური მთავრობა, თვადანაზურობის ბურჟუაზიის ბატონობა და შექმნა ურყევი წინაპრობანი იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის განეთარება მტკიცედ გადასულიყო სოციალისტურ ლანდაგებზე.

1 ნ. ს. სრულშოვის სიტყვა გავრთინებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიანზე. ვაზ. კომუნისტი, 1960 წლის 24 სექტემბერი, № 223.



გიორგი ნაგროშვილი

ქართველი პოეტები მსოფლიოს გზებზე

სიხარული და ნაღველი, აზრი და გრძნობა, სიყვარული და სიძულვილი, რომელიც ჩაქსოვილია წიგნში — ვრცელდება ქვეყნად ელვის სისწრაფით, ვრცელდება, როგორც სხივი მზისა, როგორც გამოძახილი კაცის გულის ხმიანობისა. წიგნების გმირები, როცა მწერალი შესძლებს და მათ სულს ჩაუღვამს, მოედებიან ხოლმე მთელ მსოფლიოს, ეცნობიან ქვეყნებს, ხალხებს, ხელს ართმევენ მანამდე უცნობ ადამიანებს, უმეგობრდებიან, მძალ გაეფიცებიან, თან გაპყვებიან ძნელ გზაზე, ჭირში ანუგეშებენ, ჩააფიქრებენ, და საერთოდ უფრო შეაყვარებენ სიცოცხლესა და სამშობლოს, გულს გაუსპეტაკებენ და სიმათლის წმინდა შუქით გაუბრწყინებენ. და ეს გმირები წიგნებისა, ავტორებზე განუზომლად უფრო დიდხანს ცოცხლობენ. სერვანტისისა ალბათ ძვლებიც აღარ არის საფლავში, დონ კიხოტი კი უკვდავია: საუკუნეების მანძილზე დახეტიალობს მისი ლანდი ქვეყნიდან ქვეყნად. და ეს საცოდავი რაინდი მუდამ წამოუღერებს შუბს უმწიო ქალისა და ბავშვის დამჩაგვრელს. რევისორმა კოზინცევა მშვენიერი გადაწყვეტა მოუძებნა ფილმს დონ კიხოტე — რაინდი ლოგინში კი არ კვდება, ისე როგორც რომანში; არა, ფინალში ის კვლავ აბჯარასხმული გამოდის გზაზე და მიემართება მომავალ საუკუნეებში სამოგზაუროდ.

მაგრამ დავანებოთ თავი ძველებს — განა მათსავით არ მოგზაურობენ მსოფლიო ლიტერატურის ახლანდელი დონ

კიხოტები! ასე მოვიდნენ ჩვენთან ჰემინგუეის მოხუცი სანტიაგო, სიზმარში ლომები რომ ელანდება, და პატარა ბიჭუნა — მანოლინი, სასოწარკვეთილ მოხუცს რომ ამხნევენ — უიღბლობას შენი ჭირიც წაუღია, ჩვენ ბედნიერნი ვიქნებითო; ასევე მოვიდნენ ჩვენთან, თითქოს ნუგეშის საძებნელად. სტეინბეკის ლატაკი, მიწიდან აყრილი ფერმერები, რომ თავიანთი დარდი შემოეჩივლათ; ასე მოვიდა ჩვენთან რემარკის ჯგარისკაცი გრებერი, სულშეხუთული და გაოგნებული ომის ჯოჯოხეთისაგან; ასე მოვიდნენ ჩვენთან შორეული არგენტინიდან ალფრედო დე გრაინას მამაცი და გულწრფელი მწყემსები. ასე მოვიდნენ ჩვენთან არმან ლანუს მაიორი ვატრენი და ლეიტენანტი სუბეირაკი, რომლებსაც, მეორე მსოფლიო ომში, სანგრებში, ტყვიის წვიმაში თავიანთ ზურგს უკან საფრანგეთი ისე ელანდებოდათ, როგორც ვეებერთელა ამწვანებული მინდორი, რომელსაც ფოლადის ურჩხული გადათქერასა და გადათხრას უპირებდა. მაიორი ვატრენი მოვიდა ჩვენთან იმისათვის, რომ დაედასტურებინა — ისიც ჩვენთან იქნება მუდამ სამართლიანობისა და სიკეთის დასაცავად.

ასე დადიან წიგნების გმირები ხალხთა შორის.

ასევე წავიდნენ ჩვენი ქართველებიც მთელს მსოფლიოში სამოგზაუროდ. კონსტანტინე არსაკიძე — ვაჟაკი და მშვენბელი — ახლა მოგზაურობს ქვეყნიდან ქვეყნად, აცნობს ხალხებს თავის

სამშობლოს, თავის ხელით აგებულ სვეტიცხოველს, თავის ხელით აშენებულ საქართველოს. ჩვენ ვიცით, როგორ ზედებთან მას უცხოეთში — ხელგაშლით, გულღიად, ისე როგორც საყვარელ მეგობარს.

ასევე ნერცხლებივით გაფრინდნენ აზიის სივრცეებში ირაკლი აბაშიძის ლექსები, რათა ინდოეთში მოპფერებოდნენ მომხიბვლელ ამრიტა პრიტამს და პაკისტანის ციხეში ნუგეში ეცათ აოეტ ფაზ ახმად ფაიზისათვის.

ასევე ხმიანობენ გიორგი ლეონიძის მგზნებარე ლექსები ბალატონის სანაპიროებზე და სიმონ ჩიქოვანის ფრთიანი სტრიქონები გერმანიასა და პოლონეთში. ასევე ეცნობიან ახლა ფრანგი მვეენახეები და გერმანელი ბაუერები იმერელ გლეხებს — მექი ვაშაიძესა და ტარასი ხაზარაძეს. ასე დადის ლათინური ამერიკის ქვეყნების რანჩოებსა და ხაკალეებში ჩვენი ძველი ნაცნობი გვალი ბიგვა, ესაუბრება მექსიკელ პეონებსა და არგენტინელ გაუჩოებს იმაზე, თუ როგორ აქცია ის კაცად ახალმა დრომ, რა სიხარული მოუტანა მას — ოდესღაც საკუთარი მანდარინების ქურდს და ახლა კი სასახელო ადამიანს.

და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ!

საბჭოთა მწერლების მესამე საკავშირო ყრილობის ტრიბუნაზე საფრანგეთის დელეგაციის სახელით გამოვიდა მწერალი არმან ლანუ, რომელმაც ერთი ფრიალ საგულისხმო რამ თქვა; როცა დარბაზი მას მქუხარე ტაშით შეხვდა, მან განაცხადა: მე არ დამიმსახურებია ასეთი პატივისცემა და მე ვიცი თქვენ ამ ტაშს ფრანგ ხალხს უყრავთო. იმ წიგნებში, რომლებიც მე დავეწერე, თქვენ ჩემი ქვეყნის სახეს ხედავთ, ამიტომ ნება მომეცით ვაქვრე ამ ტრიბუნიდან, ამოვეფარო ჩემს პერსონაჟებს და დაე, მათ ილაპარაკონო. და მართლაც, შემდეგ მან თითქოს ფიზიკურად დაუთმო სიტყვა თავის რომანების გმირებს — გამოჩენილ ფრანგ მწერალს

ზოლას და მამაც მებრძოლს — ჯიორ ვატრენს.

ნამდვილი ჰუმანიტეზად გამოთქმული ამ სიტყვებში: მწერალი — ეს მისი ქვეყანაა, მისი ქვეყნის ცოცხალი სულია; თუ შენს წიგნში არა ჩანს საქართველო, ქართველი კაცის ხასიათი, მისი გული და სული — ისე არა ღირს წერა! თუ უცხო მკითხველისათვის შენი წიგნი ისეთი საინტერესო და თავისებური არ იქნება, როგორც ქართველი კაცია, — ასეთ წიგნზე დახარჯული შრომა — წყალში გადაყრილია.

საბჭოთა ეპოქამ უსაზღვროდ გაზარდა ყოველი მწერლის პასუხისმგებლობა მკითხველის, ხალხის, სამშობლოს წინაშე; ის გზა, რომლითაც ჩვენი ხალხი მიდის, ჯერ გაუქვალავია. კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არავის უვლია ამ გზაზე. და ბუნებრივია, რაოდენი გაბედულება, რა დიდი გული, რაოდენი საზრისიანობა უნდა ჰქონდეს მას, ვინც მოწოდებულია გააქაფოს ეს გზა და ქვეყანა თან გაიყოლოს.

და აი, როცა საბჭოთა მწერალი მიემგზავრება უცხოეთში, ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულუფლებიანი ელჩია თავისი ქვეყნისა; მის სიტყვას ყურს უგდებენ მილიონები სამშობლოშიც და მის გარეთაც.

არაერთმა ქართველმა საბჭოთა პოეტმა მოიარა მსოფლიოს გზები და ამ მოგზაურობას მოჰყვა ვრცელი წიგნები, რომლებიც ამდღარებენ ახალი საბჭოთა ლიტერატურის საუნჯეს!

მოგზაურობის თემა ლიტერატურის ისტორიაში თავისთავად ახალი არ არის. ვინ მოსთვლის, რამდენ ძველ პოეტს აუღია პილიგრიმის ჩანთა, რომ მოველო ქვეყნები და მკითხველისათვის გაეზიარებინა თავისი აზრი მათს შესახებ. წარსულის ლიტერატურულ საგანძურში უძვირფასეს დოკუმენტებად დარჩენილა ამ მოგზაურობათა პოეტური და ბელეტრისტული აღწერანი. მათს ავტორებს ნათლად და მკაფიოდ აღუბუქდავთ თავიანთი ეპოქა მგზავრის ფიქრებისა და შთაბეჭდილებების პრიზმიდან.



ისიც უნდა ითქვას, რომ მოგზაურობის თემა არც ისე იოლი დასაძლევია. პოეტის თვალი ახალ პეიზაჟებსა და ადამიანებს შესცქერის — როგორ გამოხატავს ის ამ ახალ გარემოცვას, როგორ გადმოსცემს მის კოლორიტს, რას იტყვის ახალს იმ ქვეყანაზე, რომელსაც ის ესტუმრა, შეამჩნევს თუ არა იმ არსებობას და დამახასიათებელს, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრებას იმ ქვეყნისას, სადაც მისი ფეხი პირველად ხედება და მისი თვალი პირველად უმზერს ცასა და მიწას, რას ეტყვის ახალს თავის მკითხველს, რას შესძენს თავისი ქვეყნის ლიტერატურას.

ამ მხრივ პოეტი მართლაც უძნელესი გამოცდის წინაშე დგას, იმიტომაც, რომ მან მკითხველს უბრალოდ კი არ უნდა მოუთხროს, რაც უნახავს, არამედ თან წაიყვანოს, მთელი ძალით აერძნობინოს, განაცდევინოს ისე, თითქოს წიგნს კი არ ფურცლავდეთ, არამედ მოგზაურობდეთ იმავე მარშრუტებით, იმავე მთებ-სა და ველებზე.

**გალაქტიონ ტაბიძე პარიზის კონგრესზე**

პირველი ქართველი საბჭოთა პოეტი, რომელმაც ამჟამად გაიტანა ახალი საბჭოთა საქართველოს სახელი მსოფლიოს გზებზე — ეს იყო გალაქტიონ ტაბიძე. იგი, როგორც დელეგატი კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესისა, 1935 წლის ივნისში ეწვია პარიზს და იმავე ხანებში მოიარა თითქმის მთელი ევროპა.

გალაქტიონი სრული უფლებით დგას ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურის სათავეებთან; მისი ქმნილებანი — საბჭოთა კლასიკის პირველი შესანიშნავი ნიმუშებია და ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ქართულმა პოეზიამ გალაქტიონი წარგზავნა კონგრესზე, რომელიც იყო ჰუმანიზმის, კაცობიერების მაღალი ტრიბუნა, პირველი კოლექტიური პროტესტი მსოფლიო ინტელიგენციისა იმ ბარბაროსობის, იმ ვე-

ლურობის წინააღმდეგ, თავიანთს რომ მოჰქონდა ქვეყნად.

ეს კონგრესი იყო დიდი ტრიბუნა, რომლიდანაც გონება და სინდისი კაცობრიობისა — შეშფოთებული ხალხთა ბედით და მათი მომავლით, ჰგომობდა შუა საუკუნეების ბნელეთს, რომელმაც უკვე აანთო თავისი ჯოჯოხეთური ხანძრები ევროპის შუაგულში და იმ ხანძრებში გადაყარა ყველაფერი საუკეთესო, რაც კი ადამიანის ძლევაგამოსილ გონებას შეუქმნია.

მსოფლიოს ხალხებმა იმ კონგრესზე თავისი ყველაზე რჩეული შეილები გაგზავნეს.

და როგორც ვთქვით, საქართველომ ამ კონგრესზე დელეგატად გაგზავნა გალაქტიონ ტაბიძე, პოეტი, რომელიც ჩვენს მწერლობაში პირველი მიესალმა ოქტომბერს — კაცობრიობის ახალ გარიჟრაჟს, პირველმა შესძახა მთელი გზნებითა და მღელვარებით:

გათუნდა, ციცილია მზე ანთო, აცურდა,  
დროშები ჩქარა!  
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,  
ვათ დაჰრაილ ირმების ვუნდს წყარო ანკარა...  
დროშები ჩქარა!

ეს სტრიქონები გალაქტიონმა 1917 წელს დაწერა და იმ დღეებიდან მოყოლებული მისი პოეზია ქდერდა, როგორც მუსიკა რევოლუციისა; ამ დიდმა მემკვიდრემ ჩვენი კლასიკური პოეზიისა, თავისი სული აქცია იმ სეისმოგრაფად, რომელიც აღბეჭდავდა ყოველ ნახაჯს ახალი კაცობრიობისას, აღბეჭდავდა იმ დიდ ძვრებს, რომლებიც ხდებოდა მსოფლიოში.

ევროპაში მოგზაურობას და კულტურის დაცვის პარიზის კონგრესს პოეტმა მიუძღვნა ვრცელი ციკლი თავისი ლექსებისა, სადაც კვლავ გაისმა მკითხველისათვის ესოდენ ნაცნობი და მომხიბვლელი ხმა გალაქტიონისა, აღსაყვ მგზნებარე პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის უკეთილშობილესი გრძნობით.

როგორც ბევრ სხვა სფეროში, გალაქტიონმა აქაც, ამ თემაზეც უჩვენა გზა ჩვენს პოეზიას, მისცა შესანიშნავი

ენიმუნი იმისა, თუ როგორ და რა ასპექტში უნდა დაინახოს და გამოხატოს საბჭოთა ქვეყნის პოეტმა მანამდე არნახული ქვეყანა. ლიტერატურის ისტორიაშიც არაერთი მაგალითი გვახსოვს, როცა პოეტები თავიანთ მოგზაურობას ავეიწერდნენ; გაიხსენეთ მიცკევიჩი — ყირიმში ყოფნისას მას თავისი პოლონეთი აგონდებოდა, ალუშტაში ის თავის ვისლას იხსენებდა. ეს მონატრება სამშობლოსი უცხოეთში — არის უძლიერესი, ყოვლისმომცველი გრძნობა, ის უნებურად იბყრობს პოეტს, რა ეპოქასაც, რა თაობასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ასე მოხდა აქაც. პარიზის ციკლის ლექსებში, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ამ ციკლს, პოეტის მთავარი მოტივი, მთავარი თემა — ესაა გახსენება საქართველოსი.

აი, მაგალითად, ლექსი „მოგონება მშობლიურ მხარის“.

მისცემია ძილს ბრეტანი,  
 ალღოლეებს ზვირთებს მთვარე,  
 „ნამეტანი, ნამეტანი,  
 შორი გზები მოვიარე“.  
 მისცემია ძილს ბრეტანი,  
 მე კი მახსოვს მსხმოიარე,  
 ჩვენი მთა და მოედანი,  
 მშობლიური არე-მარე.

მეორე ლექსს, რომელიც პოეტს მარსელში დაუწერია, ეწოდება „ფაქრები სამშობლოზე“. პოეტი გასცქერის მარსელის პორტს, შორ გზებზე რომ ისტუმრებს გემებს, და ისევ ფოთი და რიონი ახსენდება, მათ ეფერება, ეაღერსება; ამავე ვანწყობილებითაა აღსავეს ლექსი „სადღაც დარჩა შორს, სტოკჰოლმი“, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ერთი უსათაურო ლექსი, პარიზში დაწერილი, რომელსაც აქ მთლიანად მოვიყვანთ:

მეტყვი, როგორც ეს გრიგალი, დამივიწყე მეცა...  
 გაიხსენე, შენ სამშობლოს მშენიერი ზეცა.  
 მტყვი, იგრძენ მუხის ერეოლა შორი მინდვრიდანა,

როგორ მიდის, როგორ მოდის, როგორ  
 მგვრამ ეს ხომ სიზმარია,  
 აქ ვერ ვხედავ ბალასს,  
 ქვას სიმძიმე სამარედ ზღის  
 უზარმაზარ ქალასს.

აქ მთელი ძალით იგრძნობა უნაზესი სულის თრთოლევა გალაკტიონისა, რომელსაც პარიზში ესმოდა შრიალი ქართული მუხებისა და ამ ქვეის ქალაქში მას ელანდებოდა, როგორ არხევეს ნაავი საქართველოს ჯეჯილებს.

მაგრამ ეს მაინც მარტო ერთი მხარეა გალაკტიონის პარიზული ციკლისა; როგორც ყველგან, გალაკტიონი აქაც მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო — მას შეეძლო გამოეხატა ცხოვრება მის მთლიანობაში, გადმოეცა ყველა ხმა და ფერი ბუნებისა, და ამასთან, ყველა ნაბიჯი კაცობრიობის წინსვლისა ნათელი მომავლის გზაზე. ზემოხსენებული კონგრესიც მან აღიქვა, როგორც სინათლის მძლავრი შეტევა ფაშისმისა და რეაქციული ბნელების წინააღმდეგ.

გალაკტიონისათვის ჩვეული მგზნებარეებითა დაწერილი ლექსი „ანრი ბარბიუსი კონგრესზე“. ბარბიუსის სახელი მშეიდობისათვის, ადამიანის თავისუფლებისათვის, პროგრესისათვის ბრძოლის დროშა იყო; ბარბიუსმა თავისი სიყვარული ქართველი ხალხისადმი კარგად გამოხატა წიგნში „აი რა უყვეს საქართველოს“, ამავე სიყვარულმა საქართველოსადმი ბარბიუსს დააწერინა უფრო მოგვიანებით მეორე წიგნი — „სტალინი“. სიყვარული მუდამ მოითხოვს სამაგიეროს და აი გალაკტიონმა, მთელი ქართველი ხალხის სახელით, მადლობა გადაუხადა ბარბიუსს:

ბაწყინავს დარბაზი, სინათლე ნაზი  
 როგორც ნანატრი რამ ფერია,  
 იატაკიდან ჰერს შეერია  
 და ეღვარებას მისცა სიახლე.

როგორც სიზმარი რამე ნანატრი  
 გადახევევა ათასფერ მინას,  
 ასე დიადი, სასახლე ბაწყინავს —  
 შეთანხმებისა ბაწყინავს სასახლე.

რა მორიდება და დიდი ხათრი,  
 რა სიყვარული ხალხის სწერია,

გამოძახილი — მშენებელი,  
 ბარბელის სიტყვა, მისი მეტადრე  
 პარიზთან მკვიდრად გადახრდილი,  
 ბარკალები, წითლად ნაბანი  
 ეს პერ-ლაშეზი და ბასტილია,  
 ზარბაზნების ხმა და ბარბანი.

გარეთ კი შტერი დაღის იოლად  
 სადაც პალმების მწვანე ქაფია,  
 მას უნდა არა კარმანიოლა,  
 არამედ ღუნეს ბიოგრაფია.

სახალხო ფრონტს და ინტერნაციონალს  
 სურს ხალხში შევიდრად გაიდგას ფესვი,  
 მის ზრწყინვად და მზიურ მომავალს,  
 ვხაზურება ჩვენი კონგრესი.

ამოდ სიკვდილს სურს დასცეს გმირი,  
 და ამოგლიჯოს საგულეს გული,  
 თვით დაეცემა გულგანავშირი,  
 სიციცხლის ცეცხლით შემობერული.

ამ ლექსში გალაკტიონს აღწერილი  
 აქვს ის წუთები, როცა კონგრესის პრე-  
 ზიდიუში ის ბარბელის გვერდით იჯ-  
 და და ის განწყობილებანი, რომლებიც  
 მაშინ მის სულს დაუფლებოდნენ. უპირ-  
 ველესმა ქართველ პოეტთა შორის გა-  
 მოხატა თავისი სულიერი ნათესაობა  
 ფრანგული კულტურის ამ დიდ ოსტატ-  
 თან, რომელიც მსოფლიოს დიდ მწე-  
 რალთა შორის პირველი მიესალმა თა-  
 ვისუფალ საბჭოთა საქართველოს. ბარ-  
 ბელისა და გალაკტიონის ეს შეხვე-  
 დრა — ძალზე ამალელებელი ფურცე-  
 ლია ხალხთა თავისუფლებისათვის  
 ბრძოლის ისტორიაში. და ამ ისტორიის  
 დიდმნიშვნელოვნების გრძნობით არის  
 დაწერილი ლექსი გალაკტიონისა.

კონგრესი შეიკრიბა იმ დღეებში, რო-  
 ცა მსოფლიოს ცაზე შავი ღრუბლები  
 იყრიდნენ თავს; გათავხედებული ფა-  
 შისტი მხეცი უკვე გამოსული იყო შარა-  
 გზაზე, რათა დაეწყო ძარცვა-გლეჯა,  
 დაეთესა სიკვდილი, დაეგრია ქალაქები,  
 გაეწყვიტა მილიონობით ადამიანები და  
 გალაკტიონის ზემოხსენებული ციკლიც  
 სწორედ იმ მხრივ არის საინტერესო,  
 რომ აქ იგრძნობა შეშფოთება, აქ ისმის  
 მოწოდება ხალხებისადმი — წინ აღუ-  
 დგნენ ამ მხეცს, გზა გადაუკეტონ, არ  
 მისცენ შესაძლებლობა დაამხოს ათეუ-  
 ლი თაობების ტანჯვით და შრომით აშე-

ნებული დიდი საკაცობრიო კულტურა.  
 ლექსში „ეიფელის კოშკზე“ გალაკ-  
 ტიონმა პარიზში გაიხსენა აკაკი წერე-  
 თელი, რომელიც ოდესღაც ესტუმრა ამ  
 ქალაქს. და ჩვენც უნებურად გვახსენ-  
 დება იმ დღეების გალაკტიონი, რომე-  
 ლიც აკაკის მსგავსად უძახის და უყი-  
 ვის გმირებს დიდი მსოფლიო კატაკლიზ-  
 მების წინ; ქართველი საბჭოთა პოეტი  
 მოუწოდებს ყველას დაირაზმონ ხალხთა  
 სიციცხლის გადასარჩენად; ამას ეძლე-  
 ნება გალაკტიონის ლექსი „უცხოელი  
 პოეტი“.

უმცროსმა ჩემზე ჩამდენამე წლით  
 ცხოვრებას ადრე ავალი უძია,  
 როცა ჰკითხვენ, საით, რომელ გზით,  
 ის ამბობს — სადაც რევოლუცია.  
 გულით ამბანი მრავალთა ბედის,  
 იგი ერთგული პოეტთა ჩაზნით,  
 სამოქალაქო გრეგალში შეღის,  
 ჯერ არსმენილა ენთუზიაზმით.  
 როგორ უყვართ ის, ის ჩვენთან არის,  
 ის, ვისაც მეორად და უანგაროდ,  
 ცეცხლში და წყალში ახალგაზრდობა  
 რომ თან გადაჰყვას — მხადა მარად!

გალაკტიონ ტაბიძის ეს მოგზაურობა,  
 და ლექსების ეს ციკლიც იყო ახალი  
 თავფურცელი ქართული საბჭოთა პოე-  
 ზის ისტორიაში, აქ, ამ სფეროშიც  
 მთელი ძალით გამოჩნდა ის სასიციცხ-  
 ლო ენთუზიაზმი, ის მღელვარება სული-  
 სა, რომელიც მუდამ იტაცებდა მკითხ-  
 ველს ამ დიდი ოსტატის შემოქმედება-  
 ში.

### მადიარების ქვეყანაში

ეს იყო ამ ათიოდე წლის წინათ. თბი-  
 ლისის სადგურის მოსაყდელ დარბაზ-  
 ში თავმოყრილი უნგრელი მწერლები  
 მატარებლის ჩამოდგომას ელოდნენ,  
 რათა ქობულეთისაკენ გამგზავრებუ-  
 ლიყვენ. ირგვლივ სიწყნარე იყო. უეც-  
 რად რადიოთი სიმღერების გადმოცემა  
 დაიწყეს. დარბაზში მოისმა „გაფრინდი.  
 შვიო მერცხალო“... ომში წასული მშის  
 ამბის ნატრია, ის სევდანარევი მოლო-  
 დინი, რომელიც მოისმის ამ ნაღვლიან  
 სიმღერაში — მთელი ძალით ათრთო-  
 ლებს ადამიანის გულს. ეს მორთოლვა-  
 რება უძალ აღიბეჭდა მადიარების სახე-

ზეც... ისინი ყურადღებით უსმენდნენ ძველ ხალხურ სიმღერას. მიუხედავად იმისა, რომ მათ სიტყვები არ ესმოდათ, მელოდია შეეხო შანდორ პეტეფის ქვეყნიდან მოსული ადამიანების გულის ყველაზე სათუთ სიმებს. ალბათ, თავისი ალტაცება უნდოდა გამოეთქვა უნგრეთის კულტურის მინისტრს, მწერალ იოკეფ დარვაშს, ამისთვის მოუბრუნდა ის ქართველ მწერლებს, მაგრამ მას სიტყვა დიქტორმა გააწყვეტინა: „შაშვი კაკაბი შეიბნენ“, — გამოაცხადა მან.

— შაშვი კაკაბი შეიბნენ — თავისი სათქმელის ნაცვლად გაიმეორა დარვაშმა და გაიღიმა; როცა „შაშვი-კაკაბი“ დამთავრდა — სტუმრებმა ითხოვეს ამ სიმღერების ფირფიტები უნგრეთში გაგვაცანეთო.

ასე აახლოვებს ლექსი და სიმღერა ხალხებს და ერებს, მაგრამ „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ მელოდია პირველი მერცხალი როდი იყო, რომელმაც უნგრელებს საქართველო გააცნო. ჩვენი და მათი ხალხები მანამდეც ნაცნობები იყვნენ. უნგრეთი ჩვენ გაგვაცნო მეცხრამეტე საუკუნის დიდმა პოეტმა შანდორ პეტეფმა, რომელიც ქართულ ენაზე აამეტყველა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ. ქართველმა ხალხმა პეტეფის ლექსებში ძალიან ახლობელი და მონათესავე სულიერი სამყარო დაინახა... ხოლო საქართველო უნგრელებს — რუსთაველის პოემამ გააცნო. მეცხრამეტე საუკუნეში უნგრეთი ბრძოლის ველად იყო გადაქცეული — ამ ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოძახილი შორს სწვდებოდა. ამ ხმას გატაცებით უსმენდნენ საქართველოშიც. როცა იღია ჰავკვაძე ამბობდა — „სიმართლის ხმა ქვეყნადა პქუსს, დასათრგუნად მონობისაო“ — ის უნგრეთის მოძრაობასაც გულისხმობდა; აკაკი წერეთელმა ასევე ზუსტად გამოსთქვა თავისი ალტაცება მაღიართა ბრძოლით, როცა პირდაპირ აღიარა: უნგრეთი ცდილობდა განთავისუფლებას და ებრძოდა ავსტრიას, კოშუტი გაუხდა ყველა შეგნებულ ქართველ მა-

მულიშვილს იდეალადო. აკაკი წერეთლის ეს სიტყვები — ნათელი ჩლუსტაციაა იმისა, თუ რაოდენ ინტერესს ხწვევდა უნგრეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ მსოფლიოში. ხოლო დღეს, საბჭოთა ეპოქაში, უნგრეთი ჩვენ გაგვაცნო პოეტმა გიორგი ლეონიძემ, როცა მან — საქართველოს ბუნების შთაგონებულმა მოტრფიალემ, სიყვარულით უმღერა დუნაის სანაპიროს ამწვანებულ კორდებს, ბალახოვან ალფელდის ველს, ბაკონის ტყესა და მარჯიტის ბაღს, უმღერა ისე, როგორც უმღერის ქართლის ბაღებსა და მტკვრის სანაპიროებს. პოეტი ბადაჩონის შრიალა ვენახებს გადასცქერის და ალტაცებით ამბობს:

შევხევე შეფაღულ ყურძენს  
და მომაგონდა კახეთი:  
ცივკომბორიდან ალაზანს  
დილით რომ ვადმოვძახებდი.

პოეტმა დახატა სახალხო-დემოკრატიული უნგრეთის განახლებული ცხოვრების წარმტაცი სურათები. საბჭოთა პოეტზე ადრე, სამამულო ომის წლებში, მადიარების ძველ ქვეყანას. ლურჯი-დუნაის სანაპიროებს საბჭოთა მეზობლები ესტუმრნენ, რომელთაც თავისუფლება მოუტანეს უნგრეთის ხალხს.

ამ მეზობლთა შორის ბევრი იყვნენ ქართველები, ბევრმა მათგანმა თავიც გასწირა საქვეყნო თავისუფლებისათვის და ბუნებრივია, რომ ქართველი პოეტიც, თავის მოგზაურობისას, მათს ნაკვალევს დაეძებს, მათს აჩრდილებს ესაუბრება. შინმოუსვლელ ქართველთა საფლავები მიმოფანტულია მთელ ევროპაში და პოეტიც, თავისი მოგზაურობის დროს ხშირად წააწყდება ხოლმე ქართულ გვარებს ობელისკებზე:

შინ მოუსვლელი სადა ხარ,  
შენ ხომ თბილისი ვიყავრად?  
სად ლეება შენი ქონიორი,  
თვალ სად ამოვიღამდა?

ასე იწყება ლეონიძის ლექსი „შინმოუსვლელი, სადა ხარ“, ლექსი, რომელიც შეიძლება სიყვარულით და სიამაყით გაიმეოროს ყოველი შინმოუსვლელის დედამ, მამამ, ცოლმა, შეიღმა, ნა-

ენობებმა თუ უცნობებმა, ლექსი, რომელშიაც თითოეულ სტრიქონს ვატყობით დაეწაფები, რამდენჯერმე გადაიკითხავ, დაიზეპირებ, რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ დაუბრუნდები, და თუ ქვის გული არა ვაქვს, ერთი-ორი ცრემლი მაინც დაეწვეთება პოეტის სტრიქონებს; ეს იქნება მადლობის ცრემლები მისი მარჯვენისადმი, რომელმაც ასე ძლიერად გამოხატა ყველა ტკივილი და ნაღველი, რომელმაც მწარე ცრემლები დაგვალერვინა იმ ვაჟკაცის ბედზე, რომლის არც სახელია ნახსენები ლექსში, არც გვარი. და მხოლოდ ის ვიცით ჩვენ, რომ მას თბილისი უყვარდა და სამშობლოს პირველი დამახილისთანავე იერიშზე წასული „ცეცხლით ნადულარ გრიგალში“ დაეცა, მინდვრის შამბნარმა დაჰფარა მისი საფლავი, სატრფოს ღიმილის მაგივრად, ვარსკვლავი დააბრწყინდება და დედის ცრემლების საცელოდ წვიმა დასველებს მას:

შორი გამხდარა სავალი,  
რამდენიც ვინა იარა:  
აღარც ჩანხარ და ვერც მოხვალ,  
მხედარი გულნატყვიარი!

— თვალში გვაკლიხარ, სადა ხარ,— გმინავს ლექსის სტრიქონი. გმინავს, როგორც დედის გული და სამშობლოს დარდი. თითქოსდა ვერ წარმოუდგენია პოეტს, ისევე როგორც შეილდაკარგულ დედას, რომ აღარ ჩამოვა ქოჩორა ბიჭი თბილისში, რომელიც მას ასე ძალიან უყვარდა, რომ ვერც ერთ გაზაფხულსა და ვარდების აყვავებასაც ვეღარ იხილავს იგი ამიერიდან.

მაგრამ იცის პოეტმა, რომ დაღუპული გმირების ხსოვნა უჭკნობია და შარავანდედის ნათელით შემოსილი; იცის, რომ არ დაივიწყებს მშობელი ხალხი თავის შეილებს, რომელთაც მტრის ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე, რომელთა სიკვდილი მომავალი თაობების კეთილდღეობისა და ბედნიერების საფუძველი გამხდარა. პოეტი ჰხედავს, რომ მათი სადღეგრძელოა სალუტების აფუგუნება მოსკოვსა და ლენინგრადში, სტალინგრადსა და თბილისში, რომ

მათი დიდება ხალხის გულში გაფანტულა, როგორც ვადიფანტება ხოლმე თესლი გაზაფხულის პირველ ხნულებში:

მაგრამ უეცრივ მამულები  
ვარდნაფრად აფეთქდებიან  
და ქალაქები თავდახრით  
შენს წინ საღამო ღვებიან;  
დავბაასობენ გუგუნში  
აღრსიანი მადლობით,  
რომ დაუბრუნე სიცოცხლე  
ნართმევი უსამართლობით.

სისხლით სიცოცხლის მომცემი,  
სიკვდილის უბუნ სცილდები,  
გმირო, დამსხნელი, ჩვენს შორის  
შხესავით განაწილდები, —

რომ უფრო მეტად ნათობდეს  
შენი სამშობლოს დიდება,  
შე გმირის ხმაზე მარწყინავი  
აჩასდროს დაბინდება!

რა დიდი ნათელი და მადლი ეფინება კაცის გულს, რა დიდი სიამაყით ივსება იგი, როცა ამას კითხულობს! ამ სიტყვებში ქართველი ხალხის ვაჟკაცური და კეთილი გულისფეთქვა ისმის, ეს ქართული ზარი და ტირილია, ჟრჟოლამომგერელი და გულამდე ჩამწვდენი. და იმ პოეტი კვლავ ბალატონისკენ მიმავალ გაზაზეა, მას წითელარმიელთა საშმო საფლავები დაუნახავს, ძეგლებით შემკული, ნიშნად მადლობისა, უნგრეთის ხალხის მიერ:

გამოვინიშნე ვა პირად  
ქენს ძველი შესახედავი,  
ვამლის ხის გვერდით ზემდგარი,  
თოფშემართული მხედარი.

ეს არის საბჭოთა არმიის ოფიცრის ძეგლი, ოფიცრისა, რომელიც უნგრეთის ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცემულა. მის წინ მწვანე მოლია, აქ ყოველი გამვლელი თითო ყვავილს სტოვებს საჩუქრად, მას ერთად უმდგარიან ბავშვები და ბუღბუღი:

მიველ და არა მჯეროდა,  
ენახე და უცებ ვიციანი!  
— ეს ხომ შენა ხარ, ბიძინავ,  
გემებზე მამა-ბიძინი!  
დედა ჩასაფრდა სიზმრებში,  
დასახლდა სიმწუხარეში,  
თერზე ცოცხალი ყოფილხარ  
აქ, ბალატონის მხარეში!

მოგესალმები ქართულად,  
კოცნა, მოკითხვა მრავალი!  
მარტო მოვედი ქართლიდან  
არ შევას სხვა თანამავალი!

მცოდნოდა, წამოგიყვანდი  
მესტეირებს, მედღუღუქებს!  
ცრემლს დაგაურიდნენ ზუზუნით:  
— ვაი, შენს სიკაბუჯეს!

წყალს მოგიტანდი ჩვენებურს,  
მარილს და შოთის ნატებსა,  
შოთას წიგნს წამოგიღებდი  
გულში ნიაღვრის ამტებსა!

პოეტი ახსენებს ქვის ძეგლად ქცეულ  
ვაჟაკას—რუსთაველის პროსპექტს, მე-  
ტეხს, მტკვრის სანაპიროებს, მთაწმინ-  
დას, დიდუბეს, ახსენებს მცხეთის გადა-  
სახედს, ახსენებს აყვავებული ხეების  
მწვანედ შრიალს და იქმნება საოცრად  
ეროვნული განწყობილება, თბილი და  
სევდისმომგვრელი. თითქოს თითონ  
პოეტიც ტკბება მშობლიური ადგილების  
ვახსენებით, მამულს დროებით დაცილე-  
ბული ათასეული კილომეტრებით და  
რკინიგზის სადგურების გრძელი ჯაჭ-  
ვით:

არ გიყვარს თეთრი ღრუბლები  
თბილისზე გადამდინარი?  
თბილისს გზა შენკენ უქირავს,  
ოღონდ გამოიხნდე შინარა!

პოეტი ახსენებს ბიძინა ბუქურაულს  
ვაჟას ლექსებს და სიამაყით უმატებს,  
რომ არ შეურცხვენია გვარი ბიძინას;  
დგას იგი ქვაკაცად, როგორც მუდამ იყო  
მლიძარი. მისი სახით დგას საქართვე-  
ლოს სახელი, დიდი საბჭოთა სახელი,  
დგას თითოეული ჩვენი ადამიანი.

ბიძინა ბუქურაულის ბედი — ესაა  
ბედი იმ ქართველი მეომრებისა, რო-  
მელთაც სამშობლოსაგან შორს გაეთხა-  
რათ სამარე. ამ დიდ მსხვერპლს ტყუი-  
ლად არ ჩაუვლია. ისინი თავისუფლების  
ჯარისკაცები იყვნენ. მათ ქვეშევრდების  
გრილით მოუტანეს მშვიდობა უნგრეთს  
და პოლონეთს, რუმინეთს და ჩეხოსლო-  
ვაკიას. მათ სისხლი დაღვარეს დიდი  
იღვების გადასარჩენად. ეს სისხლი  
ძღვენი იყო კაცობრიობის მომავლისა,  
ეს სისხლი წმინდა სისხლი იყო თავი-  
სუფლებისა და ბედნიერების დასაცა-

ვად. მათ უკვდავება ერგოთ მილიონების  
გულში, მათი სახელი დასაფიქრებლად  
და ადამიანებისათვის მისწავლად  
მიებარნენ, მაგრამ კვლავ ჩვენს შორის  
არიან, კვლავ წინ მიაბიჯებენ და ჩვენ-  
თან ერთად იცავენ მშვიდობას მთელ  
მსოფლიოში, მათი აჩრდილებიც, ცოცხ-  
ლებთან ერთად, წინ ელობებიან ახალი  
ომის გამჩალებელთა იარაღის ქლარუნს.

### პოლონეთის პეიზაჟები

სიმონ ჩიქოვანის „პოლონეთის გზა-  
ზე“ საკმაოდ ვრცელი ციკლია ლექსე-  
ბისა, რომლებშიაც პოეტმა შესძლო  
გადმოეცა სიხალისე და სუნთქვა სი-  
ცოცხლის ახალი გაზაფხულისა. ეს სი-  
აზლე შეგრძნობილი იყო ამავე სახელ-  
წოდების პირველსავე ლექსში, რომე-  
ლიც მთელი ციკლის შესავალს წარმო-  
ადგენს. ეს ლექსი — ფიქრია მგზავრი-  
სა, რომელიც მიდის მეგობრულ ქვეყა-  
ნაში; მანამდე მას იგი არ უნახავს, მაგ-  
რამ ათასი განუწყვეტელი ძაფით არის  
დაკავშირებული მასთან; ამიტომ მო-  
გზაური პოეტი იქ სიყვარულითა და სი-  
ხარულით აღსავსე მიდის.

და აი ამ პირველსავე ლექსში გვხვდე-  
ბა ცენტრალური მხატვრული სახე ხი-  
დისა, რომელიც ხალხებს შორის გასდო  
ვოლგის ნაპირებიდან წამოსულმა საბ-  
ჭოთა მეომარმა; ეს სიყვარულის, მე-  
გობრობის ხილია და ამიტომ პოლონე-  
ლი ჭაბუკი-მესაზღვრე ფართოდ აღებს  
მეგობრობისათვის თავისი ქვეყნის კა-  
რებს და მშვიდობის გზას უსურვებს  
საბჭოთა მხრიდან მოსულ პოეტს; ბე-  
ლორუსიიდან, ბრესტის სადგურიდან წა-  
მოსული ექსპრესი საზღვარს გადასკრის  
და პოლონეთის მიწაზე მიჰქრის:

მეჭრით, მესმის „გზა მშვიდობის“,  
ეს ხმა მტრის ხმას ეკიდება,  
ხალხში, როგორც თესლი ხორბლის,  
ტანს იყრის და ჯეჯილდება...  
თოვლს გაეყურებ ფართო სარკმლით,  
ჩაუქროლით გამიღო რიყეს,  
და მგონია, ყველა სახლი,  
მობრუნდა და კარებს მიღებს.

სიმონ ჩიქოვანის პოეტურ სტილს  
ერთი კარგი თავისებურება ახასიათებს;



ეს არის ფრაზის, გამოთქმის, მეტაფორის ბრწყინვა და ფრთიანობა; ეს გამოთქმანი გაიღვებენ ხოლმე ლექსში, რათა მთელი ფონი ვააშუქონ. მისი მეტაფორა არა მარტო ახალია და გაბედულად ნათქვამი, არამედ უშუალოცაა და ბუნებრივიც: ის კი არ გამოიყოფა საერთო ქსოვილიდან, არამედ სიმკვრივეს და ნაქედობას აძლევს მას. ასეთია აქ მეტაფორა: ხმა, როგორც თესლი ხორბლისა, ტანს იყრის და ჯეჯილდება; ასეთი მოკვეთილი, ლაკონიური სახეები, ცხადია, ლიტერატურაში ახალი არ არის. გაიხსენეთ თუნდაც ძველი პოეტის უბრწყინვალესი ფრაზა „Как пахарь, битва отдыхает“. პოეტი აქ კქმნის გრანდიოზულ სურათს ბრძოლის ველისას; ეს სიმკვეთრე, ორიგინალობა შედარებისა და მეტაფორისა — ჩვენი აზრით, ფრიალ ძვირფასი თვისებაა. ასეთ შემთხვევაში სახე იტვირთება ძალიან ვრცელი შინაარსით, ის ხდება ფართოდ დამტვეი, ყოვლის მომცველი, იმავე დროს, იგი ახალი და ორიგინალურია. ესაა სწორედ ღირსება, თორემ უბედურება იქნებოდა რომ ყველა პოეტს ერთი და იგივე გაცვეთილი შედარებები ხელახლა წარმოეთქვა: მაშინ ხომ ყველა ერთფეროვანი იქნებოდა, როგორც ერთფეროვანი იყვნენ ეპიგონები აღმოსავლური პოეზიისა: მათს ლექსებში ვარდი მუდამ მრისხანე სატრფო იყო და ბულბული გულდასისხლული შეყვარებული, სანთელი — სიყვარული იყო და ფარვანი მის ალზე ფრთებშეტრუსული ქაბუკი. ასეთ ლიტერატურულ ატმოსფეროში ახლის ძიებას ვხა გადაკეტილი ჰქონდა და მათ აიფიქდებოდათ, რომ პოეტის ოსტატობა — სწორედ სიტყვის ახლებურად მოქნევასა და მობრუნებაშია.

ახლა დავებრუნდეთ ზემომოყვანილ მეტაფორას; ის ახალია, სადაა და ღრმა შინაარსითაა აღსავსე:

ხალხში როგორც თესლი ხორბლის,  
ტანს იყრის და ჯეჯილდება.

ეს მშვიდობის ხმაზეა ნათქვამი. და განა შეიძლება მოიძებნოს უკეთესი

სიმბოლო სიცოცხლის გაფუჭრქმენისა, ვიდრე ტანაყრილი ჯეჯილდება ხორბლისა დედა-აზრი ამ ლექსებისა, და მთელი აქსესუარი აქ გაერთიანებულია მის ირგვლივ. ამიტომ მთელ ციკლს მაგრად შეკრული კომპოზიცია აქვს და, იმავე დროს, ყოველი ლექსი ცოცხლობს, როგორც მთლიანი. საერთო კონტექსტში სურათები, ეპიზოდები ემორჩილებიან ამ ცენტრალურ სახეს, ამ თებრტონს ემორჩილება მთელი დინება ნაწარმოებისა, გადასვლა ერთი ტონალობიდან მეორეზე, ერთი სახიდან — მეორეზე.

აი დემოკრატიულ გერმანიაში მოდის საბჭოთა მთავრობის დეპეშა, მაუწყებელი მშვიდობისა. „არწივის ფრთა გამოესხა სიტყვას“, ლაღად ეფინება იგი შპრეეს გაშლილ ნაბირებს, მოგვალულ შტოს ისევ ფოთლით შემოსავს, მისი ხმა და სიტყვა სიმღერაში ჩახვევია მგოსანს, ესხურება ამწვანებულ ჯეჯილს და ქარხანაში დუმელს აპურებს, ის ეკირება ახალი ქვეყნის ფუძეს, ნერგავს იმედს, მშვიდობას, ხალისს: „ეს დეპეშა ხალხებს მშობას უწევს“. აქ ცნებები, იდეები გადაქცეულია კონკრეტულ სახეებად, რომლებიც მთელი ძალით ესხაურებიან მკითხველის სულს: თვით საგნობრივი, უაღრესად კონკრეტული პეიზაჟიც ამ იდეას გადმოგვცემს:

და მშვიდობის გაშლილ ფერცელს  
სოფელში პავს ზამთრის დიღა.

ეს მშვენიერი სახეა; აქ შედარებას განამტკიცებს და საფუძველს აძლევს სითეთრე ზამთრის დიღისა, თეთრი ფურცელივით გაშლილი თოვლიანი მინდვრისა, რომელიც ამ კონტექსტში კარგად ეხამება წარმოდგენას ახალი ქვეყნის ცხოვრებაზე, როგორც მშვიდობის დიდ წიგნზე; ამ წიგნის ფურცლები მისდევენ ერთი-მეორეს ჩვენს თვალწინ, როგორც ფურცლები კაცობრიობის მატრიანისა. საერთოდ ჩიქოვანის პოეზიის შესანიშნავი თვისებაა — აქციოს ეს ამალღვებელი იდეები, ცნებები ხელშესახებ, თვალით დასანახ, კონკრეტულ ემოციურ სახეებად. ამიტომ პორტრეტია და პეიზაჟიც მის ლექსში არა

მარტო სახოვანია, არამედ ღრმა აზროვანიც არის. ამ გზით შესძლო პოეტმა გადმოეცა თავისებური კოლორიტი პოლონეთის ცხოვრებისა, როგორც პეიზაჟის, ისე ყოფის ფონზე. ის არჩევს ყველაზე დამახასიათებელ დეტალებს, ყველაზე ეფექტურ სურათებს, რომელთაც შესწევთ ძალა გვიამბონ და გამოხატონ ყველაფერი, რაც არსებითი და დამახასიათებელია ახალ პოლონეთში.

პოეტი ზამთარში მოგზაურობდა ამ ქვეყანაში და ბუნებრივია, რომ ამ ლექსებში ზამთრის პეიზაჟია გადმოცემული, მაგრამ რაოდენ მზიანი და საგაზაფხულო ფერებითაა იგი მოქარგული! აგერ პოლონელი გლეხი, დილით ადრე წამომდგარა, გრძელ უღვაწზე თოვლის ფანტელს იშორებს და იღიმება; პოეტის ყურს შორიდან თითქოს ყანის შრიალი ესმის, მატარებელს არყის ხე ჩაუქროლებს, ქერა ყმაწვილს რომ ჰგავს, რტოს რომ არხევს, თითქოს ყმაწვილი სალამს იძლეოდეს; სემაფორის წინ შუშები ბრწყინავენ, როგორც ჰრელი ჩიტები მავთულებზე. პოლონელი მესახლერის ღიმილი, მოწმენდილი ცა ვისლაზე, პოლონელი ქალი, რომელიც ვარდებით ამკობს საბჭოთა ოფიცრების სასაფლაოს ვროცლავში, მეშახტე, რომელიც მატარებლით მიემგზავრება თავისი ქვეყნის პრეზიდენტთან, გურალების გაქანებული მარზილები თოვლით გადაპენტილ მთებზე, მათი ხალისით საესე სიმღერა და ცეკვა — ხალხური ცეკვა, როცა ვაჟი მიჰქრის და ქარივით ლელავს, როცა „ტურფა ჰგავს რტოზე ახვეულ ვენახს!“ — ყოველივე ეს გვაგრძნობინებს პათოსს და მღელვარებას გაღვიძებული, მფეთქავი სიცოცხლისა, ქვეყნის მაჟისტიკმისა, რომელიც ღონიერია და ძალუმი.

აქ ცხოვრება აღებულია, დახატულია მის მღელვარებაში, წინსვლის, განვითარების, იმ მშფოთავარების დუდილში, რომელიც ახლად გაფურჩქნულ სიცოცხლეს სჩვევია, როცა ის იზრდება და ნორჩ ყლორტებს იყრის; და ამიტომ სრულებით გასაგები ხდება პოეტის ოპტიმისტური შეძახილი:

სიცოცხლეო, გეგებებო,  
შენთან მინდა ჯახანი და ჯიხილი.

აქ, ამ ლექსებში შერწყმულია ქარმაგი ოსტატის გამოცდილება და ადრინდელი სიკაბუკის ენთუზიაზმიც, რომელიც ჰენსმარიტი პოეტის შემოქმედებაში ასაკს არ ემორჩილება. პოეტი შეჰხარის სიცოცხლეს, ქვეყანას, კაცსა და ბუნებას; როცა პოეტი გურალების მთებზე, ცის ტატნობთან შორიდან ხედავს მწყემსებს, თუ ქედზე გადმოდგარ ჯიხვებს, ის შესძახებს: „მეგობრებო, გამარჯვებათ, მწყემსები ხართ, თუ ქედებზე ჯიხვები“. აი ესაა პათოსი ნამდვილი პოეზიისა, ხოლო იქ, სადაც სულიერი ენთუზიაზმი ამოშრება და დაიშრითება, იქ პოეზიაც დამთავრებულია.

ლექსების ამ ციკლში განსაკუთრებით აღსანიშნავია „პუშკინი და მიცკევიჩი“. ს. ჩიქოვანის ლექსში აქ კონკრეტულ მხატვრულ სახეებში ორგანიულადაა ჩაქსოვილი და გამოხატული ხალხთა მშობის მადლი და სიდიადე. და ეს დიდი სიმართლე ნაჩვენებია ყოველგვარი განყენებისა და რეფლექსიის გარეშე; ეს ისევე უშუალოა, როგორც ის ბუნება, რომელსაც პოეტი ხატავს; პოლონური პეიზაჟი ქართულ პოეზიაში პირველად ამ ლექსებში გამოჩნდა მთელი თავისი მიწიიდევლობით; ამ პეიზაჟს მოსიყვარულე მეგობრის თვალი გასცქერის. მეგობრის გული შეიგრძნობს და მეგობრის ხელი ხატავს. ასე ვადმოგვეცმს პოეტი ჩვენი დროის ყველაზე დიად დღეებს — ხალხთა შორის მშვიდობის, ჰუმანიზმის და პატრიოტიზმის იდეებს.

ზემოსხსენებული ლექსი „პუშკინი და მიცკევიჩი“, ისე როგორც ლექსები გოეთეზე („გოეთეს საფლავთან“ და „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“) მრავალმხრივ არის საყურადღებო: არც მიცკევიჩი, არც პუშკინი, არც გოეთე აქ აღებული არ არიან როგორც წარსულის პოეტები, ისინი თანამედროვენი არიან, როგორც ყანები ვისლასთან. ჯეჯილი იენასთან; ისინი გადასულან ხალხთა ცხოვრებაში, როგორც მისი სულიერი ცხოვრების წარუკვეთელი ნაწილები.





გერმანიაზე დაწერილ ლექსებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ლექსები გოეთეზე, რომლებიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. აქ გვხვდება ძველი დროის პოეტის შინ დაბრუნების მოტივი, რომელიც ამ ლექსებს საერთო დედა-აზრით აკავშირებს მთელ ციკლთან. პოეტი გერმანიაში იყო იმ დღეებში, როცა მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავდა დიდი გერმანელი მწერლის დაბადების ორასი წლისთავს. იმ დღეებში ვაიმარის თეატრში გოეთეს „ფაუსტი“ იდგმებოდა. ორი ღამე დასკირდა ამ ვეებრთელა ტრაგედიის სცენაზე წარმოდგენას. აღწერს რა ამ დღეებს, პოეტი გვიჩვენებს, რომ სცენაზე ფაუსტის სიტყვებს ეხმაურება ახალგაზრობის კარნავალი, რომელიც ვაიმარში ვაიმართა, ფაუსტი შორიდან ეხმაურება დემოკრატიული გერმანიის ახალგაზრობის სიცოცხლით სავსე ყივიანს:

კარნავალი ჰგავს უთვალავ აფრას  
და აფრებით შინ გოეთე ბრუნდება.

შესანიშნავია პეიზაჟი ვაიმარში, სადაც გოეთეს საფლავზე ცოცხალ ვარდებს აწყობენ. საფლავის ირგვლივ უთვალავი ცაცხვებია, ცაცხვების ყვავილებზე ფუტკრები ზუზუნებენ, სადაც წყაროზე პატარა წისქვილი ხმაურობს და თითქოს იღვიძებს თვითონ ფაუსტიც, იღვიძებს მისი სულისყვეთება მარად წინ სწრაფვისა. „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“ ფაუსტური მღელვარებით აღსავსე ლექსია. აქ დახატულია ნამდვილი გოეთე, რომელიც ხალხთან იყო და არის; ფაუსტების დროს ის გაძევებული იყო გერმანიიდან; დღეს კი, დემოკრატიული გერმანიის სახით პოეტმა კვლავ მოძებნა თავისი სამშობლო და მისი ფაუსტის უკანასკნელი მონოლოგი ისმის, როგორც პოეტის ანდერძი მომავლის თაობებისათვის.

ს. ჩიქოვანის ლექსების მთელ ამ ციკლში ძლიერად ვლერს მშვიდობისათვის ბრძოლის თემა. მოწინავე კაცობრიობის სინდისი ვერ ურიგდება იმას, რომ აგრესიულ იმპერიალისტურ ქვეყნებში დღედაღამ წარმოებს ომის, ძარ-

ცვისა და ძალადობის თავგანებებული პროპაგანდა, რომელიც დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს მიაჩნია უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე. მშვიდობისათვის ბრძოლა — მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის საკუთარი, სასიცოცხლო საქმეა. ამას ზავგასმით აღნიშნავს პოეტი თავის ლექსებში „ხმების შემკრები“, „მშვიდობის ესტაფეტა“, „საბჭოთა ვეომარი“, „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“ და სხვ.

საერთოდ მთელი ეს ციკლი არის მგზნებარე ჰიმნი მშვიდობისადმი, სიცოცხლისადმი; ეს ნაწარმოებნი აფართოვებენ ქართული საბჭოთა პოეზიის ჰორიზონტს, ამდიდრებენ მას ახალი თემებითა და სახეებით.

### ჩინეთის ზეგზზე

აღიო მირცხულავას შემოქმედება — პოეტის პირველი ნაბიჯებიდანვე, პირველი ქაბუტური ლექსებიდან ნათლად გამოხატავდნენ იმ სიზარულსა და სიმხნევეს, რომლითაც ქართველმა ხალხმა დაიწყო თავისი ახალი ისტორია ოცდაერთი წლის თებერვლის სამახსოვრო დღეებიდან. პოეტი წერდა:

დღეს ჩემი სიტყვა  
ახალია და უჩვეულო,  
ჩემს სიმღერაში  
არც ზოდვია, აღარც წუხილი, —  
ცეცხლიან ფრთებით  
ინავარდ, სულო რჩეულო,  
გებბოლოთ ბნელეთს,  
შენ ელეა ხარ და მე — ქუხილი.  
ბევრის თქმა შინდა,  
ვარტუვი კიდევ, მიფრინავ ეტლით,  
წინ გამაჩანეთ, გამაძინეთ,  
ბედის რაშეზო, —  
ამ ცხოვრებაში მე რაც მიფარს,  
მე რასაც ვერტფი,  
ეს მხოლოდ თქვენ ხართ,  
მომავლის გარიერავენი!

პოეტისათვის, მთელი ჩვენი იმდროინდელი ლიტერატურისათვის ეს საპროგრამო ნაწარმოები იყო. რეალიზმის საღ გრძნობასთან ერთად აქ მთელი ძალით გამოჩნდა კეთილშობილური წინსწრაფვა მომავლის გარიერაჟისაკენ. ეს იყო რო-

მანტიკული მგზნებარება, რომელიც უადრესად დამახასიათებელია ალიო მირცხულავას მთელი პოეზიისათვის.

ალიო მირცხულავას ლექსებში თავიდანვე მძლავრად ისმოდა საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის მგზნებარე ხმა. ჯერ ისეც 1923 წელს ლექსში „მიმართვა პოეტებისადმი“, იგი ამბობდა:

ოჲვე პოეტებო, თუ წერთ ქართულად,  
თუ ვინდათ რედაქს სიტყვა ქართული,  
წერეთ ლექსები წელგამართლად,  
წერეთ ლექსები წელღამართლად,  
ასეთი ფერი თუ სიტყვას, — დაბერდა,  
და მოისურვეს ფეხით გათელონ,  
იმა წაქეცავს ვერცინ ვახედავს,  
ის ურყევია, ვით საქართველო.  
ჩვენც სპეცთან ერთად მიუყვებით დროვას,  
ჩვენც ერთი მზისქვეშ მსოფლიოს ვეძებთ,  
და ხელოვნების საყვთარ დროვას  
ჩვენც, ჩვენც ავტიანთ მის სიმაღლეს.  
ჩვენც ბრძოლის დროშა ვვათბობს

ალიოსებრ,

გვესმის ოქტომბრის მძლავრი გუგუნე,  
ჩვენც გუგუნოვანებს და გვახალისებს  
მზნე გულისძგერა ამ საუკუნის.

ეს არ იყო შიშველი მოწოდება; პოეტმა, იმავე დროს, სცადა ეჩვენებინა ახალი საქართველო — თავისი განუშეორებელი ნაციონალური კოლორიტით, ეჩვენებინა, როგორ მძაფრად იჭრებოდა ახალი, სოციალისტური არა მარტო ქართულ ყოფაში, არამედ პეიზაჟებშიც.

ამ ჯანსაღ და გულწრფელ პატრიოტიზმთან, როგორც ყველგან და ყოველთვის ჩვენს საუკუნეში, განუყრელად არის დაკავშირებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობა, სიყვარული მსოფლიოს ყველა ხალხისადმი, რომელთაც ჩვენს დროში გამოიღვიძეს; ეს მოტივიც თავიდანვე მძაფრად გაბმურდა ალიო მირცხულავას ლექსებში. თავის ლექსში „მგზავრობა საპარაში“ (1923 წ.) პოეტი მიესალმება შავი აფრიკისა და შორეული ინდოეთის ხალხებს, მიესალმება და იმ ქვეყნებში რევოლუციის „სამუშის აგუგუნებს“ ნატრობს; ის ოცნებით მოგზაურობს ამ ქვეყნებში, ქარავენს მისდევს ქვიშიანებში ჩაყარულ ცხელ გზებზე:

ხსნა ვიხაროდეს

ერეც აფრიკის და ინდოეთის ქვეყნებში  
და აქლემებით ცხელ ქვიშებში — ვაჭარებებს

ამ უდაბლოში შავ ტომებთან

მოველ პოეტი,

რომ წითელ მხედარს

ძმა მიწოდონ აქაურებმა.

როგორ მძაფრად ესმაურება ეს თითქმის ოთხი ათეული წლის წინ დაწერილი ლექსი დღევანდელ დღეს, როცა მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ კოლონიალიზმის საბოლოო დასამარებას!

კიდევ უფრო საინტერესოა ლექსი „რიქმა“ (1927 წ.); შესანიშნავად, მძაფრი, პლასტიკური და ხელშესახები სახეებით არის დახატული მასში პორტრეტული დამონებული ჩინელისა, რომლისათვისაც ეს წუთისოფელი მართლაც ბნელი და უსამართლო იყო; ამ ლექსის სტრიქონებიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგება მტვერში ამოსვრილი, გაოფლიანებული, ეტლში პირუტყვივით გაბმული ადამიანი, რომელსაც ქუჩაზე ქენებით მიჰყავს ევროპელი ბატონი, ნებიერად რომ ზის ეტლში და სივარას ამოლებს. რიქმას ტიტველ ზურგს მზე სწევას, ევროპელს კი ხელში ქოლგა უჭირავს, და პოეტი ბოლოს მოუწოდებდა დაჩაგრულ ჩინელ მოძმეს:

თუ ეს ქვეყანა დასავლობია,  
დასამლობია და სატალიო,  
მონურ ცხოვრებას, ძმაო, სჯობია,  
რომ ხელში თოფი დაატარალო,  
შენც წამოდექი, ჩინელო ძმაო,  
მოკიდე ხელი ხმალს და იარაღს,  
დროა ცრემლები სისხლში ვასცვალოს  
ობრად შობილმა ადამიანმა.

ამ ლექსის დაწერიდან თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, 1956 წელს ალიო მირცხულავამ იმოგზაურა ჩინეთში და საკუთარი თვალით იხილა, როგორ გადაიდო ჩინეთში დასავლეთის იმპერიალიზმის უღელი. პოეტმა დასწერა ვრცელი ნარკვევი „მოგზაურობა ჩინეთში“, რომელშიაც, ამჟამად უკვე პროზის ენაზე მოგვითხრო, თუ როგორ განზორციელდა ის ნატვრა, რომელსაც საუკუნეებით გულით ატარებდა ჩინელი და რასაც შესტრფოდა ქართველი პოეტიც თავის კაბუჯურ ლექსებში.

ასე სწვდებოდა ქართული ნაციონალური ტრადიციებიდან, ქართული წიადიდან წამოსული პოეტის თვალი მთელ მსოფლიოს, ცდილობდა ყური დაეგდო მსოფლიოს ცხოვრების მაჯისცემისათვის. ეს ფართო ისტორიული მასშტაბი შემთხვევითი არ იყო მისთვის — ამიტომ წერდა პოეტი აფრიკის ხალხებზეც, ჩინეთზეც; იმავე ხანებში გამოაქვეყნა ლექსი „ბერლინის ტუსად ქალთა სიმღერა“ (1922 წ.); ამ ლექსებში ქალაქები გადასახიან ქალაქებს ერთი მატერიკიდან მეორეზე, დაჩაგრულნი ძმურად უწვდიან ხელს ერთი-მეორეს, ერთი მზისაკენ ისწრაფვიან, თავისუფლების მზისაკენ, რომლის შუქი ღენინის წიგნებიდან ამობრწყინდა.

თავისი ჭაბუკური ლექსების ამ შესანიშნავ ტრადიციას ალიო მიტყულავა დღესაც წარმატებით განაგრძობს.

### რუსთაველის ნაკვალევზე

1959 წელს გამოვიდა ირაკლი აბაშიძის პატარა წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომლის სუბერზე მოთავსებული იყო ლადო გუდიაშვილის ნახატი — უსახღვრო, დაუღვეველი ლურჯი სივრცე ღრუბლების ქულებით და იმ ლურჯ სივრცეში ჩანდა მოჩვენება თუ აჩრდილი რუსთაველისა, „ღრუბლებში ამალღებული, როგორც ოცნება კაცი-სა“; იმავე სივრცეში მოჩანდა რალაც მითიური ფასკუნჯები, მოფრენილი ზღაპრიდან თუ სიზმრებიდან და იმ ფრინველებს ცისარტყელასავით გაშლილი ფრთები ჰქონდათ. ასე გაიგო მხატვარმა პოეტის ჩანაფიქრი და გადმოგვცა მთელი წიგნის დედაზრი, დახატა ოცნება პოეტისა, თუ კი მისი დახატვა შეიძლება. იშვიათად თუ უნახავს კაცს მხატვრისა და პოეტის ფანტაზიის ესოდენ კეთილისმყოფელი შერწყმა და შედღელება; მხატვრის ნახატს უკვე შევყავდით ტკბილ და სანეტარო ოცნებათა სამყაროში: გადამლიდით წიგნს და ჩვენც პოეტთან ერთად, მხატვართან ერთად ვეძებდით რუსთაველის ნაკვალევს, ჩვენც ვმოგზაურობდით, თან მი-

ვყავდით პოეტს შორეულ ინდოეთში, მუშაირაზე; მე ინდოეთში არა ვყავდი-ღვარ და ეს მუშაირა — პოეტების შეჯიბრება არ მინახავს; მახსოვს იგი მხოლოდ ინდური ფილმიდან „ბაიჯუ-ბაჯრა“. ეს მართლაც განსაცვიფრებელი სანახაობა იყო: ორი პოეტი ეჯიბრებოდა ერთი-მეორეს ლექსით, ხმითა და საკრავებით; და იყო მათს სიმღერაში, მათს დაკვრაში ისეთი სიხარული, ისეთი ყიფინა, ისე ღონივრად, ისეთი ძალით ხარობდა სიმღერა, გეგონებოდა საკრავები ვეღარ გაუძლებენ, დაიღწევიან ამდენი სიხარულისაგანო. ხან რალაც მოთქმას დაემსგავსებოდა ის, ხან ცრემლი გამოერეოდა მოზეიმე ხმებში, ხანაც ისევე არწივის ყივილივით მხნედ და ვაკაკურად დაიფრქვეოდა პაერში.

ამ მუშაირას ყიფინი და ქრიამული მოესმის მკითხველს პირველსავე ლექსში „ინდოეთის პოეტებს“, რომლითაც ირ. აბაშიძის წიგნი იხსნება; ეს მაქორული ხმა ძალზე მონათესავე აღმოჩნდა პოეტისათვის, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინ, 1934 წელს თავის ერთ ლექსში ამბობდა:

ვერ შევიმაგრებ მე თავს და მორხა,  
როს ავევდება ბაღშიც შეინღები,  
ჩამოვიფხატე ცხვირპირზე ქონორს,  
შუა ქალაქში ავიყინდები.

ახლა ნახეთ გამოწვევა ინდოეთის პოეტებისა მუშაირაზე:

სანამ ჯინზე ვარ  
სანამ კვლავ ვერძნობ ახალგაზრდობას,  
უნდა გაღმოვქრა  
ხელმეორედ შაქი, შირაზი,  
დელში ხელახლა  
უნდა შეგხედოთ მუშაირაზე,  
თქვენზე ქართულად  
ვერ ვიჯივო ვულო ამ გზობას,  
უნდა ხელახლა  
შეგაქოლოთ სიტყვა მაღალი,  
ახჯერ ნაწრობი,  
ათას ციცილში გამაგრებული,  
თქვენი კალკუტობი,  
თქვენი ავრიო  
და ტაჯ-შაალიო,  
თქვენი მზის ციცილოთ  
რეტდასხმული. გავიწეებული.  
მეფარიან ცის ქვეშ

გავიფიქროთ მოლზე ნაბადი;  
მერე თუნდ დაეწყდეთ,  
თუნდ დაგვადგეს თავზე ახი,  
გამომიყვანეთ

ლექსში თქვენი მერაღობადი,  
თქვენი მამული,  
სარდარ ჯაფრი, აჰმად ფასი.

არ შეიძლება არ მოგხიბლოთ ამ პოეტურმა სიკვამლეებმა და სილაღემ, პოეტური სიტყვის ოსტატების ამ თამამმა გამოძახებამ ასპარეზზე, მთვარიან ცის ქვეშ, მოლზე გაფენილ ნაბადზე; და როცა პოეტი ამბობს — „მერე თუნდ დაეწყდეთ, თუნდ დაგვადგეს თავზე ახი“, თქვენ გრძნობთ, რომ არის რაღაც აღმოსავლური სპეციფიურობა ამ შეჯიბრებაში, რომელსაც დასავლურ სინატიფესა და ზომიერების გრძნობასთან ერთად ესოდენ კარგად ითავსებს ქართული პოეზია; ყოველივე ეს მასში ახალ ხარისხშია აყვანილი, განუმეორებელი ქართული იერითა და სულითაა გამსჭვალული. ეს ეროვნული კოლორიტი, ნაციონალური თვითმყოფადობა ჰქმნიდა ქართული პოეზიის პათოსს, ეს აძლევდა მას საკუთარ სახეს და, იმავე დროს, ანათესავებდა მსოფლიოს ხალხებთან — დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც. ქართული კულტურა არასოდეს არ ყოფილა გამოთიშული მსოფლიოს აზრთა მოძრაობისაგან, ქართველ ოსტატს არასოდეს კარჩაკეტილად არ უცხოვრია; უამისოდ ხომ წინსვლაც შეუძლებელია; მას მუდამ შეუწონია, გაუზიარებია საკაცობრიო აზრის დიდი წარმატებანი, მუდამ დასწაფებია ახალ წყაროებს და თავისივე სხვისთვის გაუზიარებია, მაგრამ, ამავე დროს, თავისი სახე არ დაუკარგავს. ქართული კულტურის ამ ეროვნულ ხასიათზე და მიზნობელ კულტურებთან დამოკიდებულებაზე კარგად წერდა გერონტი ქიქოძე. არა ერთხელ გაგვიწოდებია ხელი ბიზანტიელებისათვის — აღნიშნავდა იგი, — მაგრამ ბრმად არასოდეს მიგვიბაძავს. მათ მოზიკა უყვარდათ, რადგან მოთმინების აღამიანები იყვნენ, ჩვენ ფრესკებს ვაძლევდით უპირატესობას, სადაც ემოცია და ფანტაზია უფრო ფართოდ გაშლიდნენ

ფრთებს; ჩვენს ფანტაზიას ხშირად სწვევიან აღმოსავლური ხილვანიც, მაგრამ ჩვენ არც აღმოსავლეთის ღვიძლ შეილება ჩავითვლებითო, განავრძობდა გერონტი ქიქოძე. როცა შუა საუკუნეების აზიაში მისტიციზმმა და ასკეტიზმმა უფრო ღრმად გაიდგა ფესვები, ჩვენში რეალიზმი და ჰუმანიზმი გაძლიერდა, რენესანსი დაიწყო, რომელმაც თავის მწვერვალს „ვეფხისტყაოსანში“ მიაღწია. ამ რუსთველური რენესანსის მადლი და შუქი მოსდევს საუკუნეების მანძილზე ჩვენს კულტურას, ქართულსა და ზოგად-საკაცობრიოს — ერთსა და იმავე დროს; და მისი სიდიადეც სწორედ ამაშია; ამიტომ ასე თავისუფლად გრძნობს თავს ქართველი პოეტი, სადაც უნდა იყოს ის — აღმოსავლეთში, პოეტების მუშაირაზე, თუ დასავლეთში, სიტყვის ოსტატთა ლიტერატურულ საღამოზე. ყველა პოეტი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მშვიდობისა და თავისუფლების იდეებისათვის იბრძვის. — ჩვენი მოძევა.

და საესებით ბუნებრივია, რომ ირ. აბაშიძე ერთნაირი გატაცებით შეჰხარის და სამშობლოში ეპატიყება როგორც ამერიკის სახელგანთქმულ მომღერალს ჰარი ბელაფონტეს, ისე პაკისტანელ პოეტს ფაიზ აჰმად ფაიზს. პოეტი უმღერის აღმოსავლეთის ხალხთა გამოღვიძებას, მიესალმება მათს ღვაწლს საკაცობრიო პროგრესის გზაზე:

ასი ენა გვაქვს აღმოსავლელს,  
ჩვენზე მდიდარი ქვეყნად ენ არის,  
ას მოკრალ ტალღას ერთად აელვებს,  
ერთი დინება ზვიდ მდინარის.  
პანჯი პანჯს გვივაეს,  
ენა ენას ჰვაეს,  
შიგ ჩვენი აზრი, ჩვენი გულია;  
ასი კი არა,  
ერთი ენა გვაქვს,  
ეს ჩვენი ენა — სიყვარულია.  
ასი ენა გვაქვს, ძმებო მგონებო!  
ასი საუნჯით ერთ აესებულო;  
ას ტუბოდ ენაზე ერთად ვოცნებობთ  
ჩვენ ერთი მიზნით გატაცებულნი.

ესაა ჰიმნი ხალხთა ძმობის, მათი თანასწორუფლებიანობის, მათი სწრაფვისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლო-

ბისადმი. ამ დიდ სიყვარულს უმღეროდა პოეტი განგის ნაპირებზე და აქვე ეძებდა რუსთაველის ნაკვალევს:

იქნებ ვე მიწა  
ჩემს სიშლერას კიდევ ელოდა;  
იქნებ ხმაე იცნოს  
მესხეთიდან ჩამოტანილი,  
ახალ ინდოეთს  
მე ვუმღერე სარუთველოდან,  
როგორც უმღერის  
თქვენი პინდი,  
თქვენი თაშილა.

ირ. აბაშიძის ლექსებში „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“, — არ ვიცი როგორ ვთქვა, — თითქოს წინასწარ ნაგრძნობია ის დიდი სიხარული, რომელიც მთელმა საქართველომ განიცადა, როცა ირაკლი აბაშიძემ, გიორგი წერეთელმა და აკაკი შანიძემ იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან რუსთაველის სურათი ჩამოიტანეს. მე არ ვიცი, რა უნდა იყოს პოეტისათვის უფრო მეტი ბედნიერება, ვიდრე ის, როცა ლექსი, ოცნება, ფანტაზია ასე დადასტურდება, როცა რუსთაველის ნაკვალევზე ოცნებით მოსიარულე კაცი უცებ წააწყდება მის სახეებს.

მსოფლიოს გზებზე მოგზაურობამ ახალი ფერები შემატა ირ. აბაშიძის პოეზიას, მეტი ხმოვანება მისცა მას და უფრო ფართო პორიზონტი გადაუხსნა თვალწინ.

**შავი ზღვის სანაპიროს ჩავლიას**

გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი ედუარდ გიბონი თავის ნაშრომში „რომის იმპერიის დაცემისა და განადგურების ისტორია“, ბიზანტიურ წყაროებზე დაყრდნობით, გადმოგვცემს ერთ საგულისხმო და ტრაგიკულ ამბავს საქართველოს ისტორიიდან — ეს ამბავი მომხდარა XV საუკუნის შუა წლებში, სწორედ იმ ხანებში, როცა თურქებმა ბიზანტიის იმპერია დაამხეს, კონსტანტინეპოლი აიღეს და ამიერიდან თავიანთ სატახტო ქალაქად აქციეს, ხოლო უკანასკნელი კეისარი ბერძნებისა — კონსტანტინე მოკლეს. ეს მოხდა 1453

წელს, ხოლო წინა წელს ბერძენთა კეისარმა დანიშნა საქართველოს მეფის გიორგი მერვეს ასული ნინო, ამ მიზნით გამოგზავნა საქართველოში თავისი ელჩი ფრანჩი პროტოვესტიარი, რომელსაც მოჰქონდა საქართველოში სადედოფლოსათვის უამრავი საჩუქარი და თან მოსდევდნენ აუარებელი ბერძენი დიდებულნი, მცველნი, მეხმლენი, ბერნი და მემუსიკენი. სტუმართმოყვარე საქართველოში ფრანჩმა აღიჩნია მეფის საცოლედ ახალგაზრდა ქალიშვილი ქართველთა მეფისა; ელჩის კონსტანტინეპოლში დაბრუნების შემდეგ კეისარმა სიგელით დამტკიცა სადედოფლოდ არჩეული ქალი მეფისა, თავის ხელით დაუსვა სიგელს სამი წითელი ჯვარი და მეფე გიორგის მხრით საქართველოდან წარგზავნილი ელჩი დაარწმუნა, რომ გაზაფხულის პირზე ბიზანტიელთა გემები წამოიყვანენ საქართველოდან სასძლოსაო; ეს წამოყვანაც ფრანჩის ჰქონდა დაეალეებული; მთელი ზამთარი ემზადებოდა იგი საქართველოში წამოსასვლელად, საქართველოს მეფის ოჯახშიც სიხარულით მოელოდნენ იმ გაზაფხულს, მაგრამ აპრილში თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ქართველების სასიძო მოჰკლეს და ამით მარტო ეს ქორწილი კი არ ჩაშალეს, არამედ საქართველოსაც ჩაუქეტეს ზა ევროპისაკენ და სამხრეთიდან მოადგნენ მის საზღვრებს.

რატომ გავიხსენეთ აქ ეს ამბავი? საქმე ის არის, რომ ფრანჩი პროტოვესტიარი საქართველოში რომ ჩამოსვლა, აქ უნახავს ერთი საინტერესო კაცი, ასი წლის მოხუცი, რომელიც 1398 წელს მრისხანე თემურ ლენგს საქართველოდან ტყვედ წაუყვანია შუა აზიაში; ეტყობა, დაუცხრომელი, დაუდეგარი კაცი იყო ეს ტყვე, იგი გაქცევია თემურის ურდოებს და ინდოეთში გადასულა. ინდოეთიდან იგი კვლავ გაქცეულა, დიდხანს ტანჯვით უძებნია ზა საქართველოსაკენ, უხეტიალნია, უმოგზაურნია, მოუვლია თითქმის ნახევარი მსოფლიო, ბოლოს ესპანეთის გემით

პორტუგალიაში ჩასულა, ცხადია, აღარც აქ გაჩერებულა, ისევ წამოსულა საქართველოსაკენ, ვინ იცის რა გზით, როგორ, მაგრამ მაინც ჩამოსულა სამშობლოში.

და თუ აღრე ქართველი კაცი კულტურული თუ დიპლომატიურ-პოლიტიკური მისიით მოგზაურობდა უცხო ქვეყნებში, აგებდა იქ ტაძრებს, კულტურის კერებს ან მეზობლებთან ერთად სწყვეტდა იმდროინდელი მსოფლიოს საჭირბოროტო და მტკივნეულ საკითხებს, გვიან საუკუნეებში, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, უაღრესად ტიპური გახდა სწორედ ისეთი მოგზაურობა, როგორც თემურ-ლენგის ქართველ ტყვეს ზედა წილად; მაგრამ მას მაინც გაუღიმა ბედმა, მან მაინც შესძლო ჩამოსულიყო სამშობლოში და ეს რაღაც სასწაულს ჰგავდა; უმრავლესობას კი, ტყვეებად წაყვანილებს, გატაცებულებს, სამშობლოდან მოწყვეტილებს ბედმა ეს აღარ აღირსა; და ამიტომ საიდან სად არ არის მიმოფანტული ქართული საფლავები მთელ აღმოსავლეთში! ბევრი გადახვეწილის სახელი როგორღაც შეინახა ისტორიამ, აბსოლუტური უმრავლესობა კი, ცხადია, უსახელოდ დაიკარგა.

და აი ახლა, როცა ქართველი საბჭოთა პოეტი, თავისუფალი ქვეყნის შველი ესტუმრება ხოლმე უცხო ქვეყნებს, მან არ შეიძლება არ გაიხსენოს ეს უბედური წინაპარნი; ეგვიპტეში ყოფნისას გრიგოლ აბაშიძემ გაიხსენა სწორედ ეს ქართველები:

მამულეობა ქარიშხლიანი,  
მიწის გაქრული ბედაურები...  
მე მესმის მათი ჯაქვის ჩხრალი,  
მათ ოხვრას შორით ევხაურები.  
აქ ბევრი შოკედა ბეი შორქმული —  
მკლადამაშვარალი და ნაომაჩი...  
სამშობლოს ჯაქრით გულამოქმედის  
აეწიოთ, ძმებო, შესანდობარია,  
ლანდოვით სდევდათ სამშობლოს სევდა,  
ჩვენი ცისა და მიწის მიჯნურებს,  
ვინც სიკოილის წინ უხმობდა დედას,  
მათთვის შენდობას ვინ დაიშურებს!  
ჩვენი ლეილები და სისხლბორცები  
ქვავ დავუბრუნოთ, ძმებო, ჩვენს წილს.

მათგან სამშობლოს ზოგი რტყნებთ...  
ზოგი სტამბითაც შემოეწია...  
უფრო ვათხოვოთ მათ ჩვენს სახვეწარს,  
შენდობა ვუთხრათ, მათ ვინც ღირსაჲ  
არც ურჯულობა, არც გარდახვეწა  
მათ თავის ნებთ არ უცისრიათ.  
მაგრამ ნუ ჩავთვლით მათ ჩვენს თვისტომად,  
ვინც შეაგინა თვითი ბავშვობა,  
მამულეობა ვინც თვით ინდომა  
და თვით ირჩია ყიზილაშობა.  
ძვირად დავვიჯდა ვისი გაცნობაც,  
ვინც დედის საფლავს ხნავდა სახვეწლით,  
ჯანდაბას მათი დიდი კაცობაც,  
ჯანდაბას მათი დიდი სახელიც!

გრ. აბაშიძემ თავისი შემოქმედების პირველი ნაბიჯებიდანვე გამოამყვანა მძაფრი გრძნობა ისტორიზმისა; პოეტი მუდამ ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ქართველი ერის ისტორიის შინაგან პროცესებს, განეჭვრიტა ეს პროცესები და აეხსნა ისინი. ეს მძაფრი და დაუცხრომელი ინტერესი ისტორიისადმი, რომელიც დაბატული უნდა იყოს მემკვიდრის თვალთ, დღევანდელიობის ასპექტში, პოეტმა გვიჩვენა არა მარტო თავის ისტორიულ რომანში „ლაშარელა“, არა მარტო პიესაში „ციხის ლეგენდა“, არამედ მთელ რიგ პოემებსა და ლექსებში; მათ შორის უნდა დავასახელოთ „გიორგი მეექვსე“, „ფუჭმედებელი“, „შეშლილი ხარი“, „ჯაქვგაუხდელი“, „სვენწკის ჩვენება“, და მრავალი სხვა. ყველა ეს ნაწარმოები გამსჭვალულია დიდი მოქალაქეობრივი პათოსით და სამშობლო მიწის ისეთი მგზნებარე სიყვარულით, რომ მკითხველი გრძნობს სიმწვავეს ყველა ჭრილობის, რაც ჩვენი სამშობლოსათვის საუკუნეების მანძილზე მიუყენებიათ. პოეტისათვის ისტორია მარტო არქივის მტვრით დაფარული ფოლიანტები კი არ არის, მარტო ნანგრევები კი არ არის, ეს ვალვიძებულო, ჩაუქრობელი სიციცხლეა ერისა, და როცა ჩვენ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ვუცქერდით პირველ თბილისელ ქალიშვილს, ახლადგაჭრილ საფლავთან პეპელას რომ მისდევდა, ჩვენ ვგრძნობდით, თუ რა მშვენიერი ჰიმნი უმღერა პოეტმა თბილისის გაზაფხულსა და მის უკვდავებას, თავისი ერის ისტორიას, რომელიც



მან გაიანზრა, როგორც ერთი უწყვეტი ზიციოცხლე, ათასჯერ, ათიათასჯერ განსაცდელში მყოფი, ათასჯერ უწყალოდ და უღვთოდ მოთხრილი, მაგრამ ისე მაგრად ფესვგადგმული, რომ ვერა ძალა საბოლოოდ ვერ მოერიდა მას, და ასე შეხვდა თავის ნანატრ გათენებას — საბჭოთა ეპოქას. ეს დედააზრი, ცხადია, გადაჰყვა პოეტის იმ ლექსებს, რომლებიც მან მოგზაურობის თემას მიუძღვნა და ამავე თვალსაზრისით არის გამსჭვალული პოეტის ლექსიც „მამელუყობის გახსენება ეგვიპტეში“.

ამ ლექსს ფართო ისტორიული მასშტაბი აქვს და პოეტს ის მიზანი კი არ დაუსახავს, რათა გვიჩვენოს თუ რა როლი შეასრულეს საერთოდ მამელუყებმა ისტორიაში; არა, აქ მამელუყის სახელი მხოლოდ საბაბია ერის ისტორიაზე დაფიქრებისათვის, აქ მამელუყის სახელი განზოგადებულია ყველა იმ ადამიანის ბედის გამოსახატავად, რომლებიც ისტორიის ქარიშხალმა მოსწყვიტა თავის სამშობლოს და გადაადგო არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მიმოფანტა მთელ ახლო აღმოსავლეთში — უმთავრესად ირანსა და თურქეთში; და ამ მხრივ პოეტმა კიდევ ერთი მძაფრი შტრიხი დაუმატა იმ სურათს საქართველოს ისტორიისას, რომელსაც ის ხატავს თავისი ლირიკული და ეპიკური ნაწარმოებებით.

არანაკლები სიძლიერითაა გადმოცემული ტრაგიკული წარსულის განცდა ლექსებში — „შავი ზღვის სანაპიროს ჩაელისას“ და „თურქეთის ნაციონალურ მუზეუმში“. პოეტის სულიერი მღვლეარება აქ უმაღლეს წერტილს აღწევს. გემი, რომლითაც ქართველი საბჭოთა პოეტი ევროპაში მიემგზავრება, ჩაუფლის შავი ზღვის იმ სანაპიროებს, სადაც ოდესღაც „ქართველთა სპერი“ იყო, სადაც „გაჩენის დღიდან ჩვენი აკვანი“ იყო. „ო, როგორ მინდა ნაპირზე ასვლა, ნახვა იმ ძველი ნაწალკოტარის?, შესძახებს პოეტი, მაგრამ იმავე დროს, თითქოს ყურში ჩაესმის აკლებულ, წარზოცილ თაობათა გოდება:

თვალზე ცრემლი მაწვება ნისლად,  
მყაროლებს ცივად და ტანში მზიარებსა  
არა,  
არ მინდა ნაპირთან მივალა,  
წავიდეთ,  
ნაპირს ვაგმორდეთ ჩქარა!  
ძნელია პროზის ენაზე გამოხატვა იმ ტიკიელისა, რომელიც აღბეჭდილია ამ სტრიქონებში...

პრობლემატიკა გრ. აბაშიძის ლექსებისა „ელადა“, „მინაწერი აკლდამაზე“, „სფინქსი“ და „პირამიდებზე“, საკმაოდ შორს სცილდება ჩვენს თემას, აქ მარტო მოგზაურობის შთაბეჭდილებები კი არ არის, არამედ მეტად ღრმა დაფიქრებაა იმ გზის შესახებ, რომელიც კაცობრიობას გაუვლია, აქ არის ღრმად დაფიქრება ხელოვნების ბედზეც, პოეტმა თითქოს ნაცნობი თემები აიღო, მაგრამ ისეთი ორიგინალური, მოულოდნელი კუთხით გვიჩვენა ისინი, რომ ხელახლა დაგვაფიქრა თითქოს უკვე გადაწყვეტილ საკითხებზე. ბევრი უფიქრიათ ამ თემებზე წარსულის მოაზროვნებსაც და პოეტებსაც, მაგრამ ის, რასაც ამ ლექსებში ვკითხულობთ, შეიძლებოდა ეთქვა მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების პოეტს, მაგრამ ეს უკვე ცალკე წერილის თემაა და მას ჩვენ სხვა დროს დავუბრუნდებით.

**განახლებული რუკა მსოფლიოსი**

ოდესღაც, მოწაფეობის წლებში, საკლასო ოთახის კედელზე ჩამოკიდებულ მსოფლიოს რუკის წინაშე, ყოველი ჩვენგანი, აბარებდა რა გაკვეთილს გეოგრაფიის მკაცრად მომთხოვნ მასწავლებელს — რაღაც საოცარი სისწრაფით მოგზაურობდა მსოფლიოს ქვეყნებში. ჩვენ უეცრად გადადიოდით, თუ გადაფრინდებოდით ხოლმე კახეთისა თუ იმერეთის სოფლებიდან უსაზღვრო ოკეანეში მოქცეულ არქიპელაგზე, იქიდან პიბრალტარის სრუტეში და ა. შ. და ა. შ. ჩვენს დროში, მძლავრი რეაქტიული თვითმფრინავების დროში, ადამიანი თითქმის ასეთივე სისწრაფით მოძრაობს ქვეყნიდან ქვეყნად; და როცა თქვენ გულდასმით ეცნობით იმ ნაწარ-

მოებებს, რომლებიც ქართველმა პოეტებმა უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობის თემას მიუძღვნეს—გრძობთ როგორ ახლოვდებიან, თვალთ დასანახი ხდებიან შორეული ქვეყნები, ერთელ ბავშვობაში უკვე ნახულნი მსოფლიოს რუკაზე. მკითხველი ხდება მოზარე მსოფლიოს ყველა ხალხის ტკივილისა, ყველა ხალხის სიხარულისა; ყოველივე ეს მეტყველებს ჩვენი პოეზიის ძალასა და ფართო პორიზონტზე. საბჭოთა პოეტი — წარგზავნილი ჰუმანიზმისა და თავისუფლების სამშობლოდან მსოფლიოს დაუღვევლ გზებზე — ყველაფერს უცქერის და გამოხატავს მაღალი ადამიანური გრძობების, მაღალი იდეალების ასპექტიდან; ეს აძლევს მის სიტყვას მეტემოციურ სიმძაფრეს და შთამბეჭდაობას.

ქართველი პოეტების ამ ლექსებში შორეული ქვეყნები ახლოს მოდიან და კიდევ ერთელ ვხედავთ, თუ როგორ ერთი ფიქრით, ერთი გრძობით ყოფილა შეპყრობილი მთელი კაცობრიობა — ეს არის სწრაფვა თავისუფლებისაკენ, მშვიდობისაკენ, სწრაფვა იმ გზისაკენ, რომელიც აღმოაჩინა ლენინის გენიამ და რომელ გზაზეც დიდი ხანია შემდგარია ჩვენი საბჭოთა სამშობლო; და ახლა ქართულ პოეზიას უკვე აქვს ძალა გამოხატოს მსოფლიოს ხალხთა ეს გულისწადილი, გამოხატოს ძლიერი და წარუშლელი ფერადებით.

აქ საინტერესო კიდევ ის არის, რომ ეს ლექსები აღბეჭდილია განუყოფელი ქართული კოლორიტით, ვინაიდან სამყარო აქ დანახულია ქართველი პოეტის თვალთ, იმ პოეტისა, რომელსაც მშობლიურმა ლიტერატურამ უმდიდრესი ტრადიცია დაუტოვა ხალხთა ძმობისა და ურთიერთ სიყვარულისა. ეს შესანიშნავად იგრძნობა კარლო კალაძის ლექსში „ინდოელ ქალს“, აქ კარგად არის დახატული ინდოელი ნესტანის ჩამოსვლა თბილისში, მოტაცებული ბარტყივით ფრთით რომ ჩამოიყვანა რეაქტიულმა თვითმფრინავმა. მძაფრი ქართული კოლორიტით არის აღბეჭდილი ანა

კალანდაძის ლექსები ჩეხოსლოვაკიაზე და მაყვალა მრევლიშვილისა — ბელგიაზე. ინდოეთის სურათებს ხატავს იოსებ ნონეშვილი ლექსში „ღამე ბენარესში“, მაგრამ აქ უკვე სხვა სურათებია გადაშლილი — პოეტი ლაპარაკობს იმ სოციალურ ტკივილებზე, რომლებიც აწუხებენ ამ ვეებერთელა ქვეყანას, სადაც „ისევე ხელგაწვდილს სძინავს მათხოვარს“... პოეტმა გვიჩვენა უსახლკარო ადამიანების ტრაგედია, გვიჩვენა სურათები საშინელი სიღატაკისა, და ამავე დროს, ისიც დაგვანახვა, რომ ხსნა კაცობრიობისა ამ ტკივილებიდან შეუძლია მართო სოციალიზმს. აქედანაა პოეტის სიამაყე თავისი სამშობლოთი. სოციალიზმის სამშობლოთი. საბჭოთა პატრიოტიზმის ამ ნათელი შექითაა გამთბარი იოსებ ნონეშვილის ყველა ლექსი უცხოეთზე.

ამრიგად, ქართულ საბჭოთა პოეზიაში უკვე გამოხატულია ის დიდი პროცესი მსოფლიო ისტორიული ცვლილებებისა, რომელიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს.

თუ საერთოდ პოეზია მოწოდებულია იყოს მატიანე ხალხთა ცხოვრებისა, მაშინ ჩვენი ქართული პოეზია უკვე შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო მატიანედ იმ შფოთიანი ეპოქისა, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომით და გრძელდება დღევანდელ დღემდე. ამ წლებმა მნიშვნელოვნად შესცვალეს მსოფლიოს რუკა; მეორე მსოფლიო ომის შედეგად ძველ სამყაროს გამოეთიშა, გაემიჯნა მრავალი ქვეყანა ევროპისა და აზიისა. ისინი კაცობრიობის ნათელი მომავლის გზას დაადგნენ. და ამ დიდ გზაზე გამოსვლაში მათ ჩვენი მეზობლები დაეხმარნენ, საბჭოთა მეომრები დაეხმარნენ, — ამაზე ნოკვეთხრობს რევებ მარგინი თავის ლექსში „მირზა გელოვანი“. ეს ლექსი — უდროოდ დაღუპული ქართველი ვეკაცისა და პოეტის გახსენებაა ბერლინში, და საერთოდ ეს არის სიყვარულით აღსავსე გახსენება იმ ადამიანებისა, ვინც აღმოსავლეთ ევროპას თავისუფლება მოუტანა თავისი სიცოცხლისა და სისხლის ფასად.



ხუტა ბერულავას ლექსებში ჩვენს თვალწინ დგება ახალი ჩინეთი — ბუმბერაზი ქვეყანა — წინათ დაჩაგრული და დატანჯული, ახლა კი ფრთებგამოღლილი და თავისუფალი. ეს ჩანს ლექსებში „ასე დაიწყო ჩინეთის მიწა“, „წითელი არმიის მებრძოლთა ობელისკი ხარბინში“, „ჩინეთის კედელთან“, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ერთი უსათურო ლექსი, სადაც გამოხატულია ის ახალი თვალსაზრისი, რომელმაც დიდ მსოფლიოს, დიდი დედამიწის ხალხები ესოდენ მკიდროდ დაუკავშირა ერთიმეორეს. ეს ლექსია „სიმორე რაღას მიქვიან“.

ნოდარ გურეშიძისა და ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებში გამოჩნდა სურათები ახალი გერმანიისა და ახალი უნგრეთისა; ნ. გურეშიძის ლექსებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „განთიადისას“ — ეს არის სურათი მსოფლიოსი, დანახული თვალის ერთი გადავლებით, როცა აღიბეჭდება ყველაზე დამახასიათებელი ტკივილები და სიხარული კაცობრიობისა; ასევე კარგია მისი „დიდი ქვეყანა“ და „დრეზდენის გზაზე“. ჯ. ჩარკვიანის ლექსებში ყურადღებას იქცევს ფაქიზად დახატული პეიზაჟები ბუდაპეშტისა და ბალატონის ტბისა.

ამ ქართველ პოეტთა შორის მე მინდა გამოვყო ისინი, ვინც დიდ გზებზე წავიდნენ არა ტურისტული საგზურებით, არამედ ჯარისკაცის შინლებით; ეს იყო მეორე მსოფლიო ომის წლებში — ვინ მოსთვლის რამდენი ქართველი იბრძოდა თავისუფლების იმ დიდ არმიას, რომელმაც გადაარჩინა კაცობრი-

ობა დაღუპვისაგან; იმ ~~ჯარისკაცთა~~ შორის იყვნენ პოეტები — ~~მირზა გელა~~ ვანი, სანდრო ჯლენტი და დავით პატატიშვილი, რომლებიც ვეღარ დაბრუნდნენ სამშობლოში; იმავე არმიის მეორეები იყვნენ თეიმურაზ ჯანგულაშვილი და შალვა ამისულაშვილი, რომლებიც ომის შემდეგ დაბრუნდნენ შინ და დღეს თავიანთ ლექსებში, იხსენებენ რა გარდასულ ბრძოლებს, თავიანთი ფეხით მოვლილ ვერძას — უმღერიან მშვიდობის დიდ საქმეს, რომელზეც არა მარტო ოცნებობდნენ სანგრებში, არამედ თავიანთი ბრძოლით აახლოებდნენ ამ დიდ მშვიდობას მსოფლიოს ცაზე.

ყოველივე ამან ნათელი გამოხატულება პოეზიაში ლექსებში; ეს ლექსები მტკნარად მარაღვეროვნებას ანიჭებენ იმ დიდ ციკლს, რომელშიაც ქართული პოეზია ეხმარება მთელ მსოფლიოს.

ყოველივე ზემოჩამოთვლილით არ ამოიწურება ეს თემა, მაგრამ განხილული ნაწარმოებების მაგალითებზე უკვე ჩანს მთავარი ტენდენცია XX საუკუნის 50-იანი წლების ქართული პოეზიისა, რომლის ხმა უკვე ისმის მსოფლიოს ხალხების დიდ ფორუმზე; ეს ხმა მოუწოდებს მთელ კაცობრიობას სიმართლისაკენ, ადამიანისადმი სიყვარულისაკენ. სოციალური და ეროვნული თავისუფლებისაკენ, სოციალიზმისაკენ; ეს არის ჩვენი ეპოქის პოეზიის ყველაზე უწინდესი და უდიადესი ამოცანა, ამოცანა იმ ქვეყნის პოეზიისა, რომელიც მიუძღვის ხალხებს ნათელი მომავლისაკენ.

ბოჩის ბახაძე

ნ. ა. დობროლუბოვი და გ. ვ. პლეხანოვი

(ნ. ა. დობროლუბოვის დაბადების 125 წლისთავის გამო)

შეცხრაშეტე საუენის რესეთის რვეო-  
ლეთორ-დემოკრატული კრიტიკულ-ესთერი-  
კური აზროვნების კორიფეთა შორის ერთ-  
ერთი უველაზე უფრო საინტერესო და მრავალ-  
მხრივი ფიგურაა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე  
დობროლუბოვი (1836-1861). ეს კუშმარტიად  
ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული კრი-  
ტიკოსი სულ ოცდახუთი წლია იყო, როცა  
გარდაიცვალა, მაგრამ თავისი ხანმოკლე სი-  
ცოცხლის განმავლობაში იმდენის გაყოფება  
მოასწრო, რომ მის უფროს მეგობარსა და  
თანამებროდ ნ. ა. ნეკრასოვის სრული უფლება  
ქონდა ეთქვა დობროლუბოვისადმი მიძღვნილ  
ლექსში:

ო, რა ლამპარი ვონებისა უფროოდ ჩაქრა,  
ო, რა ზღვა გულში შეიჭერა ძალღმი ძვერა...

საგულსხშია, რომ ნ. ა. დობროლუბოვის  
გარდაცვალების შემდეგაც დეკადენტურ-იდეა-  
ლისტური და ლიბერალურ-ნაროდნიკული კრი-  
ტიკის წარმომადგენლები კვლავ განაგრძობდნენ  
გაფთრებულ ბრძოლას „ბნელეთის სამეფოს“  
მამულივბელი კრიტიკოსის იდეურ-მემკვიდრე-  
ობასთან. ასეთ ვითარებაში ბ. ვ. პლეხანოვი,  
ნ. გ. ჩერნიშევსკის, ნ. ა. დობროლუბოვის,  
ა. ი. გერცენისა და დ. ი. პისარევის მემკვი-  
დრობის დამცველად გამოვიდა მარქსისტული  
ლიტერატურული კრიტიკის უბრწყინვალესი  
წარმომადგენელი გ. ვ. პლეხანოვი, რომელმაც  
სეცა ისტორიული მატერიალიზმის პოზიცი-  
ებიდან შეფასებინა ნ. ა. დობროლუბოვის  
მემკვიდრეობა.

გ. ვ. პლეხანოვი ნ. ა. დობროლუბოვის  
კრიტიკულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობაში საე-  
სებით მართებულად ხედავდა XIX საუენის  
60-იანი წლების ეპოქის რესული ლიტერატურ-  
ული კრიტიკის მთავარ დამახასიათებელ  
ნიშებს. წერილში — „ბესარიონ პელინსკი და  
ვალერიან მაიკოვი“ — პლეხანოვმა გააკრიტიკა  
ა. სკაბიჩევსკი მცდარი თვალსაზრისი აღნიშ-  
ნული პერიოდის რესული კრიტიკის განვითარ-  
ების ისტორიაზე და დამტკიცა, რომ ნ. გ.  
ჩერნიშევსკისთან ერთად ნ. ა. დობროლუბოვი  
იყო ბ. ვ. პლეხანოვის კრიტიკის ტრადიციათა

განმგრძობი, რომ თავისი ცხოვრების უკანა-  
კნელ პერიოდში ბელინსკი ხელოვნებას უეუ-  
რებდა სრულიად ისევე, როგორც ჩერნიშევსკი,  
დობროლუბოვი და 60-იანი წლების სხვა მო-  
წინავე აღამიანები: ისინი უარყოფდნენ ე. წ.  
„წმინდა ხელოვნების“ თეორიას, იბრძოდნენ  
ხელოვნების იდეურობისა და რეალისმისა-  
თის.

დობროლუბოვის მსოფლმხედველობის გა-  
შეტებისას პლეხანოვი აღნიშნავს, რომ იგი  
არსებითად არ განსხვავდება ჩერნიშევსკის  
მსოფლმხედველობისაგან და მისი ფილოსოფი-  
ური შეხედულებანი ასევე ემყარებოდნენ ლ.  
ფოიერბახის მოძღვრებას „სინამდვილის რეაბი-  
ლიტაციის“ შესახებ.<sup>1</sup> ამდენად, პლეხანოვის  
თვალსაზრისით, დობროლუბოვი იყო მატე-  
რიალისტი ბუნების მოვლენათა ახსნისა,  
მაგრამ რჩებოდა იდეალისტად ისტორიული  
განვითარების კანონზომიერებათა ვაგებაში,  
ისტორიული მოძრაობის საბოლოოდ განწმ-  
ხლებელ მიზეზს ხედავდა აღამიანთა შეხე-  
დულებებში და, აკრიტიკებდა რა არსებულ  
(ე. ი. ბატონყმერ) წესწყობილებას, ხსნიდა  
მის არახელფასოვნებას აღამიანთა „ბუნებრივ  
მისწრაფებებისადმი“ შეუსაბამობით, ცოდნისა  
და განათლების ნაკლებობით და ა. შ.

ასეთი გ. ვ. პლეხანოვის შეხედულებანი ნ.  
ა. დობროლუბოვის მსოფლმხედველობაზე და  
მისი მოსაზრებებს აქვს როგორც მისიღები,  
ისევე გასაკრიტიკებელი მხარეები. მართალია,  
პლეხანოვს ესმოდა, რომ, ლ. ფოიერბახისა და  
ფრანგ განმანათლებელთაგან განსხვავებით, ნ. ა.  
დობროლუბოვი და ნ. გ. ჩერნიშევსკი იყვნენ  
სოციალისტები, მაგრამ მას მცდარად მოაჩნდა,  
რომ ეს არის კერძობა, წერილში, რომელსაც  
წინშენვლობა არა აქვს მამინ, როდესაც საქმე  
ეხება რეს კრიტიკოსთა „საერთო მსოფლმხედ-  
ველობას“. უფრო კონკრეტულად, პლეხანოვს  
დობროლუბოვი მოაჩნდა მხოლოდ რესეთის  
რახონიანელი ინტელიგენციის მსოფლგაგებას  
გამომხატველად. პლეხანოვი სკამარისად ვერ

თეატლისწინებდა იმ გარემოებას, რომ რუსი რევოლუციონერები დემოკრატები ეყრდნობოდნენ ხალხის ფართო მასების პროტესტს ბატონყმობის წინააღმდეგ და ამიტომაც მათი სოციალიზმი, მისი უტოპიურობის მიუხედავად, შეადგენდა არა კერძობისა და წვრილმანს, არამედ საქმის, მათი მოღვაწეობის დედაარსს.

ბატონყმური რუსეთის პირობებში ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი იდგნენ გლეხური დემოკრატიის კლასობრივ თვალსაზრისზე. ჩერნიშევსკი თავის თანამოაზრეებთან ერთად აფიქსებდა რევოლუციური დემოკრატიის იდეოლოგიას — გლეხთა კეროლუციის თეორიულ საფუძველს, — ამას ეწინააღმდეგებოდა მათი — კრიტიკოსებისა და ესთეტიკოსების მოღვაწეობაც. პლენანოვის კი გლეხობის რევოლუციურ შესაძლებლობათა მენშევიკური უარყოფის გამო, „ისტორიაზე იდეალისტური და მატერიალისტური თვალსაზრისის თეორიული განსხვავებების გამო... მხედველობიდან გამორჩა პრაქტიკულ-პოლიტიკური და კლასობრივი განსხვავება ლიბერალისა დემოკრატისაგან“.<sup>1</sup>

პლენანოვი ვერ დაინახა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების, ამ შემთხვევაში დობროლუბოვის კავშირი გლეხობის მავების მოძრაობასთან, ხოლო მათი „ქეთილშობილური ოპტიმიზმი“ სენო განმანათლებლის უტოპიურ, უნიდაგო „ოცნებად“.

მაქმიმ გორკისადმი მიმართულ წერილში (1911 წლის 21 დეკემბერი) პლენანოვი წერდა:

„დობროლუბოვი ფიქრობდა, რომ უკვე ბოლო შოელი ამ ბნელეთის სამეფოს, მაგრამ მან იარსება 50 წლის განმავლობაში მისი სიყვდილის შემდეგ და ამკამადაც განაგრძობს არსებობას, მამე საწონივით ფეხებზე ჰკიდია რა რუს ხალხს, მაგრამ ისტორია არ ასვენებს ამ სამეფოს, იგი ჰგზავნის აზრის მიერობებს, რომელნიც იწყევენ მასში დღეილია და აღშლას“.<sup>2</sup>

პლენანოვის აზრით, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი ეყრდნობოდნენ, ერთის მხრივ, ბელინსკის ლიტერატურულ შემოქმედებობას ხოლო, მეორეს მხრივ, კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიას, განსაკუთრებით ფოიერბახის მატერიალიზმს.

პლენანოვი შენიშნავს, რომ ჰეგელის ობიექტურ იდეალიზმთან ბრძოლაში ფოიერბახმა წამოაყენა „სინამდვილის რეპლიკაციის პრინციპი“, ბრძოლა გამოუცხადა ყალბი ფანტასტიკის ელემენტებს, რომელიც შემოქმონდა ჰეგელის სკოლის იდეალისტურ კონსტრუქციებს.

„ხელოვნება იმ გრძნობიდან გამოშლინარეობს,

რომ ამქვეყნიური ცხოვრება არის ერთადერთი ნამდვილი ცხოვრება“, — წერდა ლუდვიგ ფოიერბახი, როცა ხელოვნებას უპირისპირებდა რელიგიას, რომელიც ცდილობს თავისი მოკონილი არსებანი ნამდვილ არსებებად გაასალოს.<sup>3</sup>

ეს „წმინდა განმანათლებლური ამოცანა“ (გ. ე. პლენანოვი) ფოიერბახმა დააყენა ესთეტიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის წინაშეც და მას ანხორციელებდნენ: ჩერნიშევსკი — დისერტაციაში „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულებანი სინამდვილესთან“ და დობროლუბოვი — თავის კრიტიკულ წერილებში.

ასეთია პლენანოვის შეხედულება, რომელიც ბევრი მკვლევარი გულისწეროშითა და აბსოლუტური „კრიტიკული კრიტიკის“ კრიტიკით უდგებოდა. სინამდვილეში კი აქ საჭიროა მეცნიერული დაყვირება, ანალიზი, მტიკება და არა უსაფუძელო გულისწერობის გამოყენება. უდავოა, რომ ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა გაიარეს ჰეგელისა და ფოიერბახის სკოლა; ამ ფაქტის დადგენა შეიადგენს პლენანოვის მეცნიერულ დამსახურებას, რომლის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ პლენანოვის მსჯელობის სუბტი მხარე იმ/შია, რომ ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ესთეტიკისა და კრიტიკის განხილვისას, იგი ათანაბრებს მათ ლ. ფოიერბახთან და XVIII საუკუნის ფრანგ მატერიალისტებთან და ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, რომ გერმანული ფილოსოფიური სკოლის გავლასთან ერთად დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი ავითარებენ უკანასკნელი ჰერციონის ბელინსკის მატერიალისტური ესთეტიკის საფუძველებს, ფეხდაფეხ მისდევენ რუსეთის სოციალური სინამდვილის განვითარებას.

პლენანოვი ასეთნაირად ახალიბებს დობროლუბოვის ლიტერატურულ-ესთეტიკურ კედლოს: „რეალური კრიტიკა არაფერს არ ასვენებს თავზე მხატვარს, ერთადერთი მოთხოვნა, რომელსაც წამოუყენებს მას იგი, შეიძლება გამოხიბატონ ერთი სიტყვით: ჰუმანიტეტა. მაგრამ ჰუმანიტეტა, რომელსაც მხატვარი გამოხატავს თავის ნაწარმოებში, შეიძლება იყოს შეტად ან ნაკლებად ღრმა და სრული. იგი იმდენად შეტად სიღრმითა და სისრულით ხასიალდება, რამდენადაც უკეთესადაა გამოხატული მისში ამა თუ იმ დროისა და ამა თუ იმ ხალხის ბუნებრივი მისწრაფებანი. როგორცა უნდა განისაზღვროს ასეთი მისწრაფებანი? დობროლუბოვის აზრით, კაცობრიობის ბუნებრივი მისწრაფებანი დაიყვანება იქამდე, რომ „ყველანი თავს კარგად გრძნობდნენ“. მაგრამ აღმართა მოღვმის ეს ძირითადი მისწრაფება შეიძლება

<sup>1</sup> Ленинский сборник, XXV, стр. 221—231.

<sup>2</sup> გ. ე. პლენანოვი, Искусство и литература. Гослитиздат, 1948, стр. 756.

<sup>3</sup> ლუდვიგ ფოიერბახი „Избранные философские произведения. Госполитиздат, 1955, ტ. I, стр. 118 და ტ. II, стр. 693.

განზოცეულეს მხოლოდ იმ სათანადო პირობებში, რომელნიც ისტორიულად აქამდე არ არსებობდა.<sup>1</sup>

ამგვარად, პლენაროვისათვის დობროლებოვი არის „ტაბოერი კრიტიკოსი-განმანათლებელი“, რომელიც გამოდის „განყენებულ ვიწების დსკენებიდან“ და ლიტერატურისა და ხელოვნების მოვლენებს აფასებს ისტორიული იდეალიზმის პოზიციებიდან. პლენაროვი ცდილობს გაარკვიოს დობროლებოვის „რეალური კრიტიკის“ ძირითადი ნიშანთვისებანი, მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრისას იგი იფარგლება საკმაოდ ვიწრო სფეროთი და იბილავს მხოლოდ იმ კრიტიკულ წერტილებს, სადაც დობროლებოვი ეხება ა. ნ. ოსტროვსკის დრამატურგიას. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ვარცოცხა, ამ შემთხვევაში, ზღუდავს და ავიწროებს პლენაროვის ისტორიულ-ფილოსოფიურ-ესთეტიკურ პერსპექტივას.

ჩვენი აზრით, პლენაროვის შეზღუდულობა ვლინდება იმაში, რომ იგი დობროლებოვის შეხედულებებს მთლიანად ათავსებს ფოიერბახანალობისა და „ახსტრაქტული განმანათლებლობის“ ფარგლებში; პლენაროვის კრიტიკოსები კი იბენენ მიდრეკილებას მიაწერონ დობროლებოვის ფოიერბახანალობის სრული კრიტიკული დამლუვა, რაც არ არის სწორი.

პლენაროვისათვის საესეებით მისაღებია ის გარემოება, რომ დობროლებოვის „რეალური კრიტიკა“ ხასიათდება ასეთი ნიშნებით:

ა) იგი არაფერს კი არ აწესებს, არამედ შეისწავლის; არ მოითხოვს, რომ ავტორმა წეროს სწორედ ასე და არა სხვაგვარად. ის განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რასაც მწერალი წერს.

ბ) რეალური კრიტიკა არვის თავს არ ახვევს თავის საუთარი აზრებს.

„... უღერებად დიდ სისულელეს ლაპარაკობდნენ ის ადამიანები, — წერს პლენაროვი, — რომელნიც დობროლებოვის ტენდენციური მხატვრული ნაწარმოებისადმი თანაგრძობის უსაყვედურებდნენ. გასაგებია, თუ რატომ: ცხოვრების ტენდენციური ასახვა ამბონჯებს მის ჭეშმარიტებას, ვარს უღებს ფანტაზიას. იმისათვის კი, რომ გამოიტანოთ სწორი „მსჯელობის ცხოვრების მოვლენებზე“, აუცილებელია წინ იქონიოთ მისი ნამდვილი და არა ფანტასტიკური გამოხატულება.“<sup>2</sup>

პლენაროვი აღნიშნავს, რომ დობროლებოვი ეყრდნობოდა „რეალური კრიტიკის“ წინაშე მდგომ ამოცანებს და ფოიერბახის მოძღვრებას „სინამდვილის რეალიტიციის შესახებ“; ამიტომაც კრიტიკოსს ღრმად სწამდა, რომ

რეაქციული მწერლები, „წმინდა ხელოვნების მიმდევარნი, „ილუმინაციების მოძღვრადნი“ და „უაღბი დიფიკამბების“ შემთხვევნი, თავიანთი ნაწარმოებებით ვერ გამოხატავენ ჭეშმარიტებას. მათი შემოქმედება დაგმობილია დობროლებოვის მიერ, როგორც ხელოვნურ სპოზადობრივ მისწრაფებათა და კომბინაციათა გამოხატულება. დობროლებოვის შეხედულებით, ასეთი შემოქმედნი ვერ ჩათვლებიან „ჭეშმარიტ მწერლებად“ და ისევე შეუფარლებიან უყანასწავლთ, როგორც „ატროლოგები ასტრონომებს“.

დობროლებოვის ამგვარი მსჯელობიდან გამომდინარე, პლენაროვი ასე ახასიათებს იმ მთავარ ამოცანას, რომელსაც დობროლებოვი აყენებდა ლიტერატურული კრიტიკის წინაშე:

„უნდა გამოირკვეს, ამა თუ იმ დროის და ამა თუ იმ ხალხის რომელ ხელოვნურ თუ ბუნებრივ მისწრაფებებს გამოხატავს ეს თუ იმ მხატვარი. რადგანაც ხელოვნურ მისწრაფებათა გამოხატულები არ იმსახურებენ არავითარ თანაგრძობას, ამიტომ კრიტიკა ყურადღებას აქცევს მათ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ახილებს მათ ნაწარმოებებში მოცემულ მტრნაყოფად საზიანო სიურტეს. რაც შეეხება იმ მწერლებს, რომელნიც გამოხატავენ აკობრობის ბუნებრივ მისწრაფებებს, კრიტიკა ვალდებულია ვაერკვეს იმაში, თუ რამდენად ადეკვატურია მათი იგი თუ იმ მწერალმა, საქმის დედადარის მიუღდა იგი თუ მის ზედამირს, მთელი საგანი აღწერა, თუ მხოლოდ მისი ზოგიერთი მხარე. აქ მოსალოდნელია უამრავი ნიუანსი.“

დობროლებოვი მალა აყენებდა ოსტროვსკის სწორედ იმიტომ, რომ მისი სახით ხედავდა მხატვარს, რომელმაც შეძლო ღრმა არსობით გაეგო და გამოეხატა თავისი ხალხისა და თავისი დროის ბუნებრივი მისწრაფებები.<sup>1</sup>

პლენაროვის ზემოთმოყვანილი მსჯელობა ეყრდნობა მის შეხედულებას ფილოსოფიურ კრიტიკაზე, რომელმაც, მისი აზრით, უნდა მოგვეცა ხელოვნების ნაწარმოებათა იდეური და ფილოსოფიური შეფასება. პლენაროვის შეხედულებით, ჭეშმარიტად ფილოსოფიური კრიტიკა არის ამავე დროს ჭეშმარიტად პუბლიცისტური კრიტიკაც, მაგრამ ჭეშმარიტ მხატვრის შემოქმედებისადმი დამოკიდებულობით კრიტიკოსი შესაძლოა დაადგვს ესთეტიკურ ან პუბლიცისტურ თვალაზრისს. ამასთან ერთად გაანია, თუ რა აინტერესებს მას: როგორაა გამოხატული ჭეშმარიტება მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში ან როგორი ჭეშმარიტებაა შიგ გამოხატული. პლენაროვი შენიშნავს, რომ დობროლებოვი მწვენიერად ერკვეოდა კრიტიკის ამ მომენტებში.

<sup>1</sup> გ. ვ. პლენაროვი, თხზ., ტ. XXIV, გვ. 44.

<sup>2</sup> გ. ვ. პლენაროვი, თხზ., ტ. XXIV, გვ. 59.

1. გ. ვ. პლენაროვი, თხზ., ტ. XXIV, გვ. 47.

„წერილებში, რომელიც მიემდინა ტერგუნიის რომანს „წინაღობა“, იგი უარს ამბობს საზოგადოების ესთეტიკურად აღმზრდელის როლზე და დამყინავად აცხადებს, რომ ესთეტიკური კრიტიკა ამაჰამ დადიკვა მგრძობი-აკი ქალიშვილების კეთონილება, ხლო წერილში „სინათლის შექი ბნელეთის სამეფოში“ იგი არ უშინდება პუბლიცისტობას და პირდაპირ გადადის ადამიანების „ბუნებრივ“ მოთხოვნილებათა განმარტებას თვალსაზრისზე“.<sup>1</sup>

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, მიეთითებს პლუხანოვი, თითქოს დობროლიტოვი მოკლებული იყო ხელოვნების მოვლენათა ესთეტიკური შეფასების უნარს, როგორც ამას გაიძახოდნენ რეაქციული კრიტიკის წარმომადგენლები. დობროლიტოვი განგებ ამახვილებდა თავისი ნაწერების პუბლიცისტურ მიზანდასახელობას იდეალისტურ ესთეტიკასთან ბრძოლაში. რაც შეეხება მის ესთეტიკურ მსჯელობა-გამოსვლებს ისინი განსაკუთრებულნი არიან თავიანთი სიღრმითა და სიმასხილთ, და დობროლიტოვმა დაჯიტირვა ესთეტიკური თვალსაზრისით ა. ნ. ოსტროვსკის შემოქმედების საუკეთესო გარჩევა, როგორც ეს გააკეთა ბ. ვ. პლუხანოვი პუშკინისა და გოგოლის მიმართ.

ბ. ვ. პლუხანოვი არა ერთგვის იმეორება, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიტოვის სახით ჩვენ გვყავს ტიპური „კრიტიკოსი-განმანათლებელი“; წერილში „დობროლიტოვი და ოსტროვსკი“ მას მოყავს ის ცნობილი ადგილი ჩერნიშევსკის დისერტაციიდან — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულებანი სინამდვილისადმი“, — სადაც აღნიშნულია ხელოვნების სამი არსებითი მხარე:

ა) ცხოვრების ხელახლა წარმოქმნა, გადასახვა;

ბ) ცხოვრების ასხნა;

გ) ცხოვრების მოვლენებზე მსჯავრის გამოტანა;<sup>2</sup>

პლუხანოვი აღნიშნავს, რომ დობროლიტოვი იყო ჩერნიშევსკის მოწაფე, ხლო მისი „რეალური კრიტიკა“ იყო ნ. გ. ჩერნიშევსკის ესთეტიკური თეორიის გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზისათვის. აქედან გამომდინარე დობროლიტოვს უნდოდა, რომ მხატვრულ ნაწარმოებებს მოეთვალ ცხოვრების ასხნა, ხლო მის კრიტიკულ წერილებს პქონდათ მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებში წარმოსახული „ცხოვრების მოვლენებზე გამოტანილი მსჯავრის“ მნიშვნელობა.

პლუხანოვს არ მოსწონდა ჩერნიშევსკისა და

დობროლიტოვის ლიტერატურულ შეხედულებათა ამგვარი გამოხედობა; მისთვის მართოდობროლიტოვი ედება, როდესაც ლიტერატურას აკისრებს „სამსახურებრივ როლს“ საზოგადოების მიმართ. მას მიანდა, რომ რუსი კრიტიკოსები ამ შემთხვევაში აქლენდნენ აშკარა მიდრეკილებას მხატვრული ლიტერატურის ტენდენციურობისაკენ. პლუხანოვისათვის მისაღებია „რეალური კრიტიკის“ მხოლოდ ის მხარე, რომლითაც იგი ზურგს აქცევს ტენდენციურ ნაწარმოებებს და მხატვრისაგან მოთხოვს მხოლოდ ერთს: ცხოვრებისეული სიმართლის გამოხატვას. მაგრამ მოვესმინოთ თვით პლუხანოვს:

„თუკი „აზრი მართავს მსოფლიოს“ (მარქსამდელი სოციოლოგიის საერთო თვალსაზრისი, რომელსაც პლუხანოვი ყოველგვარი კომენტარების გარეშე მიაწერს ჩერნიშევსკისა და დობროლიტოვს), მაშინ იმ ადამიანს, რომელსაც სურს სამყაროზე ზეგავლენის მოხდენა ამა თუ იმ მიმართულებით, ისეა რჩება, რომ თავისი აზრი გაბატონებულად აქციოს. და თუკი ეს ადამიანი დიდი საზოგადოებრივი რეფორმისაკენ მოსწრაფვის, მაშინ რალა საკვირველი იმამ, რომ იგი მზად იქნება სხვათა შორის გამოიყენოს მხატვრული ლიტერატურაც. რათა თავის აზრს როგორც ბატონობა. ასეთ შემთხვევაში სრულიად აუცილებელია ერთგვარი ცალმხრივობა“.<sup>1</sup>

პლუხანოვი მიეთითებს, რომ არსებობს ამგვარი ცალმხრივობის დაძლევის ორი გზა: საზოგადოებრივ რეფორმებზე უარის თქმა, ანდა იდეალიზმი — ისტორიული მატერიალიზმით შეცვლა. იბადება კითხვა: სწორად ესმის თუ არა პლუხანოვს ეს საკითხი და განა ისტორიული მატერიალიზმი უარყოფს ლიტერატურის „სამსახურებრივ როლს“ და ყოველი იდეოლოგიის აქტიურ ხასიათს?

პლუხანოვ ვერ იჩენს თანმიმდევრულობას (და სხვაგვარად არ შეიძლება მისი ესთეტიკის მრავალ წინააღმდეგობათა გამო) რეველიციონური დ მოკრატების კრიტიკაში. რევენობაში ვ. რომინის (საინკოვის) რომანზე — „ის, რაც არ ყოფილა“ — პლუხანოვი ამბობს, რომ კრიტიკის ამოცანაა სინამდვილის იმ მოვლენათა განმარტება, რომელთაც განაპირობებს მოცემული მხატვრული ნაწარმოები და თუ შეგ წამოჭრალია მნიშვნელოვანი საკითხები, მაშინ კრიტიკა „უაღმდებელია გვიდღეს წმინდა ესთეტიკური მსჯელობის საზღვრებს იქით“<sup>2</sup>. მაგრამ განა ამასვე არ მოითხოვდნენ დობროლიტოვი და ჩერნიშევსკი, რომელთაც პლუხ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 47—48.

<sup>2</sup> ნ. გ. ჩერნიშევსკის, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი, 1945, გვ. 426.

<sup>1</sup> ბ. ვ. პლუხანოვი, თხზ., ტ. XXIV, გვ. 60.

<sup>2</sup> იქვე, ტ. XXIV, გვ. 285.

ნეტი ბრალს დებს განყენებულ განმანათლებლობასა და არამეცნიერულ არგუმენტაციასში, ამასთან ერთად კი აღიარებს, რომ 60-იანი წლების მოწინავე რუსული კრიტიკა ავტოცენზურა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის დიდ გამათავისუფლებელ იდეებს?..

საქმე ასეა, რომ პლესანოვი თანმიმდევრულ-დოქტრინულად ვერ ერკვეოდა ლიტერატურისა და ხელოვნების კლასობრიობის, ტენდენციურობისა და პარტიულობის ცნებებში. მისი შეხედულებით, კრიტიკა შეიძლება იყოს პუბლიცისტური და ამდენად უნდა შექმნოს „ცხოვრების მოვლენებზე მსჯელობის გამოცემა“, ხოლო ლიტერატურის, ხელოვნებისა და ესთეტიკის (ხელოვნების ზოგად-ფილოსოფიურ თეორიას) არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ პარტიული ხასიათი, რადგანაც ესთეტიკა იფარგლება ხელოვნების განვითარების საერთო კანონზომიერებათა ახსნით, ხოლო ლიტერატურა და ხელოვნება მხოლოდ ა ს ხ ა ე ვ ე ნ სინამდვილეს, მისდევენ რა ცხოვრებისეულ სიმართლეს. აქედან გამომდინარეობს პლესანოვის მედარი დანასკეი, რომლის მიხედვითაც დობროლუბოვი განიხილავდა ოსტროვსკის შემოქმედებას ყოველდგირი პარტიული თვალსაზრისისაგან დამოუკიდებლად, ხოლო სამოციანი წლების რუსული ლიტერატურული კრიტიკა ზურგს აქცევდა ტენდენციურ ნაწარმოებებს.

პლესანოვის აზრით, „დობროლუბოვი იყო არა მარტო ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე პუ ბლიცისტი, ა მასთან ერთად იგი იყო ლიტერატურის მშვენიერი კრიტიკოსი. ძირითადად, მის ლიტერატურულ მოღვაწეობაში პუბლიცისტი ყოველთვის სძლედა ლიტერატურულ კრიტიკოსს...“

...დობროლუბოვი ამბობდა: რეალური კრიტიკა არაფერს არ უწყებს ლიტერატურას: იგი შას მხოლოდ შეისწავლის. ამით მან დაიწყო. ხოლო დაამთავრა იმით, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას მან მიუჩინა სამსახურებრივი როლი, საიდან გაჩნდა ეს წინააღმდეგობა? იგი გამოვიდა ოსტროვსკზე იდეალისტური თვალსაზრისიდან“ 1.

სინამდვილეში კი პლესანოვი უსაფუძვლოდ ხედავს აქ დობროლუბოვის ესთეტიკის „დამძლეველ წინააღმდეგობას“. პირიქით, ლიტერატურული კრიტიკის ამოცანათა გამორკვევის დროს, ლიტერატურის ტენდენციურობის განსაზღვრას, დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი უახლოვდებიან ლიტერატურის ტენდენციურობის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას. მართალია, დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი ზურგს აქცევენ იმ ეპოქაში მომრავლებულ უაღბ „ტენდენციურ“, ცერუალისტურ ნაწარმოებებს, მაგრამ გოგოლისებრი კრიტიკული „ტენდენ-

ციურობა“, სინამდვილის მახინჯ მოვლენათა მხოლეობა, მხატვრული ტიპების [ქმე ზახბაძეების შექმნით, ძალადობაზე დამყარებულ] მსაზოგადოებრივი წესრიგის მახინჯი რაობის გამოზნეურობა — ეს მხოლოდ მათი იდეალი იყო. ამიტომ ისინი აძლევდნენ რევოლუციურ ინტერპრეტაციას ი. ტურგენევის რომანს „წინაღობა“, ა. გონჩაროვის „ობლომოვის“, რათაც ზნორად ამ მწერლების გულისწყრომასაც იწვევდნენ. ისინი იბრძოდნენ იმისათვის, რომ მწერლები მოწინავე საზოგადოებრივ პოზიციებზე დაეყენებინათ, პლესანოვი ცდება, როცა ეს მხოლოდ განმანათლებელთა უსაფუძვლო გატაცებად მიანია.

ჩვენ, გვწამს, რომ შესაძლებელია მწერალს იღზრდა საზოგადოებრიობისა და პარტიის მიერ, რომ კრიტიკა უნდა დაეხმაროს შემოქმედს იმ „მედარ მიმართულებას“ დაძლევაში, რომელიც უწყებს „ქვეშაირ ტრალისტ“ (ჩერნიშევსკი), თეთონი პლესანოვს წერილში „დობროლუბოვი და ოსტროვსკი“ თვალწინ ჰქონდა მწერლისა და კრიტიკის მსგავსი ურთიერთობის ნათელი მაგალითი — ხომ ეგება იგი საყთან, თუ როგორ აგრირებდა ჩერნიშევსკი ა. ნ. ოსტროვსკის სლავოფილურ ცნობილებას, ცნობილია, რომ ამ კრიტიკამ უსაფუძვლოდ არ ჩაიარა... იგი დაეხმარა ოსტროვსკის დაძლევა სლავოფილური შეცდომები, ხელი აეღო მაშინდელი რუსეთის ცხოვრების იდეალიზაციაზე და დაბრუნებოდა რეალისმის გზას. მაგრამ პლესანოვი დამყაროვდა ამ ფაქტის უზარალო კონსტრატაციით და არ გააჩნია იგი მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკის ურთიერთობის თვალსაზრისით — ალბათ, იმიტომ, რომ იგი დაარღვევდა მის მედარ კონცეფციას.

დობროლუბოვი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა ყალბ ტენდენციურობას, მაგრამ მის მშვენიერად ესმოდა (რაც ვერ გავყო, ან არ მოიხურვა ვაგვო, პლესანოვმა) რეალისტური შემოქმედების პროგრესული ტენდენციურობის საკითხი, იმ ტენდენციისა, რომელიც გამოძინარეობს მოვლენათა შინაგანი განვითარებიდან და მანაც რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან გამომქა ტურგენევის, გონჩაროვის, ოსტროვსკისა და სხვათა ნაწარმოებები. განმანათლებლური კრიტიკის ასეთი ტენდენციურობა როდი ეწინააღმდეგება მარქსისტულ ესთეტიკას!

ცნობილია, რომ მ. კაუცკისა და მ. პარკნისისადმი მიმართულ წერილებში ფ. ენგელსი ხახვასმით აღნიშნავდა მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა (ესქილე, არისტოფანე და სხვები), აგრეთვე XIX საუკუნის რუს და ნორვეგიულ მწერალთა შემოქმედების ტენდენციურობას, რომელიც გამოძინარეობდა სწორედ იქიდან, რომ ისინი ერთგული იყვნენ „ცხოვრების სიმართლისა“ და ამდენად გამო-

1 ივე, გვ. 59—60

ხატედნენ საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ტენდენციებს.

„რამდენადღაც დაფარულია ავტორის აზრები, იმდენად უკეთესია ხელოვნების ნაწარმოებისათვის: რეალიზმი, რომელსაც მე ვგვლისხმობ, ვლინდება ავტორის შეხედულებათა მიუხედავად“<sup>1</sup>, წერს ფ. ენგელსი და მიუთითებს ბალზაკის შემოქმედების მაგალითზე. ფ. ენგელსის ამ დებულებიდან ასეთი დასკვნები გამომდინარეობს:

1) იგი აღნიშნავს კრიტიკული რეალიზმის (ბალზაკი) ძლიერებასა და სისუსტეს, იმ რეალიზმისა, რომლის მძლავრი მხილების ძალა ძველდა მსოფლმხედველობაზე შეზღუდულობას და მართლდ ასახავდა ცხოვრებას.

2) ენგელსის აზრით, ავტორმა თავისი ტენდენცია უნდა გამოხატოს არა შეშველი, პლაკატური სახით, არამედ გამოიყენოს იგი თავიანთსათაობის გარემოებათა განვითარების ლოგიკით და

3) რაღა თქმა უნდა, რომ ეს გარემოება რაღი გამოიყენებს იმას, რომ ნაწარმოები მხოლოდ მოიკვებს იმ შემთხვევაში, როდესაც შიგ მოცემული ცხოვრების სიმართლის ობიექტური ასახვა არ ეწინააღმდეგება ავტორის სუბიექტურ შეხედულებებს, რომელიც მისი კლასობრივი პოზიციითაა ნაკარნახევი. ეს დაამტკიცა მ. გორკის, ე. მაიაკოვსკის, შთელი სოციალისტური ლიტერატურის მხატვრულმა პრაქტიკამ.

სწორედ ასეთ თვალსაზრისს უახლოვდებოდა ნ. ა. დობროლინოვი: იგი მიუთითებდა გონიარობის, ტრეგედიისა და ოსტროვსკის ნაწარმოებთა დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე და მოუწოდებდა მოწინავე რუსეთს სოციალური სინამდვილის მახინჯ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად. პლენანოვიც (წინააღმდეგ თავისი თეორიული მტკიცებისა) აღიარებს ამას.

პლენანოვი შენიშნავს, რომ დობროლინოვი

ტყუილად როღი დაეთმო ესოდენ სერიოზულ ყურადღება ა. ნ. ოსტროვსკის დრამის „კვიპქუხილი“ და მანში დახატულ „პროტესტანტ ქალს — კატერინა კაბანოვას სახეს“. მისთვის ჩვეული „ეთილშობილური ოპტიმიზმის“ შეთხებით კრიტიკოსმა დესპოტიზმის მიერ გათვლილ პიროვნებაში დაინახა საუკეთესო ადამიანური ნიშნების აღორძინება. „იმიტომ მიიზიდა ნ. ა. დობროლინოვი, — ამბობს პლენანოვი, — უერთიანი ნატურის“ მქონე კატერინა კაბანოვას სახეს, რადგან იგი არ ჰგავდა იმ გოგონებულ, ქანცობილულ „ხედმეტ ადამიანებს“, რომელიც ასე გესლიანად დაახსიათა ნ. გ. ჩერნიშევსკიმ წერილში „რუსი ადამიანი rendez — vous-ზე“. დობროლინოვს, შენიშნავს პლენანოვი, პირდაპირ შეუყვარდა კატერინა კაბანოვა, რადგანაც ასეთი ადამიანების გამოჩენაში იგი უჭრეტდა იმის საწინდარს, რომ რუსი ხალხი შეიძლება, მოსურვეებს ბრძოლას „ობროტობის“, „აზარებულობის“ წინააღმდეგ. ამიტომაც, დობროლინოვის შეხედულებით, „კვიპქუხილი“ წარმოადგენს მთელს ეპოქას რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

როგორც ვხედავთ, პლენანოვას იმ შენიშვნებში დობროლინოვის მსოფლმხედველობისა და ლიტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებებზე, რომლებიც ძირითადად ვეხედება წერილში „დობროლინოვი და ოსტროვსკი“ და მონოგრაფიაში ნ. გ. ჩერნიშევსკიზე, მკდარი დებულებების გვერდით, ვეხედება ღრმადიანარსიანი დავიკრებები რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის ერთ-ერთი უთვალსაზიროესი წარმომადგენლის შესახებ. გ. ე. პლენანოვის ნაწერებში ნ. ა. დობროლინოვი წარმოგვიდგება როგორც მებრძოლი კრიტიკოსი, რომელიც მოითხოვდა ლიტერატურის ცხოვრებასთან კავშირს, მისი სინამდვილის ასახვას, ხალხის „ბუნებრივ მისწრაფებათა“ არსში ჩაწოდომა, ცხოვრების სიმართლის გამოსატყვის, ხოლო „რეალურ კრიტიკას“ მთავარ ამოცანად უსახავდა „ისე მოპყრობოდა ნაწარმოებებს, როგორც ნამდვილი ცხოვრების მოვლენებს“.

<sup>1</sup> «К. Маркс и Ф. Энгельс об искусстве» М. Л., 1937, გვ. 160—165.

## სწიგნე გჰმსახური

# საგომგარომგბრივი აგროგნეგვის ისტორიიდან საქართგმეროს ადრეგმეორადურ ხანაგში

ქართული აგროგნეგვის ისტორიის შეგწავლას ეძველეს ხანაგმდე გვიგეყვართ.

როგმავლთა და შეგმდგომ ბიგნანტიელთა პოლიტიკური სწრაფეა ზღვისპირგეთის ქართული ტერიტორიგების დასაპყრობად ნიადაგს ქმნიდა ბერძნულ-ქართული სააგროგნო ურთიერობის განეითარებისა და გაცხოველებისათვის.

სტრაბონის მიერ აღწერილი, საქართველის ტერიტორიაზე გჰმავალი სატრანზიტო გზები, რომლებიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს ურთიერთთან აკავშირებდა და კოლხეთის სანაპიროებზე დაარსებული მრავალრიცხოვანი სავაჭრო ფაქტორიები ერთგერთი, ძირითადი განმსაზღვრელი პირობა იყო ამ ურთიერთობისა და იმ ფაქტისა, რომ ქართული აგროგნეგვითი კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის აგროგნეგვითს შიგმართულეხებს გზიარა, რომლის გჰმოგლენასაც ვხედავთ „ბალაგარიანიში“ VII საუკუნე, „გეგფისიტეასანში“ XII საუკუნე, კოლხეთის რიტორიკული სკოლის წარმომადგენლის, ნეოპლატონისტი ბაქურის სახით IV ს. და ბერძნული ფილოსოფიური აგროგნეგვის შთელი რიგი ფრაგმენტადური შემონარჩენით, რომლებიც გჰმნეულია VI — X ს. ს. ქართულ საეკლესიო მწერლობაში.

სირიელ გჰმათა ნაზარევიდან, რომლებსაც პეტრე იბერის სირიულ სკოლასთან მჭიდრო კავშირი აქვთ და რომელთაც ჩვენ გჰმანათლებლებსაც“ ეწოდებდით, კერძოდ, აბბოს ნეკრესელისა და დავით გარეჯელის ნაზარევიდან შემორჩა მათი მსოფლგაგებისათვის საგმეო ფრაგმენტები. ამის მიხედვით, როგორც მტკიცდება, პირველი არისტოტელეს ფიზიკალურ მსოფლგაგებისაგენ, ხოლო მეორე პლატონის იდეალიზმისაგენ ისრება.

საეკლესიო ცენზურისათვის ნეკრესელის ნაზარევიდან ცეცხლის გაღმერთების წინააღმდეგ გჰმოთქმული მოსაზრების დატოვება არეგმავისტიკის არსენალიდან მოტანილი არგუმენტაციით საესებით გასაგებია. ქრისტილოგია და მისი თეოლოგია კაცობრიობის შემობრუნებას ნაშნავს წარმართულიდან შე-

დარებით მაღალ საფეხურზე მდგომ შეგნებისაგენ. ეს უდავოდ მისაღები ფაქტია. აბბოს ნეკრესელის მტკიცება ცეცხლის, არა როგორც ღმერთის, არამედ ბუნების ერთგერთი სტიქიონის არსებობის შესახებ, რომელიც სხვა სტიქიონებს გრწყემის და ადამიანის სამსახურშია იმგეარად, რომ მას იგი შეუძლია „იღანთოს და დაშთოს“, საეკლესიო ცენზურისათვის საესებით გასაგებია, როგორც წარმართულ ცეცხლთაგენისმცემლობის საწინააღმდეგო მტკიცება და დასაშეგებადაც შიგნია. ასევეა დავით გარეჯელთანაც, როცა მისი ცეცხლთაგენისმცემლობის საწინააღმდეგო აგრება გჰმოთქმული და ღეთებისა და სამყაროს თანაარსებობისა და მარადიულობის პლატონისებური გაგება მოცემული. მაგრამ ნეკრესელის და გარეჯელის აგროგნეგვის არე მარტო ამით არ უნდა შემოფარგლულიყო, შითუშეტეს, მათი ერთდციის ფესვები ბერძნული ფილოსოფიური აგროგნეგვამდე მიდის. უდავოდ არე ხელოვნური და საეკლესიო ცენზურის მიერაა გაკეთებული.

შესაშნეგია, რომ ქართული აგროგნეგვის განვითარების ადრეული და გეიანი საფეხურები მრავლად ატარებს ანტიკური ფილოსოფიური აგროგნეგვის ელემენტებს. როგორც საეკლესიო, ისე საერო მწერლობაში, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ელემენტები დოგმატიზმის სახით როდი გვევლინებიან, ისინი ხშირად თავისებურ შიგმართლებებს და განვითარებას იღებენ. ქართული აგროგნეგვაში ფილოსოფიურა ელემენტების სიუხვის არსებობას ბერძნულ-ქართული აგროგნეგვითი სამყაროს სიახლოვე განსაზღვრავს, რისაც ხელს უწყობდა სირიაში, ათონზე, შავ შთაზე და სხვა ქართული სამონასტრო ექსტერიორიალური დასახლება.

„გესტატე მცხეთელის მარტვილობაში“ კლავ ცეცხლის პრობლემა დგას, ატორის განმარტება ცეცხლის შესახებ თითქმის ისეთივეა, როგორც ნეკრესელთან — „ხოლო ჩვენ ღმერთთან ცეცხლი სამსახურებლად მოგვეცა, ყინულისა განსათობებლად და ყოელისა სანოგავისა საქმარად, და ოდეს გეინებენ, აღ-



ვიგზნით, და ოდეს გვინებენ, დაე-  
მჩრტით. ეს რეთ არა ღმერთი  
არს ცეცხლი იგი" (ქართული ენის ის-  
ტორიული ქრესტომათია, ტ. 1, გვ. 276,  
1949 წ.).

მასწავლებელი ცეცხლი ღმერთი კი არაა, არა-  
მედ ბუნების ერთერთი სტიქიონი, რომელსაც  
ადამიანი ფლობს და როცა უნდა, ნეკრესე-  
ლისებურად რომ გამოეთქვას, „დააშთობს“.

გამოთქმულ მოსაზრებას, მართლაც შესაძ-  
ლებელია მიუყვარათ იმ დასკვნამდე, რომ აე-  
ტორი იცნობდა ჩვ. ე. II საუკ. მოღვაწის,  
არისტიდეს, „აპოლოგისა“, რასაც ახასიათებს  
„ფიზიკოთეოლოგიური მომენტების შერევა  
ადამიანთან დაკავშირებულს თუ ანთროპო-  
ლოგიური მომენტებთან“ (იხ. შ. ნუტუბიძე—  
ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, გვ.  
277, 1956 წ.)

ამავე პრობლემის გადაჭრისათვის, ე. ი.  
ცეცხლის გაღმერთების შესახებ აბიბოს ნეკ-  
რესელს მიაწერენ აგრეთვე არეოპაგისტის  
არსენალიდან ამოღებულ მოსაზრებას „ყოფ-  
ნის“ აუცილებლობის შესახებ (იქვე გვ. 268).  
ამ ნაშრომით უოფერება აუცილებლობა-  
ზეა დამყარებული, ე. ი. ის, რაც არსებობს,  
არსებობს აუცილებლობით. უნდა მივიჩნიოთ,  
რომ არეოპაგისტის სიღრმეში ჩაქობილ  
ანტიკური ფილოსოფიიდან წამოღებულ და  
გადამუშავებულ ამ მოსაზრებამა საიბიბოს  
პეგელის ფილოსოფიის იმ მონაკვეთის საფუძ-  
ველი, რომელიც ამბობს: „ყოველივე რაც ნამდ-  
ვილია გონიერია და ყოველივე რაც გონიერია  
ნამდვილია“, „თივის გამშლაში სი-  
ნამდვილე თვის იჩენს როგორც  
აუცილებლობა“, რა ოქმა უნდა წინამდ-  
ებარე შეზღუდვება პეგელთან მალაი რანგის  
ფილოსოფიურ ორიბიტშია განხილული და გაშ-  
ლილი, ხოლო არეოპაგისტისაში საწყის ფორ-  
მებში, რომელიც დასვეწას მოითხოვს. და  
ყველაფერი ეს ერთად იდეალისტური აზრო-  
ვნის საწყაულში ბრუნავს. მაგრამ აზროვნე-  
ბის გარკვეულ საფეხურზე შემოქმედებითი  
აზრის დიდ მიღწევად ითვლება.

მასწავლებელი, აბიბოს ნეკრესელი ანტიკური  
ფილოსოფიის და აერეოპაგისტის ცოდნას  
იჩენს, როცა ზემოაღნიშნულ თეზისს აყენებს  
ცეცხლის გაღმერთების წინააღმდეგ. ე. ი.  
ამ კონკრეტული გაშლით, ცეცხლი არსებობს,  
როგორც აუცილებელი და ნეცილდობრივი რამ  
ბუნების სხვა სტიქიონებთან ერთად და იგი  
ადამიანის ხელშია. ღმერთი შერთა ვიდრე  
ცეცხლი. ცეცხლი, მდინარე, ქვა და სხვა არ-  
სებობს „ბუნების მიხედვით“ და იგი ღმერთი  
არ არის.

რაც შეეხება იოანე საბანისძის ფილოსო-  
ფიის ცოდნას, მტკიცდება, რომ იგი იცნობს

პლატონს, კერძოდ მის „ფედონს“ (იხ. შ. ნუ-  
ტუბიძე ქართული ფილოსოფიის ისტორია  
ტ. 1, გვ. 368, 1956 წ.).

ამრიგად, ქრისტიანული თეოლოგია საქარ-  
ველოში არ არის შეზღუდული დოგმატიზი-  
რებული ცოდნით. სქოლასტიკის პერიოდშიაც  
კი იგი მოიცავს „სწავლასა საეკლესიოსთან“  
და „სამოძღვროდ ქართულსა ენასა შინა“  
გარდა „მწიგნობრობასაც, მრავალთა ენათა“ და  
„საბრძნევსა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოს-  
თა“. შედგომა იქნებოდა მაგ. „ეესტატე მსხე-  
თელის მარტვილობა“ შეგვეფასებინა მხოლოდ  
როგორც ნათლობის რიტუალის და რამო-  
დენიმე საისტორიო ცნობის მომწოდებელ  
ნაწარმოებად და არ გავგეზომა მისი ავტორის  
ცოდნა და აზროვნება მთელი სიგრძე-სიგანით.  
ასევე ითქმის „სირიელ მამათა“ შესახებ. სა-  
ქართველოში მათი შემოხრუნება მარტო სარწ-  
მუნოებრივ ხასიათს როდი ატარებს, მათ  
გარკვეული „განმანათლებლობის“ მისია აქვთ  
ჩატარებული და ამ საქმეში ნათლად ჩანს  
„სირიის სკოლის“ გავლენა, რომლის მედრო-  
შედ პეტრე იბერი მიიჩნევა.

VIII—IX საუკუნეების ქართული აზროვნე-  
ბა ერთგვარად სქოლასტიკიზმის საბურველში  
ეხვევა, მაგრამ ეს იყო ამავე დროს ხანა  
ეროვნული აღტყინებისა. ყოველივე ამას კი  
გარკვეული ისტორიული ვითარება განაპირო-  
ბებდა.

VII საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბული  
სახელმწიფოს ექსპანსია აღმოსავლეთ საქარ-  
ველოს ტერიტორიასაც უწევს. მათი ხელის-  
უფლების განმტკიცება და დამკვიდრება აქ  
VIII ს. 30-იან წლებში მოხდა (იხ. ჯ. ჯანაშია,  
შრომები ტ. II, გვ. 371—375, 1952 წ.).

ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში თანამედროვე  
ქართლის კათალიკოსის, სამოელის თხოვნით  
იოანე საბანისძე ხელს კიდებს აბოს მარტვი-  
ლობის აღწერას.

„საღმრთოთა წიგნთა მეცნიერ“ იოანეს, რი-  
მელის „აბოს წიგნის“ აღწერის გარკვეულ  
საკმაოდ კარგი ავტორიტეტზე აქვს და რომლის  
„წადიერება ღმრთის მსახურებისათვის“ და  
„გულმოადგილება“ ცნობილი არის, სამოელი  
პატრიისციემი მიმართავს. როგორც ჩანს, იოანე  
„აბოს წიგნთა“ აღწერისას პირველად არ  
კიდებს ყალბს ხელს, თორემ სამოელი რაღა  
მის მიმართავდა; აქ ყურადღებას იქცევს აგ-  
რეთვე სიტყვა „სახლის“ ხმარება, რომელიც  
იოანეს გვარის, სახლის შეილებს, ასლო ნათე-  
სავთა კრებულს ასსენებს (იხ. ივ. ჯავახიშვი-  
ლი — ქართული სამართლის ისტორია, ტ. I,  
გვ. 148, 1928 წ., „სახლის“ განმარტებისათვის)

იოანე ამ დროს, ჩანს, ხანდაზმულია და მისი სახლის უხუცესი წარმომადგენელი.

ავტორის დაკვირვებელი თვალი საეკლესიო აღიქვამს მისი ეპოქის ყველა მტკიცეულ მომენტს საქართველოში, თხზულება როდი წარმოადგენს შებლონურ პავლიანობის ნაწარმოებს. მასში მკაფიოდაა ასახული იმეამინდელი ქართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიური და სარწმუნოებრივი ვითარება. მოიხავეს არა მარტო ქართლის, არამედ ხაზართა და აღმავალი მხარეების ზოგად აღწერასაც (ნგრისეს გამგზავრების დროს).

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ავტორს მიანჩნა, რომ ერისა და სჯულის სიმტკიცე შერყეულია და საშინ მდგომარეობაში იმყოფება. საჭირო იყო ერისშვილთა გამოფხიზლება და გამხმნეება. საამისოდ შესანიშნავი მაგალითი იყო შემთხვევა, რომ უცხო სჯულის აღამიანი თავს სწირავს იმ რწმენისათვის, რომელსაც თვით ქართველები ატარებენ და ეს ხდება მაშინ, როცა ისინი, იტყუებიან ვითარება ლერწმინ ქართვან ძლიერთა“. თხზულება რომ წინასწარ შემთხვევებელი გეგმით და ისტატობით არ ყოფილიყო დაწერილი, მასში დასმული პრობლემები მკაფიოდაა და მხმენელს ცნობიერებამდე არ დაეიდოდა. საბანისძე ამის მოწამებობის აღწერამდე იმ გარემო სიტუაციას გვიხერათებს, რომელსადაც ხდება მოქმედება. ყოველივე ეს კი კანონზომიერადაა გაყეთებული. ავტორი არ ზოგავს სიტყვას და ვერგისას, რათა მკითხველ-მსმენელის ყურადღება მიიზიყას, რადგან მან უნდა უთხრას მათ ის, რაც მასაც აუხებებს და ერისშვილთათვის აუცილებლად საჭიროა „მომაყარით საინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროსად საცნობელნი ეგე ყურნი გულისა თქუენისა და გონებათა თქუენთანი განმმართველით სმენად და მასანძელ ექმნით ნიტყუთა ამით ჩემთა“ (ქ. კველძე, აღრიწდელი ფეოდ. ქართული ლიტ. ნაგ. I, გვ. 57). ეს მიმართვა ეკეთეს იმ ერს, რომელსაც ქრისტიანობის ხელთას წლის ისტორია აქვს ურე და ასე გავსიჯეთ ბერძენთა თანასწორადაც მიიჩნევა: „რამეთუ არს არა ზოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ესე ღმრთისა მებრი მომაყეს, არამედ ჩუენცა, რომელთა ამით მკვიდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვის: „მოვიღოდანი აღმოსავლით და დასავლით და ინახიდგომოდე წიაღთა ამრამისთა, ისაკისთა და იაკობისთა“ (იქვე, გვ. 62).

მოტიანილი ციტირების განხილვისას პროფ. შ. ნუტუბიძე დასძენს: „ი. საბანისძეს ერთი მნიშვნელოვანი თეზისი გააჩნდა: ქრისტიანული კემმარტების აღსაღებობის სხივზე აღმოსავლეთი და დასავლეთი განუტრეკლად თანასწორიაო, უადრესად უფრადღების დირ-

სია, რომ ი. საბანისძე VIII საუკუნეში ამ პროგრესული იდეისათვის იბრძვის, რამელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ფანქსწორებას ქმნევდა, რა სიმამლუხეც მომდევნო ხანაში დიდხანს ვერ მიუღწევიათ ზოგიერთებს:“ (ქართული ფილოსოფიის ისტორია ტ. I, გვ. 347—348). ამის უწინარესს, წინა გვერდზე ნათქვამია: „ქოლასტიკური ხანა ქართულ ზოგნებაში სწორედ „გარეშე ფილოსოფიის“ გამოყენების წინამდებდგობით იწყება, ეს გზა გახსნა იოანე საბანისძემ“. „საბანისძეს სურს („მკბთელის“ ავტორის და საბაწმინდლისაგან განსხვავებით, რომლებიც „გარეშე ფილოსოფიის“ საბუთებს იუენებენ — ს. გ. აირიოს ისეთი გზა, სადაც კემმარტება უნდა მიღებულ იქნეს ყოველგვარი კამათის და პიექრობის გარეშე.

ესაა დოგმატიზმის უყოღრესად ნათელი გამოხატულება. კემმარტება ცნობილია, მისი წყაროა წყალობა უფლისა და ღისკუსია ზედმეტბა — ასეთია საბანისძის თეზისი“ (გვ. 346).

ი. საბანისძისაღში მიმართული ზემოთრანილი სიტყვები კემმარტ ინტერპრირებას შეიცავს. მგარამ კემმარტებაა ისიც, რომ საბანისძემ ამგვარი დოგმატიზმი ისტორიულმა ვითარებამ დაამბადა და სწორედ აქ მის დოგმატიზმს ერთგვარი გამართლება ვიდევია ქართულ ქრისტიანულ თეოლოგიას ანტიკური ფილოსოფიის იარალი კამათისათვის წინამორბედ საუკუნეებში სჭირდებოდა, სამამ ვამთიჯებოდა წარმართობის ნაშთებს და თავის მომღვრებას დაამკვიდრებდა. ასევეა მონოფიზიტობისა და დოქტრინობის ბრძოლის პერიოდშიც. საბანისძის დროს ეს ეტაპები უკვე გაედილია. ზემოთაღწერილმა ისტორიულმა ვითარებამ დასვა რწმენის განმტკიცებისათვის საკითხი. ეხლა საბანისძეს კამათისათვის როდი სცალია მისი მისიაა ურყევი რწმენის და ერთგული შეგნების ამზიდვა და განმტკიცება.

ფეოდალიზაციის პროცესი VIII—IX ს. ს. გარყვეულ ეტაპზე შედგა. ბრძოლა მიწის მითვისებისათვის არ დაამკრალა. მგარამ საერთო ფეოდალური „წერილი ერთნა“, სოფლის მოსახლეობასთან ბრძოლაში მარტო როდი იყო. ამ ბრძოლაში იგი დაეჯახა ეკლესიას, როგორც ერთ მთლიან ფეოდალურ ორგანიზმს, რომელიც პეგემონობას იჩემებს. „წერილი ერთი“ ანგარიშმიუცემლად განზე იდგა. იგი ან ერთის ან მეორის საყუთრებაში უნდა ყოფილიყო. მგარამ სოფლის მოსახლეობა გაფთხრებოთ იცავს შერჩენილ უფლებებს. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ბასილ ზარზმელის თხზულება „ცხოვრება და მოქალაქეობა ლმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისა“, რომელიც IX ს. მეორე ნახევრის ამბებს მოგვითხრობს.

აღნიშნულ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბე-

ბი სამეცნიერო ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნებით მე-9 საუკუნეს შეეხება, თავად ბასილი ზარზმელის მოღვაწეობის ხანად მე-10 საუკუნეა მიჩნეული. ყოველ შემთხვევაში თხზულების შინაარსი არა მე-7, მაგრამ მე-9-10 საუკუნეზე აღრე ხანას უფრო უდევს. ამას გვაფიქრებინებს, აგრეთვე, ნაწარმოებში შეფხის ინსტიტუტის მოუხსენებლობა. ბასილი ზარზმელი მრავალ ისეთ საინტერესო საკითხს ეხება საქართველოს კუთხის, სამცხის გარკვეული მონაკვეთის ისტორიისათვის, როგორცაა ფეოდალიზაციის, სამონასტრო კოლონიზაციის საკითხები და შეიცავს საგლეხისებო ცნობებს ძველი ქართლი სამართლისა, ქვეყნის ეკონომიური ვითარებისა, სოციოლოგიის შესახებ, რომელთა განვრცობით დიასაც მრავალ საკითხს ვფიქნება შექი იმეამინდელი საქართველოს ცხოვრების შესწავლისათვის.

ამ შემთხვევაში ბასილ ზარზმელი არა მარტო პავოგრაფულ, წმინდა ისტორიულ ნაწარმოებს ქმნის და იჭრატება ქვეყნის საქმეებში ამ უკანასკნელის თვალთ. მხედველობაში გვაქვს როგორც ეკლესიისა და საერო ფეოდალური ფრთის დამარისპირება ერთიმეორაზე პრიორიტული სახის წარმომართით, ასევე თვით ფეოდალის მიწა-წყალზე სამეპყიდებლო დავისა და შფოთის ატეხვის სურათი. ბასილ ზარზმელით ქვეყანა ფეოდალიზაციის გარკვეულ ეტაპზეა შემდგარი. დიდი ფეოდალი (სენიორი) თავის შემოგარენში ზის პატარა ფეოდალებით (ვასალებით). მათ გარშემო მსახურულ პირთა გარკვეული წრე არტყია. ბრძოლა საკუთრებისათვის საერთოდ და კერძო საკუთრებისათვის ყოველდღიურ და მტკივნეულ საკითხად ღვას. ამ ასპარეზზე ბასილ ზარზმელი ეკლესიის ფრთასთან ერთად იჭრება და მასი მსოფლმხედველობა უკანასკნელის სიმპატიითაა გაკლენითილი. ეკლესია ამ დროს, როგორც ზანს უყვე იმეამებს ქვეყნის ჰეგემონობას.

ბასილ ზარზმელი არა მარტო ფიზიკლი თვალის „ისტორიკოსი“ მოაზროვნეა, მას ნაწარმოების შექმნისათვის გარკვეული მეთოდია აქვს შემუშავებული.

თხზულებას წინ შესავალი უძღვის, სადაც მისი შექმნის აუცილებლობისა და მიზნის შესახებ მოგვითხრობს ავტორი. ამას მოსდევს ბიოგრაფიული ცნობები სერაპიონის ბავშვობისა და მისი ოჯახის წყევრების შესახებ. შემდგომ იწყება სერაპიონისა და მისი თანამოღვაწეების საქმიანობის აღწერა.

ბასილი ცდილობს არ დაიარღვიოს „წვის თხრობისა“ და ერთ გარკვეულ გეგმას ემყარება სადაც ამბები „შემდგომითი — შემდგომად“ (გვ. 181) უნდა მიყვებოდნენ ერთგურობს.

ეპოქა, რომელშიც იწყებებოდა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება და მოქალაქეობა“

ქრისტიანულ სამყაროში ბერმონაზვნობისა და საერთოდ ეკლესიის უფლებამოსილებების დამაინობით ზრდით ხასიათდებოდა ქრისტიანობამ უყვე კარგახანია საფუძველი დაიწყებდა. ახლა მისი შესვეერება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცალკე ფრთად ჩამოყალიბდა და საერო ზელსუფლებას უტევს ერთიანი ფრონტით. იგივე, იმეშავებს თეოლოგიურ საფუძვლებს, ზრდის თავისი წილიდან ან იზიდავს თავისკენ იმეამინდელი მოაზროვნე ინტელაგენციის წარმომაღგენლებს.

ასეა საქმე გიორგი მერჩულეს ნაწარმოებშიც „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნით მე-10 საუკუნის შუა ხანებშია დაწერილი (1951 წ.).

მღვდლობა, გიორგი მერჩულეს წიგნში გამოთქმული მოსაზრებით, „უფროდს არს ყოველთა დიდებთა სულიერთა და ხორციელთა“, თვისისა მის მღვდლობისა ნაცვალად უნდა მის მოციქულნი დაადგინან მღვდლად და შემდგომით — შემდგომად ყოველნი სასწმუნონი მღვდლინი“ („ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ პ. ინგოროუვის გამოც. 1949 წ., გვ. 17).

IX საუკუნის შუორე ნახევარი და მისი შემდგომი ხანა თითქმის მთელი საქართველოსათვის პოლიტიკურს, მურჩენობის კლტურის სფეროში ერთგვარი გამოყოფილებით ხასიათდება, ვითარდება სოფლის მერჩნობა, ქალაქება, ზელსონობა. ქვეყნის კეოზე, მხარე, კარჩაყეტილი, ნატურალური მურჩნობის შემოგარენში ვეღარ თავსდება, ჩნდება ახალი ქალაქები და საეპორო ცენტრები.

ასეთია ვითარება დასავლეთ საქართველოში, ასეა კახეთში და ტაოკლარჯეთში. იწყება ბრძოლა ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის პირველობისათვის, რაც საუკუნე ნახევარს გაგრძელდა და დამთავრდა ერთიანი ქართული მონარქიის შექმნით, გაერთიანებულ საქართველოში (975 წ.).

ამ ბრძოლაში ტაოკლარჯეთი გამოდის როგორც უძლიერესი პოლიტიკური ერთეული, რომლის საზღვრები საზღვართთ მდ. არაქსამდე განვრცობდა და განსაკუთრებულ ეკონომიურს, პოლიტიკურსა და კულტურულ ელფერს ატარებს.

ვიღრე ქვეყანა დაყოფილ-დაქაქსული იყო და „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანისა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“. ეკლესია გამოდიოდა როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ სფეროში.

როცა სამონასტრო მშენებლობის მიზნით გრიგოლ ხანძთელს „წმიდანი მამანი“ თეოდორე და ქრისტეფოროე მადულად აფხაზეთს წაუციდნენ, გრიგოლმა მათ ჰებნა დაუწყო. იფ-



ხანეთში ჩასულ გრიგოლის დანახვასე „აღდგა და წინა მოევება და სიმდაბლით მოიკითხა“ მეფემ აფხაზეთისამ (გვ. 51). მან დაემალა გრიგოლს თედორესი და ქრისტეფორეს აფხაზეთში ყოფნა, რადგან სამონასტრო მოძრაობის გამაღვივებელი იყო მათი გამოყენება; მაშინ გრიგოლი „სიტყუასა ზედა მეფისასა ვანრისსინა“ და მეფემ იმედუბელი შეიქმნა სიმართლე ელიარებისა.

ბასალ ზარზმელის ზემოთ განიღვლე თხულებამი ერთი მართლელი გლეხი როცა დარწმუნდება რომ პატრონი უფლებას არ აძლევს მისი თხოვნისამებრ ბერად აღკვეცას. უკითხავად გაიქცევა თავისი მცირე რამ ქონებით (ალბათ ფულთ), ამის შეცნობაზე მას მღევარი დაედევნება და ფეხდაფეხ მიყვებიან მონასტრის კარამდე. მაგრამ აქ იგი მღევრებს შეასწრებს და თავის გამოხვეულ ქონებასაც შივ ეკლესიის საკმელში შეადებს“ და „ეს ერთი უღროს იქმნეს მღევარნი იგი“ (გვ. 129). ეკლესიის კარბების იქით მათ ფულმა აღარა აქვთ მოქმედებისა, ვითარცა საერო კაცთა.

შამსადამე, ეკლესიას, რომელიც მე-8-9 საუკუნის საქართველოში განსაკუთრებულის შევუადობით სარგებლობს, მეფეთა საქმეშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელი მიუწვდებია. ეს მომენტი საკმაოდ კარგად აქვს ილუსტრირებული გიორგი მერჩულს არა ვერაო ჩარჩობაში, არამედ ქვეყნის ცხოვრების ფართო ასპარეზზე. რაც მრავალმხრივ საინტერესოსა ხდის მის თხულებას. ავტორი ობიექტურ ფორმებში გვიხუტათებს ვაჭრის ხელს. თუ ბასალ ზარზმელის თხულებაში ეკლესია და ფეოდალი დაუპირისპირდა ერთმანეთს, აქ უკვე გლეხისა და დიდი ფეოდალი, ერთმანეთსა და ჩანასახში არსებული მეფის ძლიერი ინსტიტუტი დადგა ერთერთის წინაშე. მაგრამ ფეოდალსა და მეფეს სჭირდება ეკლესია და პირტყე, ისინი ერთერთს საჭიროებენ, ვიდრე ფეოდალიზაციის პროცესი ასე გამაღვლებით შეიმართება მისი ზედამხედველ პუნქტისაგან და მიმდინარეობს ბრძოლა ქვეყნის პირველობისათვის, ეკლესია ფრიად სჭირრო ძალაა ამ საქმეთა მოგვარებისას. ჯერ ერთი იგი ერთიანი ორგანიზაცია, მერმეთ მას ტყუეობაში ყავს ძალითადი მასა და იგი უფრო ძლიერი ფეოდალია, ვიდრე კუთხისა თუ ქვეყნის მთავარი. აღნიშნულ პერიოდში ბერ-მონაზვნობა, ეკლესიის ეს შვიი ფრთა, იგივე ეკლესიას თავდაბლურად უდაბნოში გასული. შემდგომ ხანებში, საქართველოს სამეფო-სამთავაროების გავრთიანების შემდეგ და ძლიერი მონარქიული სახელმწიფოს შექმნისას, ეკლესია თანდათანობით

კარგავს თავის პროორიტეტს და მეორე პლანზე გადადის (დავით აღმაშენებელის ქრონიკაში გრიგოლ ხანძთელი არა მერტყუეობისა და მეუღაბნოვ სამონასტრო მკაცრი რეკიშის შატარებელია, რომელსაც თემცვა უჩინოს „სიმდაბლისა და სიწმინდისათვის“ თვით ეპისკოპოსნი, მღვდლო-მომღერარნი, მამისახლისნი და კთალიკოზი ემორჩილებიან, იქნებ აქ საწყისიც კი იყოს ამ ბრძოლისა რომელიც თავის დროზე ვიორტი მთაწმინდელმა წამოიწყო საეკლესიო ასპარეზზე თანამდებობრივი ტენდენციისა და სისარბის გამო.

მაგრამ მერჩულეს აზროვნება შატრო ამ საწყაულში როდი ბრუნავს, მას უნდა მისი ქვეყანა, რომელშიაც „ფრიალი ქვეყანა აღორიხებინს, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ვამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღსრულების“ უფრო განერცობილი და ალბათ ერთ მთლიან ორგანიზმად ნახოს, როგორც ეს საარწმუნოებრივ სფეროშია.

ამ მხრივ დამახასიათებელია გრიგოლ ხანძთელის მიერ წარმოთქმული სიტყუები აშოტ დიდი კურთხალატის სიკვდილის გავონებაზე: „ამ მეფეო, ზემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზედულო ქრისტეანეთას, სადა ამავე მოგელოდი. აღმოსავლეთით მე ანუ დასავალით, ჩრდილოთამე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა წითესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დამორჩილებდი, საკვირველი ვამ დიდებულები ღმრთისა—მსახერი ზელმწიფე“ (გვ. 45).

ბასალ ზარზმელის, გიორგი მერჩულეს და იონან საბანისძის თხულებათა განხილვა-შეჯერება ცხადყოფს, რომ ადრეფეოდალურ საქართველოში პავიოგრაფიულ თუ საისტორიო ნაწარმოებთა წერის კულტურა და მისი მეთოდი საერთოდ შემუშავებული ყოფილა.

გიორგი მერჩულე ცოცხალი სიტყვის ოსტატია, ამასთანავე იგი შესანიშნავად ეხმარება იმ ვარდამავალ ხანას საქართველოს ისტორიაში, რომლის საწყისი მე-9 — მე-10 საუკუნეებია. მან როგორც პავიოგრაფმა — ისტორიკოსმა პირველად გაარღვია დრგმატიზირებული საღტე ამგვარი თხულებების წერისა და ფართოდ შესტობა საერთო ყოფის ასპარეზზე.

გიორგი მერჩულე — პავიოგრაფი, ისტორიკოსი, ლიტერატორი, ვეოგრაფი, ასეთად წარმოგვიდგება იგი თავისი ზელთექმნული ნაწარმოებით X საუკუნეში.

ჩვენ მისი და წინამავალი ხანის მწერლობის საზოგადოებრივ-ისტორიული აზროვნების ზოგიერთი შეუხებელი მომენტი ვკაინტერესებდა



## ა. გომიანვილი

საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის  
რეპერტუარის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

### სახალხო თეატრი — მსთეპიტკაური ალბრდის კერა

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში მძლავრად გაიფურჩქნა მხატვრული თვითმოქმედება, რომელიც მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური აღზრდის კვანძი იქნა.

ქალაქისა და სოფლის კლუბების სცენებზე დიდი წარმატებით იმართება თვითმოქმედი კოლექტივების საოპერო, დრამატული და საბალეტო სპექტაკლები, კონცერტები, ლიტერატურული საღამოები და ა. შ. ნამდვილ დინამიკურებსა და კმაყოფილებას განიცდიდა, როცა სცენაზე უფრო მეტი და უსმენთ სხვადასხვა პროფესიისა და მდგომარეობის ადამიანებს: მღაირებს თუ პედაგოგს, ზეინკალს თუ ექიმს, მკვლევარს თუ მუშაკს, მწიგნობარს, ინჟინერს, აგრონომს თუ მწველავს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს. მრავალი მათგანი გამოდის სახალხო თეატრის სცენაზე და წარმატებით ასრულებს საოპერო პარტიებს და დრამატულ როლებს, უკრავენ ვიოლინზე სიმფონიურ და სასულე ორკესტრში, მღერავენ და ეკვავებენ სიმღერისა და ქორეოგრაფიულ ანსამბლებში, კმნიან ფერწერით ტილოებს, ისმენენ კვალიფიციურ ლექცია-მოსვენებებს ესთეტიკის საკითხებზე, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ლექტორიუმებსა და ლიტერატურულ საღამოებში.

მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა ფორმათა შორის უპირატესი როლი და გავრცელება მონაც სახალხო თეატრში მოიპოვა, რომელსაც ხშირად შეიძლება პირმშობსაც კი უწოდებენ, იმდენად დაკავშირებულია იგი იმ დიდ აღმზრდელობით ამოცანებთან, რომლებიც სკკ XX და რიგგარეშე XXI ყროლოებში დასახეს საბჭოთა ადამიანების იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეში. სახალხო თეატრების როლის გაზრდა და მისი დიდი მნიშვნელობით აღიარება სრულად კანონზომიერი მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა იგი მოაწევებს საბჭოთა ადამიანების სულიერ მოთხოვნილებათა უდიდეს

ზრდას, ხალხის რიგებიდან სახალხო ტალანტების მასიურ დაწინაურებას.

საქართველოში სახალხო თეატრებს დიდი ტრადიცია აქვთ. მათ დიდი როლი შეასრულეს საუკუნეთსო არტისტების გამოყვანის საქმეში. უფრო მეტიც, ხელი შეუწევს საერთოდ ხალხში თეატრალური ინტერესების გაღვივებას.

1923 წელს შალვა დადიანი სახალხო თეატრის შესახებ წერდა: „ასეთი ნამდვილად ხალხის მიერ წარმოშობილი მეცხრამეტე საუკუნის დანატოვარში, მე ბევრი არ შეგულება. იგი შექმნილია დურგალისა, ზეინკალის, მღებარისა და სხვა ასეთ მუშათა მიერ. იდეა ამ თეატრის წარმოშობისა ჩასახულია მუშათა გონებაში და საქმე განხორციელებულია მათი ხელით, მათი სახიობით. ხალხის უმრავლესი ნაწილი, მისი ერთხელ შეგნებული საქმისათვის თავდადება, ნამდვილის გლუბური მოუწყინარობით და მედმივობით აყვებებს საქმეს“ და შემდეგ: „ჩვენ დღეს ბევრი ვიცით ისეთი თეატრალური საზოგადო მოღვაწე, რომელნიც წარმოუშვია და ხალხის მხარე მუშაობაში გაუკავებია სახალხო თეატრის მაღლიან კალთას... დიდება და პატივისცემა სახალხო თეატრის დამაარსებელთ, მათ დღევანდელ მესვეურთ და მაღლობა და სურვენი სენება მიცვალებულ მოღვაწეთ ამ საქმისა“.

თითქოს დღეს იყო დაწერილი, ისე ყდერს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეს სიტყვები. „გამარჯვება მომავალსა“.— ასე ამოთვებს სტატის შ. დადიანი. რომელმაც თავისებურად განქვრიტა კიდევ სახალხო თეატრის მერმისი წარმატებანი.

დღეისათვის საქართველოში 29 სახალხო თეატრია, მათ შორის ერთი სახალხო ოპერა. აქედან კულტურის სამინისტროს უფრადლების სფეროში 25 სახალხო თეატრი არსებობს, ხოლო 4 — პროფესიული ორგანიზაციების; სულ სახალხო თეატრებში 1340-მდე თვითმოქმედი

მსახობია გაერთიანებული. ვასელ წელს სახალხო თეატრების სენაზე 72 სხვადასხვა სპექტაკლი დაიდგა, რომლიდანაც 47 თანამედროვე ცხოვრების ამსახველია. ასეთია ცოდვები და ფაქტები.

სახალხო თეატრების ნაყოფიერი მუშაობის კიდევ უფრო სრულყოფილი სერაით მოგვცა მეცხრე რესპუბლიკურმა ოლიმპიადამ ქ. თბილისში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 11 სახალხო თეატრმა და 5 დრამატულმა კოლექტივმა. დათვლიერების დღეებში ჩვენი დღეა-ჭაღის მშრომლები გაეცნენ მხატვრული თვითმოქმედებით შექმნილ სპექტაკლებს და ბევრმა მათგანმა მადლიერ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

ვასელი წელს დასაწყისში ქუთაისის კულტურის სახლთან შეიქმნა ოპერის სახალხო თეატრი, რომელმაც წარმატებით განახორციელა ზ. ფალაშვილის „დაისი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტი“ და სხვები. 1960 წლის 21 ნოემბერს ქ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დათვლიერებაზე ქუთაისის კოლექტივის მიერ წარმოდგენილი ზ. ფალაშვილის ოპერა „დაისი“ დიდამან ემპსოვრება ჩვენს მაყურებლებს გულწრფელი და გაბატებული შესრულების მეშვეობით.

ბორჯომის რაიონის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის ისტორია (ხელმძღვანელი ვ. ხმაღაძე) არც თუ ისე ხანგრძლივია, მაგრამ თუ ვიშსჯელებთ დათვლიერებაზე ჩამოტანილი სპექტაკლების, განსაკუთრებით პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“-ს წარმოდგენის საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ ქვემო-რიტად უნარიანი და ბევრის მთქმელი კოლექტივია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამბროლაურის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დიდი დახმარება და გულისხმიერი დამოკიდებულება სახალხო თეატრის მუშაობისადმი, რის შედეგად ამ რაიონში თავიდანვე სწორად დააკომპლექტეს თეატრის დასი და მუშაობის ნორმალური პირობებიც შექმნეს. დღიდან დაარსებისა სახალხო თეატრმა 12 ახალი პიესა დადგა, მათ შორის გ. ჯაფარიძის პიესა „ნაქვნიანის საიდუმლოება“. გ. ფიგერედოს „მელა და ყურძენი“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა რესპუბლიკურ დათვლიერებაზე. ამ სახალხო თეატრის სათავეში უდგას სცენური ხელოვნების ნამდვილი ერთეული გ. ჯაფარიძე, რომელიც ცოდვისა და უნარის დაუზოგავად იბრძვის თეატრის შემოქმედებით ზრდისათვის. დასის შემადგენლობაში ვხვდებით სახელოვან კოლმეურნეებს, მუშებს, პედაგოგებს, ექიმებს, აგრონომებს და რაიონის სხვა მოწინავე ადამიანებს.

ნაყოფიერად მუშაობს ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თე-

ატრიც. მის ახალ დადგმათა შორის აღსანიშნავია პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ვ. ჯაფარიძის პიესა „ჩვენებურები“, გ. ბერძენიშვილის „ნატყვიარი ჰადარი“, ი. კეკელიძის „კეთილი მეზობლები“ და სხვ. სპექტაკლ „ნატყვიარი ჰადარის“ რესპუბლიკური ვიფრის მოწონება ხვდა წილად.

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის რკინიგზის სახლთან შეიქმნა სახალხო თეატრი (რეჟისორი გ. ქართველიშვილი), რომელმაც თავისი საუკეთესო დადგმებით დიდი პოპულარობა და მაყურებლის სიყვარული მოიპოვა. მისი რეპერტუარიდან აღსანიშნავია მ. მრევლიშვილის „ხარატანთ კერა“, ი. გუდვეანიშვილის „მსხვერპლი“ და სხვა, რომლებიც სპექტაკლის ვახშრებით, შესრულებითა და მხატვრული გაფორმებით პროფესიულ თეატრების მთელ რიგ კარგ დადგმებს გაუწევს თავისებურ მეტოქეობას. თეატრის კოლექტივი სისტემატურად აწყობს ვასელი სპექტაკლებს ჭაღაჭისა და რაიონის კულტსახლებში. ბევრმხრივ საველისხშია ამ თეატრის მუშაობა. მისი ერთ-ერთი აქტივისტი, საორთქლმავლო დეპოს მენაქანე ივანე ხახვიანიშვილი მოწინავე მუშაქანეა, მაგრამ არც სახალხო თეატრის დასში ჩამორჩება სხვებს, ასევე მატარებლის შემადგენლობის მთავარი კონდუქტორი გ. ყუმიბაშვილი. თბილისის ქარხანა „ელექტროგამეხვის“ ამწყობი ზეინკალი ამკამად სააქქროს ოსტატი ჯემალ შარამიძე თეატრის წამუენი მსახობია.

რკესისრმა გ. ქართველიშვილმა კარგად გამოიყენა ვ. შარაშის სამსახობო უნარი, მისი სცენური მონაცემები და არ შემეცდარა, როცა პიესა „მსხვერპლში“ მთავარი გმირის — ვანოს, ხოლო „ხარატანთ კერაში“ ვიორჯი ხარატელის საპასუხისმგებლო როლების შესრულება დააკისრა. ამ სახალხო თეატრმა რესპუბლიკური ოლიმპიადებზე მუფრებელს უჩვენა მ. მრევლიშვილის „ხარატანთ კერა“, რომელმაც დათვლიერებაზე წარმოდგენილ სპექტაკლებს შორის სამართლიანად ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიმსახურა.

ასეთი მგვალითები ხომ ერთეულები არ არის, ისინი შეიძლება მრავალი დაეასახულოთ ჩვენი სახალხო თეატრების მუშაობიდან. აგრეთვე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან და დათვლიერებაზე მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ორჯონიკიძის, გურჯაანის, ლავოდეის, დუშეთის და სხვა რაიონის კულტურის სახლთან არსებულმა თეატრებმა და დრამატულმა კოლექტივებმა.

სამუხაროდ, ყველგან ასეთი პარტიისციმითა და მხარდაქერით როდი სარკებლობს მხატვრული თვითმოქმედების ეს ფორმა. საკმაო პერიოდში ვაწვლო მას შემდეგ, რაც რუსთავეს, ყვარლის, საგარეჯოს და სხვა რაიონის კულტურის სახლებთან შეიქმნა სახალხო თეატრები, მაგრამ მათ მიერ მატარებული მუშაობა მეტად უმნი-



შენლა, რის გამო დღემდე ერთი ან ორი დადგმა თუ განახორციელეს. ზოგიერთ სახალხო თეატრებში ნაკლებად არის ვაშლილი შემოხობა მსახიობთა დაოსტატების, პიესების სწორად შერჩევის, იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლების შექმნისათვის, ხშირად დასდგმულად არჩეული პიესები სრულად არ შევფერება დასის მომზადების დონეს, ოდნავადაც არ პასუხობს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. (მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სახალხო თეატრის ზოგიერთი სპექტაკლი).

29 სახალხო თეატრი — ასეთია მუშაობის პირველი შედეგები პარტიის XXI ყრილობის შემდეგ, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სახალხო თეატრების მშენებლობას. ამასთანავე რესპუბლიკაში 1276-ზე მეტი დრამატული კოლექტივი არსებობს, რომელიც სახალხო თეატრის საიმედო ბაზას წარმოადგენს.

ქუთაისის ოპერის სახალხო თეატრის მუშაობის მაგალითები სერიოზულ ბიძგს აძლევს რესპუბლიკის სხვა ქალაქის შემოქმედებით ინტელიგენციას მიზანძრ ქუთაისელების ინიციატივას და განახორციელონ ღონისძიებანი ოპერის სახალხო თეატრის შექმნისათვის. მაგალითად ბათუმსა და ქ. სოხუმს მუსიკის დიდი ტრადიციები აქვთ, ამჟამადაც დიდი მუსიკალური ძალები მოვსოვებთ. მათ მეტად უნდა გამოიყენონ თავიანთი მდიდარი შესაძლებლობანი.

ხანდახან სათანადოდ არ უფიქრდებიან ამას, რომ ახლა თვითმოქმედ დრამატულ კოლექტივს არ შეიძლება ერთბაშად ეწოდოს სახალხო თეატრი. საჭიროა იგი კარგად იყოს მომზადებული. თვითმოქმედ დრამატულ კოლექტივისათვის მეტად საპატიო მიზანსა და საქმეს უნდა წარმოადგენდეს სახალხო თეატრის სახელის მოპოება, რათა რაც შეიძლება მეტად გავზარდოთ სახალხო თეატრების ავტორიტეტი.

მარტო დრამატული წრის არსებობის ფაქტი არ კმარა სახალხო თეატრის შექმნისათვის, არამედ საჭიროა კიდევ შესაფერისი ბაზა, შენობა და სხვა საჭირო მოწყობილობები, ჩასაც ყველგან არ ექცევა გეროიანი ურადლება. ამასთანავე მიზანშეწონილი არ იქნებოდა, თუ შემდგომში აჩქარებას გამოვიჩენდით სახალხო თეატრების შექმნაში და ამ მხრივ მხოლოდ მისი რაოდენობრივი ზრდა გავგეიტაცებდა, აგრეთვე დაგვეოწყებინა, რომ მხატვრული თვითმოქმედების ეს ფორმა ეყრდნობა პროფესიული თეატრის ტრადიციებს.

უპირველეს ყოვლისა სახალხო თეატრებს უნდა დაეხმარათ რეპერტუარის შერჩევისა და პიესების დროული მიწოდების საქმეში. სარეპერტუარო პოლიტიკა თეატრის წამყვანი საკითხია. დღეს იგი თანაბრად აღელვებს როგორც პროფესიულ, ისე სახალხო თეატრების შემოქმედებით კოლექტივებს. მართალია, სახალხო თეატრების სცენაზე განხორციელებულ სპექტაკლ-

ბიდან უმრავლესობა თანამედროვე თემას მიეძღვნა, მაგრამ ეს იმას როდისინმეხსენს რომ ყველა სახალხო თეატრის რეპერტუარში სწორად უაღიბდება. საქართველოს მწერალთა კავშირში და დრამატურგებში მეტი მხრუნველობა უნდა გამოიჩინონ სახალხო თეატრებისადმი, უნდა დაეხმარონ მათ თანამედროვე და მათთვის შესაფერ პიესების შექმნასა და შერჩევაში, ხოლო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სისტემატურად უნდა მიაწოდოს ეს პიესები სახალხო თეატრის ხელმძღვანელებს და სხვა საკითხებთან ერთად მისცეს მათ კვალიფიკური რჩევა-დარიგება სწრა სარეპერტუარო პოლიტიკის გატარების მიზნით.

სახალხო თეატრების მუშაკთა ამას წინათ ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელიც საუკეთესო გამოცდილებათა გაზიარებას მიეძღვნა გამორჩევა, რომ ახალგაზრდა თეატრალური კოლექტივები რეჟისორის, მხატვრის, კომპოზიტორის და ხელოვნების სხვა მაღალი სპეციალისტების დიდ დახმარებას საჭიროებენ. ამასთან ისიც ცნობილია, რომ რიგ რაიონებში ძალზე სუსტია სახალხო თეატრების მატერიალურ ტექნიკური ბაზა, მათ არა აქვთ რეკვიზიტი და კოსტუმები. კულტურის ადგილობრივმა ორგანოებმა და პროფორგანიზაციებმა უნდა გამოასწორონ აღნიშნული ნაკლოვანებები და მეტი დახმარება გაუწიონ თეატრებს. ისინი აგრეთვე დიდ მხარდაჭერას მოელოან თავიანთ უფროს მეგობრების — პროფესიულ თეატრებისა და მათ სამხატვრო ხელმძღვანელობისაგან.

არ იქნებოდა ზედმეტი, თუ გამოცდილების თვალსაზრისით აქვე აღვნიშნავთ, რომ ქ. მისკოვის ბევრი პროფესიული თეატრი, მათი სამხატვრო ხელმძღვანელობა და წამყვანი მსახიობები დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწყვენ სახალხო თეატრებს. ასე, მაგალითად, მისკოვის გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრი შეუთბს ორჯოვო-ზუგევის სახალხო თეატრს, რომელსაც სისტემატურად აწვდის რეკვიზიტს, კოსტუმებს, უტარებენ კონსულტაციებს ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე, მუშაობენ სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე, ეხმარებიან მსახიობთა დაოსტატებაში და ამა თუ იმ როლის სცენურ სრულყოფაში. ამასთანავე თეატრის მსახიობები სისტემატურად მონაწილეობენ სახალხო თეატრის სპექტაკლებში და ა. შ.

მოწინავე თეატრების მაგალითებისამებრ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ თბილისისა და სხვა რაიონის პროფესიულ თეატრებს დაავალა ყოველგვარი დახმარება აღმოჩინათ სახალხო თეატრებისათვის, დაეალებათ მეტად დროული და საქმიანი იყო, სამწუხაროდ, მას შემდეგ საკმაო პერიოდმა განელო, მაგრამ ზევ პროფესიულ თეატრის ზოგიერთ ხელმძღვანელს, მხატვრულ კოლექტივის წამყვან მსახიობებს არ შეუძლია დღეს თავი ისახელოს

ამ დავალებათა შესრულების საქმეში. სახელმწიფო თეატრებს კი დიდი საშუალება მოეპოვებათ, რათა მიაკლინონ სახალხო თეატრებში მაღალკვალიფიციური რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, დეკორატორები და სხვები. კონსულტაციების გასაწევად, აგრეთვე მიაწოდონ მათ კოსტუმები, რეკვიზიტი და ა. შ. ეს იქნება ნამდვილი შეფხობა, არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც.

პროფესიული თეატრის მოღვაწეებმა თავიანთი ღირსების საქმედ უნდა მიიჩნიონ სახალხო თეატრების სპექტაკლებში თუ მხატვრულ თეიმოქმედების სხვა წრეებში მონაწილეობის მიღება, რადგან გამოცდილ აქტიორის, მომღერლის, მუსიკოსის, ქორეოგრაფის, მხატვრის თუ კომპოზიტორის გვერდით თეიმოქმედების მონაწილეობა წრთობისა და დიდი გამოცდილების მიღება შეუძლიათ, რაც კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს შესრულების და სპექტაკლების მხატვრული ღონის ამღლებას.

სახალხო თეატრების წარმატება მეტწილად დამოკიდებულია მაღალკვალიფიციური და დიდ გამოცდილების მქონე სამხატვრო ხელმძღვანელებზე — რეჟისორზე. და პირველად, თუ თეატრი თავიდანვე ცუდ და დაბალი გემოვნების მქონე, გამოუცდილ რეჟისორის ხელში მოხვდება, კარგად დაწყებული საქმე შეიძლება ჩაწყობდეს მივიდეს. თუ ზოგიერთი რაიონის სახალხო თეატრის შემოქმედებითი მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას და ვერ გაცილებია საორგანიზაციო მუშაობის პერიოდს — თეატრის ხელმძღვანელების — პირველ რიგში რეჟისორის სურს მუშაობასა და მის დაბალ გემოვნებას უნდა მიეწეროს; ამიტომ გამოცდილ და მაღალკვალიფიციური სამხატვრო ხელმძღვანელის შერჩევას და ადვილზე დროულად მივლინებას თავიდანვე განსაყურებელი ყურადღება უნდა დაეთმოს. ამისთან ერთად პერიოდულად უნდა მოეწეოს სახალხო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელთა გადამზადება, საინსტრუქტაჟო თითობები და სემინარები, სპექტაკლების საჯარო განხილვა, დისკუტები და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

სასურველია, რომ სახალხო თეატრებს დაეხმარონ თბილისის მხატვრული და დოკუმენტალურ-ქრონიკალური ფილმების კინოსტუდიაები. მათ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ როგორც სახალხო თეატრებისადმი, აგრეთვე ყველა მხატვრულ თეიმოქმედელ კოლექტივებისადმი. ცუდი როდი იქნება, შექმნილ სასწავლო ფილმები, რათა თეიმოქმედელ მსახიობები გაეცნონ როლზე პრაქტიკულ მუშაობას. ასევე დროა ეიზენშტაინის თეიმოქმედელ მსახიობთა დასახმარებლად სხვადასხვა ენების ბიბლიოთეკების გამოცემაზე, აგრეთვე ბროშურებზე ხელოვნების ისტორია გამოცდილების შესახებ და ა. შ.

ჩვენი რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის

მუშაყებასაც ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლიათ სახალხო თეატრებისადმი. ზოგჯერ მასურებელი საყვედურს გამოიწვევს ტელევიზიის ვართფროვანი პროგრამის გამო. ამ ნაკლოვანების გამოსწორებას დიდად შეუწყობს ხელს სახალხო თეატრის სპექტაკლების ტელევიზიით გადაცემის კიდევ უფრო ფართოდ დაწინარება. რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიის ბეჭდის გაყვება შეუძლია სახალხო თეატრების სპექტაკლების გადაცემისა და პოპულარიზაციისათვის.

სახალხო თეატრების წინაშე დიდი ამოცანები სდგას: განახორციელონ იღვერად მაღალი და მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლები, აქტიური დახმარება გაუწიონ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ქალაქისა და სოფლის მშრომელების აღზრდაში, მათი ესთეტიკურ გემოვნების განვითარებაში.

ჩვენი მიზანია, რომ სახალხო თეატრის სპექტაკლებს რაც შეიძლება მეტი მასურებელი დაესწროს და არ შეჩივდნენ ბილეთის მაღალი ფასებით. ამ მხრივ ჩვენს ზოგიერთ სახალხო თეატრში ყველაფერი თავის რიგზე როდია. ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელი გატაკებულია ფულადი შეზღავანების ვადიდებით, რის გამო სისტემატრად ბილეთების მაღალ ფასებს აწყენებს.

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის ეტრნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა ცალკეული წერილები და სტატიები სახალხო თეატრების შესახებ, მაგრამ ამ წერილებისა და სტატიების უმრავლესობა სახალხო თეატრების წარმოშობის ისტორიულ ამბებს უფრო ეხება. ცხადია, ასეთი წერილების გამოქვეყნება საჭიროა, მაგრამ უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა სახალხო თეატრებსა და საერთოდ, მხატვრულ თეიმოქმედების კოლექტივებს, თუ ეგივე ავტორები და ხელოვნების სხვა გამოჩენილი მოღვაწეები ასეთი სახის წერილებსა და სტატიებთან ერთად პროფესიონალური ენით მოუთხრობენ ეტრნალ-გაზეთების ფურცლებიდან სახალხო თეატრებს, იმ მუშაობის შესახებ; რაც მათ უნდა გასწიონ შემდგომში და მისციემენ კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას მხატვრულ — შემოქმედებითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სპექტაკლების იღვერ-მხატვრული ღონის ამღლებისათვის.

საქართველოს სახალხო თეატრების კოლექტივები, რომლებმაც შემოქმედებითი მუშაობის საქმით გამოცდილება დააგროვეს, შემდგომში კიდევ უკეთესად დაიპყრენ გამოცდის ჩვენი რესპუბლიკის მაღალი ევლტრების მქონე და მომთხოვენი მასურებლის წინაშე, კიდევ უფრო სრულყოფენ თეატრალურ ხელოვნების ევლტრას და წარმატებით გაართმევენ თავს მსგავსი კომუნისტრად აღზრდის დიდსა და საპტიო ამოცანას.



პანოს კონამძე

## ყაღი ტრაგიციის წინააღმდეგ

დავით კლდიაშვილმა მრავალი მარცხი განიცადა თეატრსა და კინოში. ექვშვეშ დადგამისი ნაწარმოებების სცენარობის საკითხიც შეიქმნა აზრი, თითქოს წარუმატებლობის მიზეზი თვით ნაწარმოებთა ხასიათშია საძიებელი. ახლა თითქმის ყოველი თეატრი გაუარბის დ. კლდიაშვილის პიესების, ან ინსცენირების დადგმას. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება კინოშიც. ევკედებით, შეძლებისდაგვარად, აეხსნათ აღნიშნული მდგომარეობა.

დ. კლდიაშვილის დრამატურგია არსებითად ქართული თეატრის განვითარების მაგისტრალური ხაზის მიღმა დარჩა. და ეს მაშინ, როცა მის წინ აღმოჩნდა ზოგიერთი ისეთი დრამატურგი, რომელიც სრულიად ვერ ამაღლებდა ამ მწერლის დიდ პემატრ იდეებამდე, ვერ მოახერხებეს სიმართლითა და მაღალი ლიტერატურული გემოვნებით ისე გამოხატოს ეროვნული ხასიათები, როგორც ეს დ. კლდიაშვილთანაა.

ჩვენს შედარებით ღარიბ დრამატურგიას რა ჰქონდა უფროსი, ვიდრე დ. კლდიაშვილის „უბედურება“, „დარისპანის გასაჭირი“ ან მისივე მოთხრობები, რამდენჯერმე რომ „გაასკენერეს“? განა კარგია, დარისპანი, ირიანი, ილია და სხვები საშუალებას არ იძლევიან ნამდვილი სცენური ხასიათების შესაქმნელად? მაგრამ ფაქტია, რომ დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა დადგმის კარგი ტრადიცია არა გვაქვს. უფრო სწორად, არსებული ტრადიციის მიხედვით მართლაც საუკეთესო ხდება მათი სცენარობის საკითხი. თეატრში მწერლის სწორად გაგების ორიოდე შემთხვევა (მესხიშვილი, შალვაშვილი) იყო. მაგრამ მაშინაც იმარჯვებდა ცალკეული შემსრულებელი და არა საერთოდ სპექტაკლი.

როცა პირველად თბილისში დაიდგა „ირინის ბედნიერება“, წარმოდგენას დავით კლდიაშვილიც დაესწრო. თავის „შემუარებში“ იგი ასე იკონებს ამ შემთხვევას.

„პიესა, რომ იტყვიან — ჩაფლავდა. ჩაფლავდა უცნაურად, ტფილისელები სრულიად ვერ მიუღწენ პიესას; ვუყურებ და ვკვირობ — ჩემი სახეები სად გაქრნენ, სად გადასხვადრდნენ?! გათავდა წარმოდგენა უღალბოდ, უშნოდ. ეწუხვარ. გაზეთები

სხვადასხვა დროს წერდნენ: „მართალი რომ ეთქვათ არც დ. კლდიაშვილის პიესა და არც ბ. ნაიკაშვილის წერილი (სტატია დ. კლდიაშვილის ეხებოდა — ვ. კ.) დიდ საყურადღებობს არავფერს წარმოადგენენ“ („კვალი“, 1898, №16). „ჩვენი აზრით ეს პიესა სცენისათვის არ არის დაწერილი და არც მისი დადგმა ღირდა სცენაზე. მას ალბათ ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს“. „მაყურებელი ვერ ზედავს ვერც მოქმედებას, ვერც სიუცხლეს, ვერც ხასიათებს“ („კვალი“, 1901, № 40). „თბილისელებს მაინცდაშაინც არაფრად მოეწონათ ეს დრამა; იმერულმა აქტიორებმა მშვენივრად შეიგნეს იმერული ცხოვრება და ტიპები“ („კვალი“, 1901, № 49).

კ. მარჯანიშვილი მართებულად წერდა, რომ დ. კლდიაშვილის პიესები „სრულიად არ არიან სწორად გაგებულნი ჩვენი დამდგმელების მიერ. არ შეიძლება, მაგალითად, „დარისპანის გასაჭირიდან“ ანეკდოტური ვოდევილის შექმნა, რადგან ეს პატარა ნაწარმოები გაქვნილია ნამდვილი ტრაგიზმით“.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა ასეთ არასწორ გაგებას ხელს უწყობდა კრიტიკაც. ხშირად იგი მსახიობთა შესრულებაში იმას აქებდა, რაც გასაკრიტიკებელი იყო. ჩვენს თეატრებსა და კრიტიკაში დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა გაგებისას, შეინიშნებოდა (დღესაც) ზოგიერთი ისეთი პრინციპული მნიშვნელობის მოსაზრებანი, რომლებიც, არსებითად ამცირებდნენ მის დიდ შემოქმედებას. ამ მოსაზრებანთა არსი ის არის, რომ ისინი მწერლის შემოქმედებით სამყაროს საზღვრავენ ძირითადად „შემოდგომის აზნაურთა“ ცხოვრების სპეციფიკურ თვისებათა გამოხატვით, წამყვან მნიშვნელობას ანიჭებენ იმერეთის კოლორიტს (განსაკუთრებით თეატრებში). უგულვებელყოფენ დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა თვისებურებებს და მას პირდაპირ, მექანიკურად უკავშირებენ ქართულ თეატრში კომედიების დადგმის საერთო ტრადიციის, სინამდვილეში კი დ. კლდიაშვილი უფრო შერის იხედება, ვიდრე ეს იმერეთის პორბონტებია და უფრო ფართო საკითხებს ეხება, ვიდრე ეს საქართველოს ერთი მხარის აზნაურთა ცხოვრების გამოსახვა.

დ. კლდიაშვილის პიესები და ინსცენირებები იღვწებოდა ხან სატირულ კომედიის, ხან ვოდევილის (მეტწილად) და ხან კიდევ ოპერეტის პლანში. თითქმის ყოველთვის იმას ითვისებდნენ, რაც უფრო კომიკური და სასაცილო იყო, ხშირად „იმერკლოზის“ თამაში განისწავლავდა აქტიორული შესრულების მანერას. აქი პირდაპირ წერდნენ გაზეთები: თბილისელებს პიესა არ მოეწონათ, „იმერელმა აქტიორებმა“ კი „მშვენიერად შეიგნეს იმერული ცხოვრება“ და ტიპებიო“. ქართული მსახიობთა სწორედ ეს „იმერკლოზა“ იყო შეცდომა. დ. კლდიაშვილისათვის კოლორიტი არ არის მთავარი. იგი მხატვრული ფერია, გარკვეული ხერხთა გმირთა შინაგანი ცხოვრების, მათი ხასიათის გამოსაყვანად. საქმე ის არის, რომ სცენაზე ადილია და რამდენადმე ეფექტურიც კეთხური კილოკავებით სხვის „შექმნა“. სცენისმოყვარეებს ვიოლეზობდათ დ. კლდიაშვილის შემოქმედებიდან აელათ ის, რაც მოვლენის ზედაპირზე იყო. თბილისელებმა რომ ვერ გაიგეს პიესა და ქუთაისელები კი აღტაცებში მივიდნენ — ხზგასმით მიუთითებს, თუ რაოდენ ღრმად ჩაიბრუნეს სცენაზე დ. კლდიაშვილი „იმერეთის კოლორიტში“. შეიქმნა მეტად სახიფათო მდგომარეობა: მწერალი შემოფოთებული კომბოლოდა: — ჩემი სახეები სად გაქრენ, სად გადასხვადიერდნენო?! — ამ გადასხვაფერების შედეგად ჩრდილში მოექცა დ. კლდიაშვილის გმირთა შინაგანი, სულიერი ცხოვრება, რაღაც არასერიოზული ვახდა მათი ღრმა ტკივილები. შემიცრდა მწერლის დიდი პემანისმის მასშტაბი.

ასე რომ, დ. კლდიაშვილის გმირები სცენაზე წარმოსახენ განზოგადების გარეშე: იმთ შინაგან გულისთქმათა გამოხატვის ფორმებში ვადაშეყვები მნიშვნელობა მიიწიკა იმერეთის კოლორიტულ ხერხს. გმირთა შინაგანი ცხოვრების გამოვლენის კომედიურმა საშუალებებმა თითქმის სავსებით უარყვეს დრამატული საწყისი, მაშინ როდესაც ნაწარმოებთა დედაბარი სწორედ დრამატულ საწყისში ძეხს. მწერალმა ღრმა გულისტკივილით გვიჩვენა ისინი, ვისაც მკაცრმა სინამდვილემ წაართვია ადამიანური ცხოვრება და მისი დაბრუნებისათვის ბრძოლის საშუალებები მისცა, იმგვარ გარემოცვაში მოაქცია, სადაც „ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირობა მეუობს“. აქ არის მწერლის დიდი პემანისმი, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იბადება და ზოგადადამიანური იდეებისა და სულიერი მისწრაფებების გამოხატულებამდე მალდდება.

არა ზუსტად, მაგრამ დაახლოებით კოლორიტის მავალითი გამეორდა „შემოდგომის აზნურთა“ თვისებების გამოხატვისასაც. არ-

სებითად აქაც მიჩქმალული და მივიწყებული იქნა ის, რომ იგივე დარისხანქის სულმწინი, ოტია, ან ეყვირინე ქართულ ზანსაგარეში კ. ი. აზნაურთა მათი ეროვნული თავისებურება კი არა, კლასობრივი მდგომარეობა.

1957 წელს რუსთაველის სახელობის თეატრმა აღადგინა „შემოდგომის აზნურები“ (პირველად 1936 წელს დაიდგა). სპექტაკლმა მყურებელთა ერთსულოვანი უმყოფილება გამოიწვია. იყო თეატრის კიცხვა, მოდიოდა წერალები, გვიჩვენებდნენ მწერლის ნამდვილი გმირები, თავიანთი დიდი ადამიანური ტკივილებით. ისინი მართალი იყვნენ!

დ. კლდიაშვილმა სწორად ასახა თავადაზნურთა ისტორიული განწირულების რთული პროცესი, ამასთანავე გვაგმრწმობინა თავისი ღრმა გულისტკივილი ქართული კაცის ბედზე. მას შეეძლო ვთქვა: „ყველაფერს, რასაც ვწერდი, ადამიანისადმი სიყვარული მაწერინებდაო“. სწორად ადამიანისადმი დიდი სიყვარული და არა აზნაურთა კლასობრივი ინტერესებისადმი სიმპათია მწერალი მასზე მალა იდგა. აქ მკაფიოდ გამოვლინდა მწერალთა პროგრესული აზროვნება და მისი რეალიზმის ძალა.

ნახი პუმორი და რაღაც პოეტური ნაღველი ავსებს დ. კლდიაშვილის მთელ შემოქმედებით საყაროს. მისი სევდიანი კილო ეს არის გულისტკივილი, თუ როგორ შეზღადა რომ ბუნების შეილთა ადამიანური ღირსება, მაშინ როდესაც მათი ქვეყანა სიუხვითა და სილამაზით წალკატს მოაგავს. მწერალი თითქოს გვეუბნება: შეზედეთ, ცხოვრებამ სადამდე მიიყვანა ის ადამიანი, რომელიც ოდესღაც რინდელი სულთი იყო სასევთა ამ სევდიანმა ტონმა ღრმად ჩააფიქრა ქართული საზოგადოებრიობა, მან აზნაურთა (და განა მართა აზნაურთა) უმწეო ყოფის შილმა უფრო დიდი და ზოგადად ეროვნული მნიშვნელობის პრობლემა დაინახა, რომელიც შემდგომ ფართო გამოახილი კპოვა ჩვენს ლიტერატურაში. დ. კლდიაშვილმა აღრევე იგმნო, რომ შეირყა ფუქემგავარი ქართული სოფლის ცხოვრება, ქალაქისყენ დაიძრა ხალი, შომიავლდა ნსახლარები და ჩამქრალი კვარები...

გამარტახების წინაშეა აზნაურთაყ და გლუბობაც. ერთნაირად ტრაგიკული სურათი იშლება ჩვენს წინ, როცა ეუფურებთ ამირანის, ოტიას, ლევანის, განწირულ სახეებს, ჩამქრალ თვალებს...

დ. კლდიაშვილმა თავის ნაწარმოებებში გვიჩვენა თავადაზნაურული საზოგადოების უმწეობა და მიზნის სიკაროლე, გვიჩვენა ასპარეზიდან თავადაზნაურობის წასკლის ისტორიული აუცილებლობა, მაგრამ ამასთანავე, მან ერთმა პირველთაგანმა შენიშნა ქართული კაცის მიერ ყველაზე მწეავედ განკლდილი გრმნო-

მა სოფლიდან აყრისა, მიწის მოწვევებისა.

ლიტერატურულ კრიტიკასა და თეატრალურ დადგმებში ხშირად დაკლდამიშვილის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც აზნაურობას ეხება, ისე იყო გააზრებული, თითქმის ისინი (მაგალითად, სოლომან მორხელაძე), „ვერს ამჩნევენ“, რომ მათ აზნაურობას საბოლოოდ გამოეცალა სოციალური ნიადაგი და მაინც ხავსს ეკიდებოდა. ამგვარი გააზრება ხელს უწყობდა სასაცილო მომენტების კიდევ უფრო წინ წაშორვებს. ჩვენი აზრით, არც ეს იყო მთლად პართებული.

„შემოდგომის აზნაურება“ არამც თუ „ვერს ამჩნევენ“, პირიქით, ნათლადაც კი ხედავენ, რომ გამოეცალათ ნიადაგი. ამიტომ არის მათი ყოველდღიური ცხოვრება საოცრად აფორიაქებული და ზეალინდულ დღებზე ფიქრით შემოვრთებული. ექვეყნად ეკრია და ლექსპურის საშოვრად დადიან კარდაკარ, სოფლიდან-სოფელში. თითქმის შინ არ დაეღვრებოდათ და ამიტომ მოგზაურობენ მუდამ.

„შეკრთობის შეილო, — ეუბნება ბესარიონი სოლომანს — არ იყო, რა დრო მოგვესწრო, რა საცოდაობაში ვართ ერთიანად ჩავარდნილი? ყველას თელათ რა გასაჭირი დღე გვადგია, რა შვიი დღე შემოგვესწრო?“ მძიმე ყოფილი ჩავარდნილი არ ზოგავენ არაფერს, ოღონდ თავი დაადწონენ სიღუპიერეს. იმდენად მძაფრია ეს მისწრაფება, იმდენად შეაწუხა ობიექტურმა პირობებმა, რომ ისინი თავიანთ წარმოსახვაში ჰქმნიან ახალს, მოჩვევებით სინამდვილეს, რომელსაც რაღაც სიხალსზე შეაქვს მათ ცხოვრებაში. კარგ მომავალზე ფიქრი იმდენად განწყობილებას ბედებს მათში, ახალ პერსპექტივებს უშლის წინ. მაგრამ ყოველივე ეს რაღაც უცნაური ილუზიაა, რომელსაც ყოველ ოჯახში მოეკიდა ფეხი და თითქმის ედილობს კიდევ ჭეშმარიტი სინამდვილის აღფრთოვანი დამყვიდროს. ეს ახალი, წარმოსახული საშუალო ორ საწყისზეა აშენებული. ერთია წარსული ბედნიერების მოგონება და მეორე — მომავლის იმედი. თუმცა ამ ადამიანებმა მშვენიერად იციან, რომ არცერთ მოთვანს არ შეუძლია იმ დღეებშიდგილ მდგომარეობის შეცვლა. ეს პერპეტუო დროებით შემოტყუებული „ბედნიერებაა“, მაგრამ სხვა გზა არ არის. ისინი ადამიანები არიან და არ შეუძლიათ იმედის გარეშე იცოცხლონ. იმედი აძლევს ძალას, მატებს ხალისს.

ყველაზე ტრაგიკული სერაფია „ქაშუშაძის ვაჟიერებაშია“ გადაშლილი და მოჩვენებითი სინამდვილის ილუზიაც ყველაზე მეტად აქ არის გამოვლენილი.

ყველაზე ყოველმხრივ ედილობს რჩენა ჩაურჯავს რასლს, პირდაპირ პოეტურად, მიზნოდვლად დუბიტოს თავისი ოჯახის ცხოვრება, — „ქაშაი, შეილო, პურები გვაქვს... — იცოცხლე შეილო, ამ პურებში შარშან

ღვინოები ჩაისხა...“ — „ზოსტანა შქონ და, შენ გენაცვალე, ისეთი ზოსტანა [რჩამ შარტო ერთი შეხედვით გული გაგვხსნებოდა] | შიღუხ უკეთესს ვერ დაიხვედბა, მარა რა გინდა, ვერ დევნიცი, ასე გამოთხარეს ქათმებმა, — ჩემმაც და სხვისმაც.. იცოცხლე, ეს ხახვი, ახლა ამას რომ ხედავ, ეს რაა იმასთან, შარშან რომ იყო... გედვირია, ბატონო, გედვირია, მარა რანეირად!.. რუსული პატრიჯანი რომაა, მიწადორას რომ უდახიან, იგიე შქონ და, წრეულს კი, რა დავებთან, აღარ ვიცი, სულ აღარ ამოსულა... გაიხსნა დაე ძალიან ბოსტანი გაკეთდება, შეილო... ასე წარსულზე და მომავლის იმედზე აიგო ეკვირიანე თავისი ოჯახის ბედნიერება.

ტრაბახი და ხუმრობა დ. კლდამიშვილის გმირების თვითშინაში როდია. ისინი ზუმრობის გზით ფიქრობენ დამამცილებელ მდგომარეობიდან გამოსვლას, ტრაბახით — ადამიანური ღირსების შენარჩუნებას. ეს ადამიანები ასე სჯიან: დე, სხვა ნუ დაინახავს ჩვენს სიწამბურდეს და დაბეჩავებას, ნუ ვაგრძნობინებთ, რომ ცხოვრებამ გავფთვლაო. გვეჭიროს თავი ისევე ამაფად, როგორც ბედნიერების ემს. ჩვენ უპირველესად ადამიანები ვართ, და რაოდენ მაკურადაც არ უნდა დავერიოს ხელი სილატაკემ, მაინც იმედით უნდა შევცვდეთ ზეალინდულ დღეს. გავამხსნეოთ და ვინუგეშოთ ერთმანეთი. ასე რომ, მათი სიამაყე, ტრაბახი, და საერთოდ გულმხიარული კაცის პოზა, უმთავრესად ნაკარნახებია ადამიანური ღირსების და ეცვის მძლავრი ინსტიქტით; იგი თავისებური რეაქციაა იმ სოციალურ უბედურებაზე. ცხოვრებამ რომ თავს დაატეხა. ეფიქრობთ, რომ ეს მომენტაც ასრულეს გარკვეულ როლს, როცა კლდამიშვილის გმირები „ამჩნევენ, რომ მათს აზნაურობას გამოეცალა ნიადაგი, მაგრამ ნაკლებად გველაპარაკებოდა ამის შესახებ. და საერთოდ დ. კლდამიშვილის გმირებს უფრო მეტი აზრები აქვთ, ეღერ სიტყვები...

დიდმნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების მიჩქმალვას ისიც დავრთო, რომ ჩვენი თეატრები თითქმის სრულიად არ ითვალისწინებდნენ მწერლის მხატვრულ თავისებურებას (იგი არც ერთ ქართულ დრამატურგს არ გაეს). მისი ნაწარმოებების სცენური გადაწყვეტა ხშირად იმევე პრინციპით ხდებოდა, როგორც გ. ერისთავის, ან ა. ცუგაროს პიესებისა. ამ ქართულმა კომედიოგრაფებმა თავიანთ მძლავრ ტრადიციოში მოაქციეს დ. კლდამიშვილის ე. წ. „პატარა პიესებიც“. ზოლო ამ უკანასკნელთ ასე შეველოთ ორგანოდ მივიღოთ გ. ერისთავის სკოლის დრამატურგთა მხატვრული — სტილისტური თავისებურებანი. ამიტომ მას ხშირად თავზე ახვეედნენ გ. ერი-

სთვის სკოლისათვის დამბასათებელ თვისებებს. კომედის უნარის საერთო, ერთხელ შემუშავებული ხერხებით ცდილობდნენ გაეხსნათ დ. კლდიაშვილის გმირთა მთელი შინაგანი საზარო. ამა რა საერთო აქვს გ. ერისთავის „ძენწს“ ან თუ გნებავთ „გაყარას“ დ. კლდიაშვილის „ღარისპანის გასაქირთან“? ანა შეიძლება მათი ერთნაირი დადგმა იმ მოტივით, რომ ისინი — თუ შეიძლება ასე ითქვას — ფორმალურ-ერთხელ თვალსაზრისით, კომედებით იწოდებიან? ისიც საფიქრებელია, რომ დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში დრამატული პათოსის მიჩქმალა რამდენადღე ამ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობის შედეგიც უნდა იყოს.

ცხადია, ჩვენ გულწრფელად გველიმება, როცა ვხედავთ, პლატონი როგორ „მიპროვლებს“ ჯორის იმერეთის თვალწარმტაც პეიზაჟების ფონზე, რომ მამას ცოლი მოგვეაროს; მაგრამ იმასაც ხომ კარგად ვგრძობთ თუ რაოდენი სიშფათვა ამ მოგზაურობაში?! დ. კლდიაშვილის პიესებსა და საერთოდ მოთხრობებს, აქვთ ნაშთილი სცენური ნაწარმოებისათვის საჭირო თითქმის ყველა თავისებურება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დიალოგი. ამ მხრივ იგი პირდაპირ ვირტუოზია, დიალოგი სავსეა ქვეტიქსტებით, მახვილი სიტყვებით, პლატონი, არისტოსი შეეითხვავა, მართლა ეძებ დაღინაცვალსო — პასუხობს:

- „ეუბნები! — მიუგო მან ბოლოს.
- თქვენ ძმა გაუავთ?
- არა.
- და?
- გათხოვილი!
- კი დავეშართით!“

დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა გაცენურება წარმოდგენილია იმ მდიდარი ქვეტიქსტების გარეშე, რომელიც საოცრად მახვილია და პლასტიკურ დიალოგებშია განფენილი. ყოველი მოსაუბრე მთელს ძალით ცდილობს სწორად ამოცნოს სიტყვის იქით ნაგულისხმევი (გრძნობებანი, რომ ატყუებენ ერთმანეთს; ისინი ხშირად ლაპარაკობენ ერთს და ფიქრობენ მეორეს, ამის გამო იზრდება ინტერესიც შეიტყოს დაფარული აზრი). სიტყვის იქით ნაგულისხმევი აზრის ამოცნობის ეს სურვილი კიდევ უფრო აქტიურს ხდის დიალოგს, აშლიდრებს მას ქვეტიქსტათ. თუ რაოდენ ქვედიტია დ. კლდიაშვილთან ქვეტიქსტია, სამაგალითოდ მრავალ დაჭტის მოყვანა შეიძლება. ჩვენ მხოლოდ კარგენასა და ამირანას მაგალითზე შევჩერდებით. იგია მაგალითიც თუ რა ტრაგიკულ სახესთან გვაქვს საქმე, რომელსაც თეატრებში პირდაპირ აშარებდნენ ხოლმე.

ათეული წლების მანძილზე ვერ გაიგეს კაროენას სახე. ვერ მისცეს მას სწორი სცენური ვადაწვევითა თეატრში ამ გმირის ბედი ძალიან

მოავსეს საერთოდ დ. კლდიაშვილის ბედის სცენაზე. აქაც მხოლოდ კომედენტრი ქმედებები იყო აქცენტირებული, დასტონტანქმედი ხებდნენ კაროენას. იგი ხან, სრულიად უღამაზო იყო და ხან კიდევ კოკლი. კაროენა ძლიერი, ვანოგადობელი მხატვრული სახეა, გააზრებული და ჩამოქრწილი სწორედ დრამატურგიულ ფორმაში. და ეს მაშინ, როცა მისი სიტყვიერი მასალა მხოლოდ ოთხი სტრიქონისაგან შესდგება: „ორასი გაწოტება... მარა ჳირმა გავეწყავითა“...

„ბერიას...“ „რა მიჭირს ბატონო?...“ „კი ბატონო...“ „ყაბლახი რა უყავი?“ „მოადგებს უოველთვის სადმე“... „ჩემი რა ბრალაა, ბატონო... უოველთვის რომ ასე მომდგებოი?“, „შე არა გათხოვ გათხოვებას... ვიქნები ჩემთვის...“.

სულ ეს არის და ეს. დრამატურგიის ისტორიაში, აღბათ ძნელად თუ მოიძებნება მეორე როლი, რომელსაც ასე ცოტა ჰქონდეს სიტყვიერი მასალა, მაგრამ ასე ბევრი რამ იყოს თქმული. აღნიშნული ოთხი სტრიქონი რუადვალას არის განაწილებული. პიესაში ჩვიდმეტრ გამოსვლა, კაროენა კი მხოლოდ ხუთ გამოსვლაში იღებს ხმას, სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი დუშს და ამ ყრუ დუშილში ამხელს იგი თავის ტრაგედიას. ყოველი მისი სიტყვა სამი წერტილით მთავრდება, იგი თითქმის ვერცერთ ფრაზას ვერ ამთავრებს, სათქმელი კი ბევრი აქვს, და ჩვენ უსიტყვოდაც საეხებით ვუვებთ მას. სწორედ მდიდარი ქვეტიქსტების, უსიტყვო, შინაგან სულიერ მოძრაობის მეშვეობით, მთელს როლში არ არის არც ერთი მომენტი, რომ კაროენა არ აქტიურობდეს, არ მოქმედებდეს, თუმცა გარეგნულად იგი საოცრად პასიურია: პასიურია თავის მონური მორჩილებით ვარკმოსადმი, მაგრამ ეს სულ სხვა სახის პასიურობაა. დ. კლდიაშვილი არ მიუთითებს კაროენას ფიზიკურ ნაკლებზე, მის შესახებდაობაზე. ჩვენ კი ვგრძნობთ, რომ იგი ლამაზი ქალი უნდა იყოს. ამითაა იგი ამაღლებული და ტრაგიკულიც. მან იცის, რომ უბედურების მიზეზი ცხოვრების პირობებია, მის წინ, როგორც ბედისწერა, ისეა აღმართული მზითვის პრობლემა. სიმდიდრეშია ქალის ღირსება და არა პიროვნებაში“ — ამის შეგნება ათევადა ამლიეურებს ტასიურხს, მახინჯი რომ იყოს კაროენა, გაუთხოვრობის მიზეზიც მასში იქნებოდა სინამდვილე იმდენად მკაცრია, რომ კაროენა უძულარა მის წინაშე. სწორედ თეატრის მცდარ გააზრებაში უნდა ვუძიოთ იმის საფუძველიც, რომ ხალხის შეხედულება კაროენაზე, როგორც მახინჯ, გაუთხოვარ ქალზე, — დასცილდა ლიტერატურულ ტკპს

კაროენამ იცის, რომ ძალით, უსიყვარულოდ გათხოვება საშინელებაა. დრომ დაარღვია ადამიანთა ბუნებრივი ურთიერთობა და ორი ახა-

ღაზრდა ბედის შეერთების ყველაზე სასიხარულო აქტი ძალადობისა და ვაჭრობის სახნად აქცია... კაროენა თითქოს შეგუბა კიდეც თავის ხედვას, როცა ამბობს, „ვიქნები ჩემთვის“, მაგრამ იმასაც ხომ ხედავს, რომ მშობელ მამასაც კი შობებურა თავი. ბერაჯერ მოესმენია დარისპანის სიტყვები: „ღავათრეე ამ ჩემს ქალბატონს ყველგან: — ნათესაებში, კეთილებში, დღეობებში, — ეგებ ვინმეს ან მოეწონოს, ან ვიქმე სხვანაირ გუნებაზე თვალი გადააელოს და გამანათვისებლოს მისგან“. კაროენა შორწილებით ისმენს ამ სიტყვებს და გულნათობილი დაპყვება მამას სოფლიდან სოფელში, ცხოვრების სევიდან გზაზე და ცრემლნარევი ღმირის პეკრის მკითხველს.

კაროენა „დარისპანის გასაპირის“ მთავარი გმირია. იგი ცენტრში დგას და უყურებს მის ირგვლივ მომხდარ ამბებს. შინაგანი და გარეგანი მოქმედების სისავე რაღაც საუნობრივ, იერს აძლევს მისი სულიერი მოძრაობის ყოველ წერტილს. აქ თითქოს ისიც გასაგები ხდება, რას უნდა ფიქრობდეს კაროენა მოცემულ ვითარებაში. საინფორმაციო ყოველი სურათი გამოდგება. ეთქვას, მართას გამოსვლა. მართა სახელდახლოდ აწყობს სუფრას, უფრადლების ცენტრშია ოსიკო. კაროენასა და ნატალიას შორის გაუშვლი შინაგანი კიდილია. ორივეს დიდი სურვილი აქვს, რაც შეიძლება უკეთ გამოაჩინოს თავი. ეს სურვილი იწვევს აზრით სავსე შინაგან მოქმედებას. უკიდურესად არის დამაბული დარისპანიც. ერთი სიტყვით, არის ცილობა, ვინ უფრო უკეთ გამოჩნდება ოსიკოსთან, ნატალია შურაბას მართაზევს სასიძოს. საქციელს შეუქებენ: „ნამეტანს უშვები შენ გენაცვალე! ასე უცბად მოგაწონა თავი ამ ბედნიერმა კაცმა?“ ჯერი კაროენაზეა. იგი წამოდგება და ჩაის მისართმევად გაემზადება. ნატალია დედას გადახედავს და ოდნავ გაიღიმებს, ვითომდა დამშვიდდი, ვერ მაჯობებსო. დამაბული მისწერებია კაროენას დარისპანი და ფიქრობს. „აბა პე, მიშველე, მიბსენი“. დედაც პელაგია, დედაც ნატალია. კაროენას ფინჯანი გაუვარდება და გატყდებ-

ბა. თავზარდაცემული წამოვარდება დარისპანი: იგი მზად არის მოკლას კაროენა, მაგრამ არა, მის წინ ოსიკოა. იმედი უკარგესად დედას კარგავს. თუმცა სიმწრისაგან მიანც წამოსცდება: „ძალიან არ დამიშოწმა თავის სიბარჯე“. იქვე გაამართლებს: „გამოუბრუნებლად რაეა გაგლახა მუგაზრობაში“. ამით მთავრდება კაროენას წამება. ახლა „ბეზოკია“ უნდა დაუკრას და იცუკოს. კვლავ ნატალია იწყებს პირველად, შემდეგ „კაროენა აპიუნიუნებს გარმონიკს“, მაგრამ აქაც მარცხდება. მარცხდება ნატალიც. ამოდ იწვალეს. ნატალია ზმას მალღებს („რას ნაღიხართ!... დენაბევეთ ვიღაც ოხერს თუ არა...“). კაროენა კი ისევე დემილით გამოხატავს სევდას, მაგრამ გრძობთ, რომ შინაგანად დამაბულია და სულელებად შეძრული. თუმცა ფიზიკური მოძრაობა ფინჯანის ნატებების აყრუვის იქით არ მიდის. მამასადამე, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ძლიერ შინაგან მოქმედებასთან, რომელიც უაღრესად მკაცრ ფიზიკურ მონახაზებს შეიცავს. მთელი ეს სცენა რაღაც შემამრწუნებელი აუქციონია: იუიდება ქალი შეილებსაგან მოტოვებული ამირანი შესწივის მეზობლებს: „...რა ექნა ჩემი ხნის აღამინამა, ა? ...თუ არ შეიძლება? ახაიენ უნდა მომხედოს? ყველამ უნდა წამიყრტოს?“

ქართულ მწერალთა შორის განსაკუთრებით სცენურია დავით კლდიაშვილის ენა. ეს მართლაც ტკბილ-ქართული, წყლიანი და სიტყვა მწვერი ენაა. ხშირად ერთი სიტყვა, ან ერთი ფრაზა ავსებს გმირის ხასიათს, საოცარი ძალით გადმოგვეყვს მოქმედ პირის განწყობილებას, მისი ხასიათის თავისებურებას. მნიშვნელოვანი აზრის მოკლედ გამოთქმაში მკაფიოდ სვლინდება მწერლის ენისა და საერთოდ სტილის ბუნება.

დავით კლდიაშვილი ქართული თეატრისა და კინემატოგრაფიისათვის ჯერ კიდევ გადაუწყვეტი პრობლემაა, დიდი ქართული მწერალი ელის, რომ ქართულმა თეატრმა და კინომ სრულყოფილად გამოხატოს ის მალალი ჰუმანური, საკაცობრიო იდეები, რომლისთვისაც იღწვოდა იგი მთელი თავისი შეგნებელი ცხოვრების მანძილზე.

პროფ. არჩილ ხარაძე

## აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი

(დაბადების 70 წლისთავის გამო)

ნიკო მუსხელიშვილს სამოცდაათი წელი შეუსრულდა! ვინ დაიჯერებს ამას, სანამ მის „პირად ბარათში“ არ ჩაიხედავს.

მართლაც რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა ეს სიცოცხლით სავსე „ბერიკატი“, შემოქმედებითი ცეცხლით ანთებული, ენამახვილი და გონებანათელი, ადამიანისა და ბუნების მოყვარული, ოხუნჯობისა და მოსწრებული სიტყვის ოსტატი.

დიდა ნიკო მუსხელიშვილის დამსახურება ხალხისა და მეცნიერების წინაშე. ამიტომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ სახელოვანი მეცნიერის იუბილე ასე ფართოდ აღინიშნება. სახელმწიფო დაწესებულებანი, საკავშირო აკადემია და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიები, უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სკოლები, კვლევითი ინსტიტუტები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, უცხოეთის სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი — ყველა შეიტანს თავის წვლილს მუსხელიშვილის პატივსაცემად გამართულ ზეიმში. წარმოითქმის მრავალი გულთბილი სიტყვა, ყოველ მხრიდან მოვა უამრავი მოლოცვა, დღეგრძელობისა და ჯანმრთელობის სურვილები.

თუ საყოველთაოდ მიღებულია, რომ გამოჩენილი მოღვაწეების ცხოვრება და შემოქმედება ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების საგნად იქცეს, ჩვენთვის, ჩვენს ქვეყანაში ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან საიუბილეო ზეიმს საბჭოთა საზოგადოება განიხილავს, როგორც აღმზრდლობითს ღონისძიებას. ჩვენ ამჟამად განვითარების ისეთ საფეხურზე ვიმყოფე-

ბით, რომ სწორედ იმ მასშტაბის მოღვაწეები გვკვირდება, როგორც ნიკო მუსხელიშვილია. ამ ზეიმით ეცნობა საზოგადოება, თუ როგორ იწრთობა დიდი მეცნიერი, მოღვაწე, ხალხის მსახური და ახალგაზრდობის ხელმძღვანელი, მასწავლებელი. პირველ რიგში ახალგაზრდობა უნდა გაეცნოს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ცხოვრების სახელოვან გზას, რომელიც დიდად წამაქეზებელი და შთამაგონებელია ჩვენი მოზარდი თაობისათვის.

ნიკო მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წლის 16 თებერვალს, თბილისში, სამხედრო ინჟინრის ივანე ლევანის ძე მუსხელიშვილის ოჯახში. პატარა ნიკო იზრდებოდა ისეთ გარემოში, სადაც ქართული ენის პატივისცემა და ქართულთა ზნე-ჩვეულებების დაცვა მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. ბავშვი ხშირად სოფლად იმყოფებოდა, ნათესაებებში, ჩხიკვათასა და მაწევანში. საგინაშვილები, მამაცაშვილები, ფურცელაძეები — ქართლის ეს მკვიდრი გვარეულობა ენათესაებოდა მუსხელიშვილების ოჯახს. ნიკოს ბებია დედის მხრიდან, მამაცაშვილის ქალი, ცნობილი იყო იმით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. შემდეგ, გიმნაზიაში და უნივერსიტეტში, ნიკო მხოლოდ რუსულ ენაზე სწავლობდა, მაგრამ ბავშვობაში იმდენად შესისხლზორცებული ჰქონდა მშობლიური ენა, რომ, როდესაც რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული მეცნიერი თბილისის უნივერსიტეტში ქართულად ლექციების კითხვას უნდა შედგომოდა, მისთვის ენის საკითხი დამაბრკოლებელი არ ყოფილა.

თბილისის მეორე გიმნაზიის დამთავ-

რების შემდეგ 1909 წელს ნიკო პეტერ-ბურგში გაემგზავრა და უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. აქ მან ყურადღება მიიპყრო სამეცნიერო კვლევისადმი მიდრეკილებით და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით. გარემოც მას ხელს უწყობდა, რამდენადაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ის დიდი მეცნიერული ტრადიციები სუფევდა, რაც იქ დანერგეს სახელგანთქმულმა რუსმა მათემატიკოსებმა ჩებიშევი, მარკოვი, ლიპუნოვი და სხვებმა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნიკო მუსხელიშვილი დატოვებულ იქნა თეორიული მექანიკის კათედრასთან „პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად“, როგორც იმ დროს საბუთებში იწერებოდა. 1917 წელს იმავე კათედრის ასისტენტად იქნა არჩეული, ხოლო 1919 წელს უკვე დოცენტის მოვალეობას ასრულებდა. 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ნიკო მუსხელიშვილს წინადადებით მიმართა დაეკავებია თეორიული მექანიკის კათედრა, რაც მან დიდ პატივად მიიჩნია და დაუყოვნებლივ სამშობლოში გამოემგზავრა. ორი წლის მანძილზე მას დოცენტის თანამდებობა ეკავა, ხოლო 1922 წელს, როცა მუსხელიშვილმა თავისი გამოკვლევების შემაჯამებელი შრომა გამოაქვეყნა, იგი სამეცნიერო საბჭომ პროფესორად აირჩია. ძნელია მოკლე წერილში იმ მდიდარი, მრავალფეროვანი სამეცნიერო-პედაგოგიური, საზოგადოებრივი და ორგანიზატორული საქმიანობის აღწერა, რასაც ახალგაზრდა მეცნიერი ეწეოდა და ეწევა აქამდეც. აქ უნდა დავეყაროფილდეთ მხოლოდ ოქმისებურად ძუნწი აღწერილობით და შემოვიფარგლოთ მცირეოდენი ფაქტობრივი მასალით.

1926 წლიდან ორი წლის მანძილზე ნ. მუსხელიშვილი ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 1928—1930 წლებში იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორად მუშაობდა, რაც მისთვის, ცხადია, მძიმე

ტიერთს წარმოადგენდა, რადგან უნივერსიტეტში დაძაბულ შრომის განხორციელება, როგორც კათედრის გამგე. 1933 წელს ნ. მუსხელიშვილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად იქნა არჩეული, ხოლო 1939 წელს იგი აირჩიეს აკადემიის ნამდვილ წევრად. 1934 წელს მას დოქტორის ხარისხი მიენიჭა დისერტაციის დაუცველად. 1941 წლიდან, საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დარსების დღიდან, ნ. მუსხელიშვილი ზისი პრეზიდენტი, ხოლო ადრე, 1938—1941 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარედ იყო. 1941 წელს პირველად და 1946 წელს მეორედ ნ. მუსხელიშვილს სტალინური პრემია მიენიჭა ორი ფუძემდებელი, ვრცელი მონოგრაფიისათვის — „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ და „სინგულარული ინტეგრალური განტოლებანი“. ორივე ეს წიგნი უცხო ენებზეც არის თარგმნილი და ფართოდ ცნობილია, როგორც გამოყენებითი მათემატიკის სპეციალისტებისა, ისე პრაქტიკოს-ინჟინერთა წრეებში.

მექანიკისა და განსაკუთრებით დრეკადობის თეორიის დარგში თვალსაჩინო მეცნიერული დამსახურებისათვის და აგრეთვე ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში დიდი წარმატებისათვის ნ. მუსხელიშვილს 1945 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოვებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი დიდს სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. 1940 წლიდან ის სკკპ წევრია. იგი სსრკ უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატია, არჩეული იყო საბჭოების VIII საგანგებო ყრილობის დელეგატად და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის დამდგენი სარედაქციო კომისიის წევრად. წლების მანძილზე ნ. მუს-

ხელიშვილი იყო საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამაერთიანებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ. მას შემდეგ, რაც 1957 წელს თეორიული და გამოყენებითი მექანიკის დარგში საერთაშორისო ასოციაცია ჩამოყალიბდა, ნ. მუსხელიშვილი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარედ.

ნ. მუსხელიშვილი სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობების მონაწილეა. 1958 წლის განმავლობაში იგი მეთაურობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დელეგაციებს ჯერ ბრიუსელის კონგრესზე და შემდეგ რომის კონგრესზე. 1959 წელს იმოგზაურა ინგლისში, სადაც მათემატიკოსთა საერთაშორისო ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა ქ. ედინბურგში. გასულ წელს ნ. მუსხელიშვილმა, როგორც საკავშირო აკადემიის დელეგაციის წევრმა, მონაწილეობა მიიღო სამეფო საზოგადოების სამასი წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომებში, ლონდონში. ნ. მუსხელიშვილი არის პოლონეთისა და ბულგარეთის სამეცნიერო აკადემიების წევრი.

ნ. მუსხელიშვილის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება იმავიც მდგომარეობს, რომ ანდრია რაზმაძისა და გიორგი ნიკოლაძის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ მთელი სიმძიმე მათემატიკური კვლევა-ძიების განვითარების მეთაურობისა მან იღო კისრად.

მიზანდასახული შეუპოვარი შრომითა და გატაცებით მან ფართო გასაქანი მისცა სამეცნიერო კვლევას ჩვენში, შეარჩია და მოიზიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, ჩაუდგა. სათავეში სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეს, მეცნიერების დიდ გზაზე გამოიყვანა ქართული მათემატიკური სკოლა, რომელსაც უკვე საძირკველი ჩაყრილი ჰქონდა და რომელმაც შემდეგში საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გადაღმა სახელი გაითქვა, როგორც მეცნიერული შემოქმედების მოწინავე კერამ. ამ სკოლის წია-

ღში გამოიწრთენენ ისეთი ძლიერი მკვლევარნი, როგორც ფლორენცია ვიქტორ კუბრაძე და სხვებმა. არჩილ ხარაძე მელთაც უკვე მნიშვნელოვანი საკუთარი წვლილი შეიტანეს მეცნიერების საგანძურში.

დიდი ორგანიზატორული უნარი გამოიჩინა ნიკო მუსხელიშვილმა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების დაარსებისა და მათი განმტკიცების საქმეში. მისი ინიციატივით დაარსდა უნივერსიტეტთან მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ აკადემიის სისტემაში გადავიდა და რომელიც ამჟამად ა. რაზმაძის სახელს ატარებს. ამ ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას თვით ნ. მუსხელიშვილი ასრულებს. თუ ამჟამად ჩვენში ფართო განვითარება მიიღო ფიზიკის დარგში მეცნიერულმა კვლევამ, ამას ხელი შეუწყო ნ. მუსხელიშვილის მიერ ფიზიკური კადრების აღზრდაზე ზრუნვამ და ამ მიზნით მისივე ინიციატივით ფიზიკის ინსტიტუტის დაარსებამ. გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსებაც მუსხელიშვილის თაოსნობით მოხდა.

გარდა წმინდა სამეცნიერო მუშაობისა, ნ. მუსხელიშვილი იმთავითვე შეუდგა სახელმძღვანელოების შედგენას. ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა რამდენიმე თაობა ახალგაზრდა მათემატიკოსებისა და ინჟინერებისა. მუსხელიშვილის სახელმძღვანელოებს ახასიათებს მაღალი მეცნიერული დონე, ნათელი და ზუსტი გადმოცემის სტილი. ერთი მისი დიდი სახელმძღვანელო, „ანალიზური გეომეტრიის კურსი“, რუსულ ენაზეც არის გამოცემული და არა ერთხელ, როგორც საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების მათემატიკური სპეციალობის სტუდენტთათვის განკუთვნილი ძირითადი სახელმძღვანელო. ცხადია, ქართულ ენაზე მათემატიკური სამეცნიერო მწერლობას, თუ სახელმძღვანელოების წერას, ესაჭიროებოდა სისტემატური და გულმოდგინე ზრუნვა სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაზე. ეს დიდი „საშვილიშვილო“ საქმე, არც თუ ისე





იოლი გზით კეთდებოდა. სატერმინოლოგიო კომისიებში იყო ცხარე კამათი, აზრების შეხლა-შემოხლა, ზოგ შემთხვევაში მორიგების შესაძლებლობაც გამოიჩინებოდა. მუსხელიშვილი მეტად გატაცებული იყო და საკითხი დიდხანს ღრმად რჩებოდა. მუსხელიშვილი მეტად გატაცებული იყო ამ საქმით. მან დიდი ტაქტი და მოთმინება გამოიჩინა, ამასთანავე სამაგალითო გამომგონებლობას და ინიციატივას იჩენდა სპეციალური ტერმინების დადგენის დროს. აქ კიდევ ერთხელ იჩინა თავი ყრმობიდან გამოყოლილმა სიყვარულმა მშობლიური ენისადმი. მას კარგად ესმოდა, რომ ტერმინოლოგიის საკითხი, ეს მხოლოდ ცალკეული სიტყვების შემოღების საკითხი კი არ არის, არამედ პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. ხალხში ხმარებული და მივიწყებული სიტყვების გაცოცხლება, თუ ხელოვნურად ახალი სიტყვების შემოღება; ლათინურსა და ბერძნულ ენებზე აგებული საერთაშორისო ხმარებაში არსებული ტერმინების დატოვება, თუ უმრავლესობის, მაინც. გადმოქართულება; ათობითი თვლის სისტემაზე გადასვლა, თუ ტრადიციული ქართული ოცობითი თვლის დატოვება და სხვა ამგვარი საკითხები ჩვენი ერის კულტურისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხები იყო. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა სატერმინოლოგიო ლექსიკონის შედგენის ინიციატივა. ამ საქმის სულის ჩამდგმელნი იყვნენ გიორგი ნიკოლაძე და ნიკო მუსხელიშვილი, რომელთაც დახმარებას უწევდა ამ სტრიქონების ავტორი.

ნიკო იმ დროს ნიკოლაძეების ოჯახის წევრი იყო, მათთან დასიძებული. უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო ნიკოლაძის ოჯახის კეთილშობილმა ტრადიციებმა, უთუოდ, თავისი გავლენა იქონია სამშობლოში დაბრუნებულ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერზე — საზოგადოებრივი მუშაობით გატაცება, ჩვენი ენის, ლიტერატურის, ისტორიის პატივისცემა, ბუნების სიყვარული, ჩვენი ხალხის მომავლისა და ახალი თაობების ბედით დაინტერესება — არ შეიძლება ყველა

ამას ხელი არ შეეწყო მომავალი დიდი მოღვაწის ჩამოყალიბებისთვის.

ახლა შევეცადოთ ოდნავ შევხედოთ იმ გადგავალოთ იმას, თუ რა მიმართულება აქვს ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო კვლევას, რა შესძინა მან მათემატიკურ მეცნიერებას, რას ამბობს სამეცნიერო საზოგადოებრიობა მისი შრომების შესახებ.

თავისთავად ცხადია „მნათობის“ ფურცლები ვერ აიტანს ვერც „დრეკადობის მათემატიკური თეორიის“ ანალიზსა და ვერც „სინგულარული ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის“ „სიბუნებრივების“ გადმოცემას. საკითხავია, როგორ უნდა მოიქცეს წერილის ავტორი — მათემატიკოსი, რომელმაც ისე უნდა დაახასიათოს მუსხელიშვილის მეცნიერული ნამოღვაწი, რომ მათემატიკას სრულიად არ შეეხოს; ეს ხომ ყოველად დაუძლეველი ამოცანაა. ამის შესახებ თვით ჩვენს პატივევულ იუბილარს აქვს ნათქვამი: „მათემატიკოსის მოღვაწეობა რომ დაახასიათო ისე, რომ მათემატიკის სპეციალურ საკითხებს არ შეეხო, ეს იგივეა, რაც ადამიანს ტანსაცმელი გააძრო და შიშველი გამოიყვანო ხალხის წინაშე, აპოლონ ბელვედერელსაც რომ ვემსგავსო, მაინც მორჩენია საზოგადოებას ჩემს ტანსაცმელში ვეჩვენო“-ო. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ტანმორჩილი ადამიანი, აბა, ბელვედერელს როგორ შეედრება, მაგრამ სულიერი ძალით და შინაგანი ბუნებით მართლაც ისეთივე ახოვანი და კეთილშობილია, როგორც აპოლონი.

რადგან ასე მძიმე და აუტანელია ეს „წყვეული მათემატიკური სამოსელი“, მოდიოთ იმაზე მაინც ვიმსჯელოთ, თუ რა ხელშესახები სარგებლობა მოაქვს მის მეცნიერულ ნაკვლევას: ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან რა კავშირი აქვს მას.

როგორც უკვე ზევით იყო აღნიშნული, ნიკო მუსხელიშვილი ჩებიშვიის, მარკოვის, ლიბუნოვისა და კრილოვის ტრადიციებზეა აღზრდილი, ესე იგი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის

ტრადიციებზე, განყენებული მათემატიკური მეთოდების ცხოვრებასთან დაკავშირების მისწრაფებაზე. სახელგანთქმული ჩეზნიშევის უაღრესად ზოგადი და აბსტრაქტული იდეების პირველად წყაროს უფრო ხშირად ცოცხალი პრაქტიკით წამოჭრილი ამოცანები შეადგენდა: სხვადასხვა მექანიზმების დეტალების მოძრაობის რაც შეიძლება ზელსაყრელი გამოყენება, გეოგრაფიული რუკის რაც შეიძლება მიზანშეწონილად აგება, ქარის წისქვილის ფრთების ყველაზე ხელსაყრელი აგებულების გამოძებნა და სხვა ამგვარი. მეტად საგულისხმოა, რომ ჩეზნიშევის ერთი მცირე მოცულობის შრომა სათაურით „ტანსაცმლის“ კრეკრევის შესახებ“ საფუძვლად დაედო გეომეტრიულ თეორიას, რომელიც ამჟამად ჩეზნიშევის სახელს ატარებს და ე. წ. დიფერენციალური გეომეტრიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავს წარმოადგენს. „მნათობის“ მკითხველს შეიძლება კუროზად მოეჩვენოს, რომ ჩეზნიშევა დასახელებულ შრომასთან ერთად პარიზის აკადემიას „ჩაცმული“ ბურთი წარუდგინა იმის საილუსტრაციოდ, თუ რას გვიკარნახებს თეორია, ამა თუ იმ მოყვანილობის გეომეტრიულ სხეულს „ქსოვილი სამოსელი“ რომ საუკეთესოდ მოვარგოთ.

ნიკო მუსხელიშვილს უკვე სტუდენტობის დროს გაეღვიძა გემოვნება და მიდრეკილება მათემატიკის ისეთ დარგებისადმი, რომელთაც გამოყენების ფართო ასპარეზი აქვთ. თეორიული ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკური ფიზიკის საკითხები, საერთოდ, და უმთავრესად კი დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანები — აი კვლევის ის დიდი უბანი, სადაც თავი იჩინა მუსხელიშვილის მახვილმა გონებამ, მოვლენათა კრიტიკული ანალიზის უნარმა და გამომგონებლობამ.

იმის დასურათებისათვის, თუ რამდენად დაკავშირებულია დრეკადობის მათემატიკური თეორია ტექნიკურ მეცნიერებასთან ან, კერძოდ, ვთქვათ, საინჟინერო ნაგებობათა გაანგარიშებას-

თან, მივმართოთ რამდენიმე მაგალითს. წინასწარ შევნიშნოთ, არაა მართლმეტყველ სინამდვილეში არსებულს თითქმის ყოველ სხეულს ცოტად თუ ბევრად ახასიათებს დრეკადობის თვისება. პირველყოფილი ადამიანიც კი სარგებლობდა დრეკადობის თვისებით, როცა მან ისრის სროლა ისწავლა მშვილდის საშუალებით. დრეკადი სხეული სხვადასხვანაირი დატვირთვის გამო, ან გარეშე ძალების ზეგავლენით დაძაბულობასა და დეფორმაციას განიცდის. დატვირთული ძელი იღუნება; რკინიგზის ლიანდაგიც მატარებლის გავლისას ღუნვას განიცდის; რკინის, ხის, თუ ქვის ხიდის ნაწილებში დატვირთვის დროს დაძაბულობა ჩნდება, გადაადგილებასაც აქვს ადგილი; არაჩვეულებრივ დაძაბულობას განიცდის ფრენის დროს თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავის ნაწილები და, მით უმეტეს, კოსმოსური ზომადის. ცხადია, სხეულის დეფორმაციამ თუ დაძაბულობამ გარკვეულ ზომას არ უნდა გადააჭარბოს, თორემ შეიძლება იგი (სხეული) დაირღვეს, დაიშალოს, გაწყდეს, დაინგრეს. მეორეს მხრივ, არც ის ვარგა. როდესაც სხეულის თუ ნაგებობის ზედმეტი სიმტკიცისათვის უზომო მასალასა და შრომას ხარჯავენ, მაშინ როდესაც ეს, თურმე, საჭირო არ ყოფილა იმ დანიშნულებისათვის, რასაც იგი ემსახურება. თუ ძველად ეგვიპტის პირამიდები წარმოადგენდნენ სიმტკიცისა და მარადისობის განსახიერებას, რაზედაც აუარება ქვისა, ქვიშისა თუ თიხის მასალა იხარჯებოდა, ხალხის ოფლის ნაკადულები კი ანგარიშში არ შედიოდა, ახლა უკვე ჩვენს დროში მეცნიერება ისეთ საშუალებებს ეძებს და ანხორციელებს, რომლის მიხედვით ნაგებობას უნდა დასჭირდეს ნაკლები შრომა, ნაკლები მასალა თუ სხვა მათემატიკური სახსრები, ხოლო სიმტკიცით იგი არ უნდა ჩამოუვარდეს ეგვიპტის პირამიდებს. უკვე ოცდაათი წელია, რაც მცხეთაში მტკვარზე აგებული ძველის-ძველი ხიდი წყალმა და-



ფარა ზაპესის აშენების შემდეგ ვისაც ის უნახავს, მან იცის, თუ რას წარმოადგენდა ტლანქი, უზარმაზარი ბეგემოთივით წყალში ჩამდგარი ეს ვეებერთელა ქვის ლოდებისგან აშენებული ხიდი. მეორეს მხრივ, შეხედეთ თბილისში აგებულს ჩელუსკინელთა ხიდს — მსუბუქი, ჰაეროვანი, ნაპირიდან ნაპირზე კოხტად გადაკვიპული, ამასთანავე არანაკლებ მტკიცე და საიმედო, ვიდრე პომპეუსის დროის მცხეთის ხიდი. ან ავიღოთ მთაწმინდაზე აგებული, ღრუბლებში ატყორცნილი, ვითომც ვერცხლით ნაქსოვი, სატელევიზიო ანძა, ამასთანავე მკვიდრი და გამძლე, ვით მრავალი ციხე-სიმაგრე, თუ კოშკი, რაც ძველად აუშენებიათ ურიცხვი საშენი მასალისა და არაადამიანური შრომის გამოყენებით. აი, ამ დაპირისპირებული მაგალითებიდან ჩანს, თუ რა ხასიათის ამოცანები დგას დრეკადობის თეორიის წინაშე — ძალების მოქმედებისა და ამით გამოწვეული მოვლენების წინასწარი გაანგარიშება, გათვალისწინება, იმ კანონზომიერებათა დადგენა, რომელიც არსებობს მოქმედ ძალასა და სხეულში წარმოშობილ დეფორმაციებს შორის და სხვა. მაგრამ, საქმეც ის არის, რომ ეს კანონზომიერებანი რთული მათემატიკური ენით გამოითქმის, რასაც დამუშავება და სათანადო გამოყენება სჭირდება.

ნიკო მუსხელიშვილის სამეცნიერო გამოკვლევებმა დრეკადობის თეორიის დარგში სწორედ ახალი გზები გაკაფეს იმგვარი ამოცანების გადასაჭრელად, რაც ზევით იყო ილუსტრირებული. მუსხელიშვილმა და მისმა მოწაფეებმა გამოიყენეს თანამედროვე მათემატიკის ისეთი მძლავრი იარაღები, როგორც ინტეგრალურ განტოლებათა თეორია, ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდები, ფუნქციალური ანალიზის იდეები და ამით ხელი შეუწყეს საინჟინერო პრაქტიკისათვის საიზედო და მტკიცე თეორიული საყრდენის შექმნას. ამიტომ არის, რომ ნიკო მუს-

ხელიშვილის მონოგრაფიების გამოქვეყნებამ, ჩვენში თუ უცხოეთში, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. აი, რას წერს მუსხელიშვილის წიგნის შესახებ ამერიკელი მიომომხილველი: „თუმცა ამ შრომის პირველი რუსული გამოცემა ოცი წლის წინათ გამოჩნდა, ამ ხნის განმავლობაში ინგლისურ ენაზე ისეთი არაფერი დაბეჭდილა, რაც თავისი მნიშვნელობით მას შეედრებოდეს“... „წიგნით სარგებლობა შეიძლება სიამოვნებით ურჩიოთ ამ დარგის ყოველ მკვლევარს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი შესაფერის ადგილს დაიკავებს შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში, როგორც სახელმძღვანელო“. მეორე სპეციალისტი აღნიშნავს: „ლავის (Love) მონუმენტალური შრომის შემდეგ არ გამოქულა არც ერთი ნაშრომი, რომელიც მას შეედრებოდეს ფართო გაქანებისა და შესრულების მხრივ. ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ დრეკადობის თეორიაში დაიწერა ახალი ნაშრომი. მუსხელიშვილი მონოგრაფია მკითხველს აცნობს უახლეს გამოკვლევებს ამ დარგში“. სხვადასხვა რეცენზიაში აღნიშნულია ის ღვაწლიც, რომელიც მიუძღვით მუსხელიშვილის მოწაფეებსა და საქართველოს მათემატიკური სკოლის სხვა სპეციალისტებს.

ნიკო მუსხელიშვილის დახასიათება სრული არ იქნება, თუ მის საყოფაცხოვრებო ზნე-ჩვეულების ზოგიერთ მხარეს არ შევეხებით. საყოველთაოდ ცნობილია ნიკოს დიდი სიყვარული წიგნისადმი. ამ „სენმა“ თავი იჩინა უკვე სტუდენტობის დროს, როცა ნიკო ბუკინისტებში და წიგნის ბაზრებზე დადიოდა და „ნადავლი“ სახლში მოჰქონდა. ახლა უკვე მისი სამუშაო ოთახი დიდ ბიბლიოთეკას წარმოადგენს. სადაც უმთავრესად, რა თქმა უნდა, სპეციალური მათემატიკური ლიტერატურა ქარბობს, მაგრამ აქ ნახავთ კლასიკურსა და თანამედროვე მხატვრულ ნაწარმოებებსაც და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წიგნებსაც. ერთი ასი-

რებული თვისება კი აქვს ნიკოს. თუ მას თქვენს წიგნებში მოეწონა რომელიმე, ჯერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ვითომც არავითარი ღირებულება არ აქვს ამ წიგნს, როგორ გაგაჩერებ ამას თაროზეო, შემდეგ კი, როცა ასეთი „აგიტაციის“ გავლენით დაეპყვებულ წიგნის პატრონს გული აუცრუვდება წიგნზე, ახლა უკვე ისე შეუმჩნევლად და ვითომც შემთხვევით, სხვათა შორის, ეს გამოცდილი „წიგნებზე მონადირე“ შემოგთავაზებთ გაცვლა-გამოცვლას, ესე იგი თქვენ მას უნდა დაუთმოთ „ყბადალებული“ წიგნი, ხოლო მისგან სამაგიეროდ უნდა მიიღოთ ისეთი, რომლის სხვადასხვა გამოცემის ორი-სამი ცალი მის თაროებს ამძიმებს.

ნიკოს უყვარს ღამის მყუდროებაში მუშაობა. სანამ ხელში კალამს აიღებს, წინასწარ თავს უყრის აზრებს, ჩიბუხზე ხელშიტანებული ფიქრებს მიეცემა და ამასთანავე მიდი-მოდის ოთახში კუთხიდან კუთხეში, გეგონებათ მიწის მზომელიაო. ასეთ ამბავსაც ჰქონდა ადგილი: როცა ის წერეთლის ქუჩაზე ცხოვრობდა, მეორე სართულზე, ნიკოლაძეების ბინაში, ლურსმნით მოკვდილი ფეხსაცმლის ბრაზუნით სულშეწუხებულმა მეზობლებმა დაბადების დღეს საჩუქრად მიართვეს გაპრიალებული, ლამაზად მოხატული კოლოფი, პაწაწინა ვერცხლის გასაღებით დაკეტილი. მეორე დღეს, როცა ნიკო ჯერ კიდევ საუზმეს შეექცეოდა, კოლოფი რომ გახსნეს, მასში აღმოჩნდა კოხტად შეკერილი და ზევიდან მოჭარბული რბილი ფეხსაცმელები, ნაზი მუდის ძირებით. ამაზე შემდეგ ნიკოს უთქვამს მეგობრებისათვის: მეზობლების ამ უაღრესად თავზიან მოქცევაში მე შესმის წამოძახილი: „შე დალოცვილო, სადაური მეცნიერი ხარ, როცა დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანების ამოხსნის წესები დაადგინე და ის კი ვერ მოისაზრე, რომ ქეჩა უფრო დრეკადი, რბილი და „ჩუმი“ა, ვიდრე ლურსმანი“.

ნიკო ყოველთვის მშვიდი და დარბაისელია, რა გინდ გაჯავრებულნი იყოს. მას არ სჩვევია არც ხმის ამაღლება, არც ადამიანის დამცირება ზედმეტი შეუფერებელი სიტყვებით. მას უყვარს ჩვენებური პურმარილი, ხუმრობა, ოხუნჯობა. ის ხუმრობას არ ერიდება არამც თუ ოჯახში და ამხანაგების ვიწრო წრეში, არამედ ხანდახან ხანგრძლივი და მომჭანცავი საქმიანი სხდომის დროსაც მოსწრებული სიტყვით ხალხს „აფხიზლებს“. სატერმინოლოგიო კონისიის სხდომა იყო. გიორგი ნიკოლაძის მოხსენების შემდეგ კამათი გაიმართა. კარგად ცნობილია, რომ გიორგი ყველაზე რადიკალური შეხედულებისა იყო სამეცნიერო ტერმინების დადგენის საქმეში, ამავე დროს დიდი შეუპოვრობით იცავდა თავის აზრებს და დათმობაზე არ წავიდოდა, რადგან ღრმად სწამდა ის, რასაც იცავდა. იმ სხდომაზე მას თავს დაესხენ მისი მოწინააღმდეგენი და ცხარედ ეკამათებოდნენ, გიორგი კი ისე გამოიყურებოდა, აი — კედელს რომ ცერცვი მიიყარო. ამ დროს ადგა ნიკო და თავის ცოლისძმას მიმართა: „შენ, ჩემო გიორგი, ახლა იმ დათვის მომაგონებ, რომელსაც თავში ურტყამდნენ, ის კი აქეთ იქით იყურებოდა და გაიძახოდა — ეს რა ბრაგა-ბრუვიაო“. ეს საკმარისი იყო, რომ სხდომა თავის კალაპოტში ჩამდგარიყო. თუმცა ამით არ გათავებულა ყველაფერი. სხდომა რომ დამთავრდა, ნიკო და რამდენიმე მისი ამხანაგი დაღლილი და დაქანცულნი, სასადილოში შევიდნენ. მომსახურე ქალმა კერძების ნუსხა მოიტანა და ნიკოს წინ დაუდო. ამაზე თვალი გადაავლო და ხამალა ამოიკითხა ქართული ასოებით დაწერილი: „იაბლუჩნი პეროვი“. ატყდა სიცილ-ხარხარი, ეს ნამდვილი მალამო დაღლილებისათვის. მართლაც, რომ ეს მოსწრებული გაკვეთილი იყო ენის საკითხებზე მომუშავე პირებისათვის. ამა-სობაში ნიკომ მოიხმო ქალი და შეეკითხა: რას ნიშნავს „იაბლუჩნი“, ან „პეროვი“ რა არისო. „ქალიშვილო,

სხვას რომ თავი დავანებოთ, რუსული „არსიკი“, როგორ იქნება ქართულად? ქალმა უპასუხა: „იბლუკ“. ყველა მიხვდა, რომ ეს ქალი ეროვნებით ქართული არ იყო და ასე ამნაირად საქმე მშვიდობიანად დამთავრდა, თორემ სხვა შემთხვევაში, ალბათ, აყალ-მაყალი ატყდებოდა.

ერთი სიმართლეც უნდა ითქვას. თუმცა ნიკოს ძალიან უყვარს ჩვენებური, მრავალნაირი სუფრული სიმღერა და თვითონაც დიდ ინიციატივას იჩენს ჩაერიოს მომღერალთა წრეში, მაგრამ სწორედ აქ უღალატა მას ბუნებამ. რაც მართალია, მართალია, იგი არც მახვილი მუსიკალური სმენის მქონეა, არც მაინცა და მაინც „ეოკალით“ ბრწყინავს. როგორც კი სუფრაზე სიმღერა წამოიწყება, უთუოდ მომღერალთა შუაგულში ჩაჯდება, ხან ბანს აძლევს, ხან უცნაურად წამოიცივლებს, ურევს სასტიკად. მაგრამ უნდა ნახოთ, ამ დროს მას ისეთი ბედნიერების განცდის გამომეტყველება აქვს სახეზე, ვითომც ამბობდეს — აი, მიყურეთ, მისმინეთ, ვინ შალიაპინი, ვინ კარუხო, ჩემთან შედარებითო.

დაძაბული ხანგრძლივი მუშაობის

შემდეგ ნიკოს უყვარს ლაზათიანი, დამამშვიდებელი დასვენება. მანგლისში მას აგარაკი აქვს მოზრდილი ქსოთი. მას ნახავთ დასვენების დღეს ან ზაფხულის თვეებში თავის ეზოში ბართა და თოხით ხელში. მას უყვარს ნადირობა მდინარე ალგეთის ხეობაში. მონადირე ძაღლების გაწრთვნის ოსტატიც არის; ამას ის ახერხებს ისეთი მოთმინებით და ცხოველისადმი ისეთი ნაზი სიყვარულით, რომ ეს მისი ოთხფეხა მეგობარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გაადამიანებულად“ გეჩვენებათ.

დასვენების შემდეგ, ხალისით და ჯანით უბრუნდება ნიკო თავის სამუშაო ოთახს, თავის დიდსა და მრავალფეროვან საქმიანობას, იგი კვლავ გამოდის საგუმბაგოზე ხალხისა და სამშობლოს სამსახურში.

სიამაყის გრძნობით და აღტაცებით უსურვებს დღეგრძელობას ჩვენი ხალხი სახელმწიფოებრილ მეცნიერს, მოქალაქესა და მოწინავე ადამიანს, ნიკო მუსხელიშვილს. დაე, მისი ნათელი გონება და მტკიცედ ხელში მომარჯვებული კალამი ას წლამდე ემსახუროს მშობელ ხალხს და მსოფლიო მეცნიერებას.



## ი. ნონეშვილის ლექსების კრებული

„ციხარტყელის ჭიშკარი“ — ასეთი სახელწოდებით გამოცა „საბჭოთა მწერალმა“ იოსებ ნონეშვილის ლექსთა კრებული. ამ წიგნში შეტანილ ლექსებს მკითხველი კარგად იცნობს, ისინი თავის დროზე იბეჭდებოდა პოეტის ცალკეულ კრებულებსა თუ ერთომეულებში, სარეცენზიო კრებულისათვის ავტორს შეურაცხველი საუკეთესო ლირიკული ნიმუშები, „ღაქსების ჯაგანად“ აუცილნავს და ამ სახით სთავაზობს მკითხველს.

როგორც ეტყობ, ეს ლექსები მრავალჯერაა დაბეჭდილი, მაგრამ „ციხარტყელის ჭიშკარის“ გამოცემას არ გამოუწვევია მკითხველის (და არც წიგნის გამოსაღებელთა) საყვედური, — კრებულს, კარგა ხანია, ვეღარ ნახავთ მაღაზიებში. პოეტის პოპულარობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, შემთხვევითი როდია. როცა მის ლექსებს კითხულობთ, ისეთი გრძნობა გეუფლებათ, თითქოს სიცოცხლითა და ხალისით სავსე ახალგაზრდობის გაზაფხულის ღღესასწაულზე მოხვდით და მზიარული პანგები გელტრებათ სულში.

ეს საერთო აღტაცებელი ფონი მხოლოდ ზოგჯერ დაიბნდება სვედის ღრუბლით, მაგრამ ეს სვედა, მაშინაც კი, როცა ღრმა და მწეავეა, შექმის მზრიდან აქვს განცილები პოეტს და იმედისა და სიცოცხლის ხმაზე ეღერს („სიმღერა ზოთა კოსმოლოგიანსკაიაზე“, „სათით ავჯიკის ოთახში“, „ქეთვანი“ და სხვ.).

ი. ნონეშვილს აქვს ერთი ადრინდელი ლექსი, რომელიც ზედმიწევნით გამოხატავს მისი პოეზიის ხასიათს. აი ეს ლექსი:

ნუ გაიკვირებთ, როგორც ჰაფიზი,  
ამ ყვაილებში ვარ ჩამარხული  
და ათასების გულში ნადიცი  
ჩემშიც გულუნებს ეს გაზაფხული.  
ნუ გაიკვირებთ, ვით ამზანავი,  
ვარ ამ ხეებთან ღზინში ჩაბმული,  
ირგვლივ არ არის ღერა ბალახიც  
ღღენაკული და გულდაჩაგრული.  
ჩვენ ერთად გვხიბლავს ეს გაზაფხული,  
ეს აღისფერი ვარდთა ცდუნება,  
დასაბამიდან ჯერ არანაოლი,  
გაზაფხული გვაქვს ხალხს და ბუნებას...  
პოეტი ამ პათეტური ინტონაციით შესრულებულ ლექსში გადმოგვცემს, თუ როგორ

გრძნობს იგი თანამედროვე ცხოვრებას და როგორია მისი, როგორც მხატვრის, პოზიცია.

„გაზაფხული“ აქ საბჭოთა ქვეყნისა და ხალხის თავისუფალი, ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრების სახეა. მგოსანი თვითონ არის ამ გაზაფხულის მოწამე, შეზხარის მისი შექმით სულჩადგმულ „ყვაილებს“ — მონაწილეობს საბჭოთა ხალხის შემოქმედებით ცხოვრებაში, მონიბლულია მისი სილამაზით და დაედაეიწეებითა ჩაბმული ღზინში. გაზაფხულითა და ვარდთა ცდუნებით გაბრტყეული პოეტის მთელი არსება ამ მთავარ განცდას ატრაცნია, მის „ირგვლივ არ არის ღერი ბალახიც ღღენაკული და გულდაჩაგრული“, და თითქოს იმთავითვე გრძნობდეს რაღაც საყვედურს, აფრობილებს მკითხველს, ნუ გაიკვირებთ ამ თავდაეიწეებას, ნუ მოძებნით სხვაგვარ ფერებსა და ტონებს ჩემს ნაწერში, რადგან ჩემში „გულუნებს ეს გაზაფხული“ და ასე მამღერებსო.

ი. ნონეშვილის შემოქმედება დაღასტრებაა ამ მეტაფორული სტრიქონებისა. ამ ვარდების „ხალხისა და ბუნების“ გაზაფხულის „ღზინში ჩაბმული“ მომღერალია იგი და ღღემღე არ განულება ის ნათელი განწყობილება, რომელმაც ჯერ კიდევ უმწეილ პოეტს პირველი ლექსი შთააგონა და ამღერა.

ნამდვილად ჭაბუკური მხტვალე გულით უყვარს ი. ნონეშვილს სიცოცხლე. სიცოცხლე მისი უმალესი და უწმინდესი მცნებაა, „დაურდილივი“ სილამაზა, რადგან იგია შემოქმედება, სიყვარული, შრომა, მეგობრობა, ძმობა, თვადობა და პოეტმა აღარ იცის, როგორ აქოს. რა პიმნი უმღეროს, რით შეამგოს, როგორ გამოხატოს მისდამი თყაენისცემა.

სილამო ხანს შთაწმინდიდან ვაღმომპილეთ დედაქალაქს,  
გაგაბრტყებს... სილამაზე  
ღღენოსაჯით მოგიპარავს, —  
ღღინებს იგი ამ სილამაზით გაბრტყეული და ამღერებს მკითხველსაც.

პოეტი, რომელსაც არ გაინია სიცოცხლთ აღტაცების უნარი, ისევე განწირულია, როგორც ფრთხილადეული არწივი. მაგრამ ცხოვრებით, აღმინათი აღტაცება იმას კი არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ეპოთეტით ან აღერადებული მხატვრული სახით დაგმავოფილდე. ი. ნონე-

შეიღს დამორჩილებელი აქვს ფრაზა, „არ უჭირს“ წერა, მისი სტრიქონები ნაკადულივით მოჩაყრავებენ, მაგრამ ავტორი ზედმეტად ენდობა თავის „სიტყვის მადლს“ და ზოგჯერ ნაკლებად ზრუნავს იმაზე, რომ ლექსი ჰქონდეს ჰემე-მარტი პოეტური აზრი, ღრმა კვებტიკტი. ავიღოთ მაგალითად, ლექსი „ვადღებრქვლით“. აქ პოეტი სილამაზის მხოლოდ გარეგან გამოვლენებას მოჰყავს სიმღერის ემსხე. აავე, ლექსში „ასე რომ ვხვდებით მშის ყოველ მოსვლას“ პოეტი ლამაზაობას რეალუციისათვის თავდადებული „ჩვენი მამების“ ღვაწლზე და წერს:

ფირებოდნენ ღროშებს ნატყვიარს,  
ერთი მიზნით და სულისკვეთებით.  
ჩაახედეთ არავეს, ახლაც ატყვიით  
კალმახებს მათი სისხლის წვეთები.

თქმა არ უნდა, „ჩაახედეთ არავეს, ახლაც ატყვიით კალმახებს მათი სისხლის წვეთები“ ღამაზად და რომანტიკულადვე ეტყვის. მაგრამ თუ დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ აზრობრივად უმნიშვნელოა და მისი ემოციურობაც მოჩვენებითია.

სამაგიეროდ, როცა პოეტის მხატვრული სახე შთაგინებულია მაღალი პოეტური აზრით, ი. ნონეშვილი ჰემე-მარტი ეფექტს აღწევს. იმავე ლექსში იგი წერს:

ბალებშიც, სადაც ღელვა გვეგულვის  
ასამანთა ღერჯი ზვირთების,  
ყვავილები ეს არვის გვეგონოს,  
აყვავებულან მათი ფიქრები.

აქ მოხდენილი მხატვრული სახე ზუსტად გამოხატავს პოეტის სათქმელს, ნამდვილად პოეტური ენით გვამცნობს ავტორის იდეურ ჩანაფიქრს, რადგან ამ სახეს გაანინა შინაგანი ლოგიკა და კონკრეტული შინაარსი, რომელიც გარკვეულ პოეტურ ასოციაციებს იწვევს მკითხველში.

ი. ნონეშვილის პოეტური საღებავები ელვარე და შუქით სავსეა. პოეტის მთავარი იარაღია არტისტულად მოქმედი ფრაზა, მიგნებული თქმა და მოძალბული პოეტური განცდით მღვლეარე რიტმი.

დაამდა, თითქოს ცაზე დასცალუა  
ლალის მტყევენებით სავსე კალათა.  
ადგა სიღნაღი თამადასავით  
და სიერცეს თვალი გადაანათა, —

იმგერი მსუვე სიტყვიერი საღებავებით, პლასტიკითა და ცოცხალი სურათოვნებით აღმგვდილი მტავფორული სტრიქონები ქმნიან მის მხატვრულ მანერას. ეს სტრიქონები საყურადღებოა სხვა მხრივაც. ყველა დეტალი, სახე, მთელი ურათი აქ კონკრეტული განცდის ნაყოფია, რაც ასევე დამახასიათებელია ი. ნონეშვილის პოეტური ფერწერისათვის. კერძოდ, სხენებული სტრიქონები შთაგონებულია მისი მშობელი კახეთით, რომელსაც მან არა ერთი და ორი მღვლეარე პოეტური სტრიქონი უძღვნა („და-

ღამდა, თითქოს ცაზე დასცალუა“, „ელნათურები დაბინდულ სიერცეს“, „ზანტად დაამტენ ვზებზე ურემები“, „როცა თუფარებს ფემის ბენია“, „კახეთი“, „აი, კახეთი“ და სხვ.).

როგორც თავის აღმინდულ, ასევე ბოლოდროინდელ ლექსებში იგი არაერთხელ მიმართავს კახეთს, და ცდილობს ღირსეულად ასახოს მისი „ხავერდით გულმობასასაე“ მიწა და ვამრჯე, გულმართალი და პურადი ხალხი. აქ გაატარა მან „ყველაზე ქვინდა“ ბავშვობის წლები, აქედან დაიწება ქვეყანა, მის ბუნებასა და ხალხში ამოკითხა სილამაზის ენა. ამიტომაც მისთვის ყველაფერი ძვირფასია აქ: „ნაწვიმარი მიწის სურნელი“, „ალანის ტბილი დუღენი“, „უფრძნის მთებში ჩაფლული“ მარნები, ქვევრი, რომელიც „გულსა ჰგავს კაციას უცებლოდ ამომღვდიარ“, ციკვამბორის „სიმღვარი სიოცების გადასახედი“. „მწყურია მზერიოთ დავითერე მხოლოდ“, — შთაგონებით აღმოხდება ერთ-ერთ ლექსში პოეტს და ამ მერყველ, ემოციურ სტრიქონში ჩატეულია მშობელი კუთხისადმი მაღლობისა და სიყვარულის უსაზღვრო გრძობა.

მოვლენების კონკრეტულ სახეებში გაცოცხლებითა და სინამდვილის უშუალო პოეტური აღქმით აპყრობს მკითხველის ყურადღებას ლექსი „აი, კახეთი“, რომლის ყოველი სტრიქონი სუნთქავს ავტორის მღვლეარე შთაბეჭდილებებით საყვარელ მხარეზე. ლექსში თავისებური ემოციური აქცენტით გამთვლებულ განწყობილებას ქმნის თანამედროვეობისა და წარსულის მოვლენების შეხშიანება, თანამედროვეობის ცოცხალ სურათში მკენარე ლიტერატურული გამოპრათალი წარსულის მოგონება:

აი, კახეთი...  
მთებზე, ველებზე  
რომ არ ცხრებოდა ხმლების თარეში.  
თვალმოციმციმე ქალიშვილები  
ყვავილებით ჩანან ყანებში.

ნაციხარებუ მყვავის ამიერ,  
ათასი ბრძოლით გადაბეგული,  
და დარბაისლერ „მრავალკამიერს“  
გულიდან გულზე გააქვს გუგონი.

ავტორი გადასცემს მკითხველს თავის ფიქრთა ღელვას და უფრო მყავიოდ და ხელშესახებად გვაგრძნობინებს დღევანდელი დღის სილამაზესა და მნიშვნელობას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ი. ნონეშვილი იშვიათად მომართავს უშუალოდ ისტორიულ თემატიკას. მას არ უყვარს „წარსულის კართან დგომა“. „მუზეუმების სინუე სრული“, მღვმარ ძველების წინაშე „სევა ფხვარეფით“ და „წარსულის ყდამა... ჩამბული ცხოვრების“ წიგნის ფერცლა. მას სიციცხლის უშუალო ხილვა, მის ირგვლივ მტკვარე ცხოვრების ყრამული უფრო იზიდავს. წარსულის ძველებ-

თან მუზეუმებში განმარტების ნაცვლად იგი იჭქარის, რომ მზეს დაასწროს ვალეძიება, ადრინადად მიამუროს ქალაქის მოედნებს და ფიქრად და გრძნობად ქვეულმა უქცროს ხარაჩოთა ტუეებს, „რქანაყარ ხარირმების ჯოგევით“ მომდგარ „მილნაყარ ქარხნებს“, ისმინოს „ვერის ბალთან სტუდენტების ერთობლი“, დატუებს ვაზაფხულით, მზით და მისით.

სამავიგროდ, ი. ნონეშვილი ლექსის კომპოზიციამი ხშირად იყენებს ისტორიული წარსულის მოტივებს ამა თუ იმ კონკრეტული მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად, ლექსის იდეური ჩანაფიქრის ბორცვისასხმულად. ამას იგი აკეთებს მოსაწონი ტაქტიითა და გეშოვნებით და თითქმის ყოველთვის აღწევს სასურველ მიზანს. ამის ერთი მაგალითი ზემოთმოყვანილი სტრიქონები იყო. შეიძლება კიდევ მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა, მაგრამ ამაჯერად ჩვენ დაეკმაყოფილებით ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელი ერთი ლექსით — „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“.

ამ ლექსში დამატული პოეტური სტრათი იქნა, თუ როგორ შთაგონებს გმირული საქმეებისათვის ჩვენს ახალგაზრდობას რევოლუციისათვის თავდადებული მამების ნათელი ხსოვნა. მაგრამ საველისხმოა, რომ ლექსის თემა პოეტისათვის მუზეუმებში თუ არქივებში მივლულ ცნობას კი არ შთაგონებია, არამედ უშუალო შთაბეჭდილებას, რომელიც მამინ მთელა, როცა მან უამირ მიწებზე იმოგზაურა და უშუალოდ განიცადა მის პირველ დამპყრობთა გმირული შრომის პაიოსი. თეით ეს ფაქტიც, უამირ მიწებზე პოეტის გამგზავრება, მკაფიოდ გვიჩვენებს მის პოეტურ ბუნებას — ი. ნონეშვილი ყოველთვის ცხოველ ინტერესს იჩენს თანამედროვე ცხოვრებისადმი და ცდილობს იქ იმყოფებოდეს, სადაც ყველაზე მძლავრად იგრძნობა მისი მუჯისცემა.

„უაზახეთში, ხობდის ჩაიონში, ტრაქტორმა კაცის ჩონჩხი და ბორკალები ამოიტანა“, — ვკითხვლობთ ლექსისათვის ეპიგრაფად წამძღვრებულ სტრიქონებში. ამ მთელადნელი სტრათით აღვლევებულა პოეტი თითქმის ფიქრში ესაუბრება ლარაქულ გმირს და, ზუსტი ფაქტობრივი დეტალების გამოყენებით, ქმნის ემოციურად ძლიერ ნაწარმოებს, სადაც წარსული მხოლოდ მოვლენაა კი არ არის, არამედ უშუალოდაა გადაწერილი თანამედროვეობასთან, მფეთქავი გულითათა ჩადგმული მის სხეულში და სამოქმედო ენერჯიას აძლევს მას.

სიცოცხლის მომღერალი პოეტი, ბუნებრივია, რომ მშობისა და მეგობრობის მომღერალიცაა. „ვისაც მოყვარე არ უქმნია, რა ქართულია, რა ექვაცია“, — ამბობს პოეტი და ამ კეთილშობილურ სწრაფით აღსავსეა მისი შემოქმედება. „ზამთარიც იყოს ფერად ყვავილებს საქართველოში უხვად იშოვიო“, გულზევი

მასმინველივით მიმართავს იგი სასურველ სტუმრებს, იწვევს მათ სამშოდ და სამეგობროდ. მშობისა და მეგობრობის სიწარული აღმღერებს მას, როცა ხედავს, თუ რა გულწრფელად იღვენვენ მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები ახალგაზრდობის მთავლიო ფესტივალზე გამართულ ქართული ახალგაზრდების ქორწილზე, როცა „შეიარებლ ესპანელებს მყარობა შეენით, მეჯერედ მოსულან ინდოელები“ და „ზანგი ფრანგს, ფრანგი ვეგობტლებს ჰკოცინს“ („ქორწილი“); მას ახარებს, რომ დღეს „სთქილზე ნადები“ ძმეზივით ერთად არიან „საქმიით, ველით და ოცნებით“ კავკასიის ხალხები („მთებიც დიდი გვაქვს, გულიცა...“); საამაყოდ აქვს, რომ ქართველებსა და სომეხებს ერთი ჰქონიათ კაცობისა და ნაშენის სიტყვები — ოჯახი, დროშა, ქემმარიტება, რომ „ამ სიტყვებს თარგმნა არა სჭირდება“ („ოჯახი, დროშა, ქემმარიტება“); პოეტი აღიდებს „ქმად შეფიცეას, სიყვარულს და მეგობრობას“ და სიმძლვილით უმასმინძლდება მათ, ვინც ეზო-კარი „ნარეკალით შემოლობა“ („რა კაცია...“).

უკანასკნელ წლებში პოეტმა ბევრი იმოგზაურა. „ღამის დედამიწა შემოიარა“, მრავალ ქვეყანასა და ხალხს გაეცნო, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა და ლარაქულ განცდათა ახალი ცხოველი ნაყადით გაამდიდრა მისი პანტევი. მოგზაურობის შთაბეჭდილებებითაა შთაგონებელი მისი ლექსები „შეხედარს“, „ვერის ტუეში ქართველები ცეკვავენ“, „ბოქმის ტუე“, „ახალი წელი პარლამში“, „ჩესტ პრაცე!“ „ნუ მეძახით უცხოელს“, „ბუირუთში“, „როცა შენ ცეკვა“, რომლებიც გამსჭვალულია ხალხთა დაახლოების, თანამეგობრობისა და მშობის სელისყვეთებით.

ლექია „როცა შენ ცეკვა“ შთაგონებულია ეგვიპტელი მოცეკვავე ქალის — ნიამის ცეცხლოვანი თამაშით. მოცეკვავე ქალის პოეტური საბე, რომელიც ი. ნონეშვილისათვის ჩვეული ფერადოვნებითა და შინაგანი მგზნებაარებითაა დახატული, ფსიქობრივრად მართალია და გადაზრდილია ფართო სოციალურ განზოგადებად. ეს ლექსი შეიგრძნობა, როგორც სიცოცხლისა და სილამაზის პიქნი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ვალეძიებული აღმოსავლეთის ქებათაქება:

როცა შენ ცეკვა, მდიდრად მოქტებს  
სუეცი,  
როცა შენ ცეკვა, ცისარტყელებს გვაყრის  
ქიარი,  
როგორც ნილოსი, გზას მოიკლევ მხერვალ  
გულებში.

რომ სიყვარულით ავაამღერო, ავაყვავილო, მშობისა და მეგობრობის მომღერალი პოეტის მხერვალე სურვილია მშვიდობა. მას სურს თქვას ისეთი ლექსი, რომ არ იყოს „სტრი-





ქონში ომი“ და მხოლოდ სიცოცხლის სუნთქვაზე, ბალში კვირების გაშლაზე, სითბოსა და სიყვარულზე ვსაუბრობ შეითხველს.

სიყვარულს თუმა ერთ-ერთი ძირითადია მის შემოქმედებაში. სატრფიალო პოეზია ლირიკის ყველაზე ფაქიზი დარგია. სატრფიალო ლირიკაში ხშირად ყველაზე მეტადვე ცხადდება პოეტის უნახეისი მიმოხარე კა. ამიტომაც იგი პოეტისათვის ბეწვის ხილზე ვაგლს ვაგს. საკმარისია მან ოდნავ მოაღუნოს გემოვნება, რომ ფეხი დაუდგეს და პრიმიტივიზმსა და ბანალიტაში ჩაეფლოს.

ა. ნონეშვილი თავის სატრფიალო ლექსებში ფაქიზ და პრფულ ვარძობებს აქვდნს. მისი სასიყვარულო განცდა ზოგჯერ მოკრძალებულია, კდებით აღსავსე და პოეტი ლოცვასავით წარმოთქვამს მას („მწიანე კორდზე მოგაჯდები გვერდით, წინ გაგიშლი ბილილებს და გვირბილებს. შენ ხმამალა ქვეყნის ამბავს შეტყუი, მე ჩუჩჩულთ ვეტყუი-შენი კირიმე!“). ხშირ შემთხვევებში პოეტის ტრფობას საყვარელი ქალი სულერი სილამაზე კა არ იწვევს, არამედ გარეგნული მომხიბლობა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ლექსებში პოეტი თავის ვარძობებზე გუჟაუბრება და ისეთი სიწრფელითა და არტიტული ეფექტურობით ვამოხატავს მას, რომ გვაჯერებს და ემოციურად გვიმორჩილებს. ასეთია მისი „ყვლსამაში“, „სილნალი, მისის ოცნა“, „მე სიხარულის აღმერი დამკრავს“ და სხვ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სატრფიალო ვარძობების ვამოხატებისას მას ზოგჯერ ლალიტის ვემოვნება და მხატვრული ტაქტიკური-ერთ-ერთ ლექსში იგი აქებს თავის სატრფოს, მოსწონს მისა წყვილ-წყვილი ვარძები, ნაწინავეები, თვლები, ბავენი, მაგრამ არ მოსწონს, რომ გული აქვს კენტად და ურჩევს, ჩემს გულს დაუწყვილონ („მაგრამ ვაგიბედაე“). თუბანი ამგვარი ვადაწყვეტა სავალად პრიმიტიულია, არამოეტური.

ა. ნონეშვილის სატრფიალო ლირიკაში ბოლო ხანებში სულ უფრო ფართოდ იჭრება თანამედროვეობის კონკრეტული ნიშნები. ამ ლექსებში პოეტის ინტიმური განცდები შერის ძალითა ვამსკვალებული მოქალაქეობრივი პათოსით, საზოგადოებრივი სულსიყუთებით („შთამსვლელ ვოგონას“, „მედეა“, „ციხარტყლით აქვით ღრუბლის ფარდას“, „ყვავილებზე დაფრინავენ...“, „ყიზი ყუთ!“ — დაწიე ქალი-შვილს“). ამ უნახეილი ლექსის თემა შთავონებელია ყუახტერი ხალხური თამაშობის პოეტური სერათით, ცხენოსანი ქალ-ვაყის თავისებური სატრფიალო ვამაქრებით. ლექსი ეყვარება მღელვარე შინაგან რიტმს, მეტყველ პოეტურ სახეებს და მეტაფორულ ვააზრებებს. პოეტს აღაფრთოვანებს ველზე ქვადანივით ვაფრენილი სილამაზე, მიმინოსავით დაღვენებული ვაყიკის ყინიანი ქროლვა, ახალგაზრდული სულის მეოც-

ნებე სწრაფეა. ეს სწრაფეა პოეტის სულშიც ვაღმოდის, მათაც ეღება „შეფრქველადღების ქარი“ და ისიც ყუახტი მხედრქველყოფადღებეწყებით მისღვეს თავის „საოცნებო მხედარს“:

„ყიზი ყუთ!“ — შენ იცი, არ ვაუშეა, ჩქარა, ჩქარა, არხად დაახანო... მოვღვე, მოვღვე და ვხას ბოლო არ უხანს, ნეტაე როდის დაგაწყვი, ქალი?!

ასე ვადადის ცხოვრების რიტმი და სილამაზე პოეტის სულში და შთავონებს მას კეთილ-მოზილურ მიზანს — ღირსეულად შეიყინოს და ასახოს ჩვენი ღრთის აღმინანი, მისი ლამაზი სული და შინაარსიანი ცხოვრება. ეს მიზანი პოეტის საოცნებო ნატერად ქვეულა და ამიტომაცა ასე მღელვარედ ვამოთქმული ამ მეტაფორულ სტრუქტურებში.

ალად უნდა ვამოიყოს ა. ნონეშვილის შემოქმედებაში დიდი მწერლებისა და მოქალაქეებისადმი მიძღვნილი ლექსები. კრებულში ბევრია ასეთი ლექსი.

საკვებით სწორად აღინიშნა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში; რომ ისტორიულ პიროვნებებისადმი მიძღვნილ ლექსებში მწერალი მხოლოდ შექებით კა არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ მხატვრული ნაწარმოების ვამოხად უნდა აქციოს იგი, მხოლოდ მაშინ იკონიებს ლექსი შეითხველზე ემოციურ შემოქმედებას. ა. ნონეშვილი, ერთ-ორი ვამონაყლისის ვარდა, ქმნის მოღვაწეთა რეალისტურ ლირიულ პორტრეტებს და სულერი მღელვარებით ვვესაუბრება მათ ღვაწლზე. ვადაქარბება ამ იწება, თუ ვიტყვი, რომ ამ ლექსების წყითების შემდეგ შეითხველი უფრო ცხადად ხედავს ამ მოღვაწეთა სულიერ სილამაზეს და უფრო მახლობელ აღმინანებად მიჩნევს მათ.

ლექსში „საიათნოვა“ დიდი აშული წარმოდგენილია, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მომღერლად, ნათე პირველებად, ქვეყნისთვის თავდაღებულ მოღვაწედ. ვაწყობილებას ამ ლექსში ქმნის ყოველ სტროფში რითმად ამღერებული აშულის ვვარი (მიგატოვა-საიათნოვა, მოითხოვა-საიათნოვა, დავიმარტოვა-საიათნოვა და ა. შ.), ხოლო შეითხველთან გულითადი საუბრის აქმოსფერო შექმნილია ლექსის პირველსავე სტროფში იმ კონკრეტული საბაბის აღწერით, რამაც ეს ლექსი დააწერინა პოეტს („ხარფუხის ვხაზე ვავედი კვირას, ბაზართან ხალხი მოჩანდა გროვად. ვილაც შენს ლექსებს მღეროდა ტუბილად და ვამახსენდი, საიათნოვა“). ამგვარი მხატვრული ხერხის ვამოყენება პოეტის ვანცდის სიწრფელეში ვვარწმუნებს და ემოციური შემოქმედების ძალას ქმნებს ლექსს.

ნამდვილი პოეტური მღელვარებითაა დაწერილი „ბარათაშვილის სერათი“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ამ კრებულში. ლექსის კომპოზიციის ხერხემალს წარმოადგენს მოხდე-

ნილი სტრიქონი „მისი სურათი ნაპოვნი არის!“ რომელიც ძვირფასი თვალთვითაა ჩასმული მხატვრულ ქსოვილში, არტისტულადაა ამტყუყველბული და ნათელი შეჭით აბრწყინებს ლექსში ჩაქსოვილ აზრს.

მღელვარე ლექსები უძღვნა ი. ნონეშვილმა ჩვენი სასიკადალო მგონანების ილიას აკაკის, ვალაკიონ ტაბიძის ხსოვნას, მან მკითხველის მეხსიერებაში გააცოცხლა გოეთეს, შილერის, პუშკინის, ლერმონტოვის, მთაკოვსკის დიდებულა სახეები. ეს ლექსები სულდგმულობენ წრფელი გრძნობით, დიდი მოღვაწეებისადმი უნაპირო თაყვანისცემისა და მოწიწების სულისკვეთებით.

ი. ნონეშვილის ბევრი ლექსი სიხარულის მომნიჭებელია, მაგრამ როცა ამ წიგნს ბოლომდე წაიკითხავ და დავეცე, სიხარულთან ერთად დაღლილობისა და დაუქმყოფილებლობის გრძნობაც ვინძდება. ბოლო, როცა შევეცდები იმის მიკვლევას, თუ რისკანაა ეს, აღმოაჩენთ რომ დაგდაღათ ფერთა ერთნაირმა ტონალობამ და მოძალებულმა ელვარებამ. მის ლექსებში მოჭარბებულია სიხარულის შეჭი, საზეიმო ინტონაციები. რა აქმა უნდა, პოეტის სულიერი ცხოვრება რომ სიხარულითა და

რწმენით არის სავსე, ეს კარგია. მას არ სჭირდება სულის სიკარგელის შეცესება წარმავლობისა და უიმედობის შხამით. ამიტომ პოეტთან ერთად არც ჩვენ „გვაკვირებენ“ მისი პოეზიის ნათელი პეიზაჟი, მაგრამ ეს როდი ვამაროცხავს ცხოვრების აზრზე ღრმად ჩაფიქრებას, ან, თუ გნებავთ, წრფელ ადამიანურ დარღსა და ნიდევლს. ოპტიმიზმი მხოლოდ სიცოცხლით აღტაცებას როდი ნიშნავს, ოპტიმიზმი ცხოვრების ფილოსოფიაა, რომელიც გუასწავლის ბრძოლას სიცოცხლის დამყვიდრებისათვის და ნათელ რწმენას გვიწერავს ამ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვიწებამში. ჩვენი ცხოვრება, რომელსაც პოეტი სამართლიანად მიიჩნევს „დასაბამიდან ჯერ არანებულ გაზაფხულად“, ამავე დროს არის ბრძოლაც, მწვავე წინააღმდეგობებისა გადალახვა, ადამიანური ტყივილები და ა. შ. ნამდვილ პოეზიაში უოველავე ამან თავის ადგილი უნდა პოვოს. ამისათვის კი საჭიროა ცხოვრების აზრში უფრო ღრმად ჩახედვა, თანამედროვეთა შინაგანი სამყაროს უფრო სრულად ჩვენება ე. ი. რაც შეიძლება მეტი „ადამიანთმყოფლებობის“ პათოსი.

შოთა სულაზარძე

## გამოკვლევა ილია ჭავჭავაძის ესთეტიკაზე

ი. ჭავჭავაძის შენიშვნები თუ მოსაზრებები ესთეტიკის საკითხებზე გაფანტულია მის მრავალრიცხოვან ნაწერებში, ზოგჯერ იქაც კი, სადაც არც მოველით (მუბლიცისტურ წერტილებში, ისტორიული ნარკვევებში, სოციოლოგიურ მიმოხილვებში, საპოლემო სტატიებში, პირად წერილებში და სხვ.). სურათის მთლიანობისათვის აუცილებელია ი. ჭავჭავაძის მთელი მუშვიდრეობის გათვალისწინება. ახლახან გამოქვეყნდა მამია დუდუჩავის გამოკლევა — „ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა“. მართალია, მკლეწვარანი მანამდეც ეხებოდნენ შედარებით ვრცლად ან საგანგებოდ ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ ნააზრებს, მაგრამ მ. დუდუჩავის ნაშრომით მკითხველი პირველად წარმოიდგენს, დიდი ქართული მწერლის მწუბობად დალაგებულ ხელოვნების თეორიას, ესთეტიკურ პრობლემატიკას. მ. დუდუჩავამ ახლებურად განმარტა ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის მრავალი დებულება.

მ. დუდუჩავის გამოკლევაში ფართო ასპექტში განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა — ხელოვნების საგანი და თავისებურება, ხელოვნების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და

განვითარების კანონზომიერებანი, ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკა, თეატრი და დრამატურგია, ქართული ხალხური მუსიკა, ნაშრომში საგანგებო ყურადღება აქვს მიქცეული ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ ნააზრევის ეროვნულ და სოციალურ საფუძვლებს. აღსანიშნავია ის გაერმოება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი თვითული საკითხი, რაც შრომის ცალკეულ თავებშია წარმოდგენილი, ამავე დროს მოიცავს მრავალ სხვა საკითხსაც (მაგალითად, მხატვრული სახე, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა, ტრადიცია და ნოვატორობა, ტიპიერობა, დამოკიდებულება რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ აზროვნების წარმომადგენლებთან, მეცნიერებისა და ხელოვნების დანიშნულება, მშენიერება და ბუნება, მხატვრულობა და ტენდენცია ხელოვნებაში, კომიკურის და ტრაგიკულის ცნება და სხვ.) გზადაგზა დაწვრილებით, ვრცლად არის განხილული ი. ჭავჭავაძის ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის განმტკიცებისათვის ქართულ ლიტერატურაში.

დიდი მნიშვნელობისაა ი. ჭავჭავაძის მსჯელობა მხატვრული შემოქმედების ეროვნული თვითმყოფადობაზე და ხალხურობაზე. მ. დუდუჩავა თავის მონოგრაფიაში საგანგებო ყურა-

მ. დუდუჩავა. ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა 1960.

დღეებს აქცევს ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისის მხატვრული მოვლენების ეროვნული არსის შესახებ. იგი წერს:

„ხელოვნება ღრმად ეროვნული მოვლენაა, იგი არსებობდა, საკუთრად ეროვნული ცხოვრების შედეგსა და განსახოვნებას წარმოადგენს, და არა ცხოვრებისა, საერთოდ, რადგან თვით ნამდვილი ცხოვრება არასოდეს არ არსებობს ეროვნულის გარეშე“. (გვ. 87); „ხელოვნება ღრმად ეროვნული მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც იგი მხატვრულ სიძლიერესთან ერთად, ხალხის, ერის პროგრესულ ინტერესებს გამოხატავს და ემსახურება“ (გვ. 88); „ეროვნულობის ვარსებ ხელოვნების უმშაბრითი უმნიშვნელოა მაშინაც კი არ არსებობს, როდესაც იგი ზოგადკაცობრიულ ტიპებსა და სულისკვეთებას განასახოვნებს...“ (გვ. 90).

მ. დედუჩიანი დიდ ყურადღებას უთმობს ილია ჭავჭავაძის ესთეტიკური მოძღვრების სისტემატიკ დაღვაწებასა და გაანალიზებას. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონია საგანგებო შრომა დაეწერა ესთეტიკის შესახებ, მაგრამ მოუცლელობის გამო, ეს განზრახვა სამწუხაროდ ვერ განუხორციელდა.

თავის გამოკვლევის შესავალში მ. დედუჩიანი წერს: „არსებობს ეპოქები, რომელთა თავისებური ხასიათის შედეგად, მწერლობა ხდება ერის სოციალური, გონებრივი და სულიერი ცხოვრების მეთაური, წარმართველი ძალა. ქართული ხალხის ისტორიაში ასეთი თავისებურებით ხასიათდება ვასელი საუკუნე, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარი“ (გვ. 5)

მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში სრულიად ახალი ეპოქა იწყება ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. ეს გარდატეხა ი. ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული. ჩვენს სინამდვილეში ი. ჭავჭავაძემ პირველმა მისცა ესთეტიკის ჩამოყალიბებული, მთლიანი სახე, ისეთი პრობლემების განხილვით, როგორცაა: ხელოვნების ზოგადი არსი და სპეციფიკა, სოციალური ბუნება და დანიშნულება, აგრეთვე ხელოვნების სტადანსება დარგებისა და განრების თავისებურებანი და სხვ. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ დიდი ქართველი მწერლის ნაზრები მთლიან სისტემის ხასიათს ატარებს, მასში მოცემულია „ეპოქის მოწინავე ესთეტიკური იდეების ათეისება ეროვნული სინამდვილის ასპექტში, ხოლო ვარკვეულ შემთხვევაში — მათი ვალრმაგება და შემდგომი განვითარება“. უველაფერი ეს ი. ჭავჭავაძეს მოცემული აქვს ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებისა და ქართული კლასიკოსების შემოქმედებას სწორად გაგებისათვის ბრძოლის აუთორული საფუძვლების სახით“ (გვ. 8—9)

მ. დედუჩიანს ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში ი. ჭავჭავაძე მიაჩნია შოთა რუსთაველის გზისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

მონოგრაფიის ავტორი დაინტერესებულია ნაშრომის, თუ როგორც ესის ი. ჭავჭავაძის ესთეტიკის ბუნება. იგი წერს: „ესთეტიკა, ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, წარმოადგენს მეცნიერებას ხელოვნების „ზოგადი თვისებების, კანონების შესახებ“. (გვ. 13). და შემდეგ: „ი. ჭავჭავაძეს ესთეტიკა არა აქვს წარმოდგენილი ე. წ. „წმინდა თეორიის“ ინტერესებით შემოფარგული მეცნიერების სახით. პირიქით, ესთეტიკა მისთვის უპირველეს ყოვლისა, დიდმნიშვნელოვან მეცნიერებას წარმოადგენს, როგორც მომქმედი თეორია, შემოქმედებითი პრაქტიკის საფუძველი და სწორი გზის მანუალებელი, თანამედროვე ვითარებით პაყარნახევი დიდი სოციალური, ეროვნული პრობლემების გაშვებისა და ერის მთელი ცხოვრების განკარგებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება“ (გვ. 14).

მ. დედუჩიანი თავის ნაშრომში ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური შეხედულების სუსტ, ნაკლოვან მხარეებზედ მითითებებს (კლასთა ბრძოლის უარყოფა, გვ. 78); ისტორიის მამოძრავებელ ფაქტორად განათლების, ცოდნის გამოცხადება (გვ. 78).

მ. დედუჩიანს პრობლემების რყევისას ახასიათებს თანამიმდევრობა და ლოგიკურობა, ფართო აზროვნების მაღალი დონე. მისი მსჯელობა აგრეთვე მარტივია და დამაჯერებელია. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ გამოკვლევაში მიაჩნ არის სადავო დებულებები.

მ. დედუჩიანი წერს: „გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სინამდვილე და მწერლობა იმდენად თავისებური იყო, რომ მას მართლაც არ შეეძლო წარმოეშვა რომანტიზმი ჩამოყალიბებული მიმდინარეობის სახით, მით უმეტეს ევროპული და რუსული რომანტიზმის ზესტად ანალოგიური ან მსგავსი“ (გვ. 229).

ვერ დავეთანხმებით ამ მოსაზრებას. მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში იწყება ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის განვითარება. ამ ლიტერატურულმა მიმართულებამ შექმნა ორიგინალური ესთეტიკური კონცეპცია და სტილი, გარდაქმნა მხატვრული მოვლენა, მთელი სიახლე შეიტანა პოეტურ ფორმებსა და ენებში, გააფართოვა და გააღრმავა ლიტერატურის შინაარსი; ქართველი რომანტიკოსები, როგორც უკვე მართებულად აღნიშნეს, არ შედიოდნენ ერთ ლიტერატურულ გაერთიანებაში, მათ აქონდათ სავითო-საპროგრამო გამოსვლები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული რომანტიზმი მიაჩნ ჩაითვლება ლიტერატურულ სკოლად, რომელიც შეკავშირებული იყო იდეებისა და მხატვრული პრინციპების ერთნაირობით. თითქმის

მთელი სამი ათეული წლის მანძილზე ეს პოეტრი სკოლა წარმოადგენდა ჩვენში გაბატონებულ მიმართულებას. შეიძლება ითქვას, რომ არცერთი დიდი ქართული მწერალი მე-19 საუკუნის პირველ ნახევრისა, არ არის თავის სუფილის რომანტიზმის გავლენისაგან. ამ მიმართულების გავლენით ვითარდება ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედება, ცალკე უნდა აღვნიშნოთ ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის შემოქმედებამაც ქართულმა რომანტიზმმა თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია. რომანტიზმთან არის დაკავშირებული მიხეილ თუმანიშვილის, სოლომონ რაზმაძის, ალექსანდრე ორბელიანის, გიორგი ერისთავის (შემოქმედების ადრინდელი ხანა), დავით მაჩაბელის, მამია გუბრილის, გრიგოლ რჩულიშვილის შემოქმედება (თუმცა აქ დასახელებულ მწერალთა მნიშვნელობა ცხადია, ერთნაირი არ არის ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში).

თავისი აუცილებელი პერიოდში რომანტიზმი უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის განვითარებას საქმეში. რომანტიკოსებმა გააფართოვეს და გააღრმავეს ქართული ლიტერატურის შინაარსი და სრულყოფილი გახადეს მისი პოეტური ფორმები; რომანტიკოსები შეიქმნენ მოთავენი ქართულ პოეზიის ახალ გზის გაკეთების საქმეში; რომანტიკოსებმა პირველად დააყენეს ქართულ ლიტერატურაში პრაგმატული მნიშვნელობანი პრაბლემის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და ფილოსოფიური-ესთეტიკური ყოფიერებისა. აღორძინების ხანის მწერალთა შემდეგ, მათ დასვეს ქართულ ლიტერატურაში ხალხურობის პრაბლემის, დეტაგ-შორდენ ხალხური შემოქმედების დიად საგანძურს და განიცადეს მისი გავლენა; რომანტიკული მიმართულების წარმომადგენელი მწერლების დამახებრებად უნდა ჩაითვალოს ახალი მდიდარი ენობრივი-პოეტური საშუალებათა გამოყენება, რითაც ბევრი რამ გააერთეს ქართული ლექსის კულტურის განვითარებისათვის. რომანტიკოსები ახალ ტონსა და ფერადოვნებას აძლევდნენ ქართულ პოეზიას. ამგვარად, ქართული რომანტიზმი თავისი ბუნებით რთულ ხასიათს ატარებს. რთულია მისი სოციალური ბუნებაც. საქართველოს მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში ქართულ რომანტიზმს ჰქონდა თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, მასში გამოვლინდა დეტაგყოფილებლობა აწყუთი და მისწრაფება უკეთესი მერმისისაკენ, ეროვნულ-განმანათლებლეთა იდეები.

განა, ყოველივე ამის შემდეგ გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ ქართული რომანტიზმის არ არსებობის შესახებ? ვუქირებთ, არა.

მ. დუდუჩავას ზემოაღნიშნულ მოსაზრების გაგრძელებას წარმოადგენს შემდეგი სიტყვები:

„ი. ჭავჭავაძე არ მიუთითებს გრ. ორბელიანის პოეზიაში რომანტიზმის გამოვლენას... ასეთივე გარემოებასთან გვაქვს საქმე, რუსოვს ალ. ჭავჭავაძის, ისე ნ. ბარათაშვილის მიმართაც“. (გვ. 216).

ავტორი ი. ჭავჭავაძეს იშველიებს თავისი შეხედულების მოზიარედ, მაგრამ იგი ივიწყებს იმ ვარაუდებს, რომ ი. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვისას არ ყოფილა დაინტერესებული საერთოთი, — რომანტიკოსები თუ რეალისტები იყვნენ ისინი. მას უფრო მეტად სხვა საკითხები აინტერესებდა, თუ როგორ გამოხატა მათ შემოქმედებაში ეროვნულ-პატრიოტული იდეა, ფილოსოფიური პრობლემატიკა. ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის შემოქმედებაში რეალიზმის ელემენტების არსებობას არც ერთმა მკვლევარმა არ უარყოფს, ოღონდ ძირითადში ისინი რომანტიკოსები იყვნენ.

და განა, მე-19 საუკუნის 20 — 30-ანი წლების ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის უარყოფით ან დამცირებით არ ვაღიარებთ ახალი ქართული ლიტერატურის შინაარს? განა, სხვადასხვა ლიტერატურული მიმართულებებისა და სკოლის არსებობა არ მიუთითებს ლიტერატურული ცხოვრების სირთულესა და მრავალფეროვნებაზე? რომანტიზმი ხომ არ ყოფილა ისეთი მიმართულება, რომ იგი დამამცირებელი იყოს ქართული ლიტერატურისათვის? არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (პოლონეთი, უნგრეთი, იტალია, ბულგარეთი, ირლანდია), ეროვნული თვითშეგნების აღორძინება დაემთხვა სწორედ რომანტიზმის განვითარებას. ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ყოველგვარი გავლენის გარეშე, ჩვენს სინამდვილეშიც.

საესებით სწორია მ. დუდუჩავას თვალსაზრისი მე-19 საუკუნის 60-იანი წლების თაობაზე ბრძოლის არსებობის უარყოფილებზე შესახებ, თერგდალეულთა პოზიციის პრინციპულ სახლებზე „ციცკრელითა“ მიმართულებასთან შედარებით (გვ. 208). ეს მართებული აზრია, მაგრამ სადავოა მისი გაგრძელება, სადაც ვკითხვლობთ:

„რაც შეეხება იმ ცხარე პოლემიკას, რომელიც უფრო გვიან (სამოციანი წლების დასაწყისში) გრ. ორბელიანსა და უკვე გამარჯვებულ, სახელმძღვანელო თერგდალეულებს შორის გაიმართა, სხვა ხასიათის იყო, რის გამო იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ სამოციანი წლების თაობათა ბრძოლის გაგრძელებად“ (გვ. 217). ამ ბრძოლის თითქმის არ განპირობებდა ძველი და ახალი მიმართულების განსწავლბული იდეური სისტემების შეჯახება.

განა, ენის საკითხები, განათლების საკითხები, ქართველების ეროვნული შეობის დაცვა ისეთივე აქტუალური არ იყო 70-იან წლებში,

როგორც 60-იან წლებში? ვანა, ა. ჭავჭავაძის „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“ და „პასუხის პასუხი“, ა. წერეთლის ლექსები და პუბლიცისტური წერილები, გრ. ორბელიანის „პასუხი შეილა“ და სხვები, იმავე პრინციპულ საკითხებს არ შეეხებოდნენ, რაც 60-იან წლებში აღეცხებდა მოწინავე ქართველ ახალგაზრდობას? მაგრამ ისინი ხომ 70-იან წლებში დაიწერა?

მ. დუღუჩავა ფართოდ მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შორის გამართულ პაექრობის შესახებ და სრულიად მოლოდინად ასკვნის: „ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობის პირდაპირ საგანს არ წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ რამდენად სწორად ჰქონდა გაგებული ი. ჭავჭავაძის ა. წერეთლის ლექსების ძირითადი დებულებები, ან ვინ იყო მართალი ამ დიდ სამოთხაველთა დავაში რუსთაველის გარშემო...“ (გვ. 170). ვანა, ვრცელ გამოცვლევებში სწორედ აღნიშნული პრინციპული საკითხები არ მოითხოვდნენ პასუხის ვაცემას? რასაკვირველია, მოითხოვდნენ. ეს კი არ გააქვს მ. დუღუჩავას ნაშრომში.

მ. დუღუჩავა აღნიშნავს, რომ შეცხრაპეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, როგორც ეს უკვე დადასტურებულია, ი. ჭავჭავაძე იცნობდა არა მარტო მარქსისტების შრომებს, არამედ კარლ მარქსის თხზულებებსაც. ეს მართალია. ისეთი ენციკლოპედიური განათლების პიროვნებისაგან, როგორც ი. ჭავჭავაძეა ეს სასწავლით მოსალოდნელი და შესაძლებელი იყო, მაგრამ მტრ საბუთსა და ფაქტებს მოითხოვდა მოსაზრება, თითქოს ილია „ოთხმოციანი წლებიდან... როგორც ჩანს უშუალოდ ვანიცდის ისტორიული მატერიალიზმის გავლენას“ (გვ. 66). სიიდან ჩანს ეს? ი. ჭავჭავაძის რომელი შრომაში გამოქვლავნდა ეს? დღეად მნიშვნელოვანი დებულებაა და დასაბუთებასაც მოითხოვდა.

მ. დუღუჩავა კვლავ იმეორებს ანტონ ფურცელაძის შესახებ მკვლევართა უმრავლესობის მიერ დღეს უარყოფილ შეხედულებას თითქოს იგი ემყარებოდა პისარეის ნიჰილიზმს (გვ. 202, 297).

ცნობილია, რომ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ კრიტიკისაგან ყველაზე მეტი თავდასხმა განიცადა ა. ფურცელაძის ესთეტიკურმა პრინციპებმა. მათ შექმნეს ტენდენციური სახე ნიჰილისტური დოქტრინის ფანტიკოსისა, რომელიც თითქოს უარყოფდა ხელოვნებას. ეს გაუგებრობაა. ა. ფურცელაძე, (ისევე როგორც დ. ი. პისარევი) არასოდეს არ უარყოფდა ხელოვნებას. იგი ყოველთვის ამკვლევებდა ხელოვნების საფუძვლიანი გამგებობასა და დამფასებლის ტაქტს, აღიარებდა მხატვრული ლიტერატურის დიდ შემეცნებით-საზოგადოებრივ მალს. ა. ფურცელაძემ მისი ნიჰილისტად

გამოცხადების წინააღმდეგ თავის დროზე საგანგებო წერილიც კი გამოაქვეყნა. იმე. პისარევი, სანდალა და კიტა“ (გახ. სტეფანია, 1884 წ. № 203 — 204).

ხალხის ისტორიული ცხოვრება განსაზღვრავს ლიტერატურის მიმართულებასა და ხასიათს. ხელოვნება ა. ფურცელაძეს მიაჩნია ეროვნული თვითშემეცნების ერთ-ერთ ფორმად. მწერალი არ შეიძლება ვულგარული რჩებოდეს თავისი ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობისადმი. ჭეშმარიტი შემოქმედი ყოველთვის პატრიოტია თავისი ქვეყნისა და ხალხისა. ა. ფურცელაძის აზრით, მწერალმა მეტი სარგებლობა რომ მოუტანოს თავის ხალხს, ამისათვის არ კმარა იგი ფლობდეს მარტოდენ მხატვრულ ხერხებს, არამედ საფუძვლიანად და ყოველმხრივ უნდა იცნობდეს ცხოვრებას, უნდა ჰქონდეს მოწინავე მსოფლმხედველობა. ამდენად, ა. ფურცელაძე იბრძვის მალადიდურად, მოქმედებდა ხელოვნებისათვის, რომელიც არა მარტო გვიხსნის ცხოვრების მოვლენებს, არამედ აქტიურად მონაწილეობს ახალი, პროგრესული პრინციპების განხორციელებისათვის. იდეურობა სავალდებულო და განმსაზღვრელი მომენტია ყოველი ნაწარმოებისა. ლიტერატურა არა არ შეიძლება ჩამორჩეს ცხოვრებას. მწერალს ევალება შექმნას ნაწარმოები აქტიურად თემებზე, გააშუქოს ისინი მოწინავე იდეების საფუძველზე. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება ლიტერატურა პროგრესულ ძალად, რომელიც გააღვნიას მოახდენს საზოგადოებრივ შემეცნებაზე. შემოქმედების, სიწმინდეობისადმი ასეთი დამოკიდებულებების გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ხელოვნება. ა. ფურცელაძე გამოდის ყალბი ობიექტიზმის წინააღმდეგ. თავის მისიას ხელოვნება შეასრულებს მხოლოდ მაშინ, თუ ის იქნება რეალისტური თავის თეორიულ მოსაზრებებში. ა. ფურცელაძე გამოდის კრიტიკული რეალიზმის მომხრედ.

ჭეშმარიტი, რეალისტური ხელოვნების თეორიულ თვისებად ა. ფურცელაძეს მიაჩნია მისი ხალხურება. ნ. ბარათაშვილის ლექსს „მადლი შენს გამწენს, ღამაზო“, იგი აწონებს იმით, რომ ამოსულია ხალხური სიმღერისაგან; გრ. ორბელიანის „მუხამბაზს“ („გინდ მეძინოს“) უწოდებს ხალხურ ლექსს. მისი თქმით, ამ ლექსში საუბარი, ენა, გამოთქმა ხალხურია; ხალხურობა ა. ფურცელაძეს ესმის უმოთხრესად როგორც ხალხის ცხოვრების მართებული გამოხატულება.

ყველა ამის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ა. ფურცელაძე არ უარყოფდა მხატვრული ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას საზოგადოებისათვის, მაგრამ ზოგჯერ იგი ზომიერების გრძნობას კარგავდა და უკიდურესობამდე მიდიოდა თავის გამოთქმებში. ამ უკიდურესობამ

ი. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის ზოგიერთ ნაწარმოებთა შეფასებისას იგი ცალმხრივობაში წააგდო. ამ უკიდურეს მსჯელობათა საფუძველზე იქმნებოდა წარმოდგენა, თითქოს ა. ფურცელაძე იყო ნიჰილისტი. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ უკიდურეს მსჯელობებში მერწილად მქადაგებდა ა. ფურცელაძის წერილბურჯული კლასობრივი ბუნების ნიშნები. აღსანიშნავია, რომ უფრო მოგვიანებით ა. ფურცელაძემ თითონვე შეიგნო თავის მსჯელობათა შედარება. ეს მკაცრი თვალსაზრისი აღნიშნულ მწერალთა მიმართ, ა. ფურცელაძეს არ გაეყოლია ბოლომდე. სწორედ ა. ფურცელაძე იყო ი. ჭავჭავაძის „კაცია-აღამიანის“ პირველი სერიოზული და საფუძვლიანი კრიტიკოსი. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ამ მოთხრობას, როგორც რეალისტური ხასიათის საუკეთესო ნაწარმოებს, რომელშიც მკვეთრად არის გამოხატული ბრძოლა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, რადგან მასში სიმართლით არის ასახული ცხოვრება. ავტორი ღრმად იცნობს იმ ვითარებას, რომლის შესახებაც იგი წერს. ა. ფურცელაძე დაწვრილებით ახასიათებს ამ ნაწარმოების გმირებს. მისი დასკვნით, „კაცია-აღამიანი?“ აბაღო ქართული მხატვრული ლიტერატურის სანახელო ნაწარმოებია. უფრო მოგვიანებით, ა. ფურცელაძე ლაპარაკობს რა ი. ჭავჭავაძეზე,

მისი შემოქმედების დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია თემების სიმდიდრე და მრავალფეროვნება, შინაარსის გარკვეულობა, პროგრესული თვალსაზრისი, ისევე თავის სხვადასხვა შენიშვნებში ა. ფურცელაძე მართებულად აფასებს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასაც. 1867 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებულ წერილში — „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ“ იგი ნ. ბარათაშვილს უწოდებს ქართველთა „თავმოსაწონებელ პოეტს“. სხვა წერილში ა. ფურცელაძე ნ. ბარათაშვილს ახასიათებს როგორც ახალი მიმართულების ფუძემდებელს ქართულ ლიტერატურაში. ანალოგიური მოსაზრება ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შესახებ ა. ფურცელაძეს სხვაგანაც ბევრჯერ აქვს გამოთქმული.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე პრინციპული მოწინააღმდეგე იყო თეორიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ეს საკითხი ასეთ ვრცელ გამოკვლევაში მოითხოვდა მერ ურადლებას. მართო იმის განცხადება კი არ კმარა, რომ ი. ჭავჭავაძე იზიარებს თეორიას ხელოვნების საზოგადოებრივ დანიშნულების შესახებო.

ამ შენიშვნების მიუხედავად, მ. დუღუჩაეის გამოკვლევა უძველად მნიშვნელოვანია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

შალვა რაბინი



## კულტურული ცხოვრების ქრონიკა

### ახსენებები

#### რევოლუციური

ავსტრიის გადართობის ფილია, კენის ასრევიუს დასის მონა-წილეობით. ფილიპის რეჟისორი და სკენარის თანაავტორია ედუარდ ბორსოვი. სურათში მთავარია მოციგურავეთა დასის გა-მოსვლა. სიმღერები კი ტრივიალურია. ახალგაზრდა მოციგურა-ვე ქალი ლივლი მიუღწერი იტყე-ბის გახდეს აისრევიუს „ვარს-კვლავი“. მაგრამ ლივლის ვეფ-ლა დონისძიება უმადლოდ ჩჩრ-ბა. დირექტორი არ აწინაურებს მას. მაშინ ახალგაზრდა ქალი ურეკავს დირექტორს განთქმული უნგრული მოციგურავე ილია კარ-ოლის სახელით და თანხმობას უკანასკნელ წარმოდგენაში მონაწი-ლეობაზე. გადაყმულ ლივლის დი-დი პატივისცემით ვუბნებან, მა-ყურებელი გელობიდა მიიღებს მას, მაგრამ... ამ დროს ლივლი გაიჩინებდა ნამდვილი ილია კარ-ოლი. დირექტორი მივლის სკა-ნდლს. ილია კი აღტაცებულია ლივლის ისტატიკით და იმავე საღამოს მასთან ერთად ასრულებს ნოქერს. ლივლი აქ უკვე თავისი ნამდვილი სახელით გამოდის და წარსატებას აღწევს.

მუხიკა ფილიპისთვის დაწერეს რომერტ მელოდია და პაიტი სო-ინარდმა. მთავარ როლებს ას-რულებენ: ვალტერაუტ მასი, ყვა პავლიკა, ტედი რენი და სუნი ნიკოლიტი.

### ალბანეთი

#### ალბანური კინო

ალბანეთში და საფრანგეთში სე-ლი მიაწერეს კულტურული გაე-ვლა-გამოყვლის შეთანხმებას, რომ-ლის მიხედვით პარიზში 11 თან-ვარს (ალბანეთის ნაციონალური დღესასწაული) კინომატარ „კო-მარტინი“ გაიმართა ალბანური კინოს საღამო. 14 ივლისს კი (სა-ფრანგეთის ნაციონალური დღესას-წაული) შედგა ალბანეთში ამ-ვემეფეს ფრანგულ სურათები.

ალბანეთის კინომატარგაფა ახალგაზრდათა თავისი პირველი მხატვრული ფილმი ალბანეთში შექმნა საბჭოთა კავშირთან ერ-თად — ეს იყო „სკანდერბეგი“. ამ სურათში კანის მე-7. ფიტი-

ვალზე მიიღო საერთაშორისო პრე-სია. ამის შემდეგ სტუდიაში „ახა-ლმა ალბანეთში“ შექმნა თავისი ძალეობით აიხვ მეტი სურათი, მათ შორის სრულმეტრაჟიანებიც.

პარიზში ალბანეთში უჩვენა სუ-რათები „არწივთა ცვევა“, აფე-ბული ალბანურ ხალხურ ცვევებსა და ხიმღერებს, „როსაფას სიმ-ღერა“, რომელიც მოგვიანრობს ამ პატარა ქვეყნის მრავალსაკუნიოვან ისტორიას და ლეგენდებს, „ფურ-ტუნა“ („პარიზში“), რომლის რეჟისორი კრისტაქ დამო აცნობს მკურებელს ალბანეთის ხალხის გმირულ ბრძოლას 1942—1945 წლებში გერმანულ და იტალიელ ოკუპანტების წინააღმდეგ. ირი უკანასკნელი სურათი ფრანგია.

სამიუღლ ლამისი გახუტ „ლუ-მანიტიკი“ ალბანურ კინოს „სა-სიამოვნო ხელოვნებას“ უწოდებს.

### არგენტინა

#### მარ დელ პლატას ფეხ-ტივიალზე

მარ დელ პლატას საერთაშორის-ხო კინოფესტივალზე, რომელიც იანვარში პატარა არგენტინაში, დიდი წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა პოლენელი რეჟისო-რის იგივე პასენდორფერის სურათს „დამარცხება“ და გერმანული ფი-ლმის ვიტერანის ფრეი ლანგის ნაწარმოებს „დოქტორ მახიულის ათასი თვლი“. ეს ორი ფილმი სხვადასხვა სტილითაა გაკეთებუ-ლი, მაგრამ ორივეს ტანით შეუვდა მკურებელი.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კოსტურის გარეშე ნაჩვენებმა ფრა-ნკულმა ფილმმა — რეჟისორ აღ-ბერ ლამარისის „მოგზაურობა ამერიკაში“. სამავიროდ ანრი ფრეი კლუზის „სიბიანთელი“ (რო-შელმიუ ბრიეტ ბარდო თანამშის) არგენტინულმა კრიტიკოსებმა ცი-ვად მიიღეს.

### ამერიკის მემრთაბული მხატვანი

#### დავიწყებული და დავ-ნილი

ამერიკელი მწერალი დემიულ ქამეტი ცნობილია როგორც ავტო-რი რომანებისა „მალტის მკვარ-დენი“, „წითელი სკა“, „მუშის გასაღები“, „წვეული სისხლი“, და მრავალი თავდადასებური ნოვე-ლისა.

ქამეტმა დილანს იმსახურა კე-რძო მძებრად პინკეტონის სა-გენტიკომი, ამ სასახურის დროს მან კარგად გაიცნო კამპანოს ბნე-ლი საქმიანობაც. შემდეგ მან აღ-წერა ეს სამყარო თავის რეალის-ტურ სათვლელადსალო რომანში. მისმა მიზნაძველებმა მხოლოდ თავ-დადასებური ილუმენტი განაი-თარეს და აქედან წარმოიშვა „მედი სერიები“ და უძილო „ბესტ-სე-ლერიები“.

მწერალი მიელი თავისი სიყო-ცხლე იყო მებრძოლი და პრინცი-პული. იგი ილაშქრებდა სხვადასხ-ვა დროს ფრანკოს, პიტლერიასა და მკაკარტის წინააღმდეგ, ხელისუფ-ლებამ მას ბრალი დასდო „ანტი-კომუნისტური“ მოღვაწეობისა და სო-ნგრების „შეურაცხყოფაში“. ქამე-ტი ჩახვე ციხეში, შემდეგ აგრძა-ლებს მისი ნაწარმოებები რადიოსა, ტელევიზიასა და კინოში.

ახვარში დემიულ ქამეტი გარ-დაიცვალა ავადმყოფობასაგან ახა-ლი რომანის წერის დროს.

#### იან კეპო, ყურადღება: რევოლუცია კუბაზე

ცნობილი ამერიკელი სიციო-ლოგმა, კოლუმბის უნივერსიტეტის პროფესორმა რაიტ მილსმა გამოაცხვდა წიგნი: „იანკეო, ყუ-რა დღედა: რევოლუცია კუბაზე“. წიგნს საფუძვლად უდევს მილსის დაკვირვებანი კუბის ცხოვრებაზე, სადაც იგი ჩაივდა უკანასკლად ამ დ კუბის შორის კარგი ურთ-იერთობის დამყარებისთვის შექმ-ნილი კომიტეტის დამატკეფით. ავტორი კუბის რევოლუციის მო-მხრეა. წიგნი დაწერილია ეპისტო-ლარულ ფორმაში. იგი შეიცავს კუბელების წერილებს ამერიკელე-მსაღმწი. თვითონ მილნი გარკვეუ-ლად წერს: „ჩემი სიმპატია გა-პარობებულია ჩემი შეზღუდუე-ბით და შეუცანბაოა ჩემი სისტე-მათი. ერთად და მეორევე კუბის რევოლუციის მხარეზეა უფრო, ვი-დრე იმ რეაქციონა, რომელიც მან გამოიწვია ამ მთავრობის პოლი-ტიკის მხრივ“. იგიყვალურმა კრი-ტიკამ საკმაოდ უხალხოდ მიიღო მისი წიგნი.

#### ფილმი ფრანკლინ რუ-ქველიტზე

პრეზიდენტ ფრანკლინ რუხველ-ტის ცხოვრებისაშენი მიწველილ ფილმი „მის ამოსვლა კამპო-







კარგად ენობილი, ბევრჯერ ნათამაშევი და ღრმად მოფიქრებელი პიესა. — მე ერ შევედვი „კაბლეტის“ გადაღებას, ხანამ არ შიენახე ხელის იხეთი წერტილი, რომლიდანაც შეიძლება მისი ჩვენება. ახლა კი უკვე ესრა თვა, რაც ვუბრაბთ „მაკატის“ ვერანხავიანე და... თბილისის მესამეობა, რომ ფილის გედასაღებად ფული ვერ მიიძლია. ამრიგად, შექენა მეტი დრო პიესანე უკეთ დაფიქრებისათვის, შეგაღებ ახალი თვლით შეჩებდით მას. — იხოვრებაში ყველაზე დიდ სიხარულს მობლავს მსახიობების ერთიანი დასის შექენა, ასეთის, როგორიც ჩვენ გვერდა „ოდდ ვყმი“.

### „მისტრატოპაზი“

ახელი სათაურით იღებს ფილმს ინგლისელი რეჟისორი პეტერ სელერსი. მარსელ პანიკლის სატირული პიესის დაბატკენი ვერანხავიანის ვუთენის პირ რეჟს. ფილმის გადაღებები დაიწყო ლონდონში, ვაერობოთა ბლუაში და დამთავრდა პარიზში. პეტერ სელერსი თვლითრეჟ ასარულებს შიავარ როლს. მისი პარტიტორეჟია ვანა პროუთ და ბოლუ. პეტერ სელერსის პირველი სრულმეტრეჟიანი ფილმი იქნება ინავე დროს „ტოპაზის“ პირველი ფრაგმი და ფართო ვერანხავიან გადაღება.

პარტო ფონტენინსტოვებეს სცენას

მარტო ფონტენინი უკვე 26 წელიწდიის ლონდონის „როილ ბალეტის“ მოდერეჟი — ვარსკვლავია. მან განაცხადა, რომ ამარებს სცენის დაბატკენის იფინში საბჭოთა კავშირში გასტროლებს შემდვ.

მარტო ფონტენინი 41 წლიაა. იგი არ ამარებს არც საბალეტო სკოლის ხანსნახ, არც ქორეოგრაფიის სწავლებას.

### ისრაბელი

**მთხაიკა**  
„თუნესკის მსოფლიო სელოვენების კოდექსის“ შეთთხმეტე აღბილის მიბღინილა ისრაბლის მოხაბიისადმი და შეიყავს 32 ფრაად რეპროდიუქციას. ჩვენ წელთადრიენვაბე VI და V საუკუნეების ისრაბელი მოხაიკა ბერანელ-რომალე კელტურის ვარკვეულ გავლებას განიფილდა. ამასთანავე, როგორც წინის წინასიტყვობაში მიხილ ავითინაბი წერს, გარდა წმინდა მხატვრული ინტერესისა, რომელსაც ეს მოხაიკა იწვევს, მასში გამომჟღავნება კიდეც ხან ფეოდალური წესწიბილების მოტყობი, ხან იქ ახახული გღების

მბივე შრომა, ხან კიდევ იბღლიური ნოტები.

### ინბალია

#### იგორ სტრაჟინსკის უკანასკნელი კონცერტი

იგორ სტრაჟინსკი დირიგობობდა რომში თავის ირ ნაწარმოებზე „დოლან თომასის სილოვანდში“ (ამერეჟილი პოეტია) და „კატატა XV და XVI საუკუნეების ამონინიურ ინგლისურ ტემბებზე“. კონცერტის შემდვე 78 წლის კომპოზიტორმა თქვა: „დირიგობობამ დამალა, რომში ეს ჩემი მამოსულა, რომის ფილარმონიულ აკადემიაში მივემული კონცერტი ნიმუხს ჩემი სადირიგობო მიღაწვიების დამთავრებას“. თუქვა იგორ სტრაჟინსკის უწინავე ვანუნადებმა ეს, მაგრამ ახლამ მან უარი თქვა სიცილაში აბღლებ ანგავემეტზე. ეს ვარწმობებს თბთის ადსატრეებს მის გადაწყვეტილებას.

#### კინოთეატრული ფესტივალი

შეწევდა საერთაშორისო კინოთეატრული ფესტივალი შვედა ინუვარში, კალკ რამპოლიში. მასში მიიღეს მონაქილებმა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ფერანგული შტატების, არგენტინის, ინდოეთის, იაპონიის, და დანიის კინოთეატრულეებმა. წარმოღვენილი 150 ფილმინამ 70 აბრრეგს ფართო მაყურებლისათვის.

#### ტერზიფიკატის რიხილინი სურსები

ახლაფარდა ფრანგი კინომახიობი ლონას ტერზიფიკატსარულებს შიავარ როლს ფილმში, რომელსაც რინეტრო რახვლინი ბღებს სტენდალის ნოველის „ვანია ვანილი“ მისხვეთი. ფილმში მონაქილებენ აგრეთვე მსახიობები მარტინა გაროლი და სანდრა მილი.

#### ვატიკანის შავი სია

რომის პაპის განკარგულებით ვატკანის შეიქენა სპეცილური კომისია, რომელსაც უნდა გადახვდეს აკრძალული წიგნების სია. ამგამად ეს „ინდექსი“ შეიცავს 5.000 სახელწოდებას, მათ შორის ჟორდანო ბრუნოს, ჰობსის, კიუპის, ვოლტერის, ზოლას, მონტენის, ანატოლ ფრანსის, მაინეისა და ბერესონის ნაწარმოებებს.

#### კანადე

**მორალეი კალბანი**  
კანადელი მწერალი მორლე კალბანი დიდი პოპულარიზით

სარგებლობს სამშობლოში. ახლა შერთხულ შტატებში გამიოქა მისი ორი რომანი: „სიუყარულა და დანაკარგი“ და „მრავალფერეჟიანი კიტელი“. ორივე წიგნმა მაღალი შეფასება მიიღო ვახუთ „ნიუ-იორკში“ გამოქვეყნებულ კრიტიკოს ებმინელ ვილსონის წერლით.

კრიტიკოსი წერს, რომ მორლეი კალბანი, შერთხულ შტატებში ყოფნის დროს — ოციან წლებში, ენობილი იყო ლიტერატურულ წრებში. იგი მიგობობდა ჰემინგუეისთან, ფიუკერბერთან. მას აფსუსება რინე ლანდინერი. კალბანი ბემდედაა ნოთხობებს ეთრეღალი, სადაც უჭრა მაუნდი იყო რედატორი. მის ნაწარმოებებს სცემდა სკრიბინერი — იმ დროის ყველაზე ენობილი ამერეჟილი გამომცემელი. მაგრამ დაბრუნდა თუ არა კალბანი კანადში, იგი მაღე დაიფიქრა სამწოდელმამეზობლებმა. მწერალმა კი ამ წლებში განახვლიბაში შექენა მაღლმხატვრული ნაწარმოებები. კრიტიკოსი აღნიშნავს კალბანის რომანთა ისტატურ კომპონიციას, ღრმა ფსიქოლოგიურ და ყოფაცხოვრებითი დაყვრეებას, ერთი ხიტყვით — მაღალი კლასის რეალისტური ნიეს. დასარულ, კრიტიკოსი კალბანს აღარებს ტურნემევა და ჩემოს.

#### კანადური პოეზიის ანთოლოგია

ლსფორმის უნივერსიტეტის გამომცემლობამ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გამომწევა კანადური პოეზიის დიდი ანთოლოგია. წიანდელი პოეტი, მინიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჟ. სმიტა, კრიტიკოს ლეონ ეფლეს ახრით, ანთოლოგია იბღვევა კანადური მსუხარბი ომბეტკარ, ფართო და ამოწურევე მნიხილავს. მეითხელს, რომელიც ამ პოეზიას არ იფინობს, ანთოლოგია ახალ კორინონტებს უწინის.

#### კუბა

**კუბის ბალეტის გასტროლინი**  
საბჭოთა კავშირში გასტროლების შემდვე კუბის ბალეტი იანერის დამდვეს ვენია ვარსიავას. დედამალები გარდა კუბის მოცეცეკვები გამიფიფინ კატრევისა და ზუბეში. დასის რეპერტუარშია კლასიკური ნაწარმოებები და ფოლკლორზე ავებული ნომრები. კუბელმა მოცეცეკვეებმა და დასის პრინიპალერინამ ალიბია ალისონი კარგი შეახვედილებ დაბტეგს პოლინელ მაყურებლებზე.

საზრკანობი

ბ ლ ე ს ს ა ნ დ რ ა რ ი

18 იანვარს გახვებია „ლუმიანიტში“ ვეკანობა, რომ ფრანგმა მწერალმა ბლეს სანდრარმა მიიღო პლაკე პარიზის ლიტერატურული პრემია. სანდრარი შექმნილ იყო და ამიტომ პრემიის მისაღებად მივიდა მისი ნეკლეტხეი დღის შემდგომ ბლეს სანდრარი გარდაიცვალა.

ბლეს სანდრარს საფრანგეთში უწოდებენ „მეზნებად მონჯარს“. მართლაც მან მთელი თავისი სიყოფნელი მოგზაურობებით გაატარა. მამით შევიყარაოლი და დედით შოტლანდიელი 1887 წელს საფრანგეთში დაბადებული, 15 წლის სანდრარის სტოვებს მშობლიურ სახლს და მიდის ჩინეთში. 1914 წელს იგი მისალსიედ ეწერება ჯარში და შამპანში ბრძოლის დროს კარგად მარჯობს ხელს.

1917-1923 წლებში მას იტაცებს ენო, რომელსაც ახმარს კალიტის შექმნა თითქმის მთელ თანხას. სანდრარი რეპორტაჟებს იხვევ აწუხებებს, როგორც რომანების, ხოლო რომანებს წერს რეპორტაჟის სისწრაფით. 1925 წელს ბლეს სანდრარი ატყვევებს რომანს „ოქრო“ და მიეწერება ბრახილიანში, სასწრეთ ამერიკაში, აფრიკაში.

1939 წელს სანდრარი დედამიწის ირველო მოგზაურობს აფრიკაში ნაოთი. ომის დაწყებისას იგი შუა ზღვაში ნახეს ინგლისელებმა. მწერალის პირველი წიგნი — „ნოფოროლი“ გამოვიდა 1909 წელს. მის კალამს ვკუთვნის მრავალი რომანი, პოემა, სცენარები, მოგზაურობის აღწერა, კრიტიკული წერილი, რეპორტაჟი. მისი რომანები ითარგმნა ოციოდე ენაზე.

„მ ე ვ ა რ ლ ე მ ტ ი ლ ს ტ ი ი“

ტოლსტოის შარმანდელ იუბილსთან დაკავშირებით გახუთმა — ლუ ფიკალი ლიტერატურაში გამოაქვეყნა ვრუეჟ მინორის საინტერესო მოთხრობანი. ავტორი წერს, რომ 1862 წელს შემოგვიტანა მისი ბაისი, მოსკოვში მცხოვრებ ინგლის რაბინის კარტუზე ვილდამ დააკავარა. მე ვარ ლვე ტოლსტოი. — წარმოიქვა, მოსულმა. — მურს რაბინის ნახვა. მსულ ამ არამეველებზე იუბილის მიზეზში გამოიარევა. ტოლსტოიმ თქვა, რომ იგი არ ენდობა ძველი აღიქმის ოფიციალურ, თარგმანს და სურს ეგარული გნის შექმნა.

ლა, რათა ორიგინალში წაიკითხოს იგი. ეს იყო ტოლსტოის ცხოვრებაში რელიგიური კრიზისის პერიოდი. „რიგორი შეიძლება, რომ ქრისტიანობაზე ავებულ საზოგადოებაში ასეთი უსამართლობა ბატონობდა? აქ რაღაც შეესაბამება, — ამბობდა ტოლსტოი. — შედეგებელია, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ დაუმება ყოველგვი ეს“. ტოლსტოი შედგება საღმრთო წერილის საფუძვლიან შესწავლას და თვითონ თარგმან კიდევაც ოთხი თავი, თან აღნიშნავდა სხვა თარგმანების ნაკლოვანებებს.

მინორის მეორე მოგონება ეხება ტოლსტოის შეხვედრას მის ბიძასთან, — იმ დროს ახალჯანრება და ექიმთან. უკანასკნელმა შენიშნა, რომ ტოლსტოი მეორე მჯარ ჩას სუამდა გვერდზე მდგარ სამოერიდან და უთხრა მას, ამაზ შეიძლება ჯანმრთელობაზე იმოქმედოს. მწერალმა მიუთქ: „თქვენ ახალჯანრება ვეში ბრახანდები, იცით თქვენი სახელმძღვანელოები, ავადმყოფობის ლათინური დასახელებმა, პარაგრაფები, საერთო ცნებები, მჯარამ ცოცხალი ადამიანი — ეს სულ სხვაა. მე უნდა ვევა მეორე ჩია. უამხოვ ვერ ვიმეხებები. ჩია ათავისოლებს იმ შესაძლებლობებს, რომლებშიც თველის ჩემი სულის სიდრამეში, იგი შამღვს საშუალებას ეწერო და შეკვნას ნაწარმოებები“.

შენგბობი

უ ნ გ რ ე თ - ა ფ რ ა ნ გ ე თ ი

პარიზში უნგრული ლიტერატორების კავუის ყოფნის დროს გახუთმა „ლუ მონდმა“ გამოაქვეყნა ინტერეუ მწერლებთან (ართ ტომასი, ფერენც თუამ, გუნი ოტლიე, ტინორ კარდის და ბელა კოშეზი). გახუთში 29 დეკემბერს მოთავსებული წერილიდან ჩანს, რომ უნგრული დედეკაციის წევრებმა ჩატარეს შოლაპარაკება ფრანგულ გამომეველობებთან. მიუხედავად სიმძლეებისა, პირველი კონტაქტი ნაყოფიერი აღმოჩნდა. გუნი ოტლიე — მადალი კლასის მწერალი და ინგლისური ლიტერატურის მთარგმნელი — ამბობებს ფრანგულ ენაზე გამოუშვას წიგნი — „სკოლა საზუარაზე“. ფრანგი მეომხველი გაეცნობა აგრეოლე ნიქვიერ ახალჯანრება პოეტის ფერენც იუბამის შემოქმედებას. შესაძლოა, ფრანგულე ითარგმნოს ართ ტომასის რომანი. გათვალისწინებელია მთელი რიგი

უნგრული მწერლების გამოცემა-საფრანგეთში. მთა შირის ატილად ირხუვის ლემეხებმა კრებულა და ანთოლოგია „უნგრული პოეზიის რვა სავეუნი“, დამუშავებული ლასლო გარას მიერ. ანთოლოგიის შემქნამი მოაწილეობა მიიღეს ცნობილი მთარგმნელებმა. უკანასკნელ თვეში საფრანგეთში გვევ გამოვიდა უნგრული ლიტერატორის რამდენიმე კლასიკური ნაწარმოები.

ფინეთი

ფ ი ნ ე რ ი ტ რ ი ლ ო გ ი ა

მწერალი ვანთ ლინა დიდუ-პატივისცემით საზღვრობებს ფინეთში და საზღვარგარეთ. 1954 წელს მან გამოუშვა რომანი „უენობი პარისკაცი“. უკანასკნელი ომის შობაგვილდებზევა ავებული, და მას მასფრი ატილლიტარსტული ტენდენცია ახასიათებს. სუეცესა და შიფოკიში გარკვეული ახალდეები მოიძებნება რემარკის წიგნთან „დასავლელის ფრანტიკ უგვლეოა“. „უენობი პარისკაცი“ 20-ჯერ გამოვიდა 400.000 ფუშმელარის საერთო ტირაჟით, რაც ფინეთში არამეველებზევა ახმავია. ჯ ლინა რომანი ითარგმნა უებოებზევა დიდად მოქულმარულია, აგრეთვე, ამ წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმი.

ახლა ვანთ ლინა მუშაობს ტრილოგიაზე „აქ, პოლარული ვარისკაციას ქვემოთ“, რომლის ფირ ნაწილი გვევ დაიბევიტა. ეს ფინური ცხოვრების ახსახველი ფართო ეპიკურ ტოლოა, რომელიც ვიეთვის დაახლოებით 20 წლის პერიოდს — XX საუკუნის დასაწყისბმდე ფინეთის დამოუკიდებლობამდე, ტრადიციის ბვერი მოქმედი პირი „უენობი პარისკაციის“ გმირების მშობლები და ნათესავები აბანი.

ჩინოსლეთსკი

ახალჯანრება მწერლები

ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის ინიციატივით, გასული წლის დამლევი, შედგა სემინარი, მიმდინაოლი ჩეხური და სლოვაკური ახალჯანრება ლიტერატურისადმი. სემინარიში მონაწილეობმა მიიღეს ახალჯანრება პოეტები, პროზაიკოსები, ეყრნალ „პლამენის“ ირგელოე უერებელმა კრიტიკოსებმა და შეეკოსი თათბის გამორჩევილწარმოამდეველებმა. მათი გამოსელები დაიბევიტა ფერნალ „ეულტურნი ვიოტიკი“.

ფასი 80 ლარი.

6. 14 / 77



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА МЦЕРАЛИ»